

იოჰან ვოლფგანგ გოეთე ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი

კონსტანტინე გამსახურდიას თარგმანი

ყოველივე ცნობა ახალგაზრდა ვერტერის შესახებ ამ წიგნში მოვაგროვე და დარწმუნებული ვარ, დამიმადლებთ კიდევაც ამისთვის.

ვიცი წინასწარ, თქვენ არ მოაკლებთ სიყვარულსა და განცვიფრებას მის ხასიათსა და სულიერ აღნაგობას, ხოლო ბედი მისი, მეგობრებო, უთუოდ დაიმსახურებს თქვენსავე ცრემლებს.

და შენაც, სულო, მისებრ ჭმუნვითა და მწუხარებით გულგასენილო, ტანჯვათა მისთა ფიალათაგან შეიმსუბუქებდე გულისა ტკივილს და მიიჩნევდე ამ მცირე წიგნს გულისა ტოლად, თუ არ გაგაჩნდეს მეგობარი მასზე უფრო ძვირფასი.

წიგნი პირველი

1771 წლის მაისის 4.

რარიგ მიხარის, რომ წამოვედი! კეთილო ჩემო, რა არის გული კაცისა!

საოცარია!

გიხაროდეს ისეთი განუყრელი მეგობრის განშორება, როგორც შენ ჩემთვის იყავი? ვიცი, ამას მომიტევებ.

განა ჩემი დანარჩენი მეგობრობა ჩემთვის საგანგებოდ მირწყული არ იყო განგების ხელისგან გულისა ჩემის დასათრგუნველად?

საბრალო ლეონორა!

მიუხედავად ამისა, მე უდანაშაულო ვიყავი. განა რაიმე ბრალი მიმიძღვის იმაში, რომ მისი დის თავნება აღტყინებამ გამიტაცა და დაკოდილ გულში ვნება აღმიგზნო?

განა მე არ აღვზარდე მის გულში ნაზზე უნაზესი გრძნობა?

განა მე...

ოი, რა საოცარია ბუნება კაცისა, განგებას მისთვის ქენჯნის ნიჭი რომ მიუცია!

გაძლევთ სიტყვას, მეგობარო, მე გამოვკეთდები. მინდა ის მცირე ფათერაკი, რომელსაც ბედი გვიმზადებს ცხოვრებაში, ადვილად მოვიხელო ისევე, როგორც ეს მრავალგზის მიქნია კიდევ.

მინდა ამიერიდან მხოლოდ აწმყოთი დავტკბე და წარსულს წარსულად ვთვლიდე.

რა თქმა უნდა, შენ უთუოდ მართალი ხარ: ადამიანებს ნაკლები ურვა შეხვდებოდათ ქვეყნად, განგების ნებით ისე საოცრად რომ არ იყვნენ მოწყობილნი, წარმოდგენის ძალით არ სჩვეოდეთ განვლილთა ჭირთა უკუხმობა და მოგონება, ნაცვლად იმისა, რომ შეეტკბონ ბოძებულ აწმყოს.

გეთაყვა, გადაეცი დედაჩემს, რომ მის დავალებებს არ ვივიწყებ: აქ ყოფნის დროს ჩემი მამიდა მოვიხანხულე და დავრწმუნდი, იგი არც ეგზომ ბოროტი დედაკაცი ყოფილა. მამიდა მხოლოდ გულფიცხი ქალია და სხვა არაფერი.

მე განვუმარტე მას დედაჩემის ჩვილი მასზე დარჩენილ ნაანდერძევის შესახებ.

მამიდამ ამიხსნა, თუ რა პირობებში შეეძლება დაგვიბრუნოს ჩვენი ხვედრი ამ ანდერძიდან: მოკლედ, გადაეცი დედაჩემს, ახლა არ მინდა ყოველივე აქ აღვზუსხო. ერთი სიტყვით, ყოველივეს, მისგან მონდობილს, კეთილად დავაგვირგვინებ.

უნდა გამოგიტყდე, მეგობარო, ამ უმნიშვნელო საქმიანობის დროს დავრწმუნდი, რომ გაუგებრობა და სიზანტე ამ ქვეყანაზე უფრო მეტ სიავეს წარმოშობს ხოლმე, ვიდრე ბოროტება და

მუხანათობა. ეს ორი უკანასკნელი ყოველ შემთხვევაში უფრო ნაკლებად თვალსაჩინოა, ამ ცხოვრებაში წარმოდგენილი.

სხვათა შორის, მე აქ გვარიანად ვგრძნობ თავს, ამ სამოთხისებურ მხარეში მარტოობა სანუკველ ბალზამად მოეცხო ჩემს გულს.

და სიჭაბუკის დღეთა სავსება განცხრომით ათრობს გულს იჭვით სნეულს.

ყოველი ხე, ყოველი ჩირგვი მწვანითა და ყვავილით შემოსილა, და ყოველ წუთს გენატრება კაცს გადაიქცე თუნდ პაწია ჭიამაიად, რათა შეგეძლოს ნელსურნელოვან მუშკით შეზავებულ სფეროთა ლივლივში ფრენდე, იშვებდე, გაიხარებდე, ბუნების საზრდოს უმეშვეოდ დაწაფებული.

ქალაქი თვითონ უხეიროა. სამაგიეროდ თვალისმომწყვეტი მშვენებით სავსეა სანახები, აგარაკები. სწორედ ამან წააქეზა ალბათ განსვენებული გრაფი მ..., რომელსაც საუცხოო ბაღნარი გაუშენებია მახლობელი გორაკის თხემზე.

ბალი უბრალოდაა გაკეთებული და შესვლის უმაღვე დარწმუნდებით, რომ მისი გეგმა დაუდგენია არათუ მეცნიერულად განსწავლულ მებაღეს, არამედ მგრძნობიარე გულის პატრონს.

მე არაერთხელ გულგასენილი ვმჯდარვარ აწ გავერანებულ, სვით შემოსილ ტალავერს ქვეშ: თვით ბალის პატრონს ჰყვარებია ადგილი იგი.

სულ მალე ალბათ ამ მშვენიერ ბაღს დავეუფლები, და მებაღეც ერთგულია და ფრიად ხელმომჭირნე.

მაისის 10.

საოცარმა სიხარულმა რომ აათრთოლა ჩემი გული, იგი მომევილინა ვით გაზაფხულის ნეტარი დილა, რომელსაც ახლა განვიცდი მარტოობაში. მე აქ მარტოკა ვარ და შევხარი თვითვე სიცოცხლეს და ამ სანახებს, შვების მომგვრელსა და სანეტაროს. და გეტყვი, ჩემო გულის სწორო, ეს მშვენიერი ტურფა მიდამო ჩემებრ სულის პატრონისთვის შეთხზულია განგებისაგან, კეთილო ჩემო.

მე ისე ბედნიერი ვარ, ისე აღვსილი ამ აუმღვრეველ მყუდრო ყოფნის სიხარულით, რომ ჩემი შემოქმედების უნარი, ლამისაა მთლად მოადუნოს ამ ნეტარებამ.

ამ წუთში ფუნჯს ვერ გავეკარები, ერთი ხაზის მოსმაც არ შემეძლია, მაგრამ არასდროს მიგრძნია ამაზე მეტი მხატვრული ძალის მოზღვავება მე ჩემს მაჯებში.

როცა ქალაქებს, ირგვლივ მდებარეს, ცხელი აღმური თავს წაადგება და მაღალი მზის ლამპარი გადმოიხრება თვალჩაშავებულ უღრანი ტყის მწვანე ფაფარზე, მხოლოდ ღერ-ღერა სხივის ისრები შეიჭრებიან უღრან ტევრში, მაშინ ვნებივრობ ვერცხლის ჩანჩქერის შორიახლო მოღზე განრთხმული და საოცარი ფერმრავლობა ამ მწვანე მოლის, მაღალ ბალახის მაცებს მაშინ. როცა ამ მაღალ ბალახებში მცოცავი მწერების ფუსფუსსა და რბენას საცნაურსა ვყოფ, ამ გასაოცარ შეუცნობ პაწია სულდგმულების სიახლოვე გულს მიჩქროლებს, მაშინ ცხადია, ვგრძნობ: მეახლა ყოვლად ძლიერი შემოქმედის სუნთქვა და სითბო გულის მისის ყოვლის შემცველის და მოყვარულის ამ არსებათა, რომელიც შექმნა მან თვითონვე თავის სურვილით, ჩემო კეთილო, და მერმე როცა ჩამოწვება ბინდი მწუხრისა და ჩემს თვალებში ჩამოეშვება სანახაობა სანუკველი და საოცარი, ვოცნებობ მაშინ და ფიქრს ვეძლევი: ნეტავ შემეძლოს ავსახო იგი, გადავიტანო ქალაღზე მაინც, რაც ასე თბილად, ასე ცოცხლად ამ ჩემს სულში აღბეჭდილია, რათა ნაწერი ან ნახატი იქნეს ხატებად სულის შენის, სურათხატებად გასაოცარ ღვთის წარმოდგენის.

კეთილო ჩემო, ეჭვი არა მაქვს ამ მოვლენათა დიდებული ძალოვანება მე გადამიტანს, მომაჯადოებს.

მაისის 12.

არ მესმის სწორედ, ამ მხარეში ხომ არ დაფრენენ თვალის ამქცევი ნაზი სულები, თუ ზეციური ფანტაზიაა, ეგ სანახები რომ დაფერა სამოთხის დარად.

ჩვენს ახლოს, აქვე, თვალწარმტაცი წყაროა ერთი, რომელმაც მე ისევე მომაჯადოვა, როგორც მელოზინა და მისი დები.

პატარა გორაკის ფერდობს რომ ჩაჰყვები, თაღს წააწყდები უმნიშვნელოს, ჩაირბენ მერმე ოციოდე ნაბიჯს მხარმარჯვნივ და ხედავ, გულო, მოსჩქეფს მარმარის ნაპრალებიდან წყარო ანკარა.

ირგვლივ ქვიტკირის გაღავანია, ჩრდილმრავალ ხეთა მწყობრი მწკრივით შემორაგული. და აქ სიგრილე, ოაზისებრი აგავსებს შვებით და სიტკბოებით.

აქვე მოდიან ქალაქიდან კონტა ქალები სურებით ხელში. უბრალო საქმე, მაგრამ საქმე ფრიად საჭირო, რომელსაც უწინ სეფეწულნიც ვერ ასცდებოდნენ. და ამ წყაროსთან როს გავგრილდები, პატრიარქალურ იდეებით ივსება სული, მივხედავ მაშინ ჩვენს წინაპრებს, ბნელში დანთქმულებს, წყაროსთან მოსულთ სასძლოთ არჩევა რომ სჩვეოდათ მას ჟამსა შინა.

ო, ვინც ამგვარ ფიქრებს არ ეძლევა ამ წყაროს პირას, იგი, სჯობია, არც მოვიდეს ამ წყაროს ჩრდილში დასასვენებლად.

მაისის 13.

შენ ჩემი წიგნების გადმოგზავნის შესახებ მეკითხები? მიხედვით შენს ღმერთს, ჩემო კარგო და, მომაცილე ზედმეტი ბარგი. აღარ მჭირია ამიერიდან ხელმძღვანელობა, გამხნელება და წაქეზება. ეს ჩემი გული თავისთავად აზვავებულა. მე მხოლოდ ტკბილი ძილისპირი თუ დამჭირდება. ვიპოვე იგი ჩემს ძველს ჰომეროსში. ხშირად ამგვარად დავაშოშმინებ ჩემს ამბოხებულ სისხლს. ვინაიდან ასეთს დაუდევარსა და ცვალებად არსებას შენს ბადალსაც ვერ მოუნახავ ამ საწუთროში, როგორცაა ეს ჩემი გული. თუმცა, კეთილო, რა საჭიროა შენთვის მიწერა ამ ამბებისა, შენთვის, რომელსაც არაერთხელ გინახავარ მე პირქუშ ვარამისაგან უდარდებლობის მიჯნებისა და უკურნებელ მელანქოლიისკენ, წამწყმედელ ვნებათა ღელვისკენ დაქანებული.

და ჩემს საბრალო გულს მე ისე ვანებივრებ, როგორც სნეულ ბავშვს; ყოველნაირ ჭირვეულობას ადვილად ვუთმობ, გთხოვ, ყოველივე ეს დარჩეს ჩვენ შორის, რადგანაც ისეთნიც მოიძვიან ამ ქვეყანაზე, რომელნიც ამგვარ საქმეებში მე გამკიცხავენ განუკითხავად.

მაისის 15.

ჩემ გარშემო მცხოვრები ადამიანები უკვე მიცნობენ, ბევრი მათგანი ფრიად თავაზიანად მეპყრობა კიდევ, მაგრამ მე ბავშვებს შევუყვარდი განსაკუთრებით. სამწუხარო რამ შევნიშნე ამ დღეებში: როცა თავდაპირველად ამ უბრალო ადამიანებს დავუახლოვდი, მათ ეგონათ, დავცინოდი, ამიტომაც უხეშად მომექცნენ. ამ დაკვირვებამ მე შემაგნებინა: ზოგიერთი წოდების ხალხი შორს იჭერს თავს უბრალო ხალხისაგან, რადგანაც ეშინიათ მათთან დაახლოებით საკუთარი ღირსების შებღალვისა. ხანდახან მათში გამოერევა მკრეხელი და თავილობს მდაბიო ხალხთან დაახლოებას, რათა ამგვარად თავის უპირატესობას მკაფიოდ გაუსვას ხაზი.

მე კარგად მესმის, რომ ჩვენ, ადამიანები თანასწორნი არა ვართ და ვერც ვიქნებით ოდესმე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ის, ვისაც აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია საკუთარი პატივმოყვარეობის დასაცავად, ეგრეთ წოდებულ ბრბოსგან გამიჯვნა, ისევე გასაკიცხავია, როგორც ის მშიშარა, რომელიც მტერს ემალება, რადგანაც თვითონ თავის ძალის იმედი არა აქვს.

ამას წინათ წყაროსთან ვიდექი, მოსამსახურე გოგოს კიბის საფეხურზე დაედგა სავსე კოკა და შორიდან მომავალ ამხანაგ ქალებისკენ იხედებოდა.

კიბეზე ჩამოველ და შევხედე გოგონას. „მოგეხმარო, ქალო?“ – ვეუბნები.

ძლიერ გაწითლდა.

– არა, ბატონო, როგორ გეკადრებათ...

ავაწევინე კოკა და მხარზე შევადგი.

მადლობა მითხრა და გზას გაუდგა.

მაისის 17.

აქ ბევრი ვინმე გავიცანი, მაგრამ საჩემო საზოგადოება ჯერ არ მიმიჩნევია, არ ვიცი, ვის რა უნდა მოეწონოს ჩემში?

ზოგიერთი მათგანი არაერთხელ შემთვინებია, და როცა მეორე ადამიანთან გამივლია მცირეოდენი ცხოვრების გზა, მე მუდამ ტკივილი მიგრძნია ამ დროს. შენ თუ მკითხავ, როგორი ადამიანებია აქ? როგორიც ყოველგან, – გიჰასუხებდი. კაცთა მოდგმა საოცრად ერთსახიერი რამ არის, ჩემო.

უმეტესობა თავის სიცოცხლეს შრომაში ატარებს. და ზოგიერთი ადამიანი მოწადინებულია, რადაც უნდა დაუჯდეს, თავისი მცირე თავისუფალი საათებიც როგორმე მოჰკლას და თავიდან მოიშოროს.

ჰოი, მწარე ხვედრო კაცთა მოდგმისაგ!

ხანდახან თავდავიწყებას ვეძლევი, საკმაოდ კარგს საზოგადოებაში რომ გავერევი. აქ განვიცდი იმ სიხარულს, რომელიც კაცთათვის კიდევ ხელმისაწვდომია, გულუხვად მორთულ სუფრას

შემოვუსხდებით, ვხუმრობთ, ვბაასობთ, ან ნავით გავისეირნებთ მახლობელ ველებისკენ, ან ცეკვას გავაჩაღებთ და ყველაფერი ეს ფრიად სანუკველ შთაბეჭდილებას სტოვებს ჩემზე. მე მეშინია ოღონდ, არ დავრწმუნდე, რომ ჩემში მთვლემარე შემოქმედი ძალები უქმად დაობდნენ.

აჰ, ეს ეჭვები ჩრჩილივით ღრღნიან ჩემს გულს.

და მაინც ხომ დამეთანხმები: ჩვენი მოდგმის მწარე ხვედრია – ვერ გაგიგოს მოყვასმა შენმან.

გული მიკვდება, ჩემი სიყრმის მიჯნურს რომ მოვიგონებ: რა უდროოდ გამომაცალა სიკვდილმა იგი!.. ხომ აჯობებდა, არც გამეცნო იგი ოდესმე.

მე ვეტყობდი ჩემს თავს: შენ ჭეშმარიტად შლეგი ყოფილხარ, შენ მას ეძიებ, რაც ხელმიუწვდომელია სააქაოში.

მაგრამ ეს არის გასაოცარი, ხომ მეკუთვნიოდა მე მისი გული?

განა მისი დიადი სულის სიახლოვეს არ დავმტკბარვარ? განა იმ წუთში ჩემი თავი წარმოდგენილი არა მქონდა უფრო მეტად, ვიდრე ვიყავი სინამდვილეში და სინამდვილეში მე ვიყავი მთელის სავსებით, რაც კი ოდესმე შემეძლო რომ ვყოფილიყავ, ღმერთო სახიერო!

განა თუნდ ბეწვის ოდენი ძალა რჩებოდა მაშინ ჩემს არსებაში უქმი, ურგები?

განა მე არ შემეძლო მის წინაშე გადამეშალა მთლად საოცარი სულის მხნეობა, რომლის შემწეობითაც ჩემი სული იგებს ბუნებას და მის სირთულეს განსაცვიფრებელს და ნაირ-ნაირს!

განა ჩვენი მეგობრობა სავსე არ იყო უნაზესი გრძნობებით, უბასრესი სიმძლავრით და გონებაამხვილობით, და ყოველივე ეს ხომ დადამღული იყო გენიის ბეჭდით.

აჰ, მან რამდენიმე წლით მიმასწრო სიკვდილის ბჭებთან.

მას ვერასოდეს ვერ დავივიწყებ, მისი გულის სავსებას და მის ღვთაებრივ ჭირთამთმენობას.

სულ რამდენიმე დღის წინათ შევხვდი ახალგაზრდა ეც-ს, გულწრფელ ჭაბუკს, საკმაოდ ლამაზ გარეგნობით აღჭურვილს.

იგი ახლად დაბრუნებულია აკადემიიდან და მთლად ბრძნად არ მოაქვს თავი, მაგრამ დაბეჯითებით სჯერა, რომ სხვაზე მეტი მაინც იცის და როგორც შევატყვე, ბეჯითია და საგრძნობი ცოდნის პატრონი უნდა იყოს. როცა გაიგო, რომ მე ვხატავ თურმე და ძერწვაში ცოტა რამ გამეგება (ორი მეტეორი შეხვდა მიწაზე ვითომც ერთმანეთს), იგი დამიპირდაპირდა და საგრძნობი ცოდნის სკივრები გადმოალაგა ჩემ წინაშე, ვატტოდან დაწყებული ვუუდამდის, პილესიდან – ვინკელმანამდის, რაც წაეკითხა ან გაეგონა და მარწმუნებდა, ზულცერის თეორიის პირველი ნაწილი გადაკითხული მაქვს და პეინენის ხელნაწერი ანტიკურ მოძღვრებათა შესახებ ჩემს ხელშიაო.

მე ეს მოვუწონე და წავახალისე. კიდევ ერთი ჩინებული კაცი გავიცანი აქ, სამთავროს მოხელე, ფრიად გულახდილი და ენერგიული ვინმე. მასზე ამბობენ, გაწვრთნილი აქვსო გული მოყვასთა სიყვარულში. და მართლაც კარგი სანახავია იგი თავის ცხრა შვილის წრეში.

ძლიერ აქებენ მის უფროს ქალიშვილს. იგი ამჟამად საბაზიერო სასახლეში ცხოვრობს. თავადის ბაზიერთა სასახლე აქედან საათ-ნახევრის სავალზეა. აქ გადმოსახლებულა იგი თავისი ცოლის სიკვდილის შემდეგ, რადგან ქალაქში ყოფნა აორკეცებდა მის ღრმა სიმძიმის. დანარჩენი ჩემი ნაცნობები გაცვეთილი ტიპებია, რომელთა შეხვედრაც კი ველარ ამიტანია.

მშვიდობით.

მაისის 22.

ადამიანის ცხოვრება რომ სიზმარსა ჰგავს, ეს ბევრს აღუნიშნავს და მეც ამკვიატებია ეს აზრი ბოლო ხანს.

როცა იმ დაბრკოლებათ გავითვალისწინებ, რომელნიც ადამიანის მოქმედსა და მაძიებელ ძალებს ბორკავენ, ვრწმუნდები, რომ ყოველივე გარჯა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისკენაა ბოლოს და ბოლოს მიქცეული, და ყველაფერ ამას სხვა მიზანი არ მოჰყვება, თუ არა ჩვენი უბადრუკი არსებობის გახანგრძლივება და ისიც ნათელია ჩემთვის, რომ ყოველნაირი გულის შეჯერება კვლევის ზოგიერთ შესაძლებლობათა შესახებ მხოლოდ მეცნიერთაგან მოგონილი ნუგეშისცემაა და სხვა არაფერი.

რადგან ჩვეულებრივად ჩვენ ნაირ-ნაირი ფერადებით ვამკობთ იმ კედლებს, რომელთა შორის თვითონვე ვართ გამომწყვდეული. ყოველივე ეს, ჩემო ვილჰელმ, ფრიად მანცვიფრებს.

მე ჩემსავე არსებაში უკუვიქცევი ამ შემთხვევაში და ვპოულობ კიდევაც ჩემს სამყაროს და თავშესაფარს.

მეტი ქვეშეცნებითი შეგრძნება, ვიდრე ცოცხალი შემოქმედებითი სახვა: აქ კი ყოველივე ბურუსის წიაღში უკუვიქცევა და მე იჭვნიული ღიმილით შევცქერი სამყაროს.

ბავშვებმა რომ თავიანთი საწადელის მიზეზი არ იციან, ამას ყველა განსწავლული აღმზრდელი თანაბრად ადასტურებს.

მაგრამ მოზრდილებიც რომ ბავშვებით ჭირვეულობით არიან შეპყრობილნი ამ ცხოვრებაში?

ვიცი, შენ ამაზე უთუოდ მომიგებ: სწორედ ისინია ბედნიერნი, ვინც ბავშვებით უდარდელად ატარებს თავის ცხოვრებას.

ისინი ბავშვებით დაათრევენ თავიანთ დედოფალებს და გულმოდგინედ იჭვრიტებიან იმ კოლოფებში, სადაც დიდებას შაქარლამა და ნამცხვრები შემოუნახავს, და როცა საწადელს აისრულებენ, გავსილი პირით ყვირიან: კიდევ მომეცით!

სწორედ ამგვარი ადამიანებია ბედნიერი, არც იმათ უშავთ რა, ვინც საკუთარ, ხარაბუზასებურ საქმიანობას მაღალფარდოვანი ხოტბით ამკობენ და ადამიანობის მოდგმას ამაღლიან კიდევაც თავიანთ მოღვაწეობას.

ნეტავი იმას, ვინც შეძლებს ამგვარ ჯანმრთელობის კეთილად ჩატარებას. ხოლო იგი, ვინც თავმდაბლურად აღიარებს ადამიანების სწრაფვის ამოებას და ნათლად ამჩნევს, რომ ყოველი მოქალაქე თავის ბაღას იმისთვის უვლის, რომ მზის შუქით დატკბეს ანდა წუთით გაახანგრძლივოს, სწორედ იგი სდუმს.

და თუმცა იგი შეზღუდულია და შებოჭვილი, გულში მაინც ატარებს ტკბილი თავისუფლების უხმო ოცნებას, სავსებით დარწმუნებული, რომ მას ყოველ წუთში შეუძლია თავისი საპყრობილიდან თავის დაღწევა.

მაისის 26.

შენ ალბათ გახსოვს ჩემი ახირებული ჩვეულება: მე ხომ ყოველგან პატარა ქოხი უნდა ავიშენო, მყუდრო კუთხე მოვიმარაგო.

ქალაქიდან ერთი საათის სავალზე იმყოფება ვალჰაიმი.

აქაც მოვძებნე ჩემი ადგილი.

ვალჰაიმში ერთი გორაკია, საიდანაც ხელისგულივით მოსჩანს გარეშემო ველ-მიდამო და სანახები.

ამ გორაკის ზეთავზე ორი საუცხოო ცაცხვი დგას. ამ ცაცხვების ჩრდილში ვზივარ ხშირად. მახლობელ დუქნიდან მოხუცებულ დედაკაცს ამოაქვს ჩემთვის ლუდი, საუზმე, ყავა და ღვინო. ცაცხვების შტოებს ქვეშ ეკლესიის მოედანია ქოხმანებითა და სახლებით გარშემორტყმული. ასეთი მყუდრო ალაგი სხვაგან არ მეგულება, დავჯდები ცაცხვის ქვეშ, შევექცევი ღვინოს ან ყავას, თანაც ჩემს ჰომეროსს ვფურცლავ, ვკითხულობ. თავდაპირველად, როცა ამ ცაცხვების ძირას მოვედი, საოცარი მარტოობა ვიგრძენი, მთელი სოფელი ყანებში გასულიყო, მხოლოდ ერთი ოთხიოდე წლის ბავშვი იჯდა მიწაზე და მეორე ექვსიოდე თვის ბაღლი მის ფერხით. მოზრდილი პაწიას მკერდზე იხუტებდა, ეფერებოდა. ამ საოცარმა იდილიამ აღტაცებაში მომიყვანა. წამოვჯექი იქვე მიგდებულ ძველ ერქვანზე და დიდის აღტაცებით დავნატე, ძველი ქოხმანების, დამსხვრეულ, უვარგის ბორბლებისა და ძველი ერქვანის ფონზე.

ამ შემთხვევამ განამტკიცა ჩემი მხატვრული დევიზი: მეტი სიახლოვე ბუნებასთან.

მხოლოდ ბუნებაა უხვი მასალა, ბუნება ჰქმნის დიად ხელოვანს.

ნორმების შესახებ ბევრი რამის თქმა შეიძლება, ისევე როგორც მოქალაქურ საზოგადოების შესახებ ბევრი ხოტბის დაწერაც.

ვინც შემოქმედის ნორმების მიხედვით იწვრთნება, იგი უგემურსა და მახინჯს არ წარმოშობს, როგორც კეთილგონიერ სოციალურ ნორმებზე აღზრდილი ადამიანი არასოდეს ბოროტმოქმედი არ იქნება.

ამავე დროს ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ დოგმატური ნორმით მიმდევრობა ჭეშმარიტად ვნებს ბუნებრივ გრძნობებს.

კეთილო მეგობარო, გითხრა საამისო იგავი?

გეტყვი ქარაგმულად სიყვარულის შესახებ. ვთქვათ, ვინმე ჭაბუკს შეუყვარდა ასული ვინმე. მთელი დღე მისი სიახლოვით სტკბება, დღე და ღამეს მიჯნურის ალერსში ატარებს. სატრფოს ანდომებს მთელს თავის ენერგიას, თავის ჯანსა და საბადებელს. ჭაბუკსა ამგვარს შემოეყრება ფილისტერი და ასე ეტყვის წრესგადასულს და შეყვარებულს: მშვენიერო ჭაბუკო, სიყვარული ღვთით გაწესებულია კაცთათვის და თქვენც ისე უნდა გიყვარდეთ, როგორც ეს კაცთა სჩვევიათ კიდევაც.

განაწესეთ თქვენი საათები, სამუშაო დრო მუშაობას მოახმარეთ და დასასვენებელი – მიჯნურსა თქვენსას: მოითხოვეთ – ქონებაც თქვენი მამისეული, საჭირო და აუცილებელი ცხოვრებას მოახმარეთ და ზედმეტად შთენილი – სატრფოსა თქვენსას: ამასაც განსაზღვრული დღეები აქვს ხომ მიჩნეული: დაბადებისა და ანგელოზის დღე და სხვა.

თუ ეს ჭაბუკი ყოველივე ამას მოისმენს და შესაფერადაც მოიქცევა, უთუოდ კარგი ვაჟი დადგება და ყოველ თავადს ვურჩევდი მრჩევლად აიყვანოს იგი.

მოვა დრო და სიყვარული მისი დაიშრიტება, თუ იგი მიჯნურია, და თუ ხელოვანია, მისი ხელოვნებაც მიაღწევს აღსასრულს.

ჰოი, მეგობრებო, რისთვის დაწესებულა ასე, რომ გენიის ნიაღვარი იშვიათად თუ ამბოხდება, იშვიათად ავარდება იგი მაღალ რეგიონებში სულისა თქვენის შესატოკებლად?

ძვირფასო ჩემო, ამ ნიაღვრის ორთავ კიდეზე გულგრილი ადამიანები ცხოვრობენ და მათი წალკოტები, მათი ველები და ნათესები უთუოდ წაირღვნებოდა და წაწყდებოდა აქელებულ სტიქიონისაგან, რომ ცივ გონებას ჯებირების ზღუდეებით არ შეეკრა ნაპირნი თვისნი.

მაისის 27.

როგორც ვხედავ, ექსტაზში მომიყვანა ამ იგავებმა, დეკლამაციამ, და მთლად გადამავიწყდა უმთავრესი მომეთხრო შენთვის, თუ რა მოუვიდათ მერმე ამ ბაღებს. მე ორიოდ სავთი მოვანდომე მათ მხატვრულ ჭკრეტას, ერქვანზე მჯდომარემ. ქალაღდის ნაჭერი მთლად გადავხაზე.

შელამებულზე ბავშვებს ხელკალათებით დატვირთულმა ახალგაზრდა დედაკაცმა მოაკითხა.

და ერთ-ერთს წკრიალა ხმით გადმოსძახა შორიახლოდან: – ფილიპს, ყოჩაღ, ჩემო პატარავ.

მერმე მე მომესალმა. სალამითვე ვუპასუხე, მივუახლოვდი და ვეუბნები: თქვენა ბრძანდებით ამ პაწიების დედა, ბატონო?

მან დამიმოწმა. უფროსს ნამცხვარი მოუტეხა, პაწია ხელში აიყვანა და აკოცა.

– ჩემს ფილიპსს ჩავაბარე პაწია და უფროსი ქალაქს წავიყვანე თეთრი პურისა და თიხის კეცების სასყიდლად, – ამბობდა დედაკაცი. თვალი შევავლე ხელკალათში ჩადებულ ნივთებს.

– პაწია ჰანსს წვნიანი უნდა გავუკეთო. ამ აბეზარმა კეცი გამიტეხა ფილიპსთან ბლლარძუნის დროს.

გამოვკითხე უფროსი ვაჟის შესახებ და გამოირკვა, რომ მახლობელ ველზე ბატებს აძოვებს თურმე. აგრეთვე გავიგე, რომ ეს ქალი სკოლის გამგის ქალიშვილი ყოფილა, მისი მეუღლე შვეიცარიას წასულა მიცვალებული ნათესავისაგან ნაანდერძევ ქონების ჩასაბარებლად. ქალი ძლიერ დანაღვლიანებული იყო იმის გამო, რომ ქმრისაგან არავითარი ცნობა არ ჰქონია ჯერ მიღებული.

გამიძნელდა ამ ქალის მოშორება, ბავშვებს თითო გროში ვაჩუქე. არ დავივიწყე პატარა ბატის მწყემსიც და გამოვეთხოვე სამივეს.

უნდა გამოგიტყდე, მეგობარო, ეგზომ მშვენიერი ქმნილების შემხედვარეს, ლამისაა, გული ამემღვრეს.

ბავშვები ძლიერ მომეჩვივნენ: როცა მე ვსაუზმობ, ისინი ჩემ გვერდით სხდებიან და შეექცვიან თავიანთ წილს რძესა და ყავას.

კვირაობით თეთრ უზალთუნებსაც იღებენ საჩუქრად.

მეტად შემომეჩვივნენ, დედა იმათი შიშობს, პატარებმა არ შემაწუხონ.

მაისის 30.

რაც ამას წინათ მხატვრობის შესახებ მოგწერე, იგივე ითქმის პოეზიისთვისაც.

აქაც მთავარია უპირატესის შეცნობა, მისი გამოთქმა – უკეთ, გაბედვა თქმისა.

დღეს მე აქ რომ სცენა ვნახე, ზედმიწევნით რომ აღწეროს კაცმა, წმინდა წყლის პოეზია იქნებოდა.

უუმშვენიერესი იდილიაც თუ გნებავს.

ფარსაგი რამ არ გეგონოს, ვილჰელმ!

უბირი გლენიკაცის ამბავი მინდა მოგიტხრო.

იგი თურმე ვინმე ქვრივი დედაკაცის მოჯამაგირე ყოფილა. ვაჟი ფრიად გულთბილად იხსენიებდა ქვრივს, აქებდა და აღიღებდა მას.

ქვრივს ცუდი შთაბეჭდილება დარჩენია პირველი შეუღლებიდან და ამიტომაც უფრთხოდა ხელმეორედ ოჯახურ უღელში შებმას. ჭაბუკი ნატრობდა მგლოვიარე ქალის გულის მოგებას და ფიცსა სდებდა, იმდენ სიყვარულსა და ერთგულებას მიაგებდა ამ დედაკაცს, რომ უკვე განცდილ მწარე გამოცდილებას გაუქარწყლებდა.

მე რომ დიდი პოეტის მეტყველების უნარი მქონდეს, სიტყვით სიტყვამდის გადმოგცემდი მის ნაამბობს, მის მიხრა-მოხრას, ლაპარაკის მანერას, მისი ხმის ჰარმონიასა და მისი შემოხედვის აღგზნებას. არა, სიტყვით არ გამოითქმება ის საოცარი სინაზე, რომელსაც მისი მეტყველება ამჟღავნებს საუბრის დროს.

განსაკუთრებით გულუბრყვილოდ მომეჩვენა მისი შიში, ვაითუ, მე მისი სატრფო გულარძნილ დედაკაცად წარმოვიდგინო. იგი სცდილობდა როგორმე დავერწმუნებინე, რომ მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ხორციელი დაახლოება. როცა იგი ამ ქალის სხეულზე მიაბობდა, ვნებით დათუთქულ თვალებს ნაბავდა. მე ჯერ არ მინახავს, ეგზომ გახელებული სექსუალური ჟინი რომ მოზღვავებოდა ახალგაზრდა ჭაბუკს, ხნიერი დედაკაცის სხეულზე შეყვარებულს.

დაბოლოს, მინდა სადმე შევხვდე ამ დედაკაცს. ვნახო მისი აღნაგობა, რომელსაც ეს ჭაბუკი ასე გაუცოფებია. მაგრამ ხშირად ვფიქრობ, არა, ისევ სჯობია, მისი მიჯნურის თვალებით ვხედავდე მას შორიდან. ვინ იცის, რომ ვნახო, სულ სხვაგვარად მომეჩვენოს, ვიდრე მის მიჯნურს, და რისთვის წავიწყმიდო ეგზომ ნათელი წარმოდგენა მასზე.

ივნისის 16.

რატომ ბარათებს არა გწერ?

შენ მეკითხები ამას, გულთმისანო? შენ ალბათ მიხვდები, რომ მე კარგად ვგრძნობ თავს.

მოკლედ გეტყვი: აქ ისეთი ვინმე გავიცანი, ვინც ჩემს გულთან ძლიერ ახლოა. დაწვრილებით გაამბო, როგორ, როდის ან სად?

ეს ყველაფერი საძნელოა. მთავარია: მე ბედნიერი ვარ და კმაყოფილი. ისტორიების წერა არც ისე მემარჯვება.

ანგელოზი?..

ფუი, ყოველი კაცი ასე ეძახის თავის...

არა?

მე ვერ გეტყვი, რამდენად სრულყოფილია ან რისთვისაა იგი ეგზომ სრულყოფილი?

მან მთელი ჩემი გული და გრძნობა დაატყვევა და ვგონებ, ესეც საკმარისია.

ამოდენა მიამიტობა – ეგზომ ნათელი გონების გვერდით, ამდენი სიქველე – ეგზომ დიდი ხასიათის სიმტკიცის ჯუფთი?[1]

და ასე საოცარი, მშვიდი ბუნება!

ყველაფერი, რაც წელან ვთქვი, უმწეო აბსტრაქციებია, რომელნიც დაახლოებითაც ვერ გადმოგცემენ მისი ჭეშმარიტი ბუნების სიავეკარგეს. სხვა დროს გეტყვი, თუმცა არა, სჯობია ახლავე... ახლავე მოგწერ... რაც ეს წერილი დავიწყე, სამჯერ მოვინდომე კალამი გადამეგდო, ცხენი შემეკაზმა და გავჭრილიყავ – მაგრამ არ შემიძლია, დილით სიტყვა მივეცი ჩემს თავს, არ გავსულიყავ სახლიდან. ყოველ წუთში მივდივარ ფანჯარასთან, ვნახო, სადაა მზე?

მაგრამ ვერ დავსძლიე გულისხმა... მე უნდა წავსულიყავ მასთან. ახლა ისევ აქა ვარ, ვილჰელმ, ჩემი ბუტერბროდი უნდა შევჭამო, საღამოს – წერილები ვწერო. შენ ვერ წარმოიდგენ, როგორი სიხარულია ჩემთვის მისი დანახვა – თავისი რვა და-ძმის წრეში.

მე რომ ამ გზით განვაგრძო წერა, ვიცი, შენ ვერას გაიგებ. მაშ, მომისმინე, დაწვრილებით გაამბობ.

მე გწერდი ამას წინათ, თუ როგორ გავიცანი სამთავროს მოხელე ს..., რომელმაც მთხოვა ვწვეოდი სტუმრად თავის მარტყოფში, უკეთ – თავის პაწია სამთავროში.

მე მის თხოვნას ყურადღება არ მივაქციე და მხოლოდ შემთხვევის წყალობით მივაგენი ამ სამთავროში დაფლულ საგანძურს.

აქაურმა ახალგაზრდობამ გადაწყვიტა, ბალი მოგვეწყო ადგილობრივი ძალების შემწეობით.

მე ავიყოლიე ერთი აქაური კობტა გოგონა და მისი დეიდაშვილი, ავიყვანე ეტლი ბალზე წასასვლელად.

გზად უნდა გაგვეარა შარლოტესთან და თან წაგვეყვანა იგი ბალზე.

ჩემმა მეინახემ წინასწარ გამაფრთხილა: – თქვენ შემთხვევა გეძლევათ ფრიად ლამაზი ქალი გაიცნოთ გზაში.

ჩვენ უკვე გადავედით გაკაფულ ეწერში და საბაზიერო სასახლეს ვუახლოვდებოდით. მისმა დეიდაშვილმა დასძინა, – იცოდეთ, გაფრთხილდით, არ შეგიყვარდეთ ის ქალი.

– როგორ თუ? – ვუთხარი მე.

– ის ქალი უკვე გათხოვილია ერთ საუცხოო კაცზე, რომელსაც მამა გარდაეცვალა უეცრად და იძულებული გახდა, საქმეების მოსაგვარებლად საჩქაროდ გამგზავრებულიყო.

ეს ამბავი გულგრილად მოვისმინე.

მზე მთის წვერზე გადმომდგარიყო, როცა ჩვენ სასახლის ალყაფის კარს მივუახლოვდით. გულშემხუთავი პაპანება იდგა ჰაერში, და ქალები შიშს გამოსთქვამდნენ შესაძლებელ ავდრის მოლოდინში. ქვიშარდულა ღრუბლები გროვდებოდნენ ცის ძგიდეებზე.

მე ვანუგეშე ჩემი თანამგზავრები, ვარწმუნებდი – ჩინებული ამინდის მცნობი ვარ-მეთქი. გულში კი არანაკლებ მეშინოდა, რომ ჩვენს ბალს ფრიად შეაფერხებდა მოსალოდნელი ავდარი.

ეტლიდან გადმოვხტი და ვთხოვე ოდნავ შეგვეცადა, ვიდრე მამზელ ლოტჰენი გამოვიდოდა.

გავიარე ეზო და მივაშურე დარბაზს. კიბე ავირბინე თუ არა, ჩემ თვალწინ გადაიშალა თვალწარმტაცი სურათი. წინა დარბაზში ექვსი, თერთმეტ-თორმეტი წლის ბავშვი გარშემოხვეოდა ერთ ახოვან, წერწეტ ქალწულს. სადა, თეთრ ტანისამოსში მორთულს ვარდისფერი ბანტები ემოსა მკლავებსა და ძუძუ-მკერდის გარშემო. ქალწული პურს უნაწილებდა ბალებს მადისა და წლოვანების მიხედვით; ყოველი მათგანი ართმევდა თავის ხვედრს და დამრიგებელს მადლობას ეუბნებოდა.

ვისაც უკვე მიეღოთ თავისი არჩივი, აივნისკენ გარბოდნენ, რათა ენახათ ეტლით მოსული უცხო სტუმრები, რომელთაც მათი ლოტჰენი უნდა წაეყვანათ.

– გთხოვთ, მომიტევოთ, – წარმოსთქვა მან, – რომ თქვენ გაგსარჯეთ აქ ამოსვლისთვის და ქალბატონებს ამდენს ვაცდევინებ. სხვადასხვა თადარიგის განაწილების დროს მე დამავიწყდა ბავშვებისთვის სამხრობის პური დამერიგებინა და ისინი სხვისი ხელით დაპურებას ჩვეულნი როდი არიან.

მე უმნიშვნელო კომპლიმენტი შევაგებე. ჩემი სული აზვავდა მისი აღნაგობის თვალმოკვრით, მისი ხმის ტონის მოსმენით და ამ წუთში საშუალება მომეცა ხელი მომეხვია, რადგან მან ოთახში შეირბინა თავის ხელთათმანებისა და მარაოს გამოსატანად.

პატარები შორიდან მიმზერდნენ. მე მივუახლოვდი ყველაზე უმცროსს მათ შორის და ყველაზე ლამაზს.

ბავშვმა უკან დაიხია. ამასობაში ლოტე ოთახიდან გამოვიდა და ბავშვს დაუძახა: „ლოუზ, ჩამოართვი ძია-ბატონს ხელი“.

ბავშვმა თამამად გამომიწოდა ხელი და მეც, მიუხედავად იმისა, რომ ცხვირ-პირი მოდუდლნული ჰქონდა, ვაკოცე პაწიას.

– ძია? ნუთუ მე ღირსი არ ვარ თქვენი ნათესაობისა? – მივმართე ლოტეს და ხელი გავუწოდე.

– ო, რატომ არა, ჩვენ აუარებელი ძიები გვყავს და მე სამწუხაროდ დამირჩებოდა, რომ თქვენ მათ შორის უკანასკნელი ალაგი გეჭიროთ, – შეუჩერებლად დაუბარა მან თავის მრწემს დაიას,

ბავშვებისთვის ყური ეგდო და როცა მამილო სეირნობიდან დაბრუნდებოდა, მისთვის სალამი დაემოწმებინა.

პატარებს სთხოვა – სოფიოს ნათქვამი ისევე გაეგონათ, როგორც მისი, და ისინიც დაჰპირდნენ – ჭკუით ვიქნებითო.

ექვსიოდე წლის ქერა გოგონამ თავი წამოჰყო და გადმოსძახა ლოტეს: – შენს მაგივრობას სოფიო როგორ გაგვიწევს, ლოტენ? ჩვენ შენ გვიყვარხარ მხოლოდ.

ორი უფროსი ვაჟი ეტლის უკან შემოჯდა და ჩემის თხოვნით ლოტემ ნება მისცა მათ, ტყეში შესვლამდის წამოგვეყოლოდნენ, მხოლოდ იმ პირობით, თუ მაგრად მოებლაუჭებოდნენ ეკიპაჟის კიდებს.

ჩვენ ნებიერად ვისხედით ეტლში და ქალები უკვე საუბრობდნენ ჟუდებსა და ტანისამოსებზე, ლოტემ მეეტლე შეაჩერა და ბავშვებს უბრძანა ჩამოსულიყვნენ.

ბავშვები ნაზად ეამბორნენ უფროს დას ხელზე და გამოეთხოვნენ.

ჩემმა მხლებელმა ქალმა ჰკითხა ლოტეს: – მე რომ წელან წიგნი გაგიგზავნეთ, გადაიკითხეთ თუ არა? – არა, ეს წიგნი არ მომეწონა, არც წინანდელი, ამიტომაც მალე უკანვე დაგიბრუნებთ.[2]

გავოცდი, როცა გავიგე, თუ რა წიგნები არ მოსწონებია მას. მის ნათქვამში ამოვიკითხე მცირედი რამ მისი ხასიათისა და განვითარებისთვის. ბევრ რამეში საერთო აზრიც აღმოგვაჩნდა.

– როცა უფრო ახალგაზრდა ვიყავი, – განაგრძო ლოტემ, – ყველაფერს რომანები მერჩია. ღმერთმაც იცის, რამდენ ნეტარებას განვიცდიდი, როცა კვირაობით კუთხეში მივჯდებოდი და გულმოდგინედ თვალს ვადევნებდი რომელიმე მისი გმირის ბედისა და სიყვარულის მოთხრობას. მე არ უარვყოფ, რომ რომანი ამჟამადაც არა მძულს... მაგრამ რაკი ახლაც იშვიათად მცალია წიგნის საკითხავად, სამაგიეროდ წიგნიც უნდა შეესაბამებოდეს ჩემს მოთხოვნილებებს. და ის ავტორია ჩემთვის ძვირფასი, რომელიც დაახლოებით ისეთ ცხოვრებას დამიხატავს თვალწინ, როგორცაა ჩემი ინტერესების სფერო, სადაც ჩემი განცდების მაგვარი რამაა აღწერილი, რაც ჩემს გულთან უფრო ახლოა, რაც ჩემს შინაგან ცხოვრებას მომაგონებს, რომელიც ყოველ შემთხვევაში სამოთხე არაა, მაგრამ მაინც ერთგვარი წყაროა ენით უთქმელი ნეტარებისა და სიხარულისა.

მე განგებ თავი შევიკავე – რათა არ გამომემჟღავნებინა ამ სიტყვების ზემოქმედება ჩემს სულიერ განწყობაზე, მაგრამ როცა ლოტემ სიტყვა ჩამომიგდო იმ ვეკფილდელი ხუცესის შესახებ,[3] მე აქ თავი ველარ შევიკავე და ჩემი აღფრთოვანება გამოვთქვი მისი გონებამახვილობის გამო. ცოტა ხანს შემდეგ ლოტე ჩემს მეინახეებს ესაუბრებოდა.

ერთმა მათგანმა დამცინავი ღიმილით გადმომხედა, მაგრამ ყურადღებაც არ მივაქციე.

საუბარი ცეკვას შეეხო.

– გნებავთ, ცოდვად ჩამომართვით ეს ვნება და მე უნდა მოგახსენოთ, ცეკვა ყველაფერს მირჩევნია ამ ქვეყანაზე, – აღიარა ლოტემ, – და როცა გულზე დარდი მომაწვება, პიანინოს მივუჯდები და რომელსამე ვალსს რომ დავუკრავ, მთელი ზაფრა იჩქითად გამივლის.

ამ საუბრის დროს ჩემი სული მის შავს თვალებში იმზირებოდა, მისი ნორჩი ლოყების აღმური და ტუჩების სიწითლე ანებივრებდა ჩემს ვნებით დათუთქულ თვალებს.

მისი ღრმა აზროვნება ჩემს გულში ჰარმონიულ თანხმობას ჰბადებდა, მაგრამ მომეტებულად მათრობდა მე მისი პირიდან ამომხდარ ბგერათა უნაზესი მუსიკალობა.

ყოველივეს ადვილად წარმოიდგენ, მეგობარო, რადგან შენ იცნობ ჩემი გულის გრძნობიერობას.

დასასრულ, ეტლიც გაჩერდა.

მთვრალივით ჩამოვხტი ეტლიდან და ისე გაბრუებული ვიყავი ლოტეს სიახლოვით, რომ მახლობელ დარბაზიდან მომავალ მუსიკის ხმას არც კი ვაქცევდი ყურადღებას.

ორივე ანდრანი და ერთიც ვინმე N.R. მოუახლოვდნენ ეტლს – მათ შორის ორი ლოტეს და ერთი ჩემი მეინახე ქალის პარტნიორები იყვნენ.

კავალრებმა თავიანთი დამები წაიყვანეს. მეც ჩემს პარტნიორს შევყევი დარბაზში.

დავიწყეთ მენუეტის ცეკვა.

მე ზედიზედ ვიცვლიდი პარტნიორ ქალებს. ლოტემ და მისმა კავალერმა ინგლისური დაიწყეს და ადვილად წარმოიდგენ, როცა მწკრივში ცეკვის დროს მან ჩვენს სიახლოვეს ჩაატარა რამდენიმე

ფიგურა, რა შთაბეჭდილება შეიქნებოდა!..

შენ უნდა ნახო მოცეკვავე ლოტე: მთელს თავის სულსა და გულს, მთელს ჰარმონიულ მიხრა-მოხრას ტანისას ამჟღავნებს იგი და ყველაფერი მის გარშემო იჩრდილება და უჩინარი ხდება ამ დროს.

ლოტე შემპირდა, მესამე ჯერზედ თქვენთან ვიცეკვებო. თანაც გულწრფელად აღიარა – გერმანულ მენუეტს უფრო მეტი სიამით ვცეკვავო. ჩემი კავალერი ცუდად ცეკვავს, – დასძინა ლოტემ, – და იმასაც ვატყობ, ველარც თქვენი დამა ცეკვავს ჩინებულად. ესაა მხოლოდ, ჩემს კავალერს უნდა სთხოვო ნება და მე თქვენს დამას დავითანხმებო.

ამის შემდეგ მე ლოტეს გავუწოდე ხელი და დავიწყეთ ცეკვა.

თავდაპირველად ჩვენ უბრალოდ ვხალისობდით, სხვადასხვა ფიგურას ვაკეთებდით. როგორის სიმკვირცხლით, როგორის გრაციით ნარნარობდა მისი მშვენიერი ნაზი სხეული! და როცა ვალსის ტემპი აჩქარდა და სფეროების რიალი ვიგრძენით, თავდაპირველად შეფერხდა ცეკვა, რადგან ეს ბევრს არ ემარჯვებოდა. ჩვენც შევჩერდით. და როცა მოხალისენი მოიქანცნენ და საცეკვაო ასპარეზი დასცალეს, ჩვენ ისევ ჩავერიეთ, და მხოლოდ ანდრანმა და მისმა პარტნიორმა ქალმა გაგვისწორეს ნაბიჯი.

მე უკვე არსებიდან გამოვედი, ჩემი სული ცას შეჰფრენდა, ეგზომ ძვირფასი არსების სიახლოვით აღტყინებული. წალიკონივით დავჰქროდით მწკრივებში და ვილჰელმ, უნდა გამოგიტყდე, ფიცი დავდე, არასოდეს მივცე ნება ჩემს სიყვარულს, რომ მან სხვა ვინმესთან იცეკვოს. ვინც ჩემს გულს უყვარს, იგი მხოლოდ ჩემთან უნდა ცეკვავდეს, მხოლოდ ჩემთან, თუნდაც ამ გზით ბოლოც რომ მომეღოს. შენ კარგად გესმის, რისი თქმაც მინდა.

მესამე ინგლისური ცეკვის დროს ჩვენ მეორე წყვილი ვიყავით.

როცა ჩვენ ორმა ცეკვით გავიარეთ მწკრივი და ერთს ხნიერ მანდილოსანს მივუახლოვდით, მან ლოტეს ღიმილით გადმოხედა, თითოთ დაემუქრა და უნებლიეთ დასცდა ბაგეთაგან: „ალბერტ“.

და ამის შემდეგ ცეკვით გაჰყვა თავის კავალერს.

– ვინ არის ალბერტ? – შევეკითხე ლოტეს, – გთხოვთ მომიტევოთ კადნიერება ამგვარი, – დავსძინე თანაც.

ის-ის იყო, ლოტე პასუხის მოცემას აპირებდა, და ამ დროს ურთიერთს უნდა გავცლოდით მერვე დიდი წრის ჩასატარებლად.

და როცა მოცეკვავეთა მწკრივში ისევე შევიყარენით, მე მის შუბლზე შევამჩნიე გულჩათხრობილი იჭვის ჩრდილის გაელვება.

– რად დაგიმალოთ, – მითხრა ხმადაბლა ლოტემ და პრომენადისთვის გამომიწოდა ხელი, – მოკლედ რომ გითხრათ – ალბერტი ჩემი დანიშნულია.

ეს ამბავი ჩემთვის არახალი იყო. მაგრამ ეს სიტყვა იმის მიმართ, რომელიც სულ რამდენიმე წუთში ასე შეიტკბო ჩემმა სულმა, მეუცხოვა იჩქითად. მოკლედ: დავიბენი, თავბრუ დამესხა, ნაბიჯი ამერია, რომელიღაც წყვილს გადავაწყდი. ამის გამო ყველაფერი აირია მოცეკვავეთა მწკრივებში და დიდი ხნის გაწამაწია დაგვჭირდა მწკრივების გამოსასწორებლად.

ცეკვა დასრულებული არ იყო, როცა ელვამ მოუხშირა, მალე გრგვინვამ და ქუხილმა დაჩრდილა მხიარული მუსიკის აკორდები. სამი ქალწული გამოაკლდა მწკრივებს, მათი კავალრებიც აირივნენ, ყველანი აჩოჩქოლდნენ.

მუსიკა დადუმდა.

ბუნებრივია, როცა უბედობა და ხიფათი სიამოვნების პროცესში თავს დაატყდება ადამიანს, ეს უფრო საგრძნობია; მით უმეტეს იმ წუთში ეს უფრო თვალსაჩინოა, როცა ჩვენი გრძნობები ვნებითა და სიტკბოებითაა აზვავებული.

ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მრავალი ქალთა შორის საოცრად დაღრეჯილიყო ამ ამბით. ერთი ქალი კუთხეში დაჯდა და ფანჯრისკენ ზურგშექცეულმა თითებით დაიგმანა ყურები.

მეორემ დაიხოქა მის წინაშე და კალთაში თავი ჩაუდო. მესამე შუაში ჩაეჩხირა და ცრემლმორეული მოეხვია თავის საყვარელ დაიკოს.

ზოგმა შინ წასვლა დააპირა.

დანარჩენები დაიბნენ და თავათ არ უწყოდნენ, რა ექნათ.

მათი მღელვარებისგან ვნებააღწეული ვაჟები თვალელებში შესცქეროდნენ გოგონებს და სალოცავად აპყრობილ თვალელებში მათთვის ხელსაყრელ და საიმედო სხივის კიანთი უნდა ამოეკითხათ.

ზოგი მათგანი კუთხე-კუთხე დაიზღაზნებოდა და ყალიონს აბოლებდა.

ამასობაში დიასახლისმა შესაფერი დარბაზი მიგვიჩინა. აქ ფანჯრები დარაბებითა და პორტიერებით დაეგმანათ.

დარბაზში რომ შევედი, ლოტე წრეში ალაგებდა სკამებს და ახალშემოსულებს ამწკრივებდა ამ სკამებზე.

– ჩვენ დათვლა უნდა ვითამაშოთ, ბატონებო, – გამოაცხადა ლოტემ, – მაშ მომისმინეთ: „მე მარჯვნიდან მარცხნივ შემოვუვლი წრეს და თქვენც ჩქარ-ჩქარა უნდა დაითვალოთ ის რიცხვი, რომელიც რომელიმე თქვენგანს მოუწევს, ვისაც კი შეეშლება იგი, უთუოდ ერთ სილას მიიღებს. მე ამასობაში წრის გარშემო ვირბენ, ვიდრე ათასამდის არ დავითვლი.

საუცხოო სანახავი იყო, ხელებგაშლილი ლოტე წრის გარშემო რომ დაგოგავდა, თანაც ითვლიდა სხაპასხუპით: ერთი, ორი სამი...

აუჩქარა ლოტემ.

ვიღაცას შეეშალა და გაისმა ტკაცანი.

ატყდა სიცილი. კიდევ შეეშალა ვიღაცას; ისევ სილაქის ტკაცანი და ისევ საერთო ხარხარი. მეც ორჯერ დავიმსახურე სილა და სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ლოტე მე უფრო დაუზოგველად გამიმასპინძლდა, ვიდრე სხვებს.

საერთო ხარხართა და ალიაქოთით დაბოლოვდა თამაში.

შემდეგ წყვილები კუთხეებში დარიგდნენ. მე დარბაზში შევყევი ლოტეს. გზაში მეუბნება: – სილამ ავდარი დაავიწყა ხალხს. ვერაფერი ვუპასუხე. ქუხილი გაისმა და საუცხოო ჟუჟუნა წვიმა დაეშვა მიწაზე. გააგრილა ქვეყანა და ჰაერი აივსო ნელსურნელებით. ლოტე ფანჯარასთან იდგა იდაყვზე დაყრდნობილი. მან გადახედა მიდამოს, ცისკენ აიხედა და მობრუნდა.

ცრემლით დანამულ თვალელებში ჩავხედე, – მან ხელი ხელზე შემახო და მეუბნება, – კლოპშტოკი. წამსვე მომაგონდა კლოპშტოკის ოდა, რომელსაც იგი გულისხმობდა ამ წუთში. ჩემს გულში მოზღვავებული გრძნობა ვერ დავაოკე, ცრემლი მომერია გრძნობის სიჭარბისაგან, ვაკოცე ხელზე და ისევ ჩავხედე თვალელებში.

ივნიის 19.

აღარც კი მახსოვს, სად შევწყვიტე ჩემი მოთხრობა. ის კი ვიცი, რომ იმ ღამეს ორ საათზე დავწეჭი და რომ შემძლებოდა ყოველივე ეს სიტყვიერად მომეთხრო შენთვის, ალბათ გათენებამდის მოვუნდებოდი ყოველივე ამის გადმოცემას.

რაც მოხდა ჩვენი შინ დაბრუნების დროს, ეს ყველაფერი არ მომიწერია შენთვის, მაგრამ სხვა დროისთვის იყოს.

მზემ დაფერა დანამული ტყე და გარშემო მწვანე წალკოტები, ჩვენი მეინახენი სთვლემდნენ.

– თქვენც ხომ არ გეძინებათ? ჩემი გულისთვის ძილი არ მოიკლოთ, – მეუბნება ლოტე.

– ვიდრე თქვენს თვალელებს შევცქერი, რა დამაძინებს, – ვუთხარი და თვალი გავუმართე. და ორივე ვფხიზლობდით მის ჭიშკართან მისვლამდის.

ჭიშკარი მსახურმა ქალმა გაგვიღო, – ლოტემ შინაურები მოიკითხა, – ყველანი კარგად არიან, ჯერ ყველას სძინავს, – იყო პასუხი.

მე დავტოვე იგი და თანაც ნება ვთხოვე იმავე დღეს ვხლებოდი. მან ნება დამართო. მეც ვინახულე ხელმეორედ, და ამის შემდეგ მე არ მენაღვლება მზისა და მთვარის ეტლების ცვალებადობა. ჩემთვის ერთია – დღეა თუ ღამე და მთელი ქვეყანა სხივთა კრთომას ჰკარგავს ჩემს თვალში.

ივნიის 21.

ისეთ ბედნიერ დღეებს ვატარებ, როგორსაც ღმერთი გამოიზოგავს ხოლმე თავის წმინდანებისთვის. დეე, მომივიდეს, რაც მოსასვლელია და არც უფლება მაქვს ვთქვა – მიწიერი სიხარული არ მიგემნია-მეთქი.

ახლა შენ ადვილად წარმოიდგენ, რა ბედნიერებაა ჩემთვის, რომ ჩემი სამყოფლიდან სულ ნახევარი საათის სავალი გზაა ლოტემდის. როგორ შემეძლო მე ეს მცოდნოდა, როცა ვალჰაიმს ჩემი სეირნობის საბოლოო სადგურად ვირჩევდი, რომ იგი ასე ახლოს ყოფილა სამოთხესთან. რამდენჯერ მინახავს საბაზიერო სასახლე სეირნობის დროს ხან გორაკიდან, ხან თვალმოკვრით გვერდს ჩავლილს, ვილჰელმ, მე ბევრი მიფიქრია ადამიანის აღმოჩენითი სურვილების შესახებ, როცა იგი აღარ ეტევა თავის ნაჭუჭში, დაძრწის გარემოში და ეძებს ახალსა და ახალს.

ხანდახან იგი შეიკუმშება.

კარჩაკეტილ ცხოვრებას ეძლევა და გარე სამყაროს ამბებიც იშვიათად აინტერესებს.

საოცარი რამეა: როცა აქ მოვედი და მთიდან ძირს გაშლილ ჭალაკებს გამოვხედე, ძლიერ მომეწონა.

მახლობლად ტყეა. ნეტავ შემეძლოს მის ჩრდილში არევა.

შორს, შორს მთის მწვერვალი მოსჩანს, – გადმოღმა ველია ველზე მოდგმული.

შემეძლოს, ნეტავ, დავიკარგო მე მათ წიაღში და გავითქვიფო.

შორეთი და მომავალი ერთმანეთსა ჰგვანან. დიდი, ბინდით მოცული სავსება მოელის ჩვენს სულს და ჩვენი სულიც ესწრაფვის ამ სავსებას მოწყურვებული. და როცა ჩვენ ვუახლოვდებით მის იდუმალ მიჯნებს და ძველი „მანდ“ „აქ“–ად შეიცვლება და ჩვენ კიდევ იმედგაცრუებული და შეზღუდული შევცქერით სივრცეებს.

ასე ეძიებს თავის სამშობლოს გზადაკარგული მოხეტიალე და როცა მობრუნდება თავის ქოხში, თავის მეუღლის მკერდთან მოისვენებს, თავის ბალებს ხილვით დასტკბება და ოჯახისთვის ზრუნვა მიანიჭებს მას იმ ნეტარებას, რომელსაც შორეულსა და უდაბურს ქვეყნებში ამაოდ ეძებდა.

როცა მე დილდილობით მზის ამოსვლის უმაღლეს ვალჰაიმში ავალ და რესტორნის ბოსტანში ცერცვის პარკებს დავაგროვებ, კოჭობს ამოვირჩევ სამზარეულოში, ჯერ კარაქს ჩავაგდებ, მერმე ცერცვს, ცეცხლთან მივდგამ მერმე ქოთანს და ჩემი ჰომეროსის კითხვას დავიწყებ.

ამ წუთში მე ცხოვლად დამიდგა თვალწინ პენელოპეს საქმროები რომ საქონელს დაჰკლავენ და მწვადების შესაწვავად ცეცხლს როგორ დაანთებენ.

უნდა გამოგიტყდე, მე ძლიერ დანატრებული ვარ პატრიარქალურ ცხოვრებას.

ჩემს სულს სიხარულით ავსებს ისეთი ადამიანის სიახლოვე, თავის ნაჭირნახულევ ბოსტნეულს რომ შინ მოიტანს და არა მარტო ნაყოფს, ყველა იმ ცისმარე დილებს, როცა მას ესა თუ ის მცენარე დაურგავს და გამოუხშირავს, გაუმარგლავს, ყველა ნაზ საღამოს, როცა მას ეს მცენარე მოურწყავს, და შესამჩნევი ზრდისთვის თვალი უდევნებია, და ყოველივე ამას ერთ წუთში განიცდის, როგორც ძვირფას ჯილდოს თავის შრომისას.

ივნიისის 29.

გუშინწინ ქალაქიდან ჩამოვიდა ექიმი ლოტეს მამასთან და მნახა მე მიწაზე მჯდომარე ლოტეს დაძმათა შორის.

ზოგი მხარზე მაჯდა, ზოგს ვულიტინებდი, ვეალერსებოდი, და საერთოდ უშველებელი ჩოჩქოლი და აურზაური იყო ამტყდარი.

ექიმი, როგორც სჩანს, ფრიად დიგმატიურად მომართული მანეკენი უნდა იყოს, მაღალ საყელოთი და თეთრი მანუეტებით მოკაზმული მანეკენი; მას არ მოეწონა ჩემი საქციელი. მისი აზრით, ეს არ შეეფერება სერიოზულ ადამიანს. ყველაფერი ეს მის ცხვირზე ამოვიკითხე.

მე მაინც ჩემი არ დამიშლია, განვაგრძე ბავშვების კარტების ხუხულის აგება, ვიდრე ბავშვებმა ხელმეორედ არ დაანგრის იგი.

მერმე ქალაქში ჭორიკანობა დაიწყო ექიმმა: მოხელის ბავშვები ისედაც გაუზრდელებია და ვერტერი უარესად აფუჭებსო მათ.

დიახ, ჩემო ვილჰელმ, ბავშვები ყველაზე ახლოს არიან ჩემს გულთან.

როცა პატარა არსებაში მომავალი ნიჭისა და ძალის ნორჩ ყლორტებს საცნაურს ვყოფ, ბავშვის სიჯიუტეში მომავალ სიმტკიცის ნიშნებსა ვსჭვრეტ და სიცელქე მიმჟღავნებს სიმალხაზესა და ჰუმორს, რომელიც ბედის ქარიშხლის გადასატანად ასე საჭიროა ადამიანისთვის, ეს სიხარულით ავსებს ჩემს გულს და ყოველთვის ვიმეორებ მე კაცთა მოდგმის ბრძენი ოსტატის სიტყვებს: „უკეთუ არ იქნებით ვითარცა ყრმანი“...

და, ჩემო კეთილო, ჩვენ ასე გვჩვევია: ქვეშევრდომებსავე ვეჭვავით იმათ, ვინც ჩვენი სწორია, უფრო მეტს გეტყვი, – ვინც ჩვენ ნიმუშად გამოგვადგება კიდევაც.

ჩვენ მოწადინებული ვართ ნებისყოფა აღვკვეთოთ ბავშვში. ჩვენ ხომ ვაფასებთ ჩვენსავე ნებისყოფას და რა შუაშია აქ უპირატესობა?

განა ის, რომ ჩვენ უფრო ხნიერები და ჭკვიანები ვართ, უპირატესობას გვაძლევს?

სათნო და საყვარელო მამაო სახიერო!

ყველა ბავშვს შენ ხედავ თვალთ, პატარებს, და მათ შორის თუ ვის ანიჭებ უპირატესობას, ეს ძემან შენმან ჩვენ გვაუწყა კიდევაც ერთხელ.

მშვიდობით, ვილჰელმ, კმარა ამ საგანზე აწ ამდენი მჭევრმეტყველება.

ივლისის 1.

რამდენ შვებას მოჰგვრის ალბათ ლოტეს სიახლოვე ავადმყოფს; ამას ნაწილობრივ ჩემი სწეული გულის მაგალითიც დაადასტურებს. ლოტე რამდენიმე დღეს დაჰყოფს ამჟამად ქალაქში ერთ ფრიად სათნო ქალთან, რომელიც ექიმების სიტყვით, სულთმობრძავი მომაკვდავია – და უკანასკნელ წუთებში ლოტეს მოგვრა უთხოვია.

გასულ კვირას მე და ლოტემ სტ...ს მღვდელი მოვინახულეთ, ეს ადგილი ქალაქიდან ერთი საათის სავალზეა, მთის ფერდობზე. ლოტემ თავისი ორი დაია თან წამოიყვანა. როცა ჩვენ, ორი უშველებელი კაკლის ხით დაჩრდილულ ეზოს მივუახლოვდით, მოხუცებულს თავისი არგანი დავიწყებოდა და წინ შემოეგება ლოტეს. ლოტემ დაასწრო მოხუცს. დასვა ისევ თავის ადგილზე, გვერდით მიუჯდა, მამის მოკითხვა და სალამი დაუმოწმა და მოეფერა მის გვერდით მჯდარ გაბურძნულ, ზღმურტილიან ბიჭუნას, მისი სიბერის სანუგეშო ნაბოლარას.

უნდა გენახა, როგორ ევლებოდა იგი თავს მოხუცებულს, ხმასაც აუწია, რომ ყრუ ხუცესს გარკვევით გაეგონა მისი სიტყვები, მოუწონა ბებერს კარლსბადში საექიმოდ წასვლის განზრახვა. არწმუნებდა, ახლა უკეთ გამოიყურებიო, ვიდრე უკანასკნელი შეხვედრის დროს.

ამასობაში მე ხუცის მეუღლეს მივესალმე.

მოხუცი ხუცესი გამხიარულდა.

მე კაკლის ხეებს თვალი შევაავლე და ხოტბა შევასხი მის ჩრდილმრავალ შტოებს.

ხუცესმა ამ კაკლის ხეების წარმოშობის ამბავი წამოიწყო.

– ის მეორე, უფრო ხნიერი კაკლის ხე ვინ დარგო, არ ვიცი. ზოგი რას ამბობს, ზოგი რას. ეს კი სწორედ ჩემი მეუღლის ხნისაა, ე.ი. ორმოცდაათი წლისა. დილით დაურგავს ჩემს სიმამრს ეს ხე და იმავე საღამოს ჩემი ცოლი დაბადებულა. ჩემი სიმამრი ჩემს მოსვლამდის ამ ეკლესიაში სწირავდა. ვერ წარმოიდგენთ თუ როგორ ჰყვარებია მას ეს კაკლის ხე!.. არც მე მიყვარს იგი მასზე ნაკლებად. ჩემი ცოლი ამ კაკლის ქვეშ ნამორზე იჯდა და ქსოვდა, როცა მე ოცდაშვიდი წლის სტუდენტმა აქ მოვალწიე პირველად.

ლოტემ მღვდლის ქალიშვილი მოიკითხა, გამოირკვა – იგი ბატონ შმიდტთან ერთად სათიბებისკენ გადასულა მუშების მისახედავად. და ხუცესმა განაგრძო თხრობა, თუ როგორ შეჰკედლებია იგი მომავალ სიმამრს, როგორ შეჰყვარებია თავისი მომავალი საცოლე. ჯერ მთავარდიაკონი გამხდარა და მერე მღვდელი. მისი მოთხრობა ჯერაც დასრულებული არ იყო, როცა ხუცის ქალიშვილი და ბატონი შმიდტი სათიბებიდან დაბრუნდნენ.

ქალწული ლოტეს მიესალმა, გაიხარა მისი ნახვით და მე უნდა ვაღიარო: ის ქალი ძლიერ მომეწონა.

მარდი, აშოლტილი, შავგვრემანი!.. სამასლაათოდ საამო ქალი.

მან გაგვაცნო თავის მიჯნური (აგრე უწოდებდა იგი ბატონ შმიდტს) – სათნო სახის მოკრძალებული მამაკაცი, რომელსაც ეტყობოდა, არ ეწადა ჩვენს ბაასში გარევა, თუმცა ლოტე დაჟინებით ცდილობდა მის ჩათრევას ჩვენს მასლაათში.

მე მას გამომეტყველებაზე შევატყვე: დანარჩენებთან გამოლაპარაკებას უშლიდა არა გონების შეზღუდულობა, არამედ სიჯიუტე და გესლიანი ჰუმორი. სამწუხაროდ, ეს სულ მალე გამოაშკარავდა.

როცა ფრედერიკამ და ლოტემ სასეირნოდ წამიყვანეს, ფრედერიკას გავესაუბრე. ბატონი შმიდტის აქამდე რკინისფერი სახე ერთბაშად გაფითრდა და ჩამობნელდა. ლოტემ იდაყვი მიბიძგა და

მანიშნა, ფრთხილად მოვპყრობოდი ფრედერიკას. მე არ მიყვარს, როცა ადამიანები და განსაკუთრებით ახალგაზრდები უკმეხობენ, ერთიმეორეს უღრენენ.

საღამოს, როცა ხუცის სახლში მოვბრუნდით და სამხრობას შევუდექით, განზრახ მივმართე საუბრის გეზი ამქვეყნიურ სიხარულისა და ურვისკენ.

ადამიანები, ვამბობდი მე, ამაოდ წუწუნებენ – ამ ცხოვრებაში ბედნიერი დღეები ცოტაა და უხეირო ბევრია-მეთქი.

ჩვენ რომ ალალ-მართალი გულის პატრონები ვიყოთ, რომელიც შეიშნობს და შეიტკბობს სიკეთეს, მაშინ შესაძლებელ გულის შეერთებას და მწუხარებას უფრო ადვილად ავიტანდით.

– კი მაგრამ, ჩვენი სულიერი განწყობა ხომ მთლად ჩვენგან არ არის დამოკიდებული, ჩვენი სხეულისგანაც ბევრია დამოკიდებული! როცა ადამიანი შეუძლოდაა, მაშინ იგი სულიერადაც შეწუხებულია, – ამბობდა ხუცის ცოლი. მე დავეთანხმე ამ შემთხვევაში მას.

– მაშინ ჩვენ ეს ავადმყოფობას უნდა მივაწეროთ, – განვაგრძე მე, – და წამალიც უნდა მოვიკითხოთ შესაფერი.

– სწორია, – შენიშნა ლოტემ, – ჩვენზედაც ბევრი ჰკიდია. ჩემს თავზე გამომიცდია, როცა ცუდ გუნებაზე დავდგები, გავალ ბაღში, რომელიმე არიას ვიმღერი ჩემთვის, ხშირად ცეკვასაც ავაცოლებ შეუმჩნევლად და მწუხარებაც უცებ გადამეყრება.

– სწორედ მეც ეგ მინდოდა მეთქვა, – ჩამოვართვი სიტყვა ლოტეს, – უგუნებობა სხვა არაფერია, თუ არა სიზარმაცის ერთი დარგი. ჩვენ უნდა შეგვწევდეს ნებისყოფა – ჩვენივე ბუნება აღვზარდოთ და დავგეშოთ.

ფრედერიკა გულდასმით გვისმენდა და შმიდტმაც ასეთი წინადადება ჩააკერა ჩვენს საუბარში: – ჩვენ ხომ არ ძალგვიძს ჩვენი ბუნების დაოკება და ჩვენი გრძნობების ეგზომად დამორჩილება?!

მე განვაგრძე.

– აქ ლაპარაკია ისეთ უსიამო გრძნობებზე, რომელთა მოშორება ყოველ ადამიანს გაუხარდებოდა.

ცხადია, ვინც დასნეულებულია, იგი ეჭიმებასაც მიაგნებს და უმწარეს წამლებს არ დაერიდება თავის ჯანმრთელობის აღსადგენად. მე შევნიშნე, მოხუცებული ხუცესიც დააინტერესა ჩვენმა საუბარმა. მის გასაგონად ხმას ავუწიე და ბერიკაცისკენ პირშექცეულმა განვაგრძე: – ყოველგან ამდენს ქადაგებენ ცოდვების წინააღმდეგ და უგუნებობის წინააღმდეგ კი მე ჯერ კრინტიც არა მსმენია არავისგან.

– ეს ქალაქის მღვდლებმა უნდა გასწიონ ასეთი ქადაგება, – ჩაერია ბერი ხუცესი საუბარში, – გლებებს უგუნებობა და ბოროტი ჰუმორი არა სჩვევიათ. თუმცა ესეთი ქადაგება ძლიერ მოუხდებოდა ჩემს ცოლსა და პატივცემულ მოხელეს.

ბერიკაცის სიტყვებმა დამსწრეთა საერთო ხარხარი გამოიწვია, თვით მოლაპარაკეს კი ისეთი ხველა აუტყდა, რომ კარგა ხანს ვდუმდით დანარჩენებიც.

ამის შემდეგ ახალგაზრდამ, შმიდტმა აიღო სიტყვა: – თქვენ გესლიან ჰუმორს ცოდვად თვლით, მე ეს გადაჭარბებულად მიმაჩნია.

– უთუოდ, – ვუპასუხე მე, – ის, რითაც ადამიანი თავის თავსა და თავის მოყვასს ავნებს, უთუოდ ღირსია ამგვარი სახელის.

ივლისის 6.

ლოტე თავის მომაკვდავ მეგობარ ქალს დასტრიალებს თავს, იგი მუდამ ერთნაირია, კეთილშობილი, სათნო არსება, რომელიც ტკივილებს აშუშებს, უბედურთ ანუგეშებს ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდება.

გუშინ საღამოს სასეირნოდ წავიდა პატარა მარიანესა და ვალხენტან ერთად. მე ეს წინასწარ ვიცოდი და შევხვდი. საათ-ნახევარი ვიარეთ, შემდეგ ქალაქში მოვედით, და მოვისვენეთ იმ წყაროსთან, რომელიც მე ეგზომ მიყვარს. ლოტე ლოდზე ჩამოჯდა.

ჩვენ მის გვერდით ვიდექით. მე გარშემო მიმოვიხედე და მოვიგონე ის დრო, როცა დამარტოებული დავდიოდი ამ მინდორში.

„ძვირფასო წყაროვ, – ვთქვი ჩემს გულში, – რამდენი ხანია შენთან არ მოვსულვარ გულნაღვლიანი. ხანდახან გზად გავლილს თუ მომიკრავს შენთვის მხოლოდ შორიდან თვალი“.

ჩავინებდე ძირს და დავინახე, ვალხენს ამოჰქონდა წყაროდან წყლით სავსე ჭიქა: მარიანე შეეგება და უნდოდა ჭიქა გამოერთმია.

– არა, – იყვირა ბავშვმა, – ლოტქენ, შენ პირველმა უნდა მოსვა ეს წყალი.

ისე აღმაფრთოვანა ამ საყვარელი ბავშვის სინაზემ და გულჩვილობამ, სხვა ვერაფრით გამოვხატე ჩემი გრძნობა, ავიყვანე ხელში პატარა და ვაკოცე, ისე მაგრად ვაკოცე, რომ ბავშვმა ტირილი მორთო.

– ოი, ოი, თქვენ ატკინეთ მას რაღაც, – წარმოსთქვა ლოტემ. ხელი მოჰკიდა ბავშვს და წყაროზე ჩაიყვანა. ბავშვი გაფაციცებით იფხაჭნიდა ლოყაზე ჩემგან ნაკოცნ ადგილს, რათა საძაგელი წვერი არ ამოსვლოდა ლოყაზე.

ლოტეც აღერსიანი მზრუნველობით შველოდა მას ლოყების ჩამობანაში.

– ვილჰელმ, უნდა გამოგიტყდე, არც ერთი ნათლობისთვის არ მიდევენებია ასე გულმოდგინედ თვალყური.

და როცა ლოტემ ბავშვი ზევით ამოიყვანა, მზად ვიყავი მას ფერხთით ჩავვარდნოდი, როგორც ვინმე წინასწარმეტყველს, რომელმაც მთელს ერს წარხოცა ცოდვები ნაკურთხი წყლით.

აღტაცება გულში აღარ დამეტია, და ეს მცირე განცდა იმავე საღამოს ერთ ჩემს ნაცნობს გავუზიარე.

ეს კაცი ძლიერ გონებამახვილი მეგონა, მაგრამ წარმოიდგინე, რომ შევმცდარვარ.

– ეს ძლიერ ცუდია ლოტეს მხრიდან, – ამბობდა იგი, – ასეთი ცრუმორწმუნეობა არ უნდა ჩაუნერგონ ბავშვებს, თორემ როცა წამოიზრდებიან, მაშინაც ირწმუნებენ ამგვარ რამეებს.

გამახსენდა, რომ ამ კაცმა ერთი კვირის წინათ ბავშვი მოანათვლინა.

ამიტომაც გავჩუმდი.

ჩემს გულში კი ეს ჭეშმარიტება უცვლელი რჩება. ჩვენ სწორედ ისევე უნდა მოვექცეთ ბავშვებს, როგორც ჩვენ გვექცევა გამჩენი; იგი ხომ ადამიანებს ბედნიერებას მაშინ აგრძნობინებს, როცა მათ გონებას ბუნდოვანი ოცნების ჟრუანტელით გააბრუებს.

ივლისის 8.

ჩვენ ვალჰაიმს წავედით. ქალები ეტლით დაწინაურდნენ. სეირნობის დროს ლოტეს თვალებზე ვფიქრობდი.

უთუოდ შლეგი ვარ, ჩემო ვილჰელმ.

შენ უნდა ნახო მისი თვალები! ეს თვალები მეღანდება დაძინებისას.

როცა ქალები ეტლში სხდებოდნენ, ეტლის გარშემო ვიდექით: ჭაბუკი ვ. ზელშტატი, აუდრანი და მე. ქალები მხიარულ ჭაბუკებს ებაასებოდნენ. მე ლოტეს თვალებს ვეძებდი. აჰ, მისი თვალები ხან ერთს უმზერდნენ, ხან მეორეს. მაგრამ მე არ მაღირსა მან შემოხედვა, მე, რომელიც ეგზომ ნაღვლიანი მის წინაშე ვიდექი. აჰ, ჩემმა გულმა ათასკეცი მშვიდობით გააცილა იგი!..

ეტლი გაქანდა და ჩემს წამწამებს მოაწვა ცრემლი.

თვალი გავაყოლე, ლოტეს თავშალს შევასწარი თვალი და მან მოიხედა. ნეტავ მე თუ მომხედა?

ძვირფასო! მე კი ჯერაც არ ვიცი დანამდვილებით: მე თუ სხვას? მაგრამ ვინ იცის, ეგებ მე მომხედა.

ეგებ!

ეგებ?

აჰ, რა ბავშობაა!

ღამე მშვიდობისა, ვილჰელმ!

ივლისის 10.

ვერ წარმოიდგენ, რა უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები, როცა საზოგადოებაში მასზე დაიწყებენ ლაპარაკს. ხშირად მეკითხებიან კიდევაც, თუ როგორ მომწონს მე ლოტე? ეს სიტყვა მწივანა გველივით მძაგს. ვის მოეწონება ლოტე ისე, რომ მთელი მისი გრძნობები, მისი სული არ შეიპყრას და არ დაატყვევოს.

მოწონება!

ვილაცამ ამას წინათ ისიც მკითხა: ოსიანი როგორ მოგწონსო!

ივლისის 11.

ქალბატონი მ... ძლიერ ცუდი არსებაა, მაგრამ ლოტეს ხათრით ვითმენ ამ ქალის სიახლოვეს.

დღეს ლოტემ საოცარი ამბავი გადმომცა.

ივლისის 11.

მოხუცი მ... ფრიად ძუნწი და საძაგელი კაცია, რომელიც წლების განმავლობაში აწვალებდა თავის ცოლს.

რამდენიმე კვირის წინათ, როცა ექიმებმა იმედი დასწურეს მისი ცოლის გადარჩენისთვის, ცოლმა ქმარი იხმო, ლოტეს თანდასწრებით გამოელაპარაკა: მე სიკვდილის წინ ერთ რამეში უნდა გამოგიტყდე, ჩემი სიკვდილის შემდეგ ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად.

მე ოცდაათი წლის განმავლობაში როგორც შემეძლო, ხელმომჭირნედ ვაწარმოებდი ოჯახურ საქმეებს. შენ უნდა მაპატიო, რომ ამ ხნის განმავლობაში მე გატყუებდი. ჩემი მოყვანის პირველ კვირას შენ გამიჩინე 7 გულდენი კვირაში, ამ ფულით მე უნდა გავძლოლოდი ოჯახის გამოკვების საქმეს.

ეს ფული არ კმაროდა, მაგრამ არაფერი გითხარი. რაც მაკლდებოდა, იმას საოჯახო სალაროდან ვიღებდი შენდა უკითხავად. მე ეს ფული არ გამიფანტავს, ისევ ოჯახს მოვახმარე.

ახლა ეს იმისთვის გაგიმხილე, რომ ჩემს მოადგილეს საქმე არ გაუჭირო იმის მტკიცებით, რომ პირველი ცოლი კვირაში 7 გულდენს კმარობდაო...

მე და ლოტემ ბევრი ვილაპარაკეთ ამის შემდეგ ადამიანის აზროვნების საოცრად აღრევისთვის...

ივლისის 13.

არა, თავს არ ვიტყუებ.

მე მის თვალბში ნათლად ვკითხულობ: იგი ჩემი ბედით დია დაინტერესებულია.

ვიცი, გული არ მატყუებს, თუმცა არ ვიცი, სახიერო, როგორ გავბედო ამ სიტყვის წარმოთქმა?

მე ვუყვარვარ მას?

ვუყვარვარ?

შენ გაიგებ ამას: მე შემიყვარდა ჩემივე თავი, მე ვაღმერთებ ჩემს თავს მას შემდეგ, რაც დავრწმუნდი, რომ მას ვუყვარვარ.

კადნიერებაა ეს თუ ნამდვილი განწყობის გრძნობა?

მე არ მეგულება ისეთი ადამიანი, რომლისაც მეშინოდეს ლოტეს თვალში.

მაგრამ როცა იგი თავის დანიშნულზე სიტყვას ჩამოაგდებს, ისე გულთბილად, ისე ნაზად იხსენიებს მას, მაშინ მე ისეთივე გრძნობა მეუფლება, როგორიც უნდა ჰქონდეს ალბათ ღირსებაანდილს, იარაღაყრილ რაინდს.

ივლისის 16.

აჰ, ელვის სისწრაფით დამივლის ჟრუანტელი, როცა ჩემი თითი უცაბედად მისას გაეკარება ან მაგიდის ქვეშ ჩვენი ფეხები ერთიმეორეს შეხვდებიან.

მე უკან ვიხევ, ცეცხლში დამწვარივით, მაგრამ იდუმალი ძალა წინ გამწევს – ამ წუთში თავბრუ მეხვევა.

ო, მისი უბიწო და სათნო სული ვერც კი იგებს, თუ როგორ მახელებს მე ამგვარი წვრილმანი.

როცა იგი საუბრის დროს ხელს ხელზე მომადებს, და ჩემკენ მოიწევს ისე ახლოს, რომ მისი ფშვინვა ჩემს ბაგემდე აღწევს, მე ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს უფსკრულში ვიძირებიო. და როცა მე ხანდახან გავკადნიერდები... რომ ეს ნდობა, ეს გულუბრყვილობა...

ვილჰელმ, შენ გესმის ალბათ, რაც მინდა გითხრა.

არა, ჩემი გული ასე გარეწარიც არ არის.

სირცხვილი!

სირცხვილი!

იგი წმინდანად მყავს მიჩნეული.

ყოველივე გულარძნილობა მიუყრდნობა მის სიახლოვეს.

ცნობიერებას ვკარგავ მის ახლოს.

იგი როიალზე უკრავს ერთ საუცხოო მელოდიას.

ანგელოზის დარად უკრავს იგი ამ სიმღერას. მისი საყვარელი ჰიმნია.

ჩემი სული იხიბლება წამსვე, როგორც კი პირველ აკორდებს აიღებს ლოტე და ყოველი ლეგენდა მუსიკის ჯადოსნური ძალის შესახებ საცნაური ხდება ჩემთვის, როცა ეს უბრალო მოტივი ასე მოაჯადოებს ჩემს სულს. ხანდახან სწორედ ისეთ დროს დაუკრავს, როცა მე დარდისგან გულგასენილი ყოველ წუთში მზადა ვარ ტყვია მივუშვირო ჩემსავე შუბლს. ჩემი სულის სიბნელე და იჭვის მატლი ჰქრებიან წამში და მეც თამამად ამოვისუნთქავ ხოლმე ასეთ შემთხვევაში.

ივლისის 18.

ვილჰელმ, რა ბედენაა ეს ქვეყანა უსიყვარულოდ... იგივეა, რაც ჯადოსნური ლიფლიფა[4] უსინათლოდ.

სინათლის ჩასვლა ამ ლიფლიფაში და წამსვე აირევიან ნაირ-ნაირი ხატებანი შენს თეთრ კედელზე.

და იგი უბრალო მოჩვენების მეტი სხვა არა იყოს რა, ხომ ესეც ბედნიერებაა, რომ ჩვენ უმწიფარ ჭაბუკებივით დავდგებით მის წინაშე, წამიერად აღტაცებულნი ამ ჭრელფეროვან სანახაობით.

დღეს ლოტესთან ვერ წავედი. მიუცილებლად უნდა მენახა ერთი კაცი.

მსახური გავგზავნე ლოტესთან, რათა დღის განმავლობაში ახლოს მყოლოდა ისეთი, რომელიც მის სიახლოვეს იყო დღეს.

მოუთმენლად მოველოდი მის დაბრუნებას.

სირცხვილი, რომ არ მეკრძალვოდეს, მე მას ვაკოცებდი.

ალბათ შენც გსმენია ბონონიური ქვის შესახებ. თურმე ამ ქვას მზვარეში დასდებენ, მზის სხივებს იტაცებს და ამ მოტაცებულ სხივებს ღამითაც ავრცელებს.

ასეთი რამ შეემთხვა ამ ვაჟსაც.

იმის შეგნება, რომ რამდენიმე საათის წინ ლოტეს მზერა, ლოტეს თვალები მის ქურთუკს, მის სახეს, მის სახელოს მოხვდებოდა, ალბათ, ამ მსახურს რაღაც სიძვირფასის შარავანდედით მოსავდა ჩემს თვალში.

მე დამამწუხრა მისმა სიახლოვემ.

ვილჰელმ, ეს წამიერი შვებაც ხომ მოჩვენება არ არის?

ივლისის 19.

დღეს მას ვნახავ.

შევცქერი მზეს, სიხარულით მევსება გული, როცა ჩემს თავს ვამხნევებ: დღეს ლოტეს ვნახავ.

სხვა სურვილი არა მაქვს მე დღეს.

მისი სიახლოვე – ეს ყოვლის შემცველი სურვილია.

ივლისის 20.

შენი აზრი არ მიჯდება ჭკუაში, მე უნდა გავყვე ელჩს ...-ს.

მართალი გითხრა, არ შემეძლია სხვისი ხელქვეითობა. გარდა ამისა, ეს ელჩი ყოვლად საძაგელი კაცია. როგორც ვიცი, დედაჩემს ძლიერ უნდა აქტიური ადამიანი გამხადოს (როგორც ეს შენი სიტყვებიდან სჩანს.) განა მე საკმაოდ აქტიური არა ვარ, თუ გინდ ამჟამად?

არსებითად ხომ სულერთია: კაცი ცერცვის მარცვალს ითვლის თუ მუხუდოსას?

ამქვეყნიური ზრუნვა და ჭაპანწყვეტა ბოლოს და ბოლოს არამზადობისკენაა მიქცეული.

ხომ დამეთანხმები: უცილოდ შლეგია იგი, ვინც სხვისი გულისთვის ფულსა და პატივს

გამოეკიდება, მაშინ როცა მას პირადად არც ერთისთვის სცხელა და არც მეორისთვის.

ივლისის 24.

ვიცი, შენ გულგრილად არ ექცევი ჩემს მხატვრულ უნარს. უნდა გამოგიტყდე, დიდი ხანია, არაფერი გამიკეთებია ამ მხრივ.

ასე ბედნიერი აროდეს ვყოფილვარ. ასე არასოდეს მიგრძნია ბუნების მაჯისცემა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩემი ფანტაზია თითქოს დაჩლუნგდა და დაიშალა.

ყოველივე დაიფუშა, დაირღვა... ჩემი თვალი კონტურებსაც ვერ ერევა.

ხანდახან მგონია: თიხა ან სანთელი რომ მქონდეს, ძერწვას მაინც შევძლებდი.

სამჯერ დავიწყე ლოტეს პორტრეტი და სამჯერვე ყალბი ხაზები შევნიშნე. ეს მით უმეტეს საწყენი იყო ჩემთვის, რომ რამდენიმე კვირის წინათ ყალბი მარჯვედ მომყვებოდა ხელში.

ამის შემდეგ მისი სილუეტი დავხატე და ამით მოვიოხე გული.

ივლისის 25.

ჰო, ჩემო ძვირფასო ლოტე, მე ყველაფერს გაგიკეთებ, ყველაფერს. მეტი დამავალეთ და რაც შეიძლება ხშირ-ხშირად.

მხოლოდ ერთ რამესა გთხოვთ: თქვენგან გამონაგზავნ ბარათებს ქვიშას ნუ მოაყრით მელნის გასაშრობად.

დღეს თქვენი ბარათი ტუჩთან რომ მივიტანე, ქვიშა აკნაწუნდა ჩემს პირში.

ივლისის 26.

ხანდახან გადავწყვეტ: არ ვინახულო ასე ხშირად ლოტე.

გული მაინც შემაცდენს ხოლმე.

მაინც აღთქმასა ვდებ: ხვალ არ წავიდე მასთან.

ხვალეც გათენდება, ახლა რაიმეს მოვიმიზეზებ და უკვე მასთან ვარ.

ასეთ შემთხვევაში ლოტე მეუბნება წინა დღეს: თქვენ ხომ გამოივლით ხვალ? და ერთი მითხარით, ვის ძალუძს ასეთ შემთხვევაში არმოსვლა?

ან არა და რაიმეს დამავალებს – და მე შევპირდები: პასუხს მევე გაახლებ-მეთქი.

ის დღე შემთხვევით კარგი გამოერევა – დიდს ვალჭაიმში ავდივარ და იქიდან ლოტეს სახლამდის ნახევარი საათის გზაა.

თვალი დახამხამდება და... მეც მასთან გავჩნდები.

ბებიაჩემის ზღაპარი მაგონდება, მაგნიტის მთის ზღაპარი.

როცა გემები მოუახლოვდებოდნენ თურმე ამ მაგნიტის მთას, ლურსმნები და სხვა რკინის საჭურველი მეზღვაურებს ხელიდან დაუსხლტებოდნენ და მაგნიტის მთისკენ გაფრინდებოდნენ და საცოდავი მეზღვაურები ცარიელ ფიცრებზე გაირიყებოდნენ ხოლმე ზღვაში.

ივლისის 30.

ალბერტი ჩამოვიდა.

ლოტესას უნდა წავიდე.

და იყოს იგი თუნდ უკეთილშობილესი, ფრიად სრულყოფილი ადამიანიც, მე შემშურდებოდა მაინც ამდენ სრულყოფათა მფლობელის ბედი.

მაგრამ, ვილჰელმ, ამდენი მჭევრმეტყველება რის მაქნისია.

საქმრო ჩამოვიდა.

ძვირფასი, ღირსეული ადამიანია ალბერტი. მას უთუოდ წინდახედულად უნდა მოვექცე.

ჩემი ბედი, რომ ლოტესა და მის შეხვედრას არ შევსწრებივარ. ჩემი გული უთუოდ განადგურდებოდა ამ სურათის დანახვაზე. იგი ძლიერ რიგიანი ადამიანია, ჩემი თანდასწრებით ერთხელაც არ უკოცნია ლოტესთვის.

ღმერთმა მიუზღოს სამაგიერო, იგი ძლიერ ანებივრებს ლოტეს.

თუმცა მე გუმანი მაქვს აღებული, ამ შემთხვევაში უმთავრესად ლოტეს თავაზიანობას უდევს წილი.

ქალები ძლიერ სათუთად იქცევიან ასეთ შემთხვევაში. როცა ისინი ორ თაყვანისმცემელს შორის მოექცევიან, მუდამ იმის ცდაში არიან – მეტოქეთა შორის ჰარმონიული დამოკიდებულება დაამყარონ.

უთუოდ აღსანიშნავია ალბერტის დინჯი გულგრილობაც.

ამისდა მიუხედავად, იგი ფრიად მგრძობიარე ადამიანი უნდა იყოს და აფასებს თავის ძვირფას საუნჯეს – ლოტეს.

ალბერტს არა სჩვევია ის უჟმური უგუნებობა, რომელიც მე ასე მძაგს ადამიანში.

ალბერტი ანგარიშს უწევს ჩემში ზედმეტ გრძობიერებას. სჩანს, ჩემი გულთბილი დამოკიდებულება ლოტესადმი ალბერტს უკვე შენიშნული აქვს.

და ეს ყველაფერი აორკეცებს მხოლოდ მის უსაზღვრო სიყვარულს საცოლისადმი.

ნეტავ, იჭვის იოტი თუ ღრღნის ხანდახან ალბერტის გულს? მაგრამ ამას მე არ მინდა ახლა შევეხო. გამოგიტყდები, მის ადგილზე მე არც ისე სავსებით უზრუნველყოფილად ვიგრძობდი თავს, თუმცა ეს მან იცოდეს, როგორც თავად ერჩიოს.

ერთი რამ უეჭველია ჩემთვის: ნელ-ნელა ინისლება ჩემთვის ლოტეს ახლო ხილვის სიხარული და ბედნიერება.

არ ვიცი, გონების დაბინდება ვუწოდო ამას, თუ სიშლეგე?

რა საჭიროა აქ საგნების დასახელება?!

მე ალბერტის მოსვლამდისაც ჩინებულად ვიცოდი იგივე, რაც ახლა ვიცი. კარგად ვიცოდი, რომ არავითარ პრეტენზიას არ განვაცხადებდი ამ ქალზე.

პრეტენზიები არც ახლა მაქვს, მაგრამ შლეგი ახლა ნათლად ხედავს შედეგებს: – მოვიდა სხვა და მისი მიჯნური ეცლება ხელიდან – ბასტა!

კბილებს ვაკაწკაწებ და ჩემსავე უბედობას ყბად ვიღებ.

მაგრამ სამკეცი დაცინვა იქნება ჩემთვის იმის თქმა, ესაო და შევურიგდი ყველაფერ ამას, რადგან სხვა გამოსავალი არ არის.

შეშლილივით დავხეტილობ ტყე-ღრეში და ლოტესთან რომ მოვალწევ – ვხედავ, ალბერტი და ლოტე მწვანე ტალავერს ქვეშ სხედან და მე ვიწყებ მაშინ ჯამბაზურად მანჭვას, სისულელეებს ვროშავ ათასნაირს.

– ღვთის გულისათვის, – მეუბნებოდა დღეს ლოტე, – გთხოვთ არ გაიმეოროთ ისეთი სცენა, როგორიც გუშინწინ... თქვენ შეუწყნარებელი ხართ, როცა ზომაზე მეტად გამხიარულდებით.

ჩვენ შორის დარჩეს ოღონდ, ვილჰელმ, და მე განზრახ შევურჩევ ხოლმე ისეთ დროს, როცა ალბერტს არა სცალია, წამწამების დახამხამებაზე ლოტესთან გავჩნდები ხოლმე და უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, როცა ამგვარად დავიმართოხლებ ლოტეს.

აგვისტოს 8.

ძვირფასო ვილჰელმ!

იცოდე, შენ არ მყავხარ სახეში, როცა იმგვარ ადამიანებს ვაძაგებ, რომელნიც მიუცილებელ ბედისწერასთან დაპირისპირებულ ადამიანისაგან ერთგულებას მოითხოვენ.

მე სრულიადაც არ მიფიქრია იმაზე, რომ შენ ამ შემთხვევაში ანალოგიურად ფიქრობ. არსებითად შენ მართალი ხარ.

მხოლოდ ერთი რამ უეჭველია, ჩემო კარგო: ამქვეყნად იშვიათად ნახავ ისეთ ადამიანს, რომელსაც – ან ჰო, ან არა ჰქონდეს ლოზუნგად. გრძობები და საქციელები მრავალფეროვან ვარიაციებში გვხვდებიან, როგორც განსხვავებანი თუნდაც კებიან ცხვირსა და ჩაჭყლეთილ ცხვირს შორის.

შენ არ გამქირდავ, თუ გამოგიტყდები, რომ ყოველივე ნათქვამის მიუხედავად სხვა გეზი უნდა ავირჩიო – გეზი, „ან ჰო, ან არას“ შორის ნაგულისხმევი.

ან როგორ შეგიძლია შენ მოსთხოვო დასნეულებულ, დაუძღურებულ ადამიანს, რომელსაც ავადმყოფობა ნელ-ნელა ღრღნის და სიცოცხლეს უმოკლებს, რომ მან ერთი ხელის დაკვრით მახვილი ჩაიციეს მკერდში? განა საშინელი სენი, რომელიც მის ჯანმრთელობას ანადგურებს, ნებისყოფასაც არ ართმევს სხეულს?

შენ აქ შეგიძლია ასეთი იგავითაც მიპასუხო ჩემს ნათქვამზე: რომელი შლეგი არ დასთანხმდება ერთბაშად მოაკვეთინოს სახადით შეპყრობილი მარჯვენა, ვიდრე ყოყმანით უცადოს მთელი სხეულის დაავადებას?

ეჰ, ვილჰელმ, ხანდახან მეც მომივლის ჟინი: ერთბაშად დავუსხლტე ხელიდან ბედისწერას, მაგრამ რომ არ ვიცი, სად წავიდე, სად გავიქცე?

საღამოს.

ეს რამდენიმე დღეა, ხელი ავიღე ჩემს დღიურზე.

დღეს ისევ მომაგონდა იგი და გავოცდი, როგორ დეტალურად ჩამიწერია ყოველივე.

როგორი ბავშვური უბრალოება!

ყოველი ჩემი საქციელი ნათლად შემინიშნავს და შემიგნია. ახლაც ყოველივე ნათელია ჩემთვის, მაგრამ ჩემი მდგომარეობა ამ გზით არამც და არამც არ შემსუბუქებულა.

აგვისტოს 10.

მე რომ შლეგი არ ვიყო, ჩინებულად მოვაწყობდი ჩემს ცხოვრებას.

იშვიათად მოხდება ადამიანში ეგზომ კეთილი ელემენტების შეხამება, როგორსაც მე ვხედავ ჩემს არსებაში.

ცხადია, ჩვენივე გულია ჩვენი ბედნიერების ფუძე და ზედსაყრდენი.

როგორი ბედნიერება იქნებოდა ასეთი ძვირფასი, თავაზიანი ოჯახის წევრობა!

მოხუცებულ მამას ოჯახისას შვილად მიაჩნდე, პატარებს მამასავით უყვარდე და უყვარდე ლოტეს...

ალბერტი თავისი თვინიერი ბუნების წყალობით ოდნავაც არ არღვევს ჩემი ბედნიერების იდილიას.

ალბერტი მეგობრულ თავაზიანობას მაგებებს მუდამ, ლოტეს შემდეგ მე უძვირფასესი ადამიანი ვარ მისთვის.

ვილჰელმ, იცოდე, გაგიხარდება, ყური რომ დაუგდო, როგორის სიამით ვსაუბრობთ ხოლმე ჩვენ სეირნობის დროს ლოტეზე.

ქვეყანას ალბათ ამაზე სასაცილო დამოკიდებულება არ ზმანებია. მიუხედავად ამისა, მე ხშირად ცრემლსა მგვრის ეს ამბები.

ალბერტმა მიაშობ. როცა ლოტეს დედა კვდებოდა, ოჯახი და ბავშვები ლოტეს ჩააბარა და მისივე სურვილი ყოფილა თურმე ალბერტს გაჰყოლოდა ცოლად.

ამის შემდეგ სულ სხვა სული დაუფლებია ლოტეს. ახალგაზრდა ქალწულს დედის ალერსმა ნამდვილი ოჯახის დედის სული ჩაჰბერა. იგი ყოველ წუთში ოჯახისთვის იღვწის და ზრუნავს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქალწულური სიანცე და ხალისიანობა არ დაუკარგავს.

მე ყურს ვუგდებ ალბერტის საუბარს, ვწყვეტ გზადაგზა ფერად ყვავილებს, უჩუმრად ვუთხზავ ლოტეს მშვენიერ გვირგვინს ველის ყვავილებისას, ვისვრი მახლობელ მდინარეში და ნაღვლიანად გავსცქერი ტალღებისაგან მოტაცებულ კონას.

არ მახსოვს, მე შენ მოგწერე თუ არა, რომ ალბერტი აქ სამთავროში რჩება ახალ თანამდებობაზე, საკმაოდ კარგი ჯამაგირით. ამისთანა მუყაითსა და ბეჯით მოხელეს იშვიათად შევხვედრივარ მეორეს.

აგვისტოს 13.

უეჭველია, ალბერტი ჩინებული ადამიანია.

მაგრამ გუშინ საოცარი სცენა მოხდა ჩვენ შორის.

მე ვინახულე იგი გამოსათხოვრად; მთებში მინდოდა ცხენით წასვლა (საიდანაც ამ ბარათს გწერ).

როცა ვუცდიდი ოთახში, კედელზე თვალი ვჰკიდე მის დამბაჩებს.

– მათხოვით თქვენი დამბაჩები სამგზავროდ, – ვეუბნები ალბერტს.

– ინებე, მისი დატენვა თუ არ გეზარება. იგი მხოლოდ ფორმისთვის ჰკიდია აქ.

მე ჩამოვიღე დამბაჩა.

– მას შემდეგ, რაც ჩემის გაუფრთხილებლობით ხიფათს გადამიკიდა ამ დამბაჩამ, – განაგრძო ალბერტმა, – შემძულდა იგი.

მე დავინტერესდი ამ ამბით: ალბერტმა მიაშობო: „რამდენიმე თვეს ერთ მეგობართან ვცხოვრობდი სოფლად.

სასთუმალს ქვეშ დატენილი დამბაჩა მედო და ასე მეძინა ღამით.

ერთხელ საოცარი აზრი ამეკვიატა: ჩვენ უთუოდ ყაჩაღები დაგვეცემიან-მეთქი, ვფიქრობდი.

ვინმე მსახური და ვუბრძანე, დამბაჩა გაეწმინდა და დაეტენა ისევ.

მსახურს გზაში მოსამსახურე გოგო შეხვედროდა, შესაშინებლად დამბაჩა მოუღერია, ჩახმახისთვის გამოეწია, სავსებით დარწმუნებულს, რომ დამბაჩა ცარიელი იყო, ერთბაშად დამბაჩამ იგრიალა და ტყვიამ ცერი მოსწყვიტა ქალს.

ამ ამბავმა ძლიერ შემაწუნა და გარდა ამისა, იძულებული გავხდი საექიმო ხარჯი მეზღო დაზარალებულ მხარისათვის. ამის შემდეგ მე სასროლს დატენილს არ შევინახავ სახლში.

ეჰ, მეგობარო, სიფრთხილე კარგი საქონელია. ხიფათისაგან ვის უსწავლია ჭკუა საბოლოოდ!“

ვუსმენდი ალბერტს, თანაც რაღაც ფიქრებმა გამიტაცეს. ამასობაში დამბაჩის ლულა მარჯვენა თვალის ზემოთ შუბლზე მივიდე.

– ფუი, რას შვრები?! – წამოიძახა ალბერტმა და დამბაჩა ძირს ჩამომალებინა.

– დამბაჩა ცარიელია და ესეც არ იყოს, მერმე რა... – ვეუბნები.

– მე ვერ წარმომიდგენია ისეთი შლეგი, საკუთარი ხელით რომ თავი მოიკლას, – შენიშნა ალბერტმა...

უბრალო ფიქრიც ამგვარ რამეზე უნებლიედ მეუცხოება კიდევ.

საოცარია სწორედ, ეს რომ გვჩვევია ადამიანებს რაიმე საქციელის განსჯის დროს: ეს სისულელეა, ეს გონიერია, ეს კარგია, ეს ცუდია. და რას ნიშნავს ყოველივე ეს? მე თქვენ გეკითხებით. გამოიძიეთ და გამოიკვლიეთ წინასწარ ამა თუ იმ საქციელის მიზეზი? გამოარკვიეთ თუ არა – რა და რა პირობებში მომწიფდა მისი ატმოსფერო?

ყველაფერი ეს თუ ჩაიდინეთ, მაშინ სულმოსწრაფებულ დასკვნებსაც არ გამოიტანდით.

ვუპასუხე ალბერტს.

შენ დამეთანხმები, ჩემო კარგო, რომ ზოგიერთი საქციელი ყოველ შემთხვევაში დასაძრახისია დამოუკიდებლად იმისა, რა მიზეზითაც უნდა იყოს იგი წარმოშობილი.

მე მხრები ავიჩიჩე და დავეთანხმე. მაგრამ, ძვირფასო ჩემო, განვაგრძე მე, აქაც მრავალია გამონაკლისი: ქურდობა ხომ დასაგმობია, მაგრამ ის კაცი, რომელიც თავისი ოჯახის შიმშილით სიკვდილისაგან დასახსნელად მოიპარავს, დასჯის ღირსია თუ შებრალებსა?

ან ვინ აღიღებს მახვილს იმ ქმრის წინააღმდეგ, რომელმაც თავისი მეძავი ცოლი და მისი კურო სიცოცხლეს გამოასალმა?

ან იმ ქალწულს ვინ გაიმეტებს დასასჯელად, სიყვარულის ნეტარებას რომ ეძლევა უკანონო გზებით?

თვითონ ჩვენი ცივისსხლა მსაჯულებიც ღმობიერნი ხდებიან ასეთ შემთხვევაში და სასჯელს არ ავრცელებენ სამართალში ბრალდებულზე.

– ეს სულ სხვა რამეა, მიპასუხა ალბერტმა, – ვნებისაგან შეპყრობილი ადამიანი გონიერებას ჰკარგავს ხშირად და ასეთ წუთებში იგი უთანაბრდება შემლილს.

– თქვე დარბაისელნო, – მივაძახე ალბერტს ღიმილით.

ვნება, თრობა და სიგიჟე; თქვენ ასე გულგრილად შესცქერით ყოველივე ამას, – ზნეობის დარაჯნო.

თქვენ ლოთსა ჰგმობთ, შეშლილიც გძაგთ და გვერდს უხვევთ ტანჯულ მოყვასს, როგორც საღვთო წერილის მღვდელთაგანი ერთი და ღმერთს მადლობას სწირავთ, მსგავსად ცნობილი ფარისევლისა, რომ თქვენც უფალს არ შეუქმნიხართ როგორც ერთი ვინმე მათგანი.

მე არაერთხელ განმიცდია თრობა, და ვნება ჩემი არასოდეს დაშორდება დიდ მანძილზე ნამდვილ სიგიჟეს და არც ერთს მათგანს არ ვინანიებ.

და მე ისიც არ გამპარვია მხედველობიდან, რომ ყოველი რჩეული, რომელსაც რაიმე დიადი და თვალსაჩინო რამ შეუქმნია, დასაბამიდან იქმნა გაკიცხულ, როგორც ლოთი, თუნდაც შეშლილი.

ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ხომ გვესმის, როცა ადამიანი მოულოდნელად კეთილშობილ, გაბედულ საქმისათვის დაიწყებს მზადებას, ამ დროს თავს დასჩხავიან: დამთვრალა, გაგიჟებულაო.

გრცხვენოდეთ, ფხიზელნო!

გრცხვენოდეთ, ბრძენნო!

– შენ უგუნებოდა ხარ, – საერთოდ გადაჭარბება გჩვევია ამ შემთხვევაში. მაინც უთუოდ სცდები, თვითმკვლელობას ასეთ დიდ საქმეებს რომ უპირდაპირებ.

მაშინ, როცა თვითმკვლელობა მხოლოდ სიძაბუნეა.

უეჭველია, თვითმკვლელობა უფრო ადვილია, ვიდრე ცხოვრების მძიმე ჭაპანის თრევა, – მეუბნება ალბერტი.

არაფერი ისე არ მაბრაზებს, როგორც ის, როცა ჩემს გულწრფელ სიტყვებს არაფრის მთქმელ შაბლონურ აზრებს დაუპირდაპირებენ, ამიტომაც საუბრის შეწყვეტა დავაპირე.

მაგრამ თავი შევიკავე და მივაძახე: – შენ ამას სიძაბუნეს ეძახი?

მე შენ გთხოვ საგანს ღრმად ჩაუკვირდე და ისე ილაპარაკო.

ტირანიის მიერ შებოჭილი ხალხი, ბორკილებს რომ წყვეტს და აზვავდება, ამას შენ სილაჩრეს ხომ არ ეძახი?

ანდა ცეცხლმოკიდებულ სახლში კაცი რომ შევარდება და ისეთ მძიმე ნივთებს გადაათრევს, რომელთაც ჩვეულებრივი განწყობის დროს ადგილიდანაც ვერ დასძრავდა, ესეც სისუსტეა?

ან როცა კაცი შეურაცხყოფისაგან გაცოფდება და ექვს კაცს მოერევა, ესეც?..

ჩემო კარგო, თუ მოწადინება სიძლიერეა, გადაჭარბება რად უნდა იყოს სისუსტე?

ალბერტმა მომისმინა, შემომხედა და მითხრა, – ნუ გამიწყობი და შენი მაგალითები აქ არაფერი მოსატანია.

– მართალია, – მივუგე მე, – ჩემთვის არაერთხელ უსაყვედურებიათ: ტენდენციური ანალოგიებით გჩვევიაო მსჯელობა. მაინც ვეცდები სხვაგვარად გავაშუქო იმ კაცის სულიერი განწყობა, რომელსაც ცხოვრების ჭაპანის ჩამოცილება გადაუწყვეტია.

ადამიანის ბუნებას, – განვაგრძე მე, – განსაზღვრულ მიჯნამდის თუ ძალუძს როგორც სიხარულის, ისე ტკივილისა თუ ტანჯვის გადატანა; როცა იგი ამ მიჯნას გადასცდება, უთუოდ დაიღუპება.

აქ საქმე ის კი არაა, ესა თუ ის კაცი სუსტია ან ძლიერი!! არამედ იგი გადასცილდა თუ არა ამ დათქმულ მიჯნას ტანჯვასა ან სიხარულში (სულერთია, ფიზიკურია იგი თუ ზნეობრივი)!

მე მგონია, როცა საკუთარი ნებით კაცი თავს იკლავს, მას რომ მშობარა ვუწოდოთ, ისევე საოცარი იქნებოდა, როგორც ციებისაგან მიცვალებულს რომ მშობარა დავარქვათ.

– პარადოქსულია, ფრიად პარადოქსული!

წამოიძახა ალბერტმა.

– არც ისე, როგორც შენ გგონია! – ვუპასუხე.

შენ ხომ დამეთანხმები: არსებობს აკი ერთგვარი მომაკვდინებელი სენი, რომელიც ისე აუძლოურებს სხეულს და ღრღნის მასში დაგროვილ სასიცოცხლო ძალებს და იავარწყოფს ორგანიზმს, რომ ვერავითარი უეცარი რევოლუცია ვერ აღადგენს სახსრების ნორმალურ მუშაობას.

მაშ, ახლა ყველაფერი ეს, რაც სხეულზე ითქვა, სულზედაც გავავრცელოთ. გაითვალისწინე,

ადამიანი, ყოველის მხრით შეზღუდულ შესაძლებლობათა პატრონი, ყოველი შთაბეჭდილება მასზე ზეგავლენას ახდენს, იდეები მჭიდროდ ფესვდებიან მასში, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს მოზღვავებული გრძნობა ნორმალურ გრძნობიერებას აუშლის და გაანადგურებს.

ამაოა მისთვის გულგრილი მოყვასის თათბირი და გამხნეება.

რადგან მომაკვდავთან მჯდარი ჯანსაღი შთაგონებით ვერ განკურნავს სხეულს და თავის ჯანმრთელობას ვერ გადასცემს მას.

ესეც ზოგად ფრაზებად მოეჩვენა ალბერტს. ახლა მე მას მოვაგონე იმ საცოდავი გოგონას ამბავი, ამას წინათ წყალში რომ იპოვეს დამხრჩვალნი.

მუდმივ შრომაში, უსიხარულო ცხოვრებაში აღზრდილ ქალწულს ვინმე ჭაბუკი შეუყვარდება და მოიწადინებს, რადაც უნდა დაუჯდეს მისი ცოლი განდეს, მაგრამ ქალაჩუნა მიჯნურმა სწორედ იმ წუთში უღალატა შეყვარებულს, როცა მისი სულიერი ძალები უაღრესად აღტყინებული და გაცეცხლებული იყო.

გარინდებული, გრძნობაარეული შესდგა ქალწული უფსკრულის კიდეს, ჩამოხნულდა მის გარშემო. არსით იმედი, არსით სხივი მოკიაფე მკრთალ სასოების. მიჯნურმა უღალატა მას და მთელ ქვეყანას გადაეფარა მის თვალში ბნელი სუდარა. და მაშინ იგი სიკვდილში ეძებს აწრიალებულ სულის სიმშვიდეს. შეხე, ალბერტ, ასეთი რამ არაერთსა და ორს მოსვლია ამ ცხოვრებაში. განა ეს სიკვდილისკენ მიმართული სენი არ არის?

ბუნება გზას ველარ იკვლევს დახლართულსა და გადაჩენილ ლაბირინთებში და ადამიანიც იძულებული ხდება სიკვდილს მიენდოს.

ვაი მას, ვინც ამგვარ სურათის წინაშე წამოიძახებს: შლეგი ყოფილა. მოეცადა, მოეთმინა, ვნება და ტკივილი გაივლიდა და სხვას შეხვდებოდაო გულისა სწორს და მესალბუნეს.

ასეთი თქმა ხომ იგივეა, ციებისაგან მოკვდინებულზე სთქვან: სულელი, ციებამ მოჰკლაო. მოეცადა ვიდრე უჯრედები გაჯანსაღდებოდნენ, არეული სისხლი დაოკდებოდა, სასიცოცხლო ძალები მოგროვდებოდნენ ხელმეორედ, ყველაფერი გაივლიდა და იგი მშვიდობიანად იცოცხლებდაო თუნდაც დღემდის.

არც ეს მაგალითი იკმარა ალბერტმა და მისაყვედურა: შენ უბრალო გოგონას ამბავი მოიყვანე მაგალითად და მე ვერ წარმომიდგენია, გონიერმა ადამიანმაც ეგ ჩაიდინოსო.

– ჩემო კარგო, – მივუგე მე, – ადამიანი ყველა ადამიანია და ის მცირედი შეგნება, რომელიც ზოგიერთს მოეპოვება ცოტათი მეტი, ვიდრე მეორეს, რა ბედენაა იმ წუთებში, როცა ვნება აზვავდება და კაცობრიული გრძნობა გულზე მოასქდება კაცს.

ამაზე კიდევ ბევრი ითქმის, მაგრამ სხვა დროს, – დავძინე მე და ქუდს წამოვაავლე ხელი.

ო, ჩემი გული აივსო კიდემდის და ჩვენ ისე დავშორდით, რომ ერთიმეორეს ვერაფერი გავაგებინეთ.

ასეა, ამ ცხოვრებაში იშვიათია, ადამიანმა რომ ადამიანის სიტყვა შეისმინოს.

აგვისტოს 15.

უეჭველია, არაფერი ისე არ ესაჭიროება ადამიანის გულს, როგორც სიყვარული.

მე ვამჩნევ ლოტეს, მას უთუოდ შეაწუხებდა ჩემი დაკარგვა და ბავშვებიც ძლიერ შეშფოთდებიან, ყოველ დილას რომ არ მოვინახულო ისინი.

დღეს ლოტეს როიალი უნდა მოემართა, მაგრამ საამისოდ ვერ მოვიცალე, რადგან ბავშვები ამიხრდნენ, ზღაპარი გვიამბეო და, ბოლოს ლოტემაც მთხოვა ამესრულებინა მათთვის საწადელი.

და მეც ვუამბე მათ; ვუამბე ზღაპარი თავადის ქალზე, რომელსაც ხელები ემსახურებოდნენ. ამავე დროს მეც ბევრი რამე შევიძინე.

გარწმუნებ, საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე ჩემმა ზღაპარმა.

ხანდახან ერთსა და იმავე ზღაპარს გულმავიწყობით ხელმეორედ ვუამბობ მეორე ვარიანტში და ისინი წამსვე ამჩნევენ ამას.

ეს მაგალითი ჩვენ გვასწავლის, რომ ავტორმა პოეტური ნაწარმოები არ უნდა შეაკეთოს მეორე გამოცემის დროს, თუნდაც ეს რემონტი ტექნიკურად კიდევაც აუმჯობესებდეს ქმნილებას. ეს უთუოდ ავნებს ყოველ წიგნს.

პირველი შთაბეჭდილება ყოველთვის უპირატესია და ვაი მას, ვინც პირველ თქმულს გადაშლის ან გადააკეთებს.

აგვისტოს 18.

ნუთუ ეგეც ბედისწერის ჭირვეულობას უნდა მიეწეროს, რომ ხშირად იგივე, რაც ადამიანის ბედნიერების წყაროდ მიჩნეულია, მისივე უბედურების მიზეზიც ხდება?

უსაზღვრო სიყვარული ბუნებისადმი, რომელიც ეგზომ დიდი ბედნიერებით ხიბლავდა ჩემს სულს, და მთელს გარესამყაროს სამოთხედ გადამიქცევდა ხოლმე, მომეშხამა უკვე და ბუნების სიახლოვე ისე აბეზარი გახდა ჩემთვის, რომ მხოლოდ ტანჯვას განვიცდიდი მისგან.

წინათ, როცა სალი კლდიდან გადმომდგარი ტყეების გვირისტით შემორაგვულ ველებსა და ქალაქებს გადავხედავდი, და ველთა შორის მოწანწკარე რუს თვალს მოვკრავდი, ალაგ-ალაგ ტყეებს ქუბაში თავშეფარებულს, შედამებულზე ფრინველთა ჟივილი და მილიონი მწერის ნაირ-ნაირი ზუზუნი შემომესმოდა, ყოველივეს ჩემი გული სიამით ისმენდა, სტკბებოდა თვალმოკრულით და განაგონით და განუსაზღვრელი სამყაროს ლანდები და ანასახები დალაგდებოდნენ ჩემი სულის გამჭვირვალე სარკეში.

ქედმაღალი მთები მოჯარდებოდნენ გარეშემო და ხანადაბჩენილი უფსკრულები სთვლემდენ ჩემს ფერხთით, და ნიაღვრები ინთქებოდნენ უძირო სიღრმეებში და მე ვხედავდი ყველგან ყოვლადი ქმნადის და ცხოვრების ცოცხალ სტიქიებს და მიწისა და ცის ზედაპირზე აირეოდნენ ასაკოვან არსთა სახენი, ყველგან ქმნილება მრავალფერის და მრავალხატის და მიდამოში გაბნეულ ქოხებსა და სასახლეებში მობინადრე ადამიანები მფლობელობდნენ ამ უკიდეგანო ქვეყანას.

შლეგო, რეგვენო, ეს შენ გჩვევია ყოველი არსის ზერელედ ჭკრეტა, რადგან შენ თვითონ პატარა ხარ და შეზღუდული.

უღრან, უდაბურ ტყეთა კიდედან, ვიდრე შორეულ ოკეანის ვრცელ ნაპირამდის, ყველგან დაჰქრის სული დიადი და მარადმქმნელი, რომელიც უბრალო ქვიშის ნაფხვენსაც არ დააბნევს მოუსაზრებლად, მოუფიქრებლად და ყოველივე ნატამალსაც დია აფასებს.

ასე, იმ ხანებში, მეც როგორ მწადდა ჩემს თავზე გადაქროლილ წეროს ბუმბულს გადავყოლოდი განუსაზღვრელ ზღვის კიდისკენ, მომესვა პეშვით უკიდო და უფსკერო ვრცელი ჯამიდან, გაცოცხლებული სისველეს წყლისას ვზიარებოდი, რათა ამგვარად დავწაფებოდი დედაბუნების ნეტარების ნატამალს მცირეს, იმავ ბუნების, სადაც ყოველი მოცემულია და შექმნილი, როგორც უსაზღვრო ენერგია თავისთავადი.

ძმებო, ამ წამების მოგონება გულს ახალისებს. თვით ეს მცირედი გარჯაც ერთხელ ნაგრძნობის მოსაგონრად და ხელმეორედ გამოსათქმელად მმატებს მხნეობას.

ამ მცირე განცდამ ჩემი სულის შესახედავად განზე გასწია თალხი ფარდა ჩემი ცხოვრებისა და უსაზღვრო სიცოცხლის სარბიელი, აჰა, გადაიქცა მარად ყბალია სამარის ხანად.

ვინ იტყვის ნეტავ: ეს ყოველივე იყოს განცდა წამიერი ან წარმავალი?

ადამიანის უბრალო გასეირნებაც ათი ათას მცირე არსებათ ასალმებს ხომ წუთისოფელს. ერთი უხეში ნატერფალიც ჯინჭველების მრავალრიცხოვან ბუდეს სამწუხარო სამარედ აქცევს.

ასევე დიდი, თუმც იშვიათი მიჭირვება ბუნების ძალთა წალეკავს, წარღვნის ამ სოფლებსა და ამ ბინადართ.

ჩემი გული განიცდის მომავალ მიწისძვრებს, როცა იქნება, მტვერში და ნაცარში რომ ჩაალაგებს ამ გოლიათურ ციხე-ქალაქებს.

ჩემს გულსაც ის იდუმალი ძალა ღრღნის, რომელიც ჟამის მოქცევამდის მიჩქმალულია ბუნების მკერდზე.

და ასე ვბორგავ მე შიშისაგან გულგასენილი.

ცისა და დედამიწის აღვირახსნილი სტიქიონების სუნთქვა მოსდის ჩემს სმენას; მე სხვა ვერას ვხედავ, თუ არ ყოვლის ჩამთქმელსა და ყოვლის მომნელებელს შეუპოვარ მაჯლაჯუნას.

აგვისტოს 21.

ამოდ გავშლი მკლავებს მის შესახებად, დილით ტკბილ სიზმრებისგან გაბრუებული. ამოდ ვეძებ მას ჩემს სარეცელზე, როცა ბედნიერი, ტკბილი სიზმარი მომიტაცებს სინამდვილის დუხჭირ

არეთგან – იშვიათ წუთში, როცა იგი მგონია ჩემს გვერდით მჯდარი სადმე რბილ მოლზე, ხელში მეჭიროს მე მისი ხელი და ბაგეთაგან ვწყვეტდე ტკბილ ამბორს. ასე, როცა ზმანებიდან გამოვერკვევი, ცრემლი მოზვავდება ჩემს წამწამებზე და შევცქერი მაშინ გულგამოჭმული ჩემს პირბნელ მომავალს, გაუხარებელს.

უბედურება მეწვია, ვილჰელმ.

მოუსვენრობამ შემიპყრო მთლად.

არ ძალმიძს უქმად ყოფნა და ვერც ვერაფერი გამიკეთებია.

ფანტაზია დამეშრიტა, ბუნების გრძნობა დამიჩლუნგდა და წიგნებიც შემძაგდნენ.

როცა ჩვენი სული ჩვენთან აღარ არის, აღარაფერი გვახარებს მაშინ.

გეფიცები, ხანდახან ვნატრობ, ვიყვე ნეტავ ბოგანო მუშა, ხვალინდელ დღის გათენების იმედიანი თვალით შემყურე. ვხედავ ხანდახან ყურებამდე ქაღალდებში ჩაფლულ ალბერტს და ასე მგონია, მე მის ალაგას ბედნიერად ვიგრძნობდი თავს.

რამდენჯერმე კინალამ მოგწერეთ შენ და მინისტრს, მინდოდა ის ადგილი მეთხოვა საელჩოში, რომელიც ამას წინათ შემომაცლიეს.

მგონი, უარს არ მეტყოდნენ; მინისტრი მე საერთოდ კარგი თვალით მიყურებს, არაერთხელ ურჩევია ჩემთვის – რაიმე საქმისთვის მომეკიდნა ხელი.

მაგრამ როცა მომაგონდება იგავში ნახსენები ცხენი, რომელიც მოუთმენლად ელის თავისუფლების აღკვეთას და ლაგამს რომ აუდებენ და უნაგირს დაადგამენ, თვინიერად გაჩაქჩაქდება, მაშინ მეც აღარ ვიცი, რა ვქნა.

ჩემო ძვირფასო, ეგებ ეს სურვილი მდგომარეობის შეცვლისა, ჩემს გულში რომ იბრძვის კარგა ხანია, ვინ იცის, ეგებ სამუდამო სენია ჩემი?

აგვისტოს 28.

დღეს ჩემი დაბადების დღეა.

დილაადრიან ალბერტისაგან პაკეტი მივიღე. გავხსენი და ვხედავ: ჰომეროსის ორი ტომი და შიგ ის ვარდისფერი აბრეშუმის ბანტი, გაცნობის პირველ დღეს რომ ჰქონდა ლოტეს (არაერთხელ მითხოვნია ლოტესთვის – ეს ბანტი ეჩუქებინა ჩემთვის).

ეს ვეტშტაინისული გამოცემა ჰომეროსის პოემებისა ძვირფასი საუნჯეა ჩემთვის, სეირნობის ჟამს ადვილად სატარებელი. აწი აღარ დამჭირდება ერნესტის მოუხეშავი გამოცემის თრევა.

ყველაფერი ეს უფრო ძვირფასი ძღვენია, ვიდრე ის ბრწყინვალე საჩუქრები, რომელნიც ხშირად ხაზს უსვამენ ჩვენს ხელმოკლეობას.

მე ვკოცნი ამ ვარდისფერ ბანტს და ვიგონებ პირველ დღეებს ჩვენი შეხვედრისას, როცა ლოტეს სიახლოვემ სიხარულით აათრთოლა ჩემი გული.

ვილჰელმ, დამეთანხმები, ცხოვრების ჩვენი ყვავილება მხოლოდ და მხოლოდ ეს მოვლენები, ჩემო ძვირფასო.

რამდენი ისე ჩაგვივლის გვერდს და არ დასტოვებს ნატერფალზე კვალს!..

რა იშვიათად ისხამენ ნაყოფს და ამ ნაყოფთა შორის უმწიფრად ჭკნებიან უმეტესნი და უპირატესნი.

თუმცა ნაყოფიერნიც არიან, მაგრამ განა ჩვენ ძალგვიძს მწიფე ნაყოფს არც კი მივხედოთ?

მშვიდობით, ჩემო!

საუცხოო ზაფხულია.

ხანდახან ვზივარ ხეხილის ბაღში, ლოტესთვის მიჩნეულ მსხლის ძირში, გრძელ, წვრილ ჭოლოკზე მოწყობილ ორკაპით ვწყვეტ მწიფე ნაყოფს, მივართმევ იქვე მჯდარ ლოტეს.

აგვისტოს 30.

უბედურო შენ ჩემო თავო, შლეგი ხარ, შლეგი!

რას მოასწავებს ეს უსაზღვრო და ბობოქარი ვნების ქარტახილი?..

მე ვლოცულობ მუდამყამს მისთვის და მხოლოდ მისთვის.

და ყოველივე ამქვეყნად ჩემს თვალში იმდენად საინტერესოა, რამდენადაც ესა თუ ის საგანი მის სახელთანაა დაკავშირებული.

ესა მგვრის მხოლოდ ბედნიერ წუთებს, ვიდრე იძულებული გავხდები დავტოვო იგი.

აჰ, ვილჰელმ, ხანდახან ორი-სამი საათი ვზივარ მის ახლოს, ვისმენ მის ციურ ხმას, ვუმზერ მის სახეს, მის აღნაგობას, მის ქცევას, ნელ-ნელა მერევა თრობა და გახელება, თვალთ მიბნელება და როგორც მარჩობელა, მოზღვავებული გრძნობა მწვდება ყელში – გული მიტოკავს და აორკეცებს ჩემს გარინდებას. და მაშინ, ვილჰელმ, არც კი ვიცი, ამქვეყნად თუ ვარ და თუ მიწაზე დამიდგამს ფეხი...

ხშირად ცრემლები მომერევინან. ტუჩებს მივაკარებ მის ხელს და გამოვიტირებ რა ჩემს უბედობას, ავდგები, გავეცლები, მარტო დავტოვებ და ტყე-ღრეში გავიჭრები სახეტილოდ.

ნარი და ეკლები დამიპოტნიან ხელ-ფეხს – და სწორედ მაშინ მომეშვება ოდნავად გულზე.

წყურვილისა და შრომისაგან დაღლილი ხანდახან მოლზე ვწევარ და ვისვენებ.

ხანდახან ეულ ტყეში წამადგება თავს მცხრალი მთვარე. ავდივარ მაშინ დაღვარკნილ ხეზე და შევცქერი მთვარეს მოვერცხლილს.

ო, ვილჰელმ, მე მენატრება მარტოხელა კარავი ამ უდაბნოში, მატყლის სამოსი უბირი მწირის და ნარმის სარტყელი.

მშვიდობით, ამ სიდუხჭირის უცილო აღსასრულს მე ვხედავ მხოლოდ შავს სამარეში.

სექტემბრის 3.

უნდა წავიდე აქედან.

გმადლობთ, ვილჰელმ, რომ ყოყმანი დამაძლევინე და მიმიხვდი წინდაწინ გულისა ნადებს.

ნახევარი თვეა, ჩემში გზას იკაფავს ეს აზრი: – გავშორდე ლოტეს.

უნდა გავშორდე და გავეცალო.

იგი ისევ ქალაქშია ერთ მეგობარ ქალთან და ალბერტიც მასთან...

უნდა წავიდე აქედან...

სექტემბრის 10.

რა საოცარი ღამეა!

ეჰ, მე რამდენ რამეს უნდა გავუძლო!

მე აწი ველარ ვნახავ მას.

ოჰ, ჩემო მეგობარო, ნეტავ შემეძლოს ყელს მოგეხვიო და ცრემლმორეულმა გიამბო იმ გრძნობებზე, რომელნიც ეგზომ აღელვებენ ჩემს ბობოქარ სულს.

აქ ვზივარ ახლა და ვცდილობ, როგორმე თავი დავიმშვიდო, ვუცდი განთიადს, ვალჰაიმისთვის ცხენებს შეკაზმავენ.

ასე მშვიდად სძინავს ჩემს ლოტეს, და არც კი იცის, რომ მე ველარ მნახავს ამიერიდან.

მე ავიწყვიტე, მაგრამ ორი საათის საუბარში მაინც არ დამცდენია ზედმეტი სიტყვა.

და, ღმერთო, როგორი საუბარი!..

ალბერტმა აღმითქვა – ნავახშმევს ლოტესთან ერთად ბაღში შემხვედროდა.

მე წაბლის ხეივანში ვიდექი და გავსცქეროდი, თუ როგორ გადაეშვა მზე მთვლემარე ველისა და მინდვრის გადაღმა.

რამდენჯერ ვმდგარვარ ამ ადგილას მასთან ერთად და ამგვარივე სურათისთვის გვიდევენებია თვალი – და ასე...

მოუსვენრად დავდიოდი ხეივანში.

ეს ადგილი წინათაც მინახავს მე – ლოტეს გაცნობამდის, და როგორ გამეხარდა, როცა აღმოვაჩინე,

რომ ლოტესაც აჩემებული ჰქონებია ეს ხეივანი. იგი ყველაფერზე უფრო რომანტიკულია, რაც კი ადამიანის ხელით შექმნილა ოდესმე.

უპირველესად ისაა კარგი, რომ წაბლის ხეივიდან საუცხოო სამზერი იშლება თვალწინ.

ახლა ვიგონებ, მე ბევრი რამ მომიწერია შენთვის ამ ხეივის შესახებ.

ნახევარი საათი ვიცადე აქ, გაყრის ტკბილი ან გულის მომწყლულველი ლოდინით გაშმაგებულმა, და უცებ ვხედავ – ლოტემ და ალბერტმა კიბე ჩამოირბინეს და ჩემკენ მოდიან.

წინ შევეგებე. ტანში დამაჟრჟოლა. ხელზე ვაკოცე ლოტეს.

ჩვენ ხეივიდან ამოვედით და მთვარემაც ამოჰყო ყური მოჯაგრულ გორაკს გადაღმა. გზადაგზა ვსაუბრობდით, ვუახლოვდებოდით პარკის ტალავებს.

ლოტე შევიდა და ჩამოჯდა გრძელ სკამზე. ჩვენც გვერდს მოვუსხედით.

მე ავწრიალდი ჩემებურად, მოუსვენრად. ავდექი, გავიარე, მასთან მივედი, ისევ დავჯექი მის სიახლოვეს. რაღაც მოულოდნელმა თრთოლამ შემიპყრო. ლოტემ ჩვენი ყურადღება მიაქცია საუცხოო მთვარის ნაზ შუქს. ხეივის ბოლოს ქვის კიბე თეთრად ლაპლაპებდა, მთვარის სხივებით განათებული... ხოლო გარშემო მთელი პარკი ყუჩობდა ჩრდილში.

როგორც მთვარიან ღამით გავისეირნებ, წამსვე ჩემი მიცვალებულების შესახებ ფიქრი უნდა ამეკვიატოს, – ფიქრი სიკვდილისა და მომავლისათვის. „ჩვენ კიდევ ვიცხოვრებთ, ალბათ, – განაგრძო ლოტემ, იმედიანი ხმით, – მაგრამ, ვერტერ, თქვენ ისევ უნდა მოგვძებნოთ, არ დაგვივიწყოთ... როგორ გგონიათ, აა, რას იტყვი?“

– ლოტე, – ვუთხარი მე და ხელი გავუწოდე, თვალები ცრემლით ამიწყალდა, – ჩვენ შევხვდით სააქაოს და საიქიოს ისევ შევხვდებით ერთმანეთს.

მე ველარ შევძელი კიდევ მეთქვა მისთვის რამე.

ვილჰელმ, საოცარია, რომ მან ეს მკითხა, – საოცარ თრთოლით გულაზღვავებულს.

– ნეტავ ვიცოდე, – განაგრძო ლოტემ მიცვალებულებზე საუბარი, – მათ თუ იციან რაიმე ჩვენი ყოფის შესახებ, თუ გრძნობენ რამეს, ჩვენ როგორ ვართ, ავად თუ კარგად, ან თუ იგრძნობენ, როცა ჩვენ მათ ვახსენებთ, ხანგრძლივი გაყრით გულმოკლელები?

ო, დედის ლანდი არ მშორდება მე დღენიადაგ.

ხანდახან, როცა ბინდიან საღამოს გარს მეხვევიან მისი ბალები ისევე, როგორც ეხვეოდნენ ისინი დედას, მე თვალცრემლიანი ცისკენ ავაპყრობ თვალს და ვნატროლობად გადმომხედოს თუნდაც წამიერად და დამინახოს, თუ როგორ ვასრულებ მე მის ანდერძს და მის სურვილს უკანასკნელს: მის პატარებს გავუწიო აწ მე დედობა.

როგორის გრძნობით დამისხლტება სიტყვა ბაგიდან ასეთ წუთებში: მომიტევე, ძვირფასო ჩემო, ტკბილო დედილო, რომ მე იმათთვის თუ ვერ ვიქნები ის, რაც შენ იყავ, ასე მე ხომ არ ვაკლებ მათ გულმოდგინე მოვლას და ზრუნვას.

ყველას რიგიანად აცვია, არც ერთს არ შია, არც სწყურია და აღარც სცივა, არც სიყვარული დაჰკლებია არც ერთს მათგანს. ნეტავ შეგეძლოს მოგვხედო, დედა, ჩვენო წმინდანო და შენი თვალით ინახულო ჩვენი თანხმობა. შენ ალბათ ღმერთს ადიდებდი მადლობის ნიშნად, რომ შეისმინა სახიერმა ვედრება შენი, შენი შვილების საკეთილდღეოდ ცად აღვლენილი.

ესა სთქვა მან, – მაგრამ, ვილჰელმ, ვის შეუძლია გაიმეოროს, თუ როგორ წარმოსთქვა მან ეს სიტყვები!..

როგორ შეიძლება მკვდარ ასოებით მისი ციური ზესთა ბუნების გადმოცემა, გამეორება?

ალბერტმა ნაზად შეაჩერა იგი: – ეს უთუოდ გავნებთ თქვენ, ლოტე! მე კარგად ვიცი, თქვენი სული ძლიერ ხშირად ეტანება ამგვარ იდეებს. მე გთხოვთ, ლოტე...

– ო, ალბერტ, – წარმოსთქვა ლოტემ, – მე ვიცი, შენ აროდეს დაგავიწყდება ის საღამოები, როცა მამა შინ არ იყო და ჩვენ მრგვალ მაგიდას გარს ვუსხედით, ბავშვებს ეძინათ, შენ რომელიმე კარგი წიგნი თან გქონდა, მაგრამ ამ საუცხოო ადამიანის სიახლოვეს ვინ შესძლებდა წიგნით თავის გართობას!..

ნაზი, ბეჯითი და სათნო ქალი!

ღმერთია ერთი იმ ცრემლებს მოწმე, მე რომ მიღვრია ჩემს ბალიშზე ბნელ ღამეებში.

– ლოტე, – დავიძახე მე, – დავუვარდი ფერხით და ცრემლებით დავნამე მისი ხელები, – ლოტე, უფლის კურთხევა არ აგცდება შენა და დედისა შენისა სულს განათლებულს.

– თქვენ რომ იგი გცნობოდათ, – მითხრა მან და ხელზე ხელი შემავლო ნაზად, – იგი უთუოდ ღირსი იყო თქვენი ცნობისა.

მე ამ სიტყვებმა დამადნეს ერთ წამს, – არასოდეს ამაზე უფრო საამაყო სიტყვა არავის უთქვამს ჩემთვის გულწრფელად.

და ეს კეთილშობილი ქალი უნდა გარდაცვლილიყო ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსე, როცა ყველაზე უმცროსი ვაჟი სულ ექვსიოდე თვისაც არ იქნებოდა, – განაგრძო ლოტემ.

მისი ავადმყოფობა არცთუ დიდხანს გაგრძელებულა.

იგი მშვიდად, მორჩილად შეეგება სიკვდილს; მხოლოდ დარდობდა იგი, განსაკუთრებით მისტიროდა ყველაზე უმცროსს. სულთმობრძავი უკანასკნელ სუნთქვას ითქვამდა და მეუბნება: „მომიყვანე ჩემი ბალები“ და როცა მოვგვარე ბავშვები, პატარებმა არც კი იცოდნენ, თუ რა ხდებოდა, ყველანი გარს შემოეხვივნენ დედას, მან ხელები გადაავლო ყველას სათითაოდ, ყველა დაჰკოცნა, ყველა დალოცა, შეევედრა ზეციერ მამას მათ მაგიერად, გამოსთხოვა და მეუბნება: „ექმენ შენ დედად ამ ჩემს პატარებს“.

დიდია შენი აღთქმა, ასულო ჩემო: გული დედისა, თვალი დედისა. მე არაერთხელ შემიმჩნევია შენს მადლიან ცრემლებზე, ეს დამინახავს. არაერთხელ დავრწმუნებულვარ, რომ კარგად გრძნობ ყოველივე ამას. უერთგულე მაშ შენს და-ძმას და მამასა შენსა და ნუ მოაკლებ მას დედაკაცურ მორჩილებას ამიერიდან, ანუგეშებდე, – მან მამა მოიკითხა.

მამა გარეთ გასულიყო, რათა ჩვენთვის დაემალა საშინელი მწუხარება, რომელმაც იგი გაანადგურა და დააბნია.

ალბერტ, შენ ოთახში იყავი მაშინ, მან ფეხის ხმას რომ მოჰკრა ყური და როცა შენ შემოხვედი, მშვიდად შემოგვხედა ორივეს, დარწმუნებულმა, რომ ჩვენ ერთად ყოფნით ბედნიერი გავხდებოდით.

ალბერტი ამ სიტყვების გაგონებაზე ლოტეს ყელზე შემოეჭდო, აკოცა და წამოიძახა: ჩვენ მართლაც ბედნიერი ვართ, და მერმისშიაც ასე ვიქნებით.

საერთოდ წყნარი ალბერტიც წრეს გადასცდა და მე, მე აღარ ვიცოდი, რა მექნა.

– ვერტერ, – წარმოსთქვა ლოტემ, – და ესეთი დედა ასე უდროოდ უნდა დაგვკარგოდა?!

ხანდახან ვფიქრობ, ადამიანი საკუთარი თვალთ ხედავს, თუ როგორ გამოაცლიან ხელიდან უძვირფასეს არსებას – და ეს არავის ისე არ უგრძნია, როგორც ბავშვებს, რომელნიც დიდხანს შემოგვჩიოდნენ: დედა ვილაც შავმა კაცებმა წაიყვანესო.

ლოტე ადგა და მე ისე აღშფოთებული ვიყავი, რომ არც ავმდგარვარ, ხოლო მისი ხელი მეჭირა კიდევ.

– წავიდეთ, დროა, – წარმოსთქვა ლოტემ. მას უნდოდა ხელის გათავისუფლება, მაგრამ არ ვეშვებოდი.

ჩვენ ისევ შევხვდებით, და ყოველნაირ აღნაგობაში ჩვენ უთუოდ ვიცნობთ ერთმანეთს. მე მივდივარ, ჩემის ნებით მივდივარ და კიდევ რომ მეთქვა „სამუდამოდ“, ამას ვერ ავიტანდი. მშვიდობით, ლოტე, ალბერტ, მშვიდობით...

ჩვენ ისევ შევხვდებით.

– ხვალ..., – დავსძინე მე ხუმრობით.

ვგრძნობდი ამ „ხვალეს“.

აჰ, მან არ იცოდა, როცა თავისი ხელი გაითავისუფლა ჩემი ხელიდან.

ისინი ხეივანს მიჰყვნენ, მე ავდექი, მივხედე მიმავალთ, მთვარის შუქზე გაბრწყინებულებს. დავეცი პირქვე ცივ მიწაზე და ავქვითინდი. ზეწამოვიჭერი, ტერასა განვვლე – და თვალი მოვჰკარქვემოთ, მაღალ ჭადრების ძირში ვით გაიელვეს თეთრმა ლანდებმა, – ხელები გავიწოდე მათკენ და ყოველივე გაჰქრა ერთ წამს, ვით მოჩვენება.

წიგნი მეორე

1771 წლის ოქტომბრის 20.

გუშინ ჩამოვედი.

ელჩი უგუნებოდაა და რამდენსამე დღეს აქ დარჩება.

იგი უქმური ხასიათის კაცი რომ არ იყოს, ყოველივე კარგად წარიმართებოდა.

ვამჩნევ, ბედისწერა სასტიკ განსაცდელს მიმზადებს.

მცირეოდენი ხალისი ყოველივეს გადაატანინებს ადამიანს.

ხალისი?

მეცინება სწორედ, როგორ წამოეგო ჩემს კალამს ამგვარი სიტყვა!

ეჰ, ოდნავი გულგრილობა რომ ხლებოდა ჩემს ბუნებასა და სისხლს, ალბათ უბედნიერესი ვიქნებოდი კაცთა შორის.

სხვები მცირეოდენ ძალითა და ნიჭით თავმომწონედ დადიან ამქვეყნად და მე ეჭვი უნდა მეპარებოდეს ჩემს ძალასა და უნარში?

ღმერთო სახიერო, ეგზომ ნიჭით რომ მაჯილდოებდი, ნახევარი შენგან ნაბოძებისა დაგეკლო და თუნდაც, სამაგიეროდ, თავისი თავის იმედი და კმაყოფილება მიგენიჭებინა ჩემთვის.

მოთმინება.

მოთმინება.

და ყველაფერი უკეთ წარიმართება, – ვეუბნები ხანდახან თავს, – უნდა გამოგიტყდე, ვილჰელმ, შენ მართალი ხარ.

მას შემდეგ, რაც ხალხში ტრიალი მიხდება, და ვაკვირდები ადამიანების ყოფა-ცხოვრებას და საქმიანობას, ჩემი თავით უფრო მეტად კმაყოფილი ვარ.

ასეთია ადამიანის ბუნება: ჩვენ ყველაფერს ჩვენივე თავს ვადარებთ და ამავე დროს ყველას ვედარებით. ასეთ დროს ყველაფერზე უფრო საშიშია მარტოობა.

ჩვენი ფანტაზიაც ხომ უმეტესად პოეტურ ქმნილებათა აჩრდილებსა სჭვრეტს, – უყურებ ადამიანი ამ ცოცხლად მიჩნეულ „ადამიანებს“; ერთგვარ იერარქიულ კიბეს აშენებ მათგან და საკუთარი პიროვნება ამ კიბის უმდაბლეს საფეხურად გყავს მიჩნეული, ყველა დანარჩენი – შენზედ უფრო თვალსაჩინოდ და სრულყოფილად, – ხშირად ვგრძნობთ კიდევაც ჩვენსავე ნაკლს, და თანაც გვგონია: რაც ჩვენ გვაკლია, ეს სხვას მოეპოვებაო.

და ეს სხვა ჩვენივე წარმოდგენით ხდება იდეალური ღირსებებით დაჯილდოებული ადამიანი.

არსებითად კი იგი ჩვენი წარმოდგენის ნაყოფია და სხვა არაფერი.

ნოემბრის 26.

აქ საკმაოდ ცუდადა ვგრძნობ თავს ამ დაბოლოს. საქმეც ძლიერ ბევრია. ჩემ გარშემო საკმაოდ ჭრელი საზოგადოება ირევს.

ამ დღეებში გრაფი N გავიცანი. რაც უფრო ვაკვირდები, მით უფრო მომწონს ეს კაცი. შორსმჭვრეტელი და ფრიად გონიერი ადამიანია გრაფი N.

მასთან დამოკიდებულებაში სიყვარულისა და მეგობრობის შუქი გამოსჭვივის.

იგი ფრიად დიდის თანაგრძნობით მექცევა. არაფერი ისეთ დიდ სიხარულს არ იწვევს ამქვეყნად, როგორც დიდი და გრძნობიერი სულის შეხვედრა.

დეკემბრის 24.

ელჩი ხშირად მაყენებს უსიამოვნებას.

ყველაფერ ამას მე წინასწარ ვგრძნობდი.

იგი საკმაოდ დიდი პედანტია და პუნქტუალური ტუტუცი.

კაცი, მუდამ თავის თავით უკმაყოფილო; ამიტომაც ვერავინ მოიმაღლიერებს მას ასე ადვილად.

გრაფ N-ის ლმობიერი მოპყრობა ერთადერთი ნუგეშია ჩემთვის. ამას წინათ გამანდო, რომ ელჩი მასაც არ მოსწონს თურმე.

ადამიანები თვითვე ქმნიან ისეთ ატმოსფეროს, რომ ცხოვრება აუტანელი გახადონ თავისთვის და სხვისთვისაც. თუმცა, ამბობდა გრაფი, ასეთ შემთხვევაში მგზავრისა და მთის არაკი არ უნდა დაგვაფიქვდეს: მთა რომ არ ყოფილიყო, გზა სწორი და ადვილად სავალი იქნებოდა.

საქმეც ის არის, დაბრკოლება დასძლიოს მგზავრმა და მთა გადალახოს.

ამას წინათ ელჩი გამომელაპარაკა, – სიტყვა გრაფზე ჩამომიგდო.

– გრაფი საქმიანი კაცია, – ამბობდა იგი, – კალამიც ემარჯვება, მაგრამ, როგორც ყოველ ბელეტრისტს, საფუძვლიანი განსწავლა მასაც აკლიაო (მივხვდი, ამ შემთხვევაში მეც მგულისხმობდა).

ამ დროს ელჩმა ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ამ გზით უნდა ეთქვა ჩემთვის: გაკილვა თუ იგრძენითო?

მაგრამ ასეთი რამეები მე ვერ ამატოვებს.

მძაგს ამნაირი აზროვნების ადამიანი.

არ შევმკრთალვარ და ფიცხლად შევუტე.

– გრაფი ისეთი კაცია, რომ უთუოდ პატივისცემის ღირსია, როგორც თავისი ხასიათის, ისე ცოდნის მიხედვით-მეთქი.

იშვიათად შემხვედრია ასეთი კაცი, – განვაგრძე მე, – ასეთი დიდი ინტელექტუალური ჰორიზონტიც მოეპოვებოდა და პრაქტიკული საქმიანობის უნარსაც რომ არ იყოს მოკლებული-მეთქი.

ბოლოს, შევატყვე ელჩს: ჩემი ნათქვამი ისევე არ ესმოდა, როგორც კამეჩს ალილოუა და კონფლიქტის გაღრმავებაც არ მინდოდა, ამიტომაც დროზე გავეცალე.

– ყველაფერ ამაში თქვენ გედებათ უცილოდ ბრალი, თქვენ, რომელიც ამდენს მიგალობდით აქტიურობის უქონლობის შესახებ. და რა მოსაწყენია ამ უხეშ ხალხთან მისვლა-მოსვლა და საქმიანობა!

როგორ იბრძვიან ეს საცოდავები ტიტულისა და დაწინაურებისთვის!..

აჰ, მე მეუცხოება ადამიანთა მოდგმა. რომელსაც არ ესმის, თუ როგორი გაუგონარი მეძაობაა ორდენების და ტიტულების ძებნა ან როგორი თავდამცირება.

მიუხედავად ამისა, უნდა გამოგიტყდეთ: სავსებით არ მენაღვლება ადამიანის საქმე, ყოველმა კაცმა საკუთარ ბილიკზე იაროს, ოღონდ მე დამანებონ ჩემი.

რაც ყველაფერზე უფრო მახელებს, ეს არის – საბედისწერო, ბიურგერული დამოკიდებულება ამ ცხოვრებაში.

თუმცა კარგად ვიცი, რომ ცხოვრებას წოდებათა სხვაობა დიახაც ესაჭიროება ზოგიერთ შემთხვევაში, თუნდაც მე რამდენ უპირატესობას მაძლევს იგი!

მაგრამ ჩემთვის მთავარია, – ამ მოვლენამ გზა არ გადამიღობოს და ის მცირეოდენი სიხარულიც არ მომიშხამოს, რომელიც კიდევ დამრჩენია წუთისოფლად.

ამას წინათ, სეირნობის დროს გავიცანი ვინმე ქალბატონი ფონ ბ. ფრიად სათნო და საყვარელი არსება. ჩვენ ერთმანეთი მოგვეწონა საუბარში და გამოთხოვების დროს ნება ვთხოვე მომენახულებინა.

მან გულწრფელად მთხოვა, უთუოდ ამესრულებინა ეს სურვილი.

იგი ამ მხარეში სტუმრადაა: მამიდას სახლში ცხოვრობს.

ბებერი მამიდა არ მომეწონა.

ფროილან ბ. გამომიტყდა: მამიდას არც რიგიანი ქონება მოეპოვება, არც განათლებული სული. ერთადერთი მისი სიამაყე მისი წინაპრებია. მისი ფარ-ხმალია წოდების მიერ მინიჭებული უპირატესობანი.

ახალგაზრდობაში ლამაზი ყოფილა. თავისი უხეირო ხასიათის წყალობით არაერთი და ორი ჭაბუკისთვის მოუწამლავს საწუთროება.

გვიან სიქალწულეში ერთ ოფიცერს შეურთავს ცოლად. მერმე ქმარი მოკვდომია და პატარა პენსიით იბრუნებს სულს და კიდევ ეს გულკეთილი დისწული რომ არა, ამ სიბერის დროს აღარავინ გაეკარებოდა, ალბათ.

1772 წლის იანვრის 8.

ეს საცოდავი ადამიანები!

მთელი მათი გული და სული იქითკენაა მიპყრობილი, რომ ცერემონიების ეთიკა დაიცვან. ყოველი კაცი იმის ცდაშია, თუნდაც ერთი ცდითაც წინ წასწიოს თავისი სკამი უფროსისკენ.

სულელებს ის კი არ ესმით, რომ ხშირად იგი, ვინც პირველ სკამზე ზის, პირველ როლს არ თამაშობს.

ხომ ცნობილია, რომ ზოგ მეფეს მისი მინისტრი მართავს და ზოგი მინისტრი თავისი მდივნის ყურმოჭრილი ყმაა.

მაშ, ვინღაა პირველი?

მე მგონია ის, რომელიც ერთბაშად განსჭვრეტს ადამიანებს და მათ ძალებსა და მათ ვნებებს საკუთარი გეგმების შესასრულებლად გამოიყენებს.

იანვრის 20.

ძვირფასო ლოტე!

ამ ბარათს გწერთ მახლობელი გლეხური დუქნის პაწია ოთახში, სადაც თავი შევაფარე ავდრისგან განრიდებულმა.

რაც ამ საძაგელ დ-ს დაბაში ვცხოვრობ, ამ უამრავი უცხო ხალხით გარშემორტყმული, ერთ წუთსაც ისე არ ჩაუვლია ჩემს ცხოვრებაში, რომ თქვენთვის წერილის მოწერა არ მდომებოდა.

და ახლაც ამ პაწია ქოხში, ამ მარტოობაში, ამ სიდუხჭირეში, როცა თოვლი და ქარი ასკდება ფანჯრებს, აქაც პირველი ჩემი ფიქრი თქვენდამი იყო მიქცეული.

როგორც კი შემოვვდი, წამსვე თქვენი სახე, თქვენი ხსოვნა გაცოცხლა ჩემში, ძვირფასო ლოტე.

ღმერთო კეთილო.

პირველი ბედნიერი წამი!

თქვენ რომ მნახოთ, ჩემო ძვირფასო, ამ აფორიაქებულ განწყობაში... უთუოდ შეამჩნევდით ჩემი სულის გაპარტახებასა და გაღატაკებას.

არც ერთი ბედნიერი წუთი, არავითარი სავსება გულისა!

არაფერი, არაფერი!

თითქოს პანოპტიკუმის შუშის ყუთების წინ ვიდგე და ისე შევსცქეროდე ამ უხეირო კაცუნების სახეებს და ღინგებს.

ხშირად უნებლიედ ვეკითხები ჩემს თავს: ოპტიკური მოჩვენება ხომ არ არის ეს ყოველივე?..

მეც ამ საოცარ მარიონეტების თამაშში ვურევივარ.

უკეთ რომ გითხრათ, მეც მათამაშებენ ძალაუნებურად და ხანდახან ჩემს მეზობელს ხელს ვტაცებ, ადამიანი მგონია და გავიხედავ: ხის ხელი შემრჩება ხელში და გულარეული უკან ვიხევ.

საღამოობით გადავწყვეტ, – მეორე დილას მზის ამოსვლით დავტკბე, და დილით ადგომა მეზარება.

დილით მოწადინებული ვარ, – მომავალ მთვარიან ღამით დავტკბე და ოთახში ვრჩები მაინც.

არ ვიცი, ან რისთვის ვდგები, ან რად ვწვები?

საფუარი დააკლდა ჩემი ცხოვრების პურს, აღარ დამრჩა ის გონებრივი სიფხიზლე, რომლის წყალობით ღამეებსაც კი ვათენებდი, გაჰქრა ის ხალისიც, დილაობით ადრე რომ მალვიძებდა.

ერთადერთი ქალი გავიცანი აქ, ძვირფასო ლოტე, რომელიც ოდნავ თქვენ გემსგავსებათ, – ეს არის

ფროილან ფონ ბ.

დიახ, იგი თქვენა გგავთ, თუ შესაძლოა ქვეყნად თქვენი ბადალის პოვნა.

თქვენ ალბათ იტყვით: როგორი მიამიტი კომპლიმენტები დაგიწყიათო!!

მთლად უსაფუძვლოც არ იქნება თქვენი შენიშვნა.

კარგა ხანია, რაც მე გონივრულ ცხოვრებას ვეწევი.

გონებამახვილობა არ მაკლია (არც შეიძლება უამისობა).

ქალები ასე ამბობენ ჩემზე: ვერტერს ხოტბის შესხმაში ვერავინ შეედრებაო (და ცრუობაში – დაუმატებდით ალბათ თქვენ; ხომ დამიჯერებთ, უამისობაც არ შეიძლება).

მე მინდოდა ფროილან ბ-ზე მეტქვა რამე.

მის ცისფერ თვალებს რომ შეხედავთ, უთუოდ დარწმუნდებით, რომ ამ თვალების პატრონს დიადი სული აქვს. თავისი წოდება მას ამძიმებს და ზედმეტ ბარგად მიაჩნია.

მასაც ენატრება გაეცალოს როგორმე ამ ჯოჯოხეთს.

ჩვენ ხანდახან სოფლურ იდილიებზე ვოცნებობთ. ხშირად ვებაასები თქვენზე. ფროილან ბ-ს არასოდეს მოსწყინდება თქვენზედ საუბარი.

ვგონებ მასაც შეუყვარდით თქვენ.

ო, ნეტავ შემეძლოს ამ წუთში თქვენ ფერხით ვიჯდე, გარს გვეხვიონ თუნდაც თქვენი საყვარელი და-ძმანი ჩვეულებრივი ჟივილ-ხივილით და მე მათ ზღაპრით ვაშოშმინებდე უთუოდ.

მზე თოვლით შესუდრულ ველზე ეშვება.

გრიგალმა ფრთა დაკეცა და მოისვენა; მე ჩემს გალიაში უნდა დავბრუნდე.

მშვიდობით!

ალბერტი თქვენთანაა? როგორაა? (ღმერთო, მომიტევე მე ამგვარი შეკითხვა).

თებერვლის 8.

ერთ კვირაზე მეტია, რაც საძაგელი ამინდები დაიჭირა, მე ეს არ მიშლის. რაც აქა ვარ, არც ერთ ტაროსიან დღეს არ მოუტანია ჩემთვის რაიმე, როცა წვიმს, მერეხია, ყინავს. მე ასე ვფიქრობ: შინ უარესი ხომ არ იქნება, ვიდრე გარეთ, – ასე სჯობია!

თებერვლის 17.

მე მეშინია: მე და ჩემი ელჩი დიდხანს ვერ გავძლებთ ერთად.

ეს კაცი სავსებით აუტანელია.

მისი მუშაობისა და საქმიანობის მანერა ხშირად სასაცილოდ არა მყოფნის, ხანდახან ვერ ვითმენ, რეპლიკებს ვაძლევ და ყველაფერს ჩემებურად ვაკეთებ. ამიტომაც სასახლეში მიჩივლა ელჩმა.

მინისტრმა საყვედური გამომიცხადა ოფიციალურად – და, ის-ის იყო, უნდა მეთხოვა სამსახურიდან გადაყენება, ამ დროს ვიღებ პირად ბარათს მინისტრისგანვე.

ამ ბარათში მინისტრი მეგობრულად მირჩევდა დამეოკებინა ჩემი გულფიცხოვა. ეს ერთგვარი ენთუზიაზმია, საქმის სიყვარულით გამოწვეული, მწერდა მინისტრი, რაც თავისთავად გასაკიცხი როდია, მაგრამ ზედმეტი გრძნობიერებაც მოსაწონი არ არისო.

ამ ბარათმა დამამშვიდა და გამამხნევა. სულიერი მშვიდობა ჩინებული რამეა, ძვირფასო მეგობარო, მაგრამ იგი ფრიად რხეულია და ამიტომ ადვილად იმსხვრევა.

თებერვლის 20.

ღმერთმა დაგლოცოთ, ჩემო კარგებო! ის დღეებიც თქვენ მოგანიჭოთ ყოვლად სახიერმა, რომელიც მე უნდა მომაკლოს.

გმადლობთ, ჩემო ალბერტ, ტყუილი რომ მოგიწერია და არა მართალი.

მე ქორწინების დღის შეტყობინებას მოველოდი და კიდევაც გადაწყვეტილი მქონდა ამ დღეს ლოტეს პორტრეტი კედლიდან ჩამომეღო და ძველი ქალაქების ყუთში დამემარხა.

მაშ, როგორც ირკვევა, თქვენ ჯერ კიდევ დანიშნული ხართ და თქვენი სურათიც თავის ადგილზე დარჩეს.

რატომაც არა?

ვიცი, სამაგიეროდ მეც თქვენთან ვარ, ლოტეს გულში მეორე ადგილი მაქვს, ეს ხომ შენ არას გავნებს. მე მინდა ეს ადგილი არ დაკარგო მერმისშიაც.

არც უნდა დაკარგო.

ო, მე უთუოდ გავცოფდები, მან რომ დამივიწყოს.

ალბერტ, ამ აზრში ჯოჯოხეთი გიზგიზებს ჩემთვის.

ალბერტ, მშვიდობით.

მშვიდობით, ციურო ანგელოზო – ლოტე, – მშვიდობით!..

მარტის 15.

მე ისეთი უსიამოვნება შემხვდა, რაც უთუოდ მაიძულებს აქედან წასვლას.

კბილებს ვაკაწკაწებ.

თქვენა ხართ ყველაფერში დამნაშავე, ვინც მოსვენებას არ მაძლევთ – ეს საძაგელი თანამდებობა მეკისრნა, თანამდებობა, რომელიც ჩემს სულსა და გულს ეგზომ ეუცხოება.

გრაფი ფონ N ძლიერ მწყალობს, ძლიერ მაფასებს, ეს მე გაუწყე შენ მრავალგზის.

გუშინ სადილად ვიყავი გრაფთან.

ეს ის დღეა, როცა სალამოს აქაური წარჩინებული საზოგადოება თავს იყრის მასთან.

მე არასოდეს დავფიქრებულვარ ამაზე და არც ვიცოდი, რომ ჩვენ, დაბალი მოხელეები ასეთ შეკრებულებაში ვერ გამოვჩნდებით.

ნასადილევს მე და გრაფი დიდ დარბაზში ბოლთასა ვცემდით. მაიორი ბ. შემოვიდა, – მე ორთავესთან საუბარში ვიყავი გართული.

სტუმრების თავმოყრის დრომაც მოაღწია. მობრძანდა ფრიად მოწყალე ქალბატონი ფონ ს... თავის მეუღლითურთ. დამებმა თავიანთი ბრწყინვალე თვალები და ლორწეტები მოაპყრეს ჩემკენ.

მე წასვლა მინდოდა, მაგრამ ვიფიქრე, მოდი, ცოტას შევიცდი, ვიდრე ეს უჟმური ცხოველები თავის გზას ეწევიან-მეთქი. ამ დროს ქალბატონი ბ. შემოვიდა. მე ყოველთვის მახარებს მისი დანახვა; მივუახლოვდი და საუბარი დავუწყე, მაგრამ წამსვე შევატყვე, როგორღაც დარცხვნილი მებაასებოდა.

ნუთუ იგიც ისეთივეა, როგორიც ეს ხალხი?

გავიფიქრე ჩემთვის.

ამასობაში შემოლაგდენ: ბარონ ფ... ფრანც პირველის დროის ტანისამოსში, ბატონი ფონ რ... თავისი ყრუ ცოლით, ბატონი ი..., რომელიც თავისი ძველი ფრანკონული ტანისამოსის დანაკლისს ახალმოდური მჩვრებით ავსებს. რამდენიმე ნაცნობს დაველაპარაკე. ყველა ძლიერ ლაკონიურ პასუხს იძლევა.

ბოლოს ისევ ფროილან ბ-ს მივუბრუნდი.

მე ვერ ვამჩნევდი, თუ როგორ დაუწყეს ყურში ჩურჩული დედაკაცებმა ერთიმეორეს; მერმე მამაკაცებს გადაედო იგი. ქალბატონ ფონ ს-მა გრაფი განზე გაიხმო (ყველაფერი ეს ქალბატონმა ფონ ბ-მ მიაგმო შემდეგ). ბოლოს გრაფმა ფანჯარასთან მიმიყვანა.

– თქვენ ალბათ იცით ჩვენი საზოგადოების საოცრებანი. თქვენი აქ ყოფნა, როგორც ვამჩნევ, დიდს უკმაყოფილებას იწვევს დამსწრეთა შორის.

– არც მე მქონდა აქ დარჩენის სურვილი, გთხოვთ მაპატიოთ, თქვენო ბრწყინვალეებავ, – ჩამოვართვი სიტყვა გრაფს, – წასვლაც კი დავაპირე და მხოლოდ რაღაც ბოროტმა სულმა შემაკავა.

მოკრძალებულად გამოვესალმე.

გრაფმა მრავლისმეტყველად, მაგრად ჩამომართვა ხელი.

მე გამოვედი ამ პატივცემულ გვამთა კრებულიდან, კაბრიოლეტში ჩავჯექი და მ-სკენ წავიქცე.

იქ ერთ გორაკზე ჩამოვჯექი, ჩამავალ მზეს თვალი შევახვე და ჩემს ჰომეროსში გადავიკითხე ის ადგილი, სადაც ოდისევს ღვთიური მელორე გაუმასპინძლდება. საღამოს სავანეში წავიქცე.

რესტორანში რამდენიმე კაცი ძვლის კამათელს ათამაშებდა. ბატონი ა... მომიანლოვდა და მეუბნება: – უსიამოვნება შეგახვედრეს, არა?

– მე?

– დიან, გრაფს დაუთხოვიხარ თურმე თავის საზოგადოებიდან.

– ეშმაკმა წაიღოს ასეთი საზოგადოება! მე კიდევაც მერჩია თავისუფალ ჰაერზე გასეირნება.

– კარგია, შენ რომ ამ ამბავს დიდ ყურადღებას არ აქცევ. ჯავრი არ ჩაგყვეს გულში, ნურც ის დაგაღონებს, რომ ეს ამბავი მთელს საზოგადოებას მოედო.

მართლაც, დღეს სადაც მივედი, ყველგან ამ ინციდენტზე ჰქონდათ მსჯელობა.

ჩემი მტრები სიხარულით ფეხზე ძლივს დგანან: აჰ, გადაჭარბებულმა ამპარტავნობამ ასე იცის. რა ეგონა, ყოველივე დამოკიდებულების გარეშე რომ წარმოიდგინა თავისი თავი!?

აჰ, მოსაწყენია ამ გონებაცარიელი ხალხის ყბედობა.

მარტის 16.

ყველაფერი მალიზიანებს.

დღეს ფროილან ბ-ს შევხვდი ხეივანში.

ველარ მოვითმინე და გამოველაპარაკე, არც ის დამიმალავს, რომ მასზე ოდნავ გულნატკენი ვიყავი.

– ო, ვერტერ, – მეუბნება იგი ინტიმური ტონით, – თქვენ ჩემს გულს იცნობთ და როგორ შეგიძლიათ ჩემი იმდღევანდელი დაბნეულობა ასე უკუღმართად ახსნათ. ვერ წარმოიდგენთ, როგორ ვიტანჯებოდი თქვენ მაგიერ იმ წუთიდან, რაც დარბაზში შემოვედი. ყოველივეს წინასწარ ვგრძნობდი, რამდენჯერმე დავაპირე კიდევ, გამეფრთხილებინეთ.

მე შევატყვე მაღამ ფონ...ს... და მაღამ ტ... უმაღლესი თავიანთ ქმრებს აიყოლიებდნენ და დარბაზიდან გავიდოდნენ, ვიდრე თქვენს საზოგადოებაში დარჩებოდნენ.

ისიც ვიცოდი, გრაფს ეძნელებოდა თქვენი მომდურებაც.

– ყოველივე ამან საშინელი მღელვარება მომაცენა, – თქვა ფროილან ფონ ბ-მ და ცრემლი მოადგა თვალებზე.

მე ლამის გონება დავკარგე და ფერხთ დავუვარდი ამ ქალს.

მას უკვე ცრემლი ჩამოსდიოდა ღვებებზე. მერმე ცრემლები მოიხოცა ცხვირსახოცივით და განაგრძო, – ჩემი მამიდაც იქ იყო და გამძვინვარებული შემოგვცქეროდა. ვერტერ, თქვენ არ იცით, რამდენს მიქადაგებს მამიდაჩემი, როგორ მიშლის თქვენთან მისვლა-მოსვლას. ხშირად იძულებული ვარ, ვუსმინო, თუ როგორ გამცირებენ თქვენ – და მე სხვა არაფერი შემიძლია, თუ არა, შეძლებისამებრ, დაგიცვათ.

ფროილან ფონ ბ-ს ყოველი სიტყვა მახვილივით მივლიდა გულში. იგი ვერც კი გრძნობდა, თუ როგორი სიკეთე იქნებოდა ჩემთვის, ყოველივე ეს არც კი გაემხილა ჩემთვის. ქალბატონმა ფონ ბ...მ განაგრძო იმ ღვარძლიანი მოშაინების ამბავი, რომელნიც გესლიანად სისინებენ და გახარებული არიან, რომ მე დავისაჯე ჩემი ქედმაღლობისა და სხვების აბუჩად აგდებისთვის.

ყველაფერ ამას იგი მეუბნებოდა უნაზესი თანაგრძნობით.

აჰ, არაერთხელ ამიღია დანა, რომ ჩემი გახელებული გულიდან სისხლი გამომედინა.

ერთნაირი კეთილშობილი მოდგმის ცხენზე ამბობენ: როცა იგი ძლიერ შეხურდება და გაფიცხდება, ინსტინქტურად გადაიჭამს ძარღვს და მიჭირვებულ სუნთქვას შეიმსუბუქებს თურმე ამგვარად.

მეც ასეთი ჟინი მომივლის ხანდახან.

მინდა ძარღვი გადავიჭრა და მარადი თავისუფლება მოვიპოვო ამ გზით.

მარტის 24.

მე ვითხოვე თანამდებობიდან გადაყენება და იმედი მაქვს ჩემს თხოვნას დააკმაყოფილებენ სასახლეში. იმედია მაპატიებთ, საამისო ნებართვა არ მიმიღია წინასწარ თქვენგან.

ერთი სიტყვით, უნდა გავცალო აქაურობას და ისიც ვიცი, თუ რას მირჩევდით თქვენ ამ შემთხვევაში.

ეს ამბავი დედაჩემსაც გადაეცი შესაფერი განმარტებით.

ვიცი, მას ეს არ ეამება, დედაჩემს გულით უნდოდა, მეც ელჩისა და იდუმალი მრჩევლის კარიერა დამეწყო და ახლა რომ ნახავს ჩემს უკან დახევას, შეწუხდება, მაგრამ რა გაეწოება.

მე უნდა წავიდე აქედან.

ყოველ შემთხვევაში, გაცნობებთ ჩემს მისამართს.

აქ თავადი ვინმე გავიცანი, რომელსაც ჩემი სიახლოვე ძლიერ ახალისებს. მან მთხოვა მის მამულში წავყვე – წინასწარ დამპირდა, რომ მე სრული ბატონი ვიქნები ჩემი თავისა.

მეც მინდა ბედი ვცადო და თან გავყვე თავადს.

აპრილის 19.

ცნობისათვის

ორივე წერილისთვის დიდად გმადლობთ.

მე განზრახ არ გიპასუხე, რადგან ვუცდიდი სასახლიდან ჩემი დათხოვნის ქალაქს. მეშინოდა, ვაითუ, დედაჩემს მინისტრისთვის მიემართნა და ჩემი სამსახურიდან გასვლა ამ გზით გაერთულებინა.

ახლა უკვე იმედიანადა ვარ. დათხოვნის ქალაქიც, ესეცაა, მომივიდა.

ვერ წარმოიდგენ, თუ როგორ უძნელდებოდა მინისტრს ჩემი გაშვება. მთავარის ტახტის მემკვიდრემ 25 დუკატი გამომიგზავნა სამგზავროდ, ასე რომ, გადაეცი დედაჩემს – იმ ფულს ნუ გამომიგზავნის, ამას წინათ რომ ვთხოვე.

მაისის 5.

ხვალ მივდივარ აქედან.

მინდა გზადაგზა ჩემი სამშობლოს არე-მიდამოც მოვინახულო, ვნახო ის ადგილები, სად ოცნებაში მიტარებია ჩემი უღარდელი ყრმობის ტკბილი დღეები.

მინდა ერთხელ კიდევ გავიარო იმ ალყაფის კარებში, საიდანაც უკანასკნელად გამომიყვანა დედამ მამის სიკვდილის შემდეგ, რათა მერე საძაგელ ქალაქში ჩავკეტილიყავი.

მშვიდობით, ვილჰელმ.

მაისის 9.

მე მოვათავე ჩემს სამშობლოს არეებში ღარიბობა, მრავალი მოულოდნელი გრძნობა ეწვია ჩემს სულს უეცრად.

რამდენიმე კილომეტრი მიკლდა დანიშნულ ადგილამდის, გავაჩერე პოსტილიონი, ვუბრძანე წასულიყო, და მე ქვეითად მივყევი თემშარას. ამგვარად უფრო ხანგრძლივად შემეძლო გზადაგზა ყოველ წვრილმანს დავკვირვებოდი. ჯერ კიდევ ბალლი ამ ცაცხვის ქვეშ ვმდგარვარ ოდესღაც და ეს იყო ჩემი სეირნობის კიდე, საზღვარი. ღმერთო, როგორი ცვლილება მომხდარა ჩემთვის! მაშინ სურვილით ვიწვოდი, ბედნიერი უმეცრებით წაქეზებული, მომეხილა სამყარო მთელი და ხარბი გული გამეძლო ნაირ-ნაირი განცდებით და სანახაობით.

ახლა კი უკან მობრუნებული შორი ქვეყნიდან ვუბრუნდები მშობლიურ ბუდეს.

რამდენი ხელშეშლილი გეგმა, ოცნება, დარჩენილი ხორცშეუსხმელად! ძირს – მთა მაღალი, ნისლში მთვლემარე.

რამდენჯერ ფიქრი ჩემი ანაზდეულად თავს მოვლებია მწვერვალს იმ მთისას.

საათობით ვმჯდარვარ ამ ცაცხვის ქვეშ და ჩემი თვალი დაკარგულა ამ ჭალაკებში, ამ ტყეებში, იმ მთის გადაღმა.

მივუახლოვდი ქალაქს, შორიდან ვესალმები ნაცნობ სახლებს და წყნარ ბაღნარებს.

ყველა ახალი თვალში ეკლად მეჩხირებოდა. შეველ ქალაქის ალაყაფის კარებში და ჩემი თავი ვიპოვე ისევ.

გადავწყვიტე ჩვენი ძველი სახლის გვერდით დაბინავება.

მე შევამჩნიე ის სასკოლო ოთახი, სადაც მოხუცი მასწავლებელი ქალი ანაბანას გვასწავლიდა – იგი საწვრილმანო დუქნად გადაუქცევიათ.

რამდენი ცრემლი დამიღვრია ამ კედლებს შორის, რამდენი ბავშვური წუხილი მიგემნია ამ არეებში.

არც ერთი ნაბიჯი ისე არ გადამიდგამს ამ პაწია ქალაქში, რომ ჩემს წარმოდგენას არ მოზღვავებოდა მოგონება მოგონებაზე.

ვერც ერთი წმინდა ქვეყნებში მოხეტიალე მლოცველი ვერ განიცდის ალბათ იმდენ სათნო, მშვენიერ წუთებს, რაც მე ბავშვობის ჩემის არე-მიდამოში ვიგემე იმ დღეს.

მივყევი მდინარის ნაპირს იმ ადგილამდის, სადაც ბავშვები შევიყრებოდით და ბრტყელ ქვებს ხტუნვით გავაცურებდით წყლისა სიბრტყეზე.

რა ცხოვლად მახსოვს: ვაკვირდებოდი წყლის რონინებას, განცვიფრებული შევცქეროდი, ვფიქრობდი თანაც: სად მიდის ნეტავ იგი ჭავლი და ტალღა ტალღას ნეტავ საითკენ მიელალება? და ჩემი წარმოდგენის საზღვრებს ებჯინებოდა ეს ჩემი ფიქრი.

შეხედე, ვილჰელმ, ასე შეზღუდული და ბედნიერი იყვნენ ალბათ ჩვენი შორეული წინაპრები შორეულ დროში.

ასე ბავშვური იყო მათი შეგრძნება და პოეზია.

როცა ოდისევსი, დაუსრულებელ, განუსაზღვრელ მიწაზე და განუზომელ წყალთ სივრცეებზე მოგვითხრობს, ეს ისე ადამიანურია, გულთან ახლოს, და ამავე დროს საოცარი იდუმალეობა.

რას მშველის მერმე მე ის ცოდნა, რომ ყოველ მოწაფესთან ერთად შემიძლია მეც დაგიმტკიცო, რომ მიწა, ჩვენი დედამიწა, მრგვალია თურმე.

ადამიანს ხომ სულ მცირედი მიწის ნაჭერი ესაჭიროება ამ ცხოვრებაში და განსასვენებლად უფრო ნაკლები.

უკვე თავადის საბაზიერო სასახლეში მოვალწიეთ.

საამოა ასეთი ჩინებული ადამიანის სიახლოვეს ცხოვრება.

იგი უბრალო და კეთილშობილი ადამიანის ნიმუშია.

საოცარი ხალხი ახვევია თავადს გარშემო. ისინი არც ისე მუხანათნი უნდა იყვნენ, მაგრამ არც პატიოსანი ადამიანის აღნაგობა მოეპოვება მათ.

ხანდახან ისინი რიგიანი ხალხი მგონია, მაგრამ მე არც ისე იოლად მივენდობი ადამიანს.

რაც ყველაფერზე უფრო სამწუხაროა: თავადი ხანდახან ისეთ რამეებზე მსჯელობს, რაც მას მხოლოდ ყურმოკვრით აქვს განაგონი.

იგი ფრიად აფასებს ჩემს ცოდნას და ჩემს ტალანტს, უფრო მეტად, ვიდრე ამ ჩემს გულს. არსებითად გულია ჩემი სიამაყე, პირველსავე ყოველივე სიხარულისა, ძალისა თუ სიმძიმის.

აჰ, რაც მე ვიცი, იმას ყოველი შეიცნობს, მხოლოდ გულია ჩემი ერთადერთი საგანძური.

მაისის 25.

ერთი განზრახვა მქონდა ამ დღეებში, არც კი მინდოდა ეს თქვენთვის გამემხილა. ეს სურვილი მე არ ამიხდა. ამიტომაც გიმხელ.

ომში ვაპირებდი წასვლას. მიტომაც ჩამოვყევი თავადს ამ მხარეში.

ერთხელ, სეირნობის დროს გავანდვე თავადს ჩემი განზრახვა. მან მირჩია თავი შემეკავებინა.

მეც არ დავიჩემე და მისი დასაბუთება შევისმინე.

ივნისის 11.

როგორც გენებოს, ისე განმსაჯე.

აქ დიდხანს ველარ მოვიცდი. რა უნდა ვაკეთო აქ?! დრო განუსაზღვრელად გრძლად მეჩვენება.

თავადი ძლიერ კარგად მექცევა, მაგრამ მე მაინც თავს უხერხულად ვგრძნობ.

ბოლოს და ბოლოს, მე და თავადს არაფერი გვაქვს საერთო.

იგი გონიერი ადამიანია, მაგრამ ეს გონიერება ფრიად შეზღუდულია.

მასთან ბაასი მე ისე მართობს, როგორც გვარიანად დაწერილი წიგნის გადაკითხვა.

კიდევ რვა დღეს დავრჩები ამ არემარეში და მერმე ისევ გავუდგები გზას.

ერთადერთი, რაც აქ გავაკეთე, არის – რამდენიმე ნახატი.

თავადს ხელოვნების ალლო მოეპოვება, მაგრამ იგი უკეთ იგრძნობდა ხელოვნებას, მეცნიერული განსწავლა და ტრაფარეტული ტერმინოლოგია რომ არ უშლიდეს ხელს.

ივნისის 16.

დიახ, მე მგზავრი ვარ მხოლოდ, ამ ქვეყანაზე საღარიბოდ შემოხიზნული.

განა თქვენ ჩემზე მეტი ხართ?..

ივნისის 18.

საით მივდივართ?

14 დღეს კიდევ აქ დავყოფ.

მერმე იმ მადნის ქარხნების დასათვალიერებლად უნდა გავემგზავრო. ჩემი გამგზავრების ნამდვილ მიზეზს თუ იკითხავ, მინდა ლოტეს მივუახლოვდე – ესაა მთავარი.

და მე ვიციანი!

ჩემივე გულის ჭირვეულობა მაცინებს.

ივლისის 29.

არა, ეს კარგია.

ყველაფერი ჩინებულადაა.

რაო?

მე – მისი ქმარი?

ჰოი, ღმერთო, შემოქმედო ჩემო, ეს ბედნიერება რომ მოგენიჭებინა ჩემთვის, ჩემს ცხოვრებას ლოცვაში გავატარებდი.

მაჰატიეთ უნიათო სურვილი, მომიტევეთ მე ეს ამაო ოხვრა და ცრემლთა ფრქვევანი.

ლოტე – ჩემი ცოლი?

მთელს ქვეყანაზე ულამაზესი არსება ჩემს მკლავებზე?

ვილჰელმ, მე უხეირო ჟრჟოლა დამივლის ტანში, როცა ალბერტ მის აშოლტილ ტანს ხელს შემოავლებს.

რა ნება მაქვს მე ასეთი რამე წარვსთქვა?

თუმცა რატომაც არა?

ვილჰელმ, გარწმუნებ, ლოტე ჩემს ხელში უფრო ბედნიერიც იქნებოდა.

ალბერტს აკლია გრძნობიერება. როგორც გინდა, ისე გაიგე ეს სიტყვები.

მე და ლოტე ბევრ რამეში ვგავართ ერთმანეთს ჩვენის აზრებითა და გრძნობებით. მე ათასჯერ მყავს იგი დაცდილი.

ძვირფასო ვილჰელმ, თუმცა უნდა ითქვას, ალბერტს ძლიერ უყვარს ლოტე და ასეთი სიყვარული ღირსიც არის დაჯილდოების.

ვილაც აბეზარმა ხელი შემიშალა.

ცრემლები შემაშრა თვალებზე.

დავიბენი.

ვილჰელმ, მშვიდობით!

აგვისტოს 4.

განა მართო მე მომსვლია ამგვარი რამე?

ყოველ ადამიანს უქარწყლდება იმედი, ყოველ ადამიანს ღალატობს ბედი.

მე ვინახულე ჩემი კეთილი დიასახლისი ცაცხვების ქვეშ.

უფროსი ბიჭუნა შემომეგება, მისმა მხიარულმა ყიჟინამ დედამისიც მოიყვანა.

მისი პირველი სიტყვები: გულკეთილო ბატონო, იცით, ჩემი ჰანსი გარდაიცვალა (ჰანსი ყველაზე უმცროსი ვაჟი იყო).

ჩემი ქმარი შვეიცარიიდან ხელცარიელი დაბრუნდა და, ააშენოსო ღმერთმა, მეზობლებმა ხელი მოგვიმართეს, თორემ მათხოვრობა უნდა დაგვეწყო.

ვერაფრით ვანუგეშე ბედშავი და ორიოდ გროში ვაჩუქე მხოლოდ პატარას.

დედაკაცმა რამდენიმე ვაშლი შემომთავაზა.

გამოვართვი ბედშავს მცირედი მოსაკითხი და დავტოვე ეს მწუხარე მიდამო.

აგვისტოს 21.

ყოველ თვალის დახამხამებაზე მეცვლება გუნება.

ხანდახან სიხარულის შუქი შემომეპარება გულში და ერთ წუთში უკვე სხვა გრძნობა...

ხანაც ოცნება გამიტაცებს: ვთქვათ, ალბერტი უეცრად გარდაიცვალა.

მაშინ მე...

ან ის...

მივყვები, მივსდევ ამ ფიქრს და უცებ საზარი უფსკრული დააბჩენს ხახას ჩემ თვალწინ.

ამას წინათ ანაზდეულად გავიარე ის გზა, სულ პირველად ლოტე რომ წავიყვანე ბალზე.

საოცარია!

არავითარი რემინისცენცია. არც სიამტკბილე მოგონებისა.

თავს ისე ვგრძნობდი, როგორც ის სული, ოდესღაც დიდებული თავადის აწ გავერანებულ ციხე-დარბაზში რომ დაყიალობს.

სექტემბრის 3.

არ მესმის სწორედ, როგორ შეუძლია მას სხვა უყვარდეს, როცა მე იგი ასე გაშმაგებით, ისე ღრმად, ასე გასაოცრად მიყვარს, როცა მე სხვა არავინ მივის, არავინ მიყვარს, არავის ვეძებ, მის გარდა.

სექტემბრის 4.

ეს ასეა!

როცა ბუნება საშემოდგომოდ მოემზადება, შემოდგომა ისადგურებს მაშინ სულშიაც და გარეშემოც შემოდგომა გამეუფდება.

ჩემი ფოთლები მოყვითალო ხდებიან და ირგვლივ ხეებს დასცვენიათ ყვითელი ნეშო.

ვილჰელმ, არ მახსოვს, მე შენ თუ მოგწერე იმ გლეხის ბიჭზე, აქ, ვალჰაიმში რომ გავიცანი მოსვლის უმაღვე.

მე მოვიკითხე ის ვაჟი, ან რა ბედი ეწია მას?

მიაბებს: იგი სამსახურიდან გაუგდიათ კიდევ და არც არავის ნდომია მისი შეკედლება.

გუშინ, მახლობელ სოფლისკენ მიმავალმა თვალი მოვკარი მას.

ბედშავმა თავისი თავგადასავალი მიაბო და მეც ისე დამწვა მისმა თხრობილმა გული, არ შემეძლია არ გაგიზიარო.

თუმცა რად უნდა დაგალონო შენც ამ ამბით! არა სჯობს, ჩემთვის დავიტოვო სამწუხარო და სავალალო და შენც ამგვარად ჩემი დასაგმობი და გასაკიცხი მასალა არ მოგცე ხელში.

ეჰ, რა გაეწყობა, ჩემი ბედი ასეთი ყოფილა!..

ამ ვაჟმა მიაგებო, თუ როგორ მოერია იმ ქვრივის სიყვარული. ბოლოს მან თვითონ აღარ იცოდა, რა ექნა. თურმე სმა-ჭამაზედაც აიღო ხელი სიყვარულით გამშაგებულმა.

თითქოს ბოროტი სული დაეუფლა, ერთ საღამოს ოთახში შესდია ქვრივს, სმენა არ ათხოვა მის მუდარას და შეგონებას და ძალით მოინდომა მისი დაპყრობა.

ვაჟი ფიცულობდა, რომ მას ცუდი განზრახვა არა ჰქონია, მას სწყუროდა მხოლოდ სიყვარული და იმ ქალის ცოლად შერთვა.

ამ სიტყვებზე იგი დაიბნა და სიტყვა პირში გაეჩხირა...

ბოლოს ხმადაბლა, მოკრძალებულად გამომიტყდა, რომ ბოლოს მაინც მიაღწია თავის გულისწადილს, ქალმა დაიანლოვა და შეიწყნარა მისი გახლებული ვნება.

ამ ფურცელს რომ თვალი გადავაკვლე, დავრწმუნდი, რომ ამ ამბის ფინალი მაინც არ გადმომიცია შენთვის.

ჰო, და იმ ქალის ძმა ჩაერია საქმეში. მას თავიდანვე სძულებია ეს ვაჟი და მისი გაგდება უნდოდა თურმე.

ძმას ეშინოდა – დის გათხოვებით და შვილის ყოლით მის ბავშვებს მამულ-დედული დააკლდებოდა, ამიტომაც გააძევა მოჯამაგირე. ახლა იმ ქალს მეორე ვაჟი აუყვანია მოჯამაგირედ, აუყვანია და ძმა ახლა იმ მეორესაც გაგდებას უპირებს. ხალხში ხმაა, ქალი ამ ვაჟს გაჰყვება ცოლად. მაგრამ ჩემი ნაცნობი ყმაწვილი მონდომებულია, რადაც უნდა დაუჯდეს, სხვას არ გაატანოს ის ქალი.

რასაც აქა ვწერ, ყოველივე ნამდვილად და გადაუჭარბებლად მაქვს აღნუსხული.

უნდა შევნიშნო, ჩემი ნათხრობი სუსტია იმ ვაჟის ვნებიან გამოთქმებთან შედარებით, რადგან მე ჩვენი ჩვეულებრივი ზნეობის კარნახით ვერიდებოდი უხერხულ გამოთქმებს.

ეს ამბავი სიყვარულისა, ვნებისა და ტანჯვისა არამც და არამც პოეტური გამოგონება არ არის.

იგი ასე მომხდარა, ასე ცოცხლობს, ასე სუნთქავს მთელი თავისი თვალწარმტაცი სისპეტაკით იმ ჯურის, იმ კლასის ადამიანებს შორის, რომელთაც ჩვენ გაუთლელ, უხეშ ადამიანებს ვუწოდებთ ხოლმე.

ჩვენ განათლებულნი – გონებაჩლოუნგნი! მე გთხოვ ეს ამბავი სათნოდ მოისმინო.

ხომ ხედავ, ყოველივე ამას როგორი დაწყობილი ხელით ვწერ? გადაიკითხე იგი გულდასმით, ჩემო კარგო, რადგან ამავე დროს შენი მეგობრის ამბავიც არის.

მეც ასე მომივიდა, მეც ასე მომივა, თუმცა მე არც ისე გამბედავი ვარ, არც ისე ჯიქური, როგორც ეს ბედშავი მოჯამაგირე, რომელსაც მე ვერც კი შევედრები.

სექტემბრის 5.

ლოტეს წერილი მიუწერია სოფელში წასული ქმრისთვის. ბარათი ასე იწყებოდა: „ძვირფასო, საყვარელო ჩემო, ჩამოდი, რაც შეიძლება, მალე, მალე ჩამოდი. გიცდი მოუთმენლად“.

მალე ამბავი მოვიდა, ალბერტი კიდევ რამდენიმე დღეს დარჩებოდა იქვე. ეს წერილი აქ დარჩენილიყო და საღამოს ხელში ჩამივარდა. მე გადავიკითხე და გამეცინა.

მან ჩემი ღიმილის მიზეზი გამოიკითხა: ჩვენი წარმოდგენა ხომ ჭეშმარიტად ღვთიური ძღვენია; მე ერთ წუთში წარმოვიდგინე, ვითომ ჩემდამი ყოფილიყო ეს ბარათი მონაწერი.

ლოტეს, როგორც სჩანს, ეს არ მოეწონა, სიტყვა გამაწყვეტინა და მეც დავდუმდი.

სექტემბრის 6.

როგორც იქნა, გადავწყვიტე: ჩემი ცისფერი ფრაკი, რომელშიაც პირველად გავიცანი ლოტე, აღარ ჩამეცვა მეტად. ახლა მეორე შევუკვეთე სწორედ იმავე ფერისა და იმავე ფასონის.

შევიკერე აგრეთვე ყვითელი ჟილეტი და ფრაკის შესაფერი ძიქვა. პირველად რადაც მეხამუშება, ალბათ გავა დრო და მომეწონება.

სექტემბრის 12.

ლოტე რამდენიმე დღე სხვაგან იყო, ალბერტის ჩამოსაყვანად.

დღეს მის ოთახში შევედი; წინ შემომეგება, ხელზე ვეამბორე. ერთმა იადონმა სარკესთან გაიფრთხილა და მხარზე შეაჯდა ლოტეს.

– ახალი მეგობარი!

წარმოსთქვა მან და ხელის გულზე გადმოიტყუა – ეს ჩიტი ჩემი პატარისთვისაა მინიშნებული.

შეხედეთ, როცა პურს მივაწვდი, ფრთებს აფარფატებს და კენკვას დაუწყებს.

შეხედეთ, როგორ მკოცნის.

როცა ლოტემ პირი მიუშვირა, ფრინველმა ნისკარტი შეუყო ტუჩებს შორის. თითქოს გრძნობდა მის ბაგეების სიტკბობას.

– თქვენც უნდა გაკოცოთ იადონმა, – წარმოსთქვა ლოტემ და ჩიტი მომაშვირა.

იადონის ნისკარტმა გზა გაავლო მის ტუჩებსა და ჩემს შორის და მისი ნისკარტის ნელმა კორტნამ სიყვარულით სავსე ალერსი მომაგონა.

– მისი კოცნა, – ვამბობდი მე, – არც ისე უანგაროა, იგი საზრდოს ეძიებს და ცარიელი ალერსით უკმაყოფილო უკუიქცევა ისევ.

– იგი ჩემი პირიდანაც სჩვევია ჭამას, – სთქვა ლოტემ.

ფინჩები დაიყარა ცერზე და გულუბრყვილოდ გულშემატკივარი სიყვარულის ელვა იღიმებოდა მის ბაგეებზე.

მე სახე ავარიდე.

არ უნდა ჩაიღინოს ასეთი რამეები.

არ უნდა გააღიზიანოს ჩემი, ყოველდღიურობის შვავში ჩაფერფლილი ფანტაზია ან ციურად უმანკო სურათებით და სიმბოლოებით, გესმის?

მაგრამ, რატომაც არა?

იგი მენდობა, და კარგად იცის, როგორაც მიყვარს.

სექტემბრის 15.

საოცარი ბრაზი მოგივლის, ვილჰელმ, როცა მათ მოიგონებ, რომელნიც იმ მცირე სამკაულს ცხოვრებისას არც კი აფასებენ, – რაც ასე ამშვენებს მიწიერ ცხოვრებას.

შენ იცნობ იმ კაკლის ხეებს, ვილჰელმ, სტ-ს ხუცესის კაკლის ხეებს, რომელთა ჩრდილში მე და ლოტე ვისხედით ერთხელ; ის საუცხოო კაკლის ხეები ჩემს სულს დიდი სიხარულით ავსებდნენ მუდამ.

როგორ ამკობდენ და აგრილებდენ ისინი ხუცესის ეზოს!..

და მოგონება იმ პატიოსანი სულიერი მამისა, რომელსაც ეს ხეები დაურგავს ოდესღაც. სკოლის გამგემ არაერთხელ ახსენა მისი სახელი (თავის პაპისგან ჰქონია განაგონი): იგი ჩინებული კაცი ყოფილა და მისი სახელი მოკრძალებით და წმინდად იხსენიებოდა ამ ხეთა შორის.

გუშინ ჩვენ ამ კაკლის ხეების მოჭრაზე ვსაუბრობდით და სკოლის გამგეს ცრემლები მოადგა თვალებზე.

მოუჭრიათო? ლამის იყო, გავგიჟდი. სიამოვნებით ჩავაძაღლებდი იმ არამზადას, ვინც პირველად ცული მოუღერა იმ კაკლის ხეებს.

მთელი სოფელი გულნატკენად ბუზღუნებს და მე მგონია მღვდლის ცოლს მრავალი პატივისცემა (კარაქის, კვერცხების გაგზავნა და სხვა) უთუოდ დააკლდება.

ეს ახალი მღვდლის ცოლია (ბებერი ხუცესი გარდაცვლილა).

საძაგელი, გამხმარი, სნეული არსებაა, ყველა სძულს და არც იგი უყვარს აქ ვინმეს.

გატეტეჩებული, ტუტუცი დედაკაცი, რომელსაც ძლიერ განათლებულად მოაქვს თავი კანონების გარკვევაში, ხელებს ურევს და ბევრს მუშაობს ახალი მოდის ქრისტიანობის მორალურ-

კრიტიკული რეფორმაციისთვის, ლაფატერის ოცნებებზე მხრებს იჩეჩავს, მთლად დაძაბუნებული აგებულების პატრონია და ამიტომაც ამ მიწაზე არავითარი სიამე არ უღიმის.

მხოლოდ ასეთ უნიათო ქმნილებას თუ შეეძლო ჩემი კაკლის ხეების მოჭრა.

თურმე ამ ხეების საუცხოო ჩრდილი, მისი აზრით, ეზოს აბნელებდა, ფოთლების ცვენა მიდამოს ბილწავდა, და მწიფე კაკალს, ბავშვები რომ ჭოლოკებითა და ქვებით დაუწყებდნენ ჩამობერტყვას, ეს მის ნერვებზე მოქმედებდა – და ყველაფერი ეს მას ხელს უშლიდა კენიკოტის, ზემლერის და მიხაელისის გარჩევაში.

განსაკუთრებით მოხუცებია სოფელში ამ ამბის გამო გულაღრენილი.

მე შევეკითხე მათ: რისთვის მოაჭრევენეთ მერე, თუ ასე გიყვარდათ ეს კაკლის ხეები-მეთქი?

– როცა სოფელში მამასახლისი და მღვდელი რამეს მოინდომებენ, ჩვენ რა გვეთქმის.

ოფ, მე რომ თავადი ვიყვე, შავს დღეს დავაყენებდი ერთსაც და მეორესაც; მაგრამ მე რომ თავადი ვყოფილიყავი, არც კი მოვიკითხავდი ალბათ ამ ხნიერ კაკლის ხეებს ჩემს მამულში!..

ოქტომბრის 10.

როცა მე მის შავს თვალებს შევცქერი, გულზე ბინდი გადამეყრება.

ვატყობ: ალბერტი არც ისე ბედნიერი უნდა იყოს, როგორც მე ეს მეგონა.

ოქტომბრის 12.

ოსიანმა ჰომეროსი გააძევა ჩემი გულიდან.

თვალწარმტაც სამყაროში შეჰყავხარ პოეტს.

დახეტილობა გრიგალით გადაქექილ ველებზე და მთის თხემებზე, ნისლების ლეჩაქებს რომ დაფხრიწავს შუქი მთვარისა, გაისმის მაშინ გარდაცვლილ მამების სულთა მოთქმანი.

მთების ქიმიდან გადმომდგარან გვირაბებიდან გამოსული მკვდარი სულები და გაისმის ხავსით მოსილ მხედრების საფლავების ლოდებზე მტირალ მიჯნურთა კვნესა-გოდება.

ან და ველებზე მოხეტიალე ჭალარა ბარდი თავის წინაპართა ნატერფალებს რომ ეძებს ველად და ასე საფლავის ლოდებს პოულობს მხოლოდ, გულგასენილი გასცქერის მერმე მწუხრისა ვარსკვლავს, აქოჩრილ ზღვისა გავას გაღმა მიჩქმალულს, და წარსულ დროთა ლომგულ გმირების მზეგადასული სულები რომ გაცოცხლდებიან. და მერმე იგი მომღერალი წარსულ დიდების მზეგადასულთა ლანდებს გამოიწვევს ისევ აწმყოში ჯადოსნურ ძალით და გაცივებულ მიწას დაჰხედავს მაშინ და დაიძახებს: მოვა ის მგზავრიც, ვისაც ერთხელ მე ვუნახივარ მშვენებით სავსე და მკითხავს კიდეც: სად წავიდა, სად წავიდა ეს მომღერალი სწორუპოვარი ძე ფინგალისა? მის ნატერფალი ხომ ატყვია ჯერ კიდეც მიწას, და იგი კიდეც მე დამეძებს ხმელეთის პირზე.

ჰოი, მეგობარო ჩემო, კეთილო!

მინდა ამ წუთში მეც ვიშიშვლო ხმალი, ვით ერთგულმა თანამეაბჯრემ და ჩემი თავადი გამოვიხსნა ამ ცხოვრების სიღუბნურიდან და გათავისუფლებულ ღმერთკაცს გავაყოლო თან ჩემი სული.

ოქტომბრის 19.

აჰ, ჩემი გული დიახაც გრძნობს საშინელ დანაკლისს.

და ვფიქრობ ხშირად, თუნდაც ერთხელ, ერთხელ მაინც რომ შემეძლოს მკერდზე მივიკრა ღვთაება ჩემი, ეს დანაკლისი სამუდამოდ შემევესებოდა.

ოქტომბრის 26.

მე დღითი დღე ვრწმუნდები, ჩემო კარგო, რომ ადამიანის ცხოვრებას დიდი ფასი არა აქვს მაინცდამაინც. რაც უფრო მეტი ხანი გადის, მით უფრო მკვიდრდება ეს აზრი ჩემში.

ლოტეს ერთი მეგობარი ქალი ეწვია. მე მახლობელ ოთახში შევედი, წიგნი ავიღე, ველარ ვიკითხე, მერმე კალამს წამოვაგლე ხელი და წერა დავიწყე.

ქალები ხმადაბლა უმნიშვნელო რამეებზე საუბრობდნენ.

ესა და ეს თხოვდება, ის ავად გამხდარა, მეორეს ხველა სჭირვებია, მესამეს ყბის ძვალი გამოვარდნია, იმას გულის წუხილი ჰქონია. B-ც ცუდად გრძნობს თურმე თავის თავს. ის მთლად

დასივდა, – შენიშნა სტუმარმა.

და ჩემმა ფანტაზიამ უკვე მომაკვდავი ქალის სარეცელთან მიმიყვანა და ვხედავ, თუ როგორ შეაქცია სულთმობრძავმა სიცოცხლეს ზურგი.

და ქალები გულგრილად ბაასობენ, თუ როგორ კვდება მათთვის უცხო ადამიანი.

და მე თვალი მოვაღვლე ოთახს გარშემო. ეგერ ლოტეს ტანისამოსი, მაგიდაზე მისი საყურეები აწყვია, ალბერტის ნივთები, ეს ავეჯი და საგნები, ყოველივე ეგზომ ნაცნობი და ჩემთვის მახლობელი, თვით ეს საწერკალამი, ყოველივე და ყველაფერი.

რა ვარ მე ამ სახლში? ჩემი მეგობრები პატივსა მცემენ. მიუხედავად ამისა, მე რომ აქედან წავიდე და ამ წრიდან გამოვითიშო, ისინი კარგა ხანს იგრძნობენ დანაკლისს, მაგრამ რამდენ ხანს?

ო, როგორ წარმავალია ადამიანი, ვიდრე იგი თანადამსწრეა თავის წრის და თავის გარემოს, იგი კიდევაც ახდენს მათზე შთაბეჭდილებას და როცა წავა, გაეცლება საყვარელ საგნებს, ძვირფასს არსებებს, წარიხოცება და უწყალოდ წარიშლება მისი კვალი ამ ცხოვრებაში.

ოქტომბრის 27.

ხანდახან მინდა მკერდი გავიპო და გადმოინთხას ამ უბედურ თავის ქალიდან თუნდ ჩემი ტვინი.

თუ სიყვარული, სიბო, სიტკბოება თან არ დამყვება სადაც წავალ, ამას ყველაფერს მე სხვა ბედი ველარ მომაგებს, და ვერც მე ვუთმობ გულს ჩემს მოყვასსაც ნეტარ გრძნობებით, თუ იგი დამხვდა გულგამოჭმული, სულით სნეული.

სადამოს.

ჩემი გულის სავსება მასზე ფიქრით იშრიტება. ჩემი სულის სავსება უიმისოდ რაა, თუ არ არარაობა!

ოქტომბრის 30.

განა ერთხელ და ასჯერ მომივლის აზრი – გადავებვიო. ყელს შემოვჭედო!..

ღმერთო მაღალო, შენ კარგად იცი, რა ძნელია: თვალთ ხედავდე ეგზომ დიდს ცთუნებას და არ შეგეძლოს ხელი შეავლო. და სანატრელ საგნების ხელის შეხება ხომ ბუნებრივი მოთხოვნილებაა ადამიანისა!

განა ბავშვები ხელს არ წაავლებენ ყველაფერს, რაც მათ თვალში მოეწონებათ.

და მე?..

ნოემბრის 3.

ღმერთი მყავს მოწმედ, ყოველ ღამეს იმ იმედით ვიძინებ, რომ მეორე დღეს დილის ნათელსა მზეს ველარ შევესწრო.

დილით თვალს ვახელ, მზე თავზე წამადგება და განუსაზღვრელად უბედური ვარ.

მე რომ უჟმური ხასიათის პატრონი ვიყვე, უგუნებობას ან ბუნებას დავაბრალებდი, ან სხვას რამეს – და სულის ქენჯნაც არ მექნებოდა ასეთი მძაფრი.

ვაი მე, რომ კარგად ვიცი: ყველაფერში თვითონ მე ვარ დამნაშავე და სხვა არავინ და არაფერი.

კმარა, ცხადია ჩემშია საძებარი ყოველივე უბედობის და წამების პირველსათავე ისევე, როგორც ნეტარებისა და სიტკბოებისა.

განა მე იგი არა ვარ, გრძნობათ-სავსებით რომ ვიყავი გალაღებული, ვისაც ისეთი მოსიყვარულე გული უძგერდა ოდესღაც მკერდს ქვეშ, რომ მთელს ქვეყანას თავს ევლებოდა – სიყვარულითა და ზრუნვით აღსავსე. და დღეს მე ვხედავ: მოკვდა ეს გული, აღარ გამოსჩქეფს მის წიაღიდან არც აღტაცება, არც ნეტარება, დამიშრენ თვალნი და ეს გრძნობებიც ველარ მომირწყავს ტკბილი ცრემლებით და შემეჭმუნა შუბლის ნაოჭი.

მე ვიტანჯები, რადგან, ვაჰმე, დამიკარგავს ცხოვრების ჩემის მაცოცხლებელი ძალა წმინდა და სანუკველი, რომელიც ჩემ გარშემო ქმნიდა სამყაროს ჯადოსნურ ძალით აღმოცენებულს.

და დილით, როცა მზე გააშუქებს ჩემს სარკმლის გასწვრივ მთვლემარე ველებს და მდინარეს მოჩნრიალეს თხემებს გადაღმა და ჩემი სული დაწრეტილი მიწიერ შვებით გულხელდაკრეფით შეაჩერდება ბუნების სურათს მომხიბვლელსა და სანეტაროს, მაშინ მიწაზე დავეცემი –

ვლოცულობ ისე, როგორც მთესველი ნოყიერ წვიმებს რომ გამოსთხოვს ლოცვით შემოქმედს.

მაგრამ ასე ღმერთი წვიმებს არ ჰგზავნის ჩვენისთანების უნიათო ლოცვის გამგონე.

ნოემბრის 8.

ლოტემ მისაყვედურა: ამ ბოლო ხანს უცნაური ექსცესები რად დაგჩემდაო?

ჩემი ექსცესები?

აღბათ იმას თუ გულისხმობს კეთილი ლოტე, რომ სადილად ერთი ჭიქის ნაცვლად მთელ ბოთლ ღვინოს გამოვცლი ხოლმე.

– ნუ სჩადიხართ ამგვარ რამეებს.

იფიქრეთ ცოტა და მიხედეთ თქვენს ლოტეს.

– განა მე უნდა მჭირდებოდეს ამის გახსენება?

– მე მგონი.

– მე ყოველ წუთში თქვენზე ფიქრით ვარ შეპყრობილი.

დღეს იმ ადგილას ვიჯექი, სადაც თქვენ ამას წინათ ეტლიდან გადმოხტით, მან სიტყვა ბანზე ამიგდო, რომ დეტალები არ მომეგონებინა.

ძვირფასო, მე ვილუპები.

რაც მოესურვება, იგი მიყოს, ჩემთვის სულერთია.

ნოემბრის 15.

გმადლობ, ვილჰელმ, გმადლობ გულითადი თანაგრძნობისთვის, მეგობრული რჩევისთვისაც. გთხოვ, შენ დამშვიდდი ოღონდ.

მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ დავიქანცე, მე კიდევ საკმაოდ ძალა მომეპოვება.

შენ იცი, მე ანგარიშს ვუწევ სარწმუნოებას – იგი ხომ მრავალ მაშვრალს ყავარჯნად გამოსდგომია.

მაგრამ ყველას ხომ არ გამოსდგომია იგი ყავარჯნად? მიმოიხედე ვრცელ სამყაროში, ნახე ათასები, რომელთაც ეს ყავარჯენი არ გამოსდგომიათ, არც მერმისში გამოადგებათ.

განა თვით ძე კაცისა ამას არ ამბობს: ჩემ გარშემო მხოლოდ ისინი იქნებიან, რომელთაც მამაზეციერი მე მომანიჭებს.

და თუ მე არა ვარ მისადმი მინიჭებული?

ეგებ მე მამაზეციერმა თან დამიტოვოს?

გთხოვ, ეს ნათქვამი ყალბად არ გაიგო.

ნურც დაცინვად ჩამომართმევ ამ უბირ სიტყვებს.

გულწრფელად, სავსებით გულწრფელად ვაღიარებ ყოველივეს შენ წინაშე.

ჩემო კეთილო, რა არის ეს, თუ არ ბედი კაცისა, დაცლა ფიალის ბედისწერით გადმორწყულისა?

თვით ძეს კაცისას ხომ ემწარა ფიალა იგი, კაცურ ბაგითა განასინჯი და ნაგემები, და ან მე რად უნდა მოგატყუო, ვითომაც ტკბილად ეს ფიალა მეჩვენებოდეს.

ან რისთვის უნდა მრცხვენოდეს იმის, ჩემი სხეული რომ კრთის შიშით, ყოფნა-არყოფნის მიჯნებამდის რომ მივაღწიე.

როცა წარსული ისე ბრწყინავს, როგორც რომ ელვა ბნელ უფსკრულებზე გარდატყორცნილი და ჩემ გარშემო მთელი სამყარო იძირება ნელ-ნელა ბნელში.

განა ეს უფსკრულს დაწაფებულ არსებისა ხმას არ წააგავს: უფალო, უფალო, რისთვის დამტოვე მე შენს კიდევან?

რისთვის, რისთვის უნდა მრცხვენოდეს თუნდ ამ გამოთქმისა, როცა ისიც კი ვერ ასცდა ამას, ვინც ზეცის რიდეს მძლე ხელებით ისე დაგრაგნის, ვით ხამლის ნაჭერს რამ უმნიშვნელოს.

ნოემბრის 21.

იგი ვერ ხედავს, იგი ველარ გრძნობს, რომ მან სამსალა განმიმზადა და მიმაყენა სიკვდილის პირას. და ვეწაფები გულმოდგინედ სავსე ფიალას, მისი ხელითა ჩემკენ გამოწვდილს.

მას მოასწავებს ან ის კეთილი მზერა ხშირად, ხშირად მოპყრობილი...

არც, არც ისე ხშირად, ხანდახან ჩემი ბაგიდან ამოსკდება სიტყვა ვით ელდა; ის ყურად იღებს და შემომხედავს და თანაგრძნობა ეხატება სათნო სახეზე.

გუშინ სალამოს, შინ წასვლა რომ დავაპირე, ლოტემ ხელი გამომიწოდა და მეუბნება: მშვიდობით, ძვირფასო ვერტერ.

ძვირფასო ვერტერ!

ეს პირველად წამოცდა ლოტეს და ამ სიტყვებმა ჟრუანტელად დამიარა ძვალსა და რბილში.

ვინ იცის, რამდენჯერ გავიმეორე მერმე გზადაგზა მე ეს სიტყვები.

და დაწოლის დროს, როცა ჩემთვის რაღაცებს ვროშავდი, ხმამალლა უცებ წამცდა: ღამე მშვიდობის, ძვირფასო ვერტერ.

მერმე ისევე მე დავცინე ჩემსავე თავს.

ნოემბრის 22.

არ ძალმიძს ლოცვა: მომეცით იგი. და მაინც ჩემად მეჩვენება იგი ხანდახან.

არ ძალმიძს ლოცვა: მე დამანებეთ.

და იგი სხვისა ყოფილა თურმე.

მე ჩემსავე ტკივილებს ვეხუმრები, ვეთამაშები.

ბოლომდის რომ მივყვე, თავისთავად შესდგებოდა ანტიტეზების მთელი ლიტანია.

ნოემბრის 24.

იგი გრძნობს, თუ როგორ ვიტანჯები.

მისი შემოხედვა დღეს გულის სიღრმეში ჩამწვდა.

იგი მარტო დამხვდა.

მე არაფერი ვუთხარი.

მან შემომხედა.

მე ველარ ვნახე მასში მშვენიერება. მე ველარ ვნახე მასში გონების ნაპერწკლის ელვა. ეს ყოველივე გაჰქრა, თითქოს გაუჩინარდა.

სამაგიეროდ, მის შემოხედვაში მე თვალი ვჰკიდე ტკბილ თანაგრძნობის შუქსა საამურს.

რად არ შემეძლო ჩავვარდნოდი იმ წამში ფეხქვეშ? რად არ შემეძლო ათასი კოცნა აღმებეჭდა მე მის კისერზე?

მან პიანინოს მიაშურა და თავისი ჰარმონიული ხმა ჩააქსოვა კლავიშთა აკორდს.

მე შევტორტმანდი უტეხი ვნებით აღტყინებული. წელში გამდრიკა უხილავმა ძალამ, თავი ჩავქინდრე და დავდე ფიცი: არასოდეს, არასოდეს მოვინდომო, მაგ ბაგეებზე რომ აღვბეჭდო კოცნა მგზნებარე.

იმ ბაგეებზე – ციურნი არსნი რომ დაჰქრიან უცხო შეფრფენით.

ხომ ხედავ, როგორც კედელი აღიმართა ეს ნებისყოფა ჩემ წინაშე! როგორც კედელი!

ეს ნეტარება!

და უფსკრული!..

და ცოდვების მონანიება?

ცოდვების...

ნოემბრის 26.

ხანდახან ჩემს თავს ვეუბნები: შენი ბედი უბადლოა და ერთადერთი.

არავის ხვდომია ტანჯვა ამდენი.

მერმე რომელიმე ძველი დროის პოეტს გადავფურცლავ და ისეთი გრძნობა მაქვს: ჩემსავე გულს ვხედავდე ცხადლივ.

ნოემბრის 30.

ვერ გამოვფხიზლდი, ვერ დავშოშმინდი.

სადაც კი წავალ, წინ შემეყრება მოჩვენება, ელდა მეცემა.

დღეს.

ჰოი, ბედო!

კაცობრიობავ!

წყალს მივაშურე სადილობისას.

მადა არა მაქვს, კარგა ხანია.

უდაბნოდ მომეჩვენა მე ეს გარემო.

ცივი, ნოტიო წალიკონი და ღრუბლები ტუტისა ფერი ჩამოერეკა ქარს მთებიდან ამ ხეობაში.

შორიდან ვხედავ ვიღაც კაცს, გაცვეთილ მწვანე ტანისამოსში, რომელიც კლდეებს შორის დაბობლავს და რაღაც ბალახებს დაეძებს ალბათ.

ჩემი ფეხის ხმა რომ გაიგონა, სახე მოიღრიალა ჩემკენ და მისი გამომეტყველება არც ისე ურიგოდ მეჩვენა. ეს იყო მხოლოდ, საშინელი მწუხარების ჩრდილი გადაჰკვროდა ბედშავ სახეზე.

შავი თმა ქინძისთავებით დაემაგრებინა, ნაწილიც ნაწნავებად დაეწნა და მხრებზე ეფინა.

მე გამოვკითხე, თუ რას ეძებდა.

– ვეძებ ყვავილებს და ვერ ვპოულობ.

– შესაფერი დროც ვერ შეგირჩევიათ ამ საქმისთვის.

– ყვავილები? ო, როგორ არა, ყვავილები ძლიერ ბევრია.

წარმოსთქვა მან და მომიახლოვდა.

ჩემს ბაღნარში ორნაირი ჯიშის ვარდები და ზამბახები ყვავიან, ერთი მამამ მაჩუქა, ისინი ჯინჭრებივით იზრდებიან.

ახლა მე დავეძებ და ველარ მიპოვია ჩემი ყვავილები. გარეთ ბევრია წითელი, ყვითელი და თეთრი ყვავილი, იასამნის ჩირგვს საუცხოო ყვავილი სჩვევია, ახლა ველარ ვნახულობ, ოღონდ ეს არის.

ფრთხილად შევეკითხე, თუ რად სჭირდებოდა ყვავილები?

საოცარმა ღიმილმა გაიელვა მის სახეზე.

სალოკი თითი ტუჩთან მიიტანა და მეუბნება: თუ არ გამცემ, გეტყვი: ჩემს მიჯნურს ყვავილის გვირგვინს შევპირდი.

– ეს ჩინებული აზრია.

– ო, მას სხვა რამეებიც მოეპოვება, მას სამკაულებიც და გვირგვინიც არ აკლია.

– რა ჰქვია თქვენს მიჯნურს?

– ო, სახელმწიფომ რომ ფული მომცეს, მე სხვა ვინმე ვიქნებოდი. თუმცა ისეთი დროც იყო, მე უკეთ ვგრძნობდი თავს. ახლა გავთავდი და ესაა.

მე ახლა ხომ ვხედავ – წარმოსთქვა და თვალცრემლიანმა ახედა ცას.

– ბედნიერი იყავი, არა?

შევეკითხე მე.

– ასე რომ მინდოდეს, ისევ ისეთი ვიქნებოდი. მაშინ ისე მსუბუქად ვგრძნობდი თავს, როგორც

თევზი წყალში.

– ჰაინრიხ, – დაუძახა მას შორიდან მოხუცმა ქალმა, – ჰაინრიხ, სად დახეტიალობ? ყველგან გეძიეთ, ვერსად გნახეთ, გიცდით სადილად.

– ეს თქვენი შვილია, ქალბატონო? – ვეკითხები მანდილოსანს.

– დიან, ჩემი საცოდავი ვაჟი, – მიჰასუხა ბედშავმა.

– ღმერთმა მძიმე ჯვარი დამაკისრა.

– რამდენი ხანია ასეთ მდგომარეობაში?

– ასე წყნარად სულ ნახევარი წელი. მადლობა ღმერთს კიდეც, წინათ უარესად იყო. ჯაჭვებით შეკოჭილი ჰყავდათ საგიჟეთში.

ყოველთვის მეფეებსა და იმპერატორებს ეტოქება. იგი წყნარი, მშვიდი ადამიანი იყო, ერთხელ გააცივა, მერმე გაგიჟდა მოულოდნელად.

აჰ, მე რომ ამის ამბავი მოგიტხროთ, ბატონო...

მე შევაწყვეტინე მოხუცს: – ის რა დრო იყო, ეს ბედშავი რომ მეუბნება, ასე კარგად ვგრძნობდიო ჩემს თავს?

– ეჰ, ბედშავი, იმ დროს გულისხმობს იგი ალბათ, როცა საგიჟეთში იყო გამომწყვდეული.

მე ამ სიტყვებმა დამზაფრა, ოქროს ფული ჩავუდე მოხუცს ხელში და საჩქაროდ გავეცალე.

და შენ ბედნიერი იყავი, როცა ასე კარგად გრძნობდი თავს, როგორც თევზი წყალში.

ღმერთო სახიერო!

ვამბობდი ჩემთვის.

ნუთუ ეს შენი განაჩენია, რომ ადამიანი მხოლოდ მანამდის გრძნობს ბედნიერებას, ვიდრე გონს მოვა, ან როცა გონებას დაკარგავს სავსებით.

ბედკრულო!

მე მეხარება შენი გონების ამღვრევა! შენ სასოწარკვეთილი დახეტიალობ, რომ შენი გულის დედოფალს ყვავილები მოუკრიფო – ამ შუა ზამთარში. და სწუხხარ, რატომ ველარ პოულობ. არ გესმის, რატომ ველარ პოულობ.

და მეც უსასოოდ გამოვდივარ სახლიდან, უსასოოდ დავხეტიალობ და ასევე უკან ვბრუნდები.

და შენ გგონია, ფული რომ მოგცენ და ჯამაგირი, შენ უთუოდ ბედნიერი იქნებოდი, ბედშავო. მაგრამ მაინც ნეტარო, შენი უბედობის მიზეზად ამქვეყნიური დაბრკოლება მიგიჩნევია? და ველარც კი გრძნობ, შენი უბედობის მიზეზი შენს დაბნელებულ გონებაში, შენს იავარქმნილ გულშია ჩაფლული და უამისოდ თვით ამქვეყნიური მეფეები ვერას გიშველიან.

იგი უნდა დაიღუპოს, ვინც ავადმყოფს დასცინის, რომელიც შორეულ სათავეს დაეძებს, თავის ტანჯვათა გამამრავლებელს, ვინც სინდისის ქენჯნის დასაოკებლად წმინდა ადგილებზე საღარიბოდ დაეხეტება.

ყოველი ნატერფალი მისი მიწისპირზე გადარჩენილი წვეთია, მისი შემკრთალი სულის მალამოს მომცხები. და თქვენ ფუჭ ოცნებას უწოდებთ ამას, თქვენ, სიტყვებით მოვაჭრენო?

ფუჭი ოცნება?

უფალო, შენ ხომ ხედავ ამ ჩემსა ცრემლებს?

მამაო სახიერო, უცნობო, ჩემ მიერ უხილავო, შენ, რომელიც ოდესღაც ჩემს სულს სათნოებით აღავსებდი და აწ პირი უკუგიქცევია ჩემი არიდან, მიხმე, მამაო.

ნუ სდუმხარ, კმარა.

ან როგორ შეუძლია მამას იმ წუთებში დუმილის დაცვა. როცა უძლები შვილი მამის წიაღად მობრუნებული ყელს მოეჭდობა და ეტყვის ასე: მე შენთან ვარ ისევე, მამა, ნუ განრისხდები, რომ ჩემი ღარიბობა ამქვეყნად უნდა შევწყვიტო, რადგან ასეთი იყო შენი ნება, შენი სურვილი.

სოფელი ესე ხომ ყოველგან ერთი და იგივეა სიხარულსა, ტანჯვასა და შრომაში ჩაფლული.

მაგრამ რაი არს ეს ყოველივე? მე მხოლოდ იქ ვიგრძნობ შვებას, სადაც შენა ხარ და შენს სიახლოვეს მინდა დავტკბე, მინდა ვიტანჯო. და შენ, საყვარელო, მამაო ზეციერო, ნუ ხელსა ჰკრავ ამგვარ უძღებ შვილს!..

დეკემბრის 1.

ვილჰელმ, ის კაცი, რომელზედაც წელან მოგწერე, ის უბედური, ის ბედნიერი, ლოტეს მამის მწერალი ყოფილა თურმე.

და მერმე დიდხანს ჰყვარებია საცოდავს ლოტე. დიდხანს უმაღლავს გულის სიღრმეში, შემდეგ ჭირს თავი არ დაუმაღლავს.

ლოტეს მამას სამსახურიდან დაუთხოვნია – გაგიჟებულა.

შენ ამ რამდენიმე სიტყვიდან გაიგებ, როგორ ამართოლა მე ამ ამბავმა, რომელიც ალბერტმა ისე გულგრილად მიაშო, როგორც შენ გადაიკითხავ ალბათ ამ წერილს.

დეკემბრის 4.

ვილჰელმ, მე დიდხანს ვერ გავუძლებ ამ ამბებს.

დღეს მის გვერდით ვიჯექ.

იგი თავის პიანინოზე უკრავდა სხვადასხვა მელოდიას.

მისი დაია ჩემს მუხლებზე დედოფალას ათამაშებდა.

მე ცრემლები მომერია.

თავი ჩავჭინდრე და მისი ნიშნობის ბეჭედი თვალში მომხვდა.

ცრემლები ღაპალუპით ჩამომდიოდა ლოყებზე.

უცებ მან ის ძველი, ჩემი საყვარელი მელოდია წამოიწყო.

ჩემს სულში იმედის სხივმა გაიელვა, წარსულის მოგონებამ გამახალისა, ავდექ და გავიარ-გამოვიარე დარბაზში.

ღვთის გულისათვის, ღვთის გულისათვის მიატოვეთ დაკვრა.

იგი შეჩერდა და იჩქითად შემომამტერდა.

– ვერტერ, – მითხრა ლოტემ ნელი ღიმილით, – თქვენ ავადა ხართ, მეგობარო, თქვენი საყვარელი მელოდიებიც გულს გისერავენ. დამშვიდდით, გთხოვთ თავი დაიმშვიდოთ.

მე გავცილდი მას, გავეცალე.

ღმერთო, მაკმარე, მაკმარე ესოდენი ტანჯვა და ვნება.

დეკემბრის 6.

მისი აჩრდილი არ მასვენებს.

მისი აჩრდილი ყველგან თანა მდევს.

თვალს რომ დავხუჭავ, თვალს რომ გავახელ, ყველგან, ყოველთვის თვალწინ – მისი თვალები.

მე ამ გრძნობის გამოთქმაც მიმძიმს.

თვალს რომ დავხუჭავ, როგორც უფსკრული, როგორც ზღვა მელანდება ეს თვალები.

რა საცოდავია ადამიანი, ეს ნაქები ღმერთკაცი!..

მას სწორედ იქ დააკლდება ძალა, სადაც ყველაზე უფრო მეტი სულის მხნეობა უნდა გამოიჩინოს.

გამომცემლის მიმართვა მკითხველისადმი

რარიგ მეწადა, ჩვენი მეგობრის უკანასკნელ დღეებზე რაც შეიძლება მეტი მისივე საკუთარი ხელით ნაწერი მასალები მომეგროვებინა, რათა მე თვითონ არ დამჭირვებოდა მისი წერილებით გაბმული მოთხრობის ძაფი გამეგრძელებინა.

დაწვრილებით გამოვკითხე ამ ამბების შესახებ ყველას, ვინც კი ახლო იყო მასთან იმ წუთებში.

მათ მიერ მოთხრობილი ამბავი მარტივია და მცირეოდენის გამონაკლისით თითქმის სუსტად ეთანხმებიან ერთიმეორეს. მხოლოდ მოქმედი პირების გრძნობათა დახასიათებასა და მსჯავრის დადებაში მცირედი უთანხმოება შევამჩნიე.

ჩვენ სხვა არაფერი დაგვრჩენია, თუ არა საკმაო ჯაფით მონახვეჭი ამბები და ცნობები მიუდგომლად ისეც მოგიტხროთ. ჩემი ვალია, ვერტერის მიერ დატოვებული წერილები და ნაწერები, მცირეოდენი შენიშვნებიც ქალაქების ნახევზე სათანადოდ დავალაგო წინამდებარე წიგნში და მოქმედთა ზოგიერთი რამ საქციელი ნათელვყო და გავაშუქო.

უგუნებობა და დარდი უფრო და უფრო ერეოდა საცოდავ ვერტერს, ფესვებს იდგამდა და მთელს არსებას ეუფლებოდა.

მისი სულის ჰარმონია მთლად დაიფუშა, საზოგადოებაში გაღიმებულს ვეღარ ნახავდით.

ალბერტის მეგობრებმა გადმომცეს, რომ ვერტერი ხშირად უმართებულოდ მსჯელობდა ალბერტზე, ამ ჩინებულ, წყნარ და თავმდაბალ კაცზე, რომელსაც ბედმა ასეთი დიდი ბედნიერება წილად არგუნა.

ხოლო თვითონ საცოდავი ვერტერი უქმად ფლანგავდა თავის ქონებას.

ალბერტი სავსებით არ გამოცვლილა უკანასკნელ ხანებში, იგი ისეთივე დარჩა, როგორსაც ვერტერი თავიდანვე იცნობდა და პატივს სცემდა.

მას ძლიერ უყვარდა ლოტე და უნაროდა, როცა ხედავდა, რომ ყოველი ადამიანი აფასებდა ამ ქალში ღვთიურ მშვენებას.

განა ალბერტი გასაკიცხავი იყო, რომ იგი იჭვის ნატამალსაც არ შეიმჩნევდა, მიუხედავად იმისა, რომ თავის საუნჯეს არც არავის გაუყოფდა და დაუთმობდა.

მათვე აღნიშნეს, რომ ალბერტი ლოტეს ოთახიდან გამოდიოდა, როცა ამჩნევდა, რომ ვერტერს მისი სიახლოვე ემძიმებოდა.

ლოტეს მამა მძიმე სენმა შეიპყრო იმჟამად თურმე და ამიტომაც იგი კარში არ გადიოდა.

მან თავისი ეტლი გაუგზავნა ლოტეს და ლოტეც გაემგზავრა.

საუცხოო ზამთრის დღე იყო – პირველი თოვლი უხვად ფარავდა არე-მიდამოს.

ვერტერი ფეხით წავიდა საბაზიერო სასახლეში იმ აზრით, რომ თუ ალბერტი ლოტეს მეორე დღეს არ მოაკითხავდა, თავად გაეცილებინა შინისკენ.

ნათელმა დღემ მის მოქუშულ ბუნებაში ვერავითარი ცვლილებანი ვერ შეიტანა.

მის წარმოდგენაში მწუხარე მოგონებები და სურათები აეკვიატნენ ერთიმეორეს.

თვით რომ დღემუდამ თავის ბედზე აღრენილი იყო, ასე ეგონა სხვაც ამგვარი სენით შეპყრობილი უნდა იყოსო. მან წარმოიდგინა, თითქოს თვითონ ყოფილიყოს იმის მიზეზი, ვითომდაც ალბერტისა და ლოტეს ჰარმონიული დამოკიდებულება რომ ირღვეოდა მის თვალწინ – და ყველაფერი თავის თავზე გადაიბრალა.

დიახ, დიახ, ეუბნებოდა იგი თავის თავს გზადაგზა კბილების ღრჭენით, ეს არის განა ნაზი, გულჩვილი მეგობრობისა და ერთგულების ნიმუში?

ალბერტს სხვა ყველაფერი უფრო მეტად აინტერესებს, ვიდრე ძვირფასი მეუღლე თვისი.

და შეუძლია განა მას თავის საუნჯეს შესაფერი რომ დასდვას ფასი?

მისთვის ესეც საკმარისია, ლოტე მას ეკუთვნის, ლოტე მისია და ესეც კმარა.

ისიც ვიცი, მე იგი გამაცოფებს, ის აზრიც შემომეჩვია, რომ მე მომკლავს ალბერტი და მშვიდობით მაშინ, მეგობრობავ.

განა მე არ ვგრძნობ, რომ მას არაფრად ეჭაშნიკება ჩემ მიერ ერთგვარი ყურადღება ლოტეს მიმართ?

მე კარგადა ვგრძნობ, მას ჩემი ჩამოცილება აქვს მოწადინებული, მას ჩემი სიახლოვე ჭაპანად აწევს

ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა ვერტერი გზაზე, გზადაგზა ჩერდებოდა, ყოყმანობდა, თითქოს უკანვე გაბრუნებას აპირებდა.

ბოლოს მიაღწია საბაზიერო სასახლემდის.

ჭიშკარში შევიდა.

იკითხა ლოტე და მამამისი.

მთელი სახლი აფორიაქებული დახვდა.

უფროსმა ვაჟმა უამბო: ვალჰაიმში უბედურება მომხდარა თურმე, ერთი გლეხი მოუკლავს ვილაცას.

ლოტე მამას აშოშმანებდა. ავადმყოფი არ უჯერებდა და წამოდგომა ეწადა, რომ ბოროტმოქმედების ადგილზე წასულიყო და გამოეძიებინა მკვლელობის მიზეზი.

ამ ამბავს ვერტერი გულგრილად შეეგება.

მკვლელის ვინაობა ჯერ ვერ გამოერკვიათ, მოკლულის ცხედარი სახლის კართან უპოვიათ დილაადრიან.

მოკლული აღმოჩენილა ვინმე ქვრივის მოსამსახურე, რომელსაც წინათ სხვა მოჯამაგირე ჰყოლია და მის წასვლაზე დიდი აურზაური ატეხილა ქვრივის ოჯახში.

როცა ვერტერმა ეს გაიგონა, წამს წამოიჭრა.

– ნუთუ ეს მართალია! – წამოიძახა.

დაუყოვნებლივ უნდა წავიდე.

მართლაც გაეშურა ვალჰაიმისკენ.

მოაგონდა ყოველივე და დარწმუნდა კიდევაც, რომ მკვლელი უნდა ყოფილიყო ის კაცი, რომელმაც თავის გულის საიდუმლო გაანდო ვერტერს.

ცხედარი დუქნისკენ გადაეტანათ. ასე რომ, ვერტერს გზაში ცაცხვების გვერდით უნდა ჩაეარნა.

გულისამრევად მოეჩვენა ახლა ის არე, სადაც ამდენი სიხარული განუცდია ოდესღაც.

კარის ალაგი, სადაც მეზობლების ბავშვები თამაშობდნენ ჩვეულებრივად, სისხლით იყო შეღებილი.

სიყვარული და ერთგულება – ულამაზესი ადამიანური გრძნობანი ძალადობად და მკვლელობად ქცეულიყო.

ხნიერ, ძალოვან ხეებს გაშიშვლებული შტოები ზეცისთვის შეეშვირათ.

თვალწარმტაც ბუჩქებს ზღუდეების ძირას, მწვანე სამოსი აღარ ამკობდა და სამარის ლოდები თოვლს დაეფარა.

როდესაც იმ დუქანს მიუახლოვდა, სადაც მთელ სოფელს თავი მოეყარა, საშინელი წივილ-კივილი ატყდა.

შორიდან გამოჩნდა შეიარაღებული მამაკაცების მთელი ჯგუფი და ყოველი მათგანი ყვიროდა: მკვლელი დავიჭირეთო.

ვერტერი შესდგა და დააკვირდა... დიახ, ეს იყო ის ვაჟი. იმ ქვრივი ქალის შეყვარებული, რომელსაც იგი ხვდებოდა ამ მიდამოში, ბრაზისაგან გახელებულს.

– ეს რა გიქნია, შე უბედურო! – წარმოსთქვა მან და ტუსადს მიაშურა. ტუსადმა მდუმარემ შეხედა და გულგრილად ჩაილაპარაკა: „იგი არც ერთის აღარ იქნება, არც ერთი მისი აღარ იქნება“.

ამ საშინელმა შეხვედრამ მთელი მისი შინაარსება ააფორიაქა და ამ ამბავმა გადაავიწყა წამიერად მას საკუთარი ურვა და სიმძიმე.

და ერთადერთი სურვილი იბრძოდა ახლა ვერტერის გულში: ეს უბედური რაიმე გზით გადაერჩინა.

ვერტერი ხედავდა, თუ რა დიდი უბედურება დასტეხოდა თავზე საცოდავს და მისი აზრით მკვლელი არ უნდა ყოფილიყო დასჯის ღირსი. ამ აზრებმა ისე მაგრად გაიდგეს მის გულში ფესვები, დარწმუნებული იყო, სხვასაც დაარწმუნებდა. იგი გაბრუნდა საბაზიერო სასახლეში და გზადაგზა ალაგებდა აზრებს თუ როგორ, რა გზით გაემართლებინა მკვლელი.

ოთახში რომ შევიდა, ალბერტიც იქ დახვდა. ამ ამბავმა აუმღვრია ვერტერს გუნება. მაგრამ ძალღონე მოიკრიბა და გულმხურვალედ წარუდგინა სამთავროს მოხელეს თავისი მოსაზრებები.

ვერტერი ყოველივეს გულმოდგინედ, მჭევრმეტყველოურად აღნუსხავდა, და ცდილობდა გაემართლებინა საცოდავი ვაჟი. სამთავროს მოხელე მისმა ნათქვამმა ვერ ააღელვა, წინააღმდეგ – მან სიტყვის გასრულება არც კი აცალა ჩვენს მეგობარს, არ მოუწონა ამგვარად განსჯა, გაჰკიცხა კიდევ, რომ კაცის მკვლელს გამოეჭომაგა.

და აგრე მიუგო ჩვენს ვერტერს: თქვენს მსჯელობას რომ ავყვეთ, ყოველი კანონი უნდა გაუქმდეს და სახელმწიფოს მყუდროებას საფუძველი გამოეთხაროსო.

თანაც დასძინა, რომ იგი ასეთ შემთხვევაში სავსებით უძლურია, თუ დიდი პასუხისგების ტვირთი არ იკისრა, ამჟამად ყველაფერი კანონიერი გზით უნდა წარიმართოსო.

ვერტერი მაინც არ ტყდებოდა, და სთხოვა ლოტეს მამას, ამ შემთხვევაში, თუ ტუსაღს გაქცევას მოუხერხებდა ვინმე, საგანგებო ზომები არ მიეღო.

ეს აზრიც არ მოუწონა მოხუცმა ვერტერს.

ბოლოს ალბერტიც ჩაერია მათ საუბარში და მოხუც სიმამრს გამოეჭომაგა.

ვერტერი ძლიერ გულნატკენი წამოდგა. სამთავროს მოხელემ კიდევ ერთი წინადადების თქმა მოასწრო: – არა, მას აღარაფერი უშველის აწი.

და ვერტერიც თავის გზას გაუდგა.

თუ რა მძიმე შთაბეჭდილება მოუხდენია ვერტერზე ამ სიტყვებს, ამ სტრიქონებიდანაც სჩანს (ეს უბრალო ქალღმინის ნაგლეჯზე წაუწერია მას): „ბედშავი, შენ ველარაფერი გიშველის აწი, და მეც ვხედავ, რომ ჩვენ ველარაფერი გვიშველის ამიერიდან“.

რაც ალბერტმა გამოსთქვა ტუსაღის შესახებ იმ დღეს სამთავროს მოხელის გასაგონარად, ვერტერს ზიზღსა ჰგვრიდა.

მისი აზრით, ალბერტს ამგვარად მისი გულის დაკოდვა ეწადა, მაგრამ ამ ამბავს ღრმად რომ ჩაუფიქრდა, დარწმუნდა კიდევ, რომ სიძე და სიმამრი მართალნი იყვნენ ამ შემთხვევაში.

მაგრამ ამ ჭეშმარიტების აღიარება, ვერტერის აზრით, მისივე რაობის უარყოფას მოასწავებდა.

მის ქალღმინებში ჩვენ ამგვარი წარწერა ვიპოვეთ ამ ამბის გამო: „რა აზრი აქვს ან იმას, რომ მე ჩემს თავს ვარწმუნებ, რომ ალბერტი კეთილია, და რიგიანი, ეს სწავს და დაგავს ჩემს შინაარსებას – მე არ შემიძლია ვიყო მისადმი მიუდგომელი“.

*

რადგან ბუნება დაშოშმინდა და წყნარი საღამო დაიჭირა, თოვლი დაილეღმა და მოშუშდა, ლოტე და ალბერტი ფეხით წავიდნენ შინისკენ.

ლოტეს გულს აკლდა, რომ ვერტერი აღარსად იყო. ალბერტმა სწორედ ვერტერზე ჩამოაგდო ლაპარაკი.

იგი კიცხავდა ვერტერს; შეეხო მის ბედითსა ვნებებს და სურვილი გამოსთქვა, რომ ძლიერ კარგი იქნებოდა, ლოტეს ვერტერი ჩამოეცილებინა რაიმე გზით.

– მე გთხოვ, ლოტე, – განაგრძო ალბერტმა, – ეცადე როგორმე შენ მიმართ საქციელი შეაცვლევინო და ეგზომ ხშირი სტუმრობაც აღუკვეთო. ხალხი ამ ამბავს ყურადღებას აქცევს, ალაგ-ალაგ ამაზე კიდევ ჩურჩულებენ.

ლოტე გაჩუმდა.

ალბერტმა, როგორც სჩანს, ამ სიჩუმესაც აულო ალლო და ამის შემდეგ ვერტერს არ ახსენებდა ლოტესთან და როცა ლოტე ვერტერზე სიტყვას ჩამოაგდებდა, ალბერტი სიტყვას სხვა საგანზე გადაიტანდა.

უშედეგო ცდა საცოდავი მკვლელის დასახსნელად, – უკანასკნელი აელვარება იყო, ჩასაქრობად

განწირული.

ამის შემდეგ იგი მთლად მწუხარებამ და გლოვამ მოიცვა.

განსაკუთრებით მაშინ წარეკვეთა ვერტერს სასოება, როცა გაიგო, რომ მკვლელი ახლა უარზე დამდგარა და შესაძლებელი იყო იგი მოწმედ გამოეძახათ სასამართლოში.

ეს სამწუხარო ამბავი, საელჩოში შეხვედრილი უსიამოვნება, ყველაფერი, რაც კი უბედობა რამ შეხვედროდა ამ ცხოვრებაში, ადუღდა და აიშალა მის დამწუხრებულ სულში.

იგი დარწმუნდა განცდილ მაგალითებიდან, რომ უმწეო იყო პრაქტიკული ცხოვრების აღლოს ართმევასა და საქმიანობაში.

ველარც უნუგეშო სიყვარულში პოულობდა ვერტერი სანუგეშო რამეს. მისი სიახლოვე სულის მშვიდობას ურღვევდა მისთვის საყვარელ არსებას და ყოველივე ამას მოსალოდნელი სამწუხარო შედეგი უნდა მოჰყოლოდა.

აქვე წარმოდგენილი წერილები მჭევრმეტყველოვნად მოწმობენ მის დაბნეულობას, მის ვნებებს, მის სულმოუთქმელ სწრაფვას და ცხოვრების მოყირჭებას.

დეკემბრის 12.

„ძვირფასო ვილჰელმ, მე ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფები, რომელშიაც ალბათ ის ბედშავნი უნდა ყოფილიყვნენ, ბოროტი სულით შეპყრობილებად რომ არიან საქვეყნოდ ცნობილნი.

ხანდახან რაღაც საშინელი, ჯერაც განუცდელი სიანჩხლე დამეუფლება, ყელში წამიჭერს და, ლამისაა, საგულედან გული ამომივარდეს.

ვაიმე, ვაიმე, და შემდეგ დავხეტილობ მე ლამით დაბნელებულ მიდამოებში, კაცთა სამტროდ განმზადებულ ამინდის მიუხედავად.

გუშინ გარე მიდამოებში ვიხეტიალე.

უცებ თოვლი გალღვა.

გზაში გავიგე, მდინარე ადიდებულა და ვალჰაიმიდან გადმომსკდარ ნიაღვრებს წაუღეკავთ ჩემი საყვარელი ველი.

საოცარი სურათი ვნახე.

კლდეების ნაპრალებიდან გადმომსკდარიყო თქეში და წაერღვნა ნათესები, ბარდები და გადარჩენილ მცენარეთა და ხეთა კენწეროები მიწაზე დაეფინა გრიგალს. და მთვარე რომ ამოვიდა და მოღუშულ ღრუბლებზე წამოსკუპდა, მე გამაჟრჟოლა ამ უკმეხი სანახაობის ხილვამ. ხელებგაშლილი შევსცქეროდი ჩემს ფერხთით გაშლილ უფსკრულს. ოჰ, ამ ნიაღვარივით რომ ამომსკდეს გულიდან ტანჯვა, თქეშად მოვარდნილი და ბობოქარი!..

მაგრამ ჟამი ჩემი ჯერ არ მოწეულა, მე ვგრძნობ ამას, ჩემო ვილჰელმ.

დიდის სიამით ჩემს კაცობას გავსწირავდი, ოღონდ შემეძლოს ავყვე ამ გრიგალს და შეველეწო იმ შავბნელ ღრუბლებს, ან დავეუფლო მპყრობელი ხელით ამ სტიქიონებს, კლდიდან გადმომსკდართ.

აა?

ნუთუ ოდესმე ეღირსება ბნელში ჩაკირულს, ეს ნეტარება საოცნებო რომ ერგოს წილად? და გულმოკლული ვდგავარ, გავსცქერი იმ ადგილს აწ უკვე წარღვნილს ნიაღვარისაგან, სადაც მე და ლოტე ვიჯექით მოღზე და ვისვენებდით, ხანგრძლივი გზით დაქანცულები.

ჰა, მამამისის ყანა, მინდვრები, საბაზიერო სასახლის არემარენი, გიჟმაჟ ნიაღვარს წაუღეკავს მისი ტალავერი, ოდესღაც მწვანით მოსილი.

ვიდექ მარტოკა.

ახლა უკვე არ მქენჯნის გული, რადგან გული უკვე მერჩის მე სასიკვდილოდ“.

დეკემბრის 14.

„რას მოასწავებს ეს, ნეტავ, ჩემო ძვირფასო?

ხანდახან მევე მეშინია ჩემივე თავის.

განა ჩემი მისდამი სიყვარული უწმინდესი, უსპეტაკესი, ძმური სიყვარული არ არის?

განა ოდესმე თუ აღმიძვრია გულში გრძნობა რამ გასაკიცხავი?

მე არ შემიძლია ფიცი დავსდო.

ოცნება!

ამ ღამეს მე ვკრთი, მეკრძალვის გამოთქმა, იგი ჩემს მკლავებში იყო, მკერდზე მიყრდნობილი მყავდა და საალერსო სიტყვების მოჩურჩულე ჩემმა ტუჩებმა აღბეჭდეს მის ბაგეზე ათასი კოცნა.

და თვალი ჩემი ეფლობოდა ვნებისგან მთვრალ ლოტეს თვალებში.

უფალო, განა მე ამისთვის უნდა გამკიცხონ, ტკბილი ზმანების მოგონებით შვება რომ ვიგრძნო?

ლოტე, ლოტე!

გავთავდი, ვგონებ.

ჩემი გრძნობები აირია.

ეს მერვე დღეა, გონს ვერ მოვსულვარ, ჩემი თვალები განუწყვეტლივ სველია ცრემლით.

აღარსად ჩემთვის მოსვენება არ მოიძევა, არც არაფერი მენატრება, არც არას ვითხოვ.

და უკეთესი იქნებოდა, წავიდე ბარემც“.

ვერტერის გულში დღე-დღეზე მკვიდრდება ამ ცხოვრებიდან გასვლის მიუცილებლობა.

რაც იგი ლოტეს სანახავად კვლავ მობრუნდა ამ არემარეში, ეს იყო მისი უკანასკნელი იმედი და გამოსავალი.

მაგრამ გადაწყვეტილი ჰქონდა – ეს ნაბიჯი მოულოდნელად, აჩქარებულად არ გადაედგა.

მისი სურვილი იყო მაშინ, სიცოცხლეზე ხელი აეღო, როცა ეს აზრი საბოლოოდ მომწიფდებოდა.

უკანასკნელი გაკამათება თავისივე თავთან და მისი ეჭვები გამოსჭვივიან ერთი პატარა წერილის ნაწყვეტიდან (სჩანს, ვილჰელმისთვის უნდა იყოს იგი მინაწერი).

ეს ბარათი დათარიღებული არ არის.

„მისი სიახლოვე, მისი ბედი, მისი თანაგრძნობა უკანასკნელ ცრემლებს იწვევს ჩემი ჩაფერფლილი სულიდან.

ფარდის ახდა და ფარდის უკან დამალვა, ეს არის საქმე. მაგრამ რას მოასწავებს ეს ყოყმანი? რადგან არ ვიცი, რა ამბავია იმ ფარდის უკან.

და რომ ვერ მოვალთ ხელმეორედ, ვერ მოვბრძანდებით?

ეს ჩვენი სულის თვისებაა გასაოცარი, არევ-დარევის და სიბნელის მკრთალი შეგრძნება – რაც ჩვენ არც ვიცი, თუ რას ნიშნავს, დაბეჯითებით“.

აქვე მოყვანილ წერილიდან ვიგებთ, რომ ვერტერი შეეთვისა და შეეჩვია აკვიატებულ ბედი აზრებსა.

დეკემბრის 20.

„გმადლობთ, ვილჰელმ, რომ ჩემი სიტყვა სწორად გაგიგია, დიანხ, შენ მართალი ხარ, ჩემო კარგო.

უკეთესია, რომ მე წავიდე, ჩემს გზას ვეწიო.

შენი რჩევა, თქვენთან მობრუნების შესახებ, არ მომწონს, ისიც ძლიერ სასიხარულოა ჩემთვის, რომ შენ გდომია ჩემს წამოსაყვანად ჩამოსვლა. მაჰატიე, მაგრამ 14 დღე კიდევ შეიცადე და მოუცადე ჩემს წერილს. ხამს არაფერი მოიმკა დამწიფებამდის. 14 დღე საამისოდ არც უმნიშვნელო ვადაა.

დედაჩემს გადაეცი: ილოცოს თავის შვილისთვის, და მომიტევოს, რომ ამდენი მწუხარება მივაყენე.

ასეთი ყოფილა ჩემი ბედისწერა: მწუხარება მივაგე იმათ, ვისთვისაც სიხარული უნდა მიმეზღო.

მშვიდობით, ძვირფასო, ნუმც მოგკლებია ზეცის კურთხევა.

მშვიდობით“.

*

რაც ამ ხანებში ლოტეს სულში ხდებოდა, თუ რას გრძნობდა იგი თავის მეუღლისა და უბედური მეგობრის მიმართ, ჩვენ ვეღარ ვბედავთ ყველაფერ ამის სიტყვებით გადმოცემას, თუმცა მისი ხასიათის და ბუნების მცოდნეს მკრთალი წარმოდგენა მაინც ექნება, თუ რას იგრძნობდა ასეთ დროს ნაზი, სათუთი სულის პატრონი ქალი.

ერთი რამ უტყუარია: ლოტეს გადაწყვეტილი ჰქონდა, რამენაირად ვერტერი ჩამოეშორებინა და თუ იგი ჯერ კიდევ ყოყმანობდა, ამის მიზეზი იყო მისი მზრუნველი და სათნო ბუნება, ვინაიდან კარგად იცოდა, თუ რა ძვირად დაუჯდებოდა მისი განშორება ვერტერს, და რომ ეს თითქმის შეუძლებელი იქნებოდა მისთვის.

დაბოლოს ლოტემ შეიგნო, რომ დრო არ იცდიდა.

ალბერტი ხმას არ იღებდა. ეს დუმილი მით უფრო აჩქარებდა ლოტეს, სისრულეში მოეყვანა თავისი გადაწყვეტილება.

იმავე საღამოს, როცა უკანასკნელი წერილი მისწერა ვერტერმა თავის მეგობარს, ვერტერი ლოტესას მოვიდა. შობის კვირადღის იყო.

ლოტე მარტო დახვდა.

დიასახლისი გართულიყო თავის პატარა და-ძმებისთვის ნაყიდი სათამაშოების გამოწყობით.

ვერტერმა სიტყვა ჩამოაგდო იმ სიამეზე, რომელსაც იგრძნობენ პატარები ამ საჩუქრების დანახვაზე და მოიგონა ის დროებაც, როცა იგიც აღტაცებული ეგებებოდა სანთლებით გაჩირაღდნებულ საშობაო ხის გამოჩენას ღია კარში.

– თქვენც მიიღებთ პატარა შობის ხეს და სხვა საჩუქრებს, თუ ყოჩაღად იქნებით.

– რას გულისხმობთ ამ სიტყვაში, ძვირფასო ლოტე? – წამოიძახა ვერტერმა, – როგორი უნდა ვიქნე მე?

– ხუთშაბათს საღამოს, – ამბობდა ლოტე, – შობის საღამოა. მაშინ მოვა მამა, მოვლენ ბავშვები, თქვენც მოხვალთ, ყველა თავის ხვედრს მიიღებს, მაგრამ მანამდის არა.

ვერტერი დაიბნა.

– მე თქვენ გთხოვთ, – განაგრძო ლოტემ, – ეს ასეა. მე თქვენ გთხოვთ თუნდაც ჩემი სულიერი მყუდროებისთვის... ამ მდგომარეობაში დარჩენა ძნელია.

ვერტერმა თვალი მოარიდა ლოტეს, ოთახში ბოლოთის ცემას შეუდგა და ბუტბუტებდა თავისთვის: „ამ მდგომარეობაში დარჩენა შეუძლებელია!“

ლოტემ წამსვე იგრძნო ის საშინელი სულიერი განწყობა, რომელშიაც ვერტერი ჩააგდო მის მიერ თქმულმა.

შეეცადა სხვადასხვა კითხვით ვერტერის ყურადღება სხვა რამ საგნისკენ მიექცია. მაგრამ ეს ცდაც ამაო იყო.

– გათავდა, ლოტე, მე თქვენ ვეღარ გნახავთ ამიერიდან

– რისთვის მერმე? – შეეკითხა ლოტე, – თქვენ უნდა მოხვიდეთ კიდევაც, გვინახულოთ, მაგრამ უნდა დამშვიდდეთ, ყველაფერში ზომიერებაა საჭირო. ასე რისთვის მოგსდევთ თქვენ ასეთი ჭირვეული, ვნებიანი დამოკიდებულება ყოველ საგნისადმი, რასაც კი გაეკარებით?

ამ სიტყვების შემდეგ ლოტემ ხელი წაავლო ვერტერის ხელს და უთხრა: – მე თქვენ გთხოვთ დამშვიდდეთ, ოდნავ დადინჯდეთ.

ნუ დაივიწყებთ თქვენს გონებამახვილობას, განათლებას, თქვენს ტალანტს, ყოველივე ეს სიხარულს გიმზადებთ თქვენ.

იყავით მტკიცე მამაკაცი და შეანელეთ თქვენი სამწუნარო დამოკიდებულება იმ არსებისადმი, რომელსაც თქვენთვის სხვა არაფრის გაკეთება ძალუძს, თუ არ სიბრაულის გამოჩენა.

ვერტერმა კბილები ააზრჭიალა, პირქუშად შემოუბღვირა ლოტეს.

– მხოლოდ ერთი წუთით მაინც დამშვიდდით, ვერტერ.

ნუთუ ვერა გრძნობთ, რომ თავს იტყუებთ, ნებაყოფლობით თავს რომ იღუპავთ? რატომ

მაინცდამაინც მე, რატომ სხვის საკუთრებას?..

მე მეშინია, მეშინია, რომ მხოლოდ ჩემი მისაკუთრების შეუძლებლობაა თქვენს ვნებებს ასე რომ ახლებს, და ამიტომაც აგრე მოწადინებული ხართ, მაინცდამაინც თქვენი რომ გავხდე.

ვერტერმა ხელი გამოჰგლიჯა ლოტეს და უჟმური თვალებით შეაშტერდა.

– ბრძნული აზრებია, ფრიად პოლიტიკური, ეგებ ალბერტმა გასწავლათ ესენი?

– ამას მეც მოვახერხებდი, დამერწმუნეთ, ვერტერ, – უპასუხა ლოტემ, – როგორ დავიჯერო, რომ მთელს ქვეყანაზე ჩემ გარდა ერთი ქალიც არ მოიძევა, რომელიც თქვენს გულის წადილს აასრულებს? მოიკრიფეთ ძალა, მიმოიხედეთ ირგვლივ და გეფიცებით, უთუოდ იპოვით შესაფერ გულის სწორს!.. მგზავრობა თქვენს გულის დარდს უთუოდ გააქარწყლებს, ეძიეთ, იპოვეთ თქვენი სიყვარულის საგანი, შემდეგ მოგვინახულეთ ისევ და შემდეგ ჩვენ შეგვეძლება ნამდვილი მეგობრობით დატკობა.

– ყველაფერი ეს, რაც თქვენა ბრძანეთ, კარგი იქნება, რომ დავაბეჭდვინოთ, ჩემო კარგო ლოტე, და სახლთუხუცესებს დავუგზავნოთ სახელმძღვანელოდ. ძვირფასო ლოტე, ცოტა ხანს კიდევ მაცალეთ და ყველაფერი იქნება.

– მხოლოდ, ვერტერ, არ დაგავიწყდეთ, მოდით შობა საღამოს.

ვერტერს უნდოდა ეპასუხნა, მაგრამ ალბერტი შემოვიდა.

ორივენი ცივად მიესალმნენ ერთმანეთს და ბოლთის ცემა დაიწყეს ოთახში. ვერტერი ალბერტს გამოესაუბრა, მაგრამ მალე ისევ შეწყდა ეს საუბარი. მერმე ალბერტმა შინაურ საქმეებზე რაღაც ჰკითხა ლოტეს და როცა გაიგო, რომ საქმე ჯერაც არ იყო მოგვარებული, საკმაოდ უკმეხი სიტყვები აკადრა ლოტეს.

ვერტერს წასვლა უნდოდა, მაგრამ თანაც ყოყმანობდა; ბოლოს სუფრა გააწყვეს და მან ქუდსა და ჯოხს ხელი წამოავლო.

ალბერტმა ვახშმად დარჩენა სთხოვა, მაგრამ ვერტერს ეს საკმაოდ ნაძალადევ თავაზიანობად მოეჩვენა, გულგრილი მადლობა მოახსენა და წავიდა.

შინ მოვიდა, მსახურმა სანათურს ხელი წაავლო, უნდოდა ოთახში შეჰყოლოდა, მაგრამ ვერტერმა სანათური გამოართვა, ოთახში შევიდა, დიდხანს სტიროდა იგი ხმამაღლა, შემდეგ ადგა და დაჟინებით დადიოდა ოთახში. ბოლოს ტანისამოსი გაიხადა, ლოგინზე დაჰყარა. თერთმეტ საათზე მსახური შევიდა, უნდა ეკითხნა, ჩექმებს ხომ არ გაიხდითო, და ტანისამოსი იქვე იპოვა მსახურმა.

ვერტერმა ფეხთ გაახდევინა, შემდეგ გაგულისებულმა აღუკვეთა მსახურს ოთახში შემოსვლა, ვიდრე მას არ უხმობდნენ წინასწარ.

ორშაბათ დილას, დეკემბრის 21-ს, მან შემდეგი წერილი მისწერა ლოტეს. მისი სიკვდილის შემდეგ ეს წიგნი დაბეჭდილი იპოვეს მის საწერ მაგიდაზე და ლოტეს გადასცეს, რაც მე ნაჭერ-ნაჭერად აქვე მომყავს.

*
„გადაწყდა, ლოტე, მე უნდა მოვკვდე, და ამას გწერ მე შენ რომანტიკული გადაჭარბების გარეშე, გულდამშვიდებით, სწორედ იმ დილით, როცა შენ უნდა შეგხვდე უკანასკნელად.“

ვიდრე შენ ამ სტრიქონებს თვალს გადაავლებდე, ძვირფასო ჩემო, უკვე შავი მიწა გადაეყრება შენს უბედურ ვერტერს, რომელსაც თავის ცხოვრების უკანასკნელ წუთებში სხვა არაფერი დაშთენია მოსაგონარად, თუ არა მკრთალი სიტკბოება შენი ხლებისა და შენთან საუბრისა. მე საშინელი ღამე გავათიე უკანასკნელად, და იგი იყო ამავე დროს ჩემთვის ღამე ეგზომ სანუკველი.

ამ ღამეს საბოლოოდ განმკვიდრდა ჩემში ეს აზრი და გადაწყდა ჩემი სიკვდილი: მე უნდა მოვკვდე.

გუშინ, შენ რომ მოგშორდი, აფორიაქებულმა გრძნობებმა თან გამომსდიეს.

და შემოენთო ჩემს გულს შენს სიანლოვეს უსასოო და უსიხარულო დაყოვნების ზაფრა და დარდი, ძლივს მოვალწიე ჩემს ოთახამდის, გონებადაბნელებული დავემხე ძირს და, ღმერთო სახიერო, ეს შენ მომანიჭე მე სიტკბოება მღუღარე ცრემლთა, ვით ნაზი რთვილი, დასეტყვილ გულის მოსარბილებლად წარმოგზავნილი.

ათასი გეგმა, ათასი აზრი აირია წამში ჩემს სულში, საბოლოოდ მაინც გაიმარჯვა ერთმა, ურყევმა:

მე უნდა მოვკვდე.

მე დავწეპი და დილით ადრე რომ გამელვცა, ისევ ჯიქურად მედგა თვალწინ: მე უნდა მოვკვდე.

ეს არ არის სასოწარკვეთა, ეს ჩემი თავის ზვარაკად მიტანაა შენი მაღალი სიყვარულის საკურთხეველზე: მე უნდა მოვკვდე.

ო, ლოტე! რათ არ განგაზრახო, საიდუმლოდ ველარ დარჩება, ჩვენ სამიდან ერთი უნდა წასულიყო და ეს ერთიც – მე უნდა ვიყვე, ჩემო კეთილო, ჩემს აფორიაქებულ გულში მწივანა გველივით დასისინებდა ეს აზრი: შენი მეუღლე უნდა მომეკლა. მეც – შენც – ასე იყოს.

როცა შენ მთაზე აირბინო მშვენიერ ზაფხულის საღამოს, რომელზედაც მე გადმოვმდგარვარ ასე ხშირად ძირს გაშლილ ტრამალის თვალის მოსავლებად, მიჰხედე ჩემს საფლავს განმარტოებულს მახლობელ ეკლესიის სასაფლაოზე. ნახე ბალახი მობიბინე ჩემი სამარის გარშემო, მომიგონებდე, ძვირფასო ჩემო.

გულდამშვიდებით დავიწყე ამ წიგნის წერა და ახლა ბავშვივით ვტირი“.

*

ათ საათზე იხმო მსახური ვერტერმა, ტანზე იცვამდა აჩქარებული და ეუბნებოდა, რომ იგი რამდენიმე დღით უნდა გაემგზავროს მახლობელ დაბაში, ამიტომაც მსახურს ტანისამოსი უნდა ჩაელაგებინა; უბრძანა აგრეთვე ანგარიშები გაესწორებინა, თუ ვინმესი რაიმე ემართათ, მეზობლებში განათხოვრებული წიგნები მოეტანა, საჩუქრები დაერიგებინა ხელზე მოსამსახურეთათვის, ორი თვის სარგო მიეცა ყველასთვის.

საჭმელი ოთახში მოატანინა. ნასადილევს ცხენით გაემგზავრა სამთავროს მოხელესთან.

მასპინძელი შინ არ დაუხვდა, – დაფიქრებული სეირნობდა ბაღში, მოგონებები გულზე შემოაწვა, მალე ბავშვები შემოეხვივნენ, ეთამაშებოდნენ, უამბობდნენ, მომავალ შობის საღამოს როგორ ესტუმრებოდნენ ლოტეს, საჩუქრებს მიიღებდნენ მისგან.

ხვალ, ზეგ, კიდევ

ერთი

ხვალ.

წამოიძახა ვერტერმა და აკოცა სათითაოდ ყველას, და, ის იყო წასვლას აპირებდა, პატარამ ყურში ჩასჩურჩულა, რომ ბავშვებს საახალწლო მილოცვა დაუმზადებიათ მამისთვის, ლოტესთვის, ალბერტისა და ბატონ ვერტერისათვის. მათ გადაუწყვეტიათ ახალწლის დილას გადასცენ დანიშნულებისამებრ.

ვერტერი მოეფერა პატარას, საჩუქრები დაურიგა ბავშვებს, ცხენზე შეჯდა, დაუბარა, მოხუცი მოეკითხათ და თვალცრემლიანი გაუდგა გზას.

ხუთ საათზე მოვიდა შინ, უბრძანა მსახურ ქალს – ცეცხლს მიხედე, ღამემდის არ ჩააქროო. მოსამსახურეს საცვლები, წიგნები და ტანისამოსი უნდა ჩაელაგებინა.

ამის შემდეგ დაუწერია ალბათ ლოტესადმი მიმართული უკანასკნელი წერილის ტექსტი: „მე შენ არ მელი, შენა გგონია, ალბათ დავემორჩილები შენს ნებას და მხოლოდ შობის ღამეს მოგინახულებ.“

ო, ლოტე, ან დღეს, ან – არასოდეს. შობაღამეს ეს ბარათი შენს ათრთოლებულ ხელში იქნება, შენი ძვირფასი ცრემლებით დაინამება ალბათ იგი.

მე მინდა...

მე იძულებული ვარ...

ო, რა კარგად ვგრძნობ თავს, რომ ყოველივე გადაწყდა“.

ამასობაში ლოტეს საოცარი განწყობა დაუფლებოდა.

ვერტერთან უკანასკნელი საუბრის დროს მან იგრძნო, თუ როგორ გაუძნელდებოდა ვერტერის განშორება, ან როგორ ღრმა მწუხარება მოიცავდა ვერტერის სულს.

ალბერტის თანდასწრებით გაკვრით ითქვა, შობამდის ვერტერი არ გამოივლისო; ამის შემდეგ ალბერტი ცხენით წავიდა მახლობელ დაბაში ერთ მოხელესთან იმ აზრით, რომ მეორე დღემდის იქ დარჩენილიყო.

ლოტე მარტო დარჩა სახლში. იმ დღეს ბავშვებიც არ მოსულან მის სანახავად. ფიქრები აიშალნენ მის გონებაში.

ლოტე ხომ სამუდამოდ დაკავშირებული იყო თავის ქმართან, მისი სულიერი სიმშვიდე, მისი ერთგულება, თითქოს განგებას ისე მოეწყო, რომ ქველი მეუღლისა და მისი შვილების მომავალ სამკვიდროს მტკიცე საფუძვლად გამხდარიყო.

მეორეს მხრით, ამ ხნის განმავლობაში ვერტერი ისე შეეთვისა მას, გაცნობის პირველსავე დღიდან ლოტე გრძნობდა, თუ რამდენი საერთო აზრით, გრძნობით და ფიქრით იყვნენ იგი და ვერტერი ერთმანეთთან დაკავშირებული. ვერტერის ხანგრძლივმა მისვლა-მოსვლამ წარუხოცელი შთაბეჭდილება დასტოვა მის გულზე.

ლოტეს მოთხოვნისადაც ჰქონდა გადაქცეული: ყველაფერი საინტერესო როგორც ნაფიქრში, ისე ნაგრძნობში ვერტერისათვის გაეზიარებინა – და ახლა მისი ჩამოშორება უთუოდ დიდი დანაკლისი იქნებოდა ლოტესათვის, – ცხადი იყო, შეუძლებელი იქნებოდა ამ მძიმე დანაკლისის ანაზღაურება.

ო, ნეტავ შესაძლებელი იყოს ამ წუთში ვერტერი ჩემს ღვიძლ ძმად რომ გადაიქცეს!

ფიქრობდა ლოტე.

რა ბედნიერი იქნებოდა ლოტე.

მაშინ ლოტე თავის დობილებში მოუნახავდა ძვირფასს ვერტერს შესაფერ სასძლოს – და ალბერტსა და ვერტერს შორის კვლავ დამყარდებოდა ტკბილი მეგობრობა. ლოტემ წამიერად სათითაოდ გადაარჩია თვისი დობილები, მაგრამ ყოველ მათგანს აღმოაჩნდა თითო-ოროლა წუნი და ვეღარც ერთი იცნო ვერტერის შეუღლების ღირსად იმ წუთში.

ამ ფიქრებში და ოცნებაში გართული ლოტე ჩასწვდა საკუთარი გონების თვალთ გულის სიღრმეში მიჩქმალულ ზრახვას, ზრახვას იდუმალს და გაუმხელელს, რომ მას ვერტერი თავისთვის უნდოდა, სხვა არავისთვის.

მაგრამ ისიც იგრძნო წამსვე, რომ მას ეს არ შეეძლო, ეს შეუძლებელი იყო.

მისი ნაზი, სათუთი სული არ იყო ჩვეული ღრმა შავნადვლიანობას და საოცარი იყო. ამ წუთებში იგი აივსო ენით უთქმელ მწუნარებით და ყოველივე ბედნიერი გამოსავალი ამ წუნილიდან დახშული მოეჩვენა სამუდამად.

გული მისი დაითუთქა სიმძიმითა და ბნელი რამ ღრუბელი გადაჰფენოდა მის ნათელ თვალებს.

უკვე შვიდის ნახევარი გამხდარიყო და ლოტემ გაიგონა კიბეზე ამომავალი ვერტერის ფეხის ხმა. და ლოტემ გაიგონა მისი ხმა.

ვერტერმა კართან მოიკითხა დიასახლისი. ის იყო სწორედ.

გულმა რეჩხი უყო ლოტეს. და ეს იყო პირველად მას შემდეგ, რაც ის გაიცნო.

ლოტე აენტო და ვერტერი ჯერაც არ გადმომცდარიყო კარის ზღურბლს – მიაძახა: თქვენ თქვენი სიტყვის უფალი არ ყოფილხართ.

ვერტერმა ასე მიუგო: – მე არაფერს შეგპირებივართ.

– ყოველ შემთხვევაში თქვენ ჩემი თხოვნისთვის უნდა გაგეწიათ ანგარიში, და მე ეს გთხოვეთ ჩვენ ორთავეს სულიერ მშვიდობისათვის.

ლოტე ისე დაიბნა, აღარ იცოდა რას ამბობდა, ან რა უნდა მოემოქმედნა, რამდენიმე მეგობარ ქალს შეუთვალა შემოეარნათ, რადგან არასგზით არ უნდოდა ამ საღამოს ვერტერთან მარტო დარჩენა.

ვერტერმა თან მოტანილი წიგნები მაგიდაზე დააწყო – სხვა წიგნებიც მოიკითხა და ამასობაში ლოტე ირყეოდა: ხან ეცადა მისი დობილები მოსულიყვნენ და ხან – კიდევაც ეჩოთირებოდა მათი შემოვლა ამ წუთებში.

მსახური ქალი მობრუნდა და გადასცა ლოტეს: თქვენი მეგობრები ბოდიშს იხდიან, რადგან მოუცლელობის გამო ვერ შემოივლიანო.

ახალმა აზრმა გაურბინა ლოტეს გულში. მოსამსახურე გოგო შემოეყვანა ოთახში და ხელსაქმე მიეჩინა, მაგრამ მალე ამ აზრზედაც აიღო ხელი.

ვერტერი აღელვებული დადიოდა ოთახში.

ლოტე როიასს მიუჯდა და მენუეტი დაიწყო, მაგრამ ხელები არ ემორჩილებოდა.

ლოტემ ძალი მოიკრიფა და გულგრილი გამომეტყველებით დაჯდა ვერტერის ახლოს, რომელიც ამასობაში თავის ჩვეულებრივ ადგილს ჩამომჯდარიყო.

არაფერი გაქვთ საკითხავი?

სთქვა ლოტემ.

მას არაფერი აღმოაჩნდა.

ჩემს უჯრაში ოსიანის თარგმანია, თქვენი მოტანილი, აქამდის არ წამიკითხავს, რადგან იმედი მქონდა მთარგმნელისგანვე მომესმინა იგი.

ვერტერმა გაიღიმა, გამოიტანა ხელნაწერი, ჟრუანტელმა დაუარა ტანში, როცა იგი ხელში აიღო, და ცრემლები მოადგა თვალებზე, როცა შიგ ჩაჰხედა – დაჯდა და კითხვა დაიწყო.

ვარსკვლავო მწუხრისავ, ანათებ შვენებით გავსილი დასავლის კიდეც, ბრწყინვალე მწვერვალი შენი დაქათქათებს ღრუბელსა შენსას, ტანახოვანი რონინებ მარტოკა შენსავე სერზე.

დაკეცა ფრთები უჟმურმა არავმა; შორიდან მოისმის ჩანჩქერის ჩხრიალი, მჩქეფარე ზვირთები შორეულ კლდის კედელს აწყდება – და ღამეულ მწერების ზუზუნნი მოისმის ნელი.

რას უმზერ ნეტავი, სინათლევ ნატიფო?

შენ იღიმები და მიდიხარ.

შეფრფინვით გახლნენ ზვირთები; დაგიორთვილეს მოხასხასე თმები.

მშვიდობით, შუქო, მწყაზარო შუქო, მოგვეჩვენე, ოსიანის სულისა ნათელო თვალსაჩინო.

და იგიც მოგვევლინა ძალოვანი კიდევაც.

მე ვხედავ ჩემს მზეგადასულ მეგობრებს, ისინი შემოკრბენ ლორაზე, როგორც ეს სჩვეოდათ განვლილ დღეებში, ფინგალი მოდის – დაცვარული ნისლისა სვეტი.

გარს შემორტყმიან თავისი ლომგულნი – და აჰა, სიმღერის ბარდები: ჭაღარა ულინ, ეგერ რინო – ტანახოვანი, ეგერაც ალპინ საამო ხმითა გამყივანი, თავხედი ბარდი.

და შენც, ტკბილხმოვანო მინონა.

აჰ, როგორ გამოცვლილხართ, თქვენ, ჩემო კეთილნო, მას შემდეგ, რაც ვლალობდით სელმაზე გამართულ ნადიმში, გაზაფხულის ჰაერივით ვიცვლიდით ბორცვებს და ვთელავდით მობიბინე მოლს.

„გამოეყო მინონა ტოლებს, ელვარებდა მშვენება მისი, თვალნი დაეხარნა ლამაზნი, ცრემლები კიაფობდნენ წამწამზე, ნიავი, მახლობელ სერიდან მოპარული, ალივლივებდა მის მხრებზე ჩამოშლილ დალალებს.

ჩამობნელდა გმირების გულში, როცა მინონა ამღერდა, არაერთხელ უხილავთ მათ ზალგარის სამარე, და თეთრი კოლმას სავანე ბნელი.

კოლმა, ტკბილხმოვანი მგოსანი, მარტოკა შთენილი სერზე.

ზალგარი შეჰპირდა მოსვლას, მაგრამ კალთები გაშალა ღამემ.

ისმინეთ სიმღერა კოლმასი, ბექობზე მარტოკა მჯდარისა.

კოლმა

ღამეა, მარტო ვარ, ამექცა მხარი და ვზივარ სერზე. მთებში ატეხილა არავი. ნიაღვარი გადმომსკდარა კლდის მკერდზე.

არ გამაჩნია თავშესაფარი ქოხი, მე სერზე მიტოვებულს ღამით.

მთვარევ, გადმომხედე ღრუბელთა რიდიდან. გამოჩნდით, ღამისა ვარსკვლავნო.

მავანო სინათლის შუქო, გამიკვლიე გზა იმ ადგილამდის, სადაც საყვარელი ასვენებს ნადირობით დაქანცულს ჩემს სხეულს – მის გვერდით ძევს მშვილდი საისრე, მეძებრები გარშემო დარბიან ქენტელით.

მე კი აქ უნდა ვიჯდე მარტოხელა. არავი და თქეში მატულობს, ზმუის – და ხმაც ვერ გავიგონე მე გულის მიჯნურისა.

რატომ ყოყმანობ, ზალგარო ჩემო?

ნუთუ მან თავისივე სიტყვა დავიწყებას მისცა.

ეგერ კლდე, აგერ ხე და მქშინავი მდინარეც აგერ. ხომ შემპირდი მოსვლასა, როგორც კი ღამე გაშლიდა ფრთებს? ასე გზა თუ აერია ჩემს ზალგარს? ან სიტყვა დაავიწყდა თავისი?

ხომ მეწადა გაქცევა შენთანა და გავყროდი ამაყ მამასა და ძმებს. დიდი ხანია, ჩვენი გვარები რომ მტრობენ ერთმანეთს, მაგრამ მე და შენ, ზალგარ, ხომ არა ვართ ერთმანეთის მტრები?

გევედრები, ქარო, იყუჩე მცირე ხანს.

მცირე ხანს დადუმდი, ნიაღვარო ხევისავ, ჩემი ხმა გაიგონონ მთებში, რომ მოისმინოს მღევარმა ჩემმა.

ზალგარ, ეს მე ვარ, რომ გიხმობ. აქვია ხე და აქვია კლდეც. ზალგარ, ძვირფასო, ზალგარ, აქვე ვარ მეცა.

რისთვის აყოვნებ მოსვლას?

ზალგარ, ძვირფასო ზალგარ... ხომ ხედავ, ჩემო, აღმოხდა მთოვარე და ყინული კამკამებს ხევში, პირქუში მთებისა მწვერვალნი აგრუზულან ნაცრისფერ ცამდე. ვაჰმე, მე ვერ ვამჩნევ მას მთების ფერდობებზე, აქშინებული ძაღლები არ მაცნობენ მის მოსვლას წინასწარ, და მარტოკა ვზივარ მე კლდის ქიმზე.

ამას ვის ვხედავ, ძირს გაშლილ ტრამალზე მწოლარეს?

ნეტავ თუ ჩემი მიჯნურია? ან ეგებ ძმა არის ჩემი? მარქვით, მეგობრებო, ვინა ხართ?

ორნივე სდუმან.

ვაიმე, როგორ შემკრთალა ამ ღამეს გლახ სული!..

ვაიმე, ორივე მკვდარია. მათი დაშნები შეუღებავს ალისფერ სისხლს.

ო, ძმაო ჩემო, ო, ძმაო ჩემო! რისთვის მოჰკალი ჩემი მიჯნური?

ო, ჩემო ზალგარ, მიჯნურო ჩემო, რისთვის მომიკალ ძმა, თვალის ჩინი?

როგორ მიყვარდით ორივე, როგორ მიყვარდით!

ო, როგორ შვენოდი შენ ათასთა შორის, მთის ბეჭობზე გამოჩენილი.

ო, რა მძვინვარე იყო ფიცხელ ბრძოლაში ხმალამოწვდილი!

გამეცით ხმა და მიპასუხეთ, ჩემო კარგებო.

მაგრამ ვაიმე, დამუნჯებულან ორივენი სამუდამჟამოდ.

გაცივებულა მათი მკერდი, როგორც უბე ბნელი მიწისა.

ო, მთის ნაპრალით გადმოდექით, მთის მწვერვალიდან გადმოიხედეთ და ამეტყველდით, სულნო ჩემნო, ჟამგადასულნო, გახსენით ბაგე, ჩემი გული აღარ შეკრთება.

მარქვით, სად გაქრით, სად იპოვეთ მყუდრო სავანე.

რომელ მღვიმეში მოგიძიოთ, რომელ ნაპრალში მოგიხახულოთ?

ვერც ერთი სუსტი დაძახება ვერ გამაგონებს მე ამ გრიგალში, ველარც მთრთოლარე პასუხს მიგაწვდით მძვინვარე ქარში.

ვზივარ მთის ბეჭობზე და ცრემლმორეული ვუცდი იალონს. გასთხარეთ სამარე, მიცვალებულთა მეგობრებო, მაგრამ მიწას ნუ მიაყრით მათ ჩემს მოსვლამდის.

ჩემი ცხოვრება სიზმარივით ილევა კიდეც, ან როგორ უნდა დავრჩე ცოცხალი ამ ქვეყანაზე!..

აქ უნდა დავრჩე ჩემს მეგობრებთან, სალი კლდის ჩქერის სიახლოვეს მსურს დაყოვნება. როდესაც ღამე ჩამოწვება მთის მწვერვალებზე და ტრამალებზე გადაირბენს ფრთამალა ქარი, მაშინვე ზღვაურს ამოჰყვება ჩემი სულიცა და ვიგლოვებ კიდევაც ჩემს მეგობრებს, მზეგადასულებს.

შორით მოისმენს მონადირე ჩემს ხმას გლოვისას, შეეშინდება, მაგრამ მაინც მოისმენს, ვიცი.

რადგან ტკბილი ხმით დავიტირებ ჩემს გულის სწორებს, რადგან მიყვარდა ორივენი სულზე უტკბესნი.

ეს იყო შენი საამური სიმღერა, ჰოი, მინონა, ნაზო ასულო რაინდ ტორმანის.

ჩვენი ცრემლები დასტირიან ამგვარად კოლმას და ჩვენი სული მოიღრუბლა სევდით მოცული.

უღინ წამოდგა, ხელთ იპყრო ჩანგი და გადმოგვცა ალპინის ქება. ალპინის ხმა მხიარულად აჟღერდა მაშინ, და რინოს სული აკვესებდა ცეცხლის ნაპერწკალს.

მაგრამ ისინი ამ დუხჭირ სავანეში განისვენებენ. მათი სიმებიც მიმოიბნა სელმას წიაღში.

ერთხელ უღინ ნადირობიდან გამობრუნდა, ვიდრე გმირები ცოცხალნი იყვნენ.

ეჯიბრებოდენ ორივენი ერთიმეორეს, სიმღერაში მთების ბეჭობზე.

მათი სიმღერა ნაზი იყო, მაგრამ სავსე გულის წუხილით.

ისინი იგლოვდნენ პირველი გმირის – მორასის დაკარგვას.

მისი სული ფინგალის სულს ედარებოდა, მისი მახვილი – ოსკარის მახვილს.

მაგრამ იგი მოჰკლეს და იგლოვდა მოხუცი მამა, მისი დაი ცხარე ცრემლით ატირდა მაშინ, ატირდა მაშინ ნაზი მინონა, დიდებული გმირის – მორასის ძვირფასი დაი.

მინონამ უღინის სიმღერა რომ გაიგონა, უკან დაიხია, როგორც მთვარე დასავლისა უკუიქცევა, როცა ზღვაურის ამოვარდნას მოელოდება და ნაზ სახეზე ღრუბლის რიდეს წამოიფარებს. მეც ჩამოვკარი მაშინ ჩემს ჩანგს და უღინის ხმას ავაყოლე გლოვის სიმღერა.

რინო

ქარი ჩამდგარა და მერეხი დადუმებულა, მოდის შუადღე და ღრუბლები იფანტებიან.

ცახცახით ათბობს მთისა ბეჭობს ცხელი მზის შუქი.

მოწითანო ზვირთი ჩანჩქერისა კიაფობს ხევში.

ტკბილია შენი ნელი ჟღურტული, დელევ ხევისავ.

შენზე უტკბესი მომესმის მე გლოვის ზარი მოხუც ალპინის, მიცვალებულებს რომ დასტირის უსასოო ხმით.

სიბერეს მწარედ მოუდრეკია ამაყი ქედი ტკბილხმოვანი გმირის ალპინისა.

რად მოსთქვამ, ალპინ, ვითა ქარი გვიანი ღამით, ან ტალღა ზღვისა შორეულსა ნაპირს რომ ლომნის?

ალპინ.

ცრემლები ჩემი, ჰოი რინო, მიცვალებულთა სანუგეშოდ დაფრქვეულია, ჩემი ხმა – სამარის ბინადართა ხმა არის მხოლოდ.

ახოვანი ხარ შენ, მთის ბეჭობზე გადმომდგარი და მშვენიერი ამ ტრამალის ბინადართა შორის; მაგრამ შენაც წაიქცევი ერთხელ ისევე, როგორც მორარი – და შენს სამარეს დაიტირებს მგლოვიარე ქალწული ერთხელ.

მთების ბეჭობნი დავიწყებას მიგცემენ შენც და მშვილდი შენი აქ ეგდება მოუმართავი.

იყავ ფეხმარდი, ჰოი, მორარ, როგორც ქურციკი მაღალ ბეჭობისა და საშინელი ვით ღამის ცეცხლი შორეული ზეცისა.

შენს განრისხებას ვადარებდი ოდესღაც გრიგალს, მახვილსა შენსას – ხელჩართულ ომში ელვისა ისარს ღრუბელთა შორის.

შენი ხმა იყო ხმა ქუხილისა წვიმიან დღეში, ან თვით ქუხილი შორი ტრამალის.

მრავალი გმირი მოცელილა შენი ხელითა, შენი რისხვისა ალისქარით გაქარწყლებული.

მაგრამ როდესაც ბრძოლის ველით მობრუნდებოდი, რა ნაზი იყო და რა სათნო, გმირო, ხმა შენი! და სახე შენი მზესა ჰგავდა ნაწვიმარ დღითა, და შენი სახე მთვარეს ჰგავდა მდუმარე ღამით.

და შენი გული ზღვასა ჰგავდა მშვიდად მთვლემარეს, როდესაც ქარი ფრთას დაჰკეცავს და დაიძინებს.

ვიწროა შენი სამარე, გმირო, ბნელია შენი სამყოფელი სამარადჟამო.

სამი ნაბიჯით გამოვზომე შენი საფლავი, სამარე შენი, ახოვანო ოდესღაც გმირო.

ოთხოდე ქვა ხავსით მოსილი დარჩენილია შენი ხსოვნის აღსანიშნავად.

და ხე აწ შტოებშემოდარცული, ხშირი ბალახი მობიბინე, ქარს აყოლილი.

ეს ყველაფერი თუ ანიშნებს აქ – გზად გამოვლილ მონადირეს მაღალ მთებისას: აქ ასვენია ძაღოვანი გმირი მორასი, არ მოვა დედა დამტირებლად, აღარც სასძლო გაიშლის კავებს. მკვდარია იგი, ვინცა გშობა მწარე ტანჯვაში და ომში მოკლეს ასული გმირი მორგლანისა.

ვინ არის იგი, ხელყავარჯენს რომ იშველიებს?

ვინ არის იგი – თმაჭალარა, თვალცრემლიანი?

ეს მამაშენმა მოაკითხა შენს საფლავს, მორას.

მამა მოვიდა ერთადერთი პირმშოს საფლავზე.

მან გაიგონა შენი ძახილი ბრძოლის ველიდან.

მან გაიგონა, ვით დაფანტე ხმლით შენი მტრები.

მამის ყურამდის მისწვდა შენი ქება-დიდება.

იტირე, ბერო, მორასის მამავ!

იტირე, მაგრამ შენი შვილი ვერ გაიგონებს.

ღრმა არის ძილი მიცვალებულთა, მათ აღარ ესმის არც ხმაური, არც დაძახება.

ო, ნეტავ როდის ჩაეშვება ბნელში სინათლე – და მიცვალებულს გააგონებ: „ჰეი, აღსდეგინ!“

მშვიდობით, გმირო, კაცთა შორის უსათნოესო, შეუპოვარო ბრძოლისა ველზე.

ვაიმე, ველი ველარ გნახავს შენ აწი, გმირო, ტყე ვერ იხილავს აწ შენს მახვილს აელვარებულს.

შენ თუმცა აღარ დაგრჩენია ძე, ნაშიერი, ხალხური ლექსი შეინახავს შენს უჭკნობ სახელს, დრო მომავალი გაგიხსენებს უთუოდ, გმირო, დრო მომავალი გაგიხსენებს ბრძოლაში მოკლულს.

*

იგლოვდნენ ხმამაღლა გმირები, ყველაზე ხმამაღლა მოსთქვამდა არმინ.

პირმშო მოიგონა თვისი, ჭაბუკი მოკლული ომში. კარმორ გვერდს უჯდა გმირებს. შორეულ გაღმალის მთავარი.

რად მოსთქვამს არმინი ასე გულმოკლულად?

ამბობდა თავადი კარმორ, განა თუ შაირი, სიმღერა არ ახარებს კაცთა სულს უფრო? ისინი ნაზ ნისლის ნაფლეთს მივამსგავსე, ზღვებიდან გადმოსულს, ყვავილის ყლორტებს რომ დათრთვილავს და ფურცელი იხარებს მერმე.

მაგრამ ნაშუადღევის მზე იძალებს. გაიბნევა ნისლი.

რად დაღვრემილხარ აგრე, ო, არმინ, მპყრობელო გორმის?

აღვსილვარ დიახაც ვარამით, და მიზეზიც მომეძევა ამისა. კარმორ, შენ ჯერაც არ იცი, რა მწარეა შვილის დაკარგვა ან თუნდაც მოწიფული ქალიშვილის. მამაცი კოლგარი გივის, და ამირა, ქალწულთა შორის უნაზესი ასული შენი.

შტოები ფესვისა ყვავიან, ო კარმორ, და არმინ ერთადერთი შტო არის ამომწყდარ გვარის და ჯიშის.

ბნელია საფლავში, ლაურა, სარეცელი გაშლილი შენთვის.

როდის გაიღვიძებ და მოგვასმენ შენს ტკბილსა, მელოდიურ ხმას.

აღსდექით, შემოდგომის ქარებო, აღსდექით, ტრამალზე გაჭენდით.

მთის ნიაღვარნო, მოსწყდით კლდეების ძუძუ-მკერდს და დაეშვიტ ხევში.

გრიგალნო, შეუტეთ მუხნარებს, იარე, ო, მთვარევ, ღრუბლებში, გვიჩვენე ნათელი პირი, მომაგონე ის ღამე საზარი, როს ბავშვები დამელუპნენ ბრძოლაში, არინდალ ძალოვანი მოჰკლეს, და ლაურა კეკლუცი დავკარგე.

ლაურა, ასულო ჩემო, შვენოდი, ვით მთვარე ცაზე, ან ფურას ბეჭობზე მომდგარი. თეთრი, ვით პირველი თოვლი, ტკბილი, ვით ზეფირი ღამისა.

არინდალ, ხელთ გეპყრა მაგარი მშვილდი, შუბი ხელმარჯვე გჩვევოდა.

და მზერა შენი – ვითა ნისლი ზღვების ტალღებზე, მშვილდი შენი – ცეცხლის ღრუბელი გრიგალის პირზე.

არმარი ბრძოლებში განთქმული მოვიდა, შეიყვარა ლაურა, ლაურამ შეითვისა იგი და იმედი უბრწყინავდა ორივეს.

ერატი, ოდგალსის ძე, განრისხდა, რადგანაც ძმა მოუკლა ოდესღაც არმარმა.

გადაცმული მოვიდა იგი, მეზღვაური ეგონათ უბრალო.

თეთრად კიაფობდა აფრა, თეთრი – კულულები შუბლზე, მშვიდი – თვალთამზერა მისი.

და ჰრქვა მან ლაურას ასე: „უტურფესო სასძლოთა შორის, არმინის ასულო ნატიფო, იქ კლდისა ნაპირას, ზღვის ახლოს, სადაც შტოებში მოსჩანს ნაყოფი მწითური ფერად, იქ ელის ლაურას – არმარ, მოვსულვარ, რომ სასძლო მივგვარო ზღვადაზღვა მამაცსა არამარს“.

ლაურა თან გაჰყვა ზღვაში. ეძახდა, უხმობდა არმარს, – ჰასუხად მოძახილი ესმოდა ტალღისა და სალი კლდეების.

„არმარ, საყვარელო ჩემო, რად გინდა შემიკრთეს გული, არნატის ნაშიერო? მისმინე, ლაურა ვარ, რომ გიხმობ ზღვაში“.

ერატ მოღალატემ ხარხარით მიაშურა მაღალსა ნაპირს. ხმა აიმაღლა ლაურამ, მოუხმო მამას და ძმას.

ხმამ მოაწია ხმელზე. არინდალ ძე ჩემი გადმოდგა ბეჭობზე, მშვილდი შერჩენოდა ხელში, და მხრებზე ისრების კაპარჭი; გარშემო სუნსულით მოსდევენ მეძებრები – ყურშია, ქედანა.

თვალიდა შეასწრო ერატს, ნაპირზე მიმავალს რაინდს. შეიპყრო ერატი ფლიდი და მიაბა მუხისა ხეს.

არინდალ გადალახა ტალღები თავისი ფრთამალი აფრით, ლაურა წარეტაცა ზღვისთვის, მოეგვარა ტყვექმნილი სახლში.

არმარ განრისხდა და ისარი გამოსტყორცნა ფრთამალი, ისარი შენს გულში ჩაერჭო, ო, არინდალ, ნაშიერო ჩემო.

მოღალატე ერატის ნაცვლად შენ გაგწირა მუხთალმა ბედმა, ხომალდმა მოაღწია ნაპირს და არინდალ ძირს დაეცა უსულო. შენს ფერხთით დაიქცა, ლაურა, შენივ ძმის უმანკო სისხლი. ტალღებმა დალეწეს ნავი.

არმარ გადაეშვა ზვირთებში, მოეტაცნა ზღვისთვის ლაურა, ან ზღვაშივე ეპოვა სიკვდილი.

სწრაფად გააქროლა ტალღამ არმარის ნავი და ჩანთქა.

მარტოხელამ ნაპირზე მდგარმა გავიგონე ლაურას კვილი, მაგრამ, ვაიმე, შვილო, ვერ გიშველა ბედშავმა მამამ.

მთელ ღამეს ვტრიალებდი ნაპირთან, ვხედავდი მთვარის შუქზე ლაურას, შორიდან მოყიალე ნავზე, მთელ ღამეს მესმოდა კვილი უსასოოდ განწირულ ასულის. იძალა ნაშუაღამევს ქარმა და ნავი მიახალა რიჟრაჟზე ნაპირის კლდეების ქიმს.

ალიონზე შესუსტდა ძახილი, იმხვერპლა ლაურა ზღვამ – და არმარი დასტოვა ობლად და გაქრა სიამაყე ჩემი, განადგურდა მეომრის სახელი.

როდესაც გრიგალი მთას წამოეწევა, როდესაც ზვირთები მთას მოაწვებიან, ზათქით და ზარით მოზღვავედება ტალღა, გავსცქერი მე მაშინ ნაპირის ქიმს.

და ზღვაში ჩაშვებულ მთვარისა შუქზე მთლიანდება დალუპულ შვილების სული, წყვილად რომ

დადიან ბილიკზე და-ძმანი – დანთქმული ზღვაში“.

ცრემლები ღვარად წამოვიდა ლოტეს თვალთაგან და გზა გაუხსნა მის გულში დაგუბულ ვარამს. ვერტერმა შეწყვიტა თავის სიმღერების კითხვა. რვეული განზე გადააგდო. შემოეჭდო ლოტეს ხელს და მწარედ აქვითინდა.

ორთავეს გული აუჩქროლდათ. ისინი საკუთარ ბედისწერად მიიჩნევდნენ დაღუპულთა ბედს.

ვერტერის ბაგე და თვალი აენტნენ ლოტეს ხელებზე.

ლოტე ჟრუანტელმა შეიპყრო, უნდოდა ადგომა, მაგრამ თანაგრძნობა და გულისტკივილი ტყვიასებრ დასწოლოდა გულზე.

ლოტემ ამოიხრა და ქვითინით შესთხოვა ვერტერს განეგრძო კითხვა, შესთხოვა ზეციური ხმით; ვერტერი კრთოდა, მისი გული დაიმდურა ცრემლებით. ხელი წამოავლო რვეულს და კითხვა განაგრძო ისევ: გაზაფხულისა ჰაერო ამო, რისთვისღა მალვიძებ დილით? შენ გინდა მომხიბლო და ამბობ. ციური რთვილით განგიკურნავ წყლულს, მაგრამ ჭკნობისა დარი უცილოდ დამიდგა მე. მოახლოვდა გრიგალის სუნთქვა, განმეძარცვა ფურცელი ნორჩი.

ხვალ გამოვივლის მგზავრი, რომელსაც უნახივარ კიდევ მშვენებით გავსილი ერთხელ, და თვალმა მომიძიოს მისმა, ვერ მიპოვოს ვერასდროს აწი.

მთელი სიმძიმე ამ სტრიქონებისა გულზე შემოაწვა ლოტესა და ვერტერს, ბედისაგან განწირულების ხვედრმა გული დაუთუთქა მათ.

ვერტერი მუხლებზე მოეხვია ლოტეს, ხელები ხელზე წაავლო, მისი ხელისგულით სახე დაიფარა, მკერდზე მიეკრა. ასე რომ, მათი მხურვალე ლოყები ეხებოდნენ ერთიმეორეს. მან ხელები შემოჰხვია შემდეგ ლოტეს, მკერდზე მიიკრა ათრთოლებული ქალი, და აღგზნებული ტუჩები დაფარა ვნებიანი კოცნით.

ვერტერ, ვერტერ!

დაიძახა ლოტემ და სცდილობდა თავი გაეთავისუფლებინა მისი ხვევნიდან.

ვერტერმა ხელები შეუშვა, და ფერხთით დაუვარდა.

ქალი დაიბნა, ტორტმანობდა რისხვისა და სიყვარულის მიჯნაზე: „ვერტერ, იცოდეთ, ეს უკანასკნელი უნდა იყოს!

მე თქვენ აწი ველარ მნახავთ“. და სიყვარულით ანთებული თვალებით ერთხელ კიდევ მიჰხედა და მიაშურა მახლობელ ოთახს, შევიდა და კარი გადაკეტა.

ვერტერი სანახევროდ იატაკზე იყო განრთხმული, ზემო ტანით და თავით დივანზე მიყრდნობილი – და ამ მდგომარეობაში დარჩა კარგა ხანს, ვიდრე მცირე რამ ხმაურობამ გონს არ მოიყვანა.

ეს იყო მსახური ქალი, რომელიც სუფრის გასაწყობად მოეშურებოდა. ვერტერი ადგა, ოთახში გაიარა, ველარ გაუძლო მარტოობას, ოთახის კარამდის მისულმა დაიძახა: ლოტე, ლოტე, კიდევ ერთი სიტყვა. კიდევ ერთი... მშვიდობით... სამუდამოდ მშვიდობით...

ვერტერმა უკვე ქალაქის ჭიშკართან მიაღწია. დარაჯებმა იგი იცნეს და მღუმარედ გაატარეს.

იგი თოვლ-ჭყაპში დაყიალებდა მთა-ველად. მხოლოდ თერთმეტ საათზე მოაღწია შინ.

მსახურმა შენიშნა, რომ შინ მობრუნებულს ქუდი აღარ მოჰყოლია თან.

ვერ გაუბედა ხმის გაცემა. ტანთ გახდასა რომ შველოდა, შენიშნა: ვერტერი სულმთლად დასველებულიყო. ვერტერის ქუდი იპოვეს გვიან მაღალი კლდის ქიმზე, რომელიც ველს გადმოსცქერის. საოცარია, თუ როგორ ავიდა იგი წვიმიან ბნელ ღამით ასეთ სიმალლეზე.

იგი დაწვა და დიდხანს ეძინა. დილას მსახურმა ყავა რომ შემოუტანა, ვერტერი სწერდა ამ სტრიქონებს: „უკანასკნელად, უკანასკნელად ვახელ, იცოდეთ, თვალებს; აჰ, ისინი აწი მზეს ველარ იხილავენ.

მზეც აღარა სჩანს, ნისლს დაუფარავს ცისა კამარა.

იგლოვე, ბუნებავ.

შენი პირმშო, შენი მიჯნური და მეგობარი მიუახლოვდა უკვე აღსასრულს.

ლოტე, ეს უბადლო გრძნობაა, მწუხრი შემომესია გულზე და ვამბობ ჩემთვის: ეს არის ჩემი

უკანასკნელი დილა. უკანასკნელი!

ლოტე, მე არ მესმის, რას უნდა მოასწავებდეს ეს ბედითი სიტყვა – უკანასკნელი.

მე აღარ შემრჩება ძალი, მე ველარ წარმოვდგები და მიწაზე განრთხმული ძილს მივეცემი.

სიკვდილი?

რას ნიშნავს ეს?

დახე, ჩვენ ვოცნებობთ მხოლოდ, როდესაც სიტყვით ვახსენებთ სიკვდილს. მრავალი მინახავს მომაკვდავი, მაინც არ მესმის. როგორ უნდა გათავდეს სიცოცხლე? ჯერ კიდევ ვეკუთვნი ჩემს თავს, უფრო შენ ვეკუთვნი, ჰოი, საყვარელო ჩემო.

და სულ ერთ წუთში...

გავჰქრები.

აღარ ვიქნები.

გაგეყრები.

ვინ იცის, ეგებ სამუდამოდ.

არა, ლოტე, არა, არ მესმის, როგორ უნდა გავჰქრე, არ უნდა ვიქნე?

როგორ უნდა გავჰქრე?

ან შენ როგორ?..

რას უნდა ნიშნავდეს ეს?

ეს ხომ უბრალო, ცარიელი სიტყვაა?

ცარიელი ხმაური?

უგრძნობო ხმაურო, რომელიც გამოძახილს ველარ პოულობს ჩემს გულში.

ლოტე, მოკვდომა, ბნელსა და ვიწრო სამარეში ჩაფლვა? მე მყავდა მეგობარი ქალი, რომელიც ჩემს სიჭაბუკეში ყველაფერს მერჩია, იგი მიიცვალა და მე მისი ცხედარი სამარემდის მივაცილე. ვხედავდი, როგორ ჩაუშვეს კუბო საფლავში, მესმოდა, როგორ დააყარეს ნიჩბით მიწა და კუბომ ყრუდ დაიგროუხუნა, ასე გროუხუნებდა კუბო უფრო და უფრო, ვიდრე მთლად არ დაიფარა მიწით.

ვიდექი სამარის კიდესთან ამღვრეული, გარღვეული, შემკრთალი, მთელი ჩემი შინაარსება აფორიაქებული იყო, მაგრამ მე არ ვიცოდი, როგორ მოხდა ეს ყოველივე, როგორ შეემთხვა ეს მას, ან მე როგორ შემემთხვევა ოდესმე სიკვდილი?

საფლავი?

არა, არ მესმის ეს სიტყვები.

მაჰატიე, ლოტე, მაჰატიე გუშინ – ეს ხომ ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი წუთი იყო, ანგელოზო ჩემო, უკანასკნელად ჩემი არსების სიღრმეში გაიელვა ნეტარების აღმძვრელმა აზრმა: მე მას ვუყვარვარ.

ჩემს ტუჩებზე კიდევ არ გამქრალა შენგან მონასუნთქი წმინდა ცეცხლის მდულარე აღმური.

მომიტევე, ჩემო, მომიტევე.

ასე, მე ვიცოდი, რომ შენ გიყვარდი, ვიცოდი ეს პირველივე შემოხედვის უმაღლეს, პირველად ხელის ჩამორთმევის დროს. მაგრამ როცა მოგცილდებოდი და შენ გვერდით ალბერტს შევამჩნევდი, იჭვი მახრჩობდა და გულს მიღრღნიდა.

გახსოვს ის ყვავილები, შენ რომ გამომიგზავნე, იმ ფატალურ საზოგადოებაში, სადაც ვერც ხელი ჩამომართვი, ვერც სიტყვა მითხარი.

მაგრამ ასე ამ შთაბეჭდილებებმა გაიარეს ისევე, როგორც ხანდახან მორწმუნის გულზე გადაივლის ხოლმე უფლის წყალობის გრძნობა.

ყოველივე წარმავალია, მაგრამ ვერავითარი უკუნეთი ვერ აღმოფხვრის იმ მხურვალე სიცოცხლის სუნთქვას, რომელიც მე შენს ბაგეთაგან ვიგემე გუშინ.

შენ ჩემი ხარ, ლოტე, შენ ჩემი ხარ სამარადისოდ.

მერმე რა, რომ ალბერტი შენი ქმარია! ეს ხომ მეტი არაფერია, თუ არ ცოდვა ამ წუთისოფელში, და ისიც ცოდვა – რომ მე შენ მიყვარხარ, რომ მე მეწადა შენი წართმევა, ესეც ცოდვაა?

ცოდვაა?

კარგი, დეე, მე დავისაჯო ამისათვის, უკეთ, მე ჩემს თავს დავსჯი ამიტომ.

მე ვიგემე ამ ცოდვის ციური ნეტარება, მე შევისუნთქე ამ ბალზამის უცხო სურნელება.

და ამ წუთიდან შენ ჩემი ხარ, ლოტე. მე აღრე მივდივარ მამაჩემთან და დედაშენთან.

მე მას შევჩვილებ და მე მანუგეშებს იგი. ვიდრე შენც მოხვიდოდე, ვიდრე შეფრფინვით არ შეგეგებები, შემოგეველები, სამუდამოდ შენთან დავრჩები – განუსაზღვრელს წიაღთა შორის.

აღარ ვოცნებობ უკვე სამარის კართან.

მე გამოვფხიზლდი, ჩვენ ვიქნებით, ჩვენ ისევ შევიყრებით.

შენს დედას შევხვდები, და მას გავანდობ ჩემი დაკოდილი გულის ტკივილებს.

შენს დედას – შენს განსახიერებას“.

*

თერთმეტი საათიც არ იქნებოდა, როცა ვერტერმა მსახურს ჰკითხა, ალბერტი თუ დაბრუნდაო. მსახურმა უპასუხა: მისი ცხენი გაატარესო რამდენიმე წუთის წინათ.

ვერტერმა მსახურს ასეთი ბარათი გადასცა: „ალბერტ, სხვაგან მივემგზავრები და თუ არ გემძიმებათ, თქვენი დამბაჩა მათხოვეთ. გისურვებთ დღეგრძელ სიცოცხლეს“.

*

ლოტეს უკანასკნელი ღამე არ სძინებია. ის, რისიც მას ეშინოდა, უკვე გადაწყვეტილი იყო და იმგვარად გადაწყვეტილი, რაც მას არც კი შეეძლო წარმოედგინა. ჩვეულებრივად მშვიდი ბუნება და სისხლი მისი, უკანასკნელ საღამოს განმავლობაში განცდილმა გრძნობებმა ააფორიაქა და ნაციებივით უკანკალებდა სათნო გული.

განა ეს ვერტერის კოცნისა და ხვევნისაგან შემონახული ცეცხლი იყო, აგრე რომ სწავდა მის გულს, თუ უგუნებობა ამ მოულოდნელ გამბედაობისაგან წარმოშობილი? როგორ უნდა შეხვედროდა იგი ახლა თავის მეუღლეს.

ხომ უნდა ეთქვა მისთვის, რაც გუშინ მოხდა! მაგრამ ამ თქმისაც ეკრძალებოდა. ამდენ ხანს ორივენი სდუმდნენ ვერტერზე და ახლა ლოტეს უნდა დაერღვია დუმილი ჰირველად და ასეთ აღმოჩენაზე მიექცია ალბერტის თვალი.

ჯერ იმისაც ეშინოდა მას, რომ ალბერტს მართოდენ ვერტერის მოსვლის ამბავიც არ იამებოდა და ეს მოულოდნელი კატასტროფა?.. ლოტეს ხომ იჭვი არ ჰქონდა, რომ მისი ქმარი ამ ამბებს მიუდგომლად განსჯიდა? იგი ხომ მუდამ გულახდილი იყო თავის მეუღლის მიმართ და მის ბროლივით გამჭვირვალე არსებაში ალბერტს აროდეს შეუმჩნევია მცირედი ხინჯიც, განუჭვრეტელი. ეს ყოველივე აღელვებდა ლოტეს, მისი აზრები წამდაუწუმ ვერტერისკენ მიისწრაფვოდენ.

მისთვის დაიკარგა ვერტერი. ეძნელებოდა მისი დაკარგვაც, მაგრამ უამისობაც შეუძლებელი იყო.

ყოველივე ამას ერთი საოცარი გარემოებაც ზედ დაერთო.

ვერტერი, როგორც მისი წერილებიდან ვიცით, არც კი მალავდა, რომ იგი მოწადინებული იყო ამ ცხოვრებიდან გასვლას.

ალბერტსა და ლოტესაც არაერთხელ უსაუბრნიათ ამაზე, ალბერტი მუდამ ურწმუნოდ შესცქეროდა ასეთ შესაძლებლობას.

მან ერთხელ უადგილო ხუმრობა იკადრა კიდევაც ამ საგნის შესახებ – და არც ლოტესთვის დაუმაღავს იგი.

ალბერტის ამგვარი ურწმუნობა ერთის მხრით ანუგეშებდა კიდევაც ლოტეს, მაგრამ საბოლოოდ ლოტე მაინც შიშობდა და თანაც ვერ გადაეწყვიტა – ეს შიში გაეზიარებინა ალბერტისათვის.

როცა ალბერტი დაბრუნდა, ლოტე ოდნავ დაიბნა, მაგრამ თავი შეიკავა. შეეგება. იგი უგუნებოდ

იყო, მეზობელი მოხელე, რომელთანაც მას მორიგი საქმეები უნდა მოეგვარებინა, შეზღუდული და უხეირო ადამიანი აღმოჩნდა და ცუდმა გზებმაც გუნება გაუფუჭეს ალბერტს.

ალბერტმა იკითხა, ახალი თუ რამ მოხდა მისი წასვლის შემდეგ. ლოტემ უპასუხა, გუშინ საღამოს ვერტერი აქ იყო. გარდა ამისა, რამდენიმე წერილი და პაკეტი მოიტანეს, რაც მახლობელ ოთახში, საწერ მაგიდაზე შემოენახათ.

ალბერტი გავიდა, ლოტე მარტო დარჩა.

საყვარელი ქმრის სიახლოვემ ახალი შთაბეჭდილება მოახდინა მის გულზე.

მისი კეთილშობილების, გულკეთილობის მოგონებამ დააწყნარა ლოტეს გული.

ჩვეულებისამებრ ლოტე ადგა, ხელსაქმე გაიმძღვანა და ალბერტის გვერდით დაჯდა.

ალბერტი პაკეტებს ხსნიდა და სათითაოდ კითხულობდა.

ეტყობოდა, ზოგიერთში არასასიამოვნო ამბები ეწერა.

ლოტეს სხვადასხვაგვარ საქმიან შეკითხვაზე ალბერტი მოკლედ მოჭრილ პასუხებს იძლეოდა, თანაც წერას განაგრძობდა.

ასე ისხდენ ორივე ერთიმეორის გვერდით ორიოდ საათს. რაც დრო გადიოდა, ლოტეს სული უფრო და უფრო მწუხრდებოდა, იგი გრძნობდა, თუ რა მძიმე იქნებოდა ალბერტისათვის, თუნდაც კარგი სულიერი განწყობის დროს, იმის გაგება, რაც ლოტეს გულზე ჰქონდა მოწოლილი.

ლოტე ცრემლებს ძლივს იკავებდა, ცდილობდა როგორმე დაეძლია ეს უცნაური უგუნებობა.

და ამ წუთში ვერტერის მსახურის გამოჩენამ ლოტე სავსებით არია. ალბერტმა ბარათი ლოტეს გადასცა და გულგრილად უთხრა: მიეცი დამბაჩა, – „ვუსურვებ კეთილ მგზავრობას“, – მიაძახა მსახურს.

ამ სიტყვებმა ქუხილივით გაუარა გულში ლოტეს.

ლოტე წამოდგა, შეტორტმანდა, აღარ იცოდა, რა მოემოქმედნა.

აუჩქარებლად მიაღწია კედელს, ჩამოიღო დამბაჩა, მტვერი მოაცილა და ალბათ კარგა ხანს კიდევ იყოყმანებდა, რომ ალბერტის თვალებს არ წასწყდომოდა და ამ შემოხედვაში მან შეკითხვა იგრძნო.

და ბედითი იარაღი გადასცა ლოტემ მსახურს უსიტყვოდ, გარინდებულმა.

როცა მსახური წავიდა, ლოტემ თავის ოთახს მიაშურა. მისი გული უკვე ათრთოლებული იყო მოსალოდნელი უბედურების წინასწარ გრძნობით აღტყინებული.

მალე მის სულში მომწიფდა მტკიცე გადაწყვეტილება: ფერხთით დავარდნოდა ალბერტს და ყველაფერი დაწვრილებით მოეთხრო მისთვის, რაც გუშინ მოხდა და თავს გადახდა; ეამბნა მისი ბრალისა და წინასწარ გრძნობების შესახებაც.

მაგრამ ისევ დარწმუნდა, რომ ეს ყოველივე უნაყოფო იქნებოდა, რადგან იგი ვერ დაარწმუნებდა ალბერტს. ვერტერთან იგი არ წავიდოდა.

სუფრა გააწყვეს და ლოტეს მეგობარი ქალი მოვიდა უეცრად; არ უნდოდა დაცდა, მაგრამ არ გაუშვეს და სწორედ სტუმარი შველოდა ორივეს – უხერხული დუმილი დაერღვიათ.

მსახური დაბრუნდა.

ვერტერი აღტაცებაში მოიყვანა იმის გაგებამ, რომ დამბაჩა ლოტეს ხელით იქმნა გამონაგზავნი.

მან პური და ღვინო შემოატანინა, მსახურს უბრძანა ესაუზმნა და თვითონ წერას შეუდგა: „ეს დამბაჩა შენგან ხელშენავლება, შენ მოგიცილება ამისთვის მტვერი, და შენ, ციურო არსებავ, მიდასტურებ კიდევაც ჩემს გადაწყვეტილებას!“

ლოტე, შენ მაწვდი მაშ იმ იარაღს, რომლითაც მე ბოლო უნდა მოვუღო ჩემს ცხოვრებას და აჰა, კიდევაც აღსასრული მისი.

მე გამოვკითხე ჩემს მსახურს და თურმე, ლოტე, შენ კანკალებდი, როცა დამბაჩას უწვდიდი და ვერც მოგიხერხებია, რომ გეთქვა უკანასკნელი მშვიდობით.

ვაიმე, ვაიმე, არა, მშვიდობით.

ლოტე, ნუთუ შენი გული ჩემთვის კარგამოხურული უნდა დარჩენილიყო, თუნდაც იმ წამის გულისათვის, რომელმაც სამუდამოდ დაგვაკავშირა ჩვენ ერთმანეთთან?“

ლოტე, ამ შთაბეჭდილებას თუნდაც ათასეული წლებიც ვერ წარხოცავენ.

და მეც ვგრძნობ, შენ არ ძალგაძის შეიძულო იგი, ვინც შენთვის იწვოდა.

*

ნასადილევს მსახურს უბრძანა ყველაფერი ჩაეღებინა. გავიდა გარედ, კიდეც დარჩენილი მცირეოდენი ვალები გაისტუმრა. ისევ მობრუნდა, ისევ გავიდა სახლიდან. წვიმის მიუხედავად დახეტილობდა მახლობელ არემარეში, შეღამებულზე ისევ შინ იყო და სწერდა ამ სტრიქონებს: „ვილჰელმ, უკანასკნელად თვალი შევაკვლე ველს, ტყეს. მშვიდობით შენაც, ძვირფასო დედა, მაპატიე. ვილჰელმ, ანუგეშე იგი.

ღმერთი იყოს თქვენი შემწე, მე აქ ყველაფერი მოვაგვარე. ჩვენ კიდეც შევხვდებით, მაგრამ უფრო მზიარულნი“.

*

„ალბერტ, შენც მაპატიე, რომ უსიამოვნება მოგაყენე სიამის ნაცვლად.

მე შენი ოჯახის მყუდროება დავარღვიე. თქვენ შორის იჭვი და უნდობლობა ჩამოვთესე. ახლა გათავდა.

მშვიდობით!

ნეტავ ჩემს სიკვდილს შემდეგ ბედნიერი იქნებოდეთ ორივენი.

ალბერტ, ალბერტ, ის ანგელოზი გააბედნიერე და კურთხევა უფლისა ნუმც მოგაკლდებათ თქვენ“.

*

იმ საღამოს ვერტერი ძლიერ გართული იყო: ქაღალდებს ალაგებდა, ზოგს სწვავდა, ზოგს ხევდა, ზოგს დაბეჭდილ პაკეტებში სტოვებდა, ვილჰელმის სახელზე. ამ პაკეტებში მე ვიპოვე რამდენიმე ნარკვევი, დაუმთავრებელი აზრები.

ათი საათის შემდეგ მსახურს ცეცხლი გააჩაღებინა, ღვინო მოატანინა. როგორც მსახურის, ისე სახლის პატრონების ოთახები დაშორებული იყო ვერტერის ოთახს.

მსახური წავიდა და გაუხდელად წამოწვა, რადგან მის ბატონს ნაბრძანები ჰქონდა: ფოსტის ცხენები დილაადრიან მომაკითხავენ და მზად იყავიო.

*

თერთმეტი საათის შემდეგ

„მყუდროებაა ირგვლივ და სიმშვიდეა ჩემს სულშიაც.

გმადლობ, უფალო, უკანასკნელი წუთებისთვის, რომ არ მომაკელი სითბო და ძალა.

ფანჯარასთან მივედი, ძვირფასო ჩემო! და ვხედავ, კიდეც ვხედავ, მიმქრალ ღრუბელთა შორის ვით კიაფობენ ვარსკვლავები მარადიულ ცაზე.

არა, თქვენ არ ჩამოცვივით, რადგან მარადი ძალა გაკავებთ თქვენცა და მეც.

ვაკვირდები ვენერას, სხივგამკრთალ მოკიაფეს, რამდენჯერ თვალი შემივლია ამ ვარსკვლავისთვის, როცა შენგან ვბრუნდებოდი გვიან, საღამოს.

ხანდახან გრძნობისგან მთვრალს თვალი გამიშტერებია მისთვის, რომ წმინდა გრძნობების თარჯად მიმეჩნია მე იგი ცაზე.

ო, ლოტე, ყველაფერი ამ ქვეყანაზე შენს თავს მაგონებდა.

შენს სიახლოვეს დანატრებული მე ბავშვივით განგებ თავს ვირთობდი იმ საგნების სიახლოვით, რომელთათვისაც შენ ოდესღაც ხელი გაქვს შენავლები.

ძვირფასო ხატებავ, ყოველივე ამას შენვე გიტოვებ და გთხოვ გული არ აიცროო მათზე.

ათასი კოცნა გამოგიგზავნე მე იმ საღამოს შენგან წამოსულმა და ათასი სათნო სურვილი.

მე შენს მამას მცირე ბარათით ვთხოვე ჩემს ცხედარზე მზრუნველობის გაღება.

სასაფლაოზე ორი ცაცხვის ხეა, მინდვრების მხარეზე, კუთხეში.

ჩემი სურვილია – იქ დამმარხონ.

მამაშენს შეუძლია ამგვარი განკარგულების გაცემა. შენაც სთხოვე.

მე არ მგონია, რომელიმე მორწმუნე ქრისტიანმა ისურვოს უბედურის გვერდით დამარხვა.

მეც ეს მინდოდა, თქვენ დაგემარხეთ გზის პირად, ან მარტოხელა ველის მახლობლად, რომელსაც მღვდელნი და ლევიტნი გვერდს აუვლიან და სამარიტელნი გულწრფელი ცრემლით დაიტირებენ.

და აჰა, ლოტე, მე არა ვკრთი, როცა ხელს ვუწვდი ცივსა და საშინელ ფიალას, რომლისაგან სიკვდილს უნდა დავეწაფო.

შენგან გამოწვდილია იგი და მე უყოყმანოდ მინდა დავცალო კიდევაც.

ყოველივე, ყოველივე, ჩემი ცხოვრების ყოველივე სურვილი და ზრახვა აღსრულდა.

სიკვდილის ბჭეების რაზა ცივი და ამაზრზენი რამ ყოფილა ხელშესავლებლად. კარგია, რომ ბედმა მარგუნა შენთვის სიკვდილი.

შენთვის თავგანწირვა.

მე ალბათ უფრო გულმაგრად და მხიარულად შევეგებებოდი სიკვდილს, მთლად რომ ვიყო დაჯერებული, რომ ჩემი სიკვდილი შენს ბედნიერებას გაამთელებდა და განამტკიცებდა. მე მინდა, ლოტე, რომ თქვენ ამ ტანისამოსშივე დამმარხოთ, – მათ შენი ხელი და სუნთქვა არაერთხელ გაჰკარებია.

ეს მე მამაშენსაც ვთხოვე.

ჩემი სული უკვე კუბოს პირზე ფარფატებს კიდევაც. ნურც ჯიბეებიდან ამომაცლიან რამეს.

ის ვარდისფერი ბანტი, შენ რომ მკერდზე გქონდა შემოვლებული ჩვენი გაცნობის დღეს, ბავშვებს შორის რომ იდექი, ჩემო ანგელოზო – აკოცე მათ ჩემს მაგივრად და შეატყობინე მათ თავიანთი უბედური მეგობრის ბედი.

ღმერთო, როგორ მოგეჩვიე, პირველივე წამიდან შეგიტკბე და შეგეთვისე!..

ის ბანტი, ჩემი დაბადების დღეს რომ მაჩუქე, ჩემთან უნდა დაიმარხოს.

აჰ, მე არ მეგონა, თუ ჩემი გზა აქ მომიყვანდა.

გთხოვ დამშვიდდე, მე გთხოვ დამშვიდდე.

დამბაჩა გატენილია.

დაჰკრა თორმეტჯერ...

აღსრულდეს.

ლოტე, ლოტე, მშვიდობით“.

*

ერთმა მეზობელმა სროლა გაიგონა. წამლის აღსაც მოჰკრა თვალი, მაგრამ რაკი ამის შემდეგ მყუდროება არ დარღვეულა, ყურადღებაც არ მიუქცევია.

დილის ექვს საათზე მსახური შემოვიდა სანათით ხელში და ნახა: გასისხლიანებული ვერტერი იატაკზე ეგდო, მის გვერდით – დამბაჩა. მან დაუძახა, ხელი მოავლო, პასუხი არ გაუცია ვერტერს, მხოლოდ ხრიალი შემოესმა. მსახური გაიქცა ალბერტთან, იქიდან – ექიმთან.

ლოტემ ზარის ხმა რომ გაიგონა, უსიამოვნო ჟრუანტელმა აიტანა, ათრთოლდა, აკანკალდა, ქმარი გააღვიძა, ადგნენ. ატირებულმა მსახურმა ამცნო ყოველივე.

ლოტე წაიქცა.

როცა ექიმი მოვიდა ვერტერის ბინაზე, ვერტერი ჯერაც იატაკზე ეგდო, პულისი კიდეც სცემდა, სახსრები არ იძვროდნენ. ტყვია მოეხვედრებინა მარჯვენა თვალის ზემოდ, ტვინი გადმონთხეულიყო შუბლზე.

ექიმმა ძარღვი გაუხსნა ხელზე, სისხლი გამოდინდა. ვერტერი ჯერ კიდევ სულს ითქვამდა. სისხლით დასვრილი სავარძლის ზურგსაყრდნობი მოწმობდა, რომ ვერტერს ტყვია გაუსროლია საწერ მაგიდასთან ჯდომისას.

მერმე გადმოვარდნილა და ინერციით უტრიალნია სავარძლის გარშემო. მას ცისფერი ფრაკი ეცვა და ყვითელი ჟილეტი.

პირალმა იწვა.

მთელი სახლი, მთელი სამეზობლო, მთელი ქალაქი ამოძრავდა, აჩოჩქოლდა.

ალბერტი მოვიდა.

ვერტერი ლოგინზე დაასვენეს, შუბლი შეუხვიეს. სახე მიცვალებულს მიუგავდა.

არც ერთი სახსარი არ იძვროდა, მხოლოდ ფილტვების ხროტინი ისმოდა, ხან მძაფრად, ხან სუსტად. წამწუთზე ელოდნენ მის გარდაცვალებას.

ღვინოს ერთი ჭიქა აკლდა, ჭიქიდან ცოტა მოუსვამს. მაგიდაზე გადაფურცლული „ემილია გალოტი“ იდო.

ნურას მკითხავთ ალბერტის შეწუხებაზე, ნურც ლოტეს უნუგემო წუხილზე...

მოხუცი სამთავროს მოხელე აქლოშინებული შემოვარდა, ცრემლმორეული დასწვდა და აკოცა მომაკვდავს.

მისი უფროსი ვაჟები ფეხით მოვიდნენ, დაიჩოქეს ვერტერის სარეცლის წინ, აკოცეს ვერტერს ტუჩზე და ხელზე. უფროსი ვაჟი, რომელიც განსაკუთრებით უყვარდა ვერტერს, ძლივს მოაცილეს ცხედარს.

შუადღის 12 საათზე მიიცვალა ვერტერი. სამთავროს მოხელისა და მისი მხლებლების იქ ყოფნამ ხელი შეუშალა ხალხის მოგროვებას ვერტერის ბინაზე.

სადამოს 11 საათზე მან დაამარხვინა ვერტერის ცხედარი განსვენებულის მიერვე არჩეულ ადგილას.

მოხუცმა და მისმა შვილებმა გააცილეს ცხედარი.

ალბერტი ძლიერ უგუნებოდ გახდა.

ლოტეს გადარჩენას არვინ ელოდა.

ხელოსნებმა წაიღეს კუბო სასაფლაოზე – არც ერთი მღვდელთაგანი ცხედარს არა ხლებია.

არჩევითი ნათესაობა ნელი ამაშუკელის თარგმანი

ნაწილი პირველი

თავი პირველი

ედუარდმა, – ასე ვუწოდებთ ერთ მდიდარ, ჯან-ღონით სავსე ბარონს, – აპრილის ერთ მშვენიერ ნაშუადღევს მთელი საათი გაატარა საკუთარ სანერგეებში, სადაც ქორფა კალმებს ახალამოყრილ საძირეებზე ამყნობდა. ის-ის იყო საქმე დაასრულა, იარაღი ყუთში ჩააწყო და თავის ნახელავს სიამოვნებით შეავლო თვალი, რომ მოუახლოვდა მებაღე, რომელსაც დიდად ეამა, აქაოდა, ბატონმა თავი გამოიღო და ჩემი წილი სამუშაო შეასრულაო.

– ჩემი მეუღლისთვის ხომ არ მოგიკრავს თვალი? – ჰკითხა ედუარდმა მებაღეს და წასასვლელად გაემზადა.

– გაღმაა, ახალ პარკში, – მიუგო მებაღემ, – დღეს ამთავრებენ ხავსის ქოხს, ციხე-დარბაზის პირდაპირ რომ ააშენა ციცაბო კლდეზე. ირგვლივ ყველაფერი ძალიან გაღამაზდა, თქვენს მოწყალებას უთუოდ მოეწონება. იქიდან შესანიშნავი ხედი იშლება: ქვემოთ სოფელია, ოდნავ ხელმარჯვნივ მოჩანს ეკლესია, რომლის წვეტიანი გუმბათი თვალს ნაკლებად ეღობება, მოპირდაპირე მხარეს კი ციხე-დარბაზი და ბაღებია.

– სავსებით სწორია, – უპასუხა ედუარდმა, – აქეთ მომავალმა დავინახე, რომ იქ ხალხი მუშაობდა.

– შემდეგ, – განაგრძო მებაღემ, – მარჯვნივ ფართო ხეობაა, ხედავ ხეებით დაფარულ მდელოებს და თვალისმომჭრელ შორეთს? ბილიკი, კლდეს რომ ზევით მოუყვება, ძალიან ლამაზადაა გაკვალული. ჩვენი მოწყალე ქალბატონი ასეთ რამეებში ერკვევა; მისი ხელმძღვანელობით მუშაობა სასიამოვნოა.

– მიაკითხე ქალბატონს, – უთხრა ედუარდმა, – და სთხოვე დამიცადოს. უთხარი, ძალიან მინდა მისი ახალი ნახელავი ვნახო და ამით გავიხარო.

მებაღე სწრაფად გაშორდა და მალე ედუარდიც იქითკენ გაუყვა გზას. ტერასებიანი ფერდობიდან დაბლა დაემჯა. სანამ ღელეს მიადგებოდა, გზადაგზა ორანჟერეებსა და კვალსათბურებს აკვირდებოდა, შემდეგ ბოგირზე გადავიდა და იმ ადგილამდე მივიდა, სადაც ახალი ნარგავებისკენ მიმავალი ბილიკი ორად იტოტებოდა. ერთს, რომელიც ეკლესიის ეზოს ჭრიდა და პირდაპირ ციცაბო კლდისკენ მიემართებოდა, გვერდი აუარა და დაადგა მეორეს, მარცხნივ რომ უხვევდა, ოდნავ მოშორებით ლამაზ ბუჩქნარს აპობდა და მშვიდად მიიკლაკნებოდა ზევითკენ. იქ, სადაც ორივე ბილიკი კვლავ ერწყმოდა ერთმანეთს, ბარონი წამით ოსტატურად დამაგრებულ მერხზე ჩამოჯდა, შემდეგ კვლავ დაადგა ბილიკს და, როცა მრავალი კიბე და შვერილი დასძლია, დაინახა, რომ ვიწრო, მეტ-ნაკლებად ციცაბო გზამ ბოლოს მაინც ხავსის ქოხთან მიიყვანა.

კართან მეუღლეს შარლოტე შემოეგება და ისეთნაირად დასვა, რომ კარიდანაც და ფანჯრიდანაც თვალის ერთი შევლებით დაენახა სხვადასხვაგვარი ხედი და ლანდშაფტი, აქედან ჩარჩოში ჩასმულებივით რომ ჩანდნენ. ბარონს სიხარული მოჰგვარა იმედმა, რომ გაზაფხული მალე გარემოს მეტი გულუხვობით გამოაცოცხლებდა.

– მხოლოდ ერთი რამ ეთანაღრება გულს, ქოხი ცოტა ვიწრო მეჩვენება.

– ჩვენ ორნი მშვენივრად დავეტევით, – უპასუხა შარლოტემ.

– გეთანხმები, ის კი არა, აქ მესამისთვისაც გამოინახება ადგილი, – უთხრა ედუარდმა.

– რატომაც არა, მეოთხესაც მოვათავსებთ, – მიუგო შარლოტემ, – ხოლო უფრო დიდ საზოგადოებას სხვა ადგილები დავახვედროთ.

– რადგან აქ მარტო ვართ, ხელს არავინ გვიშლის, თავს მშვიდად და ლაღად ვგრძნობთ, – თქვა ედუარდმა, – უნდა გამოგიტყდე, რომ აგერ უკვე რამდენი ხანია ერთი რამ გულში ხინჯად მიდევს, მინდა გაგიმხილო, საჭიროცაა, მაგრამ ვერ იქნა და ვერაფრით მოვახერხე.

– მეც გატყობდი რაღაცას, – მიუგო მეუღლემ.

– და ახლა მინდა გამოგიტყდე, – განაგრძო ედუარდმა, – ამ დილით ფოსტალიონს რომ არ ავეჩქარებინე, სწორედ დღეს რომ არ იყოს აუცილებელი გადაწყვეტილების მიღება, შეიძლება კიდევ კარგა ხანს არ ამომელო ხმა.

– რა მოხდა ასეთი? – ჰკითხა შარლოტემ ხალისიანი ცნობისმოყვარეობით.

– საქმე ეხება ჩვენს მეგობარს, კაპიტანს, – უთხრა ედუარდმა, – შენ იცი, რა სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა, თანაც ზოგიერთივით ისე, რომ ბრალი არაფერში მიუძღვის. რა შეურაცხმყოფელი უნდა იყოს მისი ცოდნის, ნიჭისა და უნარის მქონე ადამიანისთვის, ხელი

აილოს ყოველგვარ საქმიანობაზე. არ მინდა მეტ ხანს დაგიმალო ჩემი გულის წადილი. მსურს რამდენიმე ხნით შევიკედლო კაპიტანი.

– კარგად უნდა დავფიქრდეთ და ეს საქმე ყოველი მხრიდან ავწონ-დავწონოთ, – უპასუხა შარლოტემ.

– ახლავე გაგიზიარებ ჩემს მოსაზრებებს, – განაგრძო ედუარდმა, – მის უკანასკნელ წერილში იგრძნობა უდიდესი გულისტკივილი, მაგრამ არა იმიტომ, თითქოს რამე აკლდეს. არა, მან იცის, როგორ მოითხოვოს თავი. იმისთვის კი, რაც ახლა მისთვის აუცილებელია, მე ვიზრუნე. მას არც ის თრგუნავს, ჩემგან რომ რამე დახმარება მიიღოს. მთელი ჩვენი სიცოცხლე ერთმანეთისგან ძალიან ვართ დავალეული. მას მხოლოდ ის აწამებს, საქმეს რომ მოსწყდა. სიამოვნებას მართო ის ჰგვრის თავდავიწყებამდე, რომ სხვებს ყოველდღიურად, ყოველ საათს მოახმაროს მრავალმხრივი ცოდნა, რაც კი შეუძენია. ახლა კი ან ხელები უნდა დაიკრიფოს გულზე, ანდა კვლავ შეუდგეს სწავლას, დახელოვნდეს რომელიმე სხვა დარგში, რადგან ის, რასაც სრულყოფილად დაეუფლა, ვერ მოუხმარია. ეყოფა, ჩემო კარგო, ამგვარ საჩოთირო მდგომარეობაში ყოფნა; იმის გამო, რომ მართლა, ორმაგად და სამმაგად იტანჯება.

– მე კი მეგონა, – უთხრა შარლოტემ, – მას ყოველი მხრიდან საქმეს სთავაზობენ. მის შესახებ თვითონ მივწერე რამდენიმე გავლენიან პირს წერილი, მამაკაცებსაც და ქალებსაც, და რამდენადაც ვიცი, იმ წერილებმა შედეგი გამოიღო.

– სავსებით მართალი ხარ, – მიუგო ედუარდმა, – მაგრამ სხვადასხვა წინადადება და შეთავაზებული საქმე მისთვის ახალი სატანჯველი და ახალი თავსატეხია. ამ წინადადებათაგან არც ერთი არ შეეფერება მას. მან კი უნდა იმუშაოს, თავი უნდა გაწიროს. უნდა დათმოს თავისი დრო, საკუთარი მრწამსი, ცხოვრების წესი, ამის გაკეთება კი არ შეუძლია. რაც უფრო ღრმად ვუფიქრდები ყოველივე ამას, რაც უფრო მეტად მიფორიაქდება გრძნობები, მით უფრო მიცხოველდება სურვილი, იგი ჩვენს სახლში ვიხილო.

– შენი მხრიდან დიდად მოსაწონი და სანაქებოა, – მიუგო შარლოტემ, – მეგობარს რომ ასე თანაუგრძნობ, მაგრამ, თუ ნებას მომცემ, დაბეჯითებით გთხოვ, იფიქრე შენზეც და ჩვენზეც.

– ამაზეც ვიფიქრე, – განაგრძო ედუარდმა, – მისი სიახლოვე მხოლოდ სარგებლობასა და სიკეთეს მოგვიტანს. გასაწევ ხარჯზე არაფერს ვამბობ, თუ ჩვენთან დასახლდება, ხარჯი უმნიშვნელო მექნება. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ მისი ჩვენთან ცხოვრება არავითარ უხერხულობას არ გამოიწვევს. მას შეუძლია იცხოვროს ციხე-დარბაზის მარჯვენა ფლიგელში, ყველაფერი დანარჩენი კი მოგვარდება. რამდენად ხელს შევუწყობთ ამით და რამდენ სიამოვნებასა და სარგებლიანობას მოგვიტანს მასთან ურთიერთობა. მე დიდი ხანია მინდოდა მამულისა და კარ-მიდამოს აზომვა. იგი ამ საქმეს თავს მოაბამს და უხელმძღვანელებს. შენ ხომ აპირებ მომავალში თავად მოვუაროთ ჩვენს მამულებს, როგორც კი ახლანდელ მოიჯარეებს ვადა გაუვათ. რაოდენი დაფიქრება გვმართებს, ამგვარ რამეს რომ შევეჭიდოთ. ეს რომ შევძლოთ, წინასწარ ბევრი რამ უნდა ვიცოდეთ. აი, სად გამოგვადგება იგი. მე ძალიან კარგად ვგრძნობ, რომ ამ ყაიდის კაცი მაკლია. მართალია, გლეხებმა ყველაფერი კარგად იციან, მაგრამ მათგან ხეირიანად ვერაფერს გაიგებ კაცი, ამასთან პატიოსნებაც აკლიათ. აკადემიებში განსწავლული ქალაქელები კი ნათლად მსჯელობენ, წესიერნი არიან, მაგრამ უშუალოდ საქმეში ნაკლებად ჩახედულნი. მეგობრისგან მე ერთსაც მოველი და მეორესაც. აქედან კიდევ უამრავი სხვა გარემოება გამომდინარეობს, რომელთა ერთად წარმოდგენა სიამოვნებას მგვრის, ცხადია, ყოველივე ეს შენთანაც არის დაკავშირებული და ამ მხრივაც ბევრ სიკეთეს ველი წინასწარ. მაღლობელი ვარ, თავაზიანად რომ მომისმინე. ამიტომ მინდა ახლა შენც გულახდილად, დაწვრილებით ილაპარაკო და მითხრა ყველაფერი, რაც სათქმელი გაქვს. მე არ შეგაწყვეტინებ.

– ძალიან კარგი, – უპასუხა შარლოტემ, – რადგან ასეა, პირდაპირ ზოგადი შენიშვნით დავიწყებ. მამაკაცები, უფრო მეტად კერძო შემთხვევებზე, დღევანდელიობაზე ფიქრობენ და სწორადაც იქცევიან, რადგან მოწოდებულნი არიან საქმე აკეთონ, იმოქმედონ. ქალებს კი, პირიქით, უფრო მეტად ის აფიქრებთ, რაც ცხოვრებაში შეკავშირებულია, და ისინიც მართლები არიან, რადგან იმათი და მათი ოჯახების ბედი ამ შეკავშირებაზეა დამოკიდებული და მათგან სწორედ ამ შეკავშირების დაცვას მოითხოვენ. ამიტომ მოდი, თვალი გადავაგლოთ ჩვენს ახლანდელ და წარსულ ცხოვრებას და თვითონვე დარწმუნდები, რომ კაპიტნის ოჯახში მოწვევა არცთუ ისე ესადაგება ჩვენს ზრახვებს, გეგმებსა და ჩვეულებებს.

რარიგ მეხალისება ჩვენი ადრინდელი ურთიერთობების გახსენება! როცა ახალგაზრდები ვიყავით. მთელი სულითა და გულით გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ ჩვენ დაგვაშორეს: შენ დამშორდი მამაშენის გამო, რომელიც დაუოკებლად ისწრაფოდა ქონების შეძენისკენ, და ამიტომ გაგირიგა საკმაოდ ხნიერი, მდიდარი ქალი, მე კი მომავალი დიდს არაფერს მიქადდა და იძულებული ვიყავი გავყოლოდი შეძლებულ კაცს, რომელიც არ მიყვარდა, მაგრამ პატივს ვცემდი. მას შემდეგ ჩვენ

ისევ მოვიპოვეთ თავისუფლება, შენ – უფრო ადრე, თანაც, დედილომ დიდძალი ქონება დაგიტოვა, მე მოგვიანებით, სწორედ იმ დროს, როცა შენ მოგზაურობიდან დაბრუნდი. აი, ასე ვიპოვეთ კვლავ ერთმანეთი. ჩვენ სიხარულს გვგვრიდა ყოველივე ამის მოგონება, გვიყვარდა ჩვენი წარსული და შეგვეძლო დაუბრკოლებლად გვეცხოვრა ერთად. შენ დაჟინებით მთხოვდი დავქორწინებულიყავით, მე მაშინვე არ დაგეთანხმე, რადგან ჩვენ თითქმის ერთი ხნისა ვართ და მე, როგორც ქალს, უფრო მომემატა ასაკი, შენ კი, როგორც მამაკაცს – ნაკლებად. ბოლოს მაინც ვერ გითხარი უარი იმაზე, რაც შენს ერთადერთ ბედნიერებად მიგაჩნდა. გსურდა ჩემს გვერდით დაგესვენა მთელი იმ ორომტრიალისგან, რაც ჰერცოგის კარზე, სამხედრო სამსახურში და მოგზაურობის დროს გადაგზნა თავს, გინდოდა გონს მოსულიყავი, ცხოვრებით დამტკბარიყავი, მაგრამ მხოლოდ ჩემთან ერთად და ამიტომ ჩემი ერთადერთი ქალიშვილი პანსიონში მივაბარე, სადაც, რა თქმა უნდა, უფრო მრავალმხრივ განათლებას მიიღებს, ვიდრე იმ შემთხვევაში, სოფლად რომ ეცხოვრა. და არა მარტო ქალიშვილი, ჩემი საყვარელი დისწული, ოთილიეც იმ პანსიონში გავგზავნე, თუმცა შეიძლებოდა ჩემი თაოსნობით მას ბევრად უკეთესი აღზრდა მიეღო და ოჯახის მოვლა-პატრონობაში დამხმარებოდა. ყველაფერი ეს შენი ნება-სურვილით მოხდა, მხოლოდ იმის გამო, რომ ჩვენთვის გვეცხოვრა და ბოლოს მაინც დავმტკბარიყავით შეუფერხებლად გვიან მოპოვებული ბედნიერებით, რასაც უწინ მთელი სულითა და გულით ვნატრობდით. ასე დავიწყეთ ცხოვრება სოფელში. მე თავს ვიდე საშინაო საქმეები, შენ – საგარეო. აქაურობის ბატონ-პატრონიც გახდი. ასე რომ, მე გავაკეთე ყველაფერი, რაც უნდა გამეკეთებინა, ყველაფერში შენ აგიბი მხარი და მხოლოდ შენთვის ვცხოვრობ. მოდი, ერთხანს მაინც ვცადოთ, რამდენად ვეყოფით ერთმანეთს ასეთ ვითარებაში.

– რადგან შეკავშირება, როგორც შენ ამბობ, ჭეშმარიტად თქვენი სტიქიაა, – უთხრა ედუარდმა, – ამიტომ, ცხადია, ან არც უნდა მოგისმინოს კაცმა, როცა დალაგებულად მსჯელობ, ანდა უნდა აღიაროს შენი სიმართლე და დღემდე ალბათ ყველაფერში მართალი ხარ. მაგრამ კარ-მიდამო, ჩვენ რომ საცხოვრებლად გავინადეთ, შესანიშნავია და ნუთუ ჩვენს მამულში აღარაფერი არ უნდა გავაშენოთ, არაფერი გავაუმჯობესოთ? ის, რასაც მე ბაღში ვაკეთებ, შენ კი პარკში, მხოლოდ განდეგილობისთვისაა განკუთვნილი?

– კეთილი და პატიოსანი! – მიუგო შარლოტემ, – გეთანხმები. ოღონდ ნურაფერს უცხოსა და ხელშემშლელს ნუ შემოგუშვებთ აქ. გაიხსენე, გართობის მხრივაც კი ჩვენი გეგმები მხოლოდ ჩვენ ორს გვეხებოდა. პირველ ყოვლისა, შენ გინდოდა საჭირო თანამიმდევრობით გაგეცნო ჩემთვის შენი მოგზაურობის დღიურები, გესარგებლა ამ შემთხვევით, ზოგიერთი ქალაქი წესრიგში მოგეყვანა და ჩემი ხელშეწყობითა და დახმარებით ეს ფასდაუდებელი, მაგრამ არეულ-დარეული რვეულები და ფურცლები ერთ წიგნად შეგეკრა, რაც ჩვენც სიხარულს მოგვგვრიდა და სხვებსაც. მე პირობა მოგეცი, გადაწერაში დაგხმარებოდი და ჩვენ გვეგონა, რომ ასე უშფოთველად, მყუდროდ, სასიამოვნოდ მალულად ვიმოგზაურებდით გონების თვალთ იმ სამყაროში, რომლის ერთად ნახვა არ გვედირსა. დიახ, ეს საქმე დავიწყეთ კიდეც. შემდეგ მე საღამოობით პიანინოზე ვუკრავდი, შენ ფლეიტას მოიმარჯვებდი და ამყვებოდი ხოლმე. ამ ხნის განმავლობაში არც მეზობლების სტუმრობა გვაკლდა და არც ჩვენ ვრჩებოდით ამ მხრივ ვალში. ყოველ შემთხვევაში, მე ყოველივე ამან პირველად გამატარებინა ჭეშმარიტად სასიხარულო ზაფხული, ვტკბებოდი იმით, რაზედაც მთელი სიცოცხლე ვოცნებობდი.

– მე კი, – უთხრა ედუარდმა და თან შუბლი მოისრისა, – ვისმენდი იმას, რასაც ასე სასიამოვნოდ, ასე გასაგებად მიმეორებდი და ვერაფრით მოვიშორე თავიდან ფიქრი იმაზე, რომ კაპიტნის აქ ცხოვრება არაფერს გვავენებდა, პირიქით, ყველაფერს დააჩქარებდა და ახალ სიცოცხლეს შთაბერავდა. იგი ჩემთან ერთად მოგზაურობდა ერთხანს და ბევრი რამ ჩემგან განსხვავებულად ჩაინიშნა. ყოველივე ამას ერთად გამოვიყენებდით და მხოლოდ ამის შემდეგ შეიკვრებოდა ჩვენი შთაბეჭდილებები ერთ წიგნად.

– თუ შენსას არ იშლი, ნება მიბოძე გულწრფელად გამოგიტყდე, – უთხრა შარლოტემ ოდნავ მოუთმენლად, – შენს განზრახვას ვეწინააღმდეგები, წინათგრძნობა კარგს არაფერს მიქადის.

– ასეთ რამეებში თქვენ, ქალებს, ვერავინ მოგერევათ, – შეეკამათა ედუარდი, – ისე გესმით ყველაფერი, ვერ გეწინააღმდეგებიან; ისეთი მოალერსება იცით, სიამოვნებით გემორჩილებიან; იმდენად მგრძნობიარენი ხართ, არ უნდათ ტკივილი მოგაყენონ; ისე ხართ სავსე წინათგრძნობით, თქვენი ეშინიათ.

– არა, ედუარდ, ცრუმორწმუნე არ ვარ, – უპასუხა შარლოტემ, – და საქმე რომ მხოლოდ ასე იყოს, არავითარ ანგარიშს არ გავუწევდი მაგ ბნელ იმპულსებს, მაგრამ მეტწილად ეს უნებური მოგონებებია იმ ბედნიერი და უბედური შედეგებისა, რაც საკუთარმა ან სხვათა საქციელმა განგვაცდევინა. ყოველ ვითარებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ორის ურთიერთობაში მესამე პირის ჩარევაა. მე მინახავს მეგობრები, და-ძმანი, შეყვარებულები, ცოლ-ქმარი, რომელთა ურთიერთობა გარეშე პირის შემთხვევითი ან არჩევითი შემომატებით რადიკალურად შეცვლილა, მათი ცხოვრება

მთლიანად არეულ-დარეულა.

– ასეთი რამ შეიძლება დაემართოთ იმათ, – მიუგო ედუარდმა, – ვინც მხოლოდ ანგარიშმიუცემლად არსებობენ, და არა იმათ, ვისაც გამოცდილებამ გაუნათა გონება და შეგნებულად ცხოვრობენ.

– ჩემო ძვირფასო, – უპასუხა შარლოტემ, – შეგნება არ არის საკმარისი იარაღი. პირიქით, ზოგჯერ სახიფათოც კია იმისთვის, ვინც მას იყენებს. აქედან კი ის გამომდინარეობს, რომ ზედმეტად არ უნდა ავჩქარდეთ. ჯერ ნუ გადაწყვეტ, მომეცი კიდევ რამდენიმე დღე მოსაფიქრებლად.

– საქმე ისე მიდის, – უთხრა ედუარდმა, – რომ რამდენიმე დღის შემდეგაც ისევ ზედმეტად ავჩქარდებით. გადაწყვეტილების მიღების სასარგებლო და საწინააღმდეგო მიზეზები ორივემ მოვიტანეთ. მთავარია, რას გადავწყვეტთ, და ამისათვის არაფერი იქნებოდა იმაზე უკეთესი, ეს საქმე რომ წილისყრისთვის მიგვენდო.

– ვიცი, – უპასუხა შარლოტემ, – რომ საჭოჭმანო შემთხვევებში შენ სიამოვნებით დებ სანაძლეოს ან კამათელს აგორებ. ასეთ სერიოზულ საკითხებში წილისყრა მე მკრეხელობად მიმაჩნია.

– კი მაგრამ, კაპიტანს რა მივწერო? – წამოიძახა ედუარდმა, – მე ხომ ახლავე უნდა დავწერო წერილი.

– მისწერე, მშვიდი, გონიერი, მანუგეშებელი ბარათი, – თქვა შარლოტემ.

– ესე იგი, არაფერი, – უთხრა ედუარდმა.

– და მაინც ზოგ შემთხვევაში, – მიუგო შარლოტემ, – ამას თავაზიანობაც მოითხოვს და აუცილებლობაც, ჯობია კაცს არაფერი მისწერო, ვიდრე სულ არ მისწერო.

თავი მეორე

ედუარდი განმარტოვდა თავის ოთახში და შარლოტეს მიერ მათი წარსული ცხოვრების განხილვამ, მათი ახლანდელი მდგომარეობისა და სურვილების ნათლად წარმოდგენამ, მისი მგრძობიარე სული სასიამოვნოდ ააღელვა. იგი ისე ბედნიერად გრძნობდა თავს შარლოტეს გვერდით, მის საზოგადოებაში, რომ გადაწყვიტა კაპიტანისათვის თავაზიანი, თანაგრძობის გამომხატველი, მაგრამ მშვიდი და არაფრის მთქმელი წერილი მიეწერა. მაგრამ როცა საწერ მაგიდასთან მივიდა და მეგობრის წერილი ხელში აიღო, რათა კიდევ ერთხელ გადაეკითხა, ისევ წარმოიდგინა, თუ რა სავალალო მდგომარეობაში იყო ეს შესანიშნავი პიროვნება; კვლავ მოეძალა ის განცდები, ბოლო დღეებში რომ აწვალებდა და შეუძლებლად მიიჩნია მეგობრის ასეთ საშიშ მდგომარეობაში დატოვება.

ედუარდი არ იყო ჩვეული, ხელი აეღო რომელიმე სურვილის განხორციელებაზე. იგი განლდათ ბავშვობიდანვე განებივრებული ერთადერთი შვილი მდიდარი მშობლებისა, რომელთაც მოახერხეს დაეყოლიებინათ, შეერთო მასზე უფროსი ქალი, რაც უცნაური, მაგრამ უაღრესად ხელსაყრელი იყო. ცოლიც ყოველნაირად ელოლიავებოდა, აქაოდა კარგად მეპყრობაო და ცდილობდა გულუხვად მიეზღო სამაგიერო. ქალი მალე გარდაიცვალა და ედუარდი კვლავ საკუთარი თავის ბატონ-პატრონი გახდა. დაიწყო დამოუკიდებლად მოგზაურობა, ცხოვრების ყოველგვარ ცვალებადობას, ბედის ყოველგვარ უკუღმართობას უმკლავდებოდა. გადამეტებული არაფერი უნდოდა, მაგრამ სურვილით ბევრი რამ სურდა – თუნდაც ის, რომ გულწრფელი, ქველმოქმედი, ვაჟკაცი, საჭიროების შემთხვევაში მამაციც კი ყოფილიყო. ამიტომ ამქვეყნად რა უნდა ყოფილიყო ისეთი, მის სურვილებს რომ გადაღობებოდა.

აქამდე ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც მას ჰქონდა ჩაფიქრებული, შარლოტეს დასაკუთრებაც კი მოახერხა. ამას მიაღწია სიყვარულისადმი იმგვარი ჯიუტი ერთგულებით, რომანებში რომ წაუკითხავს. ახლა კი გრძნობდა, რომ პირველად ეწინააღმდეგებიან, პირველად უშლიან ხელს, არ ანებებენ ჭაბუკობის მეგობარი გვერდით ჰყავდეს და ამით მთელი თავისი არსებობა სრულყოფილი გახადოს. ამ ამბავმა გააღიზიანა, მოუთმენლობამ შეიპყრო, კალამი რამდენჯერმე აიღო ხელში და უკანვე დადო, რადგან ვერ გადაეწყვიტა, რა მიეწერა. ცოლის სურვილის წინააღმდეგ წასვლა არ უნდოდა, ხოლო იმის შესრულება, რასაც იგი მოითხოვდა, არ შეეძლო. და, აი, ასეთ აფორიაქებულს მშვიდი წერილი უნდა დაეწერა, რაც ყოვლად წარმოუდგენელი იყო.

ამიტომ ყველაზე ბუნებრივად ის მიიჩნია, რომ დრო მოეგო. ორიოდ სიტყვით მეგობარს მოუბოდიშა, ამ დღეებში რომ არაფერი მისწერა, რომ დაწვრილებით ახლაც ვერაფერს ატყობინებს და შეჰპირდა, მალე უფრო მნიშვნელოვან, უფრო დამამშვიდებელ ბარათს მოგწერო.

მეორე დღეს, როცა კვლავ იმავე ადგილას სეირნობდნენ, შარლოტემ ისარგებლა შემთხვევით და სიტყვა ისევ გუშინდელ საუბარზე ჩამოუგდო. ქალი ალბათ დარწმუნებული იყო, რომ ამა თუ იმ განზრახვას არაფერი უთხრის ძირს უფრო საიმედოდ, ვიდრე მასზე ხშირი მსჯელობა.

ედუარდისთვის სასურველი იყო ამაზე საუბრის განახლება. იგი ჩვეული თავაზიანობით და ყურისთვის მამებლად გამოთქვამდა საკუთარ აზრებს. მგრძნობიარე ბუნება ჰქონდა და ადვილად ცხარდებოდა. მისი დაუოკებელი სურვილი მომაბეზრებელი ხდებოდა, ხოლო, მისი სიჯიუტე მოთმინებას აკარგვინებდა ადამიანს, მაგრამ, მოსაუბრე რომ დაენდო, სათქმელს ისე რბილად იტყოდა, რომ შენდა უნებურად ხათრიან კაცად მოგეჩვენებოდა, სინამდვილეში კი უაღრესად დამქანცველი იყო.

ამგვარი მიდგომით იმ დილით შარლოტე ჯერ მეტიმეტად გაამხიარულა, შემდეგ კი ისე მიმზიდველად შეატრიალა საუბარი, რომ თავგზა მთლად აუბნია და ბოლოს ქალმა წამოიძახა: – შენ უთუოდ გინდა დამითანხმო, როგორც საყვარელმა, იმაზე, რაზედაც მეუღლეს უარი გითხარი. ყოველ შემთხვევაში, ჩემო ძვირფასო, – განაგრძო ქალმა, – უნდა ხედავდე, რომ შენს სურვილებს, ეგზომ გულითადად გამოხატულს, მშვიდი და გულგრილი არ დავუტოვებ ვერ, სწორედ ეს მაიძულებს გამოგიტყდე, რომ მეც გიმალავდი აქამდე რაღაცას. მეც ისეთივე დღეში ვარ, როგორშიც შენ და დღემდე ისევე ვთოკავდი ჩემს თავს, როგორც ალბათ შენ.

– დიდად მესიამოვნა იმის მოსმენა, რაც მითხარი, – უპასუხა ედუარდმა, – როგორც ვხედავ, ცოლი და ქმარი ზოგჯერ უნდა დავობდნენ, რადგან ამის შედეგად ერთმანეთისგან რაღაც-რაღაცებს იგებენ.

– ამიტომ, ახლა შენც უნდა გაიგო, – უთხრა შარლოტემ, – რომ ოთილიეს გამო მეც ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, როგორშიც შენ კაპიტნის გამო. ძალიან არ მსიამოვნებს, ჩემი საყვარელი გოგონა რომ ისეთ პანსიონში მყავს მიბარებული, სადაც ძლიერ იჩაგრება. ჩემი ქალიშვილი ლუციანე საზოგადოებისთვისაა გაჩენილი და განათლებასაც პანსიონში საზოგადოებისთვის იღებს. იგი ადვილად ითვისებს ენებს, ისტორიას და ყველაფერს, რასაც იქ ასწავლიან, ამავე დროს ვარიაციებს პირდაპირ ნოტებიდან უკრავს. ბუნებით მკვირცხლი ბავშვია, მეხსიერება ბრწყინვალე აქვს. შეიძლება ითქვას, რომ ერთ წამში ყველაფერს ივიწყებს და მეორე წამს ყველაფერს იხსენებს. იქცევა უშუალოდ, ცეკვავს მოხდენილად, გონიერი, სასიამოვნო საუბრით ყველასგან გამოირჩევა, ხასიათი მბრძანებლური დაჰყვა და ამის წყალობით ყველგან იქცევა ხოლმე ვიწრო წრის დედოფლად, რის გამოც სასწავლებლის გამგე მას პატარა დედოფლად თვლის, რომელიც მხოლოდ მის ხელში იფურჩქნება ისე, როგორც წესი და რიგია, და მას სახელს გაუთქვამს, ნდობას მოუხვეჭს, ხელს შეუწყობს, რომ მის სასწავლებელს მოაწყდნენ სხვა ქალიშვილები. როცა წერილებს მწერს და ყოველთვიურ ანგარიშს მათარებს, მისი ნაწერის პირველი გვერდები ჰიმნებს მიმღერიან იმის გამო, რომ ასეთი შესანიშნავი ქალიშვილი მყავს, რის გადათარგმნასაც ჩემს პროზაულ ენაზე მშვენივრად ვახერხებ; მაგრამ, როცა ბოლოში ოთილიესაც მოიხსენიებს, მუდამ ბოდიშს ბოდიშზე მიხდის, მწერს, ოთილიე აქ სხვა მხრივ მშვენივრად იზრდებდა, მაგრამ, არ სურს განათლება მიიღოს, გამოამჟღავნოს ნიჭი და სწავლის უნარიო. არც ის ორიოდ სიტყვა წარმოადგენს ჩემთვის გამოცანას, წერილს რომ დაურთავს ბოლოში. როგორც ვხედავ, ეს საყვარელი ბავშვი ხასიათით პირწავარდნილი დედამისია, რომელიც ჩემი უძვირფასესი მეგობარი იყო და ჩემს გვერდით იზრდებოდა. რომ შემეძლოს სასწავლებლის აღმზრდელი ან ზედამხედველი ვიყო, მის ქალიშვილს შესანიშნავ არსებად აღვზრდიდი, მაგრამ რაკი ამგვარი რამ ჩვენს გეგმაში არ შედის, ხოლო მისი ცხოვრების პირობებს შორიდან ვერ დაეჯაჯგურები და ვერ მიფლით-მოფლითავ, ყოველთვის ვერ შეუქმნი ახალ გარემოს, მირჩევნია მისი აღზრდა ისევ მე ვიკისრო. დავძლევ უსიამო შეგრძნებას, გამოწვეულს იმით, რომ ჩემმა ქალიშვილმა მშვენივრად იცის, საბრალო ოთილიე მთლიანად ჩვენზეა დამოკიდებული და ამ უპირატესობის გამო მას ქედმაღლურად ექცევა, რითაც ჩვენს კეთილისმყოფლობას რამდენადმე აქარწყლებს.

მაგრამ ვინ არის იმდენად განათლებული, რომ თავის უპირატესობას სხვების მიმართ ზოგჯერ უმოწყალოდ არ იყენებდეს? ვინ დგას იმ სიმაღლეზე, რომ ცხოვრებამ ზოგჯერ მტანჯველი უღელი არ დაადოს ქედზე? ამგვარი გამოცდის წყალობით ოთილიეს ფასი ემატება. მას შემდეგ, რაც მივხვდი, თუ რა საჩოთირე მდგომარეობაში იმყოფება გოგონა, ვცდილობ მისი ცხოვრება სხვაგვარად მოვაწყო. წუთი წუთზე ველი პასუხს, ამიტომ მანამდე უნდა მოვუღო ბოლო ყოველგვარ ყოყმანს. ასეა ჩემი საქმე, ძვირფასო. როგორც ხედავ ორივე მხრივ ერთი და იგივე საზრუნავი აწუხებს ჩვენს ერთგულ, მოყვარულ გულებს. მოდი, ეს ტვირთიც ერთად ვატაროთ, რადგან შენი და ჩემი საზრუნავი ერთმანეთს არ გამოირიცხავს.

– ჩვენ საოცარი ადამიანები ვართ, – უპასუხა ედუარდმა ღიმილით, – თუ შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ ის, რაც საზრუნავს გვიჩენს, მაშინვე გვჯერა, რომ საქმე მოგვარებულია. საერთოდ ორივეს შეგვიძლია დიდი მსხვერპლის გაღება, მაგრამ წვრილმანებს შეეგუო, ეს ისეთი მოთხოვნაა, რასაც ძნელად ართმევენ თავს. ასეთი ქალი იყო დედაჩემიც. ბავშვობასა და სიჭაბუკეში, სანამ მასთან ვცხოვრობდი, ყოველწამიერი საზრუნავი არ გამოლევია. თუ გარეთ გასულს შინ მობრუნება დამიგვიანდებოდა, უთუოდ რაღაც უბედურება იყო ჩემს თავს, თუ თავსხმაში დავსველდებოდი, დარწმუნებული იყო, რომ სიცხეს მომცემდა. მაგრამ გავსწიე სამოგზაუროდ, მოვშორდი და მისთვის თითქმის აღარც კი ვარსებობდი.

– თუ ყოველივე ამას უფრო ღრმად ჩავუკვირდებით, – განაგრძო ედუარდმა, – მაშინ ორივე სულელურად და უპასუხისმგებლოდ ვიქცევით, რადგან ორ უკეთილშობილეს ადამიანს, გულით რომ გვიყვარს, სატანჯველსა და უბედურებაში ვტოვებთ მხოლოდ იმის გამო, რომ საფრთხეს არ გადავეყაროთ. თუ ამას ანგარებას არ ვუწოდებთ, მაშინ რა უნდა ვუწოდოთ? შენ შენი ოთილიე ჩამოიყვანე, მე კი ნება მომეცი ჩემს კაპიტანზე ვიზრუნო და ღვთის სახელით ვცადოთ, რა გამოგვივა.

– ამგვარი ცდა რომ მართო ჩვენთვის იყოს სახიფათო, – თქვა შარლოტემ დაფიქრებით, – უკან არ დავიხევდით, მაგრამ ნუთუ შენ ფიქრობ, რომ გონივრული იქნება კაპიტანი და ოთილიე ჩვენი ოჯახის წევრებად გავხადოთ? კაპიტანი ხომ დაახლოებით შენი ხნის კაცია, – იმ ასაკშია, როცა კაცს სიყვარულის უნარი შესწევს. ამგვარ ქათინაურს მხოლოდ იმიტომ გეუბნები, რომ მოწმე არა გვყავს, – და თვითონაც სიყვარულის ღირსია, ოთილიე კი ღირსებებით სავსე ქალიშვილია და ისინი ერთად?..

– აი, ეს კი არ მესმის, – უპასუხა ედუარდმა, – როგორ შეგიძლია ოთილიე ასე აღამაღლო. ამას მე მხოლოდ იმით ვხსნი, რომ შენი სიყვარული დედამისისადმი მას მემკვიდრეობით ერგო. მართალია, ლამაზი გოგონაა და მაგონდება, კაპიტანმა მანიშნა კიდევ, ყურადღება მიაქციე იმ დღეს, როცა ამ ერთი წლის წინათ მოგზაურობიდან დავბრუნდით და მას შენთან ერთად დეიდაშენთან შევხვდით. ოთილიე ლამაზია, განსაკუთრებით თვალები აქვს ლამაზი, მაგრამ რაღაც არ მახსოვს, მას რომ ჩემზე მცირეოდენი შთაბეჭდილება მაინც მოეხდინა.

– სანაქებოა, – უთხრა შარლოტემ, – მეც ხომ იქ ვიყავი და მიუხედავად იმისა, რომ იგი ჩემზე ბევრად ახალგაზრდაა, ძველ სიყვარულთან შეხვედრამ იმდენად შეგიპყრო, რომ ახლად გაფურჩქნულ, მრავლისაღმთქმელ სილამაზეს ყურადღება არ მიაქციე. ესეც შენს კაცობაზე მეტყველებს და ჩემთვის დიდად სასიამოვნოა, შენი ცხოვრების მოზიარე რომ ვარ.

შარლოტე თითქოს გულწრფელად ლაპარაკობდა, მაგრამ რაღაცას მაინც უმაღავდა ქმარს. საქმე ისაა, რომ მაშინ მოგზაურობიდან დაბრუნებულ ედუარდს ოთილიე განგებ შეახვედრა, იმ მიზნით, იქნებ ასეთ ბრწყინვალე საქმროს მისი საყვარელი შვილობილი თვალში მოსვლოდა. იმ დროს საკუთარ თავზე აღარ ფიქრობდა, არაფრით არ ეგონა ედუარდი თუ ისე დაუბრუნდებოდა. კაპიტანსაც შეუჩნდა, ედუარდის ყურადღება როგორმე ოთილიეზე შეაჩერეო. მაგრამ ედუარდს ძველი სიყვარული შარლოტესადმი ისე ჯიუტად ჰქონდა გამჯდარი ძვალ-რბილში, რომ არც მარჯვნივ იყურებოდა და არც მარცხნივ. უაღრესად ბედნიერი იყო, გული ეუბნებოდა, შესაძლოა ეგზომ სასურველი და სხვადასხვა მიზეზთა გამო თითქმის სამუდამოდ დაკარგული განძი ბოლოს ისე დაიბრუნო.

ის-ის იყო ცოლ-ქმარმა გადაწყვიტა ახალ პარკს ქვევით, ციხე-დარბაზისკენ ჩაჰყოლოდნენ, რომ ქვემოდან სწრაფად მომავალი მსახური შეეგებათ და სიცილით ამოსძახა: – თქვენო ბრწყინვალეებავ, სასწრაფოდ ჩამობრძანდით! ეს-ესაა ბატონი მითლერი ფეთიანივით შემოჯირითდა ციხე-დარბაზის ეზოში და ყველას დაგვერია ყვირილით, ახლავე მოგნახოთ, ახლავე გკითხოთ, ხომ არა გიჭირთ რა? „ჰკითხეთ, რამე ხომ არ უჭირთო, – დაგვადევნა გამოქცეულებს, – გესმით? აბა, ჩქარა, ჩქარა გასწითო!“

რა სასაცილო კაცია! – წამოიძახა ედუარდმა, – მართლაც სულზე არ მოგვისწრო, შარლოტე? აბა, სწრაფად გაბრუნდი უკან, – უბრძანა ედუარდმა მსახურს, – უთხარი, უჭირთ, ძალიან უჭირთ-თქო! ოღონდ ცხენიდან ჩამოხტეს, მიხედეთ მის ცხენს, თვითონ შეიყვანეთ დარბაზში და საუზმე მიართვით; უთხარი, ახლავე მოვლენ-თქო.

– მოდი სხვა გზით წავიდეთ! – უთხრა ედუარდმა ცოლს და ეკლესიის ეზოზე გამავალ ბილიკს დაადგა. ამ ბილიკით იშვიათად სარგებლობდნენ. ედუარდი დიდად გააოცა იმან, რაც დაინახა. შარლოტეს არც ეკლესიის ეზო დაუტოვებია უყურადღებოდ, ძველი ძეგლებისთვის ხელი არ უხლია და მაინც ყველაფერი ისე შეუხამებია და მიუსადაგებია ერთმანეთისთვის, რომ იქაურობა ისეთი სასიამოვნო სანახავი გახდა, თვალსაც რომ ახარებს და წარმოსახვის ძალასაც აძლიერებს.

უძველეს ქვებსაც კი პატივი მიაგო შარლოტემ. მათ წლების მიხედვით გალავანთან მიუჩინეს

ადგილი, ზოგიერთი შეადუღაბეს, ზოგი კი სხვაგვარად მიუსადაგეს ერთმანეთს. ამან თვით ეკლესიის მაღალი ცოკოლიც კი გაამრავალფეროვნა და დაამშვენა. როგორც კი კუტიკარში შევიდნენ, ედუარდი მოულოდნელობისგან სახტად დარჩა, შარლოტეს ხელზე ხელი მოუჭირა და თვალზე ცრემლი მოადგა.

მაგრამ ახირებულმა სტუმარმა მაშინვე გაუშრო ცრემლი. რაკი ციხე-დარბაზში ვერ მოისვენა, მთელი სოფელი ჭენებით გამოიარა, ცხენი ეკლესიის კარიბჭესთან მოაგელვა, გააჩერა და მეგობრებს გასძახა: – თქვენ რა, მასხრად ხომ არ მიგდებთ? თუ მართლა გიჭირთ, სადილადაც არ დავრჩები, თუ არა და, ტყუილად არ გამაჩეროთ, დღეს უამრავი საქმე მაქვს კიდეც მოსაგვარებელი.

– რადგან ამდენი გაისარჯეთ და აქ ამობრძანდით, ბარემ შემოაჯირითეთ ცხენი ეზოში. ჩვენ უაღრესად სერიოზულ ადგილას შევხვდით ერთმანეთს, ხედავთ, როგორ გაალამაზა შარლოტემ ეს გლოვის სავანე? – მიაძახა ედუარდმა.

– მანდ ვერ შემოვალ ვერც ცხენით, ვერც ეტლით და ვერც ფეხით, – დაიძახა მხედარმა. იმათთან, ვინც მანდ მშვიდად განისვენებს, არაფერი მესაქმება. ისიც კმარა, როცა სხვა გზა აღარ დამრჩება, ერთხელაც წინ გაშვერილი ფეხებით შემიტანენ შიგ. მაშ თქვენ არ ხუმრობთ?

– რა გვებუმრება, – გასძახა შარლოტემ, – ახალშეუღლებულებს პირველად გაგვიჭირდა, დავიბენით და აღარ ვიცით, რით ვუშველოთ თავს.

– თქვენი შემხედვარე კაცი ამას ვერ იფიქრებს, – უპასუხა მითლერმა, – მაგრამ მაინც დაგიჯერებთ. თუ მომატყუებთ, სამაგიეროს მომავალში გადაგიხდით. სწრაფად გამომყევით უკან, ჩემს ცხენს დიდად წაადგება დასვენება.

მაღე სამივემ დიდ დარბაზში მოიყარა თავი, ამ დროს საუზმეც შემოიტანეს. მითლერი ჰყვებოდა, თუ რა გააკეთა დღეს და კიდეც რის გაკეთებას აპირებდა. ეს უცნაური კაცი უწინ სასულიერო პირი იყო და დაუცხრომელი მსახური. სხვებისგან იმით გამოირჩეოდა, რომ ყველა დავას, შინაურს თუ მეზობლურს, წყვეტდა და აგვარებდა. დაიწყო ცალკეული ოჯახებიდან, შემდეგ კი მთელი თემის, მრავალი მემამულის საქმეში ერეოდა. სანამ მსახურობდა, არც ერთი წყვილი არ გაყრილა და იმ მხარის კოლეგიებს არავითარი საჩივრებითა და პროცესებით არ აწუხებდნენ. იგი დროულად მიხვდა, მისთვის რომ სამართლის შესწავლა აუცილებელი იყო, ამიტომ ხარბად დაეწაფა ამ დარგს და მალე იგრძნო, რომ ყველაზე მარჯვე ვეჭილს ტოლს არ დაუდებდა. მისი სამოქმედო ასპარეზი საოცრად გაფართოვდა და გადაწყვეტილი ჰქონდათ, რეზიდენციაში გადაეყვანათ, რათა ის, რაც ქვევიდან დაიწყო, ზემოდან დაესრულებინა, მაგრამ ამ დროს ლატარიაში დიდძალი ფული მოიგო, იყიდა საშუალო მამული, იჯარით გააჭირავა და თავისი მოღვაწეობის ცენტრად გადააქცია. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ძველი ჩვეულებისა და მიდრეკილების თანახმად, არც ერთ სახლში არ გაჩერებულყო, სადაც დაშოშმინება ან დახმარება არავის სჭირდებოდა. ისინი, ვინც გვარის წარმოშობას ცრუმორწმუნედ უყურებს, ირწმუნებოდნენ, მითლერი[5] გვარმა აიძულა ყველა სხვა მოწოდებათა შორის ამ ყველაზე უცნაურ მოწოდებას ჩაბლაუჭებოდაო.

როცა ჩაროზი შემოიტანეს, სტუმარმა მასპინძლები სერიოზულად გააფრთხილა, სათქმელის გამხელას ნულარ აყოვნებთ, როგორც კი ყავის სმას მოვათავებთ, მაშინვე უნდა წავიდეთ. ცოლმაც და ქმარმაც დაწვრილებით უამბეს ყველაფერი, მაგრამ როგორც კი მითლერი საქმის არსს ჩასწვდა, მაშინვე წამოიჭრა ფეხზე, ფანჯარასთან მივარდა და ბრძანა მისთვის ცხენი შეეკაზმათ.

– ან სრულიად არ მიცნობთ, არაფერი გესმით ჩემი, ანდა ბოროტი ადამიანები ხართ, – წამოიძახა მან, – რა არის აქ სადავო? ვის სჭირდება დახმარება? თქვენ იქნებ ფიქრობთ, მე ამქვეყნად იმიტომ ვარსებობ, რომ ადამიანებს რჩევა მივცე. ეს ხომ ყველაზე სულელური ხელობაა, რასაც შეიძლება მისდევდეს კაცი. უმჯობესია თითოეულმა თვითონ მისცეს საკუთარ თავს რჩევა და გააკეთოს ის, რასაც გული კარნახობს. თუ კარგად წაუვა საქმე, გაიხაროს იმით, რომ ბრძენი და ბედნიერია, თუ ცუდად – აგერ არა ვარ, შემახოცოს ხელი. იმან, ვისაც სურს ბოროტებას დააღწიოს თავი, ყოველთვის იცის, რა სურს. იმ კაცს კი, ვისაც იმაზე მეტი სურს, რაც აქვს, სწორედ რომ გლაუკომა სჭირს, დიახ, დიახ! იცინეთ, იცინეთ, მე კი გეტყვით, ასეთი კაცი კუკუმალულობას თამაშობს, შეიძლება დაიჭიროს კიდეც, მაგრამ რა? როგორც გინდათ, ისე მოიქეცით, ჩემთვის ეს სულერთია, გინდათ – შეიფარეთ მეგობრები, არ გინდათ – ახლოსაც ნუ გაიკარებთ; ისიც მინახავს, რომ ყველაზე გონივრულ გადაწყვეტილებას არ გაუმართლებია, ყველაზე სულელურს კი – გაუმართლებია. ამიტომ თავს ნუ იმტვრევთ და თუ, რომელ გზასაც უნდა დაადგეთ, მაინც ცუდად წაგივით საქმე, ნურც ამას იდარდებთ. მიხმეთ ვინმეს პირით და გიხსნით, მანამდე კი თქვენს ერთგულ მსახურად მიგულებთ!

მითლერი ცხენს ისე მოახტა, რომ ყავაც კი არ დაუღევიანა.

– აი, ხომ ხედავ, – უთხრა შარლოტემ ქმარს, – რა ცოტა სარგებლობა მოაქვს მესამე პირს, როცა ორ ახლობელ ადამიანს შორის წონასწორობა ბოლომდე არ არის დაცული. ახლა ხომ ჩვენ უფრო მეტად ვართ დაბნეულები და გაოგნებულები. თუკი ეს შესაძლებელია, ვიდრე აქამდე ვიყავით.

ცოლიც და ქმარც ერთხანს კიდევ იყოყმანებდნენ, ედუარდის უკანასკნელ წერილზე კაპიტნის პასუხი რომ არ მიეღოთ. იგი იტყობინებოდა, რომ გადაწყვიტა მუშაობა დაიწყოს ერთ-ერთ შემოთავაზებულ ადგილზე, თუმცა არც ის ადგილი იყო მისთვის შესაფერისი. მას უნდა გაეზიარებინა კეთილშობილი და მდიდარი ადამიანების მოწყენილობა, თანაც მისგან მოელოდნენ, რომ იგი მათ მოწყენილობას გაუქარწყლებდა.

ედუარდმა საკმაოდ ცხადად წარმოიდგინა მთელი ეს ვითარება და საკმაოდ მუქ ფერებში დახატა.

– ნუთუ მოვინდომებთ, რომ ჩვენი მეგობარი ასეთ შავ დღეში ჩავაგდოთ, – წამოიძახა მან, – ნუთუ შენ შეგიძლია ასეთი გულქვა იყო, შარლოტე?

– საოცარი კაცია ჩვენი მითლერი, – უპასუხა შარლოტემ, – საბოლოოდ იგი მაინც მართალია, ყოველი ასეთი წამოწყება წინდაუხედავი გაბედულებაა. ვერც ერთი კაცი ვერ იწინასწარმეტყველებს, რა შეიძლება მოჰყვეს ამას. ამგვარმა ახალმა ურთიერთობებმა შეიძლება ბედნიერებაც მოგვიტანოს და უბედურებაც, და ჩვენ არა გვაქვს უფლება, ეს განსაკუთრებულ დამსახურებად ან დანაშაულად მივითვალოთ. ვგრძნობ, არა ვარ იმდენად ძლიერი, რომ უფრო დიდხანს გაგიწიო წინააღმდეგობა. იყოს ნება შენი და ვცდადოთ! ჩემი ერთადერთი თხოვნაა მხოლოდ, ეს დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს. ნება მომეცი, უფრო აქტიურად ჩავერიო მის საქმეში, ვიდრე აქამდე, გამოვიყენო ჩემი გავლენა, ჩემი ურთიერთობები და ისეთი ადგილი გამოვუნახო, რამდენადმე მაინც რომ მიანიჭოს კმაყოფილება.

ედუარდმა მომხიბვლელი უშუალოდით დაარწმუნა მეუღლე, დიდი მადლობელი ვარ შენიო. შემდეგ ხალისიანად, ლაღად გაეშურა მეგობრისთვის წერილის მისაწერად, სადაც აცნობებდა, რა პირობებს სთავაზობდნენ. წერილის ბოლოში შარლოტემ საკუთარი ხელით მიაწერა, რომ იწონებს ამგვარ გადაწყვეტილებას და ქმრის თხოვნას საკუთარ მეგობრულ თხოვნასაც ურთავს. შარლოტეს კალამი უჭრიდა, თავაზიანად, წინდახედულად წერდა, მაგრამ ცოტა ჩქარობდა, რასაც სხვა დროს არ იყო ჩვეული. ბოლოს ქალღმერთი დაესვარა, რაც იშვიათად ემართებოდა, მელანი დააწვეთა, გაბრაზდა, შეეცადა ამოეშალა, მაგრამ ლაქა კიდევ უფრო გაიდლაბნა.

ამ ლაქის გამო ედუარდმა გაიხუმრა, და, რადგან ადგილი კიდევ რჩებოდა, მეორე მინაწერი დაურთო: მეგობარი ამ ნიშნებით მიხვდებოდა, რომ მოუთმენლად ელიან და იმ სისწრაფით გამოემგზავრებოდა აქეთ, როგორც წერილი დაწერა.

შიკრიკმა წერილი წაიღო. მადლიერების გრძნობა რომ უფრო დამაჯერებლად გამოეხატა, ედუარდი წამდაუწუმ უმეორებდა შარლოტეს, ახლავე წამოაყვანიე ოთილიე პანსიონიდანო.

შარლოტემ სთხოვა, დამაცადეო და იმ საღამოს შეძლო ედუარდი მუზიციერების ხასიათზე დაეყენებინა. შარლოტე შესანიშნავად უკრავდა ფორტეპიანოზე, ედუარდი კი – გვარიანად ფლეიტაზე: მართალია, თავის დროზე ცდა არ დაუკლია დახელოვნებულიყო, მაგრამ არც მოთმინება ჰყოფნიდა და არც ის შრომისუნარიანობა, მუსიკალური ნიჭის განვითარებისთვის რომ არის აუცილებელი. ამიტომ თავის პარტიას ძალზე არათანაბრად უკრავდა, ზოგჯერ კარგად, ოღონდ მეტისმეტად ჩქარა, ზოგჯერ კი ყოვნდებოდა, რადგან მელოდია არ ჰქონდა თითებში გამჯდარი. ამიტომ მასთან დუეტის შესრულება ყველას გაუჭირდებოდა, თუმცა შარლოტემ მაინც გაართვა ამ რთულ საქმეს თავი, როცა საჭირო იყო, დაკვრას ანელებდა, შემდეგ კი ისევ აჰყვებოდა და ამგვარად ორმაგ მოვალეობას ასრულებდა, კარგი კაპელმანისტერისა და ჭკვიანი დიასახლისის, ვისაც მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ტაქტიდან ცალკეული პასაჟები ამოუვარდეს, მაინც შესწევს უნარი, ზომიერება დაიცვას.

თავი მესამე

კაპიტანი ჩამოვიდა. წინასწარ წერილი გამოგზავნა, იგრძნობოდა, რომ ყველაფერი კარგად გაიგო, რამაც შარლოტე სავსებით დაამშვიდა. კაპიტანს ისე ცხადად ესმოდა როგორც საკუთარი, ასევე მეგობრების მდგომარეობა, ისე კარგად იცნობდა საკუთარ თავს, რომ მათი მომავალი ხალისიანი და საამური უნდა ყოფილიყო.

როგორც იმ მეგობრებს შორის ხდება ხოლმე, რომელთაც ერთმანეთი კარგა ხანია არ უნახავთ, პირველ საათებში ყოველი მათი საუბარი ცოცხალი და ლამის დამქანცველიც იყო. შებინდებისას შარლოტემ კაცები დაიყოლია ახალ პარკში წასულიყვნენ სასეირნოდ. კაპიტანს ძლიერ მოსწონდა არემარე, ამჩნევდა ყველაფერს, რაც ლამაზი იყო და რაც მხოლოდ ახალი გზების გაყვანამ გახადა თვალსაჩინო და გამახალისებელი. მას გაწაფული თვალი ჰქონდა, თანაც კეთილმოსურნე, და თუმცა ისიც კარგად იცოდა, რა უფრო სასურველია, უკბილო იუმორით არ უმასპინძლებოდა იმ ადამიანებს, საკუთარ სამფლობელოში რომ დაატარებდნენ, აქაოდა უკეთესი გემოვნება მაქვს, ვიდრე აქაურ პირობებს შეუძლია დააკმაყოფილოსო და არც იხსენებდა სხვაგან ნანახ უფრო სრულყოფილ გარემოს, რაც ხშირად ხდება ხოლმე.

როცა ხავსის ქონამდე მიაღწიეს, თავისებურად დახვდათ მორთული მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნური ყვავილებითა და მიწის სუროთი, იატაკზე ბუნებრივი ხორბლის ლამაზი კონები, ხისა და მინდვრის სხვა ნაყოფი ეფინა, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ მის მომწყობს მხატვრული ალღოც ჰქონდა და გემოვნებაც.

– თუმცა ჩემს ქმარს არ უყვარს მისი დაბადების ან სახელობის დღის აღნიშვნა, მაგრამ დღეს არ გამიწყრება, გასამმაგებულ ზეიმს რომ რამდენიმე გვირგვინი ვუძღვნა.

– გასამმაგებულს? – წამოიძახა ედუარდმა.

– დიახ! – უპასუხა შარლოტემ, – ჩვენი მეგობრის ჩამობრძანებას სამართლიანად მივიჩნევთ ზეიმად, თქვენ ალბათ არ გაგხსენებიათ, რომ დღეს ორივეს სახელობის დღეა, განა ერთსაც და მეორესაც ოთო არ გქვიათ?

პატარა მაგიდასთან მსხდარმა მეგობრებმა ერთმანეთს ხელი გაუწოდეს.

– შენ მომაგონე, – უთხრა ედუარდმა შარლოტეს, – ჩვენი ჭაბუკობის დროინდელი მეგობრობა. ბავშვობაში ორივეს ეგ სახელი გვერქვა, მაგრამ პანსიონში ერთ ოთახში ვცხოვრობდით და ზოგჯერ გაუგებრობას იწვევდა. მაშინ მე მას ნებაყოფლობით დავუთმეო ეს ლამაზი ლაკონიური სახელი.

– კაცმა რომ თქვას, მაშინ შენ მაინცდამაინც დიდი სულგრძელობა არ გამოგიჩენია, – უთხრა კაპიტანმა მასპინძელს, – ძალიან კარგად მახსოვს, შენ ედუარდი უფრო მოგწონდა სახელად, რამეთუ ლამაზი ტუჩებით წარმოთქმული ჩინებულად ჟღერს.

აი, ასე ისხდნენ სამივენი იმ პატარა მაგიდასთან, სადაც ადრე შარლოტე თავგამოდებით ილაშქრებდა მეგობრის ჩამოსვლის წინააღმდეგ. მეტისმეტად კმაყოფილ ედუარდს არ უნდოდა შეეხსენებინა მეუღლისთვის ის წუთები, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და თქვა: – აქ მეოთხისთვის მოინახებოდა საკმარისი ადგილი.

ამ დროს ციხე-დარბაზიდან გაისმა მონადირეთა ბუკის ხმა, ერთად თავშეყრილ მეგობრებს თითქოს კარგ განწყობასა და სურვილებს უწონებდნენ და უდასტურებდნენ. სამივენი დადუმდნენ და სმენად იქცნენ. თითოეული მათგანი საკუთარ თავს აკვირდებოდა და ორმაგ ბედნიერებას განიცდიდა, დანარჩენებთან რომ ასე შესანიშნავად იყო დაკავშირებული.

პირველად ედუარდმა დაარღვია დუმილი, წამოდგა და ქონიდან გავიდა.

– შარლოტე, – შემოსძახა მან მეუღლეს, – მოდი, ჩვენი მეგობარი ახლავე ავიყვანოთ ბექობზე, არ ეგონოს, ჩვენი საგვარეულო მამული და ადგილსამყოფელი მხოლოდ ამ ვიწრო ხეობით შემოიფარგლება. ზემოდან ხეობა უფრო გაშლილი ჩანს, თანაც იქ უფრო ლალად სუნთქავ.

– ჯერჯერობით ჩვენ ისევ ძველი, საცალოფებო ბილიკით ავბობდეთ და ასვლა ცოტათი გაგვიჭირდება. მაგრამ ვიმედოვნებ, სულ მალე ჩემი საფეხურები და ბილიკები ადვილად აგვიყვანენ ბექობის წვერზე, შენიშნა შარლოტემ.

მათ კლდეები უკან მოიტოვეს, ბუჩქნარი და ბარდები გაიარეს და ყველაზე მაღალ ბექობზე ავიდნენ, რომელიც ზეგანს კი არა, წაგრძელებულ ნაყოფიერ თხემს ქმნიდა. აქედან სოფელი და ციხე-დარბაზი აღარ ჩანდა. შორს ტბორები იყო მიმოფანტული, გაღმა მოჩანდა ტყით დაფარული ბორცვები, რომელთა გასწვრივ ტბორები ლაპლაპებდა, მათ მიღმა კი ციცაბო კლდეები, რომლებიც მკვეთრად ესაზღვრებოდნენ უკანასკნელ ტბორს და მის ზედაპირზე მრისხანედ ირეკლებოდნენ. იმ ხეობაში, სადაც ნაკადული ტბორისკენ მიედინებოდა, ნახევრად დამალული წისქვილი იდგა. მას ისეთი შემოგარენი ჰქონდა, რომ დასასვენებლად სასიამოვნო უნდა ყოფილიყო. მთელ თვალსაწიერზე ნახევარწრეში ერთმანეთს მრავალფეროვნად ენაცვლებოდნენ ხეობები და ბორცვები, ბუჩქნარები და ტყეები. ის დრო იყო, რომ ახალგამოსხმული ფოთლები მალე ხშირფოთლოვან სიმწვანედ და მშვენიერ ხედად გადაიქცეოდა. ზოგ ადგილას განცალკევებით ჯგუფ-ჯგუფად მდგარი ხეებიც იტაცებდნენ მეგობრების თვალს. განსაკუთრებით

მომხიბვლელად გამოიჩინა ქვემოთ, შუა ტბორის პირას გაშენებული ალვის ხეები და ჭადრები. დიდებულად ტანაყრილი, ახალგაზრდა, ჯანსაღი ხეები სიმაღლეში იზრდებოდნენ და სიგანეშიც. ედუარდმა მეგობარს ანიშნა, განსაკუთრებული ყურადღება ამ ხეებს მიაქციეო.

– ახალგაზრდობაში ისინი ჩემი ხელით დავრგე, – წამოიძახა მან, – სულ ნორჩი ნერგები იყო. მათი გადარჩენაც დამჭირდა, როცა მამაჩემმა ციხე-დარბაზის დიდი ბაღის ახალი მონაკვეთის გაშენება დაიწყო და შუა ზაფხულში ისინი ამოაძირკვინა. ეჭვი არ მეპარება, რომ მაღლიერების ნიშნად წელსაც ახალი ყლორტებით მოიწონებენ თავს.

სამივე კმაყოფილი და მხიარული დაბრუნდა უკან. ციხე-დარბაზის მარჯვენა ფლიგელში სტუმარს სასიამოვნო, მოზრდილი ბინა მიუჩინეს. მან ძალიან მალე მიაღწია-მოაღწია იქაურობა, წიგნები, ქაღალდები და ხელსაწყოები ისე დააღაგა, რომ ჩვეულებრივი საქმიანობა განეგრძო. მაგრამ პირველ დღეებში ედუარდი არ ასვენებდა, ხან ცხენით და ხან ფეხით აღმა-დაღმა დაატარებდა, ათვალეებინებდა არე-მარეს, მამულს, ამავე დროს უზიარებდა იმ სურვილებს, დიდხანს რომ ატარებდა გულში: საქმე ეხებოდა მამულის უკეთ მოვლას და უფრო ხელსაყრელად გამოყენებას.

– პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ, – უთხრა კაპიტანმა, – ის იქნება, რომ მთელი მიდამო კომპასის ისრით აღვზუსტოთ. ეს ადვილი, სახალისო საქმეა. მართალია, უდიდეს სიზუსტეს ვერ მივალწევთ, მაგრამ მაინც სასარგებლო იქნება და დასაწყისისთვის ხელსაყრელი. ამის გაკეთება დიდ დახმარებას არ საჭიროებს და დანამდვილებით ვიცი, რომ თავს გავართმევთ. თუ ოდესმე უფრო ზუსტი აზომვა მოგივა აზრად, რჩევით ამ შემთხვევაშიც დაგეხმარები.

კაპიტანი ამგვარ აზომვაში დიდად დახელოვნებული იყო. საჭირო ხელსაწყოები მან თან ჩამოიტანა და მაშინვე შეუდგა საქმეს. ყველაფერი აუხსნა ედუარდს და იმ მონადირეებსა და გლეხებს, ამ საქმეში რომ უნდა დახმარებოდნენ. დღისით კარგი დარი იდგა, ხოლო ყოველ საღამოს და ადრიან დილას ხაზვასა და შტრიხების გავლებაში ატარებდა. მალე ყველაფერი რეტუშირებული, შეფერადებული იყო და ედუარდმა პირველად დაინახა ასე მკაფიოდ საკუთარი მამულები ქაღალდიდან ახლად შექმნილივით ამოზრდილი. მას ეგონა, მხოლოდ ახლა გაეცნო მათ, მხოლოდ ახლა დაისაკუთრა ნამდვილად.

ამ საბაბით ილაპარაკეს მიწა-წყალზე, პარკებზე და დაასკვნეს, მათი მოვლა-პატრონობა გაცილებით უკეთ ხერხდებოდა, როცა ასე ერთიანად გადაავლებ თვალს, ვიდრე მაშინ, როცა შემთხვევითი შთაბეჭდილებების მიხედვით ბუნებას უაზროდ აცოდვილებ.

– ეს ჩემს მეუღლეს უნდა გავაგებინოთ, – უთხრა ედუარდმა კაპიტანს.

– ნუ იზამ მაგას! – მიუგო კაპიტანმა, რომელსაც არ სიამოვნებდა, როცა სხვების თვალსაზრისი მისას უპირისპირდებოდა, რადგან გამოცდილებით იცოდა, ადამიანთა შეხედულებები მეტისმეტად მრავალფეროვანია იმისათვის, რომ შეიძლებოდეს მათ, ყველაზე გონივრული წარმოდგენითაც კი, ერთ წერტილში მოუყარო თავი.

– ნუ იზამ მაგას, – შესძახა ისევ, – შარლოტე შეიძლება ადვილად დაიბნეს. მისთვის, როგორც ყოველთვის, ვინც ასეთ საქმეს მხოლოდ გართობის მიზნით ჰკიდებს ხელს, მთავარია რაღაცას აკეთებდეს და არა ის, რომ რაღაც გაკეთდეს. ეს მხოლოდ ბუნების წიაღში ხელების ფათურია და ვისაც გამორჩევით უყვარს ესა თუ ის კუთხე-კუნჭული, ვერ ბედავს ამა თუ იმ დაბრკოლების აღმოფხვრას, არ ჰყოფნის გამბედაობა რაღაც გაწიროს, წინასწარ ვერ ჰვრეტს, რა უნდა მოხდეს. ჯახირობს, ხან წარმატებით, ხან წარუმატებლად, რაღაცას ცვლის, იქნებ სწორედ იმას ცვლის, რაც უნდა დაეტოვებინა, ტოვებს, რაც უნდა შეეცვალა და საბოლოოდ შერჩება ხოლმე ხელში არასრულყოფილი ნახელავი, რაც მოგწონს და განხალისებს, მაგრამ არ გაკმაყოფილებს.

– მითხარი გულწრფელად, – უთხრა ედუარდმა, – შენ არ მოგწონს მისი გაშენებული პარკები?

– ამომწურავად რომ განხორციელებულიყო, თავისთავად ძალიან კარგი ჩანაფიქრია, მაშინ საკამათო არაფერი იქნებოდა. წვალეებით გაიკვლია ქვებში გზა ზევითკენ და თუ გნებავს, ახლაც ყველას აწვალებს, ვინც ბეჭობზე ჰყავს. ადამიანები რამდენადმე თავისუფლად ვერც ერთმანეთის გვერდით მიაბიჯებენ და ვერც ერთმანეთის მიყოლებით. ნაბიჯების რიტმი ყოველ წამში წყდება. არ ვიცი, კიდევ ბევრ რამეში შეიძლება შეედავო!

– განა ადვილი იქნებოდა ამის სხვაგვარად გაკეთება? – ჰკითხა ედუარდმა.

– ძალიან ადვილი, – უპასუხა კაპიტანმა, – მას კლდის ერთი კუთხე უნდა ჩამოენგრია მხოლოდ. სხვა არა იყოს რა, ეს კუთხე ისედაც აუშნოებს იქაურობას, რადგან პატარ-პატარა ნაწილებისგან შედგება. ამის შედეგად მიიღებდა ლამაზად დაკლაკნილ მოსახვევს ზევით ასასვლელად და ზედმეტ ქვებს იმ ადგილების მოსაკირწყლავად, სადაც გზა ვიწრო და უშნო გახდებოდა. მაგრამ

ყველაფერი ეს ჩვენ შორის დარჩეს, ხომ იცი, როგორ გენდობი. მას რომ ეს უთხრა, დაიბნევა და გაღიზიანდება. თანაც იმას, რაც უკვე გაკეთებულია, ხელი არ უნდა ახლო. თუ კვლავაც არ დაიშურებ ფულს და გარჯას, ხავსის ქონის ზემოთ, თვით ბეჭობზეც კი შეიძლება რაღაც-რაღაცების ისე გაკეთება, თვალს რომ დიდად გაახარებს.

ამგვარად, თუ მეგობრებს ზოგი რამ ამჟამად ჰქონდათ გასაკეთებელი, ჯერჯერობით არც გარდასულ დღეთა გაუხუნარი, სასიამოვნო მოგონებები აკლდათ, რის განხილვაში შარლოტეც მონაწილეობდა როცა სასწრაფო საქმეს მორჩებოდნენ, გადაწყვიტეს გადაეხედათ სამოგზაურო ჟურნალებისთვის და მათი წყალობით გაეცოცხლებინათ წარსული.

მაგრამ ედუარდს იმდენი სალაპარაკო მაინც აღარ ჰქონდა შარლოტესთან, რამდენიც უწინ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პარკები და ნარგავები დაუწუნეს. ეს მას გულს უღრღნიდა, რადგან სწორად მიაჩნდა. ცოლისთვის დიდხანს არ გაუმხელია ის, რაც კაპიტანმა გაანდო, მაგრამ ერთხელ, როცა დაინახა, რომ კვლავ ფუსფუსებს ხავსის ქონიდან ზემოთ მიმავალ პატარა საფეხურებსა და ვიწრო ბილიკებს შორის, თავი ველარ შეიკავა და მიკიბულ-მოკიბული შესავლის შემდეგ, თავისი ახალი თვალსაზრისი გაუზიარა.

შარლოტე გაოგნებული იდგა. იგი საკმაოდ გონიერი იყო და მაშინვე მიხვდა, რომ მამაკაცები მართლები იყვნენ. მაგრამ ამ სიმართლეს აქამდე გაკეთებული ეწინააღმდეგებოდა, ასე გაკეთდა, მორჩა და გათავდა. მას ეს სწორად მიაჩნდა, მოსწონდა კიდევ, მას სწორედ ის კუთხე-კუნჭულები უყვარდა, რაც დაუწუნეს. ამიტომაც ეწინააღმდეგებოდა მამაკაცების თვალსაზრისს, იცავდა იმას, რაც თვითონ შექმნა, ლანძღავდა მამაკაცებს, რომლებიც შორს იყურებიან, დიდ საქმეს ეჭიდებიან და ცდილობენ გასართობი, თავშესაქცევი რამ მაშინვე სერიოზულ საქმედ გადააქციონ. ამავე დროს არ ფიქრობენ იმ დიდ ხარჯებზე, გაფართოებული გეგმა რომ მოითხოვს ყოველთვის. შარლოტე აღელვებული, შეურაცხყოფილი, გაღიზიანებული იდგა: არც ძველზე ხელის აღება შეეძლო და არც ახლის მთლად უარყოფა. ბუნებით შეუპოვარმა მაშინვე შეწყვიტა მუშაობა იმ განზრახვით, დროს მოვიგებ, ამ საქმეს კარგად ავწონ-დავწონი და ყოველმხრივ განვსჯიო.

იმის გამო, რომ ეს აქტიური გართობაც მოაკლდა, ხოლო ამასობაში მამაკაცები სულ უფრო ერთსულოვნად საქმიანობდნენ, განსაკუთრებული გულმოდგინებით ხელოვნური ბაღებისა და სათბურების მოწყობაზე ზრუნავდნენ და დროდადრო არც ისეთ რაინდულ წრთობას ივიწყებდნენ, როგორც ნადირობა, ცხენების ყიდვა, გაცვლა-გამოცვლა, გახედნა და ჯირითა, შარლოტე დღითი დღე სულ უფრო მარტო გრძნობდა თავს. ამიტომ მან კაპიტანის ცხოვრების მოსაწყობადაც ინტენსიურ მიმოწერას მიჰყო ხელი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ზოგჯერ მთელი საათობით მარტოობის განცდა ეუფლებოდა. ბოლო დროს არაფერი სიამოვნებდა და არ ართობდა ისე, როგორც პანსიონიდან გამოგზავნილი საანგარიშო წერილები.

პანსიონის გამგე ქალის ერთ ვრცელ წერილს, რომელიც ჩვეულებრივ მისი ქალიშვილის წარმატებების გამო ქება-დიდებათ იყო გავსებული, დართული ჰქონდა მოკლე პოსტსკრიპტუმი და მისი თანაშემწე მამაკაცის ხელით დაწერილი ბარათი. გაგაცნობთ ორივეს.

გამგის მინაწერი

„მოწყალეო ქალბატონო, ოთილიეზე მხოლოდ იმის გამეორება მომიხდება, რასაც ჩემს უწინდელ საანგარიშო ბარათებში გწერდით. თუმცა გასაკიცხს არაფერს აკეთებს, მაგრამ მაინც არა ვარ მისით კმაყოფილი. ახლაც უწინდებურად თავმდაბალი და სხვების მიმართ თავაზიანია, მაგრამ ამგვარ ჩრდილში დგომა, ამგვარი ხათრიანობა არ შეიძლება მომწონდეს. თქვენმა მოწყალეობამ ახლახან ფული და სხვადასხვა ქსოვილი გამოუგზავნა. ფულს არ გაჰკარებია, ქსოვილებიც ხელუხლებლად დევს. მართალია, საკუთარ ნივთებს ძალიან სუფთად და კარგად ინახავს და, ეტყობა, მხოლოდ ამ მიზნით იცვლის კაბებს. ვერც იმ დიდ ზომიერებას შევაქებ, ჭამა-სმაში რომ იჩენს. ჩვენი სუფრა მდიდრული არ არის, მაგრამ არაფერი მირჩევნია იმის ყურებას, როცა ბავშვები გემრიელი და მარგებელი კერძებით კარგად ნაყრდებიან. ის, რასაც გააზრებულად და შეგნებულად ვთავაზობთ მათ, უნდა შეჭამონ კიდევ ბოლომდე. აი, აქ კი ოთილიესთან არაფერი გამოდის. საკმარისია მოახლეებმა რაიმეს შემოტანა დააყოვნონ, მაშინვე საქმეს მოიმიზეზებს, ოღონდ იმ კერძის ან ჩაროზის შეჭმა აიცილოს. ყველაფერ ამას ისიც ერთვის, რომ მას ზოგჯერ, როგორც მოგვიანებით გავიგე, თავის მარცხენა მხარე სტკივა. მართალია, ტკივილი გაუვლის ხოლმე, მაგრამ, ეტყობა, აწუხებს და ძნელი ასატანია. სულ ესაა, რისი თქმაც მინდა სხვა მხრივ ყოვლად მშვენიერ და საყვარელ ბავშვზე“.

თანაშემწის ბარათი

„ჩვენი სასიქადულო პანსიონის გამგე ყოველთვის მაკითხებს იმ წერილებს, სადაც მშობლებსა და მეურვეებს უზიარებს თავის დაკვირვებებს აღსაზრდელებზე. წერილებს, რომელთაც თქვენს მოწყალეობას უგზავნის, მე მუდამ გაორკეცებული სიამოვნებით ვკითხულობ. მინდა ბედნიერება

გისურვოთ ისეთი ქალიშვილის გაზრდისთვის, რომელიც ყველა იმ ბრწყინვალე თვისებითაა შემკული, რის წყალობითაც საზოგადოებაში აღზევდებიან ხოლმე, ამასთანავე არანაკლებ ბედნიერ ადამიანად გთვლით იმის გამო, რომ შვილობილის სახით ისეთი შვილი გიბოძათ ღმერთმა, რომელიც იშვა სხვებისა და, ცხადია, საკუთარი თავის სასიკეთოდ და საკეთილდღეოდ. ოთილიე ჩვენი პანსიონის თითქმის ერთადერთი აღსაზრდელია, ვის შეფასებაშიც ვერაფრით დავეთანხმები ჩვენს ეგზომ პატივცემულ გამგეს. მე არავითარ შემთხვევაში არ მიმაჩნია საძრახისად ჩვენი საქმიანი ქალბატონის მოთხოვნა, ჩემი მზრუნველობის ნაყოფი თვალნათლივ და მკაფიოდ უნდა ჩანდესო. მაგრამ არსებობს თვალს მიფარებული ნაყოფიც, სწორედ ასეთი ნაყოფია ჭეშმარიტად გამძლე და ადრე თუ გვიან სრულქმნილი არსებობისთვის მომწიფდება. ზუსტად ამგვარია თქვენი შვილობილი. მას შემდეგ, რაც მას ვასწავლი, ვხედავ, რომ თანაბარი ნაბიჯით ნელ-ნელა მიდის ყოველთვის წინ, უკან კი არასდროს. თუ რომელიმე ბავშვთან ყველაფრის თავიდან დაწყებაა საჭირო, პირველ რიგში სწორედ მასთან. ის, რაც წინა მასალიდან არ გამომდინარეობს, მას არ ესმის. თავგზააბნეული, გახევებულიც კი დგას ადვილად გასაგები საკითხის წინაშე, როცა ეს მისთვის არაფერს უკავშირდება. მაგრამ თუკი შეძლებ შუალედური წევრების პოვნას და თვალსაჩინოდ დაანახვებ ამას, რა უნდა იყოს ისეთი ძნელი, რომ ვერ გაიგოს.

იმის გამო, რომ ძნელად მიიწევს წინ, თანაკლასელ გოგონებს ჩამორჩება. ისინი სულ სხვაგვარი ნიჭით არიან დაჯილდოებულნი, ყოველთვის წინ ისწრაფვიან, ყველაფერს, ერთმანეთთან დაუკავშირებელსაც კი, ადვილად იმახსოვრებენ და მარჯვედაც იყენებენ. აი, ასე სწავლობს და სრულიად უსუსურია, როცა მასალას სხაპასხუპით აწვდიან. ეს კი ზოგჯერ სწორედ ასე ხდება ჩინებული, მაგრამ სულსწრაფი და მოუთმენელი მასწავლებლების გაკვეთილებზე. არაერთგზის შემომჩივლეს, ოთილიეს ხელწერა არ უვარგა, უჭირს გრამატიკული წესების გაგებაო. ეს ჩივილი დეტალურად გამოვიკვლიე: მართალია, იგი ნელა და, თუ გნებავთ, დაძაბული წერს, მაგრამ არც გაუგებრად და არც ღვლარჭნილად. რაც მე ვამცნე ფრანგული ენის შესახებ, რომელიც სულ არ არის ჩემი საგანი, ადვილად გაიგო. მართლაც, საოცარია: მან ბევრი რამ იცის და საკმაოდ კარგადაც, მაგრამ როცა ეკითხებიან, პასუხის გაცემა უჭირს.

მინდა წერილის დასასრულს მოგახსენოთ: ოთილიე იმისთვის კი არ სწავლობს, რომ აღიზარდოს, არამედ იმისთვის, რომ თვითონ აღზარდოს, სწავლობს არა როგორც მოსწავლე, არამედ როგორც მომავალი მასწავლებელი. შეიძლება თქვენს მოწყალებას უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ პირადად მე, როგორც აღმზრდელსა და მასწავლებელს, ამაზე მეტი ქება ვერ წარმომიდგენია, როცა ვინმეს ჩემს თავს ვუტოლებ. ვიმედოვნებ, რომ თქვენს მოწყალებას ჩემზე მეტი გამჭრიახობა, ადამიანებისა და საწუთროს უფრო ღრმა ცოდნა, ჩემი მორიდებული, კეთილი სურვილებით ნაკარნახევი სიტყვებიდან საუკეთესო დასკვნას გამოგატანინებთ და თქვენ დარწმუნდებით, რომ ოთილიეც დიდ სიხარულს მოგანიჭებთ. გემშვიდობებით, იმედი მაქვს თქვენი მოწყალებისა და გთხოვთ ნებართვას, კვლავაც მოგწეროთ, როცა დავრწმუნდები, რომ ჩემი წერილი რაღაც მნიშვნელოვანსა და სასიამოვნოს შეიცავს“.

შარლოტე ამ წერილმა გაახარა. მისი შინაარსი თითქმის მთლიანად დაემთხვა იმ წარმოდგენას, რაც ოთილიეზე ჰქონდა. ამავე დროს წერილმა ღიმილიც მოჰგვარა, რადგან მასწავლებლის თანაგრძნობა უფრო გულითადი მოეჩვენა, ვიდრე ამას ჩვეულებრივ აღსაზრდელის კარგი თვისებები იწვევს. შარლოტე დინჯი, ცრურწმენას მოკლებული, საღად მოაზროვნე ადამიანი იყო, ამგვარი და სხვა მრავალი ამის მსგავსი ურთიერთობა არ ეჩოთირებოდა. შეგნებული ადამიანის ოთილიესადმი თანაგრძნობა დიდად დააფასა, რადგან არაერთხელ დარწმუნებულა ცხოვრებაში, თუ რა დიდადაა დაფასებული ყოველი ჭეშმარიტი კეთილგანწყობა იმ სამყაროში, სადაც გულგრილობა და ღვარძლი ღრმადაა ფესვგადგმული.

თავი მეოთხე

მალე მზად იყო ტოპოგრაფიული რუკა, რომელზედაც ედუარდის მამული შემოგარენიანად კალმით გავლებული შტრიხებისა და ფერების საშუალებით მკაფიოდ და გასაგებად იყო გამოსახული საკმაოდ დიდი მასშტაბით და რომლის დამაჯერებლად დასაბუთება კაპიტანმა რამდენიმე ტრიგონომეტრიული ანაზომით შეძლო. რადგან ამ საქმიან კაცზე ნაკლებ ძილს ძნელად თუ იკმარებდა ვინმე, გარდა ამისა მთელი დღე ხან რას ისახავდა მიზნად და ხან რას, ყოველ საღამოს რაღაც უკვე ჰქონდა მოგვარებული.

– მოდი ახლა სხვა საქმეს მოვკიდოთ ხელი, – უთხრა კაპიტანმა მეგობარს, – აღვწეროთ მამული, რისთვისაც საკმაოდ ბევრი წინასწარი სამუშაოებია ჩასატარებელი. შემდეგ ამას მოჰყვება საიჯარო ხარჯთაღრიცხვის მოწესრიგება და ათასი რამ. ოღონდ მოდი, ერთ რამეში შევთანხმდეთ და პირს ნუ გავტყენთ. ყველაფერი, რაც მართლა საქმეა, ცხოვრებისგან გამიჯნე. საქმე სერიოზულობას, სიმკაცრეს მოითხოვს, ცხოვრება კი – თვითნებობას, საქმე მოითხოვს განუხრელ თანამიმდევრობას, ცხოვრებაში კი ხშირად არათანამიმდევრული უნდა იყო, რადგან ეს გულს ეამება და ახარებს. თუ საქმეს საიმედოდ ააწყობ, მაშინ უფრო თავისუფალი ხარ ცხოვრებაში, ხოლო თუ აირ-დაირია, მაშინ საიმედოობას თავისუფლება მოსპობს და გააცამტვერებს.

ედუარდი გრძნობდა, რომ კაპიტნის წინადადებებში ფარული საყვედური იყო ჩაქსოვილი. ბუნებით მოუწესრიგებელი კაცი არ იყო, მაგრამ ქაღალდების დახარისხება უჯრების მიხედვით ვერაფრით მოახერხა. ის, რაც სხვებთან ერთად უნდა მოეგვარებინა, არ იყო გამოყოფილი იმისგან, რაც მხოლოდ მისი გასაკეთებელი იყო. ასევე ვერ აცალკევებდა სათანადოდ საქმეებსა და საქმიანობას, გართობასა და დროს ტარებას. ახლა კი საქმე გაუადვილდა, რადგან მეგობარმა იკისრა ეს საზრუნავი, მეორე „მემ“ მოახდინა გამიჯვნა, რამდენადაც ერთ „მეს“ ყოველთვის არ შეეძლო გახლეჩილიყო.

კაპიტნის ფლიგელში მათ მოაწყვეს საცავი ამჟამინდელისთვის და არქივი წარსულისთვის, აქ მოზიდეს კოლოფებში, საკუჭნაოებში, კარადებსა და ყუთებში ჩაკუჭული ქაღალდები, საბუთები, ანგარიშები და მთელი ეს გროვა ხელდახელ თვალის გასახარად მოაწესრიგეს, დაახარისხეს და წარწერებიან უჯრებში ჩააწყვეს. იმედი გაუმართლდათ, ამიერიდან უფრო ადვილად პოულობდნენ იმას, რაც სჭირდებოდათ. მათ დიდი დახმარება აღმოუჩინა მოხუცმა მდივანმა, რომელიც მთელ დღესა და ღამის ნაწილსაც კი არქივში ატარებდა, თუმცა აქამდე ედუარდი მუდამ უკმაყოფილი იყო მისით.

– ამ კაცს ველარ ვცნობ, – უთხრა ედუარდმა მეგობარს, – რა საქმიანი და საჭირო ადამიანი ყოფილა.
– ამის მიზეზი ისაა, – უპასუხა კაპიტანმა, – რომ ახალს არაფერს ვავალებთ, სანამ ნება-ნება ძველ საქმეს არ დაამთავრებს, ამიტომ, როგორც ხედავ, ძალიან ბევრს ასწრებს. საკმარისია ხელი შეუშალო და აღარაფრის თავი აღარ ექნება.

ასე ატარებდნენ დღეებს მეგობრები ერთად, საღამოობით კი ყოველთვის ესტუმრებოდნენ შარლოტეს. იმ საღამოს, როცა მათ სახლში მეზობელი დაბებიდან და სოფლებიდან საზოგადოება არ იკრიბებოდა, რაც ხშირად ხდებოდა, როგორც საუბარი, ასევე კითხვა მეტწილად ისეთ საკითხებს ეხებოდა, ბურჟუაზიული საზოგადოების კეთილდღეობას, უპირატესობასა და მოლხენას რომ უწყობენ ხელს.

შარლოტე, რომელიც ისედაც მიჩვეული იყო დაკმაყოფილდეს იმით, რაც აქვს, რაკი ქმარი კმაყოფილი ეგულებოდა, თვითონაც გახალისდა, ხელი მიჰყო იმ საოჯახო საქმის მოგვარებას, დიდხანს რომ ეპირებოდა, მაგრამ თავი ვერ მოაბა; ახლა კაპიტნის დახმარებით ესეც აეწყო. საოჯახო აფთიაქი, აქამდე რომ რამდენიმე წამალს ითვლიდა, გამდიდრდა და შარლოტეს, როგორც ხელმისაწვდომი წიგნების მეშვეობით, ასევე საუბრების წყალობით მიეცა იმის საშუალება, რომ მიუყაითობა და დაუზარებლობა უფრო ხშირად და ქმედითად გამოეყენებინა, ვიდრე აქამდე იყენებდა.

მათ ის ზარდამცემი უბედური შემთხვევებიც გაითვალისწინეს, ჩვეულებრივ საკმაოდ ხშირად რომ ხდება ცხოვრებაში და შეიძინეს ყველაფერი, რაც უთუოდ დასჭირდებოდათ წყალში დამხრჩვალთა გადასარჩენად. ირგვლივ იმდენი ტბორი, წყალსატევი და წყლის საქაჩი სადგური იყო, რომ მსგავსი მარცხი ხშირად ხდებოდა. კაპიტანი ამ საქმეს განსაკუთრებული მონდომებით მოეკიდა, და ედუარდს მისდა უნებურად წამოსცდა, რომ ერთმა ასეთმა შემთხვევამ მისი მეგობრის ცხოვრებაში ყოვლად უცნაური ხანა შექმნა. როცა კაპიტანმა ხმა არ ამოიღო, თითქოს სამწუხარო მოგონების თავიდან მოცილებას ცდილობსო, ედუარდიც დადუმდა და ქმრის შენიშვნას არც შარლოტემ ათხოვა ყური, რადგან ზოგადად იმანაც იცოდა საქმის ვითარება.

– ყველა ჩვენი წინდახედული ღონისძიება ქების ღირსია, – თქვა ერთ საღამოს კაპიტანმა, მაგრამ მაინც გვაკლია ყველაზე აუცილებელი, ყოჩაღი კაცი, რომელსაც ეცოდინება, როგორ მოიხმაროს ყოველივე ეს. შემოიძლია საამისოდ გირჩიოთ ერთი ჩემი ნაცნობი სამხედრო ქირურგი, რომლის ზომიერ გასამრჯელოდ ხელში ჩაგდება ახლა არ გაგვიჭირდება. თავისი საქმე შესანიშნავად იცის, პირადად მე მძიმე შინაგანი დაავადებებისგან ხშირად უფრო სწრაფად განვუკურნებდით, ვიდრე რომელიმე სახელგანთქმულ ექიმს. სასწრაფო დახმარება კი სწორედ ის არის, რაც სოფლად უფრო ხშირად აკლიათ.

ქირურგი სასწრაფოდ მოიწვიეს. ცოლ-ქმარს უხაროდა, შემთხვევა რომ მიეცათ, ასეთი საჭირო საქმისთვის გამოეყენებინათ თანხა, რომელიც გაუთვალისწინებელი ხარჯებიდან დარჩა.

შარლოტე თავისი მიდრეკილებების შესაბამისადაც იყენებდა კაპიტნის ცოდნასა და საქმიანობას, მისი ჩამოსვლით სრულიად კმაყოფილი იყო და მალე აღარც ის აშფოთებდა, ვაითუ, ამას ცუდი შედეგი მოჰყვებოდა. შარლოტეს ყოველთვის მზად ჰქონდა რაიმე შეკითხვა, და რადგან სიცოცხლე უყვარდა, ცდილობდა კიდევ თავიდან მოეცილებინა ყველაფერი ზიანის მომტანი და მომაკვდინებელი. ტყვიით მოჭიქული ქოთნებისა და ქვაბების, ჟანგმოკიდებული სპილენძის ჭურჭლის მოვლა დიდ თავსატეხს უჩენდა და იგი ამ საკითხთან დაკავშირებით ისმენდა კაპიტნის რჩევა-დარიგებას, რაც, ცხადია, ფიზიკისა და ქიმიის ძირითად ცნებებში გარკვევას მოითხოვდა.

ამგვარი საუბრების ჩამოსაგდებად ყოველთვის იძლეოდა შემთხვევით, მაგრამ სასურველ საბაბს ედუარდის რჩევა, საზოგადოებისთვის ხმამაღლა ეკითხა წიგნი. მას საოცრად ჟღერადი, დაბალი ხმა ჰქონდა და ისე ცოცხლად, მგრძობიარედ კითხულობდა პოეტურ თუ რიტორიკულ ნაწარმოებს, რომ ერთ დროს მოწონებას იმსახურებდა და ამით სახელიც კი გაითქვა. ბოლო დროს სულ სხვა საქმით იყო დაკავებული, სხვა დარგის წიგნებს კითხულობდა ხმამაღლა და ხშირად უპირატესობას ფიზიკური, ქიმიური და ტექნიკური შინაარსის შრომებს ანიჭებდა.

მისი ერთ-ერთი განსაკუთრებული თვისება ის იყო, რაც ალბათ მრავალი ადამიანისთვისაა საერთო, რომ ვერ იტანდა, როცა კითხვისას მის წიგნში ვინმე იხედებოდა. უწინ, როცა ხმამაღლა ლექსებს, პიესებს, მოთხრობებს კითხულობდა, ეს ბუნებრივი შედეგი იყო აშკარა სურვილისა, რაც ერთნაირად ახასიათებს წამკითხველს, პოეტს, მსახიობს, მოთხრობელს, გააოცოს მსმენელი, პაუზებით აღძრას მოლოდინი; ამ დროს მსმენელზე ზემოქმედების მოხდენას ძალიან უშლის ხელს მესამე პირი, შეგნებულად რომ გასწრებს თვალებით კითხვას. ამიტომაც ასეთ შემთხვევაში ისე ჯდებოდა, რომ მის ზურგს უკან არავინ ყოფილიყო. ახლა, როცა მხოლოდ სამნი იყვნენ, ასეთი სიფრთხილე არ იყო საჭირო და რადგან არ აპირებდა ვინმეს გრძობების აფორიაქებას, აღარც იმაზე იფიქრა, რომ განსაკუთრებული სიფრთხილე გამოეჩინა.

ერთ საღამოს, როცა ედუარდი სავარძელში მოკალათდა, შეამჩნია, რომ შარლოტე მის წიგნში იხედებოდა. უწინდელმა მოუთმენლობამ სძლია და შარლოტეს საკმაოდ უხეში შენიშვნა მისცა.

– ურიგო არ იქნება, ერთხელ და სამუდამოდ გადაეჩვიო უწესობას და ზოგიერთ ისეთსაც, საზოგადოებისთვის რომ შემაწუხებელია. როცა ვინმეს რამეს ვუკითხავ, ეს დაახლოებით იგივეა, თითქოს რაღაცას ვუყვები. დაწერილი, თუ დაბეჭდილი ჩემი საკუთარი გონების, ჩემი საკუთარი გულის მაგივრობას ეწევა. განა ლაპარაკით თავს შევიწუხებდი, თუ შუბლსა და მკერდში პატარა სარკმელს ჩამიდგამდნენ და მსმენელს, ვისაც მინდა ჩემი ფიქრები ცალ-ცალკე ჩამოვუყალიბო, ჩემი გრძობები ცალ-ცალკე გავუზიარო, დიდი ხნით ადრე უკვე ეცოდინებოდა, რა მაქვს გულსა და გონებაში? როცა ჩემს წიგნში ვინმე იხედება, ისეთი გრძობა მაქვს, თითქოს ორ ნაწილად მგლეჯენ.

შარლოტესთვის, რომლის საზრიანობა დიდ თუ პატარა საზოგადოებაში განსაკუთრებით მაშინ იჩენდა თავს, როცა საჭირო იყო ყოველი უსიამოვნო, უხეში, თუნდაც ადგზნებულად ნათქვამი სიტყვის გაქარწყლება, გაჭიანურებული საუბრისთვის ბოლოს მოღება, ანდა მინელებულის გაღვივება, არც ამჯერად უღალატია ამ სასიკეთო უნარს.

– იმედია, მაპატიებ ჩემს შეცდომას, როცა გამოგიტყდები, რა შემემთხვა ამ წამს. მომესმა, რომ ავტორი ნათესაობას ეხება და სწორედ ამ დროს მომაგონდნენ ჩემი ნათესავები, რამდენიმე ბიძაშვილი, რომლებიც ამ ბოლო დროს ბევრ თავსატეხს მიჩენენ. უეცრად ჩემი გულისყური ისევ იმას დაუბრუნდა, რასაც კითხულობდი, მივხვდი, რომ სრულიად უსულო საგნებზეა ლაპარაკი და წიგნში იმიტომ ჩავიხედე, რომ კვლავ მომეკრიბა გონება.

– შენ ალეგორიულმა ნათქვამმა შეგაცდინა და დაგაბნია, – უთხრა ედუარდმა, – მართალია, აქ მხოლოდ ნიადაგებსა და მინერალებზეა ლაპარაკი, მაგრამ ადამიანი ნამდვილი ნარცისია: ყველასგან სიამოვნებით ხედავს თავის ანარეკლს, მთელ სამყაროში თავის სადარი არავინ ეგულება.

– დიახვაც! – განაგრძო კაპიტანმა, – ნარცისი ასე ეპყრობა ყველაფერს, რაც მის გარდა არსებობს. თავის სიბრძნესა და სილულელეს, ნებასა და თვითნებობას მიაწერს ცხოველებსაც, მცენარეებსაც, სტიქიებსაც და ღმერთებსაც.

– რადგან არ მინდა ძლიერ გადავუხვიოთ ახლანდელი განსჯის თემას, – დასძინა შარლოტემ, – ხომ არ ინებებდით და არ ამიხსნიდით მოკლედ, მაინც რა იგულისხმება აქ ნათესაობაში?

– სიამოვნებით აგიხსნით, – მიუგო კაპიტანმა, რადგან შარლოტემ მას მიმართა, – მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მე ეს ძალმიძს, ისე, როგორც მე ეს ათიოდე წლის წინათ მასწავლეს, როგორც ადრე წამიკითხავს. მეცნიერულ სამყაროში ახლაც ასე ფიქრობენ თუ არა და შეესაბამება

თუ არა ჩემი ცოდნა ახალ მოძღვრებებს, აი, ამაზე ვერაფერს გეტყვით.

– ცუდი ის არის, წამოიძახა ედუარდმა, – ახლა ვერაფერს ისწავლი ისეთს, მთელი ცხოვრება რომ გეყოს. ჩვენი წინაპრები მხოლოდ იმ ცოდნით კმაყოფილდებიან, ახალგაზრდობაში რომ შეიძინეს, ჩვენ კი ყოველ ხუთ წელიწადში ხელახლა უნდა შევუდგეთ სწავლას, თუ არ გვინდა მთლიანად დაგვფაროს ხავსმა.

– ჩვენ, ქალები, – თქვა შარლოტემ, – მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ ამას. ხოლო გულწრფელად რომ გითხრათ, მე მხოლოდ სიტყვის მნიშვნელობა მაინტერესებს, რადგან საზოგადოების თვალში მაშინ ხარ ყველაზე სასაცილო, როცა უცხო და ხელოვნურ სიტყვას არასწორად იყენებ. ამიტომ მხოლოდ ის მინდა ვიცოდე, რა აზრით ხმარობენ ამ გამოთქმას სწორედ ამ საგნებთან დაკავშირებით. თუ რა კავშირშია ეს მეცნიერებასთან, ამის გარკვევა მეცნიერებს მივანდოთ, რომლებიც, სხვათა შორის, როგორც შემიმჩნევია, ალბათ ძნელად თუ გამონახვენ ოდესმე საერთო ენას.

– კი მაგრამ, როგორ დავიწყოთ, რომ უფრო მალე ჩავწვდეთ საქმის არსს? – ჰკითხა ედუარდმა მცირე ხნის დუმის შემდეგ კაპიტანს, რომელიც ერთხანს ჩაფიქრდა, შემდეგ კი სწრაფად უპასუხა: – თუ ნებას დამრთავთ, ერთი შეხედვით თითქოს შორიდან დავიწყებ, მაგრამ მალე მივალთ საქმის არსამდე.

– დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, დიდი ყურადღებით მოვისმენთ, – უთხრა შარლოტემ და ხელსაქმე გვერდზე გადადო.

და კაპიტანმა ასე დაიწყო ლაპარაკი: – უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვამჩნევთ, რომ ბუნების ყოველ არსს კავშირი აქვს საკუთარ თავთან. მართალია, უცნაურად ჟღერს, როცა რაღაცას ისეთს ამბობ, რაც ისედაც გასაგებია, მაგრამ უცნობს მხოლოდ მაშინ შეიძლება შევეჭიდოთ, როცა ნაცნობში სავსებით გავერკვევით.

– ჩემი აზრით კი, – გააწყვეტინა სიტყვა ედუარდმა, – შარლოტესაც და ჩვენს თავსაც გავუადვილებთ საქმეს, თუ მაგალითებს მოვიყვანთ. სცადე წარმოიდგინო წყალი, ზეთი, ვერცხლისწყალი, მაშინვე აღმოაჩენ მათი ნაწილების ერთიანობას, კავშირს. ამ კავშირს ისინი არ არღვევენ რაიმე ძალის ან განგების ჩაურევლად, როგორც კი მიზეზი მოისპობა, ისინი კვლავ ერთიანდებიან.

– ჭეშმარიტად, – დაუდასტურა შარლოტემ, – წვიმის წვეთები სიამოვნებით ერთიანდებიან ნაკადებად. ჯერ კიდევ ბავშვობაში გაცეცხლებული ვთამაშობთ ვერცხლიწყლით, ხან ბურთულებად ვშლით, ხან ისევ ვაძლევთ საშუალებას, შეერთდნენ.

– ამიტომ ალბათ, ნებას მომცემთ, – დაურთო კაპიტანმა, – გაკვრით შევეხო ერთ მნიშვნელოვან საკითხს, სახელობრ, რომ სითხის სახით არსებული სრულიად სუფთა კავშირი ყოველთვის გამოირჩევა სფეროსებრი ფორმით. ჩამოვარდნილი წყლის წვეთი მრგვალია, რაც შეეხება ვერცხლისწყლის ბურთულებს, ამაზე თქვენ თვითონ ილაპარაკეთ; როცა გალღობილი ტყვია ვარდება, თუ გასამყარებლად დრო ეყო, მიწაზე სფეროს ფორმით ეცემა.

– ნება მომეცით წინ გაგისწროთ, – უთხრა შარლოტემ, – აბა, თუ მიხვდი, საით უმიზნებთ, როგორც თითოეულია დაკავშირებული საკუთარ თავთან, ასევე დაკავშირებულია სხვებთანაც.

– და ეს კავშირი არსთა სხვადასხვაგვარობის გამო სხვადასხვანაირია, – განაგრძო სწრაფად ედუარდმა, – ისინი როგორც ძველი ნაცნობები და მეგობრები შეხვდებიან მალე ერთმანეთს, სწრაფად დაახლოვდებიან და ისე შეერთდებიან, რომ ერთმანეთში არავითარ ცვლილებებს არ გამოიწვევენ, ზუსტად ისე, როგორც წყალი და ღვინო ერევა ერთმანეთს. სხვა ნივთიერებანი კი პირიქით, ერთმანეთის გვერდით უცხოდ არიან და ვერავითარი მექანიკური აღრევა, ვერავითარი ხახუნი ვერ შეაერთებს მათ. რაც უნდა ურიო და ანჯღრით ზეთი და წყალი, წამსვე ისევ გამოცალკევდებიან.

– ცოტაც და, – თქვა შარლოტემ, – ეს მარტივი ფორმულები შეიძლება მიუყენო ადამიანებს, რომელთაც იცნობდი. ამ დროს განსაკუთრებით გაგონდება ის ფენები, რომელთა შორისაც გიცხოვრია, მაგრამ მასები, რომელნიც ამქვეყნად ერთმანეთს უპირისპირდებიან, უმეტეს შემთხვევაში ამ უსულო არსებებს წააგვანან; ასეთებია: წოდებები, პროფესიული გაერთიანებები, არისტოკრატია და მესამე წოდება, ჯარისკაცი და სამოქალაქო პირი.

– მიუხედავად ამისა, – უპასუხა ედუარდმა, – როგორც საზოგადოების ფენები არიან ზნე-ჩვეულებებისა და კანონების მეოხებით შეთავსებადნი, ჩვენს ქიმიურ სამყაროშიც არსებობენ ნივთიერებათა შუალედური წევრები იმათ დასაკავშირებლად, რაც ერთმანეთს განიზიდავს.

– ასეა, – გააწყვეტინა სიტყვა კაპიტანმა, – ტუტე მარლის მეშვეობით ზეთს წყალთან

ვაკავშირებთ.

– გთხოვთ, ერთბაშად ნუ მიმართავთ ყველაფერს, – თქვა შარლოტემ, – მინდა დაგარწმუნოთ, რომ მესმის თქვენი აზრი, განა უკვე ნათესაობამდე არ მივალწიეთ?

– სრულიად მართალი ბრძანდებით, – მიუგო კაპიტანმა, – და ჩვენ ახლავე გავარკვევთ მის სიძლიერესა და სიმტკიცეს, ისეთი ბუნების ადამიანებს, რომლებიც პირველი შეხვედრისთანავე ერთმანეთს ჩაებლაუჭებიან და ერთმანეთზე გავლენას ახდენენ, ჩვენ მონათესავეს ვეძახით. ის ტუტეები და მჟავები კი, რომლებიც, თუმცა ერთმანეთის საწინააღმდეგონი არიან, და შეიძლება სწორედ ამიტომაც ეძებენ და იჭერენ ერთმანეთს ყველაზე შეუპოვრად, მოდიფიკაციას განიცდიან და ერთად ახალ სხეულს ქმნიან, – აქ ნათესაობა საკმაოდ თვალში საცემია. გავიხსენოთ თუნდაც კირი, იგი ყველა მჟავასთან შეერთების დიდ მიდრეკილებასა და უდრეკ სურვილს ამჟღავნებს. როგორც კი ქიმიურ კაბინეტს ამოგვიტანენ, თქვენ თვალწინ ჩავატარებთ სხვადასხვა ცდას, რაც ძლიერი თავშესაქცევია და უკეთეს წარმოდგენას შეგიქმნით ამ ამბებზე, ვიდრე სიტყვები, სახელწოდებები და ხელოვნური გამოთქმები.

– ნება მომეცით, გამოგიტყდეთ, – თქვა შარლოტემ, – როცა ამ თქვენს საოცარ არსებას მონათესავეს ვეძახით, მე ისინი სისხლით ნათესავეებად კი არ მეჩვენებიან, არამედ გონებრივ და სულიერ ნათესავეებად. ამგვარად შეიძლება ადამიანებს შორისაც დამყარდეს ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი მეგობრობა, რადგან საწინააღმდეგო თვისებები შესაძლებელს ხდის შინაგან კავშირს. ჰოდა, მეც მოვიცდი, ვნახოთ, რას გადამიშლით თვალწინ ამ საიდუმლოებით მოცულ ურთიერთგავლენებზე. აღარ შეგიშლი ხელს კითხვაში, – მიუბრუნდა შარლოტე ედუარდს, – და, რაკი ბევრად უკეთ გავთვითცნობიერდი, ყურადღებით მოვისმენ ყველაფერს, რასაც მოგვახსენებ.

– რაკილა ერთხელ გამოგვიწვიე სასაუბროდ, – უპასუხა ედუარდმა, – ასე ადვილად ვეღარ მოგეშვებით. სინამდვილეში ყველაზე საინტერესო სწორედ დახლართული შემთხვევებია. სწორედ ამგვარი შემთხვევების მიხედვით სწავლობენ ნათესაურ ხარისხებს, მხოლოდ მათში მჟღავნდება, რომელია უფრო ახლობელი და ძლიერი ურთიერთობა და რომელი უფრო შორეული და უმნიშვნელო. ნათესაობა მხოლოდ მაშინ ხდება საინტერესო, როცა გაყრას იწვევს.

– განა ეს გულსატკენი სიტყვა, – წამოიძახა შარლოტემ, – რომელიც, სამწუხაროდ, საზოგადოებაში ახლა ასე ხშირად ისმის, ბუნებისმეტყველებაშიც გვხვდება?

– რა თქმა უნდა, – უპასუხა ედუარდმა, – ქიმიკოსებისთვის ეს სხარტი საპატიო ტიტულიც კი იყო – მათ გაყრის ოსტატებსაც უწოდებდნენ.

– ეტყობა, ახლა ეს ასე აღარ არის, – შეესიტყვა შარლოტე, – და ძალიან კარგიცაა, შეერთება უფრო დიდი ოსტატობაა, უფრო დიდი დამსახურებაა. ყველა დარგში შეერთების ოსტატები მთელი მსოფლიოსთვის სასურველნი იქნებოდნენ. რაკი მასზე ჩამოვარდა სიტყვა, ჯობს რამდენიმე ასეთი შემთხვევა მიამბოთ.

– გავყვეთ ბარემ იმ აზრს, – თქვა კაპიტანმა, – რაც ზემოთ უკვე ვახსენეთ და განვიხილეთ. მაგალითად, ის, რასაც კირქვას ვეძახით, მეტ-ნაკლებად სუფთა კირიანი მიწაა, მჭიდროდ დაკავშირებული ნაზ მჟავასთან, რომელიც ჩვენთვის აირის სახით გახდა ცნობილი. თუ კირქვის ნატებს მოვათავსებთ გაზავებულ გოგირდმჟავაში, მაშინ მჟავა კირს იწოვს და მასთან ერთად თაბაშირად გვევლინება, ხოლო ის ნაზი, გაზისებური მჟავა, პირიქით, აქროლდება, ასე ხდება ნივთიერებათა გაყრა და ჩნდება ახალი ნაერთი. ფიქრობენ, ამის შემდეგ გამართლებულია, სიტყვები „არჩევითი ნათესაობა“ რომ იხმარონ, რადგან ეს მართლაც ისე ჩანს, თითქოს ერთ ურთიერთობას მეორე ამჯობინეს, ერთის ნაცვლად მეორე აირჩიეს.

– მაპატიეთ, – თქვა შარლოტემ, – მაპატიეთ ისე, როგორც მე ვაპატიე ბუნების მკვლევარს, მაგრამ ამ ამბავში მე არჩევანს კი არ დავინახავდი, არამედ ბუნებრივ აუცილებლობას და ესეც გამიჭირდებოდა, რადგან საბოლოოდ იქნებ ეს სულაც შემთხვევის ბრალია. შემთხვევა ისევე ქმნის ურთიერთობებს, როგორც ქურდებს აყენებს ქურდობის გზაზე და როცა ლაპარაკია თქვენს ბუნებრივ სხეულებზე, ვფიქრობ, არჩევანი მხოლოდ იმ ქიმიკოსის ხელშია, ვინც ამათ აკავშირებს. მაგრამ რაკი მოხდა და ერთმანეთს დაუკავშირდნენ, ღმერთმა შეიწყალოთ! ამ შემთხვევაში მე მაღარდებს საწყალი, გაზისებური მჟავის ბედი, რომელმაც ისევ უსასრულობაში უნდა იხეტიალოს.

– ეს მხოლოდ და მხოლოდ მასზეა დამოკიდებული, – უპასუხა კაპიტანმა, – შეუერთდეს წყალს და მიწერალური წყაროს სახით ჯანსაღებსაც და ავადმყოფებსაც ჯან-ღონე შემატოს.

– თაბაშირს რა უჭირს, – თქვა შარლოტემ, – ის ახლა მზადაა, სხეული უზრუნველყოფილია, იკითხოს განდევნილმა არსმა, რომელსაც, ვინ იცის, რა გასაჭირი დაადგება, სანამ ისევ მიწაზე ჩამოვა.

– ან ძალიან მეშლება რაღაც, – თქვა ედუარდმა ღიმილით, – ან შენს ნათქვამში პატარა ვერაგობაა ჩამალული. აბა, აღიარე შენი მზაკვრობა! შენი აზრით, გამოდის, რომ მე კირი ვარ, რომელიც კაპიტანმა გოგირდმჟავასავით მიიზიდა, შენს სასიამოვნო საზოგადოებას მოსწყვიტა და უგრძობელ თაბაშირად გადაიქცა.

– თუ სინდისი გიკარნახებს ასე იმსჯელო, – უპასუხა შარლოტემ, – მაშინ მე თავსატეხი არაფერი მქონია. ამგვარი ალეგორიებით ლაპარაკი სასიამოვნო და სახალისოც კია და ვინ არ აყოლებს გულს მსგავსებებით თამაშს? მაგრამ ადამიანი ხომ იმ ელემენტებზე რამდენიმე საფეხურით მაღლა დგას და თუ იგი უშურველად წარმოთქვამდა მშვენიერ სიტყვებს – არჩევა და არჩევითი ნათესაობა, მაშინ კარგს იზამს, თუ საკუთარ თავში ჩაიხედავს და ამის შემდეგ ამ სიტყვების ფასს კარგად ჩაუფიქრდება. სამწუხაროდ, მე არა ერთი და ორი შემთხვევა ვიცი, როცა ორი ადამიანის თითქოსდა განუყრელი კავშირი მესამის შემთხვევით მიტმასნებას შეუწყვეტია და ერთი იმათგანი, ერთ დროს რომ ასე მშვენივრად იყვნენ დაკავშირებულნი, უკიდევანო შორეთში განდევნილა.

– თუ ასეა, ქიმიკოსები ბევრად უფრო გალანტური ყოფილან, – თქვა ედუარდმა, – რადგან ისინი სამს მეოთხესაც მიუერთებენ ხოლმე, რომ კენტად არც ერთი არ დარჩეს.

– მართალია! – დაუდასტურა კაპიტანმა, – ყველაზე მნიშვნელოვანი და უცნაური, უდავოდ ასეთი შემთხვევებია, როცა ცხადად შეიძლება წარმოვიდგინო გადაჯვარედინებულივით მიზიდულობა, დანათესავება, მიტოვება, შეკავშირება, როცა ოთხი აქამდე ორ-ორად დაკავშირებული არსი, შეხებისთანავე თავიანთ უწინდელ კავშირს წყვეტენ და ახლებურად უკავშირდებიან. ამ მიტოვება-შეკავშირებაში, ამ გაქცევასა და ძიებაში მართლაც ხედავ უფრო მაღალ დანიშნულებას. ამგვარ არსებს მიაწერენ, რომ ნებისყოფაც აქვთ და არჩევის უნარიც და სავსებით გამართლებულად მიაჩნიათ ხელოვნური სიტყვები, „არჩევითი ნათესაობა“.

– ვერ ამიწერთ თუნდაც ერთ ამგვარ შემთხვევას? – ჰკითხა შარლოტემ.

– ამგვარი რამის აღწერა სიტყვებით არ ხერხდება, – უპასუხა კაპიტანმა, – როგორც უკვე მოგახსენეთ! შემეძლება თუ არა ცდები გაჩვენოთ, ყველაფერი უფრო თვალსაჩინო, უფრო სასიამოვნო საყურებელი იქნება. დღეს იძულებული ვიქნებოდი ისეთი საშინელი ხელოვნური სიტყვებით მომეცდინეთ, რომლებიც ამ საქმეზე მაინც ვერავითარ წარმოდგენას ვერ შეგიქმნიდნენ. საჭიროა საკუთარი თვალთ ნახო ამ თითქოსდა მკვდარ, მაგრამ შინაგანად სამოქმედოდ მუდამ გამზადებულ არსთა მოქმედება, თანაგრძობით ადევნო თვალი, როგორ ეძებენ ერთმანეთს, იზიდავენ, ებლაუჭებიან, ანგრევენ, ნთქავენ, სპობენ და შემდეგ უშინაგანესი კავშირის წყალობით კვლავ განახლებული, ახალი, მოულოდნელი ფორმით გვევლინებიან. მხოლოდ ამის შემდეგ იჯერებ, რომ მარადიული არსებობის უნარით არიან დაჯილდოებულნი, ის კი არადა, მგრძობელობაც გააჩნიათ და გონებაც, მხოლოდ ესაა, რომ ჩვენს გრძობებს ნაკლებად შესწევთ უნარი ჭეშმარიტი დაკვირვებისა, ხოლო ჩვენი გონება ნაკლებადაა მომზადებული, რომ ჩასწვდეს მათ.

– მე არ უარვყოფ, – თქვა ედუარდმა, – რომ უცნაური ხელოვნური სიტყვები დამქანცველი, სასაცილოც კი უნდა იყოს იმისთვის, ვინც გრძობით ან გონებით ვერ ჩასწვდა მათ. მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ სულ ადვილად შეგვიძლია ასოებით გამოვხატოთ ის დამოკიდებულება, რაზედაც აქაა ლაპარაკი.

– თუ თქვენ არ მოგეჩვენებათ, რომ ამას პედანტიზმის სუნი უდის, – უთხრა მათ კაპიტანმა, – მე მართლაც შემეძლია ნიშნების ენით მოკლედ განვაზოგადო ყოველივე ეს. წარმოიდგინეთ A, რომელიც ისე მჭიდროდაა დაკავშირებული B-სთან, რომ მრავალგვარი საშუალებით და ნებისმიერი ძალით მათ ვერ დააშორებ; ახლა კი წარმოიდგინეთ C, რომელიც ისეთივე ურთიერთობაშია D-სთან. დაამყარეთ კონტაქტი ორივე წყვილს შორის: A დაეძგერება D-ს, C კი B-ს და, ასე გასინჯეთ, ვერავინ იტყვის, ვინ მიატოვა პირველად მეორე და ასევე, პირველად ვინ დაუკავშირდა მეორეს.

– ამგვარად, – გააწყვეტინა სიტყვა ედუარდმა, – სანამ ყველაფერ ამას თვალთ ვიხილავთ, მოდით განვიხილოთ ეს ფორმულა ალეგორიულად, საიდანაც უშუალო მოხმარებისთვის გამოვიტანთ მორალს. შარლოტე, შენ წარმოადგენ A-ს, მე წარმოვადგენ შენს B-ს: ეს იმიტომ, რომ შენზე ვარ დამოკიდებული და მოგდევ როგორც A-ს B. ამ შემთხვევაში, ცხადია, C იქნება კაპიტანი, რომელიც ამჯერად ჩემს თავს გართმევს შენ. ახლა სამართლიანი ის იქნება, რომ შენ არ მოგიწიოს გაურკვევლობაში გაუჩინარებამ, ამიტომ შენთვის ვიზრუნოთ D-ზე, და იგი, რაღა საკითხავია, პატარა და სათნო ქალბატონი ოთილიე იქნება, რომლის მოწვევაზე შენ მეტხანს ველარ შეიკავებ თავს.

– კეთილი, – უპასუხა შარლოტემ, – თუმცა, როგორც მე მეჩვენება, ეს მაგალითი მთლად

ზედგამოჭრილი არ არის ჩვენი შემთხვევისთვის. მაგრამ მე მაინც ბედნიერებად ვთვლი იმას, რომ ჩვენ შორის ამჟამად სრული თანხმობა სუფევს, და რომ ეს ბუნებრივი და არჩევითი ნათესაობანი მაჩქარებენ, გულწრფელად გამცნოთ ერთი რამ. ამრიგად, უნდა გამოგიტყდეთ, რომ ნაშუადღევს გადავწყვიტე ოთილიე ვიხმო, რადგან ის ერთგული ქალი, აქამდე რომ ეკონომად და მეკუჭნავედ მყავდა, გვტოვებს, თხოვდება. მაშ ჩემი ინტერესები მკარნახობენ ასე მოვიქცე, ხოლო თუ რატომ მივიღე ოთილიეს გამო ამგვარი გადაწყვეტილება, ამას შენ წაგვიკითხავ ხმამაღლა. წერილში მე არ ჩავიხედავ, მაგრამ ცხადია, შინაარსი ჩემთვის უკვე ცნობილია. აბა ერთი წაიკითხე, წაიკითხე! – ამ სიტყვების შემდეგ შარლოტემ წერილი ამოიღო და ედუარდს გაუწოდა.

თავი მეხუთე

პანსიონის გამგის წერილი

„თქვენი მოწყალება მაპატიებს, დღეს მოკლედ თუ მოგახსენებთ: რადგან დამთავრდა იმ მასალის საჯაროდ გამოკითხვა, რაც გასულ წელს ჩვენმა აღსაზრდელებმა შეისწავლეს, ყველა მშობელსა და მეურვეს უნდა გავაცნო საქმის ვითარება. ვფიქრობ, უფლებაც მაქვს მოკლედ მოვჭრა, ვინაიდან რამდენიმე სიტყვით ბევრის თქმა შემიძლია. თქვენმა ქალიშვილმა ყოველ მხრივ გამოიჩინა თავი როგორც საუკეთესომ. თანდართული ნიშნები, მისი პირველი წერილი, სადაც აღწერს, რა ჯილდოები მიიღო და კმაყოფილებასაც გამოხატავს, ყველაფერი რომ ასე ბედნიერად დაგვირგვინდა, თქვენც მოგგვრით სიხარულსა და სიმშვიდეს. ჩემს სიხარულს ცოტათი მხოლოდ ის ამცირებს, რომ გული მიგრძნობს, დიდხანს აღარ დარჩება ჩვენს პანსიონში ასეთი დიდი წარმატებების მქონე ქალიშვილი. გემშვიდობებით და თქვენი მოწყალების იმედით თავს ნებას ვაძლევ, უახლოეს მომავალში გაცნობოთ ჩემი აზრი, თუ რა მიმაჩნია თქვენი ქალიშვილისთვის სასარგებლოდ. ოთილიეს შესახებ წერილს ჩემი თავაზიანი თანაშემწე გწერთ“.

თანაშემწის წერილი

„ჩვენი პატივცემული გამგე ოთილიეს შესახებ ნაწილობრივ იმიტომაც არ გწერთ წერილს, რომ მისი ყაიდის ადამიანისთვის ცოტათი საჩოთიროა შეგატყობინოთ ის, რაც უნდა მოგხსენდეთ, ნაწილობრივ კი იმის გამო, რომ მობოდიშება სჭირდება და ურჩევნია, ეს მის მაგივრად მე გავაკეთო.“

რადგან მე მეტისმეტად კარგად ვიცი, რა ცოტა რამის გამომჟღავნება შეუძლია კეთილ ოთილიეს თავისი თვისებებიდან და შესაძლებლობებიდან, ცოტა არ იყოს, მეშინოდა კიდევ საჯაროდ გამოცდისა, მით უმეტეს, რომ საამისოდ მომზადება შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელიც რომ ყოფილიყო, ოთილიეს სხვებისთვის თავმოსაწონად მომზადება უაღრესად გაძნელებოდა. შედეგმა ჩემი წუხილი უფრო მეტად გაამართლა: ამას არავითარი ჯილდო არ მიუღია და ამასთანავე იმათ შორისაც აღმოჩნდა, მოწმობა რომ ვერ მიიღეს. რა გითხრათ? წერაში ბევრს არ ჰქონდა ოთილიესნაირი ლამაზი მოხაზულობის ასოები, სამაგიეროდ, უფრო თავისუფლად წერდნენ; რაც შეეხება ანგარიშს, მას ყველამ აჯობა, იგი უფრო ძნელ ამოცანებს ხსნის, ამჯერად კი აქამდე არ მისულა საქმე. ფრანგულში ზოგიერთებმა ლაქლაქით აჯობეს და უკეთ გამოიჩინეს თავი; ისტორიაში გვარებსა და თარიღებს სწრაფად ვერ იხსენებდა; გეოგრაფიაში მოიკოჭლებდა, ქვეყნების პოლიტიკური დაყოფა გამორჩა მხედველობიდან; ხმაურის და უდროობის გამო მუსიკაში არ დასცალდა იმ რამდენიმე უმნიშვნელო მელოდიის დაკვრა, რომლებიც იცოდა. ნატვაში უთუოდ მიიღებდა ჯილდოს: დიდი გულმოდგინებით შესრულებულ ნახატს კონტურები სუფთა ჰქონდა და მახვილგონიერიც იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, რაღაც ძალიან დიდს ჩაეჭიდა და დამთავრება ვერ მოასწრო.

როცა მოსწავლე ქალიშვილები ოთახიდან გავიდნენ, გამომცდელებმა საერთო ბჭობა გამართეს და ჩვენ, მასწავლებლებსაც, გვათქმევინეს ორიოდ სიტყვა. ოთილიეზე ლაპარაკს რომ გაურბოდნენ, უმალ შევნიშნე, ხოლო თუ ვინმეს რამე წამოსცდებოდა, გასაკიცხიც რომ არ ყოფილიყო, მაინც გულგრილობა დაჰკრავდა. ჩემთვის ვფიქრობდი, მოვუყვები გამომცდელებს გულანდილად, რა ზნისაა ოთილიე და თანაგრძნობით განვაწყობ მისადმი. გავბედე კიდევ, თანაც გაორკეცებული თავგამოდებით, რადგან, ჯერ ერთი, შემეძლო ის მეთქვა, რაშიც დარწმუნებული ვიყავი, მეორეც, ჭაბუკობაში ამგვარი სავალალო რამ მეც შემემთხვა. ყურადღებით მისმენდნენ, მაგრამ როცა დავამთავრე, მთავარმა გამომცდელმა თავაზიანად და ლაკონიურად მითხრა: „ნიჭი მხოლოდ წინა პირობაა, მას ცხოვრებაში გამოყენება სჭირდება. ესაა ყოველგვარი აღზრდის მიზანი. მშობლებისა

და მეურვეების მიზანი სწორედ მისი გამომზეურება, გახმაურებაა, ბავშვებიც კი ჩუმად, ქვეცნობიერად ისწრაფვიან აქეთ. იგივეა გამოცდის მიზანიც. ჩვენ ერთდროულად მასწავლებელსაც ვაფასებთ და მოსწავლესაც. რაც თქვენგან მოვისმინეთ, მოსაწონია, ჩვენ იმედის თვალთ შევცქერით ამ ბავშვს და პირადად თქვენ ქებას იმსახურებთ იმისთვის, ასეთ ყურადღებას რომ იჩენთ მოსწავლე გოგონების ნიჭისადმი. თუ ნიჭს ერთ წელიწადში ცხოვრებისეულ უნარად გადააქცევთ, მაშინ თქვენ და იმ მოსწავლეს, ვისადმიც კეთილად ხართ განწყობილი, მოწონება არ დაგაკლდებათ“.

იმასთან, რაც გამოცდებს მოჰყვა, მე შეგუებული ვიყავი, ამაზე უარესს აღარაფერს მოველოდი, მაგრამ მალე უარესიც მოხდა. ჩვენს კეთილ გამგეს, კარგი მწყემსისა არ იყოს, არ უნდოდა არც ერთი კრავის დაკარგვა, ამ შემთხვევაში კი ოთილიეს დაუჯილდოებლად დატოვება ეწყინა და მას შემდეგ, როცა ბატონი გამომცდელეები წავიდნენ, წყენა ვერ დაიოკა და, სანამ სხვები თავიანთი ჯილდოების გამო ხარობდნენ, ფანჯარასთან მშვიდად გაჩერებულ ოთილიეს უთხრა: „თუ ღმერთი გწამთ, ერთი მითხარით, თუ ნამდვილად ასეთი არა ხართ, როგორ ახერხებთ ასე სულელად მოაჩვენოთ სხვებს თავი?“ ოთილიემ სრულიად აუღელვებლად უპასუხა: „მაპატიეთ, ძვირფასო დედავ, სწორედ დღეს ისევ მტკივა თავი და საკმაოდ ძლიერადაც“. „როგორ შეიძლებოდა ეს ვინმეს სცოდნოდა!“ – უთხრა მას სხვა შემთხვევაში ყველასადმი თანაგრძნობით გამსჭვალულმა ქალმა და გაგულისებულნი გაეცალა.

რაც მართალია, მართალია: ეს არავინ შეიძლება იცოდეს, რადგან თავის ტკივილის დროს ოთილიეს სახე არ ეცვლება და მე არასოდეს შემინიშნავს, ერთხელ მაინც მიეტანოს საფეთქელთან ხელი. მაგრამ ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. თქვენს ქალიშვილს, ძვირფასო ქალბატონო, ჩვეულებრივ რომ გულწრფელი და ცოცხალი გოგონაა, დღევანდელმა ბრწყინვალე გამარჯვებამ თავი ააწყვეტინა და ქედმაღალი გახდა. იგი თავისი ჯილდოებითა და ნიშნებით ოთახებში დახტოდა და ოთილიესაც აუფრიალა ცხვირწინ: „შენ დღეს ვერაფერი შვილი იყავი“, წამოიძახა მან. ოთილიემ სრულიად მშვიდად უპასუხა: „გამოცდების უკანასკნელი დღე ჯერ კიდევ წინაა“. „მერე რა, რომ წინაა, შენ მაინც მუდამ უკანსკნელი იქნები!“ მიაძახა თქვენმა ქალიშვილმა და ხტუნვა-ხტუნვით გაშორდა.

ოთილიე ჩემ გარდა ყველას გულგრილი ეჩვენებოდა. ის შინაგანი უსიამოვნო, მძაფრი ღელვა, რასაც იგი ეწინააღმდეგებოდა, მისი სახის არათანაბარ შეფერილობაში მჟღავნდებოდა. ერთი წამით მარცხენა ლოყა უწითლდება, მარჯვენა კი უფითრთდება. როგორც კი ეს შევნიშნე, მისდამი თანაგრძნობით განვიმსჭვალე, ჩვენი გამგე განზე გავიხმე და ამ საქმეზე სერიოზული ლაპარაკი გავუბი. შესანიშნავი ქალბატონი მაშინვე მიხვდა საკუთარ შეცდომას. დიდხანს ვიმსჯელეთ, ვითათბირეთ, ამის მოწერით თავს არ მოგაწყენთ, მაგრამ მოვალე ვარ თქვენ მოწყალებას ჩვენი გადაწყვეტილება ვამცნო: ჩვენი თხოვნაა ცოტა ხნით წაიყვანოთ აქედან ოთილიე. ამის მიზეზს თქვენც მშვენივრად მიხვდებით. თუ მის წაყვანას გადაწყვეტთ, მე კიდევ უფრო მეტს გეტყვით, როგორ უნდა მოექცეთ ამ საყვარელ ბავშვს. მას შემდეგ, რაც თქვენი ქალიშვილი აქაურობას მიატოვებს, რაც სავარაუდოა, ოთილიეს უკან დაბრუნებას დიდ სიხარულით შევხვდებით.

უნდა მოგახსენოთ კიდევ ერთი რამ, რაც შეიძლება შემდეგში დამავიწყდეს: მე არასოდეს ვყოფილვარ იმის მოწმე, ოთილიეს რამე მოეთხოვა ან თუნდაც დაჟინებით ეთხოვა. სამაგიეროდ, თუმცა იშვიათად, არის შემთხვევები, როცა ცდილობს უარი თქვას იმაზე, რასაც მისგან მოითხოვენ. იგი პროტესტს ისეთი ჟესტით აცხადებს, რომ იმას, ვინც მის აზრს ჩასწვდება, არასოდეს დაავიწყდება. გაშლილ ხელისგულებს მაღლა ასწევს, ერთმანეთს ატყუპებს და მკერდთან მიაქვს, ამავე დროს ოდნავ წინ იხრება და იმას, ვინც მისგან დაჟინებით მოითხოვს რამეს, ისეთი თვალეებით უყურებს, რომ მომთხოვნელი სიამოვნებით იღებს ხელს ყველაფერზე, რაც სურდა ან რასაც მისგან მოითხოვდა. მოწყალეო ქალბატონო, თუ ოდესმე შენიშნავთ ამგვარ ჟესტს, თუმცა თქვენ ისე მოეპყრობით, რომ ეს გამორიცხებულია, გამიხსენეთ მე და დაინდეთ ოთილიე“.

ედუარდმა ეს წერილები ხმამაღლა წაიკითხა ღიმილითა და თავის ქნევით, შენიშვნაც საკმაოდ ბევრი გამოთქვა დასახელებულ პირებზე და საქმის ვითარებაზე.

– მორჩა! – წამოიძახა ბოლოს მან, – ოთილიე ჩამოვა! შენ, ჩემო საყვარელო გვერდით გეყოლება მზრუნველი არსება, მაგრამ ჩვენც გვაქვს უფლება წამოვავენოთ ჩვენი წინადადება. აუცილებლობა მოითხოვს, რომ მე საცხოვრებლად კაპიტანთან გადავიდე ციხე-დარბაზის მარჯვენა ფლიგელში, ვინაიდან როგორც საღამო, ასევე დილა ყველაზე შესაფერისი დროა ერთად მუშაობისთვის. სამაგიეროდ, თქვენს ფრთაში შენ და ოთილიეს საუკეთესო ოთახები გექნებათ.

ედუარდის წინადადება შარლოტეს ჭკუაში დაუჯდა. ქმარმა ისიც აუხსნა ცოლს, თუ როგორ აპირებდა ამიერიდან ცხოვრებას. სხვათა შორის მან წამოიძახა: – ის, რომ შენს დისწულს თავის მარცხენა მხარე სტკივა ცოტათი, მის გულისხმიერებაზე მეტყველებს. მე ზოგჯერ ცოტათი

მარჯვენა მხარე მტკივა. თუ ისე დაემთხვა, რომ ერთმანეთის პირისპირ ვიქნებით ჩამომსხდარნი, მე მარჯვენა იდაყვზე დავეყრდნობი, ის კი მარცხენაზე და თავები სხვადასხვა მხარეს გვექნება გადახრილი, ეს მოგვცემს სასიამოვნო წყვილის შებრუნებულ სურათს.

კაპიტანი მასპინძელს არწმუნებდა, ამგვარი დაწყვილება სახიფათოდ მიმაჩნიაო, მაგრამ ედუარდმა ყური არ ათხოვა და განაგრძო: – ოღონდ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, გაუფრთხილდით D-ს! ახლა კი მითხარით, რა უნდა იღონოს B-მ, როცა C-ს წაართმევენ?

– მე მგონი, – უპასუხა შარლოტემ, – ეს თავისთავად ცხადია.

– მართალს ამბობს, – დაიძახა ედუარდმა, – ის დაუბრუნდება თავის A-ს, თავის A-სა და D-ს! – ამის თქმა იყო, ფეხზე წამოხტა და შარლოტე მაგრად ჩაიკრა გულში.

თავი მეექვსე

ეტლი, რომელმაც ოთილიე ჩამოიყვანა, ციხე-დარბაზს მიადგა. შარლოტე მიეგება ქალიშვილს. საყვარელი გოგონა მისკენ გაეშურა, მიეახლა, მის ფერხთით დაეცა და მუხლებზე მოეხვია.

– თავს ნუ იმცირებ! – უთხრა ცოტათი შემცბარმა შარლოტემ და სცადა გოგონა ფეხზე წამოეყენებინა.

– თავის დამცირება არც მიფიქრია, – უპასუხა ოთილიემ, რომელიც ადგილიდან არ დაძრულა, – მე მხოლოდ სიამოვნებას მგვრის იმ დროის მოგონება, როცა მუხლს ზემოთ ვერ გწვდებოდით და მიუხედავად ამისა, თქვენს სიყვარულში მაინც დარწმუნებული ვიყავი.

ოთილიე წამოდგა, შარლოტე გულითადად მოეხვია. შემდეგ ოთილიე მამაკაცებს წარუდგინა და ისინიც მას, როგორც სტუმარს, განსაკუთრებული პატივისცემით მოექცნენ. სილამაზე ხომ ყველგან ფრიად სასურველი სტუმარია. ოთილიე ყურადღებით ისმენდა საუბარს, მაგრამ ისე, რომ მასში მონაწილეობა არ მიუღია.

მეორე დღით ედუარდმა შარლოტეს უთხრა: – რა საინტერესო და სასიამოვნო გოგონაა.

– საინტერესო? – ჰკითხა ღიმილით შარლოტემ, – მას ხომ ჯერ სიტყვაც არ დასცდენია.

– ვითომ? – გაიკვირვა ედუარდმა და თითქოს დაფიქრდა, – პირდაპირ საოცარია.

შარლოტემ ახალჩამოსულს მხოლოდ რამდენიმე რჩევა მისცა, თუ როგორ უნდა გაერთმია თავი საოჯახო საქმისთვის. ოთილიე სწრაფად მიხვდა, თუ როგორი წესი და რიგი იყო დამყარებული ოჯახში, უფრო მეტიც, ისიც შეიგრძნო, როგორ უნდა ეზრუნა ყველასთვის ერთად და განსაკუთრებით თითოეულისთვის ცალ-ცალკე. ამიტომ ყველაფერი ზუსტად სრულდებოდა. მას ემარჯვებოდა განკარგულების ისე გაცემა, რომ არ იგრძნობოდა მბრძანებლური კილო, ხოლო თუ ვინმე სადმე აკლდა, მის საქმეს მაშინვე თვითონ აკეთებდა.

მიუხედავად ამისა, ოთილიეს ბევრი თავისუფალი დრო რჩებოდა და შარლოტეს სთხოვდა, ნება მომეცით ჩემი დრო ჩემებურად გამოვიყენო, შარლოტე მაინც ადევნებდა თვალყურს. ოთილიე იმგვარად განაგებდა ოჯახს, რომ შარლოტეს უნებურად თანაშემწის წერილები მოაგონდა და ოთილიეს ნება დართო თავისუფლად ემოქმედა. მხოლოდ ხანდახან ცდილობდა შარლოტე მის დაინტერესებას, შეგნებულად შეაპარებდა გაცვეთილ კალმებს, ოთილიეს ხელწერა რომ უფრო ლაღი გამხდარიყო, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ მათ ისევ წვერწამახულს პოულობდა.

ქალებმა გადაწყვიტეს, როცა მარტო დარჩებოდნენ, ერთმანეთთან მხოლოდ ფრანგულად ელაპარაკათ. შარლოტე ამას იმიტომ იჩემებდა, რომ ოთილიეს ეხალისებოდა უცხო ენაზე ლაპარაკი. რადგან ფრანგულში გავარჯიშება ვალად აწვა. როცა ფრანგულად ლაპარაკობდა, უფრო სიტყვაუხვი იყო, ვიდრე სურდა. შარლოტე განსაკუთრებით გამხიარულდა, როცა ოთილიემ ზუსტად, და კეთილგანწყობით აღუწერა მთელი პანსიონის ცხოვრება. ოთილიე მისთვის სასიამოვნო მოსაუბრე იყო და შარლოტე იმედოვნებდა, რომ ოდესმე მისი სახით სანდო მეგობარს შეიძენდა.

ამასობაში შარლოტემ კიდევ ერთხელ გადახედა ძველ წერილებს, სადაც ოთილიეზე იყო ლაპარაკი. მას სურდა მეხსიერებაში გაეცოცხლებინა პანსიონის გამგისა და მისი თანაშემწის

მსჯელობა საყვარელ გოგონაზე, სურდა მათი აზრი პირდაპირ შეეძარებინა მის პიროვნებასთან. შარლოტე ფიქრობდა, რომ შეუძლებელია ჩქარა იმდენად შეიცნო იმ ადამიანის ხასიათი, ვისთანაც გიწევს ცხოვრება, რათა იცოდეს, რას უნდა მოელოდე მისგან, როგორები შეიძლება იყვნენ, რის უფლება შეიძლება მისცე ერთხელ და სამუდამოდ და რა უნდა აპატიო.

შარლოტემ წერილებს კი გადახედა, მაგრამ ახალი ვერაფერი აღმოაჩინა, თუმცა ზოგი რამ, რაც მისთვის ცნობილი იყო, ენიშნა და უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ასე მაგალითად, ოთილიე ისე ზომიერად ჭამდა და სვამდა, რომ შეიძლება ეს შარლოტესთვის მართლაც ზრუნვის საგანი გამხდარიყო. ქალების კიდევ ერთი თავსატეხი ჩაცმა-დახურვა იყო. შარლოტე ოთილიესგან მოითხოვდა, უფრო მდიდრულად და გემოვნებით ჩაცმულს ევლო. კეთილმა და საქმიანმა გოგონამ ადრე ნაჩუქარი ქსოვილებისგან თვითონ გამოჭრა კაბები და თითქმის სხვების დაუხმარებლად სწრაფად და ძალიან კონტად მოირგო ტანზე. ახლა, მოდურ ტანსაცმელში უფრო ტანმალაი გამოჩნდა: რამდენადაც პიროვნების მომხიბვლელობა მის სამოსზეც ვრცელდება, ამდენად ყოველთვის განახლებული და უფრო მიმზიდველი გეჩვენება, როცა პიროვნულ თვისებებს ახალ საფარველს უნაწილებ.

ამის წყალობით ოთილიე მამაკაცებისთვის თავიდანვე, შემდეგ კი უფრო მეტად და მეტად გახდა, როგორ ვუწოდო ამას სწორი სახელი, ჭეშმარიტად ნუგეშის მომგვრელი, რადგან თუ ზურმუხტი თავისი მშვენიერი ფერით სახეს ლაზათს მატებს და ამასთან კეთილშობილ სულზე წამალივითაც კი მოქმედებს, მაშინ ადამიანის სილამაზე გაცილებით ძლიერ ზემოქმედებას ახდენს სხვების გარეგან და შინაგან გრძობებზე. ვისაც სილამაზის დანახვის უნარი აქვს, მას ცუდი ვერაფერი მიეტმასნება, იგი საკუთარ თავთანაც და სამყაროსთანაც შეხმატკბილებულად გრძობს თავს.

ამიტომ ოთილიეს ჩამოსვლამ საზოგადოებას რაღაც შემატა. მეგობრები უფრო ზუსტად იცავდნენ თავშეყრის საათებს, წუთებსაც კი. ისინი ქალებს არც სადილად, არც ჩაიზე, არც სასეირნოდ წასვლის დროს არ ალოდინებდნენ იმაზე უფრო დიდხანს, ვიდრე ეს დასაშვებია. აღარც ისე მალე დგებოდნენ სუფრიდან, როგორც უწინ, განსაკუთრებით ვახშმობისას. შარლოტემ ეს მშვენივრად შენიშნა და არც ერთს არ აცილებდა დაკვირვებულ თვალს, ცდილობდა მიმხვდარიყო, მამაკაცთაგან რომელი იჩენდა ინიციატივას, მაგრამ ვერავითარი განსხვავება ვერ შეამჩნია. საერთოდ ორივე უფრო გულღია ადამიანი აღმოჩნდა. საუბრის დროს, ეტყობა, ისინი უფიქრდებოდნენ, რას შეეძლო გამოეწვია ოთილიეს თანაგრძობა, რა იქნებოდა მისი გონებისა და ცოდნისთვის ხელმისაწვდომი. კითხვასა და მოყოლას მანამდე წყვეტდნენ, სანამ ოთილიე არ დაბრუნდებოდა. მეგობრები უფრო სათუთნი და გულისხმიერნი გახდნენ.

ამან კი ის გამოიწვია, რომ ოთილიე უფრო მარჯვე და ბეჯითი გახდა. რაც უფრო მეტად ერკვეოდა ოჯახის ცხოვრებაში, ეცნობოდა ადამიანებს, არსებობის პირობებს, მით უფრო ცოცხლად დაფუსფუსებდა, მით უფრო სწრაფად ესმოდა ყოველი გამოხედვა, ყოველი მოძრაობა, ნახევარი სიტყვა, ყოველი ბგერა. მისი მშვიდი ყურადღება ისეთივე თანაბარი იყო ყოველთვის, როგორც მისი მშვიდი სიმართლე. მშვიდად ჯდებოდა, დგებოდა, მიდიოდა, მოდიოდა, მიჰქონდა, მოჰქონდა, თუ კვლავ ჯდებოდა, არავითარი აღელვება არ ეტყობოდა, ეს იყო მარადიული ცვალებადობა, მარადიულის სასიამოვნო მოძრაობა. ამას ისიც ერთვოდა, რომ ისე მსუბუქად დადიოდა, ნაბიჯების ხმა არ ისმოდა.

ოთილიეს სანიმუშო შრომისმოყვარეობა შარლოტეს დიდ სიხარულს ჰგვრიდა. მან ოთილიეს არ დაუმალა ის ერთადერთი რამ, რაც მაინცდამაინც სწორ საქციელად არ მიაჩნდა.

– სანაქებო ყურადღებად ითვლება, – უთხრა მან ერთ დღეს ოთილიეს, – როცა ვინმეს რაიმე ხელიდან გაუვარდება, სწრაფად დავიხაროთ, ავილოთ და მივაწოდოთ. ჩვენ ამით თითქოს იმას ვაღიარებთ, რომ ვალდებულნი ვართ მოვემსახუროთ მას. მაგრამ როცა მალა საზოგადოებაში იმყოფები, უნდა დაფიქრდე, ვის მიმართ იჩენ ამგვარ ერთგულებას. ქალებთან დაკავშირებით არავითარ კანონებს არ გიწევს. შენ ახალგაზრდა ხარ. როცა შენზე მალა მდგომ პირებს და უფროსებს ასე ექცევი, ეს მოვალეობაა, შენი ტოლების მიმართ კი ზრდილობა, რაც შეეხება უმცროსებს და შენზე დაბლა მდგომთ, ამით შენ ამჟღავნებ, რომ ადამიანური და სათნო ხარ. მაგრამ ქალს არ შეშვენიის მამაკაცების მიმართ ამგვარად გამოხატოს ერთგულება და მორჩილება.

– ვეცდები გადავეჩვიო ამას, – უპასუხა ოთილიემ, – მანამდე კი, იმედია, მაპატიებთ ამ არასწორ საქციელს, როცა აგიხსნით, როგორ მივედი აქამდე. ჩვენ გვასწავლიდნენ ისტორიას. მე იმდენი რამ დავიმახსოვრე ისტორიიდან, რამდენიც მევალებოდა, რადგან არ ვიცოდი, რისთვის დამჭირდებოდა ამის ცოდნა. მხოლოდ ცალკეულმა ამბებმა მოახდინეს ჩემზე დიდი შთაბეჭდილება, თუნდაც შემდეგმა ეპიზოდმა: როცა ინგლისის მეფე კარლოს პირველი თავისი ეგრეთ წოდებული მოსამართლეების წინაშე იდგა, იმ პატარა ჯოხს, ხელში რომ ეჭირა, ოქროს ბუნიკი მოსძვრა. მიჩვეულმა იმას, რომ ამგვარ შემთხვევებში ყველა მისდა სამსახურად იყო გამზადებული, ირგვლივ მიმოიხედა და ელოდა, რომ ვინმე ახლაც გაუწევდა ამ პატარა

სამსახურს. არავინ განძრეულა, მაშინ მეფე თვითონ დაიხარა ბუნიკის ასაღებად. მე ამან ისე მატკინა გული, არ ვიცი, რამდენად სწორია, მაგრამ მას შემდეგ, როცა ვხედავ, რომ ვილაცას რაღაც დაუვარდა, არ შემიძლია მის ასაღებად არ დავიხარო. ცხადია, – განაგრძო მან ღიმილით, – ამგვარი საქციელი არ შეიძლება ყოველთვის გამართლებული იყოს, ამ ამბავსაც ვერ მოვყვები წამდაუწუმ, ამიტომ მომავალში უფრო მეტად შევიკავებ თავს.

ამ ხნის განმავლობაში დაუსრულებლად გრძელდებოდა იმ სანაქებო ღონისძიებების განხორციელება, რითაც ორივე მეგობარს თავი მოსწონდა. ყოველდღიურად პოულობდნენ ახალ-ახალ საბაბს იმისთვის, რომ რაღაც მოეფიქრებინათ და წამოეწყოთ.

ერთ დღეს, როცა სოფელში გაიარეს, უკმაყოფილონი დარჩნენ იმით, რომ მათი სოფელი წესრიგითა და სისუფთავით დიდად ჩამორჩებოდა იმ სოფლებს, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა მიწის სიძვირის გამო ერთ მხარესაც აქცევდა ყურადღებას და მეორესაც.

– გახსოვს, – უთხრა ედუარდს კაპიტანმა, – როცა შვეიცარიაში ვმოგზაურობდით, გამოვთქვით სურვილი, ეგრეთ წოდებული პარკი მართლაც წესიერად მოგვეწყო, შეგვემკო, თანაც ჩვენებურად განლაგებული სოფელი შვეიცარიულ ყაიდაზე კი არ გაგვეშენებინა, არამედ შვეიცარიული წესრიგი და სისუფთავე ჩვენშიც გადმოგვეტანა, რაც დიდად ხელსაყრელია.

– მაგალითად, აი, აქ, – უპასუხა ედუარდმა, – ასეთი ღონისძიების გატარება უთუოდ გამოსადეგი იქნებოდა. ციხედარბაზიანი მთა წინგაშვერილი კუთხით დაბლა ეშვება. სოფელი საკმაოდ გეგმაზომიერადაა გაშენებული ნახევარწრედ. მოპირდაპირე მხარეს, შუაში ნაკადული ჩამოუდის. ადიდების დროს მისგან ერთი ქვებით იცავს თავს, მეორე – ბოძებით, ზოგი – მორებით, მეზობელი – ფიცრებით, მაგრამ ამით ისინი ერთმანეთს კი არ უწყობენ ხელს, არამედ კიდევ უფრო მეტად აზარალებენ და აზიანებენ საკუთარ თავსაც და სხვებსაც, გზაც უხეიროდაა გაყვანილი, ხან აღმა მიიკლაკნება, ხან დაღმა, ხან წყალში ჩადის, ხან კი ქვებს შორის გადის. ხალხს რომ ხელი გამოეღო, დიდი დამატებითი ხარჯები არ იქნებოდა საჭირო იმისთვის, რომ აქ ნახევარწრიულად გალავანი ამოეყვანათ, მის უკან გზა სახლებამდე აქედანდებინათ, მიდამო გაელამაზებინათ, სისუფთავე დაეცვათ და დიდი მასშტაბის ღონისძიებების გატარებით ყველა პატარა, უმნიშვნელო საზრუნავისთვის ერთბაშად მოეღოთ ბოლო.

– მოდი, ერთი ვცადოთ ამის განხორციელება, – უთხრა კაპიტანმა, – თან მიდამოს თვალი მოავლო და ყველაფერი სწრაფად შეაფასა.

– მე მხოლოდ ერთი რამ შემიძლია, უშუალოდ ვუბრძანო, სხვაგვარად არ მიყვარს ქალაქლებთან და გლეხებთან საქმის დაჭერა, – მიუგო ედუარდმა.

– ვერ გეტყვი, დიდად ცდები-თქო, – უთხრა კაპიტანმა, – რადგან ასეთმა საქმეებმა მეც ბევრი უსიამოვნება მომაცენა ცხოვრებაში. ადამიანისთვის უალრესად ძნელია აწონ-დაწონოს, თუ რა მსხვერპლი უნდა გაიღოს, იმის სანაცვლოდ, რომ რამე მოიგოს! მეტისმეტად ჭირს ისიც, დაისახო მიზანი და არ მოერიდო საშუალებებს. ბევრი ურევს კიდევ ერთმანეთში საშუალებებსა და მიზანს, მეორე ისე ახარებთ, რომ პირველს არ ითვალისწინებენ. ყოველგვარი ბოროტების დაურვება იქ უნდათ, სადაც თავს იჩენს, და არავის აწუხებს ის პუნქტი, საიდანაც დასაბამს იღებს, საიდანაც მოქმედებას იწყებს. სწორედ ამიტომაცაა ძნელი, რჩევა მისცე სხვას, განსაკუთრებით ბრბოს, რომელსაც ყოველდღიური ამბები კარგად ესმის, მაგრამ იშვიათად იყურება უფრო შორს, ვიდრე ხვალისდელი დღეა. ამას ისიც ერთვის თან, რომ საერთო ღონისძიების დროს ერთი იგებს, მეორე კი აგებს და აქ უკვე შედარების გზით სრულიად ვერაფერს ვერ გააწყობ. საერთოდ, ჭეშმარიტ საყოველთაო სიკეთეს ხელს უნდა უწყობდეს მონარქის შეუზღუდველი სუვერენული უფლებები.

სანამ ისინი იდგნენ და ლაპარაკობდნენ, ერთმა კაცმა, რომელსაც თავხედური იერი უფრო ჰქონდა, ვიდრე მათხოვრული, მათ მოწყალება სთხოვა. ედუარდს არ სიამოვნებდა, როცა ლაპარაკს აწყვეტინებდნენ და უდროოდ დროს აწუხებდნენ, ამიტომაც რამდენჯერმე დაითხოვა მათხოვარი აუღელვებლად, მაგრამ როცა ის კაცი ბუზღუნითა და ლანძღვა-გინებით მოკლე ნაბიჯებით გაშორდა მათ, თანაც ბურტყუნებდა, მათხოვრის უფლებებს იცავდა და ამბობდა, შეგიძლია მათხოვარს მოწყალებაზე უარი უთხრა, მაგრამ მისი შეურაცხყოფის უფლება არა გაქვს, რადგან მას, სხვათა მსგავსად, ღმერთი და ხელისუფლება იფარავსო, ედუარდს მოთმინების ფიალა აევსო.

კაპიტანმა მეგობრის დამშვიდება სცადა: – მოდი, ეს შემთხვევა გამოწვევად მივიჩნიოთ და ჩვენი სოფლის პოლიციას დავავალოთ ცხოვრების ამ მხარესაც მიხედოს. გასაკითხი კი არ უნდა გაიღო, მაგრამ ბევრად უკეთ მოიქცევი, პირადად თუ არ გასცემ, განსაკუთრებით კი სახლში. საჭიროა ზომიერი და თანაბარი იყო ყველაფერში, ქველმოქმედებაშიც. მეტისმეტად მდიდრული მოწყალებით მათხოვრებს თავიდან კი არ მოიშორებ, პირიქით, მიიტყუებ. სამაგიეროდ,

მოგზაურობის დროს ლატაკს ქუჩაში რომ ჩაუქროლებ შემთხვევით მოვლენილ ბედნიერებასავით და განსაცვიფრებელ წყალობას მიუგდებ, ეს სულ სხვა ამბავია. ამ სოფლისა და ციხე-დარბაზის ადგილმდებარეობა ამგვარი ღონისძიებების განხორციელებას ძალიან გაგვიადვილებს. ამაზე მე ადრეც მიფიქრია.

სოფლის ერთ ბოლოში ტრაქტორია, მეორე ბოლოში მოხუცებული წყვილი ცხოვრობს, კეთილი ადამიანები არიან. ორივე ადგილას უნდა დატოვო მცირეოდენი თანხა. ამის შედეგად არა მარტო სოფელში შემოსული მიიღებს რაღაცას, არამედ სოფლიდან გასულიც. რადგან ორივე სახლი ციხე-დარბაზისკენ მიმავალი გზების პირას დგას, ამიტომ ყველას, ვინც მოისურვებს ზევით წამოსვლას, ამ ორ სახლზე მიუთითებენ.

– წავიდეთ, – უთხრა ედუარდმა, – ჩვენ ამას ახლავე მოვაგვარებთ, ხოლო თუკი რამ დასაზუსტებელი დაგვრჩება, ამას ყოველთვის მოევლება.

ისინი ტრაქტორის პატრონთანაც მივიდნენ, მოხუც ცოლ-ქმართანაც და საქმე სწრაფად მოათავეს.

– მე ძალიან კარგად ვიცი, – უთხრა ედუარდმა კაპიტანს, როცა ისინი ერთად აუყვნენ ციხე-დარბაზისკენ მიმავალ გზას, – ამქვეყნად ყველაფერი დამოკიდებულია გონივრულ იდეაზე და მტკიცე გაწყვეტილებაზე. შენ ძალიან სწორად შეაფასე ჩემი ცოლის პარკების განლაგება, ამით მეც უკეთესობისკენ მიბიძგე და რაღა დაგიმალო, შენი აზრი მაშინვე შევატყობინე შარლოტეს.

– ასეც ვვარაუდობდი, – უპასუხა კაპიტანმა, – მაგრამ საქციელს ვერ მოგიწონებ. შენ ის დააბნიე. მან ყველა საქმეზე ხელი აიღო და ახლა მხოლოდ პარკების გაშენებაში გვეჯიბრება. მას შემდეგ იგი თავს არიდებს ამაზე ლაპარაკს და ხავსის ქონში აღარ გვეპატიჟება, მაგრამ მოცალეობის ჟამს ოთილიესთან ერთად იმ ქონში ადის.

– ამან არ უნდა დაგვაფრთხოს, – უთხრა ედუარდმა, – როცა დარწმუნებული ვარ, რაღაც გამოსადეგია, მისი განხორციელება შეიძლება და უნდა განხორციელდეს კიდევ, მოსვენებას ვკარგავ მანამდე, სანამ ამ საქმეს თავს არ მოვაბამ. ჩვენ ხომ მხოლოდ რაღაცის დასაწყებად გვყოფნის ჭკუა. მოდი, ამ საღამოს მოსპილენძებასთან ერთად ინგლისური პარკების აღწერილობაც ჩავრთოთ საუბარში, ამას შენი ადგილ-მამულის რუკაც მივაყოლოთ. თავიდან ამაზე პრობლემატურად და ხუმრობით უნდა ვიმსჯელოთ, სერიოზულობა კი თვითონ იჩენს მერე თავს.

ამ მოლაპარაკების შემდეგ მეგობრებმა გადაშალეს წიგნები, სადაც პირველ გვერდებზე ხედავდნენ მიდამოს გეგმასა და მის ლანდშაფტს პირველი, დაუმუშავებელი, ბუნებრივი სახით, დანარჩენ ფურცლებზე კი წარმოდგენილი იყო ცვლილებები, და აშკარად ჩანდა, როგორი ოსტატობით შეძლეს ყოველივე ამის გამოყენება და გაუმჯობესება, რაც პირველყოფილ მდგომარეობაში კარგი იყო. აქედან გამომდინარე ძალიან კარგი იქნებოდა საკუთარ მამულზე, საკუთარ არემარეზე სიტყვის ჩამოგდება და იმის თქმაც, რისი სრულყოფა შეიძლებოდა აქ.

იმ დღიდან კაპიტნის მიერ შედგენილი რუკით ხელმძღვანელობა მათთვის თავშესაქცევ საქმიანობად იქცა, მაგრამ მაინც ვერ შეძლეს მთლიანად გათავისუფლებულიყვნენ იმ პირვანდელი წარმოდგენისგან, რის საფუძველზეც შარლოტემ პარკის გაშენება წამოიწყო. მას შემდეგ ბეჭობზე უფრო იოლი ასავლელი აღმოაჩინეს, ისიც მოისურვეს, რომ ზემოთ, ფერდობზე, სიამოვნების მომგვრელ წარაფთან ტალავური მოეწყობოთ, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა ციხე-დარბაზთან და მისი ფანჯრებიდან გამოჩნდებოდა. ზემოდან კი თვალს შეავლებდნენ ციხე-დარბაზსა და ბაღებს.

კაპიტანმა ყველაფერი ეს კარგად გაიაზრა, გაზომა და ჩამოაგდო სიტყვა სოფლის გზაზე, იმ გალავანზე, ნაკადულთან რომ უნდა აეგოთ და ამოსაყორ ადგილზე.

– როცა მოხერხებულ გზას გავიყვან მაღლობისკენ, – თქვა კაპიტანმა, – მოვიგებ სწორედ იმდენ ქვას, რამდენიც გალავნის ასაგებად დამჭირდება. როგორც კი ორივე საქმე ერთმანეთს დაუკავშირდება, უფრო ჩქარაც გაკეთდება და უფრო იაფიც დაჯდება.

– მაგრამ ამ შემთხვევაში, – თქვა შარლოტემ, – მე გამიჩნდება მეტი საზრუნავი. ერთ-ერთი საქმე აუცილებლად უნდა შევწყვიტოთ. როცა იცი, რამდენი სჭირდება ახალი პარკის გაშენებას, მაშინ ფულს თუ კვირების მიხედვით არა, ყოველ შემთხვევაში, თვეების მიხედვით მაინც ანაწილებ. სალარო ჩემს განკარგულებაშია, მე ვინძი ქვითრების მიხედვით ფულს და ანგარიშსაც მე ვაწარმოებ.

– ეტყობა, დიდად არ გვენდობი, – უთხრა ედუარდმა ცოლს.

– თვითნებურ საქმეში, რა თქმა უნდა, არა, – უპასუხა შარლოტემ, – თვითნებობას ჩვენ, ქალები, უკეთ ვუმკლავდებით, ვიდრე თქვენ.

თადარიგი თავიდანვე დაიჭირეს, მუშაობას სწრაფად შეუდგნენ, კაპიტანი მუდამ გვერდით ჰყავდა და შარლოტე თითქმის ყოველდღე რწმუნდებოდა, თუ რა სერიოზული და შეუპოვარი გონების პატრონი იყო კაპიტანი. კაპიტანმაც უფრო ახლოს გაიცნო შარლოტე და ორივეს გაუადვილდა ერთად ემოქმედათ და რაღაც შეექმნათ.

ამ მხრივ საქმე და ცეკვა ერთმანეთს ჰგავს: ის ადამიანები, რომლებიც ერთმანეთს ნაბიჯს აუწყობენ, ერთმანეთისთვის აუცილებელნიც უნდა გახდნენ. ამგვარი ურთიერთობიდან კი უთუოდ უნდა აღმოცენდეს ორმხრივი კეთილმოსურნეობა და შარლოტე რომ კაპიტანისადმი მართლა კეთილად განეწყო, მას შემდეგ, რაც უფრო ახლოს გაიცნო, ამის აშკარა საბუთი ის იყო, რომ ერთი მშვენიერი დასასვენებელი კუთხე, რომელიც პარკის გაშენების დასაწყისშივე საგანგებოდ შეარჩია და მორთო, კაპიტანის გეგმას ეწინააღმდეგებოდა და ქალმა ის სრულიად აუღელვებლად დაანგრევინა ისე, რომ ამ დროს ერთი ბეწო უსიამო გრძნობაც კი არ გასჩენია.

თავი მეშვიდე

როცა შარლოტემ კაპიტანთან საერთო საქმე გამოიხატა, ამის შედეგად ედუარდი უფრო ოთილიეს მიეკედლა. მის გულში ოთილიეს მიმართ ბოლო დროს უამისოდაც დაისადგურა მშვიდმა, გულწრფელმა სიმპათიამ. ოთილიე მზად იყო ყველასათვის სამსახური გაეწია, ყველას მიმართ ყურადღებას იჩენდა, თავის თავში შეყვარებულ ედუარდს კი ეჩვენებოდა, თითქოს მის მიმართ განსაკუთრებით ამჟღავნებდა ამ თვისებებს. საჭოჭმანო აქ უკვე არაფერი იყო: ოთილიემ ზუსტად იცოდა, რა საჭმელები უყვარდა ედუარდს და რა სახით, რამდენ კოვზ შაქარას იყრიდა ჩაიში და ამის მსგავსი ბევრი რამ მხედველობიდან არ გამოჰპარვია. განსაკუთრებით ზრუნავდა იმაზე, რომ გამკრავი ქარი აერიდებინა ედუარდისთვის, რის მიმართაც იგი გადაჭარბებულ მგრძნობელობას იჩენდა და ამის გამო ცოლთან, რომელსაც არასოდეს ჰყოფნიდა ჰაერი, დავა მოსდიოდა. ოთილიე ასევე კარგად გაერკვა ხილნარისა და ყვავილნარის მოვლაში. ოთილიე ედუარდს იმაში უწყობდა ხელს, რაც მას სურდა, ყოველთვის არიდებდა იმას, რასაც შეეძლო ედუარდი წონასწორობიდან გამოეყვანა და ცოტა ხანში ოთილიე მისთვის აუცილებელი გულისხმიერი მფარველი სული გახდა. ზოგჯერ საშინლად განიცდიდა, თუ ოთილიე გვერდით არ ჰყავდა. ამას ისიც უწყობდა ხელს, როცა ისინი მარტო რჩებოდნენ, ოთილიე უფრო ენაწყლიანი და გულლია იყო.

მართალია, ედუარდს წლები ემატებოდა, მაგრამ რაღაც ბავშვურს ყოველთვის ინარჩუნებდა, რაც ოთილიეს სიყმაწვილეს განსაკუთრებით ესადაგებოდა. ისინი სიამოვნებით იხსენებდნენ იმ დროს, როცა ერთმანეთს ხვდებოდნენ. მოიგონეს ის დროც, ედუარდს რომ თვალი შარლოტეზე ეჭირა. ოთილიეს ახსოვდა, რომ ედუარდი და შარლოტე ჰერცოგის კარის საუკეთესო წყვილს წარმოადგენდნენ, ხოლო როცა ედუარდი გამოედავა, ასეთმა პატარამ ამდენი რამ როგორ დაიხსომეო, ოთილიე მაინც ირწმუნებოდა, განსაკუთრებით ერთი შემთხვევა ჯერაც თვალწინ მიდგასო, სახელდობრ, როგორ დაიძალა ერთხელ შარლოტეს კაბის კალთაში, როცა ედუარდი შემოვიდა და ეს მოუვიდა არა შიშის გამო, არამედ ბავშვური განცვიფრებისგან. მას შეეძლო დაეზუსტებინა, რადგან ისეთი ცხოველი შთაბეჭდილება მოუხდენია მასზე, რადგან მეტისმეტად მოსწონებია.

ყოველივე ამის გამო ზოგიერთი საქმე, რასაც მეგობრებმა ადრე ერთად მოჰკიდეს ხელი, რამდენადმე შეფერხდა. ამიტომ საჭიროდ მიიჩნიეს, კვლავ შეემუშავებინათ საერთო წარმოდგენა ყველაფერზე, რამდენიმე სტატია მოეხაზათ და წერილები დაეწერათ. ამ მიზნით კვლავ მიაკითხეს კანცელარიას, სადაც მოხუცი მდივანი უსაქმოდ დახვდათ. იქვე შეუდგნენ მუშაობას, მოხუცსაც გაუჩინეს საქმე, და ვერც კი შეამჩნიეს, რომ ისეთი რაღაცების გაკეთება დააკისრეს, რასაც სხვა დროს ჩვეულებრივ თვითონ აკეთებდნენ. კაპიტანს პირველი სტატია არ გამოუვიდა, არც ედუარდს პირველი წერილი. ისინი ერთხანს მათ შავად შედგენასა და გადაწერაზე ჯახირობდნენ, ბოლოს ედუარდმა, რომელმაც ვერ იქნა და ვერ მოაბა თავი საქმეს, იკითხა, რა დროა.

უეცრად აღმოჩნდა, რომ კაპიტანს მრავალი წლის განმავლობაში პირველად დავიწყებია თავისი ქრონომეტრული, წამსამზომიანი საათის მომართვა და თუ მათ ეს ბოლომდე ვერ შეიგნეს, ჩანს, ეჭვი მაინც შეეპარათ, რომ დროს მათთვის ის ფასი აღარ ჰქონდა.

იმ პერიოდში, როცა მამაკაცებმა თავიანთი საქმიანობა რამდენადმე შეანელეს, ქალები, პირიქით, გამალეებით მუშაობდნენ. საერთოდ ოჯახური ცხოვრების ჩვეული წესი, დამკვიდრებული ამ

ოჯახის წევრთა და უცხოელ გარემოებათა მიერ, თავის წიაღში, როგორც ჭურჭელში ისე იტევს საოცარ სიმჰათიასაც და გაღვივებულ ვნებათაღელვასაც, რომ შეიძლება საკმაოდ დრო გავიდეს, სანამ ეს ახალი ინგრედიენტი შესამჩნევად დაიწყებს დუღილსა და ჭურჭლის პირიდან აქაფებული გადმოიღვრება.

უდავოა, რომ ორმხრივი სიმჰათია სასიამოვნო გავლენას ახდენდა ჩვენს მეგობრებზე. სული გაეხსნათ და მათ შორის საყოველთაო კეთილმოსურნეობა დამყარდა. თითოეული ნაწილი ბედნიერად გრძნობდა თავს და თავის მხრივ ბედნიერებას უსურვებდა მეორეს.

ასეთი ვითარება სულს ამაღლებს იმით, რომ გულს აფართოებს და ყველაფერი, რასაც ხელს ჰკიდებ და რაც კეთდება, მიმართულია განუზომლობისკენ. ამიტომ აღარც მეგობრები იყვნენ თავიანთ ბინაში გამოკეტილნი. სასიერო მარშრუტები სულ უფრო ფართოვდებოდა, ედუარდი და ოთილიე ყოველთვის წინ მიისწრაფვოდნენ ბილიკების აღმოსაჩენად, კაპიტანი შარლოტესთან ერთად დინჯად მიჰყვებოდა წინამავალთა კვალს, საგულისხმო საუბარში გართულთ დროდადრო ატყვევებდა აქამდე შეუმჩნეველი კუთხე, მოულოდნელად წინ გადაშლილი ხედი.

ერთ დღეს სეირნობისას ციხე-დარბაზის მარჯვენა ფლიგელის ჭიშკრიდან ქვევით, სასტუმროსკენ დაეშვნენ, ხიდი გადაიარეს, ტბორებს მიადგნენ და ნაპირ-ნაპირ იქამდე გაჰყვნენ, ჩვეულებრივ რომ მიჰყვებოდნენ ხოლმე კვალს, შემდეგ კი ბილიკი ხშირბუჩქოვან ბორცვსა და მის მიღმა აღმართულ კლდეებს შორის იკარგებოდა და ფეხით მოარულთათვის აღარ ვარგოდა.

მაგრამ ედუარდს ნადირობის ჟამს ეს მიდამო შემოვლილი ჰქონდა და კარგად იცნობდა, ამიტომ ოთილიესთან ერთად გადაბარდულ ბილიკს გაჰყვა და საკმაოდ შორს შეიჭრა, გზის აბნევის შიში არ ჰქონდა, რადგან იცოდა, ის ძველი წისქვილი, კლდეებს შორის რომ ეგულებოდა მიმალული, შორს არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ უვალი ბილიკი მალე მიიკარგა და ხშირ ბუჩქნარსა და ხავსმოკიდებულ ლოდებს შორის გზა აებნათ, თუმცა არც ისე დიდი ხნით, წისქვილის ბორბლების ჭრიალმა ისინი დაარწმუნა: ადგილი, სადაც უნდა მისულიყვნენ, შორს აღარ იყო.

შედგეს თუ არა ფეხი ფრიალო კლდეზე, მაშინვე თვალწინ წარმოუდგათ შავი, საოცარი ხის ნაგებობა, რომელსაც ციცაბო კლდეები და მაღალი ხეები ჩრდილავდნენ. ედუარდმა და ოთილიემ გადაწყვიტეს ხავსსა და კლდის ქიმებს ჩაბლაუჭებოდნენ და ქვევით ჩასულიყვნენ. ედუარდი წინ მიდიოდა, დროდადრო უკან იხედებოდა და როცა ხედავდა, რომ ოთილიე თამამად, უშიშრად, მსუბუქად ხტებოდა ქვიდან ქვაზე, ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს მის თავზე ციური არსება დაფარფატებდა. როცა ზოგჯერ ოთილიე სახიფათო ადგილას აღმოჩნდებოდა გაჩხერილი და ედუარდის გამოწვდილ ხელს დასწვდებოდა ან მის მხარს დაეყრდნობოდა, ედუარდს ეგონა, რომ უნაზესი ქალური არსება ეხებოდა და ლამის ნატრობდა, ნეტავ ფეხი დაუსხლტეს ან რამეს წამოჰკრასო, რომ უფლება მიეცეს ქალი მკლავებში მოიქციოს და მკერდზე მიიკრას. თუმცა ამას ორი მიზეზის გამო არავითარ შემთხვევაში არ იზამდა: ეშინოდა შეურაცხყოფა არ მივაყენო, რამე არ დავუშავო.

თუ რას გულისხმობდა დაშავებაში, ახლავე გავიგებთ. როცა ქვევით ჩავიდნენ, ედუარდი და ოთილიე მაღალი ხეების ქვეშ სოფლოურ მაგიდას ერთმანეთის პირისპირ მიუსხდნენ. ედუარდმა მეწისქვილის თავაზიანი ცოლი რძეზე გაგზავნა, მეწისქვილეს, რომელიც მათ გულთბილად მიესალმა, დაავალა შარლოტესა და კაპიტანს შეჰგებებოდა. ამის შემდეგ ედუარდმა ერთგვარი ყოყმანი დაიწყო: – ძვირფასო ოთილიე, ერთი თხოვნა მაქვს და უარიც რომ მითხრათ, მაინც მაჰატიეთ. გაგიმხელთ და გეტყვით, არ არის საჭირო დამალოთ, რომ კაბის ქვეშ მკერდზე მინიატიურულ სურათს ატარებთ. ეს არის მამათქვენის, მამაცი ვაჟკაცის სურათი, რომელსაც წესიერად არც კი იცნობდით და რომელიც ყოველმხრივ იმსახურებს ადგილს თქვენს გულთან. მაგრამ მაჰატიეთ, სურათი შემაწუნებლად დიდია და ეგ ლითონი, ეგ მინა ჩემში ათასგვარ შიშს იწვევს, როცა ბავშვი გიჭირავთ ხელში ან რამე მოგაქვთ, როცა ეტლი ირწევა ან ბუჩქნარში ვიკაფავთ გზას, ანდა, აი, როგორც ახლა კლდიდან ძირს რომ ჩამოვდიოდით. ჩემთვის შემადრწუნებელია იმის გაფიქრება, რომ თქვენთვის შეიძლება საზიანო და დამლუპველი აღმოჩნდეს სრულიად გაუთვალისწინებელი ბიძგი, წაბორძიკება, წაქცევა. თუ ჩემი ხათრი გაქვთ, მოიშორეთ ეგ სურათი, მაგრამ არა მეხსიერებიდან და თქვენი ოთახიდან. ბევრად უკეთესი იქნება მიუჩინოთ მას თქვენი ბინის უმშვენიერესი, უწმინდესი ადგილი. გთხოვთ მკერდიდან მოიშოროთ რაღაც ისეთი, რის გულთან სიახლოვეც, შეიძლება გაზვიადებული შიშის გამო, ასე სახიფათო მეჩვენება.

ოთილიე დუმდა და სანამ ედუარდი ლაპარაკობდა სივრცეს მისჩერებოდა. შემდეგ კი, ყოველგვარი აჩქარებისა და ყოყმანის გარეშე, უფრო ზეცისკენ თვალაპყრობილმა, ვიდრე ედუარდისკენ, ძეწკვი შეიხსნა, ჩარჩოდან სურათი ამოიღო, შუბლთან მიიტანა, მერე ედუარდს გაუწოდა და უთხრა: – შემინახეთ ეს სურათი, სანამ სახლში მივალთ. მე არ შემიძლია სხვაგვარად დაგიმტკიცოთ, თუ რა ძლიერ ვაფასებ თქვენს გულისხმიერებას.

ედუარდმა ვერ გაბედა სურათი ტუჩებთან მიეტანა, მაგრამ ქალიშვილის ხელს დასწვდა და თვალეზზე მიიფარა. შეიძლება სწორედ ეს იყო ის ორი უმშვენიერესი ხელი, რომლებიც კი ოდესმე შეკავშირებულა. ედუარდს ისეთი გრძობა ჰქონდა, თითქოს გულიდან ქვა მოსწყდა, თითქოს დაირღვა ის კედელი, მას და ოთილიეს ერთმანეთისგან რომ ჰყოფდა.

მეწისქვილის დახმარებით შარლოტე და კაპიტანი უფრო გაკვალული ბილიკით ჩამოვიდნენ კლდიდან. მეგობრები ერთმანეთს მიესალმნენ, გაიხარეს და გალალდნენ. უკან დაბრუნება იმავე გზით აღარ ისურვეს და ედუარდმა მათ შესთავაზა ნაკადულის მეორე მხარეს კლდოვანი ბილიკით ევლოთ. სანამ ბილიკს დიდი ვაი-ვაგლახით გაივლიდნენ, ტბორები კვლავ მოხვდათ თვალში. შემდეგ გაიარეს შერეული ჭალა და ქვევით დაბლობში რამდენიმე სოფელ- დაბას და რძის ფერმას მოჰკრეს თვალი. ფერმას ირგვლივ მწვანედ დაფერილი მინდვრები ეკრა. როცა ჭალიდან გამოვიდნენ, დაინახეს მამულის სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები, რომლებიც მაღლობზე, ხეებს შუა მეტად მყუდროდ იყვნენ შეყუჟულნი. ყველაზე მშვენივრად სწორედ აქ გამოჩნდა ამ მხარის უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრე იმ მთის სახით, წინ და უკან თანაბრად რომ მაღლდებოდა. აქედან ისინი პატარა, მხიარულ ტყეს მიადგნენ და როცა ტყე გაირეს, ციხე-დარბაზის მოპირდაპირე მხარეს აღმართულ კლდეზე აღმოჩნდნენ.

დიდად გაიხარეს, როცა ცოტა არ იყოს მოულოდნელად, აქაურობას მიადგნენ. მათ პატარა სამყარო შემოიარეს, ახლა კი იდგნენ იმ ადგილას, სადაც უნდა აშენებულიყო ახალი შენობა და ისევ დაუწყეს ყურება თავიანთი ბინის ფანჯრებს.

ბოლოს ძირს ჩავიდნენ და ხავსის ქონში პირველად ისხდნენ ოთხივენი. არაფერი იყო იმაზე ბუნებრივი, რომ ერთხმად გამოეთქვათ სურვილი, დღევანდელი გზა, დიდხანს და დიდი ვაი-ვაგლახით რომ გაიარეს, ისეთნაირად გაეყვანათ და მოეწესრიგებინათ, რომ მისი გავლა გაუჭირვებლად, ხეტიალ-ხეტიალითა და სიამოვნებით შესძლებოდათ. თითოეულმა თავისი წინადადება წამოაყენა და გაიანგარიშეს, თუ კარგად მოუვლიდნენ გზას, რომლის დასაფარავად რამდენიმე საათი დასჭირდათ, უკან გამობრუნებისას ციხე-დარბაზამდე ერთ საათში მიიყვანდა. წისქვილს ქვემოთ, სადაც ნაკადული ტბორებს ერთვოდა, გზის შესამოკლებლად და ლანდშაფტის დასამშვენიებლად, წარმოდგენით უკვე ააგეს ხიდი, მაგრამ შარლოტემ ფანტაზია მოთოკა და მათ ის ხარჯები შეახსენა, ასეთ წამოწყებას რომ მოჰყვებოდა.

– ამასაც ეშველება, – უთხრა ედუარდმა, – ის ფერმა, ტყეში რომ დგას, მშვენივრად განლაგებულია, მაგრამ ისე ცოტა შემოსავალს იძლევა, შეიძლება გავყიდოთ და ამონაგები ფული ამ ღონისძიებას მოვანხაროთ. ასე დაგვატკბობს სეირნობის ჟამს კარგად დაბანდებული კაპიტალი. ახლა კი მისგან, წლის ბოლოს გულდაწყვეტილნი რომ დავიანგარიშებთ, უბადრუკ შემოსავალს მივიღებთ.

შარლოტე კარგი დიასახლისი იყო და ამ წინადადების საწინააღმდეგო მანაც ვერაფერი მოიგონა. ფერმის გაყიდვაზე ადრეც ჩამოვარდნილა ლაპარაკი, ამ ბოლო დროს კი კაპიტანმა გადაწყვიტა შეედგინა გეგმა, თუ როგორ მიეყიდათ ტყეში მცხოვრები გლეხებისთვის მიწის ნაკვეთები. მაგრამ ედუარდს სურდა უფრო სწრაფად და საქმიანად ემოქმედათ. მიწა უნდა რგებოდა ახლანდელ მოიჯარეს, ვინც უკვე ითხოვა მიეყიდათ მისთვის ნაკვეთი, ხოლო ფულს განსაზღვრულ ვადაში გადაიხდიდა, ისინიც ამ ვადის შესაბამისად შეუდგებოდნენ პარკების გეგმაზომიერად გაშენებას დადგენილი მონაკვეთების მიხედვით.

ამ საქმის ასე გონივრულად, დაკვირვებით გადაწყვეტამ დიდი მოწონება დაიმსახურა და მთელი საზოგადოება გონების თვალთ უკვე ხედავდა ახალგაყვანილ დაკლაკნილ გზებს, რომელთა მეშვეობით იმედოვნებდნენ მანლობლად ფრიად სასიამოვნო დასასვენებელი და თვალის გასახარი ადგილის აღმოჩენას.

ყველაფერი ეს რომ უფრო დეტალურად და ნათლად წარმოედგინათ, საღამოს, როგორც კი შინ დაბრუნდნენ, ახალი რუკა გაშალეს. მიჰყვნენ იმ გზას, დღეს რომ გაიარეს და ითათბირეს იმაზე, თუ როგორ შეიძლება ზოგიერთი მონაკვეთის უფრო ხელსაყრელად გაყვანა. იმსჯელეს აგრეთვე ყველა ადრინდელ პროექტზე და დასკვნები უახლოეს მოსაზრებებს დაუკავშირეს. კიდევ ერთხელ მოიწონეს ის ადგილი, ციხე-დარბაზის მოპირდაპირე მხარეს რომ მდებარეობდა, სადაც ახალი სახლი უნდა აეშენებინათ და გზების ციკლის გაყვანაც აქ დაასრულეს.

მთელი ამ მსჯელობის დროს ოთილიე დუმდა. ბოლოს ედუარდმა გეგმა, აქამდე რომ შარლოტეს წინ ედო, მისკენ მისწია და შესთავაზა აზრი გამოეთქვა, ხოლო როცა ოთილიე ერთი წამით შეყოყმანდა, მეგობრულად გაამხნევა, რამ დაგამუნჯათ, ჯერჯერობით ხომ დასრულებული სახე არაფერს აქვსო.

– პირადად მე სახლს, აი, აქ, ავაშენებდი, – თქვა ოთილიემ და თითი გორაკის უმაღლესი წერტილისკენ გაიშვირა, – მართალია, აქედან ციხე-დარბაზი არა ჩანს, რადგან წარაფი ეფარება, მაგრამ ირგვლივ ახალი, თითქმის სხვა სამყარო იშლება, სოფელი და საყოფაცხოვრებო ნაგებობები

მიმალულია, სამაგიეროდ, ხედავ ტბორებს, წისქვილს, გორაკებს, მთებს, მინდვრებს, ყველაფერი ეს რომ არაჩვეულებრივად ლამაზია, მაშინ შევნიშნე, როცა აქ ჩავიარეთ.

– ოთილიე მართალს ამბობს! – წამოიძახა ედუარდმა, – როგორ არ მოგვივდა ეს აზრად? ეს ხომ ნამდვილად ასეა ნაგულისხმევი, ოთილიე? – ჰკითხა ედუარდმა, ფანქარი აიღო და მალლობზე საკმაოდ მკვეთრი და უხეში მოგრძო ოთხკუთხედი შემოხაზა.

ედუარდის საქციელმა კაპიტანი სულიან-ხორციანად შეძრა, სუფთად, რუდუნებით დახაზული გეგმის ამგვარად დამახინჯება არ ესიამოვნა, პირველად ოთილიეს აზრი თითქოს არ მოეწონა, მაგრამ თავი შეიკავა, შემდეგ კი ჰკუთაში დაუჯდა.

– ოთილიე მართალს ამბობს, – თქვა მან, – განა სიამოვნებით არ გავისიერნებთ ხოლმე საკმაოდ შორს იმისთვის, რომ ყავა დავლიოთ ან თევზით ჩავიტკბარუნოთ პირი, რაც სახლში ასეთი გემრიელი არ მოგვეჩვენებოდა? ჩვენ მუდამ გვჭირდება მრავალფეროვნება და უცხო საგნები. ეს ციხე-დარბაზი წინაპრებმა გონივრულად ააშენეს, იგი ქარებისგან დაცულია და ახლოა ყველაფერთან, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში გვჭირდება; ისეთი შენობა კი, მხიარული დროს ტარებისთვის რომ არის გათვალისწინებული და არა საცხოვრებელ სახლად, ამ ადგილს ძალიან მოუხდება და კარგ ამინდში სასიამოვნო საათებს განგვაცდევინებს.

რაც უფრო მეტს მსჯელობდნენ ამ საკითხზე, მით უფრო ხელსაყრელი ეჩვენებოდათ მისი განხორციელება და ედუარდი სინარულს ვერ მალავდა, ეს აზრი რომ ოთილიეს მოუვიდა თავში. იგი ისე ამაცობდა ამით, თითქოს ეს აღმოჩენა პირადად მისი ყოფილიყო.

თავი მერვე

კაპიტანმა დილაადრიან დაათვალიერა ის ადგილი, ჯერ ზერელედ მოხაზა, ხოლო როცა საზოგადოებამ ადგილიდან ფეხმოუცვლელად კიდევ ერთხელ მიიღო გადაწყვეტილება, უფრო ზუსტი პროექტი შეადგინა ხარჯთაღრიცხვით და ყველაფრით, რაც შენობის ასაშენებლად საჭირო. ისინი დროულად შეუდგნენ სამზადისს. არც ფერმის გაყიდვა გაუჭიანურებიათ. ამგვარად, კაცებმა კვლავ იპოვეს ახალი საბაბი ერთად მოქმედებისთვის.

კაპიტანმა ედუარდის ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ არა მარტო ზრდილობა მოითხოვს, არამედ ვალდებულნიც არიან, შარლოტეს დაბადების დღე შენობისთვის საძირკვლის ჩაყრით აღნიშნონ. დიდი გარჯა არ დასჭირვებია ასეთი ზეიმისადმი ედუარდის ძველი ზიზღის აღმოფხვრას. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ედუარდს სწრაფად დაებადა აზრი, ოთილიეს დაბადების დღე, მოგვიანებით რომ დადგებოდა, ასეთივე ზარ-ზეიმით გადაეხადა.

შარლოტეს ახალი პარკების გაშენება და ყველაფრისთვის თავის მობმა, რაც უნდა გაკეთებულიყო, მნიშვნელოვან, სერიოზულ, თითქმის ღრმად დამაფიქრებელ საქმედ ეჩვენებოდა და გადაწყვიტა კიდევ ერთხელ შეემოწმებინა ხარჯთაღრიცხვა, დროისა და ფულის განაწილება. ამიტომ დღისით იშვიათად ხედავდნენ ერთმანეთს და საღამოობით უფრო მეტად მიილტვოდნენ ერთმანეთისკენ.

ამასობაში ოთილიე ოჯახის სრული ბატონ-პატრონი გახდა და ეს სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, იმდენად წყნარი და საიმედო ზნის ქალიშვილი იყო. მთელი მისი ფიქრი სახლსა და ოჯახს უფრო დასტრიალებდა, ვიდრე საზოგადოებას, გარე სამყაროში ცხოვრებას. ედუარდმა მალე შენიშნა, რომ ოთილიე ხათრით დაჰყვებოდა მათ სასიერნოდ, საღამოობითაც მხოლოდ მეგობრული მოვალეობის გამო რჩებოდა დიდხანს გარეთ, მაგრამ ზოგჯერ საქმეს მოიმიზეზებდა და ისევ სახლში ბრუნდებოდა. ამიტომ ცოტა ხანში საქმე სხვაგვარად ააწყო, როცა სასიერნოდ მიდიოდნენ, შინ მზის ჩასვლამდე ბრუნდებოდნენ. კვლავ დაიწყო ლექსების ხმამაღლა კითხვა, – რასაც დიდი ხანია თავი დაანება, – განსაკუთრებით ისეთი ლექსებისა, რომლებშიც კითხვის დროს შეგეძლო ჩაგექსოვა წმინდა, მაგრამ მგზნებარე სიყვარული.

საღამოობით ჩვეულებრივ ამორჩეულ ადგილას სხდებოდნენ: შუაში პატარა მაგიდა იდგა, შარლოტე დივანზე ჯდებოდა, ოთილიე სავარძელში მის პირდაპირ, მამაკაცები ასევე ორ დანარჩენ მხარეს იკავებდნენ. ოთილიე ედუარდისგან მარჯვნივ იჯდა, ედუარდი როცა კითხულობდა, სინათლეს მისკენ მისწევდა ხოლმე, ოთილიე კი მერე უფრო ახლოს მიჩოჩდებოდა, რათა წიგნში ჩაეხედა, რადგან ისიც საკუთარ თვალებს უფრო ენდობოდა, ვიდრე სხვის ტუჩებს. ედუარდიც ოთილიესკენ მიჩოჩდებოდა ნელ-ნელა და თანაც ისე, რომ ოთილიესთვის უფრო მოხერხებული

ყოფილიყო წიგნში ჩახედვა. დიან, ხშირად იგი უფრო ხანგრძლივ პაუზებს აკეთებდა, ვიდრე ეს საჭირო იყო და მანამდე არ გადაფურცლავდა წიგნს, სანამ არ დარწმუნდებოდა, რომ ოთილიემ წაიკითხა.

შარლოტე და კაპიტანი ამას კარგად ამჩნევდნენ და ზოგჯერ ერთმანეთს ღიმილით გადახედავდნენ. მაგრამ ამავე დროს ორივეს სხვა რამეც ენიშნათ, რამაც ოთილიეს გაუმჟღავნებელი სიმპათია შემთხვევით გამოავლინა.

ერთ საღამოს, რომელიც პატარა საზოგადოებას აბეზარი სტუმრის გამო ნაწილობრივ გაუცდა, ედუარდმა წამოაყენა წინადადება, ცოტა ხანს კიდევ დარჩენილიყვნენ ერთად. დაკვრის ხასიათზე მოვიდა, თუმცა ფლეიტა კაი ხანია არ აუღია ხელში. შარლოტემ იმ სონატებს დაუწყო ძებნა, რომელთაც ჩვეულებრივ ერთად ასრულებდნენ, და რადგან ვერ იპოვა, მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ ოთილიე გამოტყდა, ისინი ჩემს ოთახში წავიღეო.

– და თქვენ შეგიძლიათ, გსურთ, რომ ჩემი აკომპანიატორი იყოთ? – დაიძახა ედუარდმა, რომელსაც სინარულით თვალები უბრწყინავდა.

– მე მგონი, კარგად გამოგვივა, – უპასუხა ოთილიემ.

ოთილიემ მოიტანა ნოტები და პიანინოს მიუჯდა. მსმენელები გაფაციცებული უგდებდნენ ყურს და გაოცდნენ, რა სრულყოფილად დაუსწავლია ეს მუსიკალური ნაწარმოები სხვებისგან შეუმჩნევლად, მაგრამ კიდევ უფრო მეტად იმან გააოცათ, რა მონდომებით ცდილობდა აპყოლოდა ედუარდის დაკვრის მანერას. ამ შემთხვევაში გამოთქმა „ცდილობდა აპყოლოდა“ არ ივარგებს, რადგან თუ შარლოტეს ოსტატობასა და თავისუფალ ნებაზე იყო დამოკიდებული მეუღლის ხათრით ხან მდორე, ხან კი წინ გამსწრები ტემპის ზოგან შენელება, ზოგან კი აჩქარება, ოთილიემ, რომელსაც რამდენჯერმე ჰქონდა მოსმენილი მათი დაკვრა, ჩანს, ისე დაისწავლა ეს სონატა, როგორც ედუარდი უკრავდა. ქალიშვილმა ისე გაითავისა შემსრულებლის ნაკლი, რომ აქედან კვლავ წარმოიშვა რაღაც ცოცხალი მთელი, რაც, თუმცა ტაქტის შესაბამისად არ ვითარდებოდა, მაგრამ მაინც ფრიად სასიამოვნოდ და მოსაწონად ჟღერდა. მათი დაკვრა თვით კომპოზიტორს მოჰგვრიდა სინარულს, თავისი ნაწარმოები ასე საყვარლად დამახინჯებული რომ მოესმინა.

ამ მოულოდნელ და გასაოცარ მოვლენას კაპიტანი და შარლოტე მდუმარედ და ისეთი განცდით უყურებდნენ, როგორც ხშირად ბავშვების იმგვარ საქციელს უცქერენ, რასაც მისი დამაფიქრებელი შედეგის გამო სწორედ რომ ვერ მოიწონებ, მაგრამ ვერც გაკიცხავ. მხოლოდ ერთი რამ შეიძლება მოხდეს – შეგშურდეს. თუმცა, კაცმა რომ თქვას, კაპიტნისა და შარლოტეს ერთმანეთისადმი ლტოლვა ისევე მზარდი იყო, როგორც ედუარდისა და ოთილიესი და შეიძლება უფრო სახიფათოც, რადგან უფრო სერიოზულები იყვნენ, უფრო დარწმუნებულნი თავის თავში და თავშეკავების უნარიც მეტი ჰქონდათ.

კაპიტანი თანდათან სულ უფრო მძაფრად გრძნობდა, ისე სახიფათოდ ეჩვეოდა შარლოტეს, რომ ვეღარ მოსცილდებოდა. ამიტომ ცდილობდა საკუთარ თავს მორეოდა, გაურბოდა იმ საათებში მასთან შეხვედრას, როცა შარლოტე პარკების დასათვალიერებლად მიდიოდა ხოლმე. კაპიტანი დილაადრიახად დგებოდა, განკარგულებებს გასცემდა და მერე ისევ ციხე-დარბაზში ბრუნდებოდა და ფლიგელში განაგრძობდა მუშაობას. პირველ დღეებში შარლოტემ ეს ამბავი შემთხვევითობით ახსნა, ეძებდა კაპიტანს ყველგან, სადაც კი მისი ვარაუდით შეიძლებოდა ყოფილიყო, შემდეგ მიხვდა, რაც იყო ამის მიზეზი და მით უფრო დიდი პატივისცემით განიმსჭვალა მისდამი.

მართალია, კაპიტანი ერიდებოდა შარლოტესთან მარტო დარჩენას, მაგრამ სამაგიეროდ, მეტ გულმოდგინებას იჩენდა და ჩქარობდა, რომ შარლოტეს მოახლოებული დაბადების დღისთვის პარკები ბრწყინვალედ, საზეიმოდ მოერთო: სოფლიდან ზემოთ მოხერხებული გზა გაჰყავდა, ამავე დროს, თითქოსდა საჭირო ქვის დასამზადებლად სოფლებს დაავალა მასალა ზემოდან ქვევით ჩაეზიდათ და ყველაფერი ისე მოაგვარა და გაიანგარიშა, რომ გზის ორივე მონაკვეთი მხოლოდ უკანასკნელ ღამეს უნდა შეხვედროდა ერთმანეთს. ამასობაში ახალი სახლისთვის ქვაბული ამოაღებინა და საძირკველი მშვენიერი ნიშნებიანი და ფილებიანი ქვით გაჭედა.

გარეშე საქმეები, პატარ-პატარა, გულითადი, საიდუმლოებებით აღსავსე ზრახვები და მეტ-ნაკლებად დამთრგუნველი შეგრძნებები, ერთად თავშეყრის დროს საზოგადოების საუბარს სიცხოველეს ვერ სძენდა. ამგვარი მდგომარეობა ერთ საღამოს იქამდე მივიდა, რომ ედუარდმა, რომელსაც რაღაცა უღრღნიდა გულს, კაპიტანი შეაგულიანა, მოეტანა თავისი ვიოლინო და შარლოტეს აკომპანემენტით დაეკრა. კაპიტანს საერთო თხოვნაზე უარის თქმა მოეხატრა, ამის შედეგად მან და შარლოტემ გრძნობით, სიამოვნებით და ლაღად შეასრულეს ერთ-ერთი უძნელესი მუსიკალური ნაწარმოები, რამაც მათაც და იმ წყვილსაც, დაკვრას რომ უსმენდა, უდიდესი კმაყოფილება მიანიჭა. ერთმანეთს შეჰპირდნენ ხშირად დაეკრათ ეს ნაწარმოები და რაც

შეიძლება ბევრი ევარჯიშით ერთად.

– ესენი ამას უკეთ აკეთებენ, ვიდრე ჩვენ, ოთილიე, – თქვა ედუარდმა, – მოვუსმინოთ ალტაცებით, გახარებით კი ერთად გავიხაროთ.

თავი მეცხრე

როცა დაბადების დღე დადგა, ყველაფერი მზად იყო. ამოიყვანეს ის გალავანი, სოფლის გზას რომ ამაღლებდა და წყლისგან მიჯნავდა. დაამთავრეს ეკლესიის წინ გამავალი გზა, რომელიც ერთხანს შარლოტეს მიერ გაკვალულ ბილიკს მიჰყვებოდა, შემდეგ ზევით იწევდა, კლდეებისკენ მიიკლაკნებოდა, ხავსის ქოხს ხან ზემოდან მოექცეოდა, ხანაც წრიულად უხვევდა და ახლა ქვევიდან, მარცხნიდან უვლიდა, მერე კი თანდათან მალლობამდე აღწევდა.

იმ დღეს დიდძალმა საზოგადოებამ მოიყარა თავი. წავიდნენ ეკლესიაში, სადაც საზეიმოდ მორთული ადგილობრივი მრევლი შეყრილიყო. წირვის შემდეგ, როგორც წესი და რიგია, წინ გამოუძღვნენ ბიჭები, ყმაწვილები და მამაკაცები, მათ მოჰყვებოდნენ ბატონები თავიანთ სტუმრებიან-თანმხლებლებიანად, ბოლოში კი გოგონები, ქალიშვილები და ქალები მოექცნენ.

იქ, სადაც გზა უხვევდა, მოწყობილი იყო ამაღლებული კლდოვანი მოედანი. კაპიტანმა შარლოტეს და სტუმრებს საშუალება მისცა შეესვენათ. აქედან ჩანდა მთელი გზა, დაწინაურებული მამაკაცები, მათი მომდევნო ქალები, რომლებმაც ეს-ეს არის ჩაიარეს. ამინდი მშვენიერი იდგა და ყველაფერი ეს მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა. შარლოტე გრძნობდა, რომ გაცეცხული, გულაჩუყებულია და კაპიტანს ალერსიანად მოუჭირა ხელზე ხელი.

ბატონები მიჰყვნენ ნელ-ნელა წინ მიმავალ ბრბოს, რომელსაც უკვე წრე შეეკრა მომავალი სახლის ირგვლივ. მშენებლობის დამკვეთს, მის ახლობლებს და ყველაზე წარჩინებულ სტუმრებს შესთავაზეს ჩასულიყვნენ ქვაბულში, სადაც ცალი მხრიდან რაღაცაზე დაყრდნობილი ქვაკუთხედი მზად იყო საძირკველში დასატანებლად. სუფთად ჩაცმულმა კალატოზმა, რომელსაც ცალ ხელში ქაფია ეჭირა, მეორეში კი ჩაქუჩი, მშვენივრად გართიმული სიტყვა წარმოთქვა, რაც ჩვენ არასრულყოფილად შეგვიძლია გადმოგვცეთ პროზაულად: – როცა შენობას აშენებ, – დაიწყო მან, – სამი რამაა გასათვალისწინებელი: შესაფერის ადგილას იდგეს, მყარი საძირკველი ჰქონდეს და წუნდაუდებლად იყოს ნაგები. პირველის შერჩევა მშენებლობის დამკვეთის საქმეა; ისევე, როგორც ქალაქში მხოლოდ მეფესა და ადგილობრივ თვითმმართველობას შეუძლიათ განსაზღვრონ, სად რა უნდა აშენდეს, ასევე სოფელში ამგვარი რჩევა მემამულის პირადი უფლებაა, მან უნდა თქვას, მხოლოდ აქ უნდა იდგეს ჩემი სახლი და სხვაგან არსადო.

თუმცა ედუარდი და ოთილიე ერთმანეთის პირისპირ იდგნენ, როცა ეს სიტყვები ითქვა, ერთმანეთისთვის სახეში შეხედვა მაინც ვერ გაბედეს.

– მესამე, შენობის დამთავრებას ბევრი ხელოსანი სჭირდება. დიახ, ცოტა მეგულება ისეთი ხელოსანი, ვინც ამ დროს დასაქმებული არ არის. მაგრამ მეორე საძირკველის ჩაყრა კალატოზის საქმეა და – კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ – ეს არის მთელი წამოწყების უმთავრესი საქმე, უაღრესად სერიოზული საქმე და ჩვენც სერიოზულად მოვიხმეთ ზევით, რადგან ასეთ ზეიმებს მიწის წიაღში აღნიშნავენ. ამ ვიწრო ქვაბულში ჩამოსვლით თქვენ პატივი დაგვდეთ, იყოთ ჩვენი საიდუმლოებით აღსავსე საქმის მოწმენი. ახლავე დავატანთ საძირკველში ოსტატურად გათლილ ქვას და მალე მიწის კედლებს, რომელთაც ამჟამად მშვენიერი და ღირსეული პირები ამშვენებენ, ველარ მიუდგებით, რადგან მათ ამოავსებენ.

საძირკველის ეს ქვა, ერთი კუთხით შენობის მარჯვენა კუთხეს რომ გამოსახავს, მართკუთხედებით – მის პროპორციულობას, ხოლო ჰორიზონტალური და ვერტიკალური მდგომარეობით – ქვიტკირისა და ყველა კედლის ვერტიკალსა და ჰორიზონტალს, სულ ადვილად შეიძლება თავის ადგილას მოგვეთავსებინა, რადგან საკუთარ სიმძიმეს დაეყრდნობოდა. მაგრამ აქაც არ უნდა დაგვაკლდეს კირი, დუღაბი: როგორც ადამიანები, რომლებიც ბუნებით ერთმანეთისკენ მიილტვიან, უკეთ ძლებენ ერთმანეთის გვერდით, როცა მათ კავშირს კანონი ადუღაბებს. ასევე ქვებიც, რომელთა ფორმა ესადაგება, უკეთ უკავშირდებიან ერთმანეთს, და რადგან მუშაკთა შორის უქმად ყოფნა არ ეგების, ამიტომ არც თქვენ უნდა ითაკილოთ აქ ჩვენთან ერთად მუშაობა.

ამის შემდეგ კალატოზმა ქაფია გადასცა შარლოტეს, რომელმაც, კირი აიღი და ქვის ქვეშ მოასხა. იგივე მოსთხოვეს სხვებსაც და მალე ქვა ძირს დაუშვეს. კალატოზმა იმწამსვე მიაწოდა ჩაქუჩი

შარლოტეს და მის სტუმრებს, რომელთაც სამგზის უნდა დაერთყათ ჩაქუჩი ქვაზე და ამით მიწისა და ქვის კავშირი საგანგებოდ ეკურთხათ.

– კალატოზის შრომა, – განაგრძო ორატორმა, – თითქოს ღია ცის ქვეშ მიმდინარეობს ყველას თვალწინ, მაგრამ მაინც დამალულიცაა. სწორად ჩაყრილ საძირკველს რით არ ამოავსებენ ხოლმე, და თუმცა კედლები დღისით-მზისით ამოგვყავს, საბოლოოდ ძლივს ვახსოვვართ ვინმეს. თვალში უფრო მეტად ქვისმთელელისა და მოქანდაკის ნამუშევარი ხვდებათ. ჩვენ უნდა მივესალმოთ კიდევ იმას, როცა მებათქაშე ან მღებავი ჩვენს ნაოსტატარს მთლიანად შლის და ჩვენს ნახელავს ითვისებს, რადგან ბათქაში ფარავს და ასწორებს იმას, რაც ჩვენ ამოგვიყვანია, ხოლო საღებავი ღებავს.

ამგვარად, ვინ ანიჭებს უფრო დიდ მნიშვნელობას საკუთარ ნახელავს, ვინ აკეთებს საქმეს წესიერად, ისე, თითქოს თავისთვის აკეთებდესო, თუ არა კალატოზი? მასზე მეტი მიზეზი ვისა აქვს, რომ ღირსებას გაუფრთხილდეს. როცა სახლი აშენებულია, მიწა დატკეპნილი და მოკირწყლული, გარეთა მხარე შემკულია ორნამენტებით, მაშინაც კი კალატოზის თვალის სწვდება და ცნობს იმ სწორ, კეთილსინდისიერად შეკრულ პირაპირებს, რომელთაც მთელი შენობა თავის არსებობასა და გამძლეობას უნდა უმადლოდეს.

როგორც ყველა ადამიანს, ვინც ბოროტი საქმე ჩაიდინა, უნდა ეშინოდეს, რომ, როგორც უნდა იცავდეს თავს, მისი ნამოქმედარი ბოლოს და ბოლოს მაინც გამომჟღავნდება, ასევე ის, ვინც სხვის უნახავად სიკეთე ჩაიდინა, უნდა მოელოდეს, რომ, წინააღმდეგ მისი სურვილისა, მისი ნამოქმედარიც საჩინო გახდება. ამიტომ საძირკვლის ეს ქვაც ჩვენ ძეგლად უნდა ვაქციოთ. აი, ამ აქა-იქ ამოკვეთილ განსხვავებულ ღრმულებში სხვადასხვა რამ უნდა ჩაიმარხოს, რაც შორეულ შთამომავალთ საბუთად გამოადგებათ. ეს მირჩილული ლითონის კაპარჭები წერილობით ცნობებს შეიცავენ. ამ ლითონის ფილებზე ყოველგვარი საოცრებაა გამოსახული, მინის ამ მშვენიერ ბოთლებში კი შესანიშნავი ღვინო ასხია და მათზე მისი დაწურვის წელია აღნიშნული. არც წელს მოჭრილი სხვადასხვა ღირებულების მონეტები გვაკლია. ყოველივე ეს ჩვენს ხელში დამკვეთის ხელგაშლილობის წყალობით აღმოჩნდა. აქ კიდევ დარჩა ცარიელი ადგილი, იქნებ რომელიმე სტუმართაგანი ან დამსწრე ინებებს შთამომავლობას რაიმე დაუტოვოს სამახსოვროდ.

მცირე დუმილის შემდეგ კალატოზმა ირგვლივ მიმოიხედა, მაგრამ როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, საამისოდ არავინ აღმოჩნდა მზად, ყველა გაოგნებული იდგა, სანამ ერთმა ახალგაზრდა მხიარულმა ოფიცერმა ხმა არ ამოიღო.

– თუ ჩემი წვლილი უნდა ჩავფლა და თანაც ისეთი რამ, რაც ამ საგანძურში ჯერ არ ჩაუმარხავთ, მაშინ ჩემს ფორმას უნდა დავაჭრა რამდენიმე ღილი, რომლებიც უთუოდ იმსახურებენ იმას, რომ შთამომავლობამდე მიაღწიონ.

თქვა და ასეც მოიქცა! ეს აზრი სხვებსაც გადაედო, ქალები დაფაცურდნენ, ზოგმა თმის დასამაგრებელი პატარა სავარცხელი გაიმეტა, სხვებმა მომცრო შუშები საყნოსავი მარილით, და არც წვრილმანი სამკაულები დაენანათ. მხოლოდ ოთილიე ყოყმანობდა, სანამ ედუარდის გულთბილმა ნათქვამმა სიტყვამ არ ააღებინა ხელი შეწირული და მოქუჩებული ნივთების დათვალაობაზე. მხოლოდ ამის შემდეგ მოიხსნა მან კისრიდან ოქროს ძეწკვი, რომელზედაც მამამისის სურათი ეკიდა და დინჯად დაადო დანარჩენ ძვირფას ნივთებს. ედუარდი მაშინვე აჩქარდა და განკარგულება გასცა, ამ განსაკუთრებული ყუთისთვის კარგად მორგებული სახურავი დაეხურათ და ამოეგოზათ.

ახალგაზრდა კალატოზმა, რომელიც ამ დროს ყველაზე მეტად აქტიურობდა, ისევ მიიღო ორატორის იერი და განაგრძო: – ჩვენ ამ ქვას საუკუნოდ ვათავსებთ საძირკველში, რათა ამ სახლის ახლანდელმა და მომავალმა მფლობელებმა ხანგრძლივ გაიხარონ. მაგრამ ახლა, როცა აქ თითქოსდა განძს ვმარხავთ და ყველაზე საფუძვლიან საქმეს ვაკეთებთ, არც ის გვავიწყდება, რომ ადამიანთა ნივთები წარმავალია და ამიტომ იმასაც ვითვალისწინებთ, რომ შეიძლება ეს მაგრად დალუქული სახურავი ისევ ახადონ, ეს კი მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ კვლავ დაინგრევა ის, რაც ჩვენ ჯერ კიდევ არ აგვიგია.

მაგრამ სწორედ იმისთვის, რომ ეს ავაგოთ, ნუღარ ვიფიქრებთ მომავალზე და დავუბრუნდეთ სინამდვილეს! ამიტომ, როგორც კი დღევანდელი ზეიმი დამთავრდება, მოგვეცით საშუალება წინ წავწიოთ ჩვენი საქმე, რათა არც ერთი ხელობა, რამაც ჩვენს მიწა-წყალზე ფეხი მოიკიდა, არ მოცდეს, შენობა სწრაფად ამაღლდეს, სწრაფადვე დამთავრდეს და იმ ფანჯრებიდან, სახლს რომ ჯერ არ აქვს, მისმა მფლობელებმა შინაურებთან და სტუმრებთან ერთად, სიხარულით გადახედონ მიდამოს. მე ვსვამ მათი და აქ დამსწრე საზოგადოების სადღეგრძელოს.

მან სულმოუთქმელად დაცალა თლილი ჭიქა და ჰაერში ისროლა, რადგან იმ სასმისის გატეხა, მოლხენის დროს რომ გამოვიყენებთ, უზომო სიხარულის მომგვრელია. მაგრამ ამჯერად სულ სხვა

რამ მოხდა: ყოველგვარი სასწაულის გარეშე ჭიქა მიწაზე არ დავარდნილა.

საქმე ისაა, რომ მშენებლობის დასაჩქარებლად მოპირდაპირე მხარეში უკვე ჩაეყარათ საძირკველი და ქვის კედლების ამოყვანაც კი დაეწყოთ, რისთვისაც საკმაოდ მაღალი ხარაჩოები აეგოთ.

მშენებლებმა ზეიმთან დაკავშირებით ხარაჩოებზე საგანგებოდ დააწყვეს ფიცრები და ზედ დიდძალი მაყურებელი აუშვეს, რაც გამოადგათ კიდეც. ჭიქა სწორედ ამ ხარაჩოებისკენ გაფრინდა და ვიღაცამ, ვინც ამ ამბავში ბედნიერი ნიშანი დაინახა, მარჯვედ დაიჭირა. ამის შემდეგ მან ჭიქა ირგვლივ მდგაროთ აჩვენა ისე, რომ ხელიდან არ გაუშვია. მათ ჭიქაზე დაინახეს ამოტვიფრული და ლამაზად გადახლართული ე. და ო. ეს იყო ერთ-ერთი იმ ჭიქათაგანი, ედუარდისთვის საგანგებოდ რომ შეუკვეთეს სიჭაბუკეში.

ხარაჩოები კვლავ დაცარიელდა და სტუმართაგან ისინი, ყველაზე მსუბუქნი რომ იყვნენ, სულ ზევით ავიდნენ, გარემოსთვის რომ თვალი შეეველოთ და საითაც გაიხედეს, მშვენიერი ხედის ქებით გული ვერ იჯერეს: რას არ შეამჩნევს ის, ვინც ზევით, თუნდაც ერთი სართულით მაღლა დგას. წინ გადაშლილი ხეობის შუაში გამოჩნდა რამდენიმე ახალი სოფელი, ცხადად იკვეთებოდა მდინარის ვერცხლისფერი ზოლი, ერთი ირწმუნებოდა, სატახტო ქალაქის კომპლექსსაც კი მოვკარი თვალიო. სახლის უკანა მხარეს, ტყიანი გორაკების მიღმა, შორეული მთების ლურჯი მწვერვალები აღმართულიყვნენ, მამულის შემოგარენი კი მთლიანად მოჩანდა.

– ახლა ისლავა საჭირო, – წამოიძახა ვიღაცამ, – რომ სამი ტბორი ერთ ტბად გავაერთიანოთ და მაშინ უფრო დიდებული და სანატრელი სანახავი არაფერი იქნება ირგვლივ.

– ამის გაკეთება სულ ადვილად შეიძლება, – თქვა კაპიტანმა, – რადგან ძველად ეს სამი ტბორი მთის ერთი ტბა იყო.

– მე მხოლოდ იმას გთხოვთ, ნურაფერს ავნებთ ჩემს ერთად შეჯგუფებულ ჭადრებსა და ალვის ხეებს, – უთხრა მათ ედუარდმა, – ასე ლამაზად რომ აღმართულან შუა ტბორის ნაპირებთან. შეხედეთ, – მიუბრუნდა ოთილიეს, რომელიც რამდენიმე ნაბიჯით წინ მიდიოდა, და ხელით ქვევითკენ მიუთითა, – აი, ის მე თვითონ დავრგე.

– მაინც რა ხნის იქნებიან? – ჰკითხა ოთილიემ.

– დაახლოებით იმ ხნის, რაც თქვენ ამ ქვეყანაზე ხართ, – უპასუხა ედუარდმა, – დიან, ჩემო საყვარელო გოგონავ, მე მაშინ ვრგავდი, როცა თქვენ აკვანში იწექით.

საზოგადოება უკან, ციხე-დარბაზისკენ გამობრუნდა. სადილის შემდეგ ყველა სოფელში გასასეირნებლად მიიწვიეს, უნდოდათ სტუმრებსაც დაენახათ, რამდენი სიახლე დანერგეს. კაპიტნის განკარგულების თანახმად სოფლები თავიანთი სახლების წინ შეგროვდნენ, მაგრამ ჩამწკრივებულნი კი არ იდგნენ, არამედ ბუნებრივად შეჯგუფულნი ოჯახებად, ზოგიერთები საღამოს საქმით იყვნენ გართული, ზოგი კი ახალ მერხზე ისვენებდა. მათთვის სასიამოვნო მოვალეობად იქცა ის, რომ თუნდაც ყველა კვირა და უქმე დღეს სისუფთავისა და წესრიგისთვის მიეხედათ.

დიდი საზოგადოება ყოველთვის უსიამოდ არღვევდა გულითადობას და კეთილგანწყობას, მეგობრებს შორის რომ დამყარდა. ამიტომ ოთხივენი კმაყოფილნი იყვნენ, როცა დიდ დარბაზში კვლავ მარტონი დარჩნენ. მაგრამ ეს ოჯახური სიმშვიდე დაარღვია ერთმა წერილმა, რომელიც ედუარდს მოართვეს. ამ წერილით ატყობინებდნენ, რომ ხვალ კვლავ უნდა ელოდნენ სტუმრებს.

– როგორც ვვარაუდობდი, – მიაძახა ედუარდმა შარლოტეს, – გრაფი არ გვალატობს, იგი ხვალ ჩამოდის.

– თუ ასეა, არც ბარონესა იქნება აქედან შორს, – უპასუხა შარლოტემ.

– მართლაც არ არის, – უთხრა ედუარდმა, – ისიც ხვალ გამოგვეცხადება. გვთხოვენ ღამე გავათევიანოთ, ხოლო ზეგ ერთად მიემგზავრებიან აქედან.

– ოთილიე, სამზადისს დროზე უნდა შევუდგეთ! – უთხრა შარლოტემ ქალიშვილს.

– რას მიბრძანებთ, სად დავაბინავოთ ისინი? – ჰკითხა ოთილიემ.

შარლოტემ ზოგადი მითითებები მისცა და ოთილიე გაეცალა.

კაპიტანმა იკითხა, რა ურთიერთობაა ამ ორ პიროვნებას შორისო. მან ეს მხოლოდ ზოგადად იცოდა. ადრე, როცა ერთი გათხოვილი იყო, მეორე კი ცოლიანი, თავდავიწყებით შეჰყვარებიათ ერთმანეთი. მას შემდეგ მათი ოჯახური მყუდროება დაირღვა, ეს ამბავი განმაურდა და გაყრაზე დაიწყეს ფიქრი. ბარონესამ ეს მოახერხა, გრაფმა კი ვერა. სხვების თვალის ასახვევად ისინი ცალ-

ცალკე ცხოვრობდნენ, მაგრამ ამის გამო მათი ურთიერთობა არ შეცვლილა. თუ ზამთრობით რეზიდენციაში ერთად ყოფნა არ შეეძლოთ, ამას ზაფხულობით ინაზღაურებდნენ, როცა გართობის მიზნით ზღვაზე ან მინერალურ წყლებზე მიემგზავრებოდნენ. ისინი ედუარდსა და შარლოტეზე ცოტათი უფროსები იყვნენ და დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდათ მათთან ჯერ კიდევ ჰერცოგის კარზე გატარებული დროიდან. წყვილები ყველაფერს როდი უწონებდნენ ერთმანეთს, მაგრამ კარგი ურთიერთობა მაინც შეინარჩუნეს. შარლოტეს მათი ჩამოსვლა მხოლოდ ამჯერად მიაჩნდა უადგილოდ და კარგად რომ დაფიქრებულიყო, ამის მიზეზი ოთილიე იყო. უცოდველ გოგონას ამგვარი მაგალითი ასე ადრე არ უნდა დაენახა.

– კარგი იქნებოდა, კიდევ რამდენიმე დღე რომ არ ჩამოსულიყვნენ, სანამ ფერმას არ გავყიდდით, – თქვა ედუარდმა სწორედ მაშინ, როცა ოთილიე ოთახში შემობრუნდა, – ნასყიდობის ერთი პირი აქა მაქვს, მაგრამ მოხუცი მდივანი ავადაა და მეორე მაკლია.

კაპიტანმა დახმარება შესთავაზა, იგივე აღუთქვა შარლოტემაც, მაგრამ მათი შემწეობა ედუარდს რატომღაც ჭკუაში არ დაუჯდა.

– ამას მე გავაკეთებ, – წამოიძახა ოთილიემ აჩქარებით.

– შენ დროზე ვერ მორჩები, – უთხრა შარლოტემ.

– ზეგ დილით ხელთ უნდა მქონდეს, საწერი კი ბევრია, – თქვა ედუარდმა.

– უსიკვდილოდ მოვრჩები, – წამოიძახა ოთილიემ და ქალაღი უკვე ხელში ეჭირა.

მეორე დილას, როცა ზედა სართულიდან იყურებოდნენ, სტუმრები ხომ არ მოდიან, რომ დროზე მივეგებოთო, ედუარდმა თქვა: – ნეტავ ვინ მოჩანჩალებს ცხენით, აი, იმ გზაზე?

კაპიტანმა მხედრის გარეგნობა უფრო ზუსტად აღწერა.

– ის არის, – თქვა ედუარდმა, – რადგან დეტალები, რომელთაც ჩემზე უკეთ ხედავ, ზუსტად ესადაგება საერთო გარეგნობას, მეც რომ საკმაოდ კარგად ვხედავ. ეს მითლერია, მაგრამ რატომ მოჰყავს ცხენი ასე ნელა, ასე უსაშველოდ ნელა?

მხედარი მიუახლოვდა და იგი მართლაც მითლერი აღმოჩნდა. სტუმარს, რომელიც ნელა ადიოდა კიბეზე, თავაზიანად შეეგებნენ.

– რატომ გუშინ არ მობრძანდით? – ჰკითხა ედუარდმა.

– ხმაურიანი ზეიმები არ მიყვარს, – უპასუხა მითლერმა, – დღეს კი იმიტომ გესტუმრეთ, რომ ჩემი მეგობრის დაბადების დღე თქვენთან ერთად აღვნიშნო მოგვიანებით.

– კი მაგრამ, გაქვთ კი ამდენი გასაფლანგი დრო? – ჰკითხა ედუარდმა ხუმრობით.

– ჩემს სტუმრობას, თუ ეგ რამედ გიღირთ, უნდა უმადლოდეთ ერთ აზრს, გუშინ რომ მომივიდა თავში. გუშინ მთელი სულითა და გულით ვხარობდი ერთ ოჯახში, სადაც მშვიდობა ჩამოვაგდე და სწორედ იქ მოვკარი ყური, რომ თქვენ აქ დაბადების დღეს ზეიმობდით. ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ ეგოისტობაა, როცა მხოლოდ იმათთან ხარობ, ვინც სამშვიდობოდ განაწყვე, გავიფიქრე ჩემთვის. ერთხელ მაინც რატომ არ უნდა მოილხინო იმ მეგობრებთან, რომლებიც მშვიდობას იცავენ და უფროთხილდებიან. ვთქვი და აღვასრულე კიდევ. და აი, ახლა აქა ვარ.

– გუშინ აქ დიდი საზოგადოება დაგხვდებოდათ, დღეს კი პატარა გხვდებათ, – უთხრა შარლოტემ, – მალე გრაფსა და ბარონესას იხილავთ, რომელთაც თქვენც ბევრი დავიდარაბა გაგიჩინეს.

ოჯახის ოთხ წევრს, რომლებიც გარს ეხვეოდნენ ამ უცნაურ და სასურველ სტუმარს, გაჯავრებული მითლერი სხარტად დაუსხლტა ხელიდან და ქუდი და მათრახი მაშინვე მოძებნა.

– მე ხომ მუდამ უბედური ვარსკვლავი დამფარფატებს თავზე, როცა გავლაღდები და დასვენებას მოვიწოდებ! მაგრამ რატომ ვყვები ცდუნებას! არ უნდა მოვსულიყავი, ახლა კი აქაურობას უნდა გავეცალო, რადგან გრაფსა და ბარონესასთან ერთ ჭერქვეშ ყოფნა არ შემეძლია. ისინი თავისი არსით საფუარს ჰგვანან, ინფექციას რომ სხვებსაც შეჰყრის, და ამიტომ თქვენც ფრთხილად იყავით, უბედურების მეტს მათგან არაფერს მოელოდეთ.

მასპინძლებმა მისი დაშოშმინება სცადეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

– ვისაც ცოლ-ქმრისთვის ვნება მოაქვს, – წამოიძახა მან, – ვინც ყოველი ზნეობრივი საზოგადოების ამ საფუძველს ძირს უთხრის სიტყვით და საქმით, იმას ჩემთან ექნება საქმე. ხოლო თუ მას ვერ მოვთოკავ, ასეთ კაცთან არაფერი მესაქმება. ქორწინება კულტურის საწყისი და მისი მწვერვალია. იგი უხეშს არბილებს და უგანათლებულეს ადამიანსაც კი არ ეძლევა უკეთესი შემთხვევა, თავისი

სისუსტე დაამტკიცოს; ცოლქმრობა ურღვევი უნდა იყოს, რადგან მას იმდენი ბედნიერება მოაქვს, რომ ყოველი ცალკეული უბედურება მასთან შედარებით ქარწყლდება. თუმცა რატომ ვლავარაკობთ უბედურებაზე? ის, რაც ადამიანს დროდადრო იპყრობს, მოუთმენლობაა და მაშინ თვლის იგი თავის თავს უბედურად. მაგრამ როგორც კი ამგვარი წუთი ჩაივლის, მაშინვე ბედნიერად მიიჩნევს თავს იმის გამო, რომ ხანგრძლივად არსებული კვლავაც არსებობს. ცოლ-ქმრის დასაშორებლად არავითარი მიზეზი არ შეიძლება იყოს საკმარისი. ადამიანი ისე ღრმადაა ჩაფლული ტანჯვასა და სიხარულში, რომ სრულიად შეუძლებელია გამოანგარიშება, რა მართებს ცოლ-ქმარს ერთმანეთის. ეს არის გადაუხდელი ვალი და მისი ანაზღაურება მხოლოდ მარადისობას შეუძლია. არ ვდაობ, შეიძლება ზოგჯერ ცოლქმრობამ უხერხულობა გამოიწვიოს, მაგრამ ეს ასეც უნდა ხდებოდეს. განა ასეთი ჯაჭვით არა ვართ მიჯაჭვულნი ჩვენს სინდისზე, რომელსაც ხშირად სიამოვნებით მოვწყდებოდით, რადგან იგი უფრო ხელშემშლელია, ვიდრე ჩვენთვის ქალი ან კაცი გამხდარა ოდესმე.

ასე ცხარედ ლავარაკობდა მითლერი და ალბათ კიდევ დიდხანს ილავარაკებდა, ფოსტალიონებს საყვირებით რომ არ ემცნოთ იმ ბატონების ჩამობრძანება, რომლებიც ორივე მხრიდან შეთანხმებულებივით ერთდროულად შემოგრიადნენ ციხე-დარბაზის ეზოში. როდესაც მასპინძლები სტუმრების შესახვედრად გაეშურნენ, მითლერი დაიმალა, მსახურს უბრძანა ცხენი მისთვის სასტუმროსთან მიეყვანათ, შემდეგ გაგულისებული მოაჯდა და იქაურობას გაეცალა.

თავი მეათე

მასპინძლები სტუმრებს მიესალმნენ და შინ შეიპატიჟეს. გრაფსაც და ბარონესასაც უხაროდათ, რომ კვლავ შედგეს ფეხი იმ სახლში, იმ ოთახებში, სადაც უწინ ბევრი ბედნიერი დღე გაუტარებიათ და სადაც დიდი ხანია აღარ ყოფილან. მეგობრებსაც ძალიან ესიამოვნათ მათი ჩამოსვლა. გრაფსაც და ბარონესასაც ისეთი დიდებული და მშვენიერი გარეგნობა ჰქონდათ, რომელიც შუა ხნის ასაკში უფრო მომგებიანი ჩანს, ვიდრე ახალგაზრდობაში. მართალია, სიყმაწვილის იერი უკვე დაჰკარგვოდათ, მაგრამ ახლა იმდენად სიმპათიურები იყვნენ, რომ აშკარად იმსახურებდნენ ნდობას. გარდა ამისა, წყვილი ამჟამად იმ მხრივაც აღმოჩნდა სასიამოვნო, რომ თავისუფლად უყურებდნენ და ეგუებოდნენ ყოველ ცხოვრებისეულ ვითარებას, იყვნენ მხიარულნი და საოცრად უშუალონი, რასაც სხვებსაც გადასდებდნენ ხოლმე, თანაც არასოდეს არღვევდნენ ჭეშმარიტი ზრდილობის საზღვრებს და მათ ქცევაში რაიმე იძულების ნიშანწყალიც კი არ იგრძნობოდა.

ამან მაშინვე მოახდინა ზეგავლენა მეგობრების წრეზე. სტუმრები, ჩანდა პირდაპირ მაღალი საზოგადოებიდან მობრძანდნენ, რაზედაც მეტყველებდა მათი ტანსაცმელი, ნივთები და ყოველივე ის, რაც თან ჩამოიტანეს და რაც მთლიანად ეწინააღმდეგებოდა ჩვენი მეგობრების ცხოვრების წესს, მათ სოფლურ და ფარულ ვნებიან განწყობას. მაგრამ ძალიან მალე ეს კონტაქტი გაქარწყლდა, რადგან ძველი მოგონებები და ამჟამინდელი თანაგრძნობა ერთმანეთში აირია, ხოლო დაუსრულებელმა ცოცხალმა საუბარმა ყველანი სწრაფად გააერთიანა.

დიდხანს არ გაუვლია და საზოგადოება კვლავ დანაწევრდა. ქალებმა თავიანთ ფლიგელს მიაშურეს, ერთმანეთს ახალი ამბები გაუზიარეს და საკმაოდ გაერთნენ იმით, რომ გადაათვალიერეს მოდური საგაზაფხულო კაბები, ქუდეები და სხვა მორთულობა. ამ დროს კი მამაკაცები ათვალიერებდნენ ახალ სამგზავრო ეტლებს, გასაყიდად გამოყვანილ ცხენებს და მაშინვე გააჩაღეს ვაჭრობა და გაცვლა-გამოცვლა.

ხელახლა ისინი სუფრასთან შეხვდნენ ერთმანეთს. მანამდე ტანსაცმელი გამოიცვალეს და ახალჩამოსულმა წყვილმა აქაც ისახელა თავი. ყველაფერი, რითიც შეიმოსნენ, სულ ახალი იყო, თითქოს პირველად კი ეცვათ, და მაინც ხმარებისგან უკვე ჩვეულებრივი და მოხერხებული გამხდარიყო.

გაჩაღდა ცოცხალი და მრავალფეროვანი საუბარი. როცა ამგვარი ადამიანები ერთად შეიყრებიან, მათ თითქოს ყველაფერი აინტერესებთ და ამავე დროს არაფერი. მოსამსახურეებს რომ ვერაფერი გაეგოთ, ლავარაკობდნენ ფრანგულად, ხან მაღალ საზოგადოებას გაჰკრავდნენ კბილს, ხანაც საშუალო ფენას, მთისა და ბარის ამბავი გაიხსენეს. მხოლოდ ერთადერთ საკითხზე შეჩერდნენ საკმაოდ დიდხანს, ვიდრე ეს მიღებულია. შარლოტე დაინტერესდა ერთი სიყრმის მეგობარი ქალის ბედით და გაოცდა, როცა უთხრეს, მალე ქმარს გაეყრებაო.

– დიდად საწყენია, – თქვა შარლოტემ, – გგონია, რომ მეგობრების ცხოვრება, რომელთაც არ ხედავ,

მოწესრიგებულია, იმ ქალის ბედი, რომელიც გიყვარს, საიმედო ხელში გეგულება და მოხედვას ვერ მოასწრებ, ბედმა უმტყუნა და კვლავ უნდა დაადგეს ცხოვრების ახალ, შეიძლება კიდევ უფრო არასაიმედო ბილიკს.

– მაგრამ, ჩემო კარგო, – უპასუხა გრაფმა, – ჩვენ თვითონ ვართ დამნაშავე, როცა ამგვარი ამბავი ასე გაგვაოცებს ხოლმე. ჩვენ მიწიერ ამბებს, განსაკუთრებით ცოლქმრულ ურთიერთობას რაღაც მარად უცვლელ კავშირად მივიჩნევთ, ხოლო რაც შეეხება ქორწინებას, ჩვენ აქ იმ კომედიებს შევყავართ შეცდომაში, რომელთაც ხშირად ვუყურობთ და ისინი წარმოდგენებს გვიქმნიან, ცხოვრების მსვლელობას რომ არ შეესაბამებიათ. კომედიაში ჩვენ ვხედავთ ქორწინებას, როგორც საბოლოო მიზანს იმ სურვილისა, რამდენიმე მოქმედების მსვლელობისას წინააღმდეგობებს რომ აწყდება, და ფარდა ეშვება იმ დროს, როცა მიზანი მიღწეულია, ჩვენში კი ჟღერს იმწამიერი კმაყოფილების გამოძახილი. ცხოვრებაში ყველაფერი სხვანაირად ხდება. თამაში აქ ფარდის მიღმაც გრძელდება და როცა ფარდა ხელახლა იხსნება, აღარაფრის დანახვა და მოსმენა აღარ გვინდა.

– ეტყობა, საქმე არც ისე ცუდადაა, – თქვა შარლოტემ ღიმილით, – რაკი ის პირებიც კი, ვინც ამ თეატრს განუდგა, სიამოვნებით ითამაშებდნენ იქ ხელახლა როლს.

– ამის უარყოფა არ შემიძლია, – უთხრა გრაფმა, – ახალ როლს მართლაც სიამოვნებით შეასრულებენ, მაგრამ თუ საზოგადოებას იცნობ, მაშინ გასაგები ხდება, ქორწინების ეს მარადიული უცვლელობა იმ წუთისოფელში, სადაც ყველაფერი ცვალებადია, ერთგვარ უხერხულობასაც კი იწვევს. ერთი ჩემი მეგობარი, როცა კარგ გუნებაზე იყო, ახალ კანონებს იგონებდა და ირწმუნებოდა, ყველა წყვილი მხოლოდ ხუთი წლით უნდა ქორწინდებოდესო. ეს მშვენიერი, კენტი, წმინდა რიცხვია, ამბობდა იგი და დროის ეს მონაკვეთი სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ქალი გაიცინოს, რამდენიმე ბავშვი გააჩინოს, დაშორდეს და, რაც ყველაფერზე უკეთესია, კვლავ შეურიგდეს. როცა ამ საკითხს ეხებოდა, ყოველთვის წამოიძახებდა: „რა ბედნიერად მიიწურებოდა პირველი პერიოდი, ყოველ შემთხვევაში ორი-სამი წელი სასიამოვნოდ ჩაიქროლებდა, მაგრამ მერე ცოლ-ქმართაგან ერთ-ერთი ალბათ მაინც მოინდომებდა ურთიერთობის განანგრძლივებას და განქორწინების ვადის მოახლოებასთან ერთად უფრო გულისხმიერი გახდებოდა. ასეთი ქცევა კი თვით გულგრილ, უკმაყოფილო მხარესაც დაამშვიდებდა და მოიმაღლიერებდა. როგორც კარგ საზოგადოებაში არავინ დაგიდევს დროს, ასევე დაავიწყდებოდათ მეუღლეებს დროის დინება და ფრიად ნასიამოვნები, თან გაკვირვებულნი დარჩებოდნენ, როცა მხოლოდ ამ ვადის გასვლის შემდეგ აღმოაჩენდნენ, რომ ვადა შეუთანხმებლად უკვე გაუგრძელდათ.

თუმცა ნაამბობი არც უხამსი იყო და თავშესაქცევადაც ჟღერდა, თუმცა შარლოტე გრძნობდა, რომ ამ ხუმრობას შეიძლებოდა ღრმა მორალური სარჩული დასდებოდა, მაინც არ სიამოვნებდა, ოთილიეს თანდასწრებით რომ ამგვარ აზრებს გამოთქვამდნენ. მან ძალიან კარგად იცოდა, რომ არაფერია უფრო სახიფათო, ვიდრე მეტიმეტად თავისუფალი ლაპარაკი, სადაც დასასჯელ ან ნახევრად დასასჯელ ნამოქმედარს ისე უდგები, როგორც ჩვეულებრივს, უბრალოს ან მოსაწონსაც კი. ასეთ სფეროს კი განეკუთვნება ყველაფერი, რაც ცოლქმრულ კავშირს არღვევს. ამიტომ შარლოტე ჩვეული გამჭრიახობით შეეცადა საუბარი სხვა თემაზე გადაეტანა, მაგრამ როცა ეს ვერ შეძლო, გული დასწყდა, ოთილიემ ასე კარგად რომ დაიჭირა თავიდანვე თადარიგი და ველარ დაასაქმებდა. ყურადღებიანი ქალიშვილი მსახურთუფროსს თვალითა და ხელით მშვიდად ანიშნებდა იმას, რაც საჭირო იყო და ყველაფერმა მშვენივრად ჩაიარა, თუმცა ლივრეა რამდენიმე ახალ, მოუქნელ მსახურსაც ეცვა.

გრაფი ვერ მიხვდა შარლოტეს გულისწადილს და იმავე თემაზე განაგრძო მსჯელობა. თუმცა იგი არასოდეს აბეზრებდა ვინმეს თავს ლაპარაკით, მაგრამ ეს საკითხი ლოდივით აწვა გულზე და სიძნელეებმა ცოლთან გაყრას რომ აბრკოლებდა, გააბოროტეს ყველაფრის მიმართ, რაც ცოლქმრულ ურთიერთობას ეხებოდა, თუმცა პირადად მას გულწრფელად სურდა ბარონესასთან ამგვარი ურთიერთობა დაემყარებინა.

– ის ჩემი მეგობარი, – განაგრძო გრაფმა, – სხვა კანონსაც გვთავაზობს: ქორწინების დარღვევა მხოლოდ მაშინ უნდა იყოს აკრძალული, თუ ორივე, ან ყოველ შემთხვევაში ცოლი ან ქმარი, მესამედაა დაქორწინებული. ეს ხომ უტყუარი საბუთი იქნება იმისა, რომ ასეთი პიროვნება ქორწინებას აუცილებელ მოთხოვნილებად თვლის. ახლა მათთვის უკვე ცნობილია, როგორ იქცეოდნენ წარსულში, ახასიათებდათ თუ არა უხიანობა, რაც ხშირად უფრო მეტ მიზეზს იძლევა განქორწინებისთვის, ვიდრე უკეთური თვისებები. ამგვარად ორივე მხარე ვალდებულია გაიკითხვოს, გამოიკითხოს, ჯვარდაწერილებსაც დააკვირდეს და ჯვარდაუწერლებსაც, რადგან წინასწარ არავინ იცის, როგორ შეიძლება შეტრიალდეს საქმე.

– ყველაფერი ეს მართლაც დიდად გაზრდიდა ამ საკითხისადმი საზოგადოების ინტერესს, – თქვა

ედუარდმა, – თორემ რა გამოდის, ახლა, როცა დაქორწინებულნი ვართ, აღარავინ კითხულობს, რა ღირსებები გაგვაჩნია და რა ნაკლი.

– ასეთ ვითარებაში, – ღიმილით ჩაერია ლაპარაკში ბარონესა, – ჩვენი საყვარელი მასპინძლები ბედნიერად აიწევდნენ ორი საფეხურით მაღლა და შეიძლება მესამესაც შესწვდომოდნენ.

– თქვენ ბედმა გაგიღიმათ, – უთხრა გრაფმა მასპინძლებს, – აქ სიკვდილმა სიამოვნებით გააკეთა ის, რასაც კონსისტორიები მხოლოდ უხალისოდ აკეთებენ.

– მოვასვენოთ მიცვალებულები, – თქვა შარლოტემ და გრაფს ნახევრად სერიოზულად შეხედა.

– რატომ, – მიუგო გრაფმა, – მათი გახსენება ხომ პატივისცემითაც შეიძლება. ისინი იმდენად თავმდაბალნი იყვნენ, მრავალგვარი სიკეთის ნაცვლად, რაც მათ ამქვეყნად დატოვეს, რამდენიმე წლის სიცოცხლე იკმარეს.

– ეს მხოლოდ მაშინ, – თქვა ბარონესამ შეკავებული ოხვრით, – თუ ამგვარ შემთხვევებში საუკეთესო წლების მსხვერპლად გაღება არ გიხდება.

– მართალს ბრძანებ, – უპასუხა გრაფმა, – ამის გამო კაცს შეიძლება სასოება წარკვეთოდა, ცხოვრებაში რომ იშვიათად, მაგრამ მაინც არ მართლდებოდეს იმედი. ბავშვები დანაპირებს არ ასრულებენ, ახალგაზრდები ძალიან იშვიათად, მაგრამ თუ ისინი სიტყვას არ გატეხენ, საზოგადოება დაურღვევს პირობას.

შარლოტემ, რომელიც გაახარა იმან, რომ საუბარმა სხვა მიმართულება მიიღო, ხალისით დასძინა: – რა მოხდა მერე! ჩვენ უამისოდაც მალე ვეჩვევით იმას, რომ კეთილდღეობით ცხოვრებაში დროდადრო და ისიც ნაწილ-ნაწილ ვსარგებლობთ.

– ცხადია, – განაგრძო გრაფმა, – წარსულში ორივეს მშვენიერი დრო გაქვთ გატარებული. ვიხსენებ იმ წლებს, თქვენ და ედუარდი ჰერცოგის კარზე რომ უმშვენიერესი წყვილი იყავით. ახლა აღარც დროა ისეთი ბრწყინვალე და აღარც ადამიანები. როცა თქვენ ერთად ცეკვავდით, თვალი ყველას თქვენკენ ჰქონდა მოპყრობილი, თქვენ კი ერთმანეთს შესცივინებდით და ერთმანეთის ანარეკლი იყავით.

– მას შემდეგ იმდენი რამ შეიცვალა, – თქვა შარლოტემ, – რომ ახლა მართლაც შეიძლება ასეთი ქება თავმდაბლად მოვისმინოთ.

– და მაინც, – თქვა გრაფმა, – გულში ედუარდს ხშირად ვკიცხავდი იმისთვის, უფრო შეუპოვარი რომ არ იყო. ბოლოს და ბოლოს, თავის უცნაურ მშობლებს დაიყოლიებდა, ხოლო ახალგაზრდობის დროინდელი ათი წლის მოგება წვრილმანი როდია.

– მე კი ედუარდს უნდა დავუჭირო მხარი, – ჩაერია საუბარში ბარონესა, – თუ ამ საქმეს ყოველმხრივ ავწონ-დავწონით, არც შარლოტე იყო მთლად უდანაშაულო და უბიწო. თუმცა ედუარდი სულითა და გულით უყვარდა და მალულად მომავალ ქმრადაც კი მიაჩნდა, მაგრამ მე თავად ვიყავი მოწმე, როგორ აწვალებდა ზოგჯერ ისე, რომ ედუარდს ადვილად მიაღებინეს საბედისწერო გადაწყვეტილება, აქაურობა მიეტოვებინა, სადმე გადახვეწილიყო, შარლოტე დაევიწყებინა.

ედუარდმა ბარონესას ისე დაუქნია თავი, თითქოს მადლიერი იყო, სიტყვა რომ შეაწია.

– მაგრამ შარლოტეს გასამართლებლად ერთი რამ უნდა დავძინო, – განაგრძო ბარონესამ, – იმ კაცს, მაშინ რომ შარლოტეს ხელს სთხოვდა, დიდი ხანია უყვარდა იგი ჭეშმარიტი სიყვარულით და ვინც მას ახლოს იცნობდა, უფრო სასიამოვნო კაცად მიიჩნევდა, ვიდრე თქვენ ფიქრობთ.

– ჩემო ძვირფასო, – უთხრა გრაფმა მკვირცხლად, – აღიარეთ, რომ მისადმი მთლად გულგრილად არ იყავით განწყობილი და შარლოტეს თქვენი უფრო უნდა შინებოდა, ვიდრე რომელიმე სხვა ქალისა. ქალების ერთ-ერთ მშვენიერ თვისებად ის მიმაჩნია, რომ დიდხანს ინარჩუნებენ ამა თუ იმ კაცისადმი ერთგულებას, დიან, არავითარ დაშორებას არ შეუძლია მისი მოსპობა და გაქარწყლება.

– ეს მოსაწონი თვისება იქნებ მამაკაცებს უფრო მეტად აქვთ მომადლებული, – უპასუხა ბარონესამ, – ყოველ შემთხვევაში თქვენ, ძვირფასო გრაფ, აშკარად შეგატყვევთ, რომ არავის აქვს თქვენზე უფრო მეტი გავლენა, ვიდრე იმ ქალს, ოდესღაც რომ გიყვარდათ. მე თვითონ დავრწმუნდი, რომ ქალისგან თანხმობის მისაღებად თქვენ უფრო მეტად გაისარჯეთ, ვიდრე გაირჯებოდით ამწამიერი მეგობარი ქალის გულისთვის.

– ასეთი საყვედური უთუოდ სამართლიანია, – უპასუხა გრაფმა, – მაგრამ რაც შეეხება შარლოტეს პირველ ქმარს, მე მას მხოლოდ იმიტომ ვერ ვიტანდი, რომ მშვენიერი, ჭეშმარიტად

ერთმანეთისთვის შექმნილი წყვილი დააშორა. ამ წყვილს, რაკი ერთხელ შეუღლებოდნენ, არც ხუთი წლის უნდა შინებოდათ და არც მეორედ ან მით უმეტეს მესამედ დაქორწინებისკენ მოუხდებოდათ გახედვა.

– ჩვენ შევეცდებით, – თქვა შარლოტემ, – მთლიანად ავინაზღაუროთ ის, რაც ხელიდან გავუშვი.

– მაშინ უნდა იჩქაროთ, – თქვა გრაფმა და ცხარედ განაგრძო: – თითოეული თქვენგანის პირველი ქორწინება სინამდვილეში დასაძრახი ქორწინება იყო. მაპატიეთ ეს მკვანე გამოთქმა, მაგრამ სამწუხაროდ, ქორწინებაში არის რაღაც უხამსობა, რაც არღვევს უნაზეს ურთიერთობებს, და ეს აიხსნება იმ მოუხეშავი საიმედოობით, რასაც, ყოველ შემთხვევაში, ერთი მხარე თავის დამსახურებად მიიჩნევს. ყველაფერი დანარჩენი თავისთავად გასაგებია, ეტყობა, ადამიანები იმიტომ შეუღლებდნენ, რომ შემდეგ თითოეულმა თავისი გზით იაროს.

ამ დროს შარლოტემ, რომელსაც სურდა ერთხელ და სამუდამოდ მოეღო ამგვარი საუბრისთვის ბოლო, ერთი თამამი გამოთქმით მოახერხა მისი სხვა თემაზე გადატანა. საუბარმა უფრო საერთო ხასიათი მიიღო, რაშიც ორივე ცოლ-ქმარს, ასევე კაპიტანსაც შეეძლოთ მონაწილეობა. ის კი არადა, ოთილიესაც მიეცა საბაბი თავისი აზრი გამოეთქვა და როცა ჩაროზით ჩაიტკბარუნეს პირი, გახალისდნენ, რასაც დიდად შეუწყო ხელი ლამაზი კალათებით უხვად მორთმეულმა ხილმა და უამრავ დიდებულ ლარნაკში ჩაწყობილმა ფერად-ფერადმა ყვავილებმა.

ამის შემდეგ ხელოვნურ ნარგავებსა და ახალ პარკებზე ჩამოვარდა სიტყვა. როგორც კი სუფრიდან წამოიშალნენ, მაშინვე პარკებისკენ გასწიეს. ოთილიემ საოჯახო საქმეები მოიმიზეზა და შინ დარჩა, მაგრამ კვლავ ნასყიდობის ქაღალდის გადაწერას ჩაუჯდა. გრაფს კაპიტანი ართობდა, მოგვიანებით მათ შარლოტეც შეუერთდა. როდესაც მთის წვერს მიაღწიეს და კაპიტანი ხალისიანად დაეშვა ქვევით გეგმის მოსატანად, გრაფმა უთხრა შარლოტეს: – ეს კაცი დიდად მომწონს, ყოველთვის ძალიან კარგად ერკვევა საქმის არსში, მისი საქმიანობაც ძალიან სერიოზული და ლოგიკური ჩანს. ის, რასაც აქ აკეთებს, გაცილებით უფრო დაფასდებოდა მაღალ წრეში.

შარლოტეს კაპიტნის ქება დიდ შინაგან კმაყოფილებას ანიჭებდა, მაგრამ თავი შეიკავა და გრაფის ნათქვამი მშვიდად და მკაფიოდ დაადასტურა. მოგვიანებით კი მეტად გაოცდა, როცა გრაფმა განაგრძო: – ეს ნაცნობობა ახლა ჩემთვის ფრიად ხელსაყრელია. მეგულება ერთი ადგილი, რომლისთვისაც ეს კაცი ზედგამოჭრილი იქნება. ხოლო თუ მე მას რეკომენდაციას გავუწევ, დიდად დავალებული მეყოლება ერთი მაღალი რანგის მეგობარი და ამით გავაბედნიერებ კიდევ.

შარლოტე მეხდაცემულივით გაშეშდა, მაგრამ გრაფმა ვერაფერი შეამჩნია. ქალები ხომ მიჩვეულნი არიან ნებისმიერ დროს დაიმორჩილონ გრძნობები, ყველაზე უჩვეულო შემთხვევებშიც კი ახერხებენ თავის მოჩვენებით დაოკებას, მაგრამ მას უკვე აღარ ესმოდა გრაფის სიტყვები, რომელიც განაგრძობდა: – როცა რამეში დავრწმუნდები, საქმის გაჭიანურება არ მიყვარს. გონებაში უკვე შევადგინე წერილი და ერთი სული მაქვს, როდის დავწერ. იმედია, გამომინახავთ ცხენოსან შიკრიკს, რომ ამ სადამოსვე გავატანო წერილი.

შარლოტეს გული უტოკავდა. ამ წინადადებას და საკუთარმა თავმა ისე გააოგნეს, რომ ხმას ვერ იღებდა. საბედნიეროდ, გრაფი განაგრძობდა კაპიტანთან დაკავშირებით თავის გეგმებზე ლაპარაკს და კაპიტნისთვის ეს რომ ხელსაყრელი იქნებოდა, შარლოტეს მხედველობიდან არ გამორჩენია. სწორედ ამ დროს ამოაღწია კაპიტანმაც და გრაფილი გრაფს გაუშალა თვალწინ. შარლოტე ახლა უკვე სხვა თვალთვალს ხედავდა მეგობარს, რომელიც უნდა დაეკარგა! მან ნაძალადევად დაუკრა თავი ორივეს და ქვევით, ხავსის ქონისკენ დაეშვა. ნახევარი გზაც არ ჰქონდა გავლილი, რომ თვალთაგან ცრემლები წასკდა, ხოლო პატარა, ვიწრო, განმარტოებულ სადგომში მიწაზე დაემხო და მთლიანად მიენდო მწუხარებას, ვნებას, სასოწარკვეთილებას. რამდენიმე წამით ადრე კი წარმოდგენაც არ ჰქონდა, ამგვარი რამ თუ შეიძლებოდა მომხდარიყო.

ამ დროს კი ედუარდი მოპირდაპირე მხარეს ტბორების გასწვრივ ბარონესასთან ერთად მოსეირნობდა. ჭკვიანმა ქალმა, რომელსაც ყველაფრის ცოდნა სიამოვნებას ჰგვრიდა, ფრთხილად წარმართულ საუბარში მალე შენიშნა, რომ ედუარდი ოთილიეს ქებით ვერ ძლებოდა და თანდათან, სრულიად ბუნებრივი გზით ისე ალაპარაკა ედუარდი, რომ ბოლოს არავითარი ეჭვი არ ეპარებოდა, აქ ვნება კი არ ისახებოდა, არამედ უკვე ღრმად იყო ფესვგადგმული.

გათხოვილი ქალები, ერთმანეთი რომც არ უყვარდეთ, მაინც უსიტყვოდ ერთმანეთს მხარს უჭერენ, განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალიშვილების წინააღმდეგ. ბარონესას მაღალ საზოგადოებაში გაწვრთნილმა გონებამ მეტისმეტად სწრაფად წარმოიდგინა, რა შედეგები მოჰყვებოდა ასეთ აღტაცებას. ამას ისიც დაერთო, რომ იგი დღეს დილით უკვე ელაპარაკა შარლოტეს ოთილიეზე და ქალიშვილის სოფელში ჩამოყვანა, განსაკუთრებით მისი მშვიდი ხასიათის გამო, არ მოუწონა და წინადადება მისცა, ოთილიე გაეგზავნა ქალაქში ერთ მის მეგობარ

ქალთან, რომელიც, ერთადერთი ქალიშვილის აღზრდაზე უამრავ ფულს ხარჯავს, მისთვის ზნეკეთილ ამხანაგს ეძებს, მზადაა ასეთი არსება მეორე ქალიშვილადაც კი მიიჩნიოს და შვილში არ გამოარჩიოს. შარლოტემ განიზრახა ამ საკითხზე დაფიქრებულიყო.

ახლა კი, როდესაც ბარონესამ ედუარდის სულში ჩაიხედა, მტკიცედ გადაწყვიტა საკუთარი წინადადება განეხორციელებინა და რაც უფრო მეტს ფიქრობდა ამაზე, მით უფრო ეპირფერებოდა ედუარდს, თითქოს უწონებდა კიდევ სურვილებს. არავის ჰქონდა ამ ქალზე მეტი თავდაჭერის უნარი და უჩვეულო შემთხვევებში ასეთი თავშეკავება გვაჩვენებს, ჩვეულებრივ შემთხვევებშიც ვითვალთმაქცოთ, ხოლო რადგან თავს ამდენ ძალას ვატანთ, გვიჩნდება სურვილი, მბრძანებლებიც გავხდეთ, რათა იმის წყალობით, რასაც გარეგნულად ვიგებთ, ავინაზდაუროთ ის, რაც შინაგანად გვაკლდება.

ამგვარ განწყობას მეტწილად თან ახლავს ერთგვარი ფარული ნიშნის მოგება სხვების სიბნელისა და იმ შეუგნებლობის გამო, რის მიზეზითაც ხაფანგში ებმებიან. ჩვენ მხოლოდ ამჟამინდელი წარმატება კი არ გვანარებს, არამედ სხვისი მოულოდნელი შერცხვენაც მომავალში. ამიტომ ბარონესამ საკმაო ვერაგობა გამოიჩინა და ედუარდი შარლოტესთან ერთად თავის მამულში დაპატიჟა რთველზე, ხოლო ედუარდის შეკითხვაზე, ოთილიეც თუ შეიძლება წამოვიყვანოთო, ისეთნაირად უპასუხა, რომ ედუარდს შეეძლო ისე გაეგო, როგორც მოესურვებოდა.

ედუარდი მაშინვე აღფრთოვანებით ალაპარაკდა მშვენიერ მიდამოზე, დიდ მდინარეზე, ბორცვებზე, კლდეებზე, ვენახებზე, ძველ ციხე-დარბაზებზე, ნავით სეირნობაზე, იმ სიხარულზე, რთველზე, ყურძნის დაწურვა რომ იწვევს ადამიანში და ა.შ., თანაც იგი გულუბრყვილოდ და ხმამაღლა წინასწარ გამოთქვამდა აღტაცებას იმ შთაბეჭდილების გამო, რომელსაც მსგავსი სცენები ოთილიეს შეურყვნელ სულზე მოახდენდა. სწორედ ამ დროს დაინახეს ოთილიე, რომელიც მათკენ მოდიოდა და ბარონესამ სწრაფად უთხრა ედუარდს, არაფერი ეთქვა ქალიშვილისთვის ნავარაუდევ საშემოდგომო მოგზაურობაზე, რადგან ჩვეულებრივ ის, რაც წინასწარ დიდხანს განარებს, არ ახდება ხოლმე. ედუარდი დაჰპირდა, მაგრამ ჯერ აიძულა უფრო სწრაფად შეჰგებებოდნენ ოთილიეს, შემდეგ კი რამდენიმე ნაბიჯით გაუსწრო და საყვარელ არსებას მიაშურა. მთელი მისი იერი გულითად სიხარულს გამოხატავდა. ოთილიეს იმ ხელზე აკოცა, რომელშიც გზადაგზა დაკრეფილი მინდვრის ყვავილების თაიგული ჩაუდო. ამის დანახვაზე ბარონესას გულზე ბოღმა დააწვა. შეუძლებელია მოსწონებოდა ეს საძრახისი ლტოლვა, და არც ეგ ახალგაზრდა გოგო ეპრიანებოდა, თუმცა რაღაც მომხიბლავსა და სასიამოვნოს ხედავდა ამაში.

საღამოს, როცა სავანშიმოდ დასხდნენ, საზოგადოება სულ სხვაგვარ გუნებაზე იყო. გრაფმა წერილი უკვე დაწერა და შიკრიკს გაატანა, ახლა კაპიტანი გვერდით მოისვა, გონივრულად და თავშეკავებით ესაუბრებოდა, გრაფი ნაკლებ ყურადღებას უთმობდა, ასევე ედუარდიც, ის ჯერ წყურვილის, შემდეგ კი აღელვების გამო ღვინოს ეტანებოდა და ძალიან ცოცხლად ესაუბრებოდა ოთილიეს, რომელიც მეორე მხრიდან მოისვა. მათ მოპირდაპირედ კაპიტნის გვერდით შარლოტე იჯდა და ამაოდ ცდილობდა მღელვარება დაეოკებინა.

ბარონესას საკმაო დრო ჰქონდა საიმისოდ, რომ ყველასთვის თვალყური ედევნებინა. მან შენიშნა შარლოტეს შეშფოთება, და რადგან მისი ფიქრები მხოლოდ ედუარდის ოთილიესადმი დამოკიდებულების ირგვლივ ტრიალებდა, ადვილად ირწმუნა, რომ შარლოტე სწორედ მეუღლის ქცევამ გააღიზიანა და ააფორიაქა და მხოლოდ იმაზელა ფიქრობდა, როგორ შეიძლებოდა უკეთ მიეღწია თავისი მიზნისთვის.

გულითადი ურთიერთობა საზოგადოების წევრებს შორის არც ვახშმის შემდეგ დამყარებულა. გრაფს, რომელსაც უნდოდა უფრო ღრმად ჩასწვდომოდა კაპიტანს სულში, ასეთ მშვიდ, ყოველგვარ პატივმოყვარეობას მოკლებულ და სიტყვაძუნწ კაცთან ათასნაირი მიკიბულ-მოკიბული საუბარი დასჭირდა, რომ გაეგო, რა სურდა მას. ისინი დარბაზის ერთ მხარეს წინ და უკან დადიოდნენ, ამ დროს ღვინოსა და იმედისგან აღელვებული ედუარდი ოთილიეს ეხუმრებოდა ფანჯარასთან, შარლოტე და ბარონესა კი დარბაზის მოპირდაპირე მხარეს მდუმარედ მიმოდიოდნენ ერთმანეთის გვერდით. მათმა დუმილმა, ხან ერთ, ხან მეორე ადგილას უაზროდ დგომამ ბოლოს და ბოლოს საზოგადოების სხვა წევრების საუბარიც შეაფერხა. ქალებმა თავიანთ ფლიგელს მიაშურეს, მამაკაცებმა თავიანთს და ეს დღევ თითქოს დამთავრდა.

თავი მეთერთმეტე

ედუარდმა გრაფი მის ოთახამდე მიაცილა და საუბრით გართული სიამოვნებით დაეთანხმა, ერთხანს კიდევ დარჩენილიყო მასთან. გრაფმა წარსულზე ჩამოაგდო ლაპარაკი, აღფრთოვანებით გაიხსენა შარლოტეს სილამაზე და როგორც ქალების ყადრის მცოდნემ, მგზნებარედ განავითარა საკუთარი აზრი: – ლამაზი ფეხი ბუნების დიდი საჩუქარია. მისი მომხიბვლელობა უჭკნობია. დღეს ვაკვირდებოდი შარლოტეს სიარულს და ისევ გიჩნდება სურვილი, მის ფეხსაცმელს აკოცო, გაიმეორო წარმატების თუმცა ბარბაროსული, მაგრამ მაინც ღრმა გრძნობით გამსჭვალული პატივისცემის გამოხატვა – მათთვის იმაზე უკეთესი არაფერია, რომ საყვარელი და პატივსაცემი ქალის სადღეგრძელო მისი ფეხსაცმლით დალიონ.

მაგრამ ორ მახლობელ მამაკაცს შორის მხოლოდ ფეხის წვერმა როდი დაიმსახურა ქება. პიროვნების შემდეგ გაიხსენეს ძველი ამბები და თავგადასავლები, შეეხნენ იმ დაბრკოლებებს, მაშინ შეყვარებულ წყვილს, ედუარდსა და შარლოტეს რომ უქმნიდნენ, რამდენი ძალ-ღონის დახარჯვა, რა ხერხების მოგონება სჭირდებოდათ მხოლოდ იმისთვის, რომ ერთმანეთს შეხვედროდნენ და სიყვარულზე ესაუბრათ.

– განსოვს, – განაგრძო გრაფმა, – რა გულითა და როგორ უნგაროდ დაგეხმარე ერთი ამბის მოგვარებაში, როცა ჩვენი დიდკაცობა ბიძამისს ეწვია და მის უზარმაზარ ციხე-დარბაზში მოიყარა თავი. მთელი დღე ზეიმებსა და სადღესასწაულო ჩაცმა-დახურვაში გავიდა. ღამის ნაწილს მაინც უნდა ჩაევლო თავისუფალ სასიყვარულო საუბარში.

– ის გზა, ქალბატონების ოთახებისკენ რომ მიდიოდა, თქვენ კარგად დაიხსომეთ, – უთხრა ედუარდმა, – ჩვენ შეუფერხებლად მივალწიეთ ჩემს სატრფომდე.

– შარლოტემ კი, – განაგრძო გრაფმა, – თავის სახელზე უფრო იზრუნა, ვიდრე ჩემს სიამოვნებაზე და საკუთარი პატიოსნების დარაჯად დაიტოვა მეტისმეტად შეუხედავი ქალი. და აი, როცა თქვენ მშვენივრად საუბრობდით თვალებითა და სიტყვებით, მე შავ დღეში ვიყავი.

– ჯერ კიდევ გუშინ, როცა თქვენ შეგვატყობინეთ, მოვდივართ, მე და ჩემმა მეუღლემ ეს ამბავი გავიხსენეთ, განსაკუთრებით ჩვენი უკან დაბრუნება. მაშინ გზა აგვებნა და აღმოვჩნდით გვარდიელების ტალანთან. რადგან მშვენივრად ვიცოდით, იქიდან როგორ გაგვეგნო გზა, გვეგონა აქაც შეუფერხებლად ჩავუვლიდით გუშაგებს, ისე, როგორც დანარჩენებს ჩავუარეთ. მაგრამ როდენ დიდი იყო ჩვენი გაოცება, როცა კარი გავაღეთ! მთელი გზა გადახერგილი იყო ლეიბებით, რომლებზედაც რამდენიმე რიგად გაშლართულიყვნენ გოლიათები და ეძინათ. ერთადერთმა გუშაგმა, რომელსაც ეღვიძა, ვაკვირვებით შემოგვხედა. ჩვენ კი, ახალგაზრდული შემართებითა და კვიმატობით შეპყრობილნი, მშვიდად მივაბიჯებდით ჩექმებს შორის, თანაც ისე, რომ ამ მხვრინავ ძეთაგან არც ერთს არ გაუღვიძია.

– მე ძალიან მინდოდა, წავბორძიკებულიყავი და ხმაური ამეტეხა, – თქვა გრაფმა, – ო, რა დიდებულ მკვდრეთით აღდგომას შევესწრებოდით!

სწორედ იმწამს ციხე-დარბაზის საათის ზარმა თორმეტჯერ დარეკა.

– შუალამეა, – თქვა გრაფმა ღიმილით, – სწორედ დროა, ძვირფასო ედუარდ, ერთი სათხოვარი მაქვს: დამდეთ პატივი და გამიძეხით ამაღამ, როგორც მე გაგიძეხით მაშინ. ბარონესას შევპირდი, კიდევ ერთხელ გინახულებ-მეთქი. მთელი დღე მარტო არ დავრჩენილვართ, თანაც დიდი ხანია არ გვინახავს ერთმანეთი, და არაფერია იმაზე ბუნებრივი, რომ ერთი საათი ინტიმურ საუბარში გავატაროთ. მიმასწავლეთ, როგორ მივიდე მასთან, უკან დასაბრუნებულ გზას კი თვითონ ვიპოვი, ყოველ შემთხვევაში აქ ჩექმებს მაინც არ წამოვკრავ ფეხს.

– სტუმარი ბრძანდებით და ამგვარ სამსახურს როგორ არ გაგიწევთ, – უთხრა ედუარდმა, – მხოლოდ ისაა, რომ იმ ფლიგელში ამჟამად სამივე ქალია თავმოყრილი, ვინ იცის, იქნებ ჯერაც ერთად არიან და ამან შეიძლება ხათაბალაში გაგხვიოს, რაც დიდ მითქმა-მოთქმას გამოიწვევს.

– ეგ ნუ გადარდებთ, – უთხრა გრაფმა, – ბარონესა მელოდება. ამ დროს უთუოდ თავის ოთახშია და თანაც მარტო.

– თუ ასეა, საქმე ადვილად მოგვარდება, – უთხრა ედუარდმა, – შემდეგ სანთელი აიღო ხელში, გზა გაუნათა და საიდუმლო კიბით, რომელიც გრძელი დერეფნისკენ მიდიოდა, ძირს ჩავიდა. როცა დერეფნის ბოლომდე მივიდნენ, ედუარდმა პატარა კარი გააღო, აქედან ხვეული კიბე ზევით მიდიოდა. ისინი კიბეს აუყვნენ. ზემოთ, ისეთ ვიწრო ადგილზე, რომ სულის მოთქმა ჭირდა, ედუარდმა გრაფს ხელში სანთელი მისცა და მარჯვნივ, შპალერგაკრულ კარზე მიუთითა. კარი პირველი ცდისთანავე გაიღო, გრაფი ოთახში შევიდა, ედუარდი კი მარტო დარჩა სიბნელეში.

იქვე გვერდით შარლოტეს საწოლი ოთახი იყო. ედუარდმა ლაპარაკი გაიგონა და მიაყურადა. შარლოტე პირისფარემს ეუბნებოდა: – ოთილიე თუ დაწვა?

– ჯერ არა, – უპასუხა პირისფარეშმა, – ქვევით ზის და წერს.

– იცი რა, ანთე საღამური ლამპარი და წადი, – უთხრა შარლოტემ, – უკვე გვიანაა. ლამპარს მე თვითონ ჩავაქრობ და საწოლშიც ჩემით ჩავწვები.

ედუარდი აღაფრთოვანა იმის გაგონებამ, რომ ოთილიე კიდევ წერდა. ის ჩემთვის ირჯება! გაიფიქრა მან სიხარულით. წყვილიდით მოცულმა და გრძობამორეულმა ცხადად წარმოიდგინა, როგორ იჯდა და წერდა ოთილიე. იგი უახლოვდება მას, უყურებს, ოთილიე მისკენ მოიხედავს. ედუარდი შეიპყრო დაუოკებელმა სურვილმა კიდევ ერთხელ ენახა გოგონა, მის გვერდით ყოფილიყო, მაგრამ აქედან არ იყო გზა მეზონინამდე, სადაც ოთილიე ცხოვრობდა. ამ დროს კი მეუღლის კართან იდგა და მის სულში უეცრად ცვლილება მოხდა. სცადა კარი გაეღო, მაგრამ დაკეტილი აღმოჩნდა, შემდეგ ფრთხილად დააკაკუნა, შარლოტემ კაკუნს ვერ გაიგონა.

აღელვებული ქალი მკვირცხლად დადიოდა დიდ მეზობელ ოთახში აქეთ-იქით და განუწყვეტლად იმეორებდა იმას, რაც გრაფის მოულოდნელი წინადადების შემდეგ ათასჯერ აწონ-დაწონა. კაპიტანი თითქოს თვალწინ ედგა. სახლი ჯერ კიდევ მისით იყო სავსე, იგი ჯერ კიდევ მატებდა ხალისს ყოველ გასეირნებას და აი, კაპიტანი აქედან უნდა წასულიყო, აქაურობა უნდა დაცარიელებულიყო! შარლოტე ყველაფერს ეუბნებოდა საკუთარ თავს, რისი თქმაც შეიძლებოდა, იმ უბადრუკ ნუგეშსაც კი ითვალისწინებდა, ადამიანს რომ ეტყვიან ხოლმე, ასეთი ტკივილების მკურნალი დროაო! იგი წყევლიდა დროს, მსგავსი ტკივილების გასაყუჩებლად რომ არის საჭირო, წყევლიდა იმ მკვდარ დროსაც, როცა ტკივილები გაუყუჩდებოდნენ.

საბოლოოდ ისევ ცრემლის ღვრამ მოუტანა შვება და ეს მეტად სასურველი იყო მისთვის, რადგან იშვიათად ტიროდა. იგი ტანტზე დაემხო და მთლიანად მწუნარებას მიეცა. ედუარდი ისევ კართან იდგა და ვერაფრით შორდებოდა. მეორედ დააკაკუნა, დააკაკუნა მესამედაც ცოტა უფრო მაგრად და ლამის სიჩუმეში ეს კაკუნი შარლოტემ სრულიად გარკვევით გაიგონა. მაშინვე შეშინებული წამოვარდა ფეხზე. ჯერ გაიფიქრა, შეიძლება ეს კაპიტანია, უთუოდ ის იქნებოდა, მერე თავში გაუელვა, შეუძლებელია. ეგონა სმენამ მოატყუა, მაგრამ კაკუნი რომ გაიგონა, ძალიან უნდოდა ეს ასე ყოფილიყო, თან ეშინოდა კიდევ. შარლოტე საწოლ ოთახში გავიდა და ჩუმად მიადგა შპალერგაკრულ ჩარაზულ კარს. იგი თავის თავს უწყრებოდა, რამ შემაშინაო. ხომ შეიძლება ბარონესას რამე დასჭირვებოდა, გაიფიქრა მან და მტკიცედ და მშვიდად დაიძახა: – არის მანდ ვინმე?

ჩუმმა ხმამ უპასუხა: – მე ვარ.

– ვინ შენ? – ჰკითხა შარლოტემ, რადგან ხმაზე ვერ იცნო. მისი აზრით, კართან კაპიტანი უნდა მდგარიყო. ხმამ ცოტა უფრო გასაგონად თქვა: – ედუარდი.

შარლოტემ კარი გააღო, მის წინ მეუღლე იდგა. ედუარდი ხუმრობით მიესალმა, შარლოტემაც მოახერხა მის კილოს აპყოლოდა. ედუარდმა გაუგებარი სტუმრობის ასახსნელად რაღაც მიკიბ-მოკიბა.

– ახლა კი უნდა გამოგიტყდე, – თქვა ედუარდმა ბოლოს, – რისთვის მოვედი. აღქმა დავდე, ამ საღამოს აუცილებლად ვაკოცებ შენს ფეხსაცმელს.

– ამგვარი რამ შენ დიდი ხანია არ მოგსვლია აზრად, – უთხრა შარლოტემ.

– მით უარესი, – უპასუხა ედუარდმა, – და მით უკეთესი.

შარლოტეს მოშიშვლებული ლამის ტანსაცმელი ეცვა, და ეს რომ ედუარდის თვალისთვის მოერიდებინა, სავარძელში ჩაჯდა. ედუარდი მის ფეხებთან დაემხო, ქალმა ვერაფრით მოახერხა თავი დაეცვა მისგან, რომ ფეხსაცმლისთვის არ ეკოცნა, ხოლო როცა ფეხსაცმელი ხელში შერჩა, ედუარდი ქალის ფეხს სწვდა და ნაზად ჩაიკრა გულში.

შარლოტე იმ ქალთა შორის იყო, რომლებიც ბუნებით თავშეკავებულნი არიან და ქმართან ურთიერთობაშიც კი შეყვარებულივით ძალდაუტანებლად და ბუნებრივად იქცევიან. იგი არასოდეს ალაგზნებდა ქმარს, მის წადილსაც კი ძლივს უწევდა ანგარიშს, მაგრამ არც ცივი იყო, არც მიუკარებელი და ყოველთვის სიყვარულით აღსავსე მოკრძალებულ საცოლეს ჰგავდა. გაორებულ გუნებაზე დახვდა იგი ედუარდს იმ საღამოს. რარიგ სურდა ქმარი გასცლოდა, რადგან მეგობრის სევდანარევი სახე თითქოს საყვედურს ეუბნებოდა. ქალი რომ რაღაცით აღელვებული იყო, ამკარად ეტყობოდა. მანამდე იტირა... თუ სუსტი ქალები ასეთ დროს მეტწილად მიმზიდველობას კარგავენ, ისინი, რომლებიც ძლიერები და თავდაჭერილები არიან, უაღრესად ბევრს იგებენ. ედუარდი მეტად ალერსიანი, თავაზიანი და შეუპოვარი იყო. ცოლს მასთან დარჩენის უფლება სთხოვა. კი არ მოითხოვდა, ხუმრობით ცდილობდა მის დაყოლიებას. ამ დროს საკუთარ უფლებებზე არც ფიქრობდა და ბოლოს ჟინმორეულმა ჩააქრო სანთელი.

ბინდუნდში იძალა ერთმანეთისადმი ლტოლვამ, წარმოსახვის ძალამ სინამდვილეზე გაიმარჯვა და თავისი უფლებები განამტკიცა. ედუარდს ოთილიე ჰყავდა ჩახუტებული, შარლოტეს სულს ხან ახლოს, ხან მოშორებით კაპიტანი ელანდებოდა და, რა საოცარიც უნდა მოგეჩვენოთ, ასე მომხიბვლელად და სანეტაროდ გადაიხლართნენ იქ არმყოფნი და იქ მყოფნი.

მიუხედავად ამისა, აწმყო მაინც არ მოგცემს იმის შესაძლებლობას, რომ მოსტაცო მისი შეუზღუდავი უფლება. ღამის ერთი ნაწილი მათ საუბარში გაატარეს და ხუმრობაში და რადგან გული ამ საუბარში არ მონაწილეობდა, თავსაც უფრო ლაღად გრძნობდნენ. მაგრამ მეორე დილით, როცა ედუარდს მეუღლის მკერდზე ჩაძინებულს გაეღვიძა, თითქოს დღე ავად იჭვრიტებოდა ოთახში, მზე კი დანაშაულს ჰფენდა შუქს. ამიტომ ცოლის გვერდით რაღა გააჩერებდა, ჩუმად გაიპარა ოთახიდან, გაღვიძებული შარლოტე კი იმან გააკვირვა, რომ მარტო აღმოჩნდა საწოლში.

თავი მეორე

როცა დილით საზოგადოებამ საუზმეზე მოიყარა თავი, იმისდა მიხედვით, თუ როგორ იქცეოდა ყოველი მათგანი, ყურადღებიან დამკვირვებელს მხედველობიდან არ გამოორჩებოდა მათი შინაგანი განწყობისა და განცდების სხვაობა.

გრაფი და ბარონესა ერთმანეთს შეხვდნენ იმ ხალისიანი განწყობით, რასაც შეყვარებული წყვილი მაშინაც განიცდის, როცა განშორების შემდეგ კვლავ დარწმუნდებიან, რომ ერთმანეთი უყვართ, სამაგიეროდ, შარლოტე და ედუარდი თითქოს დარცხვენილნი, ბრალეულნი შეეგებნენ კაპიტანსა და ოთილიეს. ეს იმიტომ, რომ სიყვარული მხოლოდ საკუთარ უფლებებს ცნობს, ყველაფერი დანარჩენი კი მისთვის არ არსებობს. ოთილიე ბავშვივით ხალისიანი იყო, ხოლო თუ მის თავისებურებებსაც გავითვალისწინებთ, შეიძლება გულდიაც მოგჩვენებოდათ. კაპიტანი სერიოზული ჩანდა. გრაფთან საუბარმა, ეტყობა, ერთხანს მიუყრებელი და მიძინებული ფიქრები აუფორიაქა და დაარწმუნა, რომ აქ თავის პირდაპირ დანიშნულებას ღალატობდა, ძირითადად დროს ნახევრად ქმედით უსაქმურობაში ატარებდა.

როგორც კი გრაფმა და ბარონესამ მიატოვეს ციხე-დარბაზი, ახალი სტუმრები ეწვივნენ, რაც შარლოტეს ესიამოვნა, რადგან სურდა საკუთარ თავს დასხლტომოდა ხელიდან, განხლისებულებიყო, ედუარდს კი პირიქით, ეწყინა, რადგან მას გაუორკეცდა სურვილი ოთილიესთვის მიეხედა, მისთვის დაეთმო დრო, მაგრამ არ ეცალა თვით ოთილიეს, მას ჯერაც არ დაესრულებინა იმ ქაღალდების გადაწერა, ხვალ დილისთვის რომ სჭირდებოდა ედუარდს. ამიტომ მოგვიანებით, როგორც კი სტუმრები წავიდნენ, ოთილიე მაშინვე გაეშურა თავისი ოთახისკენ.

მოსაღამოვდა. ედუარდმა, შარლოტემ და კაპიტანმა სტუმრები ეტლამდე ფეხით მიაცილეს და გადაწყვიტეს ტბორებისკენ გაესეირნათ. სწორედ იმ დღეს ჩამოიტანეს ნავი, რომელიც ედუარდმა საკმაოდ მოზრდილ თანხად გამოიწერა შორიდან. ყველას უნდოდა ენახა, როგორ მოძრაობს, ადვილად სამართავია თუ არა.

ნავი დაბმული იყო შუა ტბორის პირას რამდენიმე ბებერი მუხის შორიანლოს. ეს ხეები მომავალ ნავსაბმელად იყო გათვალისწინებული. ამ ადგილას აპირებდნენ ნავმისადგომის მოწყობას. ხეების ჩრდილში უნდა დაედგათ ლამაზი დასასვენებელი პავილიონი, საითაც იმათ უნდა აეღოთ გეზი, ვინც ტბას გადმოცურავდა.

– ნავმისადგომის მოსაწყობად გაღმა სად შევარჩიოთ ადგილი? – იკითხა ედუარდმა, – მე მგონი ჩემს ჭადრებთან.

– ჭადრები მარჯვნივ დგანან და საკმაოდ შორს, – თქვა კაპიტანმა, – თუ ნაპირს უფრო ქვემოთ მიადგები, ციხე-დარბაზთან უფრო ახლოს იქნები, თუმცა ამას მოფიქრება სჭირდება.

კაპიტანი უკვე ნავის კიჩოზე იდგა და ნიჩაბს იმარჯვებდა. მერე ნავში შარლოტე ჩაჯდა, მას ედუარდი მიჰყვა და მეორე ნიჩაბს ჩასჭიდა ხელი; მაგრამ სწორედ მაშინ, როცა ნაპირს უნდა მოსცილებოდნენ, გაახსენდა ოთილიე, ისიც ივარაუდა, რომ წყალზე გასეირნებას დიდხანს მოუნდებოდნენ, ღმერთმა იცის, როდის დაბრუნდებოდა უკან და გადაწყვეტილება უეცრად მიიღო. ნავიდან ნაპირზე ამოხტა, კაპიტანს მეორე ნიჩაბიც გაუწოდა, ნაჩქარევად მოიბოდიშა და შინისკენ გასწია.

ციხე-დარბაზში მან გაიგო, რომ ოთილიე თავის ოთახში ჩაკეტილა და წერს. იმ ამბავმა, რომ

ოთილიე მისთვის რაღაცას აკეთებდა, სიამოვნება მოჰგვარა, მაგრამ უზომოდ დასწყდა გული, რომ ახლა ვერ ნახავდა. მისი მოუთმენლობა ყოველწამიერად იზრდებოდა. დადიოდა წინ და უკან დიდ დარბაზში, ხან რას წაეპოტინებოდა და ხან რას, მაგრამ მისი ყურადღება ვერაფერმა მიიპყრო. ოთილიეს ნახვა სურდა, ოღონდ მანამდე, სანამ შარლოტე და კაპიტანი დაბრუნდებოდნენ. დალამდა, სანთლები აანთეს.

ბოლოს გამოჩნდა ოთილიეც, კმაყოფილებისგან სახეზე ნათელი ეფინა. იმის შეგნებამ, რომ მეგობრისთვის რაღაც გააკეთა, იგი მთელი არსებით აამაღლა საკუთარ თვალში. ოთილიემ ორიგინალი და ასლი ედუარდს მაგიდაზე დაუდო და ღიმილით ჰკითხა: – შევადაროთ?

ედუარდმა არ იცოდა, რა ეპასუხა. ჯერ ოთილიეს მიაპყრო მზერა, შემდეგ კი გადაწერილს დახედა. პირველი ფურცლები უდიდესი გულმოდგინებით იყო დაწერილი ქალის ნაზი ხელით, შემდეგ ნაწერი თითქოსდა შეიცვალა, უფრო მსუბუქი და თავისუფალი გახდა. მაგრამ ყველაზე მეტად ედუარდი მაშინ გაოცდა, როცა უკანასკნელ გვერდებს შეავლო თვალი: – ღმერთო ჩემო! ამას რას ვხედავ? – წამოიძახა მან, – ეს ხომ ჩემი ხელია.

იგი ხან ოთილიეს უყურებდა, ხან ფურცლებს დახედავდა. განსაკუთრებით ბოლო გვერდი ისეთი იყო, თითქოს პირადად მას დაეწეროს. ოთილიე დუმდა, მაგრამ უდიდესი კმაყოფილებით შესცქეროდა ედუარდს თვალებში. ედუარდმა ხელები ზეაღაპყრო: – მე შენ გიყვარვარ! – წამოიძახა მან, – ოთილიე, მე შენ გიყვარვარ!

ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ. ძნელი გასარკვევი იყო, ვინ გადაეხვია პირველი მეორეს.

იმ წამიდან ედუარდისთვის სამყარო შეიცვალა, აღარც თვითონ იყო ისეთი, როგორც ადრე და აღარც ქვეყანა. ედუარდი და ოთილიე ერთმანეთის პირისპირ იდგნენ, მას ქალიშვილის ხელები ეჭირა ხელში, თვალი თვალში ჰქონდათ გაყრილი და მზად იყვნენ კვლავ გადახვეოდნენ ერთმანეთს.

ამ დროს შარლოტე და კაპიტანი დაბრუნდნენ. ისინი ბოდიშს იხდიდნენ შეგვაგვიანდაო, ედუარდს კი გუნებაში ეღიმებოდა და ფიქრობდა: „ო, რა ადრე დაბრუნდით!“

ვანშმის დროს საუბარი იმდღევანდელ სტუმრებზე ჩამოვარდა. სიყვარულით გამსჭვალული და აღელვებული ედუარდი ყველაზე კარგი აზრისა იყო, ზოგს აქებდა, სხვების მიმართ შემწყნარებლობას იჩენდა. შარლოტემ, რომელიც მთლიანად არ იზიარებდა მის აზრს, შენიშნა ედუარდის განწყობა და გაეხუმრა, რომ იგი ყოველთვის უმკაცრესად კილავდა გამგზავრებულთ, ამჟამად კი დიდად მოწყალე და ღმობიერია.

ედუარდმა დაბეჯითებით და მგზნებარედ წამოიძახა: – საკმარისია ერთი არსება შეიყვარო სულითა და გულით და მაშინ ყველა სანდომიანი გეჩვენება.

ოთილიემ თვალები დახარა, შარლოტე კი სივრცეს მიაჩერდა.

თავისი აზრი კაპიტანმაც გამოთქვა: – ასეთი გრძნობა ხომ მაშინაც გეუფლება, როცა სხვის მიმართ დიდ მოწიწებასა და თაყვანისცემას განიცდი. ამქვეყნად ფასეულს მხოლოდ მაშინ შეიცნობ, როცა ამგვარი გრძნობა ერთი ობიექტის მიმართ გიჩნდება.

შარლოტეს ერთი სული ჰქონდა თავის საწოლ ოთახში გასულიყო და თავიდან მოეგონებინა ყველაფერი ის, რაც ამ საღამოს მას და კაპიტანს შორის მოხდა.

როცა ედუარდი ნაპირზე გადახტა, ნავი ხელისკვრით წყალში შეაცურა, და ცოლი და მეგობარი მერყევ სტიქიას მიახლო, შარლოტე ბინდბუნდში აღმოჩნდა იმ კაცის პირისპირ, ვისთვისაც ფარულად ამდენი ტანჯვა გამოიარა და ვინც ახლა ნიჩბების მოსმით იქით მიაცურებდა, საითაც უნდოდა. ქალმა იგრძნო ღრმა სევდა, ასეთი რამ იშვიათად განუცდია. ამ ყოვლისმომცველ სიჩუმეში ყველაფერს – ნავის სრიალს, ნიჩბების ტყლაშუნს, ნიავის წყლის ზედაპირზე მსუბუქად ქროლვას, ლერწმის შრიალს, ჯერ კიდევ დაუბრუნებელი ჩიტების ნავარდს, პირველი ვარსკვლავების გამობრწყინებას და ციმციმს – რაღაცნაირი მოჩვენებითი ხასიათი ჰქონდა. მან წარმოიდგინა, თითქოს მეგობარს აქედან სადღაც შორს მიჰყავდა, სადაც გადმოსვამდა და მარტოს დატოვებდა. საშინლად უცემდა გული, მაგრამ ტირილი არ შეეძლო.

ამ დროს კი კაპიტანი უყვებოდა, თუ როგორი იქნებოდა მისი აზრით პარკი, აქებდა ნავის თვისებებს, ამბობდა, რომ მისი მართვა ორი ნიჩბით ერთ ადამიანსაც შეუძლია. ამას თქვენც ადვილად ისწავლითო, ძალზე სასიამოვნო გრძნობაა, როცა მარტო მიცურავ წყალზე და მესაჭეც შენა ხარ და მენიჩბეც.

ამ სიტყვებმა შარლოტეს გული ატკინა, რადგან მომავალი განშორება გაახსენა. „ამას განზრახ ამბობს, – გაიფიქრა მან, – მაგრამ იცის კი რამე ამის შესახებ? ალბათ ხვდება, ან შეიძლება

სრულიად შემთხვევით ამბობს, ქვეცნობიერად ბედს მიწინასწარმეტყველებს?“ ქალი შეიპყრო დიდმა მწუხარებამ და მოუთმენლობამ. მან კაპიტანს სთხოვა, რაც შეიძლება სწრაფად მისდგომოდა ნაპირს და ციხე-დარბაზში დაბრუნებულიყვნენ.

კაპიტანი ნავით პირველად სერავდა ტბორებს და მიუხედავად იმისა, რომ მათი სიღრმე გამოკვლეული ჰქონდა, ცალკეულ ადგილებს მაინც ცუდად იცნობდა. ამასობაში ჩამობნელდა, კაპიტანმა ნავი იჭითკენ წაიყვანა, სადაც გადმოსასვლელად მოხერხებული ადგილი ეგულებოდა და ციხე-დარბაზისკენ მიმავალი უმოკლესი ბილიკიც იქვე იწყებოდა. მაგრამ როცა შიშით შეპყრობილმა შარლოტემ კვლავ გაუმეორა, მინდა მალე მოვხვდე ნაპირზე, კაპიტანმა გეზი სწორად აიღო და ნაპირს ასცდა. იგი ისევ დააწვა ნიჩბებს, ნაპირს მიუახლოვდა, მაგრამ იგრძნო, რომ ორიოდ ნაბიჯზე ნავი შეჩერდა, მეჩჩე დაჯდა და კაპიტანის მთელი მონდომება, დაედრა იგი ადგილიდან, ამო აღმოჩნდა. რა უნდა ექნა? მას აღარაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ წყალში შეეტოპა და მეგობარი ხელში ატატებული ფონით გაეყვანა ნაპირზე. მან გაიყვანა კიდეც ძვირფასი არსება მშვიდობიანად ნაპირზე, იმდენად ღონიერი იყო, რომ არ ბარბაცებდა და ქალს ასაღელვებელი არაფერი ჰქონდა, მაგრამ შიშისგან მკლავები მაინც მოხვია კისერზე. კაპიტანს იგი მაგრად ეჭირა და გულში იკრავდა. აღელვებულმა და დაბნეულმა ქალი მხოლოდ მოლიან ფერდობზე დაუშვა ძირს. ქალს ხელები ჯერ კიდეც მის კისერზე ჰქონდა შემოჭდობილი. მაშინ კაპიტანმა კვლავ მოიმწყვდია მკლავებში და მაგრად აკოცა ტუჩებში, მაგრამ იმწამსვე მის ფერხთით დაემხო, ტუჩებით ხელზე დაეკონა და წამოიძახა: – მაპატიებთ, შარლოტე?

კოცნამ, რომელიც მეგობარმა აკადრა და რაზედაც ლამის თვითონაც უპასუხა, შარლოტე გონს მოიყვანა. მან კაპიტანს ხელზე ხელი მოუჭირა, მაგრამ ფეხზე არ წამოუყენებია, მაშინვე მისკენ დაიხარა, ცალი ხელი მხრებზე დაადო და წამოიძახა: – ამ წამმა ჩვენს ცხოვრებაში ეპოქა შექმნა და ამას აღარაფერი ეშველება, მაგრამ იგი რომ ჩვენი ღირსი იყოს, უკვე ჩვენზეა დამოკიდებული. თქვენ აქედან უნდა წახვიდეთ, ძვირფასო მეგობარო, და წახვალთ კიდეც. გრაფი თქვენი ბედის გაუმჯობესებაზე ზრუნავს, ეს მახარებს და გულსაც მტკენს. მე არაფრის თქმას არ ვაპირებდი, სანამ ყველაფერი არ გაირკვეოდა, მაგრამ ამ წამმა მაიძულა, ეს საიდუმლო თქვენთვის გამემხილა. მე მხოლოდ იმ შემთხვევაში შემიძლია გაპატიოთ თქვენ ეს და ვაპატიო ჩემს თავსაც, თუ გვეყოფა გამბედაობა და შევცვლით ჩვენს მდგომარეობას, რადგან ჩვენი გრძნობის შეცვლა ჩვენ არ შეგვიძლია.

შარლოტემ კაპიტანი ფეხზე წამოაყენა, რომ დაყრდნობოდა, მკლავი გაუყარა და ასე მდუმარედ მიაღწიეს ციხე-დარბაზამდე.

ახლა კი შარლოტე თავის საწოლ ოთახში იდგა, თავი ედუარდის მეუღლედ უნდა ეგრძნო და შეეცნო. ამგვარ წინააღმდეგობრივ მდგომარეობაში მყოფს დახმარება გაუწია სიმხნევემ და ცხოვრებაში მრავალმხრივ ნაწრთობმა ხასიათმა. მას ჩვევად ჰქონდა გაერკვეს საკუთარ თავში, მოთოკოს საკუთარი მე და ამის მიღწევა არც ამჯერად გასჭირვებია, სერიოზული განსჯის შემდეგ, კვლავ აღადგინა სასურველი წონასწორობა. უნებურად გაეღიმა, როცა წინა ლამის საოცარი სტუმრობა გაახსენდა, მაგრამ მალე უცნაურმა წინათგრძნობამ შეიპყრო, სიხარულისა და შიშის ცანცანმა აიტანა, რაც ნეტარების მომგვრელ სურვილებსა და იმედებში გადაიზარდა. გულაჩუყებული შარლოტე მუხლებზე დაემხო და გაიმეორა ფიცი, საკურთხევლის წინ რომ მისცა ედუარდს. მეგობრობამ, ლტოლვამ, თავგანწირვამ საამურ სურათებად ჩაუარა თვალწინ. მან შინაგანად განკურნებულად იგრძნო თავი. ამასობაში მთელი მისი არსება სასიამოვნოდ დაღლილობამ მოიცვა და მშვიდად ჩაეძინა.

თავი მეცამეტე

ამ დროს ედუარდი სულ სხვაგვარი განწყობით იყო შეპყრობილი, დაძინებაზე ისე ცოტას ფიქრობდა, რომ აზრადაც არ მოსვლია, ტანთ გაეხადა. გადაწერილ საბუთს ათასჯერ აკოცა, უფრო სწორად, პირველ ფურცელს, ოთილიეს ბავშვურად გაუბედავი ხელით ნაწერს. ბოლო ფურცელს კოცნას ძლივს უბედავდა, რადგან ეგონა, თითქოს მისი ხელით იყო დაწერილი. „ო, ეს რომ სხვა საბუთი იყოს!“ – გაიფიქრა მან, და მაინც მისთვის ესეც საუკეთესო დასტური იყო იმისა, რომ აღსრულდა მისი უდიდესი სურვილი. ქალაქები ხომ მის ხელში რჩებოდა, შეეძლო მუდამ გულში ჩაეკრა, თუნდაც მესამე ხელმოწერით დამახინჯებული!

ნამლევა მთვარე ტყის ზემოთ ამოვიდა. თბილი ღამე ედუარდს გარეთ უხმობდა, დახეტილებდა

აღმა-დაღმა, იგი ყველა მოკვდავს შორის ყველაზე მოუსვენარი და ყველაზე ბედნიერი იყო. დაბორილებდა ბალებში, რომლებიც ევიწროებოდა, მიეშურებოდა მინდვრისკენ, რომელიც უკიდევანოა. ბოლოს ისევ ციხე-დარბაზისკენ გამოუწია გულმა, ოთილიეს ფანჯრის ქვეშ აღმოჩნდა და ტერასის კიბეზე დაჯდა. ახლა ჩვენ კედლები და ურდულები გვყოფენ ერთმანეთისგან, – ფიქრობს თავისთვის, მაგრამ ჩვენი გულები განუყოფელია. ჩემ წინ რომ იდგეს, გულში ჩამეკვრებოდა, მე კი მას ჩავეკვრებოდი, რაკი ამაში დარწმუნებული ვარ, სხვა რაღა მჭირდება! მის ირგვლივ ყველაფერი გაყუჩებულიყო, ჰაერი არ იძროდა, ისეთი სიჩუმე სუფევდა, რომ მიწის ქვეშ მუყაითად მოფუთფუთე ცხოველთა ხმაც კი ესმოდა, მღრღნელებისთვის ხომ დღე და ღამე ერთია. ედუარდი ერთიანად მიეცა ბედნიერების მომგვრელ ოცნებებს, ბოლოს ჩაეძინა და მხოლოდ მაშინ გაიღვიძა, როცა მშვენივრად მომზირალი მზე ამობრწყინდა და ალიონის ნისლი გაფანტა.

ამგვარად იგი პირველი კაცი იყო, ვისაც მის სამფლობელოში ეღვიძა. ჯერ მოეჩვენა, რომ მუშებს მეტისმეტად შეაგვიანდათ. როგორც იქნა გამოჩნდნენ, მაგრამ ახლა მათი რიცხვი ეცოტავა. სურდა დღეს რაც შეიძლება მეტი სამუშაო შეესრულებინათ შესაბამისად მეტი მუშახელი მოითხოვა. შეჰპირდნენ და მალევე მოჰგვარეს, მაგრამ თავისი გეგმის სწრაფად განხორციელებისთვის ისინიც ეცოტავა. საქმე უკვე სინარულს აღარ ჰგვრიდა, უნდოდა ყველაფერი მზად ყოფილიყო, მერედა ვისთვის? გზები გაყვანილი უნდა იყოს, რომ ოთილიეს არ გაუჭირდეს სიარული; ძელსკამები თავის ადგილას უნდა იყოს, რომ ოთილიემ შეძლოს დასასვენებლად ჩამოჯდომა. მან ახალი სახლის მშენებლობასაც შეუნთო ცეცხლი: ოთილიეს დაბადების დღისთვის სახლი დამთავრებული უნდა იყოს. ედუარდმა ფიქრებშიც დაკარგა ზომიერება და მოქმედებაშიც. შეგნება იმისა, რომ მასაც უყვარდა და იგიც უყვარდათ, უსასრულობისკენ მიაქანებდა. რა შეცვლილი ეჩვენებოდა ყველა ოთახი, მთელი გარემო! თავის სახლში საკუთარ თავს ვეღარ პოულობდა. ოთილიეს აქ ყოფნა ყველაფერს ნთქავდა: ედუარდი მთლად გაითქვიფა მასში, სხვა არაფერზე ფიქრობდა, სინდისი არაფერს ეუბნებოდა. ყველაფერმა, რაც აქამდე მის არსებაში შებოჭილიყო, ერთბაშად იფეთქა და სულიან-ხორციანად ოთილიესკენ დაიძრა.

კაპიტანი აკვირდებოდა ამ აღტკინებული კაცის ფაციფუსს და ცდილობდა მისთვის სავალალო შედეგები აეცდინა. მთელი სამუშაო, ახლა რომ ცალმხრივად და უსწრაფესად კეთდებოდა, კაპიტნის ვარაუდით, ოჯახური სიმყუდროვისთვის იყო გათვალისწინებული. ფერმა მისი მეცადინეობით გაიყიდა, მყიდველმა თანხის ერთი ნაწილი გადაიხადა და, როგორც წინასწარ შეთანხმდნენ, ეს თანხა შარლოტემ თავის სალაროში შეიტანა. მაგრამ იგი პირველი კვირიდანვე უფრო სერიოზულად, მოთმინებითა და ყაირათიანად იქცეოდა, ვიდრე სხვა დროს, რადგან მეტისმეტი აჩქარების გამო ეს თანხა დიდხანს არ ეყოფოდათ.

ბევრი რამ იყო დაწყებული, კიდევ უფრო მეტი გასაკეთებელი და როგორ უნდა დაეტოვებინა კაპიტანს შარლოტე ასეთ მდგომარეობაში! მათ მოილაპარაკეს და შეთანხმდნენ, რომ ჯობია გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები თვითონვე დააჩქარონ, ფული ისესხონ, ხოლო ვალის დასაბრუნებლად ის ვადა დაადგინონ, როცა ფერმის მყიდველი დარჩენილ ფულს გადაუხდით. ამის გაკეთება თითქმის ზარალის გარეშე მოხერხდა, რადგან ამ თანხის აღების უფლება მევალეს დაუთმეს. ამ შემთხვევაში ხელ-ფეხი გაეხსნათ და რაკი ყველაფერი საათივით იყო აწყობილი და არც მუშახელი აკლდათ, მიზანსაც მალე მიაღწიეს. ედუარდი სიამოვნებით ეთანხმებოდა მათ, რადგან ეს მის ზრახვებს შეესაბამებოდა.

გულის სიღრმეში შარლოტე თავის ჩანაფიქრსა და გადაწყვეტილებას არ ღალატობდა, ასევე განწყობილი მეგობარი ვაჟკაცურად ედგა მხარში, მაგრამ სწორედ ამის გამო ისინი უფრო დაახლოვდნენ. ლაპარაკობდნენ ედუარდის გატაცებაზე, მსჯელობდნენ იმაზე, რა ექნათ. შარლოტემ კიდევ უფრო დაიახლოვა ოთილიე, უფრო მკაცრად ადევნებდა თვალყურს და რაც უფრო ღრმად იხედებოდა საკუთარ გულში, მით უფრო კარგად ამჩნევდა, რა ხდებოდა გოგონას გულში. ხსნას შარლოტე მხოლოდ ოთილიეს მუშაობაში ხედავდა.

მან ბედნიერ დამთხვევად მიიჩნია, რომ პანსიონში მისმა ქალიშვილმა, ლუციანემ მეტისმეტად დიდი ქება დაიმსახურა: როცა ბებიამისის დამ ეს გაიგო, გადაწყვიტა სამუდამოდ თავისთან წაეყვანა, რომ გვერდით ჰყოლოდა და მაღალ საზოგადოებაში გაეყვანა. ახლა ოთილიეს შეეძლო პანსიონში დაბრუნება, კაპიტანი აქაურობას გაეცლებოდა, კარგად უზრუნველყოფილი კაცი გახდებოდა და ყველაფერი იმავე კალაპოტში ჩადგებოდა, როგორც რამდენიმე თვის წინ იყო, შეიძლება მათი ცხოვრება ბევრად უკეთესიც კი გამხდარიყო. შარლოტეს იმედი ჰქონდა, რომ ედუარდთან პირად ურთიერთობას მალე აღადგენდა, და ყველაფერი ეს ისე დალაგებით მოიფიქრა, თითქოს შესაძლებელი იქნებოდა დაჰბრუნებოდა უწინდელ შეზღუდულ მდგომარეობას, ისევ გამოემწყვდია ჩიხში ის, ვინც იძალა და თავი აიწყვიტა.

ამასობაში ედუარდმა იგრძნო, რომ მეტისმეტად ძლიერ დაბრკოლებებს უქმნიდნენ, მალე ისიც შეამჩნია, მას და ოთილიეს ერთმანეთს აშორებდნენ, არ აძლევდნენ მასთან მარტო ლაპარაკის,

მიახლოების საშუალებასაც კი, თუ ირგვლივ სხვები არ ტრიალებდნენ. ამით გაღიზიანებულ ედუარდს ბევრი სხვა რამეც აღიზიანებდა. თუ შემთხვევით ოთილიეს გამოელაპარაკებოდა, არა მარტო თავის სიყვარულში არწმუნებდა, არამედ საყვედურებსაც გამოთქვამდა მეუღლისა და კაპიტნის მიმართ. იგი ვერ გრძნობდა, რომ გამალებული საქმიანობით სალაროს აცარიელებდა და ამიტომ მწარედ კიცხავდა შარლოტესა და კაპიტანს, საქმეს პირვანდელი შეთანხმების საწინააღმდეგოდ აკეთებენო, მაგრამ მან თვითონ მოიწონა მეორე შეთანხმება, საჭიროდ მიიჩნია და მათაც აქეზებდა.

სიძულვილმა მიკერძოება იცის, მაგრამ კიდევ უფრო მეტი მიკერძოება იცის სიყვარულმა. რამდენადმე ოთილიეს გაუცხოვდა შარლოტესა და კაპიტნის მიმართ. ერთხელ ედუარდმა ოთილიეს შესჩივლა, ამ ვითარებაში კაპიტანი, როგორც მეგობარი, მთლად გულწრფელად არ იქცევას, ოთილიემ დაუფიქრებლად მიუგო: – მე ადრეც არ მომწონდა, რომ იგი თქვენდამი კეთილსინდისიერად არ იყო განწყობილი. ერთხელ გავიგონე როგორ უთხრა შარლოტეს: ნეტავ ედუარდმა დაგვინდოს და თავისი ფლეიტის წრიპინით არ შეგვაღონოს, მისი დაკვრიდან არაფერი გამოდის, მოსასმენად კი მეტისმეტად მოსაბეზრებელიაო. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ მატკინეს ამ სიტყვებმა გული, მე ხომ სიამოვნებით გიწევთ აკომპანემენტს.

ჯერ კიდევ არ ჰქონდა ლაპარაკი დამთავრებული, შინაგანმა ხმამ რომ ჩასჩურჩულა, ჯობდა არაფერი ეთქვა, მაგრამ გვიანდა იყო. ედუარდს სახე შეეცვალა, ამაზე მეტად არასოდეს არაფერს გაუხელებია. როგორ შებღალეს მისთვის ესოდენ სანუკვარი რამ, ის ხომ ამით თავს არ იწონებდა, მხოლოდ ბავშვური გატაცება ამოძრავებდა. მის გატაცებას მეგობრები უფრო სათუთად უნდა მოქცეოდნენ. ედუარდი არც კი ფიქრობდა იმაზე, თუ რა საშინელებაა მესამისთვის უსმინოს უნიჭო მუსიკოსს, ყურებს რომ უჭედავს. იგი შეურაცხყოფილი, გაცოფებული იყო და არაფრის პატიება არ შეეძლო, იგრძნო, რომ მათ წინაშე არავითარი მოვალეობა აღარ აწევს.

ედუარდს დღითი დღე ემატებოდა ოთილიეს გვერდით ყოფნის, მისი ნახვის, რაღაცის ჩურჩულით გაზიარების სურვილი. ოთილიეს ნდობის მოპოვება მისთვის აუცილებელი გახდა, ამიტომ გადაწყვიტა წერილი მიეწერა და ეთხოვა საიდუმლო მიმოწერა ჰქონოდათ. ქალაქის ნაგლეჯი, რაზედაც მან ეს თხოვნა საკმაოდ ლაკონიურად დაწერა, მაგიდაზე იდო და ქარმა ძირს გადმოაფრიალა, როცა ოთახში კამერდინერი შემოვიდა, რომ მისთვის თმა დაეხვია. მაშინ სიმხურვალის შესამოწმებლად, ის ჩვეულებრივ იატაკიდან რამე ნახევს იღებდა. ამჯერად ხელში ედუარდის ნაწერი მოხვდა, აიღო, სწრაფად დაჭმუჭნა და მამას დაადო; ქალაქი შეირუჯა. ედუარდმა შენიშნა მსახურის დაუდევრობა და ბარათი ხელიდან გამოჰგლიჯა. ამის შემდეგ კვლავ დაჯდა წერილის დასაწერად, მაგრამ კალამი ისე აღარ ემორჩილებოდა. აწვალებდა ფიქრი, რაღაც აღელვებდა, რასაც ბოლოს მაინც სძლია. მან მაშინვე ჩაუდო ოთილიეს ბარათი ხელში, როგორც კი მის გვერდით აღმოჩნდა.

ოთილიეს პასუხის გაცემა არ დაუყოვნებია. ედუარდმა ბარათი წაუკითხავად ჩაიღო მოდური, მოკლე ჟილეტის ჯიბეში. ჯიბიდან გამოჩრილი ბარათი ისე დავარდა იატაკზე, რომ მან ეს ვერ შეამჩნია. შარლოტემ თვალი მოჰკრა ქალაქს, იატაკიდან აიღო, ზერელედ შეათვალიერა და ქამარს გაუწოდა.

– აქ რაღაც შენი ხელითაა ნაწერი, იქნებ დასაკარგავად არ გემეტება, – თქვა შარლოტემ.

ედუარდი შეცბა. „თავს ხომ არ იკატუნებს? – გაიფიქრა მან, – იცის ბარათის შინაარსი, თუ ხელნაწერის მსგავსებამ შეიყვანა შეცდომაში?“ საგონებელში ჩავარდა, იმედი ჰქონდა, რომ სწორედ ასე მოხდა. იგი გააფრთხილეს, ორმაგად გააფრთხილეს, მაგრამ ის უცნაური, შემთხვევითი ნიშნები, რომელთა მეშვეობით თითქოს უზენაესი არსება გვესაუბრება, მისი ვნებისთვის გაუგებარი იყო. პირიქით, რაც უფრო მეტად იპყრობდა ვნება, მით უფრო აღიზიანებდა ის შეზღუდვები, რომელთაც ყოველ ნაბიჯზე აწყდებოდა. ედუარდის გულითადობა სადღაც გაქრა, გულჩათხრობილი გახდა, ხოლო როცა ცოლთან და მეგობართან ყოფნა უხდებოდა, სასოწარკვეთილი ველარ ახერხებდა მათდამი სიყვარულის გაცოცხლებას. ამის გამო თავის თავს უნებურად უსაყვედურებდა, რაც არ სიამოვნებდა და ცდილობდა იუმორს ამოფარებოდა, მაგრამ სიყვარულს მოკლებულ იუმორს ჩვეული მომხიბვლელობა აკლდა.

მთელ ამ განსაცდელს რომ გამკლავებოდა, შარლოტეს სულიერი სიმტკიცე მატებდა ძალას. მას შეგნებული ჰქონდა, რაოდენ სერიოზული იყო მისი განზრახვა, უარი ეთქვა მშვენიერ და კეთილშობილ სიყვარულზე.

შარლოტეს ძალიან უნდოდა, ედუარდისა და ოთილიესთვის გაეწია დახმარება. გრძნობდა, რომ ამგვარი სენის განკურნებისთვის მარტო მათი დაშორება არ იკმარებდა. მას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, ამის შესახებ ქალიშვილს დალაპარაკებოდა, მაგრამ ვერ შეძლო: ძალას საკუთარი ორჭოფობის გახსენება აცლიდა. ცდილობდა ამაზე ზოგადად ელაპარაკა, ეს ზოგადობა მის პირად მდგომარეობასაც ესადაგებოდა, მაგრამ მხოლოდ ამის გამხელას ერიდებოდა. ყოველი გადაკრული

სიტყვა, რომელიც ოთილიესთვის უნდა ეთქვა, მისივე გულს მწარედ მოხვდებოდა. სურდა ქალიშვილი გაეფრთხილებინა, მაგრამ გრძნობდა, რომ თვით მას სჭირდებოდა გაფრთხილება. ამიტომ დუმდა და ცდილობდა, შეყვარებულები ერთმანეთთან არ მიეშვა, ამით კი მდგომარეობა არ უმჯობესდებოდა. ოდნავ გადაკრული სიტყვები, ხანდახან რომ დასცდებოდა, ოთილიეზე არ მოქმედებდა, რადგან ედუარდმა დაარწმუნა, შარლოტეს კაპიტანი უყვარს, თვითონ სურს გაყრა და ამის მოგვარებას წესიერი გზით აპირებსო.

ოთილიე სასურველი ბედნიერებისკენ მიმავალ გზაზე თავს უდანაშაულოდ გრძნობდა და მხოლოდ ედუარდისთვის ცხოვრობდა. მისდამი სიყვარულის გამო ყოველივე კარგს მეტი მონდომებით ეტანებოდა, უფრო ხალისიანად შრომობდა, უფრო გულდია იყო სხვებთან და თავი მიწიერ სამოთხეში ეგონა.

ასე გრძელდებოდა მათი ყოველდღიური ცხოვრება, ყველა თავისებურად იქცეოდა. ზოგი დაფიქრებული მიჰყვებოდა დინებას, ზოგიც დაუფიქრებლად, და ყველაფერი თითქოს ჩვეულებრივი გზით მიდიოდა, მსგავსად იმისა, როგორც ეს ხდება თავზარდამცემ შემთხვევებში, როცა ყველაფერს საფრთხე ელის და მაინც განაგრძობენ ცხოვრებას, ვითომც არაფერი მომხდარაო.

თავი მეთოთხმეტე

ამასობაში კაპიტანმა გრაფის წერილი მიიღო, ერთი კი არა, ორი წერილი: ერთი სხვებისთვის წასაკითხად, სადაც აღწერილი იყო შესანიშნავი პერსპექტივები, მას რომ მომავალში ელოდა, მეორე კი უფრო საშური, განსაზღვრულ პირობებს შეიცავდა – სთავაზობდნენ ჩინებულ ადგილს კარის კანცელარიაში, მაიორის წოდებას, დიდ ხელფასს და სხვა უპირატესობებს. ეს წერილი სხვადასხვა განსაკუთრებული მიზეზის გამო ჯერჯერობით საიდუმლოდ უნდა შეენახა. კაპიტანმაც თავის მეგობრებს მხოლოდ ის გააცნო, სადაც მომავლის იმედებზე იყო საუბარი, ხოლო ის, რაც მალე უნდა მომხდარიყო – დაუმალა.

ამავე დროს იგი ყოველდღიურ საქმეს უნარიანად უძღვებოდა, სხვებისგან ფარულად წინასწარ იჭერდა თადარიგს, რომ მისი აქ არ ყოფნის დროს, მუშაობა შეუფერხებლად გაგრძელდებოდა. ახლა მისთვის მნიშვნელოვანი იყო განსაზღვრული დროისთვის დაესრულებინათ საქმე, სახლი ოთილიეს დაბადების დღისთვის მაინც ყოფილიყო მზად. და აი, ორივე მეგობარი ერთად შეუდგა მუშაობას, თუმცა მათ შორის ნამდვილი თანხმობა აღარ არსებობდა. ედუარდი დიდად კმაყოფილი იყო იმით, რომ მთელი ფული წინასწარ ამოიღეს, სალარო შეივსო. საქმე სწრაფად მიიწევდა წინ. ახლა კაპიტანს ყველაფერს ერჩია, ედუარდს ხელი ააღებინოს განზრახვაზე, რომ სამი ტბორი ერთ ტბად აქციონ. ქვედა კაშხალს აუცილებლად სჭირდებოდა გამაგრება, შუა კაშხალები კი უნდა მოერღვიათ, ყველაფერი ეს მრავალი მოსაზრებით იყო სახიფათო და დამაფიქრებელი. მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებული ეს ორი სამუშაო უკვე დაწყებული იყო და სწორედ ამ დროს ჩამოვიდა ახალგაზრდა არქიტექტორი, კაპიტანის ყოფილი მოწაფე. მან სწრაფად წასწია საქმე წინ ნაწილობრივ მარჯვე ოსტატების დაქირავებით, ნაწილობრივ კი იმ სამუშაოების იჯარით გაცემით, სადაც ეს მოსახერხებელი იყო და გასაკეთებელი კარგა ხნით საიმედო ხელში აღმოჩნდა. კაპიტანს გულში უხაროდა, რომ მისი აქ არყოფნა საგრძნობი არ იქნებოდა, რადგან მისი პრინციპი იყო, დაწყებულ საქმეზე მანამდე არ აეღოთ ხელი, სანამ საიმედო შემცვლელი არ გამოჩნდებოდა. მას ეზიზღებოდა ისინი, ვინც თავის წასვლას საგრძნობს ხდის, განგებ შეაქვს არეულ-დარეულობა საქმეში და რადგან გაუნათლებელი ეგოისტები არიან, ცდილობენ დაანგრიონ, რაზეც მუშაობა აღარ მოუწევთ.

ამგვარად მუშაობდნენ დაძაბულად, მუხლჩაუხრელად. უნდოდათ ოთილიეს დაბადების დღე ზეიმით აღენიშნათ, თანაც ისე, რომ ამაზე კრინტს არავინ ძრავდა, საკუთარ თავსაც კი არ უმხელდნენ ამას გულწრფელად. თუმცა შარლოტე არ იყო შურიანი, მაგრამ მისი აზრით, ეს დღე არაფრით არ შეიძლებოდა ყოფილიყო ნამდვილი ზეიმი. ოთილიეს სიყმაწვილე, მდგომარეობა, რომელშიც ბედის წყალობით აღმოჩნდა, მათი ოჯახისადმი დამოკიდებულება მას არავითარ უფლებას არ აძლევდა თუნდაც ერთი დღით დედოფალი ყოფილიყო. ედუარდს კი არ უნდოდა ამაზე ნაადრევი ლაპარაკი, რადგან ყველაფერი განსაცვიფრებელი თითქოსდა თავისთავად უნდა მომხდარიყო – ბუნებრივად, სასიხარულოდ.

ამიტომ მდუმარედ შეთანხმდნენ, რომ ხალხის და მეგობრების მოსაპატიჟებლად და ზეიმის გასამართავად მოიმიზეზებდნენ საზაფხულო სახლის მშენებლობის დამთავრებას და ამას სხვა

არაფერს დაუკავშირებდნენ.

მაგრამ ედუარდის სიყვარული უსაზღვრო იყო. ისე ენატრებოდა ოთილიეს დასაკუთრება, რომ ზღვარი არ ედო მის თავგანწირვას, გაცემას, დაპირებას. ის საჩუქრები, შარლოტემ რომ შესთავაზა, მიერთმია ოთილიესთვის, მეტისმეტად უბადრუკი მოეჩვენა. იგი მოეთათბირა იმ კამერდინერს, მის გარდერობს რომ განაგებდა, და სოვდაგრებთან თუ მოდური ტანსაცმლით მოვაჭრებთან მუდმივი კავშირი ჰქონდა. კამერდინერმა, რომელიც საკმაოდ გათვითცნობიერებული იყო იმაში, როგორი საჩუქარი უფრო სიამოვნებს ადამიანს და როგორ ჯობს მისი მირთმევა, რომ საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინოს, მაშინვე შეუკვეთა ქალაქში საუკეთესო სკივრი: წითელი ტორსიკონით გადაკრული, ფოლადის ლურსმნებით შეჭედილი და გატენილი ამგვარი გარსის საკადრისი საჩუქრებით.

კამერდინერმა ედუარდს სხვა რამეც ურჩია. მათ პატარა, ფერადი შუშუნები ჰქონდათ, მაგრამ არასოდეს გამოუყენებიათ. ამ მარაგს ადვილად შეავსებდნენ და მოქმედების არეს გააფართოებდნენ. ედუარდი ჩაებლაუჭა ამ წინადადებას, კამერდინერი კი დაჰპირდა ყველაფერზე ვიზრუნებო. ეს საქმე მათ შორის საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო.

ამასობაში კაპიტანმა, რამდენადაც ახლოვდებოდა ეს საზეიმო დღე, პოლიციასთან მოაგვარა საქმე, რაც ესოდენ საჭიროდ მიაჩნდა, როცა ბევრი ხალხი იყრის თავს. ის კი არადა, წინასწარ იზრუნა იმაზეც, რომ გაეყარათ მათხოვრები და მიეხედათ სხვა შემაწუხებელი ამბებისთვის, რის გამოც ზეიმი მიმზიდველობას კარგავს.

ედუარდი და მისი მესაიდუმლე ამ დროს ყველაზე მეტად ფეიერვერკებით იყვნენ დაკავებულნი. იგი უნდა აეშუშუნებინათ შუა ტბორის პირას მდგარ დიდ მუხებთან, საზოგადოება კი უნდა მდგარიყო მოპირდაპირე მხარეს ცაცხვების ქვეშ, რათა უსაფრთხოდ და მოხერხებულად დაენახათ მისი ეფექტი – ცეცხლის ენების წყლის ზედაპირზე თამაში და არეკვლა.

ედუარდმა რაღაც მოიმიზეზა და ბუჩქების, ბალახისა და ხავსისგან გააწმენდინა მთელი ის ადგილი, ცაცხვებს რომ ეჭირათ და მხოლოდ ახლა გამოჩნდა ტანაყრილი ხეების სიმშვენიერე როგორც სიმაღლით, ასევე სიგანით. ედუარდს ამან დიდი სიხარული განაცდევინა. დაახლოებით წელიწადის ეს დრო იყო, როცა მე ისინი დავრგე, რამდენი წელი გავიდოდა მას შემდეგ? – ჩაილაპარაკა თავისთვის. როგორც კი შინ დაბრუნდა, მაშინვე გადაქექა ძველი დღიურები, მამამისი ბეჯითად რომ წერდა განსაკუთრებით სოფელში. თუმცა ამ ხეების დარგვა არ შეიძლებოდა მოხსენიებული ყოფილიყო დღიურში, მაგრამ აუცილებლად ექნებოდა ჩანიშნული იმ დღის სხვა მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც ედუარდს ახლაც კარგად ახსოვდა. მან გადაფურცლა რამდენიმე დღიური, მიაგნო იმ ადგილს და მის გაოცებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა უჩვეულო დამთხვევა აღმოაჩინა. ხეების დარგვის დღე და წელი იმავე დროს ოთილიეს დაბადების დღე და წელიც იყო.

თავი მეთხუთმეტი

ბოლოს და ბოლოს, ედუარდს გაუთენდა ის დილა, რომელსაც ასე გატაცებით ელოდა და ნელ-ნელა მრავალმა სტუმარმა მოიყარა თავი, რადგან მოპატიჟების ბარათები ყველა ახლომანლო მდებარე მამულში დაგზავნეს და ზოგიერთებს, ვინც ქვაკუთხედის ჩადებას დააკლდა, რაზედაც ამდენ კარგს ლაპარაკობდნენ, უნდოდათ მეორე დღესასწაულს მაინც დასწრებოდნენ.

სანამ სუფრას შემოუსხდებოდნენ, ციხე-დარბაზის ეზოში მუსიკით შემოვიდნენ ღურგლები, რომელთაც მოჰქონდათ შესანიშნავი გვირგვინი, დაწნული წრიულად შეკრული ფოთლებისა და ყვავილებისგან, ერთმანეთის თავზე მსუბუქად რომ იხრებოდნენ. მათ მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვეს და გვირგვინის მოსართავად მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს აბრეშუმის თავსაფრები და ბაფთები სთხოვეს. სანამ ბატონები სადილს მიირთმევდნენ, ჩამწკრივებულებმა მხიარული შეძახილებით განაგრძეს გზა, შემდეგ ერთხანს სოფელში შეჩერდნენ, ქალებსა და ქალიშვილებს იქაც ბაბთები გამოართვეს და ბოლოს ბრბოს თანხლებით გაემართნენ მალლობისკენ, სადაც დამთავრებული სახლი იდგა და ხალხს მოეყარა თავი.

სუფრიდან წამოშლის შემდეგ შარლოტემ საზოგადოება მცირე ხნით შეაჩერა. არ უნდოდა პროცესიას მართლაც საზეიმო სახე ჰქონოდა და ამიტომ სტუმრები, ჯგუფ-ჯგუფად, უწესრიგოდ, ყოველგვარი წოდებრივი უპირატესობის გაუთვალისწინებლად ნელ-ნელა შეგროვდნენ ახალ სახლთან, მოედანზე, შარლოტემ ოთილიე დააყოვნა, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა, რადგან

ოთილიე ყველაზე ბოლოს მიუახლოვდა მათ და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ბუკი და ნალარა სწორედ მისთვის დასცხეს, თითქოს ზეიმი მაშინ დაიწყო, როცა იგი გამოცხადდა.

სახლი გარედან ჯერ არ იყო მოპირკეთებული, ამიტომ კაპიტნის მითითებით მწვანე ტოტებითა და ყვავილებით მორთეს. მაგრამ კაპიტნისგან მალულად ედუარდმა არქიტექტორს სხვა განკარგულება მისცა. ლავგარდანზე ყვავილებით თარიღი აღენიშნა. ეს კიდეც არაფერი, ორფერდა სახურავის ფრონტონზე ოთილიეს სახელსაც უნდა ეკიაფა, მაგრამ კაპიტანმა დროზე მიუსწრო, ამ განზრახვაზე იოლად ააღებინა მათ ხელი და ასოებად დაწნული ყვავილები იქაურობას მოაშორა.

გვირგვინი სახურავზე აიტანეს და ისე დაამაგრეს, რომ არემარე შორიდან ჩანდა. ჭრელი ბაბთები და თავსაფრები ჰაერში ფრიალებდნენ, მოკლე მისასალმებელი სიტყვის დიდი ნაწილი ქარმა ჩაახშო. ოფიციალური ზეიმი დამთავრდა, ამის შემდეგ სახლის წინ უნდა დაწყებულიყო ცეკვა იმ მოედანზე, წინასწარ რომ დატკეპნეს და ტალავრები შემოავლეს. მორთმულ-მოკაზმულმა დურგლის შეგირდმა ედუარდს გლეხის სხარტი გოგო მოჰგვარა, თვითონ კი საცეკვაოდ გაიწვია ოთილიე, რომელიც იქვე იდგა. ორივე წყვილს მაშინვე გამოუჩნდნენ მიმდევრები და ედუარდმა საკმაოდ მალე გამოიცვალა პარტნიორი, ოთილიეს ხელი ჩასჭიდა და მასთან ერთად შემოუარა წრე. ახალგაზრდობა ხალისით ჩაერთო ხალხური ცეკვის ფერხულში, ხანდაზმულნი კი თვალს ადევნებდნენ მათ.

შემდეგ, სანამ ხალხი სასეირნოდ გაიფანტებოდა, გადაწყვიტეს მზის ჩასვლისას კვლავ მოეყარათ თავი ცაცხვებთან. ედუარდი ყველაზე ადრე მივიდა, ყველაფერი მოაგვარა და შეუთანხმდა კამერდინერს, რომ საზოგადოების გასართობად იგი მოპირდაპირე ნაპირზე პიროტექნიკას გამოიყენებდა.

კაპიტანს არ ესიამოვნა ამგვარი სამზადისი, სურდა ედუარდს დალაპარაკებოდა ხალხის მოსალოდნელ მოზღვაებასთან დაკავშირებით, მაგრამ ოდნავ გაგულისებულმა ედუარდმა სთხოვა, ზეიმის ეს ნაწილი მარტო მე მომანდო.

ხალხი უკვე მოაწყდა კაშხლის მოთიბულ ფერდობს, რომელიც ოღროჩოდრო და არასაიმედო იყო. მზე ჩაესვენა, ჩამოწვა ბინდი. სანამ უფრო მეტად დაბნელდებოდა, ჭადრების ქვეშ თავმოყრილ საზოგადოებას გამაგრებელი სასმელებით უმასპინძლებოდნენ. ეს ადგილი ყველას შეუდარებელი მოეჩვენა და უხაროდათ, რომ მომავალში აქედან დატკებოდნენ ვრცელი ტბისა და მისი მრავალფეროვანი ნაპირების ცქერით.

მშვიდი საღამო იყო, ქარი არ ქროდა და ეს იმის იმედს იძლეოდა, რომ ღამით ზეიმს ხელს არაფერი შეუშლიდა, მაგრამ უეცრად გაისმა საშინელი ყვირილი. კაშხალს მიწის დიდი ბელტები მოსწყდა და ყველამ დაინახა, როგორ ჩაცვივდა უამრავი ხალხი წყალში. მიწაყრილმა ვერ გაუძლო მოზღვაებულ ბრბოს და უთავბოლო ტკეპნას. ყველას უნდოდა საუკეთესო ადგილი დაესაკუთრებინა და ახლა აღარც წინ წასვლა შეიძლებოდა და აღარც უკან დახევა.

სტუმრები აჩოჩქოლდნენ და იმ ადგილისკენ უფრო სანახავად მიიწევდნენ, ვიდრე რაიმეს გასაკეთებლად. ანდა რა უნდა გაეკეთებინათ იქ, სადაც ხელი არავის მიუწვდებოდა. კაპიტანმა რამდენიმე გაბედულ ვაჟკაცთან ერთად კაშხალს მიაშურა, მაშინვე ჩამორეკა ბრბო ქვევით, ტბის ნაპირისკენ, რათა ხელი არ შეეშალათ იმათთვის, ვინც დასახრჩობად განწირულთა წყლიდან ამოყვანას ცდილობდა. მალე ყველანი, ზოგი თავისით, ზოგიც სხვების დახმარებით ხმელეთზე გამოვიდნენ, გარდა ერთი ბიჭისა, რომელიც შიშისგან უხეიროდ ფართხალებდა და ნაცვლად იმისა, რომ კაშხალს მიახლოებოდა, სულ დაშორდა მას. ეტყობოდა, ძალა ეცლებოდა, რადგან წყლის ზედაპირზე ხან ხელი გამოჩნდებოდა მისი, ხან ფეხი. საუბედუროდ, ფერად-ფერადი მაშხალით სავსე ნავი გაღმა იყო გაყვანილი, მის დაცლას დრო სჭირდებოდა და შველა გვიანდებოდა. კაპიტანმა უყოყმანოდ გაიხადა ზედა ტანსაცმელი, თვალი ყველას მისკენ ჰქონდა მიპყრობილი. მისი ახოვანი, ძლიერი სხეული ხალხს იმედს უღვივებდა, მაგრამ როცა იგი წყალში გადაეშვა, განცვიფრებისგან ბრბოს ყვირილი აღმოხდა. ყველა მას ადევნებდა თვალს, მან კი როგორც შესანიშნავმა მოცურავემ სწრაფად მიაღწია ბიჭამდე და ცოცხალ-მკვდარი კაშხალზე ამოიყვანა.

ამასობაში ნავიც მოაცურეს. კაპიტანი ნავში ჩაჯდა და გულდაგულ გამოჰკითხა იქ მყოფთ, მართლა ყველა გადარჩა თუ არა. მოვიდა ქირურგიც და გონდაკარგულ ბიჭს მიხედა. შარლოტე კაპიტანს მიუახლოვდა და სთხოვა, ახლა საკუთარ თავზე იფიქრეთ, ციხე-დარბაზში დაბრუნდით და ტანსაცმელი გამოიცვალეთ. კაპიტანი მანამდე ყოყმანობდა, სანამ დარბაისელმა, გონიერმა ადამიანებმა, რომლებიც იქვე იდგნენ და თვითონ მონაწილეობდნენ წყალში ჩაცვნილთა გადარჩენაში, ფიცით არ დაარწმუნეს, ყველა გადარჩენილათ.

შარლოტემ თვალი გააყოლა სახლისკენ მიმავალ კაპიტანს და თავისთვის ფიქრობდა, რომ ღვინო, ჩაი და ყველაფერი, რაც ამგვარ შემთხვევაშია საჭირო, ჩაკეტილია, და რომ ასეთ მდგომარეობაში

ადამიანები ჩვეულებრივ იბნევიან. მან სწრაფად გაარღვია არეულ-დარეული ხალხის წრე, ჯერ კიდევ ცაცხვების ქვეშ რომ იყო თავმოყრილი. ამ დროს კი ედუარდი ცდილობდა დაეყოლიებინა სტუმრები, დარჩენილიყვნენ, რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა ცოტა ხნის შემდეგ ნიშანი მიეცა და ფეიერვერკიც დაიწყებოდა. მას მიუახლოვდა შარლოტე და სთხოვა, გადაედო ეს გასართობი ღონისძიება, ახლა უადგილოა, ამჟამად ამით თავს ვერავინ შეიქცევსო. მან ისიც შეახსენა ედუარდს, რომ გადარჩენილზეც საჭიროა ზრუნვა და გადამრჩენელზეც.

– ამ საქმეს ყველაზე უკეთ ქირურგი გაართმევს თავს, – უპასუხა ედუარდმა, – მას ყველაფერი აქვს თან, რაც საჭიროა, ჩვენი ჩარევა და თანაგრძნობა კი მხოლოდ ხელს შეუშლის.

შარლოტე უკან არ იხევდა, ხელით ანიშნა ოთილიეს და ისიც მაშინვე წასასვლელად გაემზადა. ედუარდმა შარლოტეს ხელი ჩაავლო და წამოიძახა: – მოდი ამ დღეს ლაზარეთში ნუ დავამთავრებთ! იგი მეტიმეტად კარგია, რომ მოწყალების დად იქცეს. მოჩვენებითი მკვდრები უჩვენოდაც გაიღვიძებენ, ცოცხლები კი ტანს გაიმშრალებენ.

შარლოტე ისე გაშორდა, რომ აღარაფერი უთქვამს. ზოგიერთები მას გაჰყვნენ, დანარჩენები იმ ზოგიერთებს და რადგან არავის უნდოდა ბოლო ყოფილიყო, ყველანი შარლოტეს დაედევნენ. ედუარდი ისეთივე დაჟინებით ითხოვდა დარჩენილიყვნენ, როგორი შიშითაც ოთილიე სთხოვდა მას ციხე-დარბაზში დაბრუნებულიყვნენ.

– არა, ოთილიე, – წამოიძახა მან, – არაჩვეულებრივი რამ არ ხდება დატკეპნილ, ჩვეულებრივ გზაზე. მოულოდნელი შემთხვევა, ამ საღამოს რომ მოხდა, ჩვენ კიდევ უფრო დაგვაკავშირებს. შენ ჩემი ხარ! მე შენ ეს უკვე მრავალჯერ გითხარი და შემოგფიცე, კმარა ლაპარაკი და ფიცი, მოსახდენი უნდა მოხდეს.

გაღმა ნაპირიდან მოცურდა ნავი, შემცბარმა კამერდინერმა ჰკითხა, ფეიერვერკს რა მოვუხერხოთო.

– ააბრიალეთ! – მიაძახა ედუარდმა, – მხოლოდ შენთვის იყო ეს ფეიერვერკი შეკვეთილი, ოთილიე, და ამიტომ მარტომ უნდა უყურო. ნება მომეცი შენ გვერდით ჩამოვჯდე და მეც დავტკბე მისი ცქერით.

ედუარდი მოკრძალებით ჩამოჯდა ოთილიეს გვერდით ისე, რომ არც კი შეხებია.

რაკეტები აშუშხუნდნენ, ზარბაზნები აგრუხუნდნენ, კაშკაშა ბურთულები ზეცაში იჭრებოდნენ, მაშხალები იკლაკნებოდნენ და სკდებოდნენ, შიშინებდნენ აგრეთვე რგოლებზე დამაგრებული შუშხუნებიც, ჯერ ცალ-ცალკე, მერე წყვილ-წყვილად, ბოლოს ყველა ერთად ტრიალებდა ერთმანეთის მიყოლებით სულ უფრო სწრაფად და სწრაფად. ედუარდი, რომელსაც გულში ცეცხლი ენთო, ხალისიანად და კმაყოფილი ადევნებდა თვალს ცეცხლის ამ კორიანტელს.

ოთილიეს ნაზ სულს ცეცხლის ბობოქარი, მბრწყინავი ანთება და ჩაქრობა უფრო აშინებდა, ვიდრე სიამოვნებას ჰგვრიდა. შემკრთალი ფრთხილად მიეყრდნო ედუარდს, რომელიც ქალიშვილის მიკარებამ, მინდობამ სავსებით დაარწმუნა, რომ იგი მთლიანად მას ეკუთვნის.

ის-ის იყო ღამემ თავისი უფლებები ისევ მოიპოვა, რომ მთვარეც ამოვიდა და ორივეს უკან დასაბრუნებელი ბილიკები გაუნათა. ერთმა კაცმა, რომელსაც ხელში ქუდი ეჭირა, მათ გზა გადაუღობა და მოწყალება ითხოვა იმის გამო, იმდღევანდელ ზეიმში არავინ მომაქციაო ყურადღება. კაცს მთვარის შუქი სახეში სცემდა და ედუარდმა იცნო აბეზარი მათხოვრის ნაკვთები. მაგრამ იგი იმდენად ბედნიერი იყო, რომ გაბრაზება არ შეეძლო, ისიც კი არ მოსვლია აზრად, რომ განსაკუთრებით იმ დღეს მათხოვრობა სასტიკად აკრძალული იყო. ჯიბე მოიქექა და მათხოვარს ოქროს მონეტა გაუწოდა. იგი სიამოვნებით გააბედნიერებდა ყველას, რადგან საკუთარი ბედნიერება უსაზღვრო ეჩვენებოდა.

ამასობაში კი ციხე-დარბაზში ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც საჭირო იყო. ქირურგის მეცადინეობამ, ყოველივე აუცილებლის ხელზე ქონამ, შარლოტეს ხელშეწყობამ თავისი გაიტანა და ბიჭი სიცოცხლეს დაუბრუნდა. სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ, ზოგს უნდოდა შორიდან მაინც მოეკრა თვალი ფეიერვერკისთვის, ზოგს კი ერჩია ამგვარი ამაფორიაქებელი სცენების შემდეგ საკუთარ მყუდრო სახლში შეედგა ფეხი.

კაპიტანმა სწრაფად გამოიცვალა ტანსაცმელი და ყველა საქმის მოგვარებაში გულმოდგინედ მონაწილეობდა. ბოლოს ყველაფერი მიწყნარდა და იგი მარტო აღმოჩნდა შარლოტეს პირისპირ. მან მიმნდობი გულითადობით ამცნო შარლოტეს, რომ მისი გამგზავრების დრო მოახლოვდა. იმ საღამოს შარლოტემ იმდენი რამ განიცადა, რომ კაპიტნის ნათქვამმა მასზე ნაკლები შთაბეჭდილება მოახდინა. მან საკუთარი თვალთ დაინახა, როგორ გაწირა მისმა მეგობარმა სხვის გადასარჩენად თავი და თვითონაც გადარჩა. იმდღევანდელი საოცარი ამბები თითქოს

განსაკუთრებულ მომავალს უქადა, მაგრამ არა სავალალოს.

ედუარდს, რომელიც ოთილიესთან ერთად შემოვიდა ოთახში, აუწყა, კაპიტანი გამგზავრებას აპირებსო. მას ეჭვი შეეპარა, რომ შარლოტემ ყველაფერი უფრო ადრე იცოდა და უფრო დაწვრილებითაც, მაგრამ ისე იყო დაკავებული საკუთარი თავით და გეგმებით, რომ ცუდად არ ჩამოურთმევია მისთვის.

პირიქით, ყურადღებით მოისმინა, თუ რა საპატიო ადგილს სთავაზობდნენ კაპიტანს და განარებულად კი იყო. მისი იდუმალი სურვილები გამალებით წინ უსწრებდნენ მოვლენებს. იგი შარლოტეს უკვე კაპიტანის მეუღლედ რაცნდა, თავის თავს კი ოთილიეს ქმრად. ამ ზეიმზე მას უკეთეს საჩუქარს ვერავინ მიათმევდა.

მაგრამ რაოდენ გაოცდა ოთილიე, როცა თავის ოთახში შევიდა და მაგიდაზე პატარა, ძვირფასი სკივრი დახვდა. გახსნა არ დაუყოვნებია. სკივრში ყველაფერი ისე გემოვნებით იყო შეფუთული და ჩალაგებული, რომ იგი ვერც კი ბედავდა რაიმეს ამოღებასა და გახსნას. მუსლინი, ბატისტი, აბრეშუმი, შალეები და მაქმანები ერთმანეთს ეჯობებოდნენ სინათიფეში, სილამაზეში და სიძვირფასეში. არც სამკაული დავიწყებოდათ. იგი მშვენივრად მიხვდა, რომ ერთგვის კი არა, არამედ უნდოდათ მისი თავით ფეხამდე შემოსვა. მაგრამ ყველაფერი ისეთი ძვირფასი და საუცხოო იყო, რომ ფიქრადაც კი ვერ ბედავდა მათ დასაკუთრებას.

თავი მეთექვსმეტე

მეორე დღით კაპიტანი გაქრა და მეგობრებს მადლიერების გრძნობით გამსჭვალული ბარათი დაუტოვა. იგი და შარლოტე წინა საღამოს სანახევროდ და თითქმის მდუმარედ გამოეთხოვნენ ერთმანეთს. ქალი გრძნობდა, რომ სამუდამოდ ეთხოვებოდა მას და ბედს დამორჩილდა, რადგან გრაფის მეორე წერილში, რომელიც ბოლოს კაპიტანმა მას მაინც წააკითხა, ლაპარაკი იყო ხელსაყრელ ქორწინებაზე. მიუხედავად იმისა, რომ კაპიტანს ამ ამბავზე ყურადღება არ გაუმახვილებია, შარლოტემ მაინც საქმე გადაწყვეტილად ჩათვალა და პირწმინდად ამოიგდო თავიდან ფიქრი მასზე.

სამაგიეროდ, ახლა იგი იმაზე ფიქრობდა, რომ უფლება ჰქონდა სხვებისგან მოეთხოვა, მასავით დაეტანებინათ ძალა საკუთარი თავისთვის. მან ეს შეძლო და ამიტომაც არც სხვებისთვის უნდა ყოფილიყო შეუძლებელი. ქმართან საუბარი სწორედ ამ განწყობით წამოიწყო და მით უფრო გულლიად და იმედიანად, რომ გრძნობდა, ამ საქმეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოღებოდა ბოლო.

– ჩვენმა მეგობარმა მიგვატოვა, – უთხრა მან ედუარდს, – ჩვენ ახლა ისევ ერთმანეთის პირისპირ დავრჩით და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, დავუბრუნდებით უწინდელ ცხოვრებას თუ არა.

ედუარდი, რომლის ყურში მხოლოდ ის შედიოდა, რაც მის გატაცებას ხელს უწყობდა, ფიქრობდა, ამ სიტყვებში შარლოტე ალბათ იმ დროს გულისხმობს, როცა ქვრივი იყო და მას გადაკვრით ანიშნებს, შენთან ქორწინება მინდაო. ამიტომ ღიმილით უპასუხა: – რატომაც არა? ყველაფერი მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, რომ ერთმანეთს გავუგოთ.

მაგრამ როგორ გაუცრუვდა იმედეები, როცა შარლოტემ უთხრა: – რაც შეეხება ოთილიეს, ამჟამად მისი ბედის გადაწყვეტა მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, რადგან არსებობს ორი შესაძლებლობა, მას ისეთი პირობები შევუქმნათ, მისთვის რომ ხელსაყრელია და ეს არჩევანი ჩვენ უნდა მოვახდინოთ. შეუძლია პანსიონში დაბრუნდეს, რადგან ჩემი ქალიშვილი ბებიას დასთან დასახლდა. გარდა ამისა ოთილიე შეიძლება მიიღონ ფრიად პატივცემულ ოჯახში, რათა მათ ერთადერთ ქალიშვილთან ერთად იგემოს საზოგადოებრივი მდგომარეობის საკადრისი აღზრდის ყველა უპირატესობა.

– ამ ხნის განმავლობაში, – უპასუხა ედუარდმა საკმაოდ თავშეუკავებლად, – ოთილიე ჩვენს გულშია საზოგადოებაში ისე განებივრდა, რომ სხვაგან ცხოვრება მეტისმეტად გაუჭირდება.

– ჩვენ ყველანი გავნებივრდით, – უთხრა შარლოტემ, – და შენც არა ნაკლებად. ახლა დადგა დრო, რომელიც მოითხოვს, გონს მოვიდეთ და სერიოზულად გვაფრთხილებს, ვიფიქროთ ჩვენი პატარა წრის ყველა წევრის კეთილდღეობაზე, და ამისთვის ცოტაოდენი მსხვერპლიც გავიღოთ.

– მაგრამ მე სულ არ მიმაჩნია სანაქებო საქმედ, – უპასუხა ედუარდმა, – რომ ოთილიე გავწიროთ, და ეს ასეც მოხდება, თუ ახლა უცხო ადამიანებს მივუგდებთ. კაპიტანმა თავისი ბედი აქ იპოვა და

ჩვენ მისი გაშვება მშვიდად, სიამოვნებითაც კი შეგვიძლია. მაგრამ ვინ იცის, რა ბედი ელის ოთილიეს? რატომ უნდა ავჩქარდეთ ასე? რაც ჩვენ გველის, საკმაოდ ნათელია, – უთხრა შარლოტემ ოდნავ აღელვებით და რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა ერთხელ და სამუდამოდ ეთქვა სათქმელი, დასძინა: – შენ გიყვარს ოთილიე, ეჩვევი მას. მის გულშიც იკიდებს ფეხს და ღვივდება შენდამი ტრფობა და ვნება. რატომ არ უნდა გამოვთქვათ სიტყვებით ის, რაც ყოველ საათში ნათელი ხდება და რაშიც ვრწმუნდებით. ნუთუ ვერ გამოვიჩინოთ იმდენ სიფრთხილეს, რომ საკუთარ თავს ვკითხოთ, რა გამოვა აქედან?

– თუ ამაზე პასუხის გაცემა ახლავე არ შეგვიძლია, – უპასუხა ედუარდმა, რომელმაც საკუთარი თავი მოთოკა, – იმის თქმა მაინც შეიძლება, რომ სწორედ მაშინ არ უნდა აჩქარდე, როცა არ იცი, რას გიქადის მომავალი ან რა გამოვა ამა თუ იმ საქმიდან.

– ამის გათვალისწინება, – უთხრა შარლოტემ, – მართლა არ საჭიროებს დიდ სიბრძნეს. ყოველ შემთხვევაში, ახლა ამის თქმა მაინც შეიძლება, რომ ჩვენ არც ისე ახალგაზრდები ვართ, ბრძანდ რომ მივენდოთ იმას, რაც არ გვინდა ან არ უნდა გვინდოდეს. ჩვენზე სხვა ვერ იზრუნებს. ჩვენ თვითონ უნდა ვიყოთ ჩვენი თავის მეგობრები და აღმზრდელები. არავინ მოელის ჩვენგან, რომ უკიდურესობამდე მივალთ, არავინ მოელის, რომ გასაკიცხნი და სასაცილონი გავხდებით.

– შეგიძლია მისაყვედურო ის, – მიუგო ედუარდმა, რომელსაც არ შეეძლო მეუღლის გულახდილ, ფაქიზ საუბარს აპყობოდა, – შეგიძლია გამკიცხო იმისთვის, რომ ოთილიეს ბედნიერება ჩემთვის ბევრს ნიშნავს? და არა მომავალი ბედნიერება, რის გათვალისწინებაც არ შეიძლება, არამედ ამჟამინდელი? წარმოიდგინე მიუკერძოებლად და თავის მოტყუების გარეშე ჩვენს საზოგადოებას მოწყვეტილი ოთილიე, რომელიც უცხო ადამიანების ხელშია ჩავარდნილი. ყოველ შემთხვევაში, მე ჯერ არა ვარ იმდენად გულქვა, რომ მისი ცხოვრება ასე შევატრიალო.

შარლოტე შესანიშნავად მიხვდა, რომ მეუღლის მათებლობის მიღმა შეუპოვრობა იმალებოდა. მხოლოდ ახლა მიხვდა, რამდენად დაშორდა ქმარი. ამიტომ ოდნავ აღელვებულმა წამოიძახა: – ნუთუ ოთილიე ბედნიერი იქნება, თუ ჩვენ შორის შუღლს ჩამოაგდება, თუ იგი მე ქმარს წამართმევს, შვილებს კი მამას?

– მე მგონი ჩვენი შვილები უზრუნველყოფილნი იქნებიან, – უთხრა ედუარდმა ღიმილით და ცივად, მაგრამ შემდეგ უფრო გულთბილად დასძინა: – რაღა მაინცდამაინც ახლა უნდა ვიფიქროთ უკიდურესობაზე?

– უკიდურესობა ყველაზე ახლოსაა ვნებასთან, – შენიშნა შარლოტემ, – სანამ გვიან არ არის, ნუ იტყვი უარს კეთილ რჩევაზე, იმ დახმარებაზე, რასაც შენ გთავაზობ და საკუთარ თავსაც. გაურკვეველ ვითარებაში ის უნდა მოქმედებდეს და ეხმარებოდეს სხვას, ვინც უფრო ნათლად ხედავს. ამ შემთხვევაში ეს მე ვარ. ძვირფასო ედუარდ, მომეცი იმის საშუალება, რომ თავისუფლად ვიმოქმედო. ნუთუ გგონია, რომ ასე ადვილად ვიტყვი უარს იმ წმიდათაწმიდა უფლებებზე, რომლებიც მოვიპოვე, უარს ვიტყვი ბედნიერებაზე, შენზე?

– მერე და ვინ ამბობს ამას? – უპასუხა ოდნავ დარცხვენილმა ედუარდმა.

– შენ თვითონ, – მიუგო შარლოტემ, – განა იმით, ოთილიე რომ აქ გინდა იყოლიო, თანხმობას არ აცხადებ ყოველივე იმაზე, რაც ამ ამბავს შეიძლება მოჰყვეს. არ მინდა ძალა დაგატანო, მაგრამ თუ საკუთარი თავის მოთოკვა არ შეგიძლია, ამიერიდან ვერც თავის მოტყუებას შეძლებ.

ედუარდი გრძნობდა, რომ ცოლი მართალს ეუბნებოდა. წარმოთქმული სიტყვა საშინელი მაშინაა, როცა ერთბაშად გამოხატავს ყველაფერს, რისი უფლებაც მის მთქმელს დიდი ხანია გულმა მისცა, და პასუხისთვის რომ თავი აერიდებინა, თქვა: – ჯერჯერობით ჩემთვის გაუგებარია, რის გაკეთებას აპირებ.

– ვაპირებდი, – უპასუხა შარლოტემ, – შენთან ერთად ამეწონ-დამეწონა ორივე წინადადება. ორივე წინადადებაში ბევრი რამაა კარგი. ამჟამად ისეთი ოთილიესთვის, როგორსაც ჩვენ ვიცნობთ, ყველაზე შესაფერისი პანსიონია, მაგრამ მეორე შესაძლებლობა მრავალმხრივ უფრო მომგებიანია, და როცა მის ბედზე ვფიქრობ, მომავალი მეტს უქადის.

შემდეგ შარლოტემ დაწვრილებით დაუხატა ქმარს ორივე შესაძლებლობის ავ-კარგი და ლაპარაკი შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: – ჩემი აზრით, მე იმ ქალბატონის სახლს ვამჯობინებდი პანსიონს მრავალი მიზეზის გამო, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ არ მინდა გაიზარდოს იმ ახალგაზრდა კაცის ვნება ოთილიესადმი, რომლის გულიც მან პანსიონში მოინადირა.

ედუარდმა თავი მოიკატუნა და მოუწონა ნათქვამი, მაგრამ მხოლოდ ერთი განზრახვით, როგორმე იქნებ დრო მოეგო. შარლოტემ კი, რაკი გადაწყვეტილი ჰქონდა უკანდაუხევლად ემოქმედა, ხოლო ედუარდი პირდაპირ არ ეწინააღმდეგებოდა, ისარგებლა შემთხვევით და ოთილიეს გამგზავრება,

რისთვისაც ჩუმიად ყველაფერი მოამზადა, უახლოეს დღეებში დანიშნა.

ედუარდი შეძრწუნდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს უღალატეს და ცოლის ალერსიან სიტყვებში დაინახა ფარისევლობა, ხელოვნურობა და განზრახვა, რომ მას საუკუნოდ წაართვეს მოპოვებული ბედნიერება. ამ საქმის მოგვარება მან თითქოს მთლიანად ცოლს მიანდო, მაგრამ გულში გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა. ოთილიესთან დაშორების აუტანელი უბედურება რომ თავიდან აეშორებინა, გადაწყვიტა მიეტოვებინა ოჯახი, თანაც არც ისე, რომ შარლოტეს წინასწარ არ სცოდნოდა, რითაც მოატყუა იგი, რადგან განუცხადა, არ მინდა ოთილიეს გამგზავრებას დავესწრო და ამიერიდან საერთოდ მისი ნახვაც კი არ მსურსო. შარლოტე, რომელსაც ეგონა, ეს საქმე მოვიგეო, ყველაფერში ხელს უწყობდა მას. ედუარდმა ბრძანა, ცხენები მომგვარეთო, კამერდინერს საჭირო მითითებები მისცა, რა უნდა ჩაელაგებინა და როგორ გაჰყოლოდა უკან, მაშინვე დაჯდა და სახელდახელოდ დაწერა.

ედუარდი შარლოტეს

„ჩემო ძვირფასო, არ ვიცი, ეშველება ამ უბედურებას რამე, თავს რომ დაგვატყდა თუ არა, მაგრამ ვგრძნობ, სასოწარკვეთას რომ არ მივეცე, რაღაც ღონე უნდა ვიხმარო როგორმე ჩემთვის, ასევე ყველა თქვენგანისთვის. თავის გაწირვა მოთხოვნის უფლებასაც მაძლევს. მე ვტოვებ ოჯახს და დავბრუნდები მხოლოდ მაშინ, როცა უფრო ხელსაყრელი, უფრო მშვიდი ვითარება შეიქმნება. ამასობაში ჩემი კარ-მიდამოს პატრონი შენ იქნები, ოღონდ ოთილიესთან ერთად. მინდა შენთან მეგულებოდეს და არა უცხო ადამიანთა შორის. იზრუნე მასზე, მოექეცი ისე, როგორც აქამდე ექცეოდი, მეტი სიყვარულით, მეტი სიფაქიზითაც, მეტი გულკეთილობათაც კი. გპირდები, არავითარ შემთხვევაში არ დავუკავშირდები მას მალულად. ჯობს ერთხანს ისე მამყოფოთ, რომ არ ვიცოდე, როგორ ცხოვრობთ. იმედი მექნება, რომ საუცხოოდ. თქვენც ასე იფიქრეთ ჩემზე. მაგრამ, აი, რას გთხოვ დაჟინებით, უგულწრფელესად: ნუ ეცდები ოთილიე სადმე სხვაგან მოაწყო, სხვაგვარი პირობები შეუქმნა. შენი ციხე-დარბაზის, შენი პარკის ფარგლებს გარეთ. ოთილიე ჩემი იქნება და მე მას დავეუფლები, მაგრამ თუ შენ პატივისცემით მოეპყრობი ჩემს სიყვარულს, ჩემს სურვილებს, ჩემს ტკივილებს, თუ დამიამებ გიჟურ ლტოლვას, არ გამიწბილებ იმედებს, მაშინ, თუ ასეთი რამ მეღირსა, არც განკურნებას გავუწევ წინააღმდეგობას“.

უკანასკნელი წინადადება მის კალამს მოსწყდა და არა გულს, დაინახა თუ არა ეს ქალაქდზე, მწარედ ატირდა. ასე იყო თუ ისე, მას უარი უნდა ეთქვა ბედნიერებაზე, თუნდაც უბედურებაზე – ოთილიე ჰყვარებოდა. მხოლოდ ახლა იგრძნო, რას სჩადიოდა. აქაურობას ისე შორდებოდა, რომ არ იცოდა, რა მოჰყვებოდა ამას. ყოველ შემთხვევაში, ახლა იგი მას ვერ ნახავს, და რა იყო იმის საწინდარი, რომ ოდესმე კვლავ ნახავდა. მაგრამ წერილი დაწერილი იყო, ცხენები შეკაზმული. საშიში იყო ყოველი წამი, საკმარისი იყო ოთილიესთვის სადმე მოეკრა თვალი და მისი განზრახვა ჩაიფუშებოდა. თავს მოერია, გაიფიქრა, შინ ყოველთვის შემიძლია დავბრუნდე, დაშორებით კი შეიძლება ჩემს საწადელს უფრო დავუახლოვდეო. მან წარმოიდგინა, თუ დარჩება, როგორ გააძევებენ სახლიდან ოთილიეს. წერილი დალუქა, კიბე ჩაირბინა და ცხენს მოახტა.

როცა ამხედრებულმა სამიკიტნოს ჩაუარა, მან დაინახა ის მათხოვარი, გასულ ღამეს რომ მეფურად დაასაჩუქრა. იგი მშვიდად სადილობდა ტალავერში, ედუარდის დანახვისთანავე ფეხზე წამოდგა და მოწიწებით, თაყვანისცემითაც კი მოიხარა მის წინაშე. სწორედ ეს მათხოვარი გამოეცხადა გუშინ, როცა ოთილიე მკლავგაყრილი მიჰყავდა შინისკენ. ახლა სწორედ მან გაახსენა მისი ცხოვრების უბედნიერესი წამი. ტანჯვა გაუასკეცდა. მისთვის აუტანელი იყო იმის შეგრძნება, თუ რას ტოვებდა აქ. მან კიდევ ერთხელ შეხედა მათხოვარს: – ო, მშურს შენი! – წამოძახა მან, – შენ ჯერ კიდევ ტკბები გუშინდელი მოწყალებით, მე კი გუშინდელი ბედნიერებით ველარა.

თავი მეჩვიდმეტე

როგორც კი ცხენის ფლოქვების თქარათქური გაიგონა, ოთილიე ფანჯარასთან მივიდა, უნდოდა გაეგო, ვინ მიემგზავრებოდა, მაგრამ მხოლოდ ედუარდის ზურგსლა მოჰკრა თვალი. უცნაურად მოეჩვენა, სახლიდან როგორ წავიდა ისე, რომ არ ნახა, დილა მშვიდობისა არ უსურვა. შეშფოთდა, ფიქრი მოეძალა და სწორედ ამ დროს შარლოტემ საკმაოდ შორს გაიყოლია სასეირნოდ. ლაპარაკობდა აქაურსა და იქაურზე, მაგრამ მეუღლეს, ეტყობა, განგებ არ ახსენებდა. როცა შინ დაბრუნდნენ, ოთილიე ორმაგად გააოცა იმან, სუფრა მხოლოდ ორი სულისთვის რომ დახვდათ გაწყობილი.

იმ ჩვევებსაც, უმნიშვნელო რომ გვეჩვენება, უხალისოდ მოვისაკლისებთ ხოლმე, მაგრამ

მნიშვნელოვან შემთხვევებში დანაკლისს მტკივნეულად განვიცდით. აკლდათ ედუარდი და კაპიტანი. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ შარლოტემ პირველად დაიჭირა სუფრის თადარიგი და ოთილიეს მოეჩვენა, თითქოს იგი გადააყენეს. ქალები ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ. შარლოტე სრულიად ბუნებრივად ლაპარაკობდა კაპიტანის სამსახურში გამწესებაზე და იმაზეც, რომ მისი მალე ნახვის იმედი ძალზე მცირეა. ოთილიე მხოლოდ იმით იმშვიდებდა თავს, ედუარდი ალბათ მეგობარს გაედევნა ცხენით, რომ მცირე მანძილზე მაინც გააცილოსო.

მაგრამ როცა სუფრიდან ადგნენ, ფანჯრის ქვეშ ედუარდის სამოგზაურო ეტლი დაინახეს, ხოლო როცა გაღიზიანებულმა შარლოტემ იკითხა, ვინ მოიყვანა აქ ეტლიო, უპასუხეს, კამერდინერმა, რომელმაც შიგ კიდევ რაღაც-რაღაცები უნდა ჩაალაგოსო. ოთილიეს მთელი თავისი თავშეკავების მოხმობა დასჭირდა, რომ გაოცება და ტკივილი დაემალა.

შემოვიდა კამერდინერი და ითხოვა, მისთვის კიდევ მიეცათ ზოგი რამ: ბატონის ფინჯანი, რამდენიმე ვერცხლის კოვზი და სხვა წვრილმანი. ამან ოთილიე მიახვედრა, რომ ედუარდი შორს გაემგზავრა და მალე არ დაბრუნდებოდა. შარლოტემ მეტისმეტად მშრალად უთხრა უარი კამერდინერს თხოვნაზე, თანაც დასძინა, რომ არ ესმის, რას მოითხოვს მისგან, ყველაფერი, რაც ბატონისაა, ისედაც ხომ თქვენს განკარგულებაშია. კამერდინერი მოხერხებული კაცი იყო, ცხადია, მას მხოლოდ ის უნდოდა, რაიმე საბაბით ოთილიე ოთახიდან გამოეტყუებინა და დალაპარაკებოდა. ამიტომ ბოდიში კი მოიხადა, ოღონდ მაინც თავისას მოითხოვდა. ოთილიემ კიდევ დააპირა მისი თხოვნის შესრულება, მაგრამ ამას წინ აღუდგა შარლოტე. კამერდინერი იძულებული შეიქნა, იქაურობას გასცლოდა და ეტლიც დაიძრა.

ოთილიესთვის ეს საშინელი წამი იყო. მას არ ესმოდა, ვერ აეხსნა, რა ხდებოდა, მაგრამ ედუარდი რომ დიდი ხნით წაართვეს, ეს ცხადად იგრძნო. შარლოტე გრძნობდა, რა დღეშიც იყო ოთილიე და მარტო დატოვა. ჩვენ ვერ ვბედავთ აგიწეროთ ოთილიეს მწუხარება, მისი ცრემლები, იგი უსაზღვროდ იტანჯებოდა და ღმერთს მხოლოდ იმას სთხოვდა, ძალა მიეცა ეს დღეს გადაეტანა. მან იმ დღეს გაუძლო, იმ ღამესაც და როცა გონს მოეგო, მოეჩვენა, რომ სულ სხვა ადამიანად იგრძნო თავი.

ოთილიე თავს ვერ მოერია, ვერ მოთოკა, მაგრამ ასეთი დიდი დანაკარგის შემდეგ ჯერ აქ იყო და კიდევ უფრო საშიში რამ ელოდა. როგორც კი გონება მოიკრიბა, ერთი ფიქრი აწვალებდა, რა ელონა – მამაკაცის წასვლის შემდეგ აქ აღარ დაედგომებოდა. მას წარმოდგენა არ ჰქონდა ედუარდის მუქარაზე, რის გამოც შარლოტეს გვერდით ცხოვრება არ ასცდებოდა, თუმცა ცოტათი შარლოტეს ქცევამ დაამშვიდა. შარლოტე ცდილობდა უმწეო ქალიშვილი დაესაქმებინა და იშვიათად, თანაც უხალისოდ იშორებდა გვერდიდან. შარლოტემ იცოდა, რომ ნამდვილი გატაცების წინააღმდეგ სიტყვით ვერაფერს გააწყობ, მაგრამ მაინც დიდ ანგარიშს უწევდა გონივრულობას, შეგნებას და ამიტომ ზოგ რამეზე ოთილიესთან თვითონ ჩამოაგდებდა ხოლმე სიტყვას.

ოთილიესთვის დიდი ნუგეში იყო, როცა შარლოტემ თითქოს შემთხვევით, მაგრამ გააზრებულად და გაანგარიშებულად, შემდეგი ბრძნული მოსაზრება გამოთქვა: – რა გულითადი უნდა იყოს იმათი მადლიერება, – თქვა შარლოტემ, – ვისაც მშვიდად ვეხმარებით სძლიონ ვნებათაღელვით გამოწვეულ ჭირ-ვარამს. მოდი, მხნედ და ხალისიანად მივყვეთ იმას, რაც მამაკაცებმა დაუმთავრებელი დაგვიტოვეს. ყველაზე უკეთ იმით მოვემზადებით მათთან შესახვედრად, თუ დარბაისლურად მივხედავთ და შევინარჩუნებთ იმას, რისი დანგრევაც სურდა მათ დაუდებარ, დაუოკებელ ბუნებას.

– რაკი თქვენ დარბაისლობაზე ჩამოაგდეთ სიტყვა, ძვირფასო დედა, – უპასუხა ოთილიემ, – არ შემიძლია დაგიმალოთ, რომ ამ მხრივ თვალში მეცა მამაკაცების თავშეუკავებლობა, განსაკუთრებით ღვინის სმაში. რამდენჯერ დავლონებულვარ და შევშინებულვარ, როცა ვამჩნევდი, რომ გონივრული მსჯელობა, ჭკუა, თავაზიანობა, მიმზიდველობა და სანდომიანობა ხშირად რამდენიმე საათით გამოდიოდა მწყობრიდან და ნაცვლად იმ კარგისა, რაც ჩინებულ მამაკაცს შეუძლია გააკეთოს და განახორციელოს, უბედურებისა და უწესრიგობის ზარს გვცემდა, რადგან სიმთვრალე ხშირად შეიძლება სახიფათო გადაწყვეტილების მიზეზი გახდეს.

შარლოტე დაეთანხმა ოთილიეს, მაგრამ საუბარი აღარ გაუგრძელებია, რადგან ცხადად გრძნობდა, რომ ამ შემთხვევაშიც ოთილიეს ედუარდი ჰყავდა მხედველობაში, რომელიც დიდად არ ეტანებოდა ღვინოს, მაგრამ მაინც უფრო ხშირად სვამდა, ვიდრე ეს სასურველი იყო და ამგვარად აძლიერებდა ცხოვრებით ტკობას, ენაწყლიანობას, საქმიანობას.

შარლოტეს შენიშვნამ ოთილიეს მამაკაცების, განსაკუთრებით ედუარდის დაბრუნებაზე აღუძრა ფიქრები, ამიტომ დიდად განცვიფრდა, როცა შარლოტემ სიტყვა ჩამოაგდო კაპიტანის მოსალოდნელ ქორწილზე, როგორც ყველასთვის ცნობილ და საბოლოოდ გადაწყვეტილ საქმეზე, რის გამოც მის თვალში ყველაფერმა სულ სხვანაირი სახე მიიღო, ვიდრე წარმოდგენილი ჰქონდა ედუარდის სიტყვების მიხედვით. ამან ის გამოიწვია, რომ ოთილიე ყურადღებას შარლოტეს

ყოველ ცალკეულ სიტყვაზე, ხელის ყოველ მოძრაობაზე, ყოველ მოქმედებაზე, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ამახვილებდა. ოთილიემ თვითონაც არ იცოდა, ისე გახდა ჭკვიანი, გამჭრიახი, ეჭვიანი.

ამასობაში შარლოტე მახვილი თვალით აკვირდებოდა იმ გარემოს, ირგვლივ რომ ერთყა, ოჯახში ჩვეული სიმკვირცხლით ტრიალებდა და გამუდმებით აიძულებდა ოთილიესაც მონაწილეობა მიეღო მის საქმიანობაში. მას არ შეშინებია თავისი ოჯახური მეურნეობა გაემარტივებინა და ახლა, როცა ყველაფერს გაფაციცებით აკვირდებოდა, ვნების იმ აფეთქებაში გარემოებათა ერთგვარ ბედნიერ დამთხვევას ხედავდა. იმავე გზით რომ ევლოთ, ადვილად შეიძლებოდა გადაელახათ ყოველგვარი ზღვარი და თუ დროზე არ მოეგებოდნენ გონს, უთავბოლო და უყაირათო ცხოვრებით თუ არ გაატანდნენ ქარს თავიანთ, საბედნიეროდ, თავმობმულ სარჩო-საბადებელს, ძირს მაინც გამოუთხრიდნენ.

ის სამუშაოები, პარკში რომ მიმდინარეობდა, მას არ შეუჩერებია, პირიქით, მითითება მისცა განეგრძოთ მუშაობა იმაზე, რაც მომავალი სრულყოფის საფუძველი უნდა გამხდარიყო და ამით დაკმაყოფილდა. როცა მეუღლე დაბრუნდებოდა, გასართობი რაღაც გასაკეთებელი უნდა დახვედროდა შინ.

არქიტექტორის საქმიანობის შესაქებად შარლოტეს სიტყვა აღარ ჰყოფნიდა. გავიდა ცოტა ხანი და მის თვალწინ ტბა ახალ ნაპირებს შორის აღმოჩნდა, ნაპირებს ამშვენებდა მრავალფეროვანი ნარგავები და კორდები. ახალ სახლში მთელი შავი სამუშაო მოთავებული იყო, შეიძინეს ყველაფერი, რაც საჭირო იყო მის შესანარჩუნებლად, და შარლოტემ ბრძანა მუშაობა ამ ეტაპზე შეეწყვიტათ, რომ შემდეგ მეტი ხალისით შესაძლებელი ყოფილიყო მუშაობის განახლება. თავი მშვიდად და მხიარულად ეჭირა. ოთილიეც ამგვარადვე გამოიყურებოდა, რადგან ყველაფერში მას მხოლოდ იმის დანახვა უნდოდა, მალე მოელოიან ედუარდის დაბრუნებას თუ არა. არაფერი აინტერესებდა გარე სამყაროში ფიქრის გარდა.

ამიტომ გაახარა ერთმა წამოწყებამ, როცა გლეხის ბიჭები შეკრიბეს იმ მიზნით, რომ უშველებელ პარკში სისუფთავე დაეცვათ. ეს აზრი ადრე ედუარდს მოუვიდა თავში. ბიჭებისთვის შეაკერინეს კოხტა ფორმა, რომელსაც საღამომობით იცვამდნენ, მას შემდეგ, რაც თავით ფენებამდე გასუფთავდებოდნენ და გაწკრივდებოდნენ. ფორმა კარადაში ინახებოდა ციხე-დარბაზში. მისი მეთვალყურეობა მიანდეს ყველაზე უფრო შეგნებულ და წესიერ ბიჭს. მთელ ამ ამბავს ხელმძღვანელობდა არქიტექტორი და მოხედვაც ვერ მოასწრეს, რომ ბიჭებს უკვე სათანადო ჩვევები გამოუმუშავდათ. მათი გაწვრთნა იოლი აღმოჩნდა და ისინი თავიანთ საქმეს საკმაოდ საზრიანადაც კი აკეთებდნენ. როცა ისინი მიაბიჯებდნენ მხარზე გადებული თოხებით, ტარიანი დანებით, ფოცხებით, პატარა ნიჩბებით, ბარჯებითა და მარაოსებრი ცოცხებით ხელში, როცა მათ უკან სხვები მიჰყვებოდნენ კალათებით, რომ პარკიდან სარეველა მცენარეები და ქვები გაეზიდათ, ხოლო დანარჩენები მაღალ და დიდ რკინის სატკეპნს მიაგორებდნენ, ეს მართლაც ლამაზი და თვალის გასახარი სანახაობა იყო, რაშიც არქიტექტორი ხედავდა მიხრა-მოხრისა და საქმიანობის წესიერ თანამიმდევრობას, რის გამოყენებასაც ბაღის პავილიონის ფრიზისთვის აპირებდა. ოთილიე კი პირიქით, ყოველივე ამაში ხედავდა რაღაც პირადის მაგვარს, მალე რომ სახლში დაბრუნებულ პატრონს მიესალმებოდა.

ოთილიეს სიმხნევებსა და ხალისს მატებდა ის, რომ რაღაც ამდაგვარს ისიც დაახვედრებდა ედუარდს. მათ ადრეც შეაგულიანეს სოფლელი გოგონები ხელი მოეკიდათ კერვის, ქარგვის, ქსოვისა და სხვა საქალო საქმისთვის. მაგრამ მას შემდეგ, რაც სოფლის დასუფთავება და გალამაზება დაიწყო, გოგონებიც უფრო მუყაითნი გახდნენ. ოთილიეც მათ შორის ტრიალებდა, ოღონდ შემთხვევიდან შემთხვევამდე, როცა დროს გამონახავდა ან მოეხალისებოდა. ახლა კი გადაწყვიტა თანამიმდევრულად მიჰყოლოდა საქმეს, მაგრამ რამდენიმე გოგონასგან რაზმს ვერ შექმნი, ისევე როგორც რამდენიმე ბიჭისგან. ოთილიე გულის წადილს აჰყვა ისე, რომ ეს ბოლომდე არ ჰქონდა გაცნობიერებული, ცდილობდა თითოეული გოგონასთვის ჩაენერგა სახლის, მშობლებისა და და-ძმისადმი სიყვარული და ერთგულება.

ბევრს ჩაუნერგა კიდევ ეს გრძნობა. მხოლოდ ერთ პატარა, ცოცხალ გოგონაზე ესმოდა საყვედურები, უსაქმურია და სახლში საერთოდ არაფრის გაკეთება არ უნდაო. ოთილიე ბავშვისადმი მტრულად ვერ განეწყო, რადგან მისდამი განსაკუთრებულ გულთბილობას იჩენდა. გოგონა ოთილიესკენ მიილტვოდა და როცა ამის უფლებას აძლევდნენ, უკან დასდევდა. ოთილიეს გვერდით იგი საქმიანიც იყო, მხიარულიც და დაუღალავიც. მშვენიერი ქალბატონისადმი ერთგულება, ეტყობა, მოთხოვნილებად ექცა. თავიდან ოთილიე იტანდა ბავშვის უკან დევნას, შემდეგ თვითონაც შეუყვარდა, ბოლოს უერთმანეთოდ ვეღარ ძლებდნენ და ნანი თავის ქალბატონს ყველგან დაჰყვებოდა.

ოთილიე ხშირად დასეირნობდა ბაღში და უხაროდა, რომ ყველაფერმა მშვენივრად გაიხარა.

კენკროვანებისა და ალუბლის დრო ილეოდა, მაგრამ ნანი გადამწიფებული ნაყოფითაც სიამოვნებით იტკბარუნებდა პირს. სხვა ხილი, რომელსაც შემოდგომისთვის კარგი პირი უჩანდა, მეზღეს მუდამ ბატონს აგონებდა და მის დაბრუნებას ნატრობდა. ოთილიე სიამოვნებით უსმენდა კეთილ ბერიკაცს. მან თავისი საქმე ჩინებულად იცოდა და დაუსრულებლად ჰყვებოდა რაღაცას ედუარდზე.

როცა ოთილიემ სიხარული გამოთქვა, რომ გაზაფხულზე დამყნილმა ნერგებმა მშვენივრად გაიხარეს, მეზღემ დაფიქრებით უთხრა: – მე მხოლოდ ის მსურს, რომ ამათ ჩვენს კეთილ ბატონსაც მოჰგვაროს სიხარული. ამ შემოდგომაზე თუ აქ იქნება, დაინახავს, თუ რა ძვირფასი ჯიშის ხეხილია გაშენებული ციხე-დარბაზის ბაღში ჯერ კიდევ მამამისის დროიდან. ახლანდელი მეზღეები არც ისე სანდონი არიან, როგორც ჩვეულებრივ კარტეზიანელები იყვნენ. კატალოგებში მხოლოდ ლამაზ სახელწოდებებს წერენ, გააშენებენ ხეებს, მოუვლიან, მაგრამ ბოლოს, როცა ნაყოფს გამოიღებს, აღმოჩნდება, თურმე გარჯად არ ღირდა და მათ ბაღში გაჩერებას აზრი არა აქვს.

მაგრამ ერთგული მსახური ოთილიეს თითქმის ყოველი შეხვედრის დროს ეკითხებოდა, როდის დაბრუნდება ბატონი, რომელ რიცხვშიო. და რაკი ოთილიე ვერანაირ პასუხს ვერ ეუბნებოდა, კეთილი მოხუცი სევდანარევი სიდინჯით აგრძნობინებდა ქალიშვილს, მგონი არ მენდობითო. ოთილიეს კი ის აწუხებდა, რომ არ იცოდა, როდის დაბრუნდებოდა ბატონი, რასაც ასე ხაზგასმით ახსენებდნენ. მაგრამ მაინც ვერ შორდებოდა ყვავილნარებს და კვლებს. ის, რაც ედუარდმა და ოთილიემ ერთად დათესეს და დარგეს, ახლა დიდებულად გაფურჩქნილიყო და მოვლას თითქმის აღარ საჭიროებდა გარდა მორწყვისა, რასაც ნანი სიამოვნებით აკეთებდა. როგორი გრძნობით აკვირდებოდა ოთილიე ნაგვიანებ ყვავილებს, რომელთაც ის-ის იყო კვირტები გამოიღეს და ედუარდის დაბადების დღისთვის მთელი ბრწყინვალეობითა და სისავსით უნდა გაფურჩქნილიყვნენ – ზოგჯერ იმედოვნებდა, რომ ამ დღეს მასთან ერთად იზეიმებდა და მაშინ ყვავილები მისი სიყვარულისა და მადლიერების გამოხატვა იქნებოდა. მაგრამ იმის იმედი, რომ ამ ზეიმს მოესწრებოდა, ყოველთვის თანაბრად ცხოველი როდი იყო. ეჭვი და დარდი მუდამ უშხამავდნენ გუნებას კეთილ ქალიშვილს.

ნამდვილი, გულახდილი ურთიერთობის დამყარება შარლოტესთან ამიერიდან ვერაფრით მოხერხდებოდა, რადგან ამ ორი ქალის მდგომარეობა მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. თუ ყველაფერი ძველებურად დარჩებოდა, თუ მათი ცხოვრება კანონზომიერ კალაპოტში ჩადგებოდა, შარლოტე კიდევ უფრო ბედნიერი გახდებოდა და მის წინაშე მომავალში სასიხარულო პერსპექტივა იშლებოდა. ოთილიე კი პირიქით, ყველაფერს დაკარგავდა, ნამდვილად ყველაფერს, პირველად იპოვა ედუარდში სიცოცხლე და სიხარული და ამჟამად ისეთ უსაზღვრო სიცარიელეს გრძნობდა, რაზედაც უწინ ოდნავი წარმოდგენაც კი არ ჰქონდა. გული, რომელიც ეძებს, კარგად გრძნობს, რაღაც რომ აკლია, ხოლო გული, რომელმაც დაკარგა, კარგად გრძნობს, რა სჭირდება. ნატვრა გადაიზრდება უკმაყოფილებაში, უკმაყოფილება მოუთმენლობაში და ქალის ბუნება, რომელიც ლოდინსა და დიდხანს ცდასაა ჩვეული, მზადაა გამოსხლტეს ამ წრიდან, იმოქმედოს, რაღაც გააკეთოს, თავისი ბედნიერებისთვის ხელი გაანძრიოს.

ოთილიე ედუარდზე უარს არ ამბობდა. თუმცა საკმაოდ ჭკვიანმა შარლოტემ იმის საწინააღმდეგოდ, რაშიც დარწმუნებული იყო, განსაჯა და გადაწყვიტა, რომ მის მეუღლესა და ოთილიეს შორის შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მეგობრული, მშვიდი ურთიერთობა, ოთილიეს ეს ვერც კი წარმოედგინა. ღამით, ხშირად, როცა კარს ჩაკეტავდა, ოთილიე ღია სკივრის წინ მუხლებზე ემხობოდა და ათვალთვლებდა იმ საჩუქრებს, დაბადების დღეზე რომ მიიღო. ამ საჩუქრებიდან ჯერ არაფერი გამოუყენებია, არაფერი დაუჭრია, არაფერი შეუკერავს. კეთილი ქალიშვილი მზის ამოსვლისთანავე გარბოდა იმ სახლიდან, სადაც მთელი თავისი ბედნიერება იპოვა, გარბოდა იმ სანახებისკენ, რომელიც უწინ ჩვეულებრივ არ მოსწონდა. მიწაზე დგომა უჭირდა. ამიტომ ნავში ჯდებოდა, ნიჩბებს მოუსვამდა და უმაღლეს ტბამდე მიაღწევდა. შემდეგ ამოიღებდა რომელიმე მოგზაურობის აღწერას, აღელვებულ ტალღებზე ირწეოდა და კითხულობდა, ოცნებით შორს იჭრებოდა და იმ შორეთში ყოველთვის პოულობდა თავის მეგობარს, იგი ისევ ისე ახლოს იყო ედუარდის გულთან, ედუარდი კი მის გულთან.

თავი მეთვრამეტე

ადვილი წარმოსადგენია, რომ ის საოცრად აქტიური კაცი, მითლერი, რომელიც ჩვენ უკვე გავიცანით, მას შემდეგ, რაც შეიტყო, თუ რა უბედურება დაატყდა თავს ჩვენს მეგობრებს, მზად

იყო დაემტკიცებინა მათთვის მეგობრული განწყობა და გამჭრიახობა, თუმცა ჯერჯერობით არც ერთ მხარეს არ მიუმართავს მისთვის დახმარებისთვის. უფრო გონივრულად მიიჩნია ერთხანს თავი შეეკავებინა. მითლერმა მშვენივრად იცოდა, რომ უფრო ძნელია სულიერად აფორიაქებულ, განათლებულ ადამიანებს გაუწიო დახმარება, ვიდრე გაუნათლებლებს. ამიტომ ერთხანს ისინი საკუთარი თავის ამარა დატოვა, მაგრამ ბოლოს ველარ გაუძლო გულმა და გაეშურა ედუარდის სანახავად, ვის კვალსაც უკვე მიაგნო.

გაიარა ლამაზი ხეობა, სადაც თვალწარმტაც, მწვანე, ჭალაში მჩქეფარე, წყალუხვი ღელე ხან მიიკლაკნებოდა, ხანაც მირაკრაკებდა. ოდნავ დაქანებულ ფერდობებზე გადაჭიმულიყო ნაყოფიერი მინდვრები და კარგად ტანაყრილი ხეხილის ნარგავები. სოფლები ერთმანეთისგან საკმაო მანძილზე იყვნენ დაშორებული. ყველაფერს მშვიდობიანი იერი დაჰკრავდა, ხოლო ზოგიერთი კუთხე თუმცა დასახატავად არ ვარგოდა, სამაგიეროდ, მშვენიერი ადგილი იყო საცხოვრებლად.

ბოლოს თვალში მოხვდა ბალებით გარშემორტყმული, კარგად მოვლილი ფერმა, სადაც სუფთა, პატარა საცხოვრებელი სახლი იდგა. მისი აზრით, ედუარდის ამჟამინდელი საცხოვრისი აქ უნდა ყოფილიყო და არც შემცდარა.

ჩვენ განმარტოებულ მეგობარზე მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ამ სიმყუდროვეში იგი მთლიანად მიენდო თავის გრძობას, აგებდა გეგმებს, ელოლიავებოდა იმედებს. თავს არ უმაღავდა, რომ სურდა ოთილიე აქ ჰყოლოდა, ოცნებობდა აქ მოეყვანა, აქ შემოეტყუებინა და ვინ იცის კიდევ რამდენი ნებადართული და ნებადაურთველი ფიქრი უფორიაქებდა გულს. მისი წარმოსახვის უნარი ყველა შესაძლებლობას უტრიალებდა ირგვლივ. თუ არ ეწერა აქ დაუფლებოდა მას, დაუფლებოდა კანონიერად, მაშინ ამ მამულის მფლობელად ოთილიეს გახდიდა. აქ იცხოვრებდა იგი წყნარად, დამოუკიდებლად, ბედნიერი იქნებოდა, ხოლო როცა ედუარდი საკუთარი თავის გამაწამებელმა წარმოსახვის უნარმა უფრო შორს გაიტაცა, ისიც გაიფიქრა, იქნებ სხვასთან იყო ბედნიერი.

ასე მუდმივ მერყეობაში იმედსა და ტკივილს, ცრემლებსა და სიხარულს, ზრახვებს, მზადებასა და სასოწარკვეთილებას შორის მიედინებოდნენ მისი ღამეები. მითლერის სტუმრობას იგი არ გაუკვირვებია. მის ჩამოსვლას დიდი ხანია ელოდა და ამდენად მისმა ნახვამ ერთგვარად გაახარა კიდევ. თუ შარლოტეს გამოგზავნილი იქნებოდა, იგი უკვე მზად იყო თავის მართლების, საქმის გაჭიანურებისა და ბოლოს უფრო გადამჭრელი წინადადებისთვის, ხოლო თუ იმედი გაუმართლებდა და მისგან ოთილიეს შესახებ გაიგებდა რამეს, მაშინ მითლერი მისთვის ისეთივე საყვარელი განდებოდა, როგორც ზეცის მოციქული.

აი, რატომ გაღიზიანდა და დასწყდა გული ედუარდს, როცა გაიგო, რომ მითლერი მათი გამოგზავნილი კი არ იყო, არამედ საკუთარი სურვილით ჩამოვიდა. გული დაეხურა და თავიდან საუბარი ვერა და ვერ ააწყვეს. მაგრამ მითლერმა ძალიან კარგად იცოდა, რომ სიყვარულით გამსჭვალულ სულს დაუოკებული მოთხოვნილება უჩნდება, ვინმეს გული გადაუშალოს, ის, რაც მასში ხდება, მეგობარს გაანდოს, ამიტომ საუბარი გაუბა აქეთურ-იქითურზე, გადაწყვიტა ამჯერად თავისი როლისთვის ელალატა და შუამავლის ნაცვლად გამხდარიყო ედუარდის გულის მესაიდუმლე.

მას შემდეგ, რაც ედუარდი მეგობრულად გაკიცხა, განმარტოებული რატომ ცხოვრობო, მასპინძელმა უპასუხა: – ო, მე არც კი ვიცი, უფრო სასიამოვნოდ როგორ უნდა გამეტარებინა დრო! მუდამ მას დავტრიალებ თავს, მუდამ მის გვერდით ვარ. ჩემი ფასდაუდებელი უპირატესობა ისაა, შემიძლია იმაზე ფიქრი, სად არის ახლა ოთილიე, სად დადის, სად დგას, სად ისვენებს. თვალთ ვხედავ, რას საქმიანობს, რას ფუსფუსებს, ჩვეულებრივ რას სჩადის, როგორ აკეთებს იმას, რაც მე განსაკუთრებით მსიამოვნებს. მაგრამ ამით არ ვკმაყოფილდები, რადგან არ შემიძლია ბედნიერი ვიყო, როცა მისგან შორსა ვარ. ახლა ჩემი ფანტაზია იმას უკირკიტებს, რა უნდა გააკეთოს ოთილიემ, რომ მომიახლოვდეს. მისი სახელით ჩემს თავს ვწერ ფაქიზ, დამატკბობელ წერილებს, შემდეგ მევე ვპასუხობ და ამ ფურცლებს ერთად ვინახავ. პირობა დავდე, რომ ერთ ნაბიჯსაც არ გადავდგამ მისკენ და ამ პირობას დავიცავ. მაგრამ მას რაღა ბორკავს, რატომ არ მოდის ჩემთან? ნუთუ შარლოტე იმდენად ულმობელია, რომ მას პირობა ჩამოართვა და ფიცი დაადებინა, არაფერი მომწეროს, არავითარი ცნობა არ მომაწოდოს? ეს ბუნებრივიცაა და დასაჯერებელიც, მაგრამ მე მაინც გაუგონარ, აუტანელ ამბად მიმაჩნია. თუ მე მას ვუყვარვარ, რაც მჯერა და ვიცი, რატომ ვერ გადაუწყვეტია, რატომ ვერ ბედავს გამოიქცეს და გულში ჩამეკრას? ზოგჯერ ვფიქრობ, იგი ვალდებულია, ასე უნდა ექნა. როცა წინა ოთახში რაღაც გაიფაჩუნებს, კარისკენ ვიხედები, მგონია ოთილიე უნდა შემოვიდეს. ვფიქრობ, ვიმედოვნებ. აჰ! რადგან შესაძლებელი შეუძლებელია, თავს ვიტყუებ, თითქოს შეუძლებელი შესაძლებელი უნდა გახდეს. ღამე, როცა მეღვიძება და საძილე ოთახს ლამპა შუქს ჰფენს, მაშინ უნდა მოგოგმანდეს მისი სხეული, შემეხოს, თუნდაც ერთი წამით. ეს ერთგვარი საწინდარი იქნება იმისა, რომ ფიქრობს ჩემზე, რომ იგი ჩემია.

ერთადერთი სიხარული დამრჩენია. როცა მის გვერდით ვცხოვრობდი, არასოდეს დამსიზმრებია, ახლა კი ასე დაშორებულნი სიზმარში ერთად ვართ ხოლმე და უცნაური ისაა, რომ მას შემდეგ, რაც აქ მეზობლებს შორის რამდენიმე სასიამოვნო პიროვნება გავიცანი, სწორედ ახლა მეცხადება მისი ხატება სიზმარში, თითქოს ამის თქმა უნდა: მიმოიხედე ირგვლივ, ჩემზე მშვენიერსა და საყვარელს შენ ხომ მანდ ვერავის იპოვი. ასეა ჩაქსოვილი მისი ხატება ყოველ ჩემს სიზმარში. ყველაფერი, რასაც მასთან ერთად განვიცდი, ერთმანეთში ირევა და იხლართება. ხან კონტრაქტს ვაწერთ ხელს და მისი ხელი ჩემს ხელშია, მისი ხელის მოწერა ჩემი ხელის მოწერის გვერდით, ისინი ერთმანეთს ფარავენ, ერთმანეთში იხლართებიან. მაგრამ უმტკივნეულო როდია ფანტაზიის ეს ნეტარებით აღსავსე ჟონგლიორობა. ზოგჯერ ოთილიე ისეთ რაღაცას სჩადის, რომ შეურაცხყოფს იმ წმინდა წარმოდგენას, მასზე რომ შემექმნა. სწორედ მაშინ ვგრძნობ, რა ძალიან მიყვარს, რადგან უზომოდ შეშინებული ვარ. ზოგჯერ მახელებს, რაც მას არ სჩვევია და მაწამებს. მაგრამ მაშინვე იცვლება მისი ხატება, მისი ლამაზი, მრგვალი, ზეციური სახე იწყებს დაგრძელებას და ეს უკვე სხვა ადამიანია. მაგრამ მე მაინც გაწამებული, შეშფოთებული, განადგურებული ვარ.

ნუ იღიმებით, ძვირფასო მითლერ, თუმცა თუ გინდათ, გაიღიმეთ! მე არ მრცხვენია ამგვარი ერთგულებისა, თუ გნებავთ, უგუნური, შმაგი სიყვარულისა. არა, მე არასოდეს მყვარებია, მხოლოდ ახლა ვხდები, რას ნიშნავს სიყვარული. სანამ მას გავიცნობდი და მთელი სულითა და გულით, ჭეშმარიტად შევიყვარებდი, ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი მხოლოდ პრელუდია, მხოლოდ ლოდინი, მხოლოდ დროს ტარება და მხოლოდ დროს მოკვლა იყო. მართალია, ჩემთვის პირში არ უთქვამთ, მაგრამ ზურგს უკან ბევრჯერ გამოუთქვამთ საყვედური, რომ უნიათო ვარ, რომ მხოლოდ ვაჯახირებ საქმეს. შეიძლება ასეცაა, მაგრამ მაშინ მე არ მქონდა ნაპოვნი ის, რაშიც შემეძლო თავი გამომეჩინა. ახლა კი მინდა ერთი ვნახო, ვინ მაჯობებს სიყვარულის უნარში

მართალია, სიყვარულს, ტანჯვა, ტკივილი, ცრემლი მოაქვს, მაგრამ მე ეს ბუნებრივად მიმაჩნია და იმდენად ჩემია, ძნელად თუ ვიტყვი ამაზე ოდესმე უარს.

ამ მხურვალე გულის გადაშლამ ედუარდს შვება მოჰგვარა, მაგრამ თავისი უჩვეულო მდგომარეობა, მისი ცალკეული შტრიხიც კი უეცრად ისე ცხადად დაუდგა თვალწინ, რომ მტკივნეული წინააღმდეგობებით შეძრულს ცრემლი წასკდა და სულ უფრო უხვად სდიოდა, რადგან ყოველივე ამის აღიარებისგან გული აუჩვილდა.

მითლერმა, რომლისთვისაც ძნელი იყო წინააღმდეგობა გაეწია ფიცხი ხასიათისა და ულმობელი გონებისთვის, დაინახა, რომ ედუარდის გრძნობის მტკივნეული ამოფრქვევის გამო, დიდად დასცილდა თავის მოგზაურობის მიზანს და ამიტომ გულწრფელად და უხეშად მიახალა ედუარდს, შენი საქციელი გასაკიცხიაო. მისი აზრით, ედუარდს თავი უნდა მოეთოკა, უნდა დაფიქრებულიყო, რა მოვალეობა აწევს საკუთარი ღირსების წინაშე: არ უნდა დაევიწყებინა, რომ ადამიანი უდიდეს სახელს მოიხვეჭს, თუ უბედურების დროს თავს მოერევა, მტკიცედ და ვაჟკაცურად აიტანს ტკივილს, რისთვისაც ადამიანს დიდად აფასებენ, პატივს სცემენ და სამაგალითოდ მიიჩნევენ.

არ შეიძლებოდა აღელვებულ და მტანჯველი გრძნობით შეპყრობილ ედუარდს ეს სიტყვები ფუჭი და უმნიშვნელო არ მოსჩვენებოდა.

– ასე ლაპარაკი ადვილია იმ ადამიანისთვის, ვინც ბედნიერი და მოლხენილია, – განაცხადა ედუარდმა, – მაგრამ მას შერცხვებოდა, რომ სცოდნოდა, რა აუტანელია ამგვარი სიტყვები იმისათვის, ვინც იტანჯება. დალხენილი გულქვა კაცი სხვას უსასრულო მოთმინებისკენ მოუწოდებს, უსასრულო ტანჯვას კი არ ცნობს. არის ასეთი შემთხვევები, დიან, არის! როცა ყოველგვარი ნუგეშისცემა საძაგლობაა, ხოლო სასოწარკვეთილება მოვალეობა. ერთ კეთილშობილ ბრძენს, რომელსაც გმირების აღწერაც ეხერხებოდა, არ ეთაკილებოდა მის გმირებს მწუხარების მოძალების ჟამს ცრემლი ეღვარათ. მასვე ეკუთვნის ანდაზა: „ვინც ცრემლუხვია – ის კეთილია“. მომეშვას ყველა, ვისაც გამომშრალი გული და გამომშრალი თვალები აქვს. დამიწყევლია ყველა ბედნიერი კაცი, ვისთვისაც უბედურები მხოლოდ თავშესაქცევს წარმოადგენენ. ფიზიკურად და სულიერად დათრგუნვილი უბედური, რომელსაც უმძიმესი ტვირთი აწევს, კეთილშობილურად უნდა მოიქცეს, რათა მათი მოწონება დაიმსახუროს და მსგავსად გლადიატორისა, მათ თვალწინ კაცურად დაიღუპოს, გარდაცვალების შემდეგ ტაში რომ დაუკრან. ძვირფასო მითლერ, მადლობას გიხდით სტუმრობისთვის, მაგრამ დიდად დამავალბეთ, თუ ბაღში ან ბუნების წიაღში გაისეირნებთ. ჩვენ ისევ შევხვდებით ერთმანეთს. ვეცდები, დავმშვიდდე და უფრო დაგემგვანოთ თქვენ.

მითლერს ბევრად ერჩია კვლავ განეგრძო, ვიდრე შეეწყვიტა საუბარი, რასაც ასე ადვილად ვეღარ წამოიწყებდა. ედუარდისთვისაც უკეთესი იყო იმ საუბრის გაგრძელება, მიზნისკენ რომ მიჰყავდა.

– რა თქმა უნდა, – განაგრძო ედუარდმა, – ამგვარ მსჯელობებს, დავას, სიტყვების ფრქვევას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, მაგრამ ჩვენმა დღევანდელმა საუბარმა საკუთარი თავი

მაპოვნინა, ცხადად ვიგრძენი, რა გადაწყვეტილება უნდა მივიღო და რა გადავწყვიტე. თვალწინ მიდგას ჩემი ახლანდელი და მომავალი ცხოვრება. არჩევანი მხოლოდ უბედურებასა და ნეტარებას შორის უნდა მოვხდინო. კეთილო კაცო, მომეხმარეთ განქორწინებაში, რაც ასე აუცილებელია ჩემთვის და რაც უკვე მოხდა, დაიყოლიეთ შარლოტე. არ მინდა ვილაპარაკო იმაზე, რატომ მგონია, რომ ამის მიღწევა შეიძლება. ძვირფასო ადამიანო, გაემგზავრეთ მათთან, დაამშვიდეთ ყველანი, გაგვხადეთ ბედნიერები.

მითლერი შეცბუნებული იყო, ედუარდმა კი განაგრძო: – ჩემი და ოთილიეს ბედი განუყოფელია და ჩვენ არ დავიღუპებით. ხედავთ ამ ჭიქას! ზედ ჩვენი მონოგრამებია გამოყვანილი. ერთმა სიხარულისგან აღტკინებულმა სტუმარმა ჰაერში ისროლა და რომ ამ ჭიქით აღარავის დაელია, კლდოვან ნიადაგზე უნდა დაცემულიყო და დამსხვრეულიყო, მაგრამ ჰაერშივე დაიჭირეს. მე ის დიდ ფასად შევისყიდე და ახლა ყოველდღე ამ ჭიქით ვსვამ, რომ დავრწმუნდე, ურყევია კავშირი, რომელიც ბედმა შეკრა.

– ო, ბედკრულო ჩემო თავო, – წამოიძახა მითლერმა, – რამხელა მოთმინება მჭირდება ჩემს მეგობრებთან! ახლა კი ჩემ წინ ცრუმორწმუნეობაც აღიმართა, რაც მძულს, რადგან მასზე დიდი ზიანი არაფერს მოაქვს ადამიანებისთვის. ჩვენ ვეთამაშებით წინასწარმეტყველებას, წინათგრძნობას, ოცნებებს და ამით ყოველდღიურ ცხოვრებას მნიშვნელობას ვანიჭებთ. მაგრამ როცა ცხოვრება თავად ხდება მნიშვნელოვანი, როცა ჩვენ ირგვლივ ყველაფერი მოძრაობს და ბობოქრობს, მაშინ იმ მოჩვენებათა გამო ქარიშხალი კიდევ უფრო ძლიერდება.

– ამ არეულ-დარეულ ცხოვრებაში, – წამოიძახა ედუარდმა, – ამ იმედსა და შიშს შორის რჩევაში დაუტოვებთ საბრალო გულს ერთგვარი გზის მანათობელი ვარსკვლავი მაინც, რომლისკენაც გაიხედავს, თუნდაც მას ვერ დაემორჩილოს.

– მოგიწონებდით ამ ამბავს, – უთხრა მითლერმა, – რაიმე თანამიმდევრობის იმედს რომ იძლეოდეს, მაგრამ მე მუდამ მიმაჩნდა, რომ გამაფრთხილებელ სიმპტომებს არც ერთი ძეხორციელი არ აქცევს ყურადღებას და მთელი ყურადღება იქითკენ აქვთ მიპყრობილი, რაც გულს ესაღბუნება, რაღაცას ჰპირდება და მათი რწმენაც მხოლოდ ამით სულდგმულობს.

მითლერი ხედავდა, რომ იმ ბნელ სფეროებშიც კი შეიტყუეს, სადაც რაც უფრო მეტ დროს დაჰყოფდა, მით უფრო უსიამო გრძნობა ეუფლებოდა და ამიტომ ხალისით დაეთანხმა ედუარდის დაჟინებულ თხოვნას, შარლოტესთან მიმეგზავნეო. ანდა რა უნდა დაეპირისპირებინა ედუარდისთვის ასეთ მძიმე წუთებში? მას ისღა დარჩენოდა, რომ დრო მოეგო, გაეგო რა დღეში არიან ქალები.

მითლერი გაეშურა შარლოტესთან, რომელიც ჩვეულებისამებრ მშვიდი და თავშეკავებული დახვდა. ქალმა სიამოვნებით უამბო ყველაფერი, რაც მოხდა, ედუარდის სიტყვების მიხედვით კი მხოლოდ უკანასკნელ მოვლენებზე შეეძლო მსჯელობა. იგი ფრთხილად შეუდგა საქმეს, მაგრამ თავს ვერ მოერიდა და გაკვირთაც არ უხსენებია სიტყვა გაყრა. ამიტომ რაოდენ გაკვირვებული, გაოცებული და თავისი თვალსაზრისით გახარებულიც კი იყო, როცა ზოგიერთი უსიამოვნო ამბის შემდეგ, შარლოტემ უთხრა: – მე უნდა მწამდეს და ვიმედოვნებდე, რომ ყველაფერი ისევ მოგვარდება და ედუარდისთვის კვლავ ახლობელი ვიქნები. ანდა სხვანაირად როგორ შეიძლება იყოს, როცა გუნებანაქცევი დაგხვდით?

– სწორად გაგიგეთ? – გააწყვეტინა სიტყვა მითლერმა.

– სავსებით, – უპასუხა შარლოტემ.

– ათასჯერ იყოს კურთხეული ეს ამბავი! – წამოიძახა მითლერმა და ხელი ხელს შემოჰკრა, – ვიცი, რა ძლიერ მოქმედებს ეს არგუმენტი მამაკაცის სულზე, რამდენი ქორწილი დაუჩქარებია, რამდენი ქორწინება განუმტკიცებია, კვლავ აღუდგენია! ერთი ასეთი კეთილი იმედი ათას სიტყვაზე უკეთ მოქმედებს და მართლაც შესანიშნავი იმედი, როგორც კი შეიძლება გვქონდეს. თუმცა, – განაგრძო მან, – რაც შემეხება მე, ყველა მიზეზი მაქვს იმისა, რომ ცუდ ხასიათზე ვიყო. კარგად ვხედავ, რომ ამ შემთხვევაში ჩემს ეგოიზმს კმაყოფილებას ვერ მოჰგვრით. ჩემი საქმიანობა თქვენს მადლობას ვერც დაიმსახურებს. საკუთარი თავი იმ ჩემს მეგობარ ექიმს მაგონებს, რომლის მკურნალობას მხოლოდ მაშინ მოჰქონდა შედეგი, როცა ღვთის შემწეობით ღარიბებს წამლობდა, მაგრამ იშვიათად მოურჩენია მდიდარი კაცი, რომელსაც ბევრი ფულის გადახდა შეეძლო. საბედნიეროდ, ამ საქმეს თავისთავად ეშველება, თორემ ჩემი გარჯა, ჩემი რჩევა-დარიგება უნაყოფოდ ჩაივლიდა.

ახლა შარლოტემ დაიჟინა, რომ ეს ცნობა მითლერს ედუარდისთვის მიეწვდინა, წაელო მისი წერილი და თვითონ განესაზღვრა, რის გაკეთება, რის აღდგენა შეიძლებოდა, მაგრამ მითლერი არ ეთანხმებოდა.

– ყველაფერი გაკეთებულია, – წამოიძახა მან, – დაწერეთ წერილი! ყველა შიკრიკი იმასვე გააკეთებს, რასაც მე. მე კი ჩემი ნაბიჯები იქით უნდა წარვმართო, სადაც უფრო საჭირო ვარ. ჩამოვალ ნათლობაზე, რომ ბედნიერება გისურვოთ.

შარლოტე, როგორც ეს ადრეც მომხდარა ხშირად, მითლერით უკმაყოფილო დარჩა. მისი ცოცხალი ბუნება ხშირად აღწევდა წარმატებას, ზოგი წარუმატებლობა კი მისი წინდაუხედაობის ბრალი იყო. არავისზე ახდენდა უფრო დიდ გავლენას უეცრად აკვიატებული აზრი.

შარლოტეს შიკრიკი ედუარდს მიადგა კარზე, რამაც ცოტათი შეაშინა კიდეც. წერილში შეიძლება წერებულიყო არაც და ჰოც. იგი დიდხანს ვერ ბედავდა წერილის გახსნას. იმან, რითაც წერილი თავდებოდა, ადგილზე გააქვავა.

„გაიხსენე ის წუთები, როცა შენს მეუღლეს ფათერაკის მაძიებელივით ღამით ესტუმრე და ისე ძალუმაღ მიიკარი მკერდზე, როგორც სატრფო, როგორც საცოლე. ამ უცნაური შემთხვევის გამო პატივი ვცეთ ღვთის განგებას, რამაც ჩვენი ურთიერთობის ახალი კავშირი შეკრა იმწამს, როცა ჩვენს ბედნიერებას დაშლა, გაქარწყლება ემუქრებოდა“.

ძნელია იმის აღწერა, რაც იმ წამიდან ედუარდის სულში ხდებოდა. როცა ასე აფორიაქდები, კვლავ იჩენენ თავს ძველი ჩვევები და მიდრეკილებანი, რაც კაცს დროის მოკვლაში და ცხოვრების შევსებაში ეხმარება. ამ დროს კეთილშობილი წარმომობის კაცისთვის სწორედ რომ მისწრებაა ომი და ნადირობა. ედუარდს რომ თავი შინაგანად გაეწონასწორებინა, გარეგნული საფრთხე სჭირდებოდა. ენატრებოდა ომში დაღუპვა, რადგან არსებობდა იმის მუქარა, რომ მისი ამქვეყნად ყოფნა აუტანელი გახდებოდა. ნუგეშს მხოლოდ იმაზე ფიქრი ჰგვრიდა, რომ აღარ იარსებებდა და ამით შეიძლება საყვარელი ადამიანები, მეგობრები ბედნიერნი გაეხადა. მის ნება-სურვილს არავინ ეწინააღმდეგებოდა, რადგან თავის გადაწყვეტილებას არავის უმხელდა. მან ყველა წესის დაცვით შეადგინა ანდერძი: მას სიხარულს ჰგვრიდა, რომ შეეძლო ეს მამული ოთილიესთვის ეანდერძა. ზრუნვა არც შარლოტეს მოაკლო. არც ჯერ კიდეც დაუბადებელ ბავშვს, არც კაპიტანს, არც მოახლეებს და არც მსახურებს. ისევ ატყდა ომი, რამაც ხელი შეუწყო მისი განზრახვის განხორციელებას. მოუწყობელმა სამხედრო ცხოვრებამ ახალგაზრდობაში ბევრი თავსატეხი გაუჩინა, სწორედ ამის გამო დაანება თავი სამსახურს. ახლა კი შესანიშნავი გრძნობა ჰქონდა, ისეთ მხედართმთავართან ერთად მიდიოდა ომში, ვის შესახებაც შეეძლო ეთქვა, მისი მეთაურობით სიკვდილი შესაძლებელია, გამარჯვება კი აუცილებელი.

ოთილიე, მას შემდეგ, რაც მისთვისაც ცნობილი გახდა შარლოტეს საიდუმლოება, ედუარდზე უფრო მეტად იყო გაოგნებული, ამიტომ გულჩათხრობილი გახდა. სათქმელი აღარაფერი ჰქონდა. იმედი გადაეწურა, აღარც ოცნების იმედი ჰქონდა. მაგრამ მის სულში ჩახედვის შესაძლებლობას გვაძლევს დღიური, საიდანაც გვინდა ზოგი რამ გაგიზიაროთ.

ნაწილი მეორე

თავი პირველი

ჩვეულებრივ ცხოვრებაში ხშირად ვხვდებით ისეთ რამეს, რასაც ეპოპეაში ხოტბას ვასხამთ, როგორც მწერლის ოსტატურ ხერხს, სახელდობრ, როცა მთავარი გმირები თვალს მიეფარებიან, იმალებიან, უსაქმურობას ეძლევიან, ვიღაც მეორე, მესამე აქამდე ძლივს შესამჩნევი პიროვნება მაშინვე შეავსებს ცარიელ ადგილს და გამოამჟღავნებს რა მთელ თავის საქმიანობას, ჩვენ ყურადღების, თანაგრძნობის, ქებისა და განდიდების ღირსადაც კი გვეჩვენება.

კაპიტნისა და ედუარდის გამგზავრების შემდეგ ყოველდღიურ ცხოვრებაში სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ის არქიტექტორი, რომელიც ყველა საქმესა და სამუშაოს უძღვებოდა. ამავე დროს იგი აღმოჩნდა სამართლიანი, შეგნებული და საქმიანი კაცი. იცოდა, როდის და როგორ ამოსდგომოდა ქალბატონებს მხარში და გაჭიანურებულ, მოსაწყენ საათებში ართობდა კიდეც მათ. მარტო გარეგნობა ჰქონდა ისეთი, რომ ნდობას იმსახურებდა და სიმპათიას იწვევდა. ეს იყო ჭაბუკი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, კარგი აღნაგობის, ტანთხელი,

ზომაზე ცოტათი მაღალი, თავმდაბალი, მაგრამ გაბედული, მოგენდობოდა, მაგრამ თავს არ მოგაბეზრებდა. ხალისით ეკიდებოდა ყველას საზრუნავსა და სამუშაოს, და რადგან ანგარიში ეხერხებოდა, მთელი საოჯახო მეურნეობა მისთვის საიდუმლოს აღარ წარმოადგენდა. მისი კეთილისმყოფელი გავლენა ყველაფერზე ვრცელდებოდა. უცხო სტუმრების მიღებას ჩვეულებრივ მას ავალებდნენ და მან იცოდა, როგორ მოეცილებინა თავიდან მოულოდნელი სტუმარი, ანდა ისე შეემზადებინა ქალები მის მისაღებად, რომ უხერხულ მდომარეობაში არ აღმოჩენილიყვნენ.

სხვათა შორის, ერთ დღეს ერთმა ახალგაზრდა სამართალმცოდნემ დიდი თავსატეხი გაუჩინა. იგი გამოგზავნა მეზობელმა მემამულემ და ისეთ საქმეზე ჩამოაგდო სიტყვა, რასაც არავითარი განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ შარლოტე მაინც ააფორიაქა. ჩვენ უნდა გავიხსენოთ ის შემთხვევა, რადგან მან ბიძგი მისცა სხვა ისეთ ამბებს, სხვა დროს ალბათ დიდხანს რომ არ დაიძვრებოდნენ ადგილიდან.

ჩვენ არ გვახსოვს ის ცვლილებები, შარლოტემ რომ ეკლესიის ეზოში მოახდინა. ყველა ძეგლს ადგილი მოუნახეს და ჩამწკრივეს გალავანთან ან ეკლესიის ცოკოლთან. დანარჩენი ფართობი მოასწორეს, გარდა ერთი ფართო გზისა, რომელიც ეკლესიისკენ მიდიოდა, გვერდს აუქცევდა და მოპირდაპირე მხარეს კუტიკარს მიადგებოდა. გაწმენდილი ადგილი მოფენილი იყო სხვადასხვა ჯიშის სამყურათი, რომელიც მეტისმეტად იყო ამწვანებული და ყვაოდა. სათანადო წესის მიხედვით ახალი საფლაგების თხრა ბოლოდან უნდა დაეწყოთ, მაგრამ შემდეგ უნდა მოესწორებინათ და ბალახი დაეთესათ. ვერავინ უარყოფდა, რომ კვირა დღეებსა და დღესასწაულებზე ეს ღონისძიება ეკლესიაში მოსიარულეთა თვალს ახარებდა და ღირსეულ სანახაობას წარმოადგენდა. მოხუცებული და ძველ ჩვეულებათა მიმდევარი მღვდელიც კი, რომელიც თავიდან ამგვარი ცვლილებებით დიდად კმაყოფილი არ ყოფილა, ახლა გახარებული იყო, რადგან როცა ძველი ცაცხვების ქვეშ ისვენებდა, ოღროჩოღრო საფლაგების ნაცვლად თვალწინ ეშლებოდა ლამაზი, ჭრელი ხალიჩა, რომელსაც ოჯახისთვისაც მოჰქონდა სარგებლობა, რადგან შარლოტემ უფლება მისცა ამ ნაკვეთით მრევლის სასულიერო პირებსაც ესარგებლათ.

მიუხედავად ამისა, მრევლის ზოგიერთ წევრს ადრეც არ მოსწონდა, რომ ადგილს, სადაც მათი წინაპრები განისვენებდნენ, არავითარი ნიშანი აღარ დარჩა და ამის გამო თითქოს მათი ხსოვნა წაიშალა. მართალია, კარგად შენახული ძეგლები მეტყველებდნენ იმაზე, თუ ვინ იყო ამ სასაფლაოზე დამარხული, მაგრამ არ მიუთითებდნენ, სად. ბევრის აზრით კი სწორედ ეს „სად“ იყო მნიშვნელოვანი.

სწორედ ასე ფიქრობდა ერთი მეზობელი ოჯახი, რომელმაც მრავალი წლის წინ თავისთვის და თავისიანებისთვის დაიბევა ეს საზოგადო განსასვენებელი ადგილი და ამისთვის ეკლესიას მცირე თანხას უხდიდა. ახალგაზრდა სამართალმცოდნე იმიტომ გამოგზავნეს, რომ ფულის გადახდაზე უარს ამბობდნენ და არც მომავალში აპირებდნენ გადახდას, რადგან ის პირობა, რომლის თანახმადაც ფულს იხდიდნენ, ცალმხრივად გაუქმდა და არავითარი პროტესტი და საჩივარი ყურად არ იღეს. შარლოტე, ამ ცვლილებების წამომწყები, თვითონ დაელაპარაკა ახალგაზრდა კაცს, რომელიც ცხარედ, მაგრამ მორიდებით ლაპარაკობდა იმ მიზეზებზე, ის და მისი პატრონი რომ აყენებდნენ, რამაც იქ მყოფნი დააფიქრა.

– ხომ ხედავთ, – თქვა მან მოკლე შესავლის შემდეგ, სადაც შეეცადა საკუთარი დაჟინება გაემართლებინა, – როგორც ყველაზე პატარა კაცს, ასევე ყველაზე აღზევებულსაც დიდად უღირს აღნიშნული იყოს ის ადგილი, სადაც მისიანები მიწას მიაბარა. უღარიბეს გლეხსაც კი, რომელმაც შვილი დამარხა, ერთგვარ ნუგეშს ჰგვრის მის საფლავზე ხის იაფფასიანი ჯვარი დაასოს და გვირგვინით შეამკოს, რომ შვილი მანამდე მაინც ახსოვდეს, სანამ ტკივილი დაუყუჩდება. თუმცა დრო ჯვარსაც აცამტვერებს და მწუხარებასაც ავიწყებს ადამიანს. შეძლებულები ჯვრებს რკინისას აკეთებინებენ, საგულდაგულოდ ამაგრებენ, სხვადასხვა საშუალებით იცავენ და ასეთი ჯვრები მრავალ წელიწადს ძლებს. მაგრამ რადგან, ბოლოს და ბოლოს ასეთი ჯვრებიც ნადგურდება და უსახურდება, ამიტომ მდიდრები თავს მოვალედ მიიჩნევენ, თავიანთ მიცვალებულს აუგონ ქვის ძეგლი, რაც იმის იმედს იძლევა, რომ მრავალ თაობას გაუძლებს და შთამომავლებს მისი განახლება და აღდგენაც შეეძლება. მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანი თვით ძეგლი კი არ არის, არამედ ის, ვინც მის ქვეშ წევს, ვინც ამ ადგილას მიწას მივაბარეთ. ლაპარაკია არა ხსოვნაზე, არამედ თვით პიროვნებაზე, არა მოგონებაზე, არამედ სინამდვილეზე. ჩვენ ძვირფასი მიცვალებულის საფლავის ბორცვს ვეკვრით, რაკი იქ გვეგულება, და არა მის ძეგლს, რაც თავისთავად ცოტა რამეს ნიშნავს. მაგრამ ძეგლის ირგვლივ, როგორც ნიშანსვეტთან, მისი გარდაცვალების შემდეგაც უნდა მოიყარონ თავი ქმრებმა, ცოლებმა, ნათესავებმა, მეგობრებმა და ცოცხლებმა უნდა შეინარჩუნონ უფლება, რომ მათი ახლობლების განსასვენებლად ადგილს მოაშორონ უცხო და უკეთური ხალხი.

ამიტომ მიმაჩნია, რომ ჩემს პატრონს სრული უფლება აქვს, გადახდილი ფული უკან დაიბრუნოს. ეს კიდევ ცოტაა, ოჯახის წევრები ისე არიან შეურაცხყოფილნი, რომ ამის ანაზღაურება არაფრით

არ შეიძლება. მათ ხელი უნდა აიღონ მტკივნეულად სასიხარულო გრძნობაზე თავიანთ გარდაცვლილ და საყვარელ ადამიანებს შესაწირი მოუტანონ, ხელი აიღონ იმ მანუგეშებელ იმედზე, რომ ოდესმე უშუალოდ მათ გვერდით განისვენებენ.

– ეს არ არის იმდენად მნიშვნელოვანი საქმე, – უპასუხა შარლოტემ, – რომ ამის გამო პროცესი წამოიწყოს. მე არ ვნანობ, რაც გავაკეთე და სიამოვნებით ავუნაზღაურებ ეკლესიას იმას, რაც დააკლდება. მინდა გულწრფელად გამოგიტყდეთ, თქვენმა მოსაზრებებმა ვერ დამარწმუნა. წმინდა გრძნობა საბოლოო საყოველთაო თანასწორობისა, სიკვდილის შემდეგ მაინც, უფრო დამამშვიდებელი მეჩვენება, ვიდრე ჩვენი პიროვნების, სიყვარულის, ცხოვრებისეული ურთიერთობების ჯიუტი, უდრეკი გაგრძელება. თქვენ რას იტყვით ამის შესახებ? – მიმართა კითხვით შარლოტემ არქიტექტორს.

– მე ამგვარი საქმის ირგვლივ არც კამათი მსურს და არც მასში გადამწყვეტი როლის თამაში. ნება მომეცით თავმდაბლად გამოვთქვა ის, რაც ჩემს საქმიანობას, ჩემს აზროვნებას ყველაზე უფრო შეესაბამება. ჩვენ აღარ ვართ იმდენად ბედნიერნი, რომ გულში ჩავიკრათ ურნაში ჩაყრილი საყვარელი ადამიანის ნეშტი, არც იმდენად მდიდრები და მხნენი, რომ დიდ და მორთულ სარკოფაგში დაუზიანებლად შევინახოთ, დიახ, და რაკი ეკლესიაშიც კი ვერ ვპოულობთ ადგილს ჩვენთვის და ჩვენთანებისთვის და ღია ცის ქვეშ განვისვენებთ, ამიტომ ყველა საფუძველი გვაქვს იმისა, რომ მხარი დავუჭიროთ თქვენ მიერ წამოწყებულ საქმეს, მოწყალეო ქალბატონო. როცა მრევლის წევრები ერთმანეთის გვერდით წვანან, მაშინ ისინი განისვენებენ თავისიანთა გვერდით და მათ ქვეშ, ხოლო როცა ერთხელაც იქნება და მიწა მიგვიღებს, მაშინ არაფერი იქნება იმაზე ბუნებრივი, რომ შემოუღობავად გავასწოროთ შემთხვევით გაჩენილი, ჩავარდნილი ბორცვები და ამის შედეგად თითოეულისთვის უფრო მსუბუქი გახდება საფარი, რადგან ყველას თანაბრად გადაეფარება.

– და ყოველივე ამან ისე უნდა ჩაიაროს, რომ არავითარი მოსაგონარი აღარ უნდა დარჩეს, არაფერი ისეთი, რაც მათ გაგვახსენებს? – ჰკითხა ოთილიემ.

– სრულიადაც არა! – განაგრძო არქიტექტორმა, – უარი ხსოვნაზე კი არ უნდა თქვა, არამედ ადგილზე. ხუროთმოძღვარი და მოქანდაკე დიდად არიან დაინტერესებულნი, რომ ადამიანი მათი ხელოვნებისა და მკლავისგან მოელოდეს საკუთარი არსებობის გახანგრძლივებას. ამიტომ ჩემი სურვილი ის არის, რომ კარგად ჩაფიქრებული და აგებული მონუმენტები ცალ-ცალკე და შემთხვევით კი არ იყოს მიმობნეული, არამედ ისეთ ადგილას იყოს თავმოყრილი, სადაც ხანგრძლივად იარსებებენ. რადგან ღვთისმოსავმა და დიდგვაროვანმა ადამიანებმა უარი თქვეს იმ უპირატესობაზე, რომ ეკლესიაში იყვნენ დასაფლავებულნი, მაშინ იქ ან სასაფლაოების ირგვლივ აშენებულ ლამაზ დარბაზებში მაინც უნდა დაიდგას სამახსოვრო ქანდაკებები, კედლებზე დამაგრდეს ეპიტაფიები. არსებობს ათასნაირი ფორმა, რომელიც შეიძლება დაწესდეს, ათასგვარი ორნამენტი, რითაც შეიძლება მათი შემკობა.

– თუ შემოქმედნი ასეთი მდიდრები არიან, – უთხრა შარლოტემ, – მაშინ მითხარით, რატომ არ შეუძლიათ უკუაგდონ პატარა ობელისკის, წაკვეთილი სვეტის ან საფერფლე ურნის ფორმა? ნაცვლად ათასი გამოგონებისა, რითაც თავი მოაქვთ, მე მხოლოდ ათასი გამეორება მინახავს.

– ჩვენში ეს მართლაც ასეა, – უპასუხა არქიტექტორმა, – მაგრამ არა ყველგან. საერთოდ კი გამოგონება და მისი შესაბამისად გამოყენება ძნელი საქმეა. განსაკუთრებით ძნელი მაშინაა, როცა გინდა მრუმე საგანი გაამხიარულო და არასასიამოვნო საგნის გამოხატვის დროს უსიამო ვითარებაში არ აღმოჩნდე. რაც შეეხება სხვადასხვა ძეგლის ესკიზებს, ისინი ბლომად შევავროვე და როცა შემთხვევა მომეცემა, გაჩვენებთ. მაგრამ ადამიანის ყველაზე ლამაზ ძეგლად მაინც მისი გამოსახულება რჩება. ყველაზე მეტად ამქვეყნად ის გვიქმნის წარმოდგენას იმაზე, თუ როგორი იყო. ეს არის გრძელი და მოკლე მელოდიის საუკეთესო ტექსტი: ოღონდ იგი უნდა შეიქმნას ადამიანის ცხოვრების საუკეთესო ხანაში, რაც ჩვეულებრივ გამოეპარებათ ხოლმე. არავინ ფიქრობს იმაზე, რომ შევინარჩუნოთ ცოცხალი ფორმები, ხოლო თუ ეს მაინც ხდება, უხეირო გამოდის. ასეთ შემთხვევებში მიცვალებულს სასწრაფოდ აუღებენ ნიღაბს, ჩამოასხამენ, კვარცხლბეკზე დგამენ და ბიუსტს უწოდებენ. მაგრამ იშვიათად ხდება, რომ ხელოვანმა იგი ნამდვილად გამოაცოცხლოს!

– შეიძლება თქვენ არც იცოდით და ალბათ არც გინდოდათ, – უთხრა შარლოტემ, – მაგრამ საუბარი ისე წარმართეთ, მე რომ მსურდა. ადამიანის გამოსახულება ხომ დამოუკიდებელი რამ არის. სადაც უნდა იდგეს, დგას თავისთვის და ჩვენ ვერ მოვთხოვთ, რომ საფლავზე მიგვითითებდეს. მაგრამ გამოგიტყდეთ, თუ რა უცნაური შეგრძნება მაქვს? პორტრეტებისადმი ერთგვარ ანტიპათიასაც კი განვიცდი, რადგან თითქოს უხმოდ გვისაყვედურებენ; ისინი მიგვითითებენ რაღაც შორეულზე, გარდასულზე და გვახსენებენ, თუ რა ძნელია სინამდვილის ჯეროვნად დაფასება. როცა გაიხსენებენ, რამდენი ადამიანი გინახავს, რამდენს იცნობდი და გამოუტყდები საკუთარ თავს, რა

ცოტას ნიშნავდნენ შენთვის და რა ცოტას ნიშნავდი მათთვის, როგორ გუნებაზე დგები მაშინ! ჩვენ ვხვდებით სულით მდიდარ ადამიანს და არ ვესაუბრებით მას, ვხვდებით სწავლულს და არ გვისწავლია მასთან, ვხვდებით ნამოგზაურებს კაცს და ვერაფერს ვიგებთ მისგან, ვხვდებით სიყვარულით მდიდარ პიროვნებას და არაფერ სასიამოვნოს არ ვაკეთებთ მისთვის.

სამწუხაროდ, ასე ვექცევით არა მარტო იმათ, შემთხვევით რომ ჩაგვიარეს გვერდით. ყველა ოჯახი, მთელი საზოგადოება ასე ექცევა თავიანთ უსაყვარლეს წევრებს, ქალაქები – თავიანთ ღირსეულ მოქალაქეებს, ხალხები – თავიანთ ღირსეულ მეფეებს, ერები – თავიანთ უშესანიშნავეს შვილებს.

ერთხელ ასეთი კითხვა მოვისმინე: რატომ ამბობენ ყოველთვის გარდაცვლილებზე მიუკიბ-მოუკიბავად კარგს, ცოცხლებზე კი ერთგვარი სიფრთხილით? პასუხი ასეთი იყო: იმიტომ, რომ მკვდრების არ გვეშინია, ცოცხლებს კი შეიძლება სადმე გადავეყაროთ. აი, ასეთი ბინძურია გარდაცვლილთა განსენებაზე ზრუნვა. ეს მეტწილად მხოლოდ ეგოისტური ხუმრობაა, მაგრამ რამდენად მნიშვნელოვანი და წმინდა იქნებოდა, ქმედითი ურთიერთდაკმაყოფილება რომ შეგვენარჩუნებინა ცოცხლების მიმართ.

თავი მეორე

მეორე დღეს ამ შემთხვევითა და მასთან დაკავშირებული საუბრით აღელვებულნი სასაფლაოსკენ გაემართნენ. არქიტექტორმა მის მოსართავად და გასახალისებლად რამდენიმე კარგი წინადადება წამოაყენა. მაგრამ მას სურდა ეკლესიისთვისაც მიეხედა, იმ შენობისთვის, რომელმაც მისი ყურადღება თავიდან მიიპყრო.

ეკლესია, რომელიც რამდენიმე საუკუნეა იდგა ამ ადგილზე, ოსტატურად იყო აგებული გერმანულ სტილზე, განზომილება კარგი ჰქონდა და გვარიანად იყო მოპირკეთებული. თვალი ადვილად შეამჩნევდა, რომ მეზობლად მდებარე მონასტრის ხუროთმოძღვარმა ამ პატარა ეკლესიის მშენებლობაზეც გამოიჩინა თავი, რადგან გონივრულად, სიყვარულით მიუდგა და იგი დამთვალეირებელზე სერიოზულ და სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა. თუმცა მას შემდეგ, რაც შიგნით პროტესტანტული ღვთისმსახურებისთვის ახლებურად გააფორმეს, სიმშვიდისა და სიდიადის თვალსაზრისით რაღაც მოაკლდა.

არქიტექტორს არ გასჭირვებია შარლოტე დაეყოლიებინა და გამოერთმია მცირე თანხა, რითაც სურდა როგორც გარედან, ასევე შიგნით ძველებურად აღედგინა ეკლესია და მის წინ გადაშლილ სასაფლაოსთან შეეხამებინა. იგი თვითონ იყო გამორჩეული ოსტატი, ხოლო ის რამდენიმე მუშა, რომლებიც ჯერ კიდევ სახლის მშენებლობაზე მუშაობდნენ, უნდოდათ იმდენ ხანს შეენარჩუნებინათ, სანამ ეს ღვთისნიერი საქმეც არ დამთავრდებოდა.

ახლა მათ შემთხვევა მიეცათ შეემოწმებინათ ეკლესია მთელი მისი შემოგარენით და მინაშენებით. არქიტექტორი ფრიად გააოცა და სასიამოვნოდ გაახარა გვერდით მიშენებულმა ერთმა პატარა, ნაკლებად შესამჩნევმა კაპელამ, რომელიც კიდევ უფრო უშესანიშნავი და მსუბუქი იყო, ხოლო ორნამენტები უფრო ოსტატურად და გულდაგულ ამოკვეთილი. კაპელაში აღმოჩნდა აგრეთვე ხეზე მკვეთელობისა და მხატვრობის ფრაგმენტები იმ ძველი ღვთისმსახურებიდან, რომელსაც ყოველი დღესასწაულისთვის გააჩნდა განსაკუთრებული გამოსახულებანი და ხელსაწყოები და ყოველ მათგანს თავისებურად ზეიმობდა.

არქიტექტორმა მაშინვე შეიტანა სამლოცველო თავის გეგმაში და განსაკუთრებით სურდა აღედგინა ეს მომცრო შენობა როგორც გარდასულ დროთა გემოვნების ძეგლი. მას უკვე წარმოდგენილი ჰქონდა, მისი გემოვნების მიხედვით აღდგენილი, როგორ დაამშვენებდა იქაურობას და სიხარულს ისიც ჰგვრიდა, რომ თავის მხატვრულ ნიჭსაც გაავარჯიშებდა. მაგრამ ოჯახის წევრებისგან ჯერ ამას საიდუმლოდ ინახავდა.

დაპირებისამებრ მან ქალებს ძველი საფლავების მონუმენტების, ჭურჭლებისა და სხვა მსგავსი საგნების მაკეტები და ესკიზები აჩვენა და როცა საუბრის დროს სიტყვა ჩამოვარდა ჩრდილოეთის ხალხების უბრალო ყორღანებზე, არქიტექტორმა დასათვალეირებლად მოიტანა ყორღანებში ნაპოვნი ზოგიერთი იარაღისა და ჭურჭლის კოლექცია. ყველაფერი ეს მას დალაგებული ჰქონდა ძალიან სუფთა, ადვილად სატარებელ უჯრებსა და კარადების თაროებზე, ღრმად ამოჭრილ მაუდგადაკრულ ფიცრებზე. ასე რომ, ძველმა სერიოზულმა ნივთებმა დამუშავების შემდეგ უფრო ფაქიზი იერი მიიღეს და მათ სიამოვნებით ათვალეირებდნენ, როგორც მოდური ნივთებით მოვაჭრე სოვდაგრის პატარა ყუთებს. და რაკი განმარტოებით ცხოვრება გართობას მოითხოვდა,

არქიტექტორს, მას შემდეგ, რაც ერთხელ უჩვენა მათ ეს კოლექცია, ყოველ საღამოს თავისი განძეულის ერთი ნაწილი გამოჰქონდა. ექსპონატები მეტწილად გერმანული წარმოშობისა იყო: ბრაკტეატები,[6]1 დიდი მონეტები, ლუქიანი ბეჭდები და ყველაფერი, რაც კი შეიძლებოდა მათ დართვოდა. იმისათვის, რომ თავისი ახსნა-განმარტება გაეცოცხლებინა, იგი სიტყვას დასტამბვის, ხის გრავიურებისა და უძველესი სპილენძის ნაკეთობათა შესახებ ჩამოაგდებდა ხოლმე. ეკლესიაც ყოველდღიური განწყობის შესაბამისად ფერებითა და ორნამენტებით იმკობოდა და უკან, წარსულისკენ იხევდა. ამიტომ ბოლო დროს ისინი საკუთარ თავს ეკითხებოდნენ: მართლა ახალ დროში ცხოვრობდნენ თუ არა, სიზმარში ხომ არ ვართ, ირგვლივ რომ სულ სხვაგვარი ზნე-ჩვეულებები, სხვანაირი ცხოვრების წესი, სხვა მრწამსი გვარტყიაო.

რაკი ქალები უკვე შემზადებულები იყვნენ, დიდმა პორტფელმა, რომელიც ბოლოს არქიტექტორმა მოიტანა, მათზე საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა. მიუხედავად იმისა, რომ პორტფელში მეტწილად მხოლოდ ფიგურების კონტურები იყო, რადგან ისინი კალკირებულ სურათებს წარმოადგენდნენ, თავიანთი სახე მთლიანად შენარჩუნებული ჰქონდათ და დამთვალეირებლები მოხიბლეს. ყველა ფიგურიდან მხოლოდ ჭეშმარიტება იმზირებოდა და თუ კეთილშობილნი არა, სათნონი მაინც იყვნენ. ყოველი სახე, ყოველი პოზა იმის თავმდაბალი აღიარება იყო, რომ ჩვენი მეუფე ყოვლად ღირსეულია, გამოხატავდნენ სიყვარულს და მოლოდინით აღსავსე უსიტყვო ერთგულებას. მელოტი ბერიკაცი, ხშირკულულებიანი ბიჭი, გასხვივსნებული წმინდანი, მოფარფატე ანგელოზი – ყველანი ნეტარნი ჩანდნენ უცოდველი კმაყოფილებისა და ღვთისმოსავი სასოების გამო. ყველაზე ჩვეულებრივ ამბავსაც კი ზეციური ცხოვრების ნიშანი აჩნდა და ღვთისმსახურება თითქოს თითოეული მათგანის ბუნებას ესადაგებოდა.

ამგვარ სამყაროს უმეტესობა ალბათ ისე უყურებს, როგორც ოქროს ხანას, დაკარგულ სამოთხეს. შეიძლება აქ მხოლოდ ოთილიე გრძნობდა თავს თავის მსგავსთა შორის.

აბა, ვინ გაუწევდა წინააღმდეგობას არქიტექტორის თხოვნას, ამ ორიგინალების მიხედვით მინაშენი სამლოცველოს წვეტიან თალებს შორის არეს მოვხატავ და ამით ჩემს ხსოვნას დიდხანს დავტოვებ იმ ადგილას, სადაც ასე კარგად ვგრძნობ თავსო. მან ეს ერთგვარი გულისტკივილით განაცხადა, რადგან საქმის ვითარების მიხედვით ცხადად ხედავდა, რომ მისი ყოფნა ასეთ სრულყოფილ საზოგადოებაში არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო, შეიძლება მალეც კი დამთავრებულიყო.

თუმცა ის დღეები არ იყო მოვლენებით მდიდარი, მაგრამ სერიოზული საუბრისთვის მრავალი საბაბი არსებობდა. ამიტომ ჩვენ ვისარგებლებთ შემთხვევით და გაგაცნობთ ზოგ რამეს, რაც ამ საუბრებიდან ოთილიემ თავის რვეულში ჩაინიშნა, რადგან ამ თემაზე გადასვლისთვის უფრო მოხერხებულ შემთხვევას ვერ ვიპოვით, თუ არ მოვიყვანეთ ის იგავი, მისი საყვარელი ფურცლების გადაკითხვისას რომ მოგვხდება თვალში.

ჩვენამდე მოაღწია ხმამ, რომ ინგლისის საზღვაო ფლოტში არსებობს ამგვარი წესი: სამეფო ფლოტის მთელი ტაკელაჟი[7], იქნება ეს უმსხილესი ბაგირი თუ უწვრილესი თოკი, ისეთნაირადაა დაგრეხილი, რომ მთელ სიგრძეზე გასდევს წითელი ზოლი, რომელსაც ვერ გამოაძრობ, თუ მთლიანად არ დაარღვიე და მისი უმცირესი ნაგლეჯიც კი ცხადყოფს, რომ ბრიტანეთის გვირგვინის საკუთრებაა.

ზუსტად ისევე გასდევს ოთილიეს დღიურს სიყვარულისა და ერთგულების ძაფი, რაც ყველაფერს აკავშირებს და მთელისათვის ნიშანდობლივია. ამიტომ შენიშვნები, მოსაზრებანი, ამოკრეფილი სენტენციები და საერთოდ ყველაფერი, რაც დღიურში გვხვდება, დამწერისთვის უაღრესად დამახასიათებელი და მნიშვნელოვანია. ამის ყველაზე უტყუარი საბუთი, თვით ჩვენ მიერ შერჩეული ყოველი ცალკეული ადგილია.

ოთილიეს დღიურიდან

„განისვენო ოდესმე იმათ გვერდით, ვინც გიყვარს, ესაა ყველაზე სასიამოვნო წარმოდგენა, რაც შეიძლება ადამიანს ჰქონდეს, თუკი ოდესმე აზრით სიცოცხლის მიღმა გადის“. „შეუერთდე ახლობლებსა შენსა“, რა გულის მაამებელი გამოთქმაა.

ბევრია ამგვარი ძეგლები და სამახსოვრო ნიშნები, რომლებიც შორს მყოფებთან და მიცვალებულებთან გვაახლოებენ. მათ შორის არც ერთს არა აქვს ისეთი მნიშვნელობა, როგორც პორტრეტს. საყვარელი ადამიანის პორტრეტთან საუბარში, მაშინაც კი, როცა არ ჰგავს, არის რაღაც იმგვარად მომხიბვლელი, როგორც ზოგჯერ მეგობრებთან კამათია. სასიამოვნო გრძნობა გეუფლება, რომ ორნი ხართ და არ შეგიძლიათ ერთმანეთს დაშორდეთ.

ზოგჯერ გვერდით მყოფ ადამიანთანაც ისე საუბრობ, როგორც პორტრეტთან. არ არის აუცილებელი, რომ მან ილაპარაკოს, შემოგვხედოს, ჩვენთვის რამე გააკეთოს: ჩვენ ვხედვით მას,

ვგრძნობთ ჩვენს დამოკიდებულებას მისდამი და შეიძლება ეს დამოკიდებულება გაღრმავდეს კიდევ ისე, რომ მან ამისათვის თითოც კი არ გაანძროს, არც კი იგრძნოს, რადგან ჩვენთვის ის იგივეა, რაც პორტრეტი.

არასოდეს ხარ კმაყოფილი იმ პიროვნებების პორტრეტით, რომელთაც იცნობ. ამის გამო მუდამ მეცოდებიან პორტრეტისტები. ადამიანისგან იშვიათად მოითხოვენ შეუძლებელს, პორტრეტისტებისგან კი ყოველთვის. მათ ტილოზე უნდა ასახონ თითოეულის დამოკიდებულება სხვებისადმი, მისი სიმპათიები და ანტიპათიები, კარგი და ცუდი განწყობა. მათ არა მარტო ის უნდა გამოხატონ, როგორი წარმოდგენა აქვთ ამა თუ იმ კაცზე, არამედ ისიც, როგორი წარმოდგენა აქვს მასზე ყველა სხვას. მე არ მიკვირს, როცა ამგვარი მხატვრები თანდათან იბოღმებიან და გულგრილნი და ჯიუტნი ხდებიან. დაე ასე ხდებოდეს, მაგრამ ჩვენ ხომ ამის გამო მოკლებული ვართ შესაძლებლობას, ხელთ გვქონდეს საყვარელი და ძვირფასი ადამიანების გამოსახულებანი.

თუმცა არქიტექტორის იარაღებისა და ძველი ჭურჭლეულობის კოლექცია, რაც ადამიანის სხეულთან ერთად იყო დაფარული ყორღანების ქვეშ კლდის ნატეხებთან ერთად, გვისაბუთებს, რა ამაოა ადამიანის წინასწარ ზრუნვა იმისათვის, რომ სიკვდილის შემდეგაც იარსებოს. აი, ასეთი წინააღმდეგობრივი ვართ ჩვენ. არქიტექტორი აცხადებს, მე თვითონ გავთხარე წინაპართა ამგვარი სამარხებიო და მიუხედავად ამისა, მაინც განაგრძობს ძეგლების აგებას შთამომავლებისთვის.

თუმცა რატომ ვმსჯელობთ ამის შესახებ ასე მკაცრად? განა ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, მარადისობისთვის არ არის გათვალისწინებული? განა დილაობით ტანთ იმიტომ არ ვიცვამთ, რომ სადამოს ისევ გავიხადოთ? განა როცა სადმე მივემგზავრებით, არ ვფიქრობთ, ისევ შინ დავბრუნდებით? ამიტომ რატომ არ უნდა ვინატროთ, რომ ახლობლებთან განვისვენებდეთ, თუნდაც მხოლოდ ერთი საუკუნით!

როცა ვხედავთ უამრავ ჩაზნექილ, ეკლესიაში მოსიარულეთა ფეხით გაცვეთილ საფლავის ქვებს და იმ ეკლესიებს, მათ ეზოში დასაფლავებულთ რომ ჩამოემხო თავზე, მაშინ ადამიანს სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე შეიძლება მარადიულ მეორე სიცოცხლედ მოეჩვენოს, რომელშიც მხოლოდ ქანდაკებით ან საფლავის ქვაზე წარწერით შედიხარ და იმ სამყაროში უფრო დიდხანს დაჰყოფ, ვიდრე ნამდვილ ცოცხალ სიცოცხლეში დაჰყავი. მაგრამ ადრე თუ გვიან ის ქანდაკებაც, ის მეორე არსებობაც ქრება. დრო თავის უფლებებს ისევე ავრცელებს ძეგლებზე, როგორც ადამიანებზე“.

თავი მესამე

ხელი მოჰკიდო ისეთ საქმეს, რაც მხოლოდ სანახევროდ იცი, უაღრესად სასიამოვნოა და დილეტანტი არ უნდა გაკიცხო, როცა მას გაიტაცებს ხელოვნება, რომელსაც ვერასოდეს დაეუფლება, არც ის ხელოვანი უნდა გაკიცხო, როცა მას სურვილი მოუვლის, თავისი ხელოვნების საზღვრებს გასცდეს და ძალები მომიჯნავე დარგში მოსინჯოს.

ამგვარი სამართლიანი თვალსაზრისით ვუდგებით ჩვენ არქიტექტორს, რომელიც კაპელის მოხატვას შეუდგა. საღებავები მზად ჰქონდა, ზომები აღებული, ესკიზები დახაზული. მან უარი თქვა რაიმეს აღმოჩენაზე, მხოლოდ თავის ესკიზებს ეყრდნობოდა: იგი მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, რომ დამჯდარი და მოფარფატე ფიგურები უკეთ გაენაწილებინა და მათი გამოსახულებებით სივრცე გემოვნებით მოეხატა.

ხარაჩოები აღმართული იყო, მუშაობა წინ მიიწევდა და რაკი ზოგერთი თვალსაჩინო რამ უკვე განხორციელებული იყო, არ შეიძლება მისთვის სიამოვნება არ მოეგვარა შარლოტეს და ოთილიეს სტუმრობას. ანგელოზების ცოცხალი სახეები, ტანისამოსი ლურჯი ცის ფონზე თვალს ახარებდა იმით, რომ მათი მშვიდი, სათნო ბუნება დაფიქრებას ითხოვდა და უაღრესად ფაქიზ შთაბეჭდილებას ახდენდა.

ქალები ხარაჩოებზე ავიდნენ. ოთილიეში ერთბაშად იფეთქა სწავლის დროს შეძენილმა ცოდნამ, თვალის დახამხამებაში საღებავებსა და ფუნჯებს დასწვდა, და არქიტექტორის მითითებების შემდეგ, დანაოჭებული სამოსი სუფთად და მარჯვედ დახატა.

შარლოტე, რომელსაც ყოველთვის უხაროდა, როცა ოთილიე რაიმე საქმეს ხელს ჰკიდებდა და ერთობოდა, არქიტექტორი და ოთილიე თავიანთ ნებაზე მიუშვა და იქაურობას გაეცალა, რომ საკუთარ ფიქრებს მისცემოდა, თავისი მოსაზრებანი და საზრუნავი, რასაც ვერავის გაუზიარებდა, მარტოკას მოენელებინა.

თუ ჩვეულებრივი ადამიანები, ცხოვრების უბრალო ფერხულში რომ ფუსფუსებენ და შიშით შეჰყრობილნი ღელავენ, ჩვენში შემწყნარებულ ღიმილს იწვევენ, სამაგიეროდ მოწიწებით ვაკვირდებით სულიერს, ვის არსებაშიც დიდი ბედის თესლია მიმოფანტული და მან უნდა უცადოს მის ამოსვლას, რადგან ვერც ბედავს და არც შეუძლია დააჩქაროს იმ კეთილისა და ბოროტის, ბედნიერებისა და უბედურების აღმოცენება, რაც ამ თესლმა უნდა წარმოშვას.

ედუარდმა იმ შიკრიკის ხელით, შარლოტემ რომ გაუგზავნა განმარტოებულს, შარლოტეს თავაზიანი და თანაგრძნობით სავსე, მაგრამ უფრო თავშეკავებული და სერიოზული წერილი გამოუგზავნა, ვიდრე ნდობითა და სიყვარულით გამსჭვალული. ამის შემდეგ ედუარდი გაქრა და შარლოტემ ვერავითარი ცნობა ვერ მიიღო მისგან, სანამ შემთხვევით მისი გვარი გაზეთში არ ამოიკითხა, სადაც იგი დასახელებული იყო იმ დაჯილდოებულთა შორის, რომელთაც ბრძოლაში თავი გამოიჩინეს. ახლა მან იცოდა, რა გზა აირჩია მისმა ქმარმა. მართალია, ბრძოლაში ედუარდი არ დაშავებულა, მაგრამ შარლოტე მიხვდა, რომ იგი უფრო დიდ საფრთხესაც არ მოერიდებოდა, და აქედან შეეძლო მართებულად დაესკვნა, ედუარდს უკიდურესი ნაბიჯის გადადგმისაკენ ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებდა. შარლოტეს სწორედ ეს ამბავი აწუხებდა, ვერავის უზიარებდა და რამდენი შესაძლებლობაც არ მოსინჯა, ვერც ერთმა ვერ დაამშვიდა.

ამასობაში ოთილიე, რომელმაც ყოველივე ამის შესახებ არაფერი იცოდა, მეტისმეტად გაიტაცა ახალმა სამუშაომ და შარლოტესგან ძალზე ადვილად იღებდა ნებართვას, სისტემატურად განეგრძო დაწყებული საქმე. ამიტომ სამუშაო სწრაფად მიიწევდა წინ და ლაჟვარდოვანი ზეცა დაასახლეს ღირსეული მცხოვრებლებით. ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგად ოთილიეს და არქიტექტორის უკანასკნელ ნახატებს მეტი თავისუფლება დაეტყო, ისინი შესამჩნევად ჯობდნენ წინანდლებს. იმ სახეებმა, რომელთაც არქიტექტორი მარტო ხატავდა, ერთი სრულიად განსაკუთრებული თვისება შეიძინეს, ყველანი ოთილიეს ემსგავსებოდნენ. იმ ახალგაზრდა კაცის სულზე, რომელსაც აქამდე არც ბუნებრივი და არც ხელოვნური სახე არ ჰქონდა წინასწარ აკვიატებული, მშვენიერი ქალიშვილის სიახლოვემ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ თანდათან თვალით აღქმული ხელსაც გადაეცა და ბოლო დროს ორივე შეხმატკბილებული მუშაობდა. მაგრამ ასე იყო თუ ისე, ბოლო ნახატი ისეთი კარგი გამოვიდა, გეგონებოდათ, თითქოს თვით ოთილიე იყურება ციური სივრცეებიდან ქვევით.

თაღის მოხატვა მოათავეს. გადაწყვიტეს კედლები მოუხატავი დაეტოვებინათ და ღია მოყავისფრო ფერით დაეფარათ. ამის შემდეგ მსუბუქი სვეტები და ხელოვნური სკულპტურული ორნამენტები, რომლებიც უფრო მუქი ფერისა იყო, უკეთ გამოჩნდებოდა. მაგრამ ასეთ საქმეში ერთ აზრს მეორე მოსდევს მუდამ და იმისთვის, რომ ცა დედამიწასთან დაეკავშირებინათ, გადაწყვიტეს ყვავილები და ხილის აკიდოებიც დაეხატათ. ამჯერად ოთილიე მთლიანად თავის სტიქიაში აღმოჩნდა. მისთვის ბალები მშვენიერი ნიმუში იყო და თუმცა გვირგვინებმა ბევრი შრომა მოითხოვა, მოხატვა უფრო ადრე დაასრულეს, ვიდრე ვარაუდობდნენ.

მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერი მოუწესრიგებელი და დაუმთავრებელი იყო. ხარაჩოები ალაღბედზე მისწი-მოსწიეს, ფიცრები ერთმანეთზე დაახვავეს, ოღროჩოლო იატაკი სხვადასხვა ფერის დაღვრილმა საღებავებმა კიდევ უფრო დააუშნოვა. ამიტომ არქიტექტორმა ითხოვა, რომ ქალებს მისთვის რვა დღე ეცლიათ და მანამდე კაპელაში ფეხი არ შეეღვათ. ბოლოს ერთ მშვენიერ დღეს ორივეს სთხოვა, შეგიძლიათ წაბრძანდეთო, მაგრამ მათი გაყოლა არ ისურვა და იმწამსვე გამოეთხოვა.

– რა სიურპრიზიც უნდა მოემზადებინა ჩვენთვის, – თქვა შარლოტემ, როცა არქიტექტორი წავიდა, – ქვევით ჩასვლის არავითარი სურვილი არ მაქვს. ეს შენ აიღე შენს თავზე და მერე მე მომიყევი. ცხადია, რაღაც სასიამოვნოს განახორციელებდა, რითაც მე ჯერ შენი აღწერის მიხედვით დავტკბები, შემდეგ კი, როცა თვითონ ვნახავ.

ოთილიე, რომელმაც კარგად იცოდა, რომ შარლოტე ზოგ რამეს ერიდებოდა, თავს არიდებდა ყოველგვარ სულიერ მღელვარებას, განსაკუთრებით არ სურდა მოულოდნელად ყოფილიყო გაკვირვებული, მაშინვე მარტო გაუდგა გზას, თანაც აქეთ-იქით იყურებოდა, არქიტექტორი ხომ არ არის სადმე აქვეო, მაგრამ არსად ჩანდა და ალბათ იმალებოდა კიდევ. ქალიშვილი შევიდა ეკლესიაში, რომელიც ღია იყო, რადგან წინასწარ გაწმინდეს, დახვეტეს და აკურთხეს. შემდეგ კაპელის კარს მიაღგა, მძიმე ლითონით შეჭედული კარი ადვილად დაემორჩილა და ამ ნაცნობ მენობაში იგი მოულოდნელმა სანახაობამ განაცვიფრა.

ერთადერთი მაღალი ფანჯრიდან, რომელშიც ფერადი მინები თვალწარმტაცად ჩაესვათ, დინჯად იღვრებოდა მრავალფეროვანი სინათლე. ამის გამო ყველაფერს უცხო იერი ედო და უცნაურ განწყობას ქმნიდა. თაღისა და კედლების სილამაზეს ლაზათს მატებდა იატაკი, რომელიც განსაკუთრებული ფორმის, ლამაზი ნახჭის მიხედვით დაგებული, და თაბაშირით შედუღებული აგურებისაგან შედგებოდა. როგორც ფერადი მინები, ასევე აგურები

არქიტექტორმა წინასწარ დაამზადებინა და ამიტომ მოკლე დროში შეძლო ყველაფრის გაკეთება. მას არც სკამები გამოჩენია მხედველობიდან. ძველ ნივთებს შორის, ეკლესიაში რომ აღმოჩნდა, იპოვეს რამდენიმე ლამაზად მოჩუქურთმებული სკამი, რომელთაც ადრე გუნდი იყენებდა, ახლა კი კედლებთან იყვნენ რიგიანად ჩამწკრივებული.

ოთილიეს უხაროდა ნაცნობი ნაწილებისგან შემდგარი სამყარო, უცნობ მთლიანობად რომ წარმოუდგა. ოთილიე ხან იდგა, ხან აქეთ-იქით დადიოდა, ბოლოს ერთ-ერთ სკამზე დაჯდა და როცა ზევით აიხედა, მოეჩვენა, თითქოს იგი არსებობდა და არც არსებობდა, თითქოს საკუთარ თავს გრძნობდა კიდევ და ვერც გრძნობდა, თითქოს ყველაფერი ეს მის თვალწინ გაქრება და იგიც გაქრება მასთან ერთად. და მხოლოდ მაშინ, როცა მზისგან ძლიერ განათებული ფანჯრები დაბნელდა, ოთილიე გონს მოეგო და ციხე-დარბაზისკენ გაეშურა.

ოთილიეს საკუთარი თავისთვის არ დაუმაღავს, რა უცნაურ დროს დაემთხვა ეს სიურპრიზი. ეს იყო ედუარდის დაბადების დღის წინა საღამო. მართალია, იგი სულ სხვა იმედებს ამყარებდა ამ ზეიმზე, როგორი მორთული უნდა ყოფილიყო ყველაფერი საზეიმოდ დღეს! მაგრამ ახლა შემოდგომის ყვავილების მთელი სიმდიდრე ხელუხლებელი იყო. მზესუმზირები ისევ მზეს უშვერდნენ პირისახეს, ასტრები კვლავ მწყაზარი თავმდაბლობით იმზირებოდნენ შორს, ხოლო გვირგვინები, ამ ყვავილებისგან რომ შეიკრა, მხოლოდ ისეთი ადგილის შესამკობ გვირგვინად გამოდგებოდა, რაც ხელოვანის ჭირვეულობას თუ გამოვრიცხავთ, მხოლოდ საერთო სასაფლაო შეიძლებოდა ყოფილიყო.

ბუნებრივია, მას გაახსენდა, რა ზარ-ზეიმით გადაიხადა ედუარდმა მისი დაბადების დღე, გაახსენდა ახალდამთავრებული სახლი, რომლის ჭერქვეშ ბევრი სასიამოვნო წუთი უნდა გაეტარებინათ. ფეიერვერკი მის თვალწინ და მის ყურებში კვლავ შიშინებდა, რაც უფრო მარტო იყო, მით უფრო მძაფრად გრძნობდა მარტოობას. იგი აღარ ეყრდნობოდა ედუარდის მკლავს და არც იმის იმედი ჰქონდა, რომ ედუარდის მკლავი ოდესმე კვლავ გახდებოდა მისი საყრდენი.

ოთილიეს დღიურიდან

„უნდა ჩავიწერო ახალგაზრდა ხელოვანის ერთი შენიშვნა: „როგორც ხელოსნის, ასევე სახვითი ხელოვნების წარმომადგენლის მაგალითზე შეიძლება ცხადად დაინახო, რომ ადამიანს ყველაზე ნაკლებად ძალუძს მიისაკუთროს სწორედ ის საგანი, მართლა მას რომ ეკუთვნის. მისი ქმნილებანი მას ისევე ტოვებენ, როგორც ჩიტები ბუდეს, სადაც გამოიჩეკნენ“.

ამ თვალსაზრისით ყველაზე უცნაური ბედი არქიტექტორს აქვს. რა ხშირად ხარჯავს ჭკუას, სულიერ ძალას, მისწრაფებებს იმ სახლების ასაშენებლად, რომლებშიც ჩასახლების უფლება მას არ აქვს. სამეფო დარბაზები მას უნდა უმადლოდნენ დიდებულ სახიერებას, რითაც თვით იგი არასოდეს ტკბება. ტაძრებში იგი თვითონ ავლებს იმ ზღვარს, თვით მას რომ ჰყოფს ღმერთისგან. მას უფლება აღარ აქვს ფეხი შედგას საფეხურებზე, რომლებიც სულის ასამაღლებელ ზეიმურობამდე აღმართა, მსგავსად იმ ოქრომჭედლისა, რომელიც შორიდან სცემს თაყვანს სანაწილეს, მინანქრითა და პატიოსანი ქვებით რომ შეამკო. არქიტექტორი გასაღებთან ერთად ისე გადასცემს მდიდარს სასახლის მთელ მყუდროებასა და მორთულობას, რომ თვითონ ვერაფრით ტკბება. ამ გზით ხომ ხელოვნება თანდათან შორდება ხელოვანს, მისი ქმნილება, როგორც მორთულ-მოკაზმული შვილი, მამასთან კავშირს ხომ წყვეტს? რა დიდი ფასი უნდა ჰქონოდა ხელოვნებას მაშინ, როცა საერთო მონაპოვარი იყო და აქედან გამომდინარე ის, რაც ეკუთვნოდა ყველას, ეკუთვნოდა ხელოვანსაც.

ძველი ხალხების ერთ-ერთი წარმოდგენა ერთობ სერიოზულია და შეიძლება საშინელებად მოგეჩვენოს. მათი წარმოდგენით წინაპრები უზარმაზარ გამოქვაბულებში სხედან ტახტებზე და მდუმარედ ესაუბრებიან ერთმანეთს. ახალმოსულს, თუ იგი ღირსეული ადამიანი იყო, ფეხზე წამოუდგებიან და თავის დახრით ესაღმებიან. გუშინ, როცა კაპელაში ჩუქურთმიან სკამზე ვიჯექი, ხოლო ჩემს პირდაპირ მრავალ ასეთივე სკამს ვხედავდი, ძალიან სასიამოვნო და დამატყვევებელი მომეჩვენა აზრი: „რატომ არ შეიძლება დარჩე აქ? – გავიფიქრე ჩემთვის, – იჯდე ჩუმად, იყურებოდე საკუთარ სულში დიდხანს, დიდხანს. მანამდე, სანამ არ მოვლენ ის მეგობრები, რომელთაც ფეხზე წამოუდგები და მათ ადგილზე თავაზიანად თავის დახრით მიუთითებ?“ ფერადი მინები დღეს დარბაისლურ ბუნდოვნებას ანიჭებენ და ვინმეს უნდა შემოეწირა მარადიული ლამაზა, რომ არც ღამით დამკვიდრებულიყო აქ უკუნეთი.

როგორი მდგომარეობაც უნდა მიიღო, შენი თავი ყოველთვის თვალხილულად გყავს წარმოდგენილი. ჩემი აზრით, ადამიანი მხოლოდ იმიტომ ოცნებობს, რომ თვალისჩინი არ დაუბნელდეს. ხომ შეიძლება ისე მოხდეს, რომ ერთხელ ჩვენი შინაგანი შუქი ჩვენგან გამოვიდეს ისე, რომ ხვალ აღარ დაგვჭირდეს.

წელიწადი თავდება. ქარი ჩამოუქროლებს ნაქერალებს და ველარაფერს პოულობს

ასაფრიალებლად. მხოლოდ ტანწერწეტა ხეების წითელ კენკრებს სურთ თითქოს კვლავ მოგვაგონონ რაღაც სასიხარულო, მსგავსად იმისა, როგორც სალექი მანქანის გამოზომილი დარტყმები გვაგონებს, რომ მომკილ თავთავში უამრავი მკვებავი და ცოცხალი რამ დევს“.

თავი მეოთხე

ასეთი ამბების შემდეგ, რაც ოთილიეს არსებობის წარმავლობისა და ამოების გრძნობას უნერგავდა, რა მწარედ უნდა მოხვედროდა გულზე ცნობა იმის შესახებ, რის დამალვაც მისთვის აღარ შეიძლებოდა, რომ ედუარდმა სიცოცხლე ომის ცვალებად ბედს დაუკავშირა. სამწუხაროდ, მის დაკვირვებულ თვალს არაფერი ეპარებოდა მხედველობიდან, დაკვირვებისთვის კი, იცოცხლეთ, მიზეზი ჰქონდა. კიდევ კარგი, რომ ამ დროს ადამიანს ძალუძს ჩასწვდეს უბედურების მხოლოდ ერთ ნაწილს, ხოლო რაც მის საზღვრებს სცდება, ადამიანს ან ანადგურებს, ან აგულგრილებს. იქმნება ისეთი მდგომარეობა, როცა შიში და იმედი ერთიანდებიან, ერთმანეთს ანადგურებენ და ბნელ უგრძობლობაში იძირებიან. თორემ ვინ აიტანს იმას, რომ უსაყვარლესი ადამიანი შორს გეგულეობდეს, სადაც ყოველ წუთს საფრთხე ელის და მაინც განაგრძობდე ყოველდღიურ, ჩვეულებრივ ცხოვრებას.

აი, რატომ მოხდა, რომ თითქოს ოთილიესთვის კეთილმა სულმა იზრუნა და ერთბაშად იმ სამყაროში, სადაც მარტო და უქმად ცხოვრობდა, ველური ჯარი შემოიჭრა, რამაც ბევრი საქმე გაუჩინა, საკუთარი ნაჭუჭიდან გამოიყვანა და საკუთარი ძალის შეგრძნება გაულვივა.

შარლოტეს ქალიშვილმა ლუციანემ, როგორც კი პანსიონი დაამთავრა, მაშინვე მაღალ საზოგადოებაში ამოყო თავი და ბებუის სახლში, სადაც მრავალრიცხოვანი საზოგადოება ერთყა გარშემო, მისმა თავის მოწონების სურვილმა მართლაც გამოიწვია აღტაცება. ერთ ახალგაზრდა, ძალიან მდიდარ კაცს სულ მალე შეუყვარდა კიდევ და მისი დასაკუთრება მოისურვა. დიდი სიმდიდრე მას უფლებას აძლევდა, ყველაფერ საუკეთესოსთვის თავის საკუთრება ეწოდებინა და მას ეტყობა, სხვა არაფერი აკლდა გარდა ულამაზესი ქალისა, რის გამოც მაღალ საზოგადოებას ესეც ისევე შეშურდებოდა, როგორც სხვა რამეები შურდა.

ამ ოჯახურმა საქმემ შარლოტეს ბევრი საზრუნავი გაუჩინა, რაზედაც გამუდმებით ფიქრობდა და მთელ დროს მიმოწერას ანდომებდა. ამიტომ იმის თავი აღარ ჰქონდა, ედუარდის შესახებ ზუსტი ცნობები მიეღო. ამის გამო ბოლო დროს ოთილიეს ჩვეულებრივზე უფრო ხშირად რჩებოდა მარტო. მართალია, მან იცოდა, ლუციანე რომ უნდა ჩამოსულიყო და ამიტომ ყველაფერი აუცილებელი დროულად შეამზადა, მაგრამ სტუმრებს ასე მალე არ ელოდა. ნავარაუდევია იყო მანამდე კიდევ მიეწერათ წერილი, შეთანხმებულიყვნენ, დაეზუსტებინათ ჩამოსვლის თარიღი და აი, უეცრად ციხე-დარბაზსა და ოთილიეს ქარიშხალი დაატყდა თავს.

მოგრილდნენ მოახლეები და მსახურები, დროგები ჩემოდნებითა და სკივრებით. ეგონათ ორჯერ, სამჯერ უფრო მეტი ბატონები და ქალბატონები მოიყრიდნენ თავს, თუმცა ვესტიბიული მაინც გაიჭედა ტყავის სკივრებით, ტყავის ჩემოდნებით და სხვა სამგზავრო ჩანთებით. გაუჭირდათ ერთმანეთისგან პატარა ყუთებისა და ფუტლარების გამოცალკეება. ბარგის თრევას ბოლო არ უჩანდა. ამასობაში საშინლად გაწვიმდა, რამაც საქმე კიდევ უფრო გაართულა. მთელ ამ ფუსფუსს ოთილიე მშვიდად და საქმიანი გულგრილობით შეხვდა, ყველაფერს დროულად მიუჩინა ადგილი და მოაწესრიგა, დიახ, მისი მხნეობა და სიყოჩაღე ბრწყინვალედ გამოიმჟღავნდა. თითოეული ისე დააბინავა, როგორც შეეფერებოდა, ყოველი მათგანი ფიქრობდა, კარგად მემსახურებიანო, რადგან მათ ხელს არავინ უშლიდა, საკუთარ თავს თვითონ მომსახურებოდნენ.

დამქანცველი მოგზაურობის შემდეგ ყველა სიამოვნებით ტკბებოდა სიმყუდროვით. სასიძოს სურდა დაახლოებოდა სასიდედროს, დაერწმუნებინა იგი, რომ ლუციანე უყვარს და მისადმი კეთილი სურვილები აქვს, მაგრამ ლუციანე ისვენებდა. როგორც იქნა ბედს ეწია, ბოლოს ნატვრა აუხდა, ნება დართეს ცხენზე შემჯდარიყო. საქმროს მშვენიერი ცხენები ჰყავდა და ყველანი მაშინვე ამხედრდნენ. არავინ დაგიდევდათ უამინდობას, ქარს, წვიმასა და ქარიშხალს. თითქოს მხოლოდ იმიტომ ცხოვრობდნენ, რომ დასველებულიყვნენ და ისევ გამშრალიყვნენ. თუ ფეხით გასეირნება მოესურვებოდა, ლუციანე არ ფიქრობდა იმაზე, როგორი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ეცვა. მოესურვა ენახა პარკები, რომელთა შესახებაც ამდენი რამ ჰქონდა გაგონილი. სადაც ცხენით ვერ უდგებოდა, იქითკენ ფეხით გარბოდა. მალე ყველაფერი მოიხილა და შეაფასა. დაუდგარი ბუნების გამო ადვილი არ იყო წინააღმდეგობა გაგეწია მისთვის. ყველას აწვალედა, ვინც კი მის ირგვლივ იყო, განსაკუთრებით კი მოახლეებს, რადგან ვერ აუდიოდნენ რეცხვასა და უთოობას,

მორღვევასა და მიკერებას.

როგორც კი სახლისა და კარ-მიდამოს დათვალიერებას მორჩა, თავი ვალდებულად ჩათვალა, მეზობლებს სტუმრებოდა და რადგან ძალიან სწრაფად დაქროდა ცხენით და ეტლით, მეზობლებიც საკმაოდ შორ მანძილზე აღმოჩნდნენ. ციხე-დარბაზი საპასუხო ვიზიტებმა თითქმის წალეკა და ერთმანეთს რომ არ ასცდნოდნენ, ცოტა ხნის შემდეგ სტუმრების მისაღებად განსაზღვრული დღეები დააწესეს.

სანამ შარლოტე დეიდასთან და საქმის რწმუნებულთან ერთად ცდილობდა ოჯახური ურთიერთობანი მოეგვარებინა, ხოლო ოთილიე მოსამსახურებთან ერთად ზრუნავდა იმაზე, რომ აქ თავშეყრილ ხალხს არაფერი დაჰკლებოდა, რისთვისაც ფეხზე დააყენა მონადირეები და მებაღეები, მეთევზეები და მეწვრილმანეები, ლუციანე დაჰქროდა როგორც აბრიალებული კომეტის ბირთვი, რომელსაც გრძელი კუდი მისთრევს. ჩვეულებრივი საუბრები, რითაც სტუმრები თავს ირთობდნენ, მალე მოსაწყენი მოეჩვენა. კიდევ კარგი, იმ მოხუცებს მაინც არ აწუხებდა, რომელნიც ბანქოს სათამაშო მაგიდასთან მოკალათდნენ. მაგრამ თუ ვინმეს მოძრაობის უნარი ჰქონდა, ვის არ გამოიყვანდა უმოძრაობიდან მისი დამატყვევებელი დაჟინება? ასეთები თუ საცეკვაოდ არ გაჰყვებოდნენ, მაშინ ფანტის, ჯარიმობანას ან გამოცანა-სურათების გახურებულ თამაშში ჩაითრევდა. და თუმცა ყველაფერი ისე ეწყობოდა, ფანტის გამოცნობაც კი მის სასარგებლოდ ხდებოდა, მიუხედავად ამისა, არც ერთი კაცი, რა ჯურისაც უნდა ყოფილიყო, მთლად უყურადღებოდ არ დარჩენილა. ლუციანემ ისიც კი მოახერხა, რომ ზოგიერთი ხნიერი გავლენიანი კაცის გული მოიგო. გაიკითხ-გამოიკითხავდა, რომელი მათგანის სახელობის ან დაბადების დღე ემთხვეოდა ამ პერიოდს, და განსაკუთრებულ ზეიმს გამართავდა. ამავე დროს, იმდენ სიმარჯვეს იჩენდა, რომ ყველა ფიქრობდა, მე მფარველობს, მოწყალე თვალთ სწორედ მე მიყურებსო. ასეთ სისუსტეში კი საზოგადოების უხუცეს წევრსაც კი დასდებდით ბრალს.

თუმცა მისი მიზანი იყო, მოეხიბლა ისეთი მამაკაცები, რომლებიც რაღაცას წარმოადგენდნენ – ჰქონდათ წოდება, პრესტიჟი, სახლი ან სხვა რამ მნიშვნელოვანი, არაფრად ჩაეგდო სიბრძნე და სიღარიბისლე და აეძულებინა ისინი, აჰყოლოდნენ მის დაუდეგარ, ახირებულ ბუნებას, მშრალზე არც ახალგაზრდობა რჩებოდა: თითოეულს ჰქონდა თავისი რიგი, დღე, საათი, და ლუციანემ იცოდა, როდის უნდა აღეფრთოვანებინა და მოეჯადოებინა ახალგაზრდა კაცი. მალე თვალში არქიტექტორი ამოიღო, რომელიც შავი, გრძელკულულებიანი თმის ქვეშიდან გულწრფელად იყურებოდა, მაგრამ წელგამართული მაინც განზე იდგა მშვიდად, ყოველ კითხვაზე მოკლე და გასაგებ პასუხს იძლეოდა და ეტყობოდა, რომ ამაზე შორს არ შეტოპავდა. ბოლოს გაღიზიანებულმა ქალიშვილმა თითქოსდა უნებურად, მაგრამ მაინც მზაკვრულად გადაწყვიტა, იგი ერთი დღის გმირად ექცია და ამ გზით თავის ამაღლაში შეეტყუებინა.

მან ტყუილუბრალოდ როდი ჩამოზიდა ამდენი ბარგი, ზოგიც შემდეგ ჩამოუტანეს. კაბების დაუსრულებელ გამოცვლას ბოლო არ უჩანდა. მართალია, დღეში სამ-ოთხჯერ კაბის გამოცვლა სიამოვნებდა, საზოგადოებაშიც მიღებული იყო დილიდან საღამომდე ტანსაცმლის გამოცვლა, მაგრამ ზოგჯერ ნამდვილ სამასკარადო კაბაში მოევიწიებოდა საზოგადოებას – ხან გლეხის გოგო იყო, ხან მეთევზე ქალი, ხან ფერია, ხანაც ყვავილების გამყიდველი ქალიშვილი. იგი არც დედაბერივით ჩაცმას უკადრისობდა იმის გამო, რომ მისი სახე კიდევ უფრო ნორჩი გამოჩენილიყო მონაზვნის თვალზე ჩამოფხატული კაპიუშონის ქვეშიდან და ამ გზით მართლაც ისე არივ-დარია არსებული და წარმოსახული, რომ ეგონათ ციხე-დარბაზის ალს დაუახლოვდნენ და დაუნათესავდნენ.

ყველაზე მეტად მას პანტომიმური კომპოზიციებისა და ცეკვებისთვის გადაცმა უყვარდა, სადაც სხვადასხვა ხასიათის როლების შესრულება ეხერხებოდა. ერთმა მისმა კავალერმა ისწავლა მისი ჟესტებისა და მიმიკისთვის მარტივი მუსიკის შერჩევა. საკმარისი იყო მათ ორიოდ სიტყვა ეთქვათ ერთმანეთისთვის და მაშინვე შეხმატკილებულად იწყებდნენ წარმოდგენას.

ერთხელ, როცა გახურებულ მეჯლისზე შესვენება გამოაცხადეს, თითქოსდა უნებურად, მაგრამ მისივე ფარული ინიციატივით, დაჟინებით დაუწყეს თხოვნა ერთ-ერთი ამგვარი პანტომიმა წარმოედგინა. ლუციანემ ვითომ დაიმორცხვა, უხერხულადაც კი იგრძნო თავი, დიდხანს ეხვეწნენ, რასაც ჩვეული არ იყო. თავი ისე ეჭირა, თითქოს დაბნეული იყო, არ იცოდა რა აერჩია, სხვებს სთხოვდა იმპროვიზატორივით თქვენ შემირჩიეთ თემაო, ბოლოს, ის ფორტეპიანოზე დამკვრელი პარტნიორი, რომელთანაც შეიძლება წინასწარ იყო შეთანხმებული, როიალს მოუჯდა, სამგლოვიარო მარში დაუკრა და დაჟინებით სთხოვა ლუციანეს, წარმოედგინა არტემიზია, რომლის როლი ჩინებულად ჰქონდა დასწავლილი. როგორც იქნა, ქალიშვილი დათანხმდა, მცირე ხნით ოთახიდან გავიდა, შემდეგ სამგლოვიარო მარშის ნაზ და სევდიან ჰანგზე მშვიდი ნაბიჯებით გამოცხადდა მეფის ქვრივის როლში. ხელში ეჭირა ფერფლით სავსე ურნა. უკან მოჰქონდათ დიდი, შავი დაფა და ოქროს რაისფედერში ჩადებული კარგად წამახული ცარცის ნაჭერი.

ლუციანეს ერთ-ერთი თაყვანისმცემელი და ადიუტანტი, რომელსაც ქალიშვილმა რაღაც ჩასჩურჩულა ყურში, მაშინვე მივიდა არქიტექტორთან, დაჟინებით დაუწყო თხოვნა და იძულებულიც კი გახდა, რომ მას, როგორც ხუროთმოძღვარს, დაეხატა მეფე მავსოლეს მავზოლეუმში და ამგვარად სტატისტი კი არ ყოფილიყო წარმოდგენაში, არამედ სერიოზული მონაწილეობა მიეღო. რა დარცხვნილიც უნდა მოსჩვენებოდათ არქიტექტორი – მისი შავი, ვიწრო, თანამედროვე სამოქალაქო ტანსაცმელი უჩვეულო კონტრასტს ქმნიდა იმ ფოჩებთან, მბზინავ ფერებთან, ფუნჯებთან და გვირგვინებთან შედარებით. მაინც მაშინვე მოერია თავს და ეს უფრო საოცარი საყურებელი იყო. იგი აუღელვებლად, სერიოზულად დადგა დაფის წინ, რომელიც რამდენიმე პაუს ეკავა ხელში და დიდი გულმოდგინებით, ზუსტად დახატა მავზოლეუმი, რომელიც უფრო ლონგობარდელი, ვიდრე კარიის მეფის შესაფერისი იყო, მაგრამ ისეთი მშვენიერი პროპორციებით, ისეთი მკაცრი ნაკვთებით, ისეთი გონებამახვილური ორნამენტებით, რომ სიამოვნებით უყურებდნენ, როგორ იქმნებოდა მავზოლეუმი, და როცა იგი მზად იყო, მისი ცქერით ტკბებოდნენ.

ამ ხნის განმავლობაში არქიტექტორი დედოფლისკენ თითქმის არ შემობრუნებულა, მისი გულისყური საქმისკენ იყო მიპყრობილი. ბოლოს, როცა მის წინ დაიხარა და ანიშნა, თქვენი ბრძანება შესრულებულიაო, ლუციანემ ურნა გაუწოდა და მიახვედრა, მსურს, ეს ურნა მავზოლეუმის თავზე იყოს დახატულიო. არქიტექტორმა უხალისოდ შეასრულა მითითება, რადგან ურნა მისი ესკიზის ხასიათს არ ესადაგებოდა, რაც შეეხება ლუციანეს, ბოლოს და ბოლოს, მისი მოუთმენლობა მინელდა: რადგან მის მიზნებსა და სურვილებს ის უფრო შეეფერებოდა, არქიტექტორს ესკიზი რამდენიმე შტრიხით მოეხაზა, მონუმენტისთვის ოდნავ მიემსგავსებინა და დარჩენილი დრო მისთვის დაეთმო. არქიტექტორის ქცევამ კი, პირიქით, იგი უაღრესად დააბნია, რადგან თუმცა ბევრს ცდილობდა, ხან ტკივილი გამოეხატა, ხან განკარგულებებს იძლეოდა, ხან რაღაცაზე უთითებდა, ხან ნახატს იწონებდა, რომელიც თანდათან იკვეთებოდა, ხან არქიტექტორს ლამის აქეთ-იქით დაათრევდა, რომ რაიმე ურთიერთობა დაემყარებინა მასთან, მაგრამ ვაჟი იმდენად ჯიუტი აღმოჩნდა, ლუციანე იძულებული შეიქნა ურნაში ეძებნა ხსნა – გულში იკრავდა, თვალებს ცისკენ აღაპყრობდა და ბოლოს იმდენად გაუჭირდა, რომ ეფესოს ქვრივს უფრო ჰგავდა, ვიდრე კირიის დედოფალს. ამის გამო წარმოდგენა გაჭიანურდა, პიანისტმა, რომელიც ჩვეულებრივ საკმაო მოთმინებას იჩენდა, აღარ იცოდა, რომელ ტონალობაზე გადასულიყო, ამიტომ ღმერთს მადლობა შესწირა, როცა დაინახა, რომ ურნა პირამიდის თავზე იდგა და მისდა უნებურად აირჩია მხიარული თემა, როცა დედოფალმა მოისურვა მადლობა გადაეხადა ხუროთმოძღვრისთვის, რის გამოც წარმოდგენამ თავისი პირვანდელი ხასიათი დაკარგა, სამაგიეროდ, დიდად გაამხიარულა საზოგადოება, რომელიც მაშინვე ორად გაიყო – ერთნი აღტაცებას გამოთქვამდნენ ლუციანეს ბრწყინვალე თამაშის გამო, მეორენი კი არქიტექტორის ოსტატური და მოხდენილი ნახატით იყვნენ აღტაცებულნი.

ლუციანეს საქმრო საგანგებოდ ესაუბრა არქიტექტორს.

– სამწუხაროა, – უთხრა მან, – რომ თქვენი ნახატი მსწრაფლწარმავალია, ნება მომეცით იგი ჩემს ოთახში გავატანინო, ჩვენ კი ვისაუბროთ მის შესახებ.

– თუ თქვენ ეს სიამოვნებას მოგანიჭებთ, – უთხრა არქიტექტორმა, – შემოძლია გაჩვენოთ მსგავსი შენობებისა და მონუმენტების საგულდაგულოდ შესრულებული ნახატები, ეს კი ძეგლებთან შედარებით შემთხვევითი და ზედაპირული ესკიზია.

ოთილიე შორიანლო იდგა და მათთან მივიდა.

– არ დაგავიწყდეთ, – უთხრა მან არქიტექტორს, – ამ შემთხვევასთან დაკავშირებით ბატონ ბარონს აჩვენოთ თქვენი კოლექცია, იგი სიძველეთა და ხელოვნების მოყვარულია. ჩემი სურვილია, უფრო ახლოს რომ გაიცნოთ ერთმანეთი.

ლუციანე სწრაფად მიუახლოვდა მათ და იკითხა: – რაზე საუბრობთ?

– ხელოვნების ნაწარმოებთა კოლექციაზე, – უპასუხა ბარონმა, – რომელიც ბატონ არქიტექტორს ჰქონია და როცა შემთხვევა მიეცემა, გვაჩვენებს.

– ჯობს ახლავე მოიტანოს, – წამოიძახა ლუციანემ, – ხომ მოიტანთ კოლექციას ახლავე? – დასძინა მან ლაქუცით და ორივე ხელზე შინაურულად მოჰკიდა ხელი.

– არა მგონია ახლა ამის დრო იყოს, – უპასუხა არქიტექტორმა.

– რაა! – წამოიძახა ლუციანემ მბრძანებლურად, – თქვენ არ გინდათ თქვენი დედოფლის ბრძანებას დაემორჩილოთ? – შემდეგ თითქოსდა ხუმრობით, თხოვნაზე გადავიდა.

– ნუ ხართ ჯიუტი, – უთხრა ოთილიემ არქიტექტორს ხმადაბლა.

არქიტექტორმა მათ თავი დაუკრა და გაშორდა. ეს არც კის ნიშნავდა და არც არას.

როგორც კი არქიტექტორი წავიდა, ლუციანე ქარიშხალივით დაბზრიალდა დარბაზში.

– აჰ! – წამიძახა მან, თან შემთხვევით დედამისს დაეჯახა, – რა უბედური ვარ! ჩემი მაიმუნი თან არ წამოვიყვანე და ეს ჩემი მსახურების ბრალია, გადამათქმევინეს, თავის შეწუხება არ უნდათ და ამით დიდი სიამოვნება მომაკლეს. მაგრამ მე მინდა ახლა მაინც მომგვარონ აქ, ვინმე უნდა წავიდეს მის ჩამოსაყვანად. ბედნიერი ვიქნებოდი, მისი სურათის დანახვა მაინც რომ შემეძლოს. მინდა მისი სურათი დავახატვინო და გვერდიდან აღარ მოვიშორებ.

– შემეძლია განუგეო, – უთხრა შარლოტემ, – ბიბლიოთეკიდან მოვატანინებ მაიმუნების საოცარი სურათების მთელ ტომს.

სიხარულისგან ლუციანეს ყვირილი აღმოხდა და ბიბლიოთეკიდან ფოლიანტი მოიტანეს. ამ ადამიანის მსგავსი და მხატვრის მიერ კიდევ უფრო გაადამიანებული საშინელი არსების დანახვამ ლუციანეს დიდი სიხარული მოჰგვარა. მაგრამ კიდევ უფრო ბედნიერად მაშინ გრძნობდა თავს, როცა ამ ცხოველებში ნაცნობ ადამიანებთან პოულობდა მსგავსებას.

– განა ეს ბიძაჩემს არა ჰგავს? – ყვიროდა იგი დაუნდობლად, – ეს კი მეწვრილმანე მ-ს, ეს სწორედ, რომ მღვდელი ს-აა, ეს მაიმუნი კი ზედგამოჭრილი ისაა... რა ჰქვია. საერთოდ მაიმუნები კოპწია არსებები არიან და როგორ შეიძლება მათი საუკეთესო საზოგადოებიდან გამორიცხვა.

ამას იგი სწორედ საუკეთესო საზოგადოებაში ამბობდა, მაგრამ არავის ჩამოურთმევია მისთვის ამგვარი ლაპარაკი უზრდელობად. მისით მოხიბლულნი ისე მიეჩვივნენ ბევრი რამის პატიებას, ბოლოს ყველაფერზე ხუჭავდნენ თავს.

ამ დროს კი ოთილიე ბარონს ესაუბრებოდა. მას იმედი ჰქონდა, რომ არქიტექტორი დაბრუნდებოდა, თან მოიტანდა თავის სერიოზულ, გემოვნებით შერჩეულ კოლექციას და მისი მეშვეობით საზოგადოებას მაიმუნებისგან იხსნიდა. ამის მოლოდინში ემუსაიფებოდა ბარონს და მისი ყურადღება ბევრ რამეზე გაამახვილა. მაგრამ არქიტექტორი არსად ჩანდა და ბოლოს, როცა გამოჩნდა, საზოგადოებაში მიიკარგა ისე, რომ თან არაფერი მოუტანია და არც ის შეიმჩნია, თითქოს აქ რამეზე იყო ლაპარაკი. ოთილიეს ერთი წამით – როგორ გამოვთქვათ ეს – უკმაყოფილება დაეუფლა, გაღიზიანდა, შეცბა, მან ღმობიერი თხოვნით მიმართა არქიტექტორს, სურდა ამით საქმროსთვის მისი გონების საკადრისი სიამოვნება მიენიჭებინა, რადგან ხედავდა, რომ მიუხედავად ლუციანესადმი უსასრულო სიყვარულისა, მისი საქციელი მაინც ტანჯვის მომგვრელი იყო.

მაიმუნებს ადგილი უნდა დაეთმოთ მსუბუქი ვახშმისთვის. ვახშმის შემდეგ დაწყებული თამაშობანი, ცეკვები, ბოლოს ერთ ადგილზე მოწყენილი ჯდომა, ერთი სიტყვით, ჩამქრალი სიხალისის ხელახლა გაღვივება ამჯერადაც გასცდა შუალამეს. ლუციანე მიეჩვია იმას, რომ დილით საწოლიდან ვერ დგებოდა, ღამით კი დაძინებაზე არც ფიქრობდა.

ამ დროს ოთილიეს დღიურში იშვიათად ვხვდებით ამა თუ იმ მოვლენის აღწერას, სამაგიეროდ უფრო ხშირად გვხვდება ცხოვრებისეული მაქსიმები და სენტენციები. მაგრამ რადგან მათი უმეტესობა არ შეიძლებოდა მისი რეფლექსიის ნაყოფი ყოფილიყო. სავარაუდოა, რომ მას ვიღაცამ მისცა რვეული, საიდანაც ამოწერა ის, რაც მოეწონა. ზოგი რამ კი მისი შინაგანი განწყობიდან მომდინარეობდა და წითელი ძაფივით ადვილი გამოსაცნობი იყო.

ოთილიეს დღიურიდან

„ჩვენ ასეთი სიამოვნებით იმიტომ ვჭკრეტთ მომავალს, რომ სულითა და გულით გვსურს, იდუმალი ოცნების მეშვეობით ჩვენდა საკეთილდღეოდ შემოვაბრუნოთ ის შემთხვევითობა, მასში რომ არის ჩაბუდებული.

ძნელია დიდ საზოგადოებაში იყო და არ იფიქრო იმაზე, რომ შემთხვევითობამ, რომელიც ამდენ ადამიანს აერთიანებს, ჩვენი მეგობრებიც უნდა მოიყვანოს აქ.

რა განმარტოებითაც უნდა იცხოვრო, მოხედვას ვერ მოასწრებ და ან ვინმეს მოვალე ხდები, ან სესხის გამცემი.

როცა ვხვდებით ადამიანს, რომელიც მადლიერების გრძნობითაა ჩვენდამი გამსჭვალული, მაშინვე გვაგონდება ეს, მაგრამ რამდენჯერ შევხვედრივართ ადამიანს, ვისი მადლიერიც უნდა ვიყოთ და ამაზე არც კი ვფიქრობთ.

ვინმეს რომ გული გადაუშალო, ბუნებრივი მოთხოვნილებაა, მაგრამ ისე გაიზიარო ვინმეს გულის ნადები, როგორც გადაგიშალებს, ეს უკვე განათლებაა.

არავინ ილაპარაკებდა საზოგადოებაში ბევრს, შეგნებული რომ ჰქონდეს, რა არასწორად ესმის ხშირად სხვების.

სხვის ნათქვამს, გამეორებისას, იმიტომ ასხვაფერებენ ასე ძალიან, რომ ვერ გაიგეს.

ვინც სხვების წინაშე ბევრს ლაპარაკობს, ისე რომ მსმენელს არ ეპირფერება, იგი უკმაყოფილებას იწვევს მათში.

ყოველი წარმოთქმული სიტყვა საწინააღმდეგო აზრს იწვევს.

წინააღმდეგობა და პირფერობა – ორივე ცუდი საუბრის წარმმართველია.

ყველაზე უკეთესი საზოგადოება ის არის, სადაც მის წევრებს შორის აშკარად ჭარბობს ურთიერთპატივისცემა.

არაფერში მჟღავნდება ადამიანის ხასიათი ისე, როგორც იმაში, თუ რა მიაჩნია სასაცილოდ.

სიცილს იწვევს ზნეობრივი კონტრასტი, რომლის დაკავშირება ძალზე უწყინრად ხდება გრძნობასთან.

ემოციური ადამიანი ხშირად იქ იცინის, სადაც არაფერია სასაცილო. რამაც უნდა ალაგზნოს, მისი სიამოვნებისადმი მიდრეკილება მაშინვე მჟღავნდება.

შეგნებულს თითქმის ყველაფერი სასაცილოდ მიაჩნია, გონიერისთვის კი სასაცილო თითქმის არაფერია.

ერთ ხანში შესულ ადამიანს საყვედურობდნენ, ახალგაზრდა ქალებს ისევ ეარშიყებო. „ესაა გაახალგაზრდავების ერთადერთი საშუალება, – პასუხობდა იგი, – გაახალგაზრდავება კი ყველას სურს“.

ჩვენ საშუალებას ვაძლევთ სხვებს გვისაყვედურონ ესა თუ ის ნაკლი, თავს ვასჯევიან, მოთმინებით ვიტანჯებით ამის გამო, მაგრამ თუ ხელი უნდა ავიღოთ მათზე, მოთმინება გვღალატობს.

ზოგიერთი ნაკლი აუცილებელია იმისათვის, რომ ცალკეულმა პიროვნებამ იარსებოს. ჩვენთვის არასასიამოვნო იქნებოდა, ძველმა მეგობრებმა ზოგიერთ თვისებაზე ხელი აიღონ.

როცა ვიღაც რაღაცას თავისი ჩვეულების წინააღმდეგ აკეთებს, ამბობენ: „ჩქარა მოკვდება“.

რომელი ნაკლი უნდა შევინარჩუნოთ და შეიძლება განვავითაროთ კიდევ? ისეთი, სხვებს რომ უმალ აამებს, ვიდრე შეურაცხყოფს.

ვნება მაშინაა ნაკლი ან ღირსება, როცა ძლიერია.

ჩვენი ვნებები სწორედ რომ ფენიქსებია. როგორც კი ძველი დაიწვება, მაშინვე ფერფლიდან აღმოცენდება ახალი.

ძლიერი ვნებები დაავადებებია ან იმედი. რასაც მათი განკურნება შეეძლო, სწორედ ის ხდის მათ სახიფათოდ.

აღიარებით ვნება ან ძლიერდება, ან სუსტდება. იქნებ არც არის ზომიერება ისე სასურველი აღიარებასა ან დამალვაში იმათ წინაშე, ვინც გვიყვარს.

თავი მეხუთე

ლუციანე მათრახით მიერეკებოდა ხმაურიან ცხოვრებას. მისი ამაღა ყოველდღიურად იზრდებოდა, ნაწილობრივ იმის გამო, რომ მუდამ გიჟმაჟურად ერთობოდა, და ეს მათ აღელვებდა, იზიდავდა, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ სხვების თავაზიანობისა და ხათრიანობის გამოყენება, მათი კუდზე გამობმა იცოდა. ლუციანე უაღრესად ხელგაშლილი იყო, რადგან ბებიისა და საქმროს სიყვარულის წყალობით ხელში უეცრად იმდენი მშვენიერი და ძვირფასი რამ ჩაუვარდა, გეგონებოდა მისი არაფერი იყო და არ იცოდა იმ ნივთების ფასი, ასე თავსაყრელად რომ ჰქონდა. ერთ წამსაც არ შეყოვნებოდა, ისე მოიხსნიდა ძვირფას შალს მხრებიდან და ისეთ ქალს მოახურავდა, სხვებთან შედარებით მეტისმეტად ღარიბულად ჩაცმული რომ ეჩვენებოდა და ამას ისე ეშმაკურად და მარჯვედ აკეთებდა, რომ არავის შეეძლო ასეთ საჩუქარზე უარი ეთქვა. მის

ამალაში ერთს ყოველთვის ჰქონდა ყულაბა თან და ევალეზოდა იმ ადგილას, სადაც ჩადიოდნენ, გამოეკვლია, ვინ იყო ყველაზე მოხუცი და ყველაზე ღარიბი და მათი მდგომარეობა იმ მომენტში შეემსუბუქებინა. ამის გამო მთელ მხარეში კეთილი ადამიანის სახელი გაუვარდა, რასაც ზოგჯერ მისთვის უსიამოვნებაც კი მოჰქონდა, რადგან მეტისმეტად ბევრ აბეზარ გაჭირვებულს იზიდავდა მისკენ.

მაგრამ არაფერმა შემატა მის სახელს დიდება ისე, როგორც ყველასათვის თვალში საცემმა, მუდმივმა, განსაკუთრებულმა ყურადღებამ ერთი უბედური ახალგაზრდა კაცისადმი, რომელიც თუმცა ლამაზი და კარგი აღნაგობის ვაჟკაცი იყო, მაგრამ საზოგადოებას გაურბოდა, რადგან მარჯვენა მკლავი გმირულად დაკარგა ბრძოლაში. ხეიბრობამ იგი ისეთი პირქუში გახადა, ისეთ ცუდ ხასიათზე დგებოდა, როცა ყოველი ახალი ნაცნობისთვის უნდა აეხსნა, თუ როგორ შეემთხვა უბედურება, რომ ერჩია დამალულიყო, კითხვასა და სწავლას დასწაფებოდა და ერთხელ და სამუდამოდ საზოგადოებასთან საერთო არაფერი ჰქონოდა.

ასეთი კაცი რომ ცხოვრობდა აქ, ლუციანესთვის გაუგებარი არ დარჩენილა. იგი იძულებული გახდა ლუციანემ, გამოცხადებულიყო მასთან და ჯერ პატარა საზოგადოებას გააცნო, შემდეგ უფრო დიდს, ბოლოს კი ძალიან დიდს. ქალიშვილი უფრო გულიანად ექცეოდა მას, ვიდრე სხვა ვინმეს, განსაკუთრებულ გულმოდგინებას იმაში იჩენდა, რომ შთაენერგა მისთვის, მისი დანაკარგი ღირსების მატარებელია და ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ მისი ხვედრი შეემსუბუქებინა. სუფრასთან აუცილებლად ლუციანეს გვერდით უნდა მჯდარიყო, იგი ყველაფერს წინასწარ დაუჭრიდა და ახალგაზრდა კაცს მხოლოდ ჩანგალი უნდა ეხმარა. თუ ადგილს ხნიერი ან დიდგვაროვანი ადამიანები იკავებდნენ, მაშინ ლუციანე მას ყურადღებას მაინც არ აკლებდა და აჩქარებდა მსახურებს, აენაზღაურებინათ ის, რაც სიმორის გამო დააკლდა. ბოლოს ლუციანემ იმაზეც დაიყოლია, რომ მარცხენა ხელით ეწერა: ახალგაზრდა კაცს ყოველი ნაწერი მისთვის უნდა გაეგზავნა და ამიტომ შორს იყო ლუციანე თუ ახლოს, მუდმივი ურთიერთობა ჰქონოდა მასთან. ახალგაზრდა კაცმა არ იცოდა, როგორ მოხდა ყოველივე ეს, მაგრამ იმ წუთიდან ახალი ცხოვრება დაიწყო.

სავსებით შესაძლებელია გვეფიქრა, რომ მისი ასეთი ქცევა საქმროს არ მოეწონებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა. ამგვარი გარჯა მან ლუციანეს დიდ დამსახურებად ჩაუთვალა და მისი ცხოვრების ეს მხარე არ აფორიაქებდა, რადგან იცნობდა მის საოცარ უნარს, თავი აერიდებინა იმისათვის, რაც ოდნავ მაინც საჩოთირო ჩანდა. ლუციანეს უნდოდა ისე ეხტუნავა ყველასთან, როგორც მოისურვებდა, ყველას ემუქრებოდა საფრთხე, რომ ერთხელაც იქნებოდა წაეკიდებოდა, არ მოასვენებდა ან გაახელებდა. მაგრამ იმავეს ვერავინ გაუბედავდა მას, ვერავინ შეეხებოდა ნებადაურთველად, მოექცეოდა ისევე თავისუფლად, როგორც იგი ექცეოდა სხვებს. ასე ჰყავდა ყველა ზნეობის უმკაცრეს ფარგლებში მოქცეული, თუმცა თვითონ არავითარ წესებს არ უწევდა ანგარიშს მათთან ურთიერთობაში.

ლუციანე თანაბრად იმსახურებდა ქებასაც და გაკიცხვასაც, სიმპათიასაც და ანტიპათიასაც. თუ იგი ცდილობდა ადამიანის გული როგორმე მოეგო, ჩვეულებრივ თავისი ბოროტი ენის წყალობით, რომელიც არავის ინდობდა, მალე უფუჭდებოდა მასთან ურთიერთობა. ამიტომ არც ერთ მის სტუმარს მეზობლების ციხე-დარბაზებსა და სახლებში, სადაც მას და მის ამალას თავაზიანად იღებდნენ, არ ჩაუვლია ისე, რომ უკან დაბრუნებისას თავშეუკავებლად არ აეგდო ისინი აბუჩად და არ გამოემჟღავნებინა, რომ ყველა ადამიანური ურთიერთობები სასაცილოდ არ ყოფნის. ხან სამ ძმას გაჰკრავდა კბილს, რომელთაც იმის თავპატიჟში, თუ ვის უნდა შეერთო პირველად ცოლი, სიბერემ მოუსწროთ, ხან პირიქით, იმას დასცინოდა, მხიარული კაცი რომ იყო და გოლიათი ცოლი ჰყავდა. ერთ სახლზე ამბობდა, ყოველ ნაბიჯზე ბავშვი გედებათ ფეხებშიო, მეორეზე, – სახლში ხალხი ბევრია, მაგრამ ბავშვი არ ჰაჭანებსო. მოხუცი ცოლ-ქმარი ჩქარა უნდა დაეკრძალათ, რომ სახლში ისევ გაღვიძებოდათ სიცილის სურვილი, მით უმეტეს, მათ კანონიერი მემკვიდრე არ ჰყავდათ. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი სამოგზაუროდ უნდა წასულიყო, რადგან ოჯახური ცხოვრება არ ეხერხებოდათ. ლუციანე ისევე იგდებდა აბუჩად ნივთებს, შენობებს, ავეჯს, ჭურჭელს, როგორც ადამიანებს. განსაკუთრებულ ენაკვიმატობას კედლის მორთულობისადმი იჩენდა, დაწყებული უძველესი გობელენებით და უახლესი შპალერით დასრულებული, მოყოლებული უპატივცემულესი ოჯახური პორტრეტიდან, ვიდრე ჩვენი დროის ქარაფშუტულ ჭედურობამდე. როგორც ერთს, ისე მეორეს მწარედ გაკენწლავდა. მისი დამცინავი შენიშვნები ყველაფერს აბურთავებდნენ, ამსხვრევდნენ და საკვირველი ის იყო, როგორ გადარჩა კიდეც რამე მთელი ხუთი მილის მანძილზე.

შეიძლება მის მისწრაფებაში, ყველაფერი უარეყო, ნამდვილი ბოროტება არც იდო, შეიძლება ეს მხოლოდ ეგოისტური თავქარიანობა იყო და მეტი არაფერი. მაგრამ მის დამოკიდებულებაში ოთილიესადმი მართლაც იჩინა თავი ნამდვილმა გაბოროტებამ. საყვარელი ქალიშვილის მშვიდ, მუხლმოუკეცავ საქმიანობას, რასაც ყველა ამჩნევდა და ქებას ასხამდა, ლუციანე ზიზღით

დასცქეროდა, ხოლო როცა სიტყვა ჩამოვარდა იმაზე, როგორ უვლის ოთილიე ბალებსა და სათბურებს, მან მასხრად აიგდო იგი, რადგან ვერ ხედავდა ვერც ყვავილებს და ვერც ხილს. თითქოსდა დაავიწყდა, რომ ახლა შუა ზამთარი იდგა. იმ დღიდან იგი იმდენ სიმწვანეს, ტოტებსა და ფოთლებს ითხოვდა, ისე აჩანაგებდა ყველაფერს ყოველდღიურად ოთახებისა და მაგიდების მოსართავად, რომ ოთილიე და მებაღე გვარიანად ნაწყენი იყვნენ, რადგან უწილდებოდნენ იმედი, რომ გაისად ან შეიძლება უფრო ხანგრძლივი დროითაც დანაკლისს აინაზღაურებდნენ.

ლუციანეს ოთილიესთვის არც შინ ყოფნის მყუდროება ემეტებოდა, სადაც იგი თავს ლაღად გრძნობდა. ოთილიე უნდა გაჰყოლოდა ყველგან – გასართობად, ციგებით სასრიალოდ, იმ მეჯლისებზე, მეზობლები რომ მართავდნენ. და რადგან ამისგან სხვები არ იხოცებოდნენ, არც ოთილიე უნდა მორიდებოდა თოვლს, სიცივეს, ან ღამით ამტყდარ ძლიერ ქარბუქს. ამის გამო ფაქიზი ქალიშვილი იტანჯებოდა, მაგრამ ამით არც ლუციანე იგებდა რამეს: მიუხედავად იმისა, რომ ოთილიე ყოველთვის სადად იცვამდა, მაინც ყოველთვის ყველაზე ღამაზი იყო. ყოველ შემთხვევაში მამაკაცებს ასე ეჩვენებოდათ. მიმზიდველი სიფაქიზე უნებურად უბიძგებდა ყველა მამაკაცს, მის ირგვლივ მოეყარათ თავი, ეს მიუხედავად იმისა, დარბაზში პირველ ადგილზე იმყოფებოდა თუ უკანასკნელზე: ლუციანეს საქმროც კი ხშირად ესაუბრებოდა მას, მით უმეტეს, რომ სჭირდებოდა მისი რჩევა და თანადგომა ერთ საქმეში, რომლითაც დაინტერესებული იყო.

ლუციანეს საქმრომ არქიტექტორი უფრო ახლოს გაიცნო, კოლექციის დათვალიერების შემდეგ და სხვა ამბებთან დაკავშირებითაც ხშირად ესაუბრებოდა ისტორიულ თემებზე, ხოლო კაპელის დათვალიერების შემდეგ სათანადოდ დააფასა მისი ნიჭი. ბარონი ახალგაზრდა და მდიდარი იყო, კოლექციონერობა მასაც უყვარდა, სურდა რაღაც აეშენებინა, თავდავიწყებით იცოდა გატაცება, ცოდნით კი ვერ დაიტრაბახებდა. დარწმუნებული იყო, არქიტექტორის სახით ისეთი კაცი იპოვა, ვისი დახმარებითაც ერთბაშად ერთს კი არა, რამდენიმე მიზანს მიაღწევდა. იგი ამის შესახებ საცოლეს ელაპარაკა. ლუციანემ მოუწონა განზრახვა, შეაქო, დიდი კმაყოფილება გამოთქვა ამ წინადადების გამო, მაგრამ შეიძლება მას ამით ის უნდოდა, რომ ახალგაზრდა კაცი ოთილიესთვის ჩამოემორებინა, რადგან ფიქრობდა, არქიტექტორს ოთილიესადმი ლტოლვა შევნიშნეო, ვიდრე ის, რომ მისი ნიჭი თავისი მიზნების განხორციელებისთვის გამოეყენებინა. მიუხედავად იმისა, რომ არქიტექტორს არაერთხელ მიუღია აქტიური მონაწილეობა იმპროვიზებული ზეიმების მოწყობასა და ამა თუ იმ ღონისძიების განხორციელებაში მარჯვე და ყოჩაღი კამერდინერი ისევე გამოდგებოდა, როგორც გამოჩენილი ხელოვანი. როცა მას სურდა ვინმეს დაბადების დღე ან სხვა საზეიმო თარიღი აღენიშნა, მისი წარმოსახვის ნიჭი საკურთხეველზე მსხვერპლის შეწირვის, ანუ თაბაშირისა თუ ცოცხალი თავის გვირგვინით შემკობაზე უფრო შორს არ წასულა.

როცა ლუციანეს საქმრომ ოთილიეს გამოჰკითხა, რითაა დაკავშირებული არქიტექტორი ამ სახლთანო, მან ყოვლად სარწმუნო ცნობები მიაწოდა. ოთილიემ იცოდა, რომ შარლოტემ უკვე დაიწყო მისთვის ადგილის შოვნაზე ზრუნვა და სტუმრები რომ არ ჩამოსულიყვნენ, ახალგაზრდა კაცი კაპელის დამთავრების შემდეგ იქაურობას უნდა გასცლოდა, რადგან გადაწყვეტილი ჰქონდათ ყოველგვარი მშენებლობა ზამთრის პერიოდში შეეჩერებინათ. ამიტომ სასურველი იყო, თუ არქიტექტორს ახალი მფარველი გამოუჩნდებოდა და მისი ნიჭის გაფურჩქვნას ხელს შეუწყობდა.

ოთილიეს პირადი ურთიერთობა არქიტექტორთან უაღრესად სუფთა და ბუნებრივი იყო. იგი მას ისე უყურებდა, როგორც უფროს ძმას და მისი კეთილმოსურნე და ქმედითი საქმიანობა კიდევ ართობდა და კიდევ ახარებდა. მისი დამოკიდებულება არქიტექტორისადმი სისხლით ნათესაობის მშვიდ, ვნებას მოკლებულ ურთიერთობას არ გასცილებია, რადგან მის გულში სხვისთვის ადგილი აღარ იყო. ოთილიეს გული ისე აავსო ედუარდმა სიყვარულით, რომ ერთი კუნჭულიც კი აღარ დარჩა ცარიელი, ამ გულის დაუფლება მასთან ერთად შეეძლო მხოლოდ ღმერთს, რომელსაც ყველგან შეუძლია შეაღწიოს.

რაც უფრო მეტად იკიდებდა ფეხს ზამთარი, მით უფრო მძვინვარებდა ამინდი, რაც უფრო გაუვალი ხდებოდა გზები, რაც უფრო კლებულობდა დღეები, მით უფრო სასიამოვნო იყო ასეთ კარგ საზოგადოებაში ტრიალი. ხანმოკლე უკუქცევის შემდეგ, სტუმრების ხელახალი მოქცევა კვლავ ავსებდა სახლს. შორეული გარნიზონებიდან მოდიოდნენ ოფიცრები, განათლებული – აქ თავშეყრილი საზოგადოების სასარგებლოდ, ხეპრენი – მათ შესაწუხებლად. არც სამოქალაქო წოდების წარმომადგენელი აკლდათ და ერთ მშვენიერ დღეს, სრულიად მოულოდნელად გრაფი და ბარონესა მოადგნენ ეტლით კარზე.

მათმა სტუმრობამ ციხე-დარბაზი ნამდვილ სამეფო კარად აქცია. მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობის მქონე მამაკაცები გრაფს შემოეხვივნენ, ქალებმა ბარონესას სცეს საკადრისი პატივი, დიდი ხნით არ გამოუწვევია გაკვირება იმას, რომ ისინი ერთად ჩამოვიდნენ და ხალისიან გუნებაზე იყვნენ, რადგან შეიტყვეს, გრაფის მეუღლე გარდაიცვალა და ისინი მაშინვე დაქორწინდებოდნენ, როგორც კი წესიერების ფარგლებში ამის საშუალება მოეცემოდათ.

ოთილიეს გაახსენდა მათი პირველი სტუმრობა, ყოველი სიტყვა ქორწინებასა და გაყრას, შეკავშირებას და დაშორებას, იმედს, ლოდინს, მოსაკლისებას, შეხვედრაზე უარის თქმას რომ ეხებოდა. მაშინ მათ არავითარი იმედი არ ჰქონდათ, ახლა კი იდგნენ მის წინაშე ნანატრი ბედნიერების მოლოდინში და ოთილიეს უნებურად მკერდიდან ოხვრა აღმოხდა.

როგორც კი გაიგო ლუციანემ, გრაფს მუსიკა ძალიან უყვარსო, მაშინვე გამართა კონცერტი. გადაწყვიტა გიტარის თანხლებით თვითონ ემღერა და ასეც მოიქცა. გიტარაზე საკმაოდ კარგად უკრავდა, ხმა სასიამოვნო ჰქონდა, მაგრამ რაც შეეხება სიტყვებს, ისინი ახლაც ისევე ძნელად გასაგები იყო, როგორც მაშინ, როცა რომელიმე გერმანელი ლამაზმანი გიტარაზე უკრავს და მღერის. თუმცა, ყველა ამტკიცებდა ძალზე შთამბეჭდავად იმღერაო და ერთსულოვანი ტაშითაც დააჯილდოეს, მიუხედავად ამისა, საწადელს მაინც ვერ ეწია. საზოგადოებაში ერია ერთი პოეტი, რომლის გულის მოგების დიდი იმედი ჰქონდა, ოცნებობდა იმაზე, რომ პოეტს რამდენიმე ლექსი მიეძღვნა მისთვის და ამიტომ იმ საღამოს მეტწილად მხოლოდ მის სიტყვებზე დაწერილ სიმღერებზე მღეროდა. პოეტი სხვებივით ზრდილი კაცი იყო, მაგრამ ლუციანე მისგან მეტს მოელოდა. მან რამდენჯერმე აგრძნობინა კიდეც ეს პოეტს, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ბოლოს მოთმინება დაკარგა და თავის ამაღის ერთ-ერთი წევრი მიუგზავნა იმის გასაგებად, აღტაცებული იყო თუ არა ჩინებული ლექსების ასევე ჩინებული შესრულებით.

– ჩემი ლექსები? – უპასუხა გაცეხულმა პოეტმა, – მაპატიეთ, ბატონო ჩემო, – დასძინა მან, – მე მხოლოდ ხმოვნები მესმოდა და ისიც არა ყველა, მიუხედავად ამისა, თავს მოვალედ მივიჩნევ, მაღლობელი ვიყო მისი, ასეთი სასიამოვნო განზრახვა რომ ამოძრავებდა.

მიგზავნილი მამაკაცი გაჩუმდა და ლუციანესთვის არაფერი უთქვამს, პოეტი კი შეეცადა სასიამოვნო კომპლიმენტებით დასხლტომოდა მას ხელიდან. ამის შემდეგ ლუციანემ ცხადად აგრძნობინა, რომ სურდა ჰქონოდა საკუთრივ მისთვის შეთხზული ლექსი, თუ ქალიშვილი უპატივცემულობაში არ ჩამოართმევდა, პოეტი მზად იყო მოერთმია მისთვის ანბანი, საიდანაც თვით ლუციანეს შეეძლო ნებისმიერი ხოტბის შემსხმელი ლექსი რომელიმე გავრცელებული მელოდიისთვის მიესადაგებინა. მაგრამ ლუციანე შეურაცხყოფილი დარჩა. მოგვიანებით მან გაიგო: იმავე საღამოს პოეტმა ოთილიეს ერთ საყვარელ მელოდიას ლექსი მიუსადაგა, რაც თავაზიანობაზე მეტი იყო.

ლუციანეს, მისი ყაიდის იმ ადამიანების მსგავსად, რომლებმაც არ იციან, რისი უნარი შესწევთ და რისი არა, სურდა მხატვრულ კითხვაში ეცადა ბედი. მეხსიერება კარგი ჰქონდა, მაგრამ თუ სიმართლეს ვიტყვით, მგზნებარება აკლდა, მკვახედ და უსულოდ კითხულობდა. კითხულობდა ბალადებს, მოთხრობებს და საერთოდ ყველაფერს, რაც კი ჩვეულებრივ დეკლამაციებში გვხვდება. ამავე დროს არასასიამოვნო ჩვეულება დასჩემდა, კითხვის დროს ჟესტებს იყენებდა, რის გამოც ეპიკურსა და ლირიკულს უგემოვნოდ უკავშირებდა დრამატულს და ამით მსენელს საბოლოოდ აბნევდა.

გრაფი, რომელიც კეთილგონიერი კაცი იყო, სულ მალე მიხვდა, როგორ საზოგადოებასთან ჰქონდა საქმე, საით მიილტვოდნენ, რა იტაცებდათ, რა ართობდათ და ლუციანეს, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ჩააგონა გაემართა სხვა სახის წარმოდგენა, რაც მისი პიროვნული მონაცემებისთვის დიდად შეასაბამისი იქნებოდა.

– მე აქ ზოგიერთ ისეთი აღნაგობის პიროვნებას ვხედავ, – უთხრა მან ლუციანეს, – რომელთაც, ცხადია, არ გაუჭირდებათ მხატვრული მოძრაობებისა და პოზების გამოხატვა. ნუთუ თქვენ ჯერ არ გიცდიათ სინამდვილეში არსებული, ცნობილი სურათების წარმოდგენა? მართალია, ასეთი გამოხატვა ერთგვარ გარჯას მოითხოვს, სამაგიეროდ, უაღრესად მომნიბვლელია.

ლუციანე მაშინვე მიხვდა, რომ ეს სწორედ მისი ამპლუა იყო. მშვენიერი აღნაგობა, სავსე ტანი, სიმეტრიული და მაინც მშვენიერი სახის ნაკვთები, ღია წაბლისფერი დაწნული თმა, მოღერებული ყელი – ყველაფერი ეს სწორედ სურათისთვის იყო გამოსადეგი, მაგრამ ამავე დროს მას ისიც რომ სცოდნოდა, რომ უფრო ლამაზი სანახავი იყო, როცა წყნარად იდგა, ვიდრე მაშინ, როცა მოძრაობდა, რადგან მოძრაობის დროს მის თამაშს რაღაც არაორგანიზაციული, ხელის შემშლელი შეეპარებოდა ხოლმე, მაშინ მეტი გულმოდგინებით შეუდგებოდა ამ ბუნებრივი ცოცხალი სურათების წარმოდგენას.

და აი, დაიწყეს იმ სპილენძის ჭედურობათა ძიება, რომლებზეც სახელგანთქმული სურათები იყო გადატანილი. პირველად შეარჩიეს ვან-დეიკის „ბელიზარი“, მაღალ, არცთუ ისე ახალგაზრდა, ტანად მამაკაცს უნდა წარმოედგინა დამჯდარი ბრმა გენერალი – მის წინ უნდა მდგარიყო არქიტექტორი, თანაგრძნობითა და მჭიმუნვარებით გამსჭვალული მეომარი, რომელსაც იგი ცოტათი მართლაც ჰგავდა.

ლუციანემ ხაზგასმული თავმდაბლობით აირჩია ახალგაზრდა ქალის როლი, რომელიც უკანა

პლანზე დგას და ქისიდან ხელისგულზე მდიდრულ გასაკითხს უყრის, თან ითვლის, ამ დროს კი ვიღაც მოხუცი ქალი აფრთხილებს და ანიშნებს, მეტისმეტად ბევრს აძლევო. არ დაივიწყეს არც მეორე ქალი, რომელიც უკვე უწვდის გასაკითხს ბელიზარს.

ამ და სხვა სურათების წარმოდგენას ძალზე სერიოზულად მოჰკიდეს ხელი. გრაფმა არქიტექტორს რამდენიმე რჩევა მისცა, როგორ უნდა ყოფილიყო მოწყობილი სცენა და ისიც მაშინვე შეუდგა მის მოწყობასა და განათებაზე ზრუნვას. ბევრი რამ უკვე გაკეთებული იყო, როდესაც აღმოჩნდა, ამგვარი რამის წამოწყება დიდ ხარჯს მოითხოვდა და შუა ზამთარში სოფელში ბევრი აუცილებელი რამის შოვნა ჭირდა. ამიტომ ლუციანემ, წარმოდგენა რომ არ დაყოვნებულიყო, ლამის მთელი თავისი ტანსაცმელი დააჭრევინა იმგვარი კოსტიუმების შესაკერად, მხატვრებმა რომ საკმაოდ თავისუფლად მოუხაზეს.

ფარდა დაეშვა, მაგრამ მაყურებლებმა ბევრჯერ მოითხოვეს კვლავ აეხადათ. მუსიკალური ინტერმედი ართობდა საზოგადოებას, რომლის გაცემა ახლა კიდევ უფრო მაღალმხატვრული სურათით სურდათ. ეს იყო პუსენის ცნობილი სურათი „აჰასფერი და ესთერი“. ამჯერად ლუციანემ უკეთ გაიაზრა თავისი როლი. გულწასული დედოფლის სახეში მან მთელი თავისი მომნიბვლელობა ჩააქსოვა, ხოლო ისინი, ვის ხელებსაც ის ეჭირათ, ისე ჭკვიანურად შეარჩია, რომ კარგი აღნაგობისა და ლამაზები ყოფილიყვნენ, თუმცა კი მშვენიერებით ვერც ერთი მათგანი ახლოს ვერ მივიდოდა მასთან. ოთხივე როგორც ამ სურათს, ასევე სხვებს, ახლოს არ გააკარეს. ზევსის მსგავსი მეფის წარმოსადგენად და ოქროს ტახტზე დასასმელად საზოგადოებიდან აირჩიეს ყველაზე ბრგე და ლამაზი მამაკაცი. ასე რომ, ეს სურათიც სრულყოფილებით წარმოადგინეს.

მესამე სურათისთვის აირჩიეს თერბურგის ეგრეთ წოდებული მამობრივი გაფრთხილება და ვინ არ იცნობს ამ ნახატის მიხედვით შექმნილ ჩვენი ვილეს ბრინჯაოს შესანიშნავ ჭედურობას? კეთილშობილი რაინდი და მამა ზის, ფეხი ფეხზე გადაუდვია და, ეტყობა, მის წინ გაჩერებულ ქალიშვილს ანამუსებს. მისი მშვენიერი ფიგურა, რომელსაც თეთრი, დანაოჭებული ატლასის კაბა აცვია, მხოლოდ ზურგიდან ჩანს, მაგრამ მთელი მისი არსება მიგანიშნებს, რომ თავის დაოკებას ცდილობს. მამის დანამუსება რომ მკაცრი და დამამცირებელი არ არის, გამომეტყველებასა და შესტებზე ეტყობა. რაც შეეხება დედას, იგი ცდილობს უხერხულობა იმით დაფაროს, რომ იმ ღვინის ჭიქაში იყურება, რომლის დაღვევას სწორედ ახლა აპირებს.

აი, აქ უნდა მოვლენოდა ლუციანე საზოგადოებას მთელი თავისი ბრწყინვალეობით. მისი ნაწნავები, მისი თავის ფორმა, მისი კისერი და კეფა აუწერელი სილამაზისა იყო. ზედმიწევნით ლამაზი, წერწეტა და მოქნილი წელი, რაც ქალებს ანტიკურ ყაიდაზე სტილიზებულ ტანსაცმელში ნაკლებად ემჩნეოდათ, ძველებურ კოსტიუმში ფრიად მომგებიანად იკვეთებოდა. ამავე დროს არქიტექტორმა იმაზე იზრუნა, რომ თეთრი ატლასის კაბის უამრავი ნაოჭისთვის ოსტატურად მიენიჭებინა ბუნებრიობა. ასე რომ, სურათის ეს ცოცხალი ასლი ბევრად აღემატებოდა ორიგინალს და საყოველთაო აღტაცება გამოიწვია. ითხოვდნენ და ითხოვდნენ სურათის განმეორებას და მაყურებლებს იმდენად მოერიათ სრულიად ბუნებრივი სურვილი, სახეშიც შეეხედათ იმ მშვენიერი არსებისთვის, ვის ზურგსაც საკმაოდ დიდხანს უცქირეს, რომ ერთმა მოუთმენელმა, ხუმარა ტიპმა ხმამაღლა წამოიძახა სიტყვები, ხშირად გვერდის ბოლოში რომ წერენ ხოლმე: *Tourner s'il vous plait*[8]1 და ყველამ კვერი დაუკრა. მაგრამ შემსრულებლებმა ძალიან კარგად იცოდნენ, რა უპირატესობაც ჰქონდათ და ძალიან ღრმად ჩასწვდნენ ამ სანახაობის აზრს, რომ საერთო შეძახილებს აჰყოლოდნენ. ქალიშვილი დარცხვენილი ჩანდა და მშვიდად იდგა თავჩაქინდრული, ასე რომ, მაყურებლები ვერ ეღირსნენ მისი სახის დანახვას. მამა ისევ დამრიგებელი მშობლის პოზაში იჯდა, დედა კი ცხვირსა და თვალებს არ აშორებდა გამჭვირვალე ჭიქას და თუმცა ისე ჩანდა, რომ ქალი სვამდა, მაგრამ ჭიქაში ღვინო არ იკლებდა. საჭიროა კი ლაპარაკი გავაგრძელოთ პატარა დამატებით პიესებზე, რისთვისაც ნიდერლანდელი ოსტატების სურათებიდან სამიკიტნობისა და ბაზრის სცენები შეარჩიეს.

გრაფი და ბარონესა ციხე-დარბაზიდან გაემგზავრნენ და მასპინძლებს დაჰპირდნენ, როგორც კი დავექორწინდებით, პირველსავე ბედნიერ კვირას კვლავ გეწვევითო. შარლოტე იმედოვნებდა, რომ ორი გაჭიანურებული და დამღლეული თვის შემდეგ, დანარჩენ სტუმრებსაც განარიდებდა აქაურობას. იგი დარწმუნებული იყო, რომ მისი ქალიშვილი ბედნიერი იქნებოდა, როცა ახალგაზრდობით გამოწვეული სიგიჟმაჟე მიწყნარდებოდა, საცოლუე ცოლი გახდებოდა, საქმროს კი თავი უბედნიერეს ადამიანად მიაჩნდა. დიდი ქონებისა და საშუალო გონებრივი გაქანების პატრონს საოცრად უნდოდა, ისეთი ცოლი ჰყოლოდა, რომელიც მთელ ქვეყანას მოეწონებოდა. მან იმდენად შეისისხლხორცა ჩვევა, ყველაფერი საცოლესთან დაეკავშირებინა და მისი მეშვეობით საკუთარ თავთანაც, არასასიამოვნო შეგრძნება უჩნდებოდა, როცა ახალი სტუმარი მთელ ყურადღებას ჯერ ლუციანეს არ უთმობდა, მერე არ ცდილობდა მისი კარგი თვისებების გამო პირადად მასთან დაახლოებას, როგორც ამას აკეთებდნენ ხანში შესული ადამიანები, დაბოლოს, ლუციანესთვის დიდად აღარ იწუხებდა თავს. რაც შეეხება არქიტექტორს, მისი საქმეც მალე

მოგვარდა. საახალწლოდ არქიტექტორი უნდა გაჰყოლოდა მათ და კარნავალში მონაწილეობა მიეღო ქალაქში, სადაც ლუციანე მშვენივრად დადგმული სურათების განმეორებით და სხვა ათასი რამის გამო, უდიდეს ნეტარებას ელოდა, მით უმეტეს, რომ ბებიასაც და საქმროსაც ყოველგვარი ხარჯი უმნიშვნელო ეჩვენებოდათ, როცა საქმე ლუციანეს გართობას ეხებოდა.

და აი, დადგა განშორების ჟამი, მაგრამ ჩვეულებრივად ხომ ვერ დაშორდებოდნენ ერთმანეთს. ერთხელ ხმამაღლა იხუმრეს, შარლოტეს ზამთრის მარაგი მალე შემოგვეჭმევასო და იმ კეთილშობილმა კაცმა, ბელიზარის როლს რომ ანსახიერებდა, და ცხადია, საკმაოდ მდიდარიც იყო, ამავე დროს მოხიბლული ლუციანეს ღირსებებით, რასაც დიდი ხანია ასხამდა ხოტბას, დაუფიქრებლად წამოაყრანტალა: – მოდიო, ისე მოვიქცეთ, როგორც პოლონელები იქცევიან! ახლა ჩემთან წამოდიო და დამაქციო, მერე კი ასე ჩამოვუაროთ ყველას.

თქვეს და აღასრულეს კიდევ. ლუციანემ ხელი ხელზე დაჰკრა. მეორე დღეს ჩალაგდნენ და მთელი საზოგადოება სხვა მამულში გადაბარგდა. ფართობი იქაც საკმარისი იყო, მაგრამ ნაკლებად მოხერხებული და უფრო ცუდად მოწყობილი, რამაც ერთგვარი არეულ-დარეულობა გამოიწვია, სამაგიეროდ, ლუციანე მართლა გააბედნიერა, რადგან ცხოვრება სულ უფრო მოუწესრიგებელი და გიჟმაჟური ხდებოდა. ღრმა თოვლში ნადირობდნენ დაგეშილი ძაღლებით და იგონებდნენ სხვა, უფრო მძიმე და უხერხულ გასართობს. ქალები ისევე არ აკლდებოდნენ ამ გართობებს, როგორც მამაკაცები და ასე, ცხენებითა და ციგებით, ნადირობითა და ხმაურით მომთაბარეობდნენ მამულიდან მამულამდე, სანამ ბოლოს რეზიდენციას არ მიუახლოვდნენ, სადაც ცნობებმა და მონაყოლმა იმის შესახებ, თუ როგორ ერთობოდნენ ჰერცოგის კარზე და თვით ქალაქში, მათი წარმოსახვის ძალა სხვა მიმართულებით არ წარმართა. ამ დროისთვის ბებია ჩამოსული იყო ქალაქში და ლუციანე მთელი თავისი ამალით ცხოვრების სხვა წრემ ჩაითრია.

ოთილიეს დღიურიდან

„ქვეყანაზე თითოეულს იმ კაცად იღებენ, რადაც თავი მოაქვს, მაგრამ მან უნდა მოაჩვენოს რაღაცად თავი. უხასიათო კაცს უფრო ადვილად იტანენ, ვიდრე იმას, არაფერს რომ არ წარმოადგენს.

საზოგადოებას ყველაფერი შეიძლება მოახვიო თავს, მაგრამ არა ის, რასაც შედეგი მოსდევს.

ადამიანების გაცნობას ჩვენ მაშინ კი არ ვახერხებთ, როცა ისინი მოდიან ჩვენთან, არამედ როცა ჩვენ მივდივართ მათთან, რომ გავიგოთ, როგორ მიდის მათი საქმე.

თითქმის ბუნებრივად მეჩვენება ის ამბავი, რომ სტუმრებს რაღაც-რაღაცებში ვადანაშაულებთ, ხოლო როგორც კი წავლენ, მაშინვე დიდი ხალისით ვიწყებთ მათზე მსჯელობას, რადგან უფლება გვაქვს მათ ჩვენი საზომით მივუდგეთ. ასეთ შემთხვევებში შეგნებული და სამართლიანი ადამიანებიც კი ძლივს იკავებენ თავს მკაცრი შეფასებისგან.

და პირიქით, როცა სხვებთან იყავი სტუმრად და ისინი ნახე მათთვის ჩვეულ გარემოში, იმ ბუნებრივ ვითარებაში, სადაც მათი ჩვეულებები გავლენას ახდენენ, ან ემორჩილებიან ირგვლივ თავშეყრილ საზოგადოებას, მაშინ შეუგნებლობა ან ბოროტი სურვილი თუ გვაიძულებს, სასაცილოდ მიიჩნიო ის, რაც არა მარტო ერთი მხრივ, არამედ მრავალმხრივ უნდა მოგჩვენებოდა პატივისცემის ღირსად.

იმის წყალობით, რასაც ჩვენ ქცევასა და კეთილზნეობას ვეძახით, უნდა ვაღწევდეთ იმას, რასაც ზოგჯერ ძალდატანებითაც კი ვერ აღწევენ.

კეთილი ზნე-ჩვეულებების ელემენტი ქალებთან ურთიერთობაა.

როგორ შეიძლება ადამიანის ხასიათი, მისი ცხოვრების თავისებურება ცხოვრების წესს ეთანხმებოდეს?

სინამდვილეში თავისებურება მხოლოდ ცხოვრების წესის წყალობით უნდა წარმოჩნდეს. ყველას სწადია რაღაც მნიშვნელოვანი, მაგრამ ეს არ უნდა იყოს შემაწუხებელი.

უდიდესი უპირატესობით როგორც საერთოდ ცხოვრებაში, ასევე საზოგადოებაში სარგებლობს განათლებული მეომარი.

გამოუჩორკნელი მეომრები თავიანთ საქმეს აკეთებენ და რადგან მეტწილად სიძლიერეს სცემენ პატივს, ამის უკან მაინც გულკეთილობა იმალება და ამიტომ გაჭირვების შემთხვევაში მათთან საერთო ენის გამონახვა შეიძლება.

არავინაა ისეთი თავმომაბეზრებელი, როგორც სამოქალაქო წოდების გაუთლელი წარმომადგენელი. მისგან კი შეიძლება მოგვეთხოვა სინატიფე, რადგან არაფერ უხეშთან არა აქვს საქმე.

როცა ისეთ ადამიანთან ცხოვრობ, რომელთაც ფაქიზი გრძნობები აქვთ, მათ მაგივრად შენ თვითონ შიშობ, ირგვლივ თუ რაიმე უწესობა ხდება. მე თვითონ ვიტანჯები შარლოტეს მაგივრად და მასთან ერთად, როცა ვინმე სკამს აქანავებს, რაც ჭირის დღესავით სძულს.

არავინ შემოვიდოდა ცხვირზე სათვალედაკოსებული შინაურულად ოთახში, რომ იცოდეს, ჩვენ, ქალებს, მაშინვე გვეკარგება ხალისი მივეგებოთ და ვესაუბროთ მას.

მიმნდობლობა მოწიწების ნაცვლად ყოველთვის სასაცილოა. არავინ მოიხდიდა ქუდს ქათინაურის თქმისთანავე, რომ იცოდეს, რა სასაცილოდ გამოიყურება ეს.

არ არსებობს ზრდილობის არავითარი გარეგნული ნიშანი, რომელსაც არ გააჩნდეს ღრმა ზნეობრივი საფუძველი. სწორ აღზრდად უნდა მივიჩნიოთ ის, რომელიც ამ ნიშანსა და მის საფუძველს ერთდროულად ჩაგინერგავს.

ქცევა ის სარკეა, რაშიც თითოეული თავის თავს ხედავს.

არსებობს გულიდან მომდინარე ზრდილობა, რაც სიყვარულს ენათესავება. მისგან მომდინარეობს გარეგნული ქცევის უსაჩინოესი ზრდილობა.

ყველაზე მშვენიერი მდგომარეობა ნებაყოფლობითი დამოკიდებულებაა, მაგრამ განა შეიძლება ეს უსიყვარულოდ?

არასოდეს ვართ შორს ჩვენი სურვილებისგან, როგორც მაშინ, როცა გვგონია, რომ სასურველი ჩვენ გვეკუთვნის.

არავინ არის იმაზე უფრო მონა, ვინც თავს თავისუფალ კაცად მიიჩნევს, ასეთი კი არ არის.

საკმარისია ვინმემ განაცხადოს, თავისუფალი ვარო და იმწამსვე იგრძნობს, რომ თავისუფალი არ არის, ხოლო თუ გაბედავს თავი არათავისუფალ კაცად გამოაცხადოს, მაშინვე იგრძნობს, რომ თავისუფალია.

ვიღაცის დიდი უპირატესობისგან თავდახსნის არავითარი სხვა საშუალება არ არსებობს, გარდა სიყვარულისა.

საშინელ დღეშია ის გამოჩენილი ადამიანი, ვისითაც სულელები ამაყოფენ.

ამბობენ კამერდინერისთვის გმირი არ არსებობსო. ეს მხოლოდ იმითაა გამოწვეული, რომ გმირის აღიარება მარტო გმირს შეუძლია. მაგრამ თავისი ტოლის ფასი ალბათ კამერდინერმაც იცის.

საშუალო მონაცემების ადამიანისთვის არ არსებობს იმაზე მეტი ნუგეში, რომ გენიოსი უკვდავი არ არის.

უდიდესი ადამიანები თავის საუკუნესთან რომელიღაც სუსტი ადგილის წყალობით არიან დაკავშირებულნი.

ადამიანები ჩვეულებრივ უფრო საშიშ არსებებად მიაჩნიათ, ვიდრე ისინი სინამდვილეში არიან.

სულელები და ბრძენი ადამიანები თანაბრად უვნებელნი არიან. ხიფათს მხოლოდ ნახევრად სულელებისგან და ნახევრად ბრძენებისგან უნდა ველოდეთ.

საზოგადოებას უფრო საიმედოდ ვერ განერიდები, თუ არა ხელოვნების გზით, და უფრო საიმედოდ ვერ დაუკავშირდები, თუ არა ხელოვნების გზით.

ხელოვანი უდიდესი ბედნიერებისა და უდიდესი უბედურების ჟამსაც კი გვჭირდება.

ხელოვანი ძნელსა და კარგ საქმეს აკეთებს.

როცა ვხედავთ ძნელი ადვილად კეთდება, მაშინ ვხედავთ შეუძლებელს.

რაც უფრო უახლოვდება მიზანს, მით უფრო მატულობს სიძნელეები.

თესვა ისე ძნელი არ არის, როგორც მკა“.

თავი მეექვსე

შარლოტეს, რომელიც დიდად შეაწუხეს სტუმრებმა, ეს შეწუხება იმით აუნაზღაურდა, რომ

დრმად ჩასწვდა თავისი ქალიშვილის ხასიათს, რაშიც მაღალი საზოგადოების ცხოვრების წესის ცოდნაც დაეხმარა. იგი პირველად არ გადაჰყრია ასეთ უცნაურ ხასიათს, თუმცა აქამდე არსად ენახა ამგვარ უკიდურესობამდე მიყვანილი. ამავე დროს, მან გამოცდილებით იცოდა, რომ ასეთი ადამიანები ამა თუ იმ ცხოვრებისეული მოვლენისა და მშობლებთან ურთიერთობის წყალობით სიმწიფის ასაკში ძლიერ სასიამოვნო და კეთილ ადამიანებად ჩამოყალიბებულან, საკუთარი ეგოიზმი შეურბილებიათ და მოქმედების წყურვილს შესაფერისი მიმართულება მიუღია. შარლოტეს, როგორც დედას, მოსწონდა კიდევ ზოგიერთი ის თვისება, სხვებისთვის რომ არასასიამოვნოა, რადგან მშობლები ჩვეულნი არიან, იქ იქონიონ იმედი, სადაც უცხოთ ან დატკბობა სურთ, ან უსიამოვნებათა თავიდან აცილება.

მაგრამ სწორედ ქალიშვილის გამგზავრების შემდეგ შეემთხვა შარლოტეს უცნაური და მოულოდნელი უსიამოვნება და ეს გულნატკენობა გამოიწვია არა გასაკვიცხმა საქციელმა, არამედ იმან, რაც ქალიშვილის ხასიათში სწორედ კარგი იყო. ლუციანეს, ეტყობა, კანონად ჰქონდა მიჩნეული, არა მარტო მხიარულთან ყოფილიყო მხიარული, არამედ დარდიანთანაც დარდიანი და წინააღმდეგობის ჟინი რომ გაეწაფა, ზოგჯერ მხიარულებს პირქუშს ხდიდა, დარდიანებს კი სიხარულით ავსებდა. რომელ ოჯახშიც უნდა მისულიყო, მაშინვე მოიკითხავდა ავადმყოფებს და დავრდომილებს, რომელთაც საზოგადოებაში გამოჩენა არ შეეძლოთ. მიაკითხავდა მათსავე ოთახში, თავს ექიმად მოაჩვენებდა და თავის სამგზავრო აფთიაქიდან, რომელიც ეტლით თან დაჰქონდა, თითოეულს რაღაცას ძალით მიაჩეჩებდა. უნდა ვივარაუდოდ, რომ ასეთი შემთხვევითი მკურნალობა ან წარმატებით ჩაივლიდა ან წარუმატებლად. ასეთ ქველმოქმედებით საქმიანობაში ლუციანე მართლაც რომ გულქვა იყო და არაფრის გაგონება არ უნდოდა, რადგან მტკიცედ იყო დარწმუნებული, შესანიშნავად ვიქცევო. მაგრამ ერთმა ცდამ არ გაუმართლა და ამ გარემოებამ შარლოტეს ბევრი საზრუნავი გაუჩინა, რადგან ყველა, ვისაც არ ეზარებოდა, ამ ამბავზე ლაპარაკობდა. თუ რა მოხდა, ეს შარლოტემ ლუციანეს გამგზავრების შემდეგ გაიგო. ოთილიე, რომელიც ამ ამბის მოწმე იყო, იძულებული შეიქნა დაწვრილებით ეამბნა ყველაფერი.

ერთ-ერთი პატივცემული ოჯახის ქალიშვილს, საუბედუროდ, ბრალი მიუძღოდა უფროსი ძმის სიკვდილში და ამის შემდეგ ვერც დამშვიდდა და ვერც თავს მოერია. ცხოვრობდა თავის ოთახში მარტო, რაღაცას აკეთებდა და თავისიანებსაც მხოლოდ მაშინ იტანდა, როცა თითო-თითო შემოდინდნენ ოთახში, რადგან თუ ყველას ერთად ხედავდა, ეჭვი იპყრობდა, ჩემს მდგომარეობაზე ხომ არ ლაპარაკობენო. ხოლო ცალ-ცალკე თითოეულთან გონივრულ აზრებსაც გამოთქვამდა და საათობით შეეძლო ესაუბრა.

ლუციანეს ამ ამბისთვის ყური ჰქონდა მოკრული და გულში მაშინვე გადაწყვიტა, როგორც კი ამ სახლში ფეხს შედგამდა, სასწაულს მოახდენდა და ქალიშვილს საზოგადოებას დაუბრუნებდა. ამჯერად უფრო ფრთხილად მოიქცა, ვიდრე ჩვეულებრივ იქცეოდა, მოახერხა მარტო მოხვედრილიყო სულით ავადმყოფთან და მისი ნდობა მუსიკის მეშვეობით მოიპოვა. შეცდომა მხოლოდ ბოლოს დაუშვა. ყურადღების მისაპყრობად, მშვენიერი ფერმკთალი გოგონა, რომელიც მისი აზრით საამისოდ შემზადებული იყო, ერთ საღამოს სრულიად მოულოდნელად ჭრელ და ბრწყინვალე საზოგადოებაში მიიყვანა. შეიძლება ლუციანეს ეს საქმეც გამოსვლოდა, თვით ხალხი რომ არ მოქცეულიყო უხეიროდ, ცნობისმოყვარეობით შეპყრობილნი და შემინებულნი ჯერ ავადმყოფს შემოეხვივნენ ირგვლივ. შემდეგ გაეცალნენ, დაჯგუფდნენ, მორიდებით აჩურჩულდნენ, რამაც ავადმყოფი დააბნია და ააღელვა. ნაზმა, მგრძნობიარე გოგონამ ეს მითქმა-მითქმა ვერ აიტანა. ისეთი ზარდამცემი ყვირლით გაიქცა იმ საზოგადოებიდან, თითქოს საშინელმა ურჩხულმა შეზარაო. დამფრთხალი საზოგადოება მიიფანტ-მოიფანტა, მათ შორის ოთილიეც იყო და სხვებთან ერთად გულწასული გოგონა თავის ოთახამდე მიაცილა.

ამ დროს კი ლუციანე მკაცრად კიცხავდა საზოგადოებას და ერთხელაც არ უფიქრია იმაზე, რომ მთელ ამ ამბავში მარტო თვითონ იყო დამნაშავე, აზრად არ მოსვლია, ამა თუ იმ მარცხის გამო ხელი აეღო თავის ქცევასა და მოქმედებაზე.

იმ დღიდან ავადმყოფის მდგომარეობა გაუარესდა, ის კი არა და, დაავადება იმდენად გაურთულდა, რომ მშობლებს აღარ შეეძლოთ საბრალო გოგონასთვის შინ მოევლოთ და იძულებულნი გახდნენ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დაეწვინათ. შარლოტეს სხვა აღარაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ ქალიშვილის ოჯახისადმი ყურადღება გამოეჩინა და ამით ქალიშვილის მიერ მიყენებული ტკივილი რამდენადმე შეემსუბუქებინა. ოთილიეზე ამ ამბავმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. უფრო იმიტომ ეცოდებოდა საბრალო გოგონა, რომ დარწმუნებული იყო, თანამიმდევრული მკურნალობის შედეგად უთუოდ გამოჯანმრთელდებოდა, რაც შარლოტესთვის არ დაუმაღავს.

რადგან ჩვეულებრივ წარსულში მომხდარ უსიამო ამბებზე ბევრს ლაპარაკობენ, ვიდრე სასიამოვნოზე, იმ პატარა გაუგებრობაზეც ჩამოვარდა სიტყვა, რამაც ოთილიეს უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან მან მოწინააღმდეგეობით სთხოვა არქიტექტორს, მაგრამ იმან მაინც არ ისურვა იმ

საღამოს ეჩვენებინა თავისი კოლექცია საზოგადოებისთვის. ამის გამო იგი აქამდე იყო ნაწყენი არქიტექტორზე და თვითონაც არ იცოდა, რატომ. მიუხედავად ამისა, მისი გრძნობა სრულიად ბუნებრივიც იყო, რადგან ისეთ ქალიშვილს, როგორც ოთილიე იყო, ისეთმა ჭაბუკმა, არქიტექტორი რომ იყო, თხოვნაზე უარი არ უნდა უთხრას. მაგრამ როცა ერთხელ ოთილიემ თავაზიანად უსაყვედურა, არქიტექტორმა მოსაბოდიშებლად საკმაოდ დამაჯერებელი მოსაზრებები გამოთქვა.

– მაპატიებდით, თქვენ რომ იცოდეთ, – უთხრა არქიტექტორმა, – რა უხეშად ექცვიან განათლებული ადამიანებიც კი ხელოვნების უძვირფასეს ქმნილებებს, და ამიტომ არ შემეძლო ჩემი განძი ბრბოსთვის მიმეგდო, მედალს არავინ ჰკიდებს ხელს კიდეზე. ყველა ულამაზეს ნაკეთობის ტვიფრს ან უფაქიზეს ფონს ცერსა და საჩვენებელ თითს შორის ათამაშებს, თითქოს ამით მათ მხატვრულ ფორმას ამოწმებს. ისინი არ ფიქრობენ იმაზე, რომ დიდ ფურცელს ორივე ხელი უნდა მოჰკიდო, ფასდაუდებელ გრავიურას, უბადლო ნახატს ისე წაავლებენ ცალ ხელს, როგორც თავდაჯერებული პოლიტიკოსი გაზეთს ეცემა ხოლმე და როგორ აფასებს მსოფლიო მოვლენებს, ამას იმით გატყობინებს წინასწარ, თუ როგორ ჰმუჭუნის ქალაქს. არავინ ფიქრობს იმაზე, ერთმანეთის მიყოლებით ოცი ადამიანი რომ ასე მოექცეს ხელოვნების ნიმუშს, ოცდამეერთე ბევრს ველარაფერს დაინახავს.

– მეც ხომ არ ჩამიყენებინართ ზოგჯერ ასეთ არასასიამოვნო მდგომარეობაში? – ჰკითხა ოთილიემ, – მეც ხომ არ დამიზიანებია თქვენი განძი ისე, რომ წარმოდგენა არ მქონია ამაზე.

– არა, არასოდეს! – უპასუხა არქიტექტორმა, – თქვენ ამას როგორ იზამდით, როცა წესიერება თქვენთან ერთად იშვა.

– ურიგო არ იქნებოდა, – უთხრა ოთილიემ, – ქცევის ნორმებზე დაწერილ პატარა წიგნში იმ თავების შემდეგ, სადაც ლაპარაკია კარგ ქცევასა და საზოგადოებაში ჭამა-სმაზე, დაურთონ საკმაოდ დაწვრილებითი რჩევა, თუ როგორ უნდა მოექცე ხელოვნების ნიმუშებს საცავებსა და მუზეუმებში.

– დიან, – უპასუხა არქიტექტორმა, – მაშინ ხელოვნების ნიმუშთა მცველები და მოყვარულნი მეტი ხალისით გვაზიარებდნენ თავიანთ იშვიათ ეგზემპლარებს.

ოთილიემ კარგა ხანია აპატია მას ის შემთხვევა, მაგრამ როცა გაიგო, რომ არქიტექტორმა მისი საყვედური ძალზე ახლოს მიიტანა გულთან და ისევ და ისევ არწმუნებდა, მზადაა ყველაფერი სიამოვნებით გაუზიაროს მეგობრებს, ოთილიე მიხვდა, რომ მისი ფაქიზი სული დაკოდა და მის წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობდა. ამიტომ თხოვნაზე, რითაც მიმართა მას არქიტექტორმა შემდეგი საუბრის დროს, ცივი უარი ვერ უთხრა, თუმცა როგორც კი ეს გააცნობიერა, ვერაფრით წარმოიდგენდა, როგორ უნდა დაეკმაყოფილებინა მისი სურვილი.

საქმის ვითარება კი ასეთი იყო. არქიტექტორს ძალიან სწყინდა, რომ ლუციაზე ეჭვიანობდა და ამის გამო ოთილიეს არც ერთ ცოცხალ სურათში არ მიაღებინა მონაწილეობა. მას ისიც გულს სწყევტდა, რომ შარლოტე თავს კარგად ვერ გრძნობდა და მხოლოდ დროდადრო ესწრებოდა სასიამოვნო გასართობთა ამ ბრწყინვალე ნაწილს. ამიტომ არ უნდოდა ისე დაშორებოდა მათ, რომ მადლიერების გრძნობა არ გამოენატა და ერთის პატივსაცემად და მეორის გასართობად ბევრად უფრო მშვენიერი წარმოდგენა არ გაემართა, ვიდრე ადრე იმართებოდა. შეიძლება მას ამოდრავებდა სხვა, ფარული იმპულსიც, რაც გაცნობიერებული არ ჰქონდა: იმდენად ეძნელებოდა ამ სახლის, ამ ოჯახის მიტოვება – მას ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა მოშორებოდა ოთილიეს თვალებს, ამ ბოლო დროს ხომ მხოლოდ მათი მშვიდი, ალერსიანი, კეთილად განწყობილი მზერა აცოცხლებდა.

ახლოვდებოდა საშობაო დღესასწაულები და უეცრად არქიტექტორისთვის ცხადი გახდა, რომ ცოცხალი სურათები სრულყოფილი ფიგურებით მომდინარეობდა საშობაო ბაგიდან, იმ ღვთისმოსავი წარმოდგენებიდან, რომელთაც იმ წმინდა დროში უმართავდნენ ღვთისმშობელსა და ყრმას, მათ ჯერ მწყემსები სცემდნენ თაყვანს, თავს რომ მოჩვენებითად იმცირებდნენ, შემდეგ კი მეფენიც.

მთელი სიცხადით წარმოიდგინა ამგვარი სურათი. გამოძებნეს მშვენიერი ჩვილი, არც მწყემსებისა და მწყემსი ქალების ნაკლებობა იგრძნობოდა, მაგრამ ოთილიეს გარეშე საქმეს თავს ვერ მოაბამდნენ. ახალგაზრდა კაცმა წარმოსახვაში იგი ღვთისმშობლამდე აამალა და თუ ოთილიე ამაზე უარს იტყოდა, მისი წამოწყება ჩაიფუშებოდა. ოთილიე არქიტექტორის წინადადებას უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა და ნებართვის ასაღებად შარლოტესთან გაგზავნა. შარლოტემ სიამოვნებით დართო ნება და თვითონვე დაეხმარა ოთილიეს დაეძლია რიდი, გაებედა და გატოლებოდა იმ წმინდა სახეს, არქიტექტორი დღე და ღამე მუშაობდა, რომ შობისთვის ყველაფერი მზად ყოფილიყო.

მართლაც დღე და ღამე მუშაობდა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. მოთხოვნილება მას ისედაც ცოტა ჰქონდა, მხოლოდ ოთილიეს გვერდით ყოფნა ანიჭებდა დიდ სიხარულს. რაკი მისთვის შრომობდა, თითქოს ძილი არ სჭირდებოდა, რაკი მისთვის ქმნიდა რაღაცას, უჭმელადაც იოლას გავიდოდა. ამიტომ საზეიმო საღამოს ყველაფერი მზად, მოწესრიგებული იყო. მან ისიც შეძლო, რომ შეადგინა სასულე ორკესტრის ანსამბლი, რომელმაც უვერტიურა დაუკრა და სასიამოვნო განწყობა შექმნა. როცა ფარდა აიხადა, შარლოტე მართლაც გაოცდა. სურათი, რომელიც თვალწინ წარმოუდგა, ისე ხშირად განმეორებულა ამქვეყნად, რომ ახალი შთაბეჭდილების მოლოდინი ნაკლებად უნდა ჰქონოდა. მაგრამ ამჯერად სურათად ქცეულ სინამდვილეს განსაკუთრებული უპირატესობა გააჩნდა. მთელი სივრცე ღამეს უფრო წარმოადგენდა, ვიდრე იმ ბინდებუნდს, შეღამებისას რომ იცის. მიუხედავად ამისა, დეტალებში არაფერი იყო ბუნდოვანი. იმ შეუდარებელი აზრის გადმოცემა, რომ მთელი სინათლე ბავშვიდან მომდინარეობს, არქიტექტორმა მოახერხა მახვილგონივრული მექანიზმის მეშვეობით, რომელიც მაყურებლებისგან დაფარული იყო წინა პლანზე წამოწეული, დაჩრდილული, მხოლოდ მოლივლივე შუქით განათებული ფიგურებით. ირგვლივ იდგნენ მხიარული გოგონები და ბიჭები, რომელთა ნორჩი სახეები მკვეთრად იყო ქვემოდან განათებული. არც ანგელოზები აკლდათ, მათ ბრწყინვალეობას მხოლოდ ღვთაებრივი ნათელი ჩრდილავდა, ხოლო მათი ეთეროვანი სხეულები ღვთაებრივ-ადამიანურთან შედარებით უფრო მკვრივი და მკრთალი ჩანდა.

საბედნიეროდ, ჩვილს ყველაზე მომნიბვლელ პოზაში ჩასძინებოდა და ამიტომ მის ჭკრეტას არაფერი უშლიდა ხელს, როცა მაყურებლის მზერა მის დედაზე ჩერდებოდა, რომელსაც უსასრულო მომნიბვლელობით აეწია რიდე, დამალული განძი რომ გამოჩენილიყო. სწორედ ეს წამი იყო დაჭერილი და გაქვავებული სურათში. თითქოს ეს წუთია მოძრაობდა ფიზიკურად დაბრმავებული, სულიერად გაოგნებული ხალხი, თითქოს თვალდავსებულებმა გვერდზე გაიხედეს, შემდეგ განარებულებმა და ცნობისმოყვარეობით შეპყრობილებმა ისევ ჩვილისკენ გამოიხედეს და უმაღლ გამოცებასა და აღტაცებას გამოხატავდნენ, ვიდრე მოწიწებასა და პატივისცემას, თუმცა ზოგიერთი მოხუცის სახეზე სწორედ ამგვარი გრძნობები ისახებოდა.

მაგრამ ოთილიეს გარეგნობამ, ჟესტმა, გამომეტყველებამ და მზერამ ყველაფერს გადააჭარბა, რაც კი ოდესმე მხატვარს შეუქმნია. მგრძნობიარე მაყურებელს რომ ეს სურათი დაენახა, ალბათ შიში შეიპყრობდა, რომ რომელიმე მოძრაობას შეუძლია იმ სურათის განადგურება, რომლის მსგავსს იგი ცხოვრებაში ვეღარ ნახავს. სამწუხაროდ, აქ არავინ იყო ისეთი, ვინც მთლიანად დატკბებოდა ამ შთამბეჭდავი სანახაობით. ამ სცენით ყველაზე მეტად ტკბებოდა არქიტექტორი, რომელიც მაღალი, ტანადი მწყემსის როლში გვერდიდან დაჰყურებდა მუხლმოყრილთ, და ეს მიუხედავად იმისა, რომ უხერხულ ადგილას იდგა. მაგრამ ვინ აღწერს ახალმოვლენილი ცის მეფის სახეს? უწმინდესი სათნოება, ყოვლად მომნიბვლელი თავმდაბლობა და ამავე დროს იმის შეგნება, რომ ამგვარ პატივს არ იმსახურებს, განუზომელი ბედნიერების განცდა – აი, რა იკითხებოდა ოთილიეს სახეში, რომელიც ამჟღავნებდა არა მხოლოდ საკუთარ გრძნობებს, არამედ წარმოდგენებსაც, იმ როლზე რომ შეექმნა, რომლის შესრულებაც მოუხდა.

შარლოტე გაახარა მშვენიერმა სურათმა, მაგრამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მასზე მაინც ჩვილმა მოახდინა. მან ისე ცხადად წარმოიდგინა, რომ მალე კალთაში ასეთივე საყვარელი არსება ეყოლებოდა ჩაგორებული, რომ თვალებიდან ცრემლი წასკდა.

ფარდა დაუშვეს, ნაწილობრივ იმიტომ, რომ შემსრულებლებს ცოტათი სული მოეთქვათ, ნაწილობრივ კი იმის გამო, რომ სცენაზე ზოგი რამ შეეცვალათ. მხატვარმა განიზრახა ღამისა და დამცირების სურათი ადრე რომ წარმოადგინეს, გადაექცია დღისა და დიდების სურათად, და იმისთვის, რომ სცენა ყოველმხრივ გაეჩახჩახებინა, თავი მოუყარა უამრავ ლამპასა და სანთლებს, რომლებიც შესვენების დროს უნდა აენთოთ.

ოთილიეს, რომელიც ნახევრად თეატრალურ პოზაში იყო, დიდად ამშვიდებდა ის გარემოება, რომ, შარლოტესა და რამდენიმე შინაურს გარდა, არავინ უყურებდა ღვთისნიერ მასკარადს. ამიტომ ცოტათი შეცბა, როცა შესვენების დროს გაიგო, რომ ვიღაც ისეთი ესტუმრათ, ვისაც შარლოტე დარბაზში გულითადად მიესალმა. ვერ უთხრეს, ვინ იყო ეს კაცი. საქმისთვის რომ ხელი არ შეეშალა, ოთილიე შეეგუა ამ ამბავს. აანთეს სანთლები, ლამპები და იქაურობა რაღაცნაირმა უჩვეულო სიკაშკაშემ მოიცვა. ფარდა აიხადა, მაყურებლები სანახაობამ განაცვიფრა: მთელ სცენაზე ძლიერი შუქი იფრქვეოდა და მთლიანად გამჭრალი ჩრდილების მაგივრად ფერებილა დარჩენილიყო, ოსტატურად შერჩეული ფერები სასიამოვნოდ არბილებდნენ თვალისმომჭრელ სინათლეს. ოთილიემ გრძელი წამწამების ქვეშიდან მზერა გააპარა და შარლოტეს გვერდით ვიღაც კაცი დაინახა. ვერ იცნო, მაგრამ მოეჩვენა, რომ პანსიონის გამგის თანაშემწის ხმა მოესმა. უცნაურმა გრძნობამ შეიპყრო. რამდენი რამ გადახდა თავს მას შემდეგ, რაც ამ ღირსეული მასწავლებლის ხმა არ გაუგონია. ელვის სისწრაფით გაირბინა მის სულში ჯგროდ განვლილმა სიხარულმა და ტკივილმა და აღეძრა კითხვა: „გაბედავ კი ყველაფერში გამოუტყდე მას და

ყველაფერი უამბო? მაგრამ რა ღირსი ხარ ამ წმინდანის სამოსელში მოევლინო მას და, რაც უცნაურად მოეჩვენება, გიხილოს ნილაბაფარებული შენ, რომელიც მხოლოდ ბუნებრივი უნახავხარ!“ არნახული სისწრაფით დაუპირისპირდნენ მასში ერთმანეთს გრძნობა და გონება. გული შეეკუმშა, თვალები ცრემლით აევსო, მაგრამ ამასთანავე თავს ძალას ატანდა, კვლავაც გაშეშებულ სურათს დამსგავსებოდა. ამიტომ დიდად გაუხარდა, როცა ბიჭი ამოდრავდა და არქიტექტორი იძულებული შეიქნა მიეცა ნიშანი, რომ ფარდა დაეშვათ.

თუ უკანსაკნელ წამებში ოთილიეს განცდებს დაემატა გამაწამებელი გრძნობა, რომ ვერ გაეშურებოდა ძვირფას მეგობართან შესახვედრად, ახლა თავი კიდევ უფრო უხერხულად იგრძნო. შეჭგეგებოდა მას ასე უცნოდ მორთულ-მოკაზმული თუ გადაეცვა? ასე რომ, არც კი დაფიქრებულა, ტანსაცმელი გამოიცვალა და ამასობაში შეეცადა თავს მორეოდა, დამშვიდებულიყო და საკუთარ თავთან სადავო მაშინ აღარ ჰქონდა არაფერი, როცა სტუმარს ჩვეულებრივ ტანსაცმელში გამოწყობილი მიესალმა.

თავი მეშვიდე

რადგან არქიტექტორი ბოლოს და ბოლოს უნდა დაშორებოდა თავის მფარველ ქალებს, რომელთაც ყველაფერს საუკეთესოს უსურვებდა, იმით მაინც იყო კმაყოფილი, რომ მათ დარბაისელი თანაშემწის საზოგადოებაში ტოვებდა. მაგრამ როცა აგონდებოდა, როგორი კეთილგანწყობით ექცეოდნენ მას, ცოტათი გული სტკიოდა და რა გასაკვირია, მისნაირ თავმდაბალ ადამიანს მოსჩვენებოდა, რომ მას ასე მალე, ასე მთლიანად შეცვლის სხვა. აქამდე ყოყმანობდა, გამგზავრებულიყო თუ არა, ახლა კი გული აღარ უჩერდებოდა, რადგან არ უნდოდა განეცადა ის, რასაც უნდა შეჭგუებოდა, როცა აქაურობას გაეცლებოდა.

ამ სევდანარევ გრძნობებს შორის დიდი სიხარული მოჰგვარა იმან, რომ გამოთხოვებისას ქალებმა საჩუქრად მიართვეს ჟილეტი, რომელსაც დიდხანს ქსოვდნენ. იგი ხედავად ამას და უსიტყვო შურით ივსებოდა იმ უცნობი ბედნიერი კაცის მიმართ, ვისთვისაც ჟილეტი უნდა ეჩუქებინათ. ასეთი საჩუქარი ყველაზე ძვირფასია იმისათვის, ვისაც უყვარს, ვინც ქალს თაყვანს სცემს, რადგან ჟილეტი ახსენებდა მშვენიერი თითების დაულალავ მოძრაობას, რაც უფლებას აძლევდა საკუთარ თავს მოპირფერებოდა იმით, რომ ასეთი ხანგრძლივი მუშაობის დროს, გულშიც ჩაისახებოდა ცოტაოდენი თანაგრძნობა.

ახლა ქალებს მასპინძლობა უნდა გაეწიათ ახალი სტუმრისთვის, იმ კაცისათვის, ვისდამიც კეთილად იყვნენ განწყობილი და მასაც კარგად უნდა ეგრძნო მათთან თავი. მდებრობით სქესს ამოდრავებს საკუთარი, შინაგანი, უცვლელი ინტერესი, რაზედაც ამქვეყნად ვერაფერი ააღებინებს ხელს. სამაგიეროდ, საზოგადოებაში, სხვების თვალწინ სიამოვნებით და უდრტვინველად ემორჩილებიან იმ მამაკაცს, რომლითაც დაინტერესებულნი არიან. ამიტომ ხან მიუკარებლობით, ხან ანგარიშის გაწევით, ხან სიმტკიცით და ხან დათმობით მათ ხელში უჭირავთ მართვის სადავე და კულტურულ საზოგადოებაში ვერც ერთი მამაკაცი ვერ დაუძვრება მათ ხელიდან.

თუ არქიტექტორი საკუთარი სურვილითა და ხალისით თავის ნიჭს მეგობარი ქალების გასართობად იყენებდა, პირადად მათ მიზნებს ახმარდა, თუ მისი საქმიანობა და დროს ტარება ამ სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი, პანსიონის თანაშემწის ჩამოსვლის შემდეგ, ქალების ცხოვრება სხვაგვარად აეწყო. მისი ნიჭის მთავარი ღირსება ის იყო, რომ კარგად ლაპარაკობდა ადამიანთა ურთიერთობებზე, განსაკუთრებით ახალგაზრდობის აღზრდასთან დაკავშირებით. ამგვარად, ცხოვრების უწინდელ წესთან შედარებით, შეიქმნა საკმაოდ საგრძნობი კონტრასტი, მით უმეტეს, რომ თანაშემწეს არც ისე მოსწონდა ის, რითაც აქ თითქმის მთლიანად იყვნენ დაკავებულნი.

მას სიტყვა არ დაუძრავს იმ ცოცხალ სურათზე, რითაც მას ჩამოსვლისას შეხვდნენ. სამაგიეროდ, როცა დაათვალიერებინეს ეკლესია, კაპელა და ყველაფერი, რაც მათთან იყო დაკავშირებული და თან კმაყოფილებით იყვნენ აღვსილნი, თავი ვერ შეიკავა და გამოთქვა თავისი თვალსაზრისი, თავისი შეხედულებები.

– პირადად მე, – თქვა მან, – არაფრით შეიძლება მომეწონოს უბიწოებისა და გრძნობადის ამგვარი დაახლოება და აღრევა. არ მომწონს, როცა რომელიმე ნაგებობას საგანგებოდ გამოაცალკევენ, აკურთხებენ და მორთავენ, რომ მისი მეშვეობით გააღვივონ და განამტკიცონ ჩვენი ღვთისმოსაობა. არავითარმა გარემომ, ყველაზე მდაბიურმაც კი ვერ უნდა ჩაკლას ჩვენში ღვთაებრიობის გრძნობა, რომელსაც ძალუძს ყველგან თან გვსდევდეს და ყოველი ადგილი ისე

განათლოს, როგორც ტაძარი. მე ძალიან მიყვარს იმის ყურება, როცა ღვთისმსახურებას ასრულებენ იმ დარბაზში, სადაც ჩვეულებრივ პურს ჭამენ, მეგობრებს ხვდებიან, თამაშობენ და ცეკვავენ. იმ ზეამაღლებულს და უპირატესს, ადამიანში რომ არის, ფორმა არა აქვს და მას არ უნდა ავლენდე სხვა რამეში, გარდა კეთილშობილური საქციელისა.

შარლოტემ, რომელიც საერთოდ უკვე იცნობდა მის შეხედულებებს, ხოლო მოკლე დროში კიდევ უფრო ღრმად ჩასწვდა მათ, მაშინვე გამოუჩინა მას შესაფერისი სამოქმედო ასპარეზი. მებაღე ბიჭები, რომლებიც არქიტექტორმა გამგზავრების წინ შეამოწმა, დიდ დარბაზში შეკრიბა და უბრძანა დაწყობილიყვნენ. ლამაზ ფორმაში გამოწყობილებმა, მიხრა-მოხრაში გაწვრთნილებმა, ბუნებრივად ხალისიანებმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს. თანაშემწემ ისინი თავისებურად გამოსცადა სხვადასხვა კითხვითა და მიმართვებით და ძალიან მალე მიხვდა, რა ზნისა და უნარის მქონენი არიან. ერთ საათზე ნაკლებ დროში მან შეძლო ბავშვებისთვის რაღაც ესწავლებინა და წაეხალისებინა.

– როგორ ახერხებთ ამას, – უთხრა შარლოტემ, როცა ბიჭები წავიდნენ, – დიდი ყურადღებით გისმენდით, ჩვეულებრივი ამბების გარდა არაფერს შეხებინართ და ამიტომ არ ვიცი, როგორ შევძლებდი მე ასე მოკლე დროში, ამდენი კითხვისა და პასუხის შემდეგ, ისინი ასე თანამიმდევრულად ამელაპარაკებინა.

– იქნებ სჯობდა საკუთარი პროფესიის უპირატესობა საიდუმლოდ შეგვენახა, – უპასუხა თანაშემწემ, – მაგრამ თქვენ მაინც ვერ დაგიმალავთ ამ სრულიად მარტივ ჭეშმარიტებას, რომლის წყალობითაც ამგვარი რამის და უფრო მეტის მიღწევა შეიძლება. აიღეთ რომელიმე საგანი, მატერია, ცნება, ერთი სიტყვით, რაც გინდათ, ის უწოდეთ, მუდამ მხედველობაში გქონდეთ, შეიცანით მთელი სიგრძე-სიგანით და მაშინ გაგიადვილდებათ შეჯგუფებულ ბავშვებთან ლაპარაკის დროს გაიგოთ, რა იციან მასზე, რა უნდა განავითაროთ მათში და რა ცნობები მიაწოდო. პასუხები თქვენს კითხვებზე უთავბოლოც რომ იყოს, მეტისმეტადაც რომ ასცდნენ საუბრის თემას, მერე თუ თქვენი კონტრშეკითხვა მათ გონებასა და სულს კვლავ თქვენკენ შემოაბრუნებს, თუ ხელს არ აგაღებინებენ თქვენს პოზიციას, მაშინ ბოლოს და ბოლოს ბავშვები იძულებული გახდებიან მხოლოდ იმაზე იფიქრონ, ის შეიგნონ და დაიჯერონ, რაც და როგორც ეს მასწავლებელს სურს. მასწავლებლის ყველაზე დიდი შეცდომა ისაა, რომ მოსწავლეებს აჰყვე და თემას გადაუხვიო, არ შეაჩერო მათი ყურადღება იმ საგანზე, რომელზედაც სწორედ ამჟამად მსჯელობ. სცადეთ ამგვარი რამ ახლო მომავალში და ამით დიდად გაერთობით.

– რაღა გვიჭირს, – თქვა შარლოტემ, – როგორც ჩანს, კარგი პედაგოგიკა პირდაპირ ეწინააღმდეგება კარგ ტონს. მაღალ საზოგადოებაში დიდხანს არაფერზე არ უნდა შეჩერდე, ხოლო მეცადინეობის დროს არ უნდა დაუშვა არავითარი დაბნეულობა.

– მრავალფეროვნება დაბნეულობის გარეშე სწავლებისა და ცხოვრების საუკეთესო დევიზი იქნებოდა, ასე ადვილად შესანარჩუნებელი რომ იყოს წონასწორობა, – თქვა თანაშემწემ და ლაპარაკის გაგრძელებას აპირებდა, მაგრამ შარლოტემ მოუწოდა, კიდევ ერთხელ დაჰკვირვებოდა ბიჭებს, რომლებიც სწორედ ახლა მხიარულად მიაბიჯებდნენ ეზოში მწყობრად. თანაშემწემ კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ბავშვებს ფორმით სიარულს აჩვევდნენ.

– მამაკაცებმა, – თქვა მან, – ახალგაზრდობიდანვე უნდა ატარონ ფორმა, რადგან უნდა შეეჩვიონ ერთად იმოქმედონ, თანასწორთა შორის გაითქვიფონ. მორჩილება ისწავლონ და საერთო საქმისთვის იმუშაონ. გარდა ამისა, ყოველგვარი ფორმა, ხელს უწყობს მხედრული ხასიათის ჩამოყალიბებას, უფრო თავშეკავებულ ქცევას, წელში გამართულად სიარულს, ყველა ბიჭი ხომ ისედაც დაბადებითვე ჯარისკაცია. აბა, დააკვირდით მათ თამაშებს, ჯარისკაცობანაო, ომობანაო, როგორ მიდიან შეტევაზე, სად არ ძვრებიან.

– სამაგიეროდ, თქვენ არ გამკიცხავთ იმის გამო, რომ ჩემს გოგონებს ერთნაირად არ ვაცმევ, – ჩაურთო სიტყვა ოთილიემ. იმედი მაქვს, როცა მათ გაჩვენებთ, ფერთა სიჭრელე სიამოვნებას მოგგვრით.

– მე ეს ძალიან მომწონს, – უპასუხა თანაშემწემ, – ქალები საერთოდ მრავალფეროვნად ჩაცმულნი უნდა დადიოდნენ, ყველას თავისებურად, საკუთარი გემოვნების მიხედვით უნდა ეცვას. თითოეული უნდა ერკვეოდეს იმაში, რა უფრო უხდება და შეეფერება. მნიშვნელოვანი მიზეზი ისიცაა, რომ უწერიათ, მთელი სიცოცხლე მარტოობაში გაატარონ და მარტოებმა იმოქმედონ.

– ეს აზრი მე მეტისმეტად პარადოქსული მეჩვენება, – უთხრა შარლოტემ, – ჩვენ ხომ თითქმის არასდროს ვეკუთვნივთ ჩვენს თავს.

– ო, არა, – უპასუხა თანაშემწემ, – ერთი ქალის დამოკიდებულება მეორის მიმართ სწორედ რომ ასეთია. შეხედეთ ქალს როგორც სატროფოს, როგორც საცოლეს, როგორც ცოლს, როგორც

დიასახლისს და დედას, იგი ყოველთვის ცალკე დგას, მუდამ მარტოა და სურს კიდევ მარტო იყოს. ყველაზე პატივმოყვარენიც კი ამ მდგომარეობაში არიან. ყოველი ქალი მეორეს გამორიცხავს, რადგან თითოეული მათგანისგან იმდენს მოითხოვს, რამდენიც მთელ მდედრობით სქესს ეკისრება. მამაკაცების მდგომარეობა სულ სხვაგვარია. მამაკაცს მამაკაცი სჭირდება. კაცი მეორე კაცს შექმნიდა, იგი რომ არ არსებობდეს, ქალს კი შეუძლია მარადიულად იცოცხლოს ისე, რომ აზრადაც არ მოუვა, შექმნას თავისი მსგავსი.

– საკმარისია ჭეშმარიტება გამოთქვა უცნაური ფორმით და მაშინ უცნაურიც ჭეშმარიტად მოგეჩვენება, – თქვა შარლოტემ, – ჩვენ თქვენი შენიშვნებიდან იმას ვიღებთ, რაც საუკეთესოა, მაგრამ როგორც ქალები, მაინც ქალებს დავუჭერთ მხარს, მათთან ერთად ვიმოქმედებთ, რომ ჩვენთან შედარებით მამაკაცებს მეტისმეტად დიდი უპირატესობა მივანიჭოთ. ამიტომ ნუ ჩამოგვართმევთ ცუდად, თუ მომავალში ნიშნის მოგებით ჩავიჭირქილებთ, როცა დავინახავთ, მაინცდამაინც ვერც მამაკაცები ეგუებიან ერთმანეთს.

იმ დღიდან გამოცდილი თანაშემწე დიდი გულისყურით აკვირდებოდა, თუ როგორ ექცეოდა ოთილიე თავის პატარა აღსაზრდელებს და უთხრა კიდევ ქალიშვილს, უდავოდ მხარდასაჭერია თქვენი საქმიანობაო.

– ძალიან სწორად იქცევით, როცა თქვენს ხელქვეითებს იმას უნერგავთ, რაც ყველაზე მეტად სჭირდებათ ცხოვრებაში. სისუფთავე ვალდებულს ხდის ბავშვებს ხალისით მიხედონ თავიანთ გარეგნობას, ხოლო თუ მათ ასწავლით სიხარულითა და საკუთარი ღირსების შეგრძნებით გააკეთონ ის, რასაც აკეთებენ, მთავარი მიღწეულია.

სხვათა შორის, თანაშემწე დიდად კმაყოფილი დარჩა იმით, რომ აქ არაფერი კეთდებოდა მოსაჩვენებლად და თვალის ასახვევად, ყველაფერი შინაგანად იყო გააზრებული და აკმაყოფილებდა ყოველდღიურ მოთხოვნილებას.

– რა ცოტა სიტყვებია საჭირო იმისათვის, რომ აღზრდის მთელი არსი გამოხატო, ადამიანებს რომ მოსმენის უნარი შესწევდეთ, – წამოიძახა თანაშემწემ.

– ხომ არ გსურთ ჩემს ბავშვებზე სცადოთ ეს? – ჰკითხა ოთილიემ თავაზიანად.

– დიდი სიამოვნებით, – უპასუხა მან, – ოღონდ არ უნდა გამცეთ. ბიჭები მსახურებად უნდა აღიზარდონ, გოგონები კი დედად, საქმის ვითარება ყველგან ასეთია.

– დედად? – უთხრა ოთილიემ, – გოგონები ამას როგორმე შეეგუებიან, რადგან დედეებიც რომ არ გახდნენ, მათდა უნებურად მაინც მომვლელები ხდებიან. მაგრამ მსახურად აღზრდას ჩვენი ახალგაზრდები დიდად იუკადრისებენ, ადვილად შეატყობთ თითოეულს, რომ ჰგონიათ, თითქოს მბრძანებლებად არიან დაბადებულნი.

– ამიტომ, მოდით, ამაზე მათთან კრინტსაც ნუ დავძრავთ, – უთხრა თანაშემწემ, – როცა ცხოვრებაში ვებმებით, ჩვენს თავს ვეპირფერებით, მაგრამ ცხოვრება არ გვეპირფერება ჩვენ. განა რამდენი ადამიანია ისეთი, ნებაყოფლობით რომ დათანხმდეს აკეთოს ის, რასაც საბოლოოდ მაინც აკეთებს. მაგრამ მოვეშვათ ამაზე მსჯელობას, რაც საქმეს არ ეხება.

ბედნიერ ადამიანად მიმაჩნის იმის გამო, რომ შეძლია აღსაზრდელებთან სწორი მეთოდის გამოყენება. როცა თქვენი გოგონებიდან ყველაზე პატარები თოჯინებიანად დაცუნცულეებენ და ნაკუწებისგან მათ რაღაცას უკერავენ, როცა უფროსი დები უმცროსებზე ზრუნავენ, ხოლო ოჯახი თვითონ ემსახურება და ეხმარება თავის თავს, მაშინ შემდეგი ნაბიჯი ცხოვრებაში არც ისე ძნელი გადასადგმელია და ასეთი გოგონა მეუღლესთან სწორედ იმას იპოვის, რაც მშობლებთან დატოვა.

– მაგრამ განათლებულ წოდებათა შორის ამოცანა ბევრად უფრო დახლართულია. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ უფრო მაღალი, უფრო ფაქიზი, უფრო დახვეწილი ურთიერთობანი, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივი პირობები. ამიტომ ჩვენ, სხვანაირებმა, ჩვენი აღსაზრდელები გარე ქცევისთვისაც უნდა აღვზარდოთ. ეს აუცილებელი, გარდაუვალია და ძალიან კარგი იქნება, თუ არ გადავაჭარბებთ. რაკი ფიქრობენ, შვილები უფრო ფართო წრისთვის აღზარდონ, მათ ადვილად მიერეკებიან უსაზღვროებისკენ და ავიწყდებათ ის, რასაც სინამდვილეში მათი შინაგანი ბუნება მოითხოვს. ეს განლავთ ის ამოცანა, რასაც მეტ-ნაკლებად თავს ართმევენ ან ვერ ართმევენ აღმზრდელები.

ზოგი რამ, რასაც ჩვენ მოსწავლე გოგონებს ვუნერგავთ პანსიონში, შიშსა მგვრის, რადგან გამოცდილება მკარნახობს, რა ცოტა რამ გამოადგებათ მათ მომავალში. როგორც კი ქალი დიასახლისი, დედა გახდება, ყველაფერ ამაზე უარს ამბობს და ივიწყებს.

და მაინც, რაკი ერთხელ ამ გზას დავადექი, არ შემიძლია უარი ვთქვა უწყინარ სურვილზე, რომ ოდესმე ერთგულ თანაშემწე ქალთან ერთად შევძლებ ჩემს აღსაზრდელებში მთლიანად

განვავითარო ის, რაც მათ მაშინ დასჭირდებოდათ, როცა დაიწყებენ მოღვაწეობას და ფეხს შედგამენ დამოუკიდებელ ასპარეზზე. აი, მაშინ კი ვეტყვი ჩემს თავს, ამ თვალსაზრისით მათი აღზრდა დასრულებულია. მართალია, ამის შემდეგ იწყება ახლებურად აღზრდა, რაც გამოწვეულია თუ პირადად ჩვენი არა, ცხოვრების პირობებით მაინც.

რა სწორი მოეჩვენა ოთილიეს ეს შენიშვნა. როგორ შეცვალა იგი გასულ წელს მოულოდნელმა ვნებამ! რამდენ განსაცდელს ხედავდა, როცა მხოლოდ ახლო, უახლოეს მომავალს ჰკრეტდა.

ახალგაზრდა კაცმა ტყუილუბრალოდ როდი ახსენა თანაშემწე ქალი, მეუღლე. მიუხედავად მთელი მისი თავმდაბლობისა, ხელიდან ვერ გაუშვებდა შესაძლებლობას, შორიდან მაინც არ მიენიშნებინა ოთილიესთვის, თუ რა ზრახვები ამოძრავებდა, თანაც ზოგიერთი გარემოებისა და ვითარების შეცვლამ ბიძგი მისცა, ამ სტუმრობის დროს რამდენიმე ნაბიჯი მაინც გადაედგა მიზანთან მისაახლოებლად.

პანსიონის გამგე ქალი უკვე ასაკში იყო შესული, თანამშრომელ მამაკაცებსა და ქალებს შორის კარგა ხანია ეძებდა ისეთ პირს, რომელიც მხარში ამოუდგებოდა და თავის თანაშემწეს, რომელსაც ენდობოდა, – და ამის საფუძველიც ჰქონდა, – წინადადება მისცა, მასთან ერთად ეხელმძღვანელა სასწავლო დაწესებულებისთვის, ისე ემუშავა, თითქოს მისი ყოფილიყო და როცა მოკვდებოდა, პანსიონის ერთადერთი მემკვიდრე და მფლობელი გამხდარიყო. ახლა მთავარი ის იყო, რომ დამყოლი მეუღლე ეპოვა. მის თვალწინ და მის გულში ფარულად ოთილიე ისახებოდა. მართალია ეჭვები ღრღნიდა, მაგრამ ამჟამინდელი ხელსაყრელი ვითარება მათ აქარწყლებდა. ლუცინამ პანსიონი დატოვა, ოთილიეს ახლა თავისუფლად შეეძლო პანსიონში დაბრუნებულიყო. მართალია, ედუარდთან ურთიერთობაზე ხმები დაირხა, მაგრამ ეს ამბავი, როგორც ხშირად ხდება, გულგრილად მიიღეს, გარდა ამისა, ამ ამბავს შეიძლება ხელიც კი შეეწყოს ოთილიეს დაბრუნებისთვის. მაგრამ მიუხედავად ამისა, ვერავითარ გადაწყვეტილებამდე ვერ მივიდოდნენ, ნაბიჯსაც კი ვერ გადადგამდნენ, სტუმრების მოულოდნელ ჩამოსვლას რომ არ მიეცა ბიძგი, რადგან ამა თუ იმ წრეში მნიშვნელოვანი პიროვნებების გამოჩენა უშედეგოდ არ რჩება.

გრაფსა და ბარონესას ხშირად მიმართავდნენ კითხვით სხვადასხვა პანსიონის ღირსების შესახებ, რადგან თითქმის ყოველი ადამიანი დაბნეულია, არ იცის როგორ აღზარდოს შვილები და გრაფმა და ბარონესამ გადაწყვიტეს საგანგებოდ გასცნობოდნენ იმ პანსიონს, რომელზედაც ამდენი კარგი გაეგონათ და ახლა, სხვაგვარ ვითარებაში ერთად შეეძლოთ ამის გამოკვლევა. მაგრამ ბარონესას რაღაც სხვა განზრახვაც ჰქონდა. შარლოტესთან უკანასკნელად სტუმრობის დროს, ბარონესა საფუძვლიანად ელაპარაკა მას ედუარდისა და ოთილიეს შესახებ, დაჟინებით ითხოვდა, ოთილიე აქაურობისთვის მოეშორებინა, თანაც ამხნევებდა შარლოტეს, რომელსაც აქამდე ეშინოდა ედუარდის მუქარისა. ისინი ეძებდნენ სხვადასხვა გამოსავალს და როცა სიტყვა პანსიონზე და თანაშემწის ოთილიესადმი სიმპათიაზე ჩამოვარდა, ბარონესამ უფრო მტკიცედ გადაწყვიტა მოენახულებინა პანსიონი.

ბარონესა პანსიონს ეწვია, გაიცნო პანსიონის გამგის თანაშემწე, დაათვალიერა დაწესებულება და თანაშემწეს ოთილიეზე ესაუბრა. გრაფიც კი სიამოვნებით ლაპარაკობდა ოთილიეზე, რადგან უკანასკნელი სტუმრობის დროს უფრო ახლოს გაიცნო. ოთილიე დაუახლოვდა გრაფს, გრაფი იხილავდა კიდევ მას, რადგან შინაარსიან საუბრებში ფიქრობდა იმის დანახვასა და გაგებას, რაც აქამდე საიდუმლოებით იყო მოცული. ედუარდთან ურთიერთობის დროს ჰქვეყანა ავიწყდებოდა, გრაფის სტუმრობის დროს ეჩვენებოდა, რომ ჰქვეყანა მხოლოდ ახლაა მიმზიდველი. ყოველგვარი მიზიდულობა ორმხრივია. გრაფი ისეთი სიმპათიით განიმსჭვალა ოთილიეს მიმართ, რომ მზად იყო მისთვის ისეთი თვალით შეეხედა, როგორც საკუთარ ქალიშვილს უყურებენ. ოთილიე ამჯერადაც გადაუდგა ბარონესას გზაზე და უფრო მეტადაც, ვიდრე პირველად. ვინ იცის, მაშინ ვნებამორეული როგორ ხრიკებს მოუწყობდა ოთილიეს, ახლა კი საკმარისი იყო ოთილიე გაეთხოვებინა და ამით უვნებელს გახდიდა გათხოვილი ქალებისთვის.

ამიტომ ბარონესამ ფრთხილად, მოხერხებულად და გონივრულად შეაგულიანა თანაშემწე, სწვეოდა ციხე-დარბაზს ცოტა ხნით და მიახლოებოდა თავისი გეგმებისა და სურვილების განხორციელებას, რომლებიც ბარონესასთვის არ დაუმაღავს.

ამიტომ გამგემ სრული თანხმობა მისცა, თანაშემწე გზას გაუდგა და გულში იმედი ჩაესახა. მართალია მასა და ოთილიეს შორის წოდებრივი განსხვავება იყო, მაგრამ თანამედროვე აზროვნების წყალობით ამას ადვილად მოევლებოდა. ბარონესამ ისიც მიანიშნა თანაშემწეს, ოთილიე კვლავაც ღარიბ ქალიშვილად დარჩებოდა. ბარონესას აზრით, მდიდარ სახლთან ნათესაობა ვერავის გაამდიდრებს, რადგან ადამიანს სინდისი ნებას არ მისცემს მოზრდილი თანხა წაართვას იმას, ვინც ისედაც უდიდესი ქონების პატრონია და ახლო ნათესაობა სრულ უფლებას აძლევს ეს სიმდიდრეც ჩაიგდოს ხელში. რა თქმა უნდა, გაკვირვებას იწვევს ის ამბავი, რომ ადამიანები იშვიათად სარგებლობენ იმ დიდი უპირატესობით, სიკვდილის შემდეგ თავიანთი

ქონება დაუტოვონ საყვარელ ადამიანებს და, როგორც ეტყობა, ტრადიციისადმი პატივისცემის გამო, უპირატესობას ანიჭებენ იმათ, ვის ხელშიც აღმოჩნდება ქონება, თუ იგი თავის ნებასურვილს არ გამოხატავს.

გზაში მან უკვე შეიგრძნო, რომ ოთილიე სავსებით მისი ტოლია. კარგმა მიღებამ მისი იმედები კიდევ უფრო გაზარდა. მართალია, მიხვდა, ოთილიე ისეთივე გულახდილი არ იყო მასთან, როგორც უწინ, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ქალიშვილი უფრო გაიზარდა, უფრო განათლებული და თამამი გახდა, ვიდრე იყო. თანაშემწეს შინაურულად გააცნეს ყველაფერი, რაც მის საქმიანობასთან იყო დაკავშირებული. მაგრამ როგორც კი მოინდომებდა თავის მიზანს მიახლოებოდა, რაღაცნაირი შინაგანი კრძალვა უკან ახევინებდა.

მაგრამ ერთხელ შარლოტემ საამისო პირობები შეუქმნა, როცა ოთილიეს თანდასწრებით უთხრა: – აი, თქვენ უკვე ყველაფერს შეავლეთ თვალი, რაც ჩემ ირგვლივ იზრდება, რა თვალთ დაინახეთ ოთილიე? თქვენ ხომ ამის შესახებ მისი თანდასწრებითაც შეგიძლიათ ლაპარაკი.

თანაშემწემ მშვიდი გამომეტყველებით და დიდი გამჭრიახობით უპასუხა, რომ ოთილიე დიდად შეიცვალა უკეთესობისკენ, უფრო თავისუფლად უჭირავს თავი, უფრო გულლია და უფრო ფართოდ უყურებს ამქვეყნიურ ამბებს, რაც მის ქცევაში უფრო ჩანს, ვიდრე მის სიტყვებში. მაგრამ, მისი აზრით, ბევრად უკეთესი იქნება, რამდენიმე ხნით პანსიონში დაბრუნდეს, სადაც იგი განსაზღვრული თანამიმდევრობით, საფუძვლიანად და მყარად აითვისებს იმას, რასაც საწუთრო ნაწილ-ნაწილ და დაგვიანებითაც კი გვაგებინებს და გვაბნევს. არ უნდა ამაზე სიტყვა გაუგრძელდეს: ოთილიემ უკეთ იცის, როგორ ურთიერთდაკავშირებულ გაკვეთილებსა და მეცადინეობას ჩამოაშორეს მაშინ.

ოთილიეს ამის უარყოფა არ შეეძლო, მაგრამ ვერც იმაში გამოუტყდებოდა ვერავის, თუ რა იგრძნო ამ სიტყვების გაგონებაზე, რადგანაც თვითონაც ვერ გარკვეულიყო ყოველივე ამაში. როცა საყვარელ ადამიანზე ფიქრობდა, მისთვის ამქვეყნად ყველაფერი ერთმანეთთან იყო დაკავშირებული და არ ესმოდა, როცა ის აქ არ იყო, რა შეიძლებოდა ერთმანეთთან ყოფილიყო დაკავშირებული.

თანაშემწის წინადადებაზე შარლოტემ გონივრულად და თავაზიანად უპასუხა. მან თქვა, ორივეს დიდი ხანია სურს, რომ ოთილიე პანსიონში დაბრუნდეს, მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში მას არ შეეძლო ასეთი საყვარელი მეგობრისა და დამხმარე ადამიანის გარეშე ცხოვრება. მაგრამ ამიერიდან არ მინდა დავაბრკოლო, თუკი ოთილიეს კვლავ აქვს სურვილი პანსიონში დაბრუნდეს იმდენი ხნით, სანამ დაწყებულს არ დაამთავრებს და შეწყვეტილს სრულყოფილად არ აითვისებს.

თანაშემწე გაახარა შარლოტეს სიტყვებმა. ოთილიეს უფლება არ ჰქონდა წინააღმდეგობა გაეწია, თუმცა ამაზე ფიქრიც კი ზარავდა. შარლოტე, პირიქით, დროის მოგებას ცდილობდა, იმის იმედი ჰქონდა, ედუარდი გონს მოვიდოდა და შეურიგდებოდა იმ აზრს, რომ ბედნიერი მამაა. შარლოტე დარწმუნებული იყო, მერე და მერე ყველაფერი მოგვარდებოდა და ცოტად თუ ბევრად ოთილიესთვისაც იზრუნებდა.

ამგვარი მნიშვნელოვანი საუბრის შემდეგ, რამაც ყველა მონაწილე ჩააფიქრა, ჩვეულებრივ ერთგვარი მოდუნება იჩენს თავს, რაც საერთოდ უხერხულობის მსგავსიც კია. ქალები დარბაზში ბოლთას სცემდნენ, თანაშემწე წიგნებს ფურცლავდა და ბოლოს მიადგა ფოლიანტს, რომელიც ჯერ კიდევ ლუციანეს დროიდან იდო აქ. როცა დაინახა, რომ წიგნში მხოლოდ მაიმუნებია გამოსახული, იმწამსვე დახურა. მაგრამ ეტყობა ამ შემთხვევამ საუბრის საბაბი მისცათ, რის კვალსაც ოთილიეს დღიურში ვპოულობთ.

ოთილიეს დღიურიდან

„რა გულმა უნდა გაუძლოს ამდენი საზიზღარი მაიმუნის ასე საგულდაგულოდ ხატვას. თავს ჩვენ იმითაც კი ვიმცირებთ, რომ მათ, როგორც ცხოველებს ვუყურებთ. მაგრამ მართლა უნდა გაბოროტდე და აჰყვე ცდუნებას, რომ ამ ნიღბებში ნაცნობი ადამიანი ამოიციხო.“

კაცი მართლაც ახირებული უნდა იყოს, რომ კარიკატურებსა და შარჟებზე იჯახიროს. მე ჩვენს კეთილ თანაშემწეს ვუმადლი იმას, რომ ბუნების ისტორიით არ მაწვალებდნენ. ვერასდროს დავუმეგობრდები ჭიებსა და ხოჭოებს.

ამას წინათ იგი გამომიტყდა, რომ მასაც მსგავსი გრძნობა აქვს. „ბუნების შესახებ, – თქვა მან, – იმაზე მეტი არ უნდა ვიცოდეთ, რაც უშუალოდ გვაკრავს ირგვლივ. ჩვენ ჭეშმარიტი დამოკიდებულება გვაქვს ხეებთან, ირგვლივ რომ ყვავიან, იფოთლებიან, ნაყოფს ისხამენ. ყოველ ბუჩქთან, რომელსაც ჩავუვლით, ბალახის ყოველ ღეროსთან, რომელსაც გადავაბიჯებთ. ისინი ჩვენი ნამდვილი თანამემამულენი არიან, აგრეთვე ჩიტებთან, რომლებიც ჩვენ თვალწინ ტოტიდან

ტოტზე ხტიან, რომლებიც ჩვენ ზემოთ ფოთლებში მღერიან, ისინი ჩვენ გვეკუთვნიან, ჩვენ გველაპარაკებიან ბავშვობიდანვე და ჩვენ მათი ენის გაგებას ვსწავლობთ. ვკითხოთ ჩვენს თავს, განა ყოველი უცხო, თავის გარემოს მოწყვეტილი ქმნილება არ ახდენს ჩვენზე ერთგვარ შიშის მომგვრელ შთაბეჭდილებას, რაც მხოლოდ მაშინ ჩლუნგდება, როცა შეეჩვევი? როგორი ჭრელი, ხმაურიანი ცხოვრებით უნდა ცხოვრობდე, რომ აიტანო მაიმუნები, თუთიყუშები და ზანგები“.

ზოგჯერ, როცა ცნობისმოყვარეობა შემიპყრობდა და ამგვარი რამის ნახვის წადილი ამიტანდა, მშურდა იმ მოგზაურებისა, რომლებიც ასეთ საკვირველებებს სხვა საკვირველებებთან ცოცხალ, ყოველდღიურ კავშირში ხედავენ. მაგრამ ის კაციც ხომ სხვანაირი ხდება. პალმების ქვეშ არავინ დახეტიალობს დაუსჯელად და ცხადია, ისეთ ქვეყნებში, სადაც სპილოები და ვეფხვები თავიანთ სახლებში არიან, კაცს აზრებიც ეცვლება.

პატივისცემის ღირსი მხოლოდ ის ბუნებისმეტყველია, რომელმაც იცის, როგორ აგვიწეროს ყველაზე უცხო, ყველაზე უცნაური რამ იმ გარემოში, სადაც ისინი არსებობენ, მთელი თავიანთი მეზობლებით და მხოლოდ მათთვის განკუთვნილ სტიქიაში. რა სიამოვნებით მოვისმენდი თუნდაც ერთხელ ჰუმბოლდტის მონაყოლს.

საბუნებისმეტყველო კაბინეტი შეიძლება მოგვეჩვენოს ეგვიპტურ სამარხად, სადაც გამოფენილია ცხოველებისა და ფრინველების ბალზამირებული კერპები. შეიძლება ქურუმთა კასტისთვის შესაფერისი იყოს ჩაჰკირკიტებდეს მათ საიდუმლოებით მოცულ ნახევარბნელში, მაგრამ ზოგადი სწავლების დროს ამგვარი რამ არ უნდა ხდებოდეს, მით უმეტეს, რომ ამას შეუძლია სასწავლებლიდან განდევნოს ჩვენთვის უფრო ახლობელი და ღირსეული რამ.

მასწავლებელი, რომელსაც შეუძლია ჩვენში გრძნობა გააღვიძოს, ერთადერთი კეთილი საქმით, ერთადერთი კარგი ლექსით აკეთებს იმაზე მეტს, ვიდრე ის, ვინც გვაცნობს ბუნების მთელ რიგ მეორეხარისხოვან წარმონაქმნის ფორმასა და სახელწოდებას, რადგან საბოლოოდ ჩვენ იმას ვიგებთ, რაც ისედაც უნდა ვიცოდეთ, სახელდობრ, ადამიანი რომ ღვთაების ყველაზე სრულყოფილი და ერთადერთი ხატია.

დავუტოვოთ ცალკეულ პირს არჩევანის თავისუფლება, აკეთოს ის, რაც მას იზიდავს, რაც სიხარულს ანიჭებს, რაც სარგებლობის მომტანი ჰგონია, მაგრამ კაცობრიობის ჭეშმარიტი შესწავლის საგანი – ადამიანია“.

თავი მეორე

ცოტაა ადამიანი, ვისაც იმის უნარი შესწევს, რომ ახლო წარსულს ჩაუკვირდეს. ჩვენ ან აწმყო გვიზიდავს ძალუმად, ანდა შორეულ წარსულში ვიკარგებით და შეძლებისდაგვარად ვცდილობთ გავაცოცხლოთ და აღვადგინოთ მთლიანად დაკარგული. წარჩინებულ და მდიდარ ოჯახებშიც კი, რომლებიც დიდად არიან დავალებულნი თავიანთი წინაპრებისგან, ჩვეულებრივ ბაბუას უფრო იგონებენ, ვიდრე მამას.

სწორედ ასეთ ამბებზე ფიქრობდა ჩვენი თანაშემწე, როცა ციხე-დარბაზის დიდ, ძველ ბაღში სეირნობდა ერთ ისეთ მშვენიერ დღეს, მიმავალი ზამთარი რომ გაზაფხულობას ჩემულობს. იგი აღტაცებით გაჰყურებდა ტანმალალი ცაცხვების ხეივნებს, სიმეტრიულ ნარგავებს, რომელთა დარგვა შეიძლება ედუარდის მამისთვის მიგეწერათ. ხეებს შესანიშნავად აეყარათ ტანი – და სწორედ ახლა, როცა მათი სილამაზისთვის შესაფერისი ქება უნდა მიეზღოთ და მათი ცქერით დამტკბარიყვნენ, მათზე აღარავინ ლაპარაკობდა. აქ იშვიათად თუ მოვიდოდა ვინმე და მთელი თავიანთი გატაცება და სახსრები სხვა, უფრო გაშლილ და ვრცელ ადგილს მოახმარეს.

ციხე-დარბაზში დაბრუნებულმა თავისი აზრები გაუზიარა შარლოტეს, რომელმაც მას ეს ცუდად არ ჩამოართვა.

– ცხოვრება წინ მიგვაქროლებს, – უპასუხა შარლოტემ, – ჩვენ კი ვფიქრობთ, დამოუკიდებლად ვმოქმედებთ, თვითონ ვირჩევთ საქმეს, გართობას. მაგრამ თუ ყოველივე ამას ყურადღებით ჩავუკვირდებით, ცხადია, დავრწმუნდებით, რომ ჩვენ მხოლოდ დროის გეგმებს ვასრულებთ, მის მიდრეკილებებს ვემორჩილებით.

– მართალია, – უთხრა თანაშემწემ, – მაგრამ განა ვინმე ეწინააღმდეგება იმ გარემოს დინებას, ირგვლივ რომ არტყია? დრო წინ მიიწევს და მასთან ერთად ჩვენი თვალსაზრისი, შეხედულებები, ცრურწმენანი და მიდრეკილებანი. თუ ვაჟიშვილის ახალგაზრდობა ასეთ გარდატეხის ხანას

ემთხვევა, მაშინ შეიძლება დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მამასთან საერთო არაფერი ექნება. თუ მამა ისეთ პერიოდში ცხოვრობდა, როცა ეხალისებოდათ შეძენა, შეძენილის დასაკუთრება, ყველაფრის შემოსაზღვრა და დავიწროება, რომ შემდეგ, როცა საზოგადოებას განერიდებოდნენ, უფრო ძლიერ დამტკბარიყვნენ შეძენილით, მისი ვაჟიშვილი მომავალში ეცდება უფრო ხელგაშლილი იყოს, სხვებს გაუნაწილოს ქონება, გახსნას და განავრცოს ის, რაც მანამდე ჩაკეტილი იყო.

– იმ მამასა და შვილს, – შენიშნა შარლოტემ, – თქვენ რომ აგვიწერეთ, მთელი ეპოქები ჰგვანან. ჩვენთვის ძნელია იმ პერიოდების წარმოდგენა, როცა პატარა ქალაქებსაც კი თავ-თავიანთი გალავნები და თხრილები ჰქონდათ, როცა კეთილშობილნი თავიანთ სახლკარს ჭაობში აშენებდნენ და ყველაზე უმნიშვნელო ციხე-დარბაზსაც კი მხოლოდ ასაწევი ხიდით თუ მიუდგებოდი. ახლა დიდი ქალაქებიც კი იღებენ მიწაყრილებს, თავადების ციხე-დარბაზების ირგვლივ თხრილებს მიწით ავსებენ, რის გამოც ამჟამად ქალაქები დიდ დასახლებებს წარმოადგენენ, და როცა მოგზაურობის დროს ყოველივე ამას ხედავ, უნებურად გაიფიქრებ: საყოველთაო მშვიდობა დამყარებულა და ოქროს ხანა მოგვდგომია კარზე. არავის ეჩვენება ისეთი ბაღი მყუდროდ, რომელიც გაშლილ ადგილას არ არის გაშენებული. არაფერმა არ უნდა მოგვაგონოს ხელოვნურობა, ნაძალადეობა, ჩვენ გვინდა თავისუფლად ვისუნთქოთ, სული მოვითქვათ. წარმოგიდგენიათ, ჩემო მეგობარო, რომ ამ მდგომარეობიდან გადახვიდე მეორეში, დაბრუნდე უკან?

– რატომაც არა? – უპასუხა თანაშემწემ, – ყოველ მდგომარეობას, როგორც შეზღუდულს, ასევე გალავნებულს, აქვს თავისი სიძნელეები. გალავნების წინა პირობაა სიჭარბე, რასაც მფლანგველობა მოჰყვება. მოდი, შევჩერდეთ თქვენს მაგალითზე, რომელიც საკმაოდ თვალსაჩინოა. როგორც კი კაცს ხელმოკლეობა ეწვევა, მაშინვე იჩენს თავს თვითშეზღუდვაც. ადამიანები, რომლებიც საკუთარ მიწას ამუშავებენ, ისევ ავლებენ ბაღებს ღობეს, რომ თავიანთი ჭირნახული დაიცვან. ასე ჩნდება საგნებზე ახალი შეხედულება. კვლავ იმარჯვებს ის, რასაც სარგებლობა მოაქვს და ბოლოს და ბოლოს ბევრის მფლობელიც კი ფიქრობს, ყოველივე ამისგან სარგებლობა ნახოს. დამიჯერეთ, შეიძლება თქვენმა ვაჟმა მიატოვოს ყველა პარკი და თავი შეაფაროს გალავნებსა და ბაბუამისის ტანმაღალ ცაცხვებს.

შარლოტეს გულში გაუხარდა, რომ ვაჟი უწინასწარმეტყველეს და ამიტომ აპატია თანაშემწეს, ოდნავ აგდებით რომ მოიხსენია მისი საყვარელი, მშვენიერი პარკი და ასეთ მომავალს უქადის.

– არც ერთი ჩვენგანი არ არის ჯერ იმდენად მოხუცი, რომ ამგვარი წინააღმდეგობანი მრავალჯერ განგვეცადა. მაგრამ როცა ადრეულ ახალგაზრდობას იგონებ, გახსენდება, როგორი ჩივილი გესმოდა მოხუცებისგან, ხოლო თუ დაკვირვების საგნად ქვეყნებსა და ქალაქებს აქცევ, მაშინ თქვენი აზრის საწინააღმდეგოდ თითქმის ვერაფერს წამოაყენებ. მაგრამ განა ასეთ ვითარებას ვერაფერს დაუპირისპირებ, განა არ შეიძლება მამა და ვაჟიშვილი, მშობელი და შვილები მოარიგო? თქვენ მე ისე გულითადად მიწინასწარმეტყველეთ ვაჟიშვილი, ნუთუ მას სწორედ მამასთან ექნება უთანხმოება? ნუთუ მან უნდა დაანგრის ის, რაც მისმა მშობლებმა ააშენეს, თუ პირიქით, დაასრულოს მათ მიერ წამოწყებული და იმავე სულისკვეთებით განაგრძოს საქმე.

– ამისათვის არსებობს ერთი გონივრული საშუალება, – უპასუხა თანაშემწემ, – მაგრამ ადამიანები მას იშვიათად იყენებენ. მამამ ვაჟი მამულის თანამფლობელი უნდა გახადოს, უნდა მისცეს საშუალება, მასთან ერთად დაამუშაოს მიწა, მასთან ერთად დარგოს და როგორც საკუთარ თავს აძლევს, ასევე მასაც მისცეს უფლება თვითნებურად იმოქმედოს ისე, რომ საქმეს ზიანი არ მიაყენოს. ერთი საქმიანობა მეორეს გადაეწნება, მაგრამ ნაკუწებივით მათ ერთმანეთს ვერ მიაკერებ. ნორჩი შტო მეტისმეტად ადვილად და სიამოვნებით ემყნობა ბებერი ხის ტანს, გაზრდილი ტოტი კი შეზრდას ვერ ახერხებს.

თანაშემწეს უხაროდა, რომ გამგზავრების წინ შარლოტეს რაღაც სასიამოვნო უთხრა და ამით თავის სასარგებლოდ განაწყო. კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც სახლიდან წამოვიდა, მაგრამ უკან დაბრუნება ვერა და ვერ გადაწყვიტა მანამდე, სანამ არ დარწმუნდა, რომ შარლოტეს მშობიარობამდე ოთილიეს თაობაზე ვერავითარ გადამწყვეტ პასუხს ვერ მიიღებდა. ამიტომ დაემორჩილა ვითარებას და მომავლის იმედით კვლავ გამგესთან დაბრუნდა.

შარლოტეს მშობიარობის დრო ახლოვდებოდა, იგი სულ უფრო მეტ დროს ატარებდა თავის ოთახებში. მის ვიწრო წრეს ირგვლივ შემოკრებილი ქალები წარმოადგენდნენ. ოთილიე ოჯახს უვლიდა, მაგრამ იმაზე, რასაც აკეთებდა, არ ფიქრობდა. მართალია, იგი სავსებით შეეგუა გარემოებას, სურდა კვლავაც არ დაეზოგა თავი და მომსახურებოდა შარლოტეს, მის ბავშვს, ედუარდს, მაგრამ ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა მომხდარიყო ეს. სრულიად დაბნეულს მხოლოდ ის შველოდა, რომ თავის ყოველდღიურ მოვალეობას ასრულებდა.

შარლოტეს ვაჟი ფეხბედნიერად მოევიდინა ქვეყანას და ქალები ერთხმად ამტკიცებდნენ,

ზედგამოჭრილი მამააო.

მხოლოდ ოთილიე არ დაეთანხმა მათ გულში, როცა მელოგინეს ბედნიერება უსურვა და ბავშვს უგულითადესად მიესალმა. შარლოტე ჯერ კიდევ მაშინ განიცდიდა მტკივნეულად ქმრის შინ არყოფნას, როცა ქალიშვილის გასათხოვებლად ემზადებოდა, ახლა კი მამა ვაჟის დაბადებასაც ვერ დაესწრო, იგი ვერ შეარჩევდა მის სახელს, მომავალში რომ მის შვილს დაუძახებდნენ.

მომლოცველთაგან პირველი, ვინც მათ იხილეს, იყო მითლერი, რომელმაც მზვერავები დააყენა იმისათვის, რომ ეს ამბავი მისთვის მაშინვე ეცნობინებინათ. იგი მყისვე გამოცხადდა და თანაც მშვენიერ გუნებაზე იყო. ოთილიესთან ძლივს შეიკავა თავი, აღტაცება რომ არ გამოეთქვა, მაგრამ შარლოტესთან ხმამაღლა გამოთქვა თავისი აღტაცება. ეს სწორედ ის კაცი იყო, ყველა საზრუნავს რომ აქარწყლებს, ყველა დაბრკოლებას რომ აიოლებს. გადაწყვიტეს ნათლობა დიდი ხნით არ გადაედოთ: მოხუც მღვდელს, რომელსაც ცალი ფეხი უკვე სამარეში ედგა, ბავშვის კურთხევით წარსული მომავალთან უნდა დაეკავშირებინა. გადაწყვიტეს ბავშვისთვის ოთო დაერქმიათ, მამისა და მეგობრის სახელი. ათასგვარ ეჭვს, საწინააღმდეგო აზრს, ყოყმანს, გაჭიანურებას, მოსაზრებებს, ბრძნულ ან სხვაგვარ აზრს, გაუბედაობას, წინააღმდეგობებს და მითქმა-მოთქმას რომ ბოლო მოღებოდა, მითლერის შეუპოვრობა და სიჯიუტე იყო საჭირო, რადგან ჩვეულებრივ ასეთ ამბებში ერთი გაქარწყლებული ეჭვი კვლავ და კვლავ ახალს ბადებს და როცა გინდა ყველა ურთიერთობას გაუფრთხილდე, საქმე ისე შეტრიალდება, რომ რამდენიმე ადამიანი შეურაცხყოფილი რჩება.

წერილების დაგზავნა და ნათესავებისთვის შეტყობინება მითლერმა ითავა. წერილები ახლავე უნდა დაეწერათ, რადგან ბედნიერება, ამ ოჯახისთვის რომ ესოდენ მნიშვნელოვნად მიაჩნდა, მას დიდად უღირდა და სურდა ყველას სცოდნოდა, იმათაც კი, ხანდახან არაკეთილმოსურნე და ავადმზრახველნი რომ იყვნენ. და მართლაც, ხალხს არ გამოჰპარვია მხედველობიდან აქ დატრიალებული ვნებათაღელვა, ხალხი ისედაც დარწმუნებულია, რომ ყველაფერი, რაც კი ხდება, ხდება მხოლოდ იმისათვის, რომ სალაცხო არ გამოელიოს.

ნათლობა ღირსეულად უნდა ჩაეტარებინათ, მაგრამ არც ხალხმრავალი უნდა ყოფილიყო და არც გაჭიანურებული. გადაწყვიტეს ბავშვი ხელში სჭეროდით ოთილიეს და მითლერს, როგორც ნათლიებს. შემოვიდა მოხუცი მღვდელი, რომელსაც ეკლესიის მსახური ხელს აშველებდა. ლოცვა მალე მოთავდა. ბავშვი ოთილიეს მკლავებზე დააწვინეს და როცა მან სიყვარულით დახედა, ბავშვის ღია თვალებმა საგრძობლად შეაშინა, რადგან მოეჩვენა, თითქოს საკუთარ თვალებში იყურებოდა. ასეთი დამთხვევა ყველას გააოცებდა. მითლერმა, რომელმაც პირველად მიიღო ბავშვი, ასევე გაოგნდა, როცა თვალში ეცა ბავშვის გარეგნული მსგავსება კაპიტანთან, რის მაგვარსაც აქამდე არსად შეხვედრია.

კეთილ მოხუც მღვდელს სისუსტემ შეუშალა ხელი და იგი მხოლოდ ლიტურგიის შესრულებას დასჯერდა. სამაგიეროდ, შთაბეჭდილებებით აღვსილ მითლერს გაახსენდა, რომ უწინ თვითონ ასრულებდა მსახურებას და საერთოდ მას ჩვევად ჰქონდა ყველა შემთხვევაში წარმოედგინა, თუ როგორ ილაპარაკებდა ასეთ დროს, რა აზრებს გამოთქვამდა.

ამჯერად კიდევ უფრო უჭირდა ამისგან თავის შეკავება, რადგან ირგვლივ მხოლოდ მეგობრებისგან შემდგარი პატარა წრე ერტყა. ამიტომ ნათლობის ბოლოს თანდათან მარჯვედ დაიჭირა მღვდლის ადგილი, ხალისიანად წარმოთქვა სიტყვა ნათლიების მოვალეობაზე, საკუთარ იმედებზე და მით უფრო გაიკრიფა ენად, როცა მოეჩვენა, შარლოტეს გამომეტყველებაში კმაყოფილება გამოსჭვივისო.

კეთილი მოხუცი მღვდელი რომ სიამოვნებით დაჯდებოდა, ეს მხედველობიდან გამოეპარა ყოჩად ორატორს, რომელსაც აზრად არ მოსვლია, რომ დიდი უბედურების გამოწვევის გზას დაადგა მას შემდეგ, როცა თითოეული იქ მყოფის ბავშვისადმი დამოკიდებულება განსაზღვრა, რითაც ოთილიეს თავშეკავების უნარს გვარიანი გამოცდა მოუწყო და ბოლოს ბერიკაცს მიუბრუნდა შემდეგი სიტყვებით: – თქვენ, ჩემო ღირსეულო მოხუცო მამაო, ამიერიდან შეგიძლიათ სიმონთან ერთად თქვათ: „აწ განუტევე მონაი შენი, მშვიდობით; რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარი ამა სახლისა“.

ის იყო მითლერი ეშხში შევიდა და დააპირა თავისი სიტყვა ბრწყინვალედ დაემთავრებინა, მაგრამ უეცრად შენიშნა, რომ მოხუცი, რომელსაც ბავშვი გაუწოდა, პირველად თითქოს დაიხარა კიდევ ბავშვისკენ, მაგრამ შემდეგ მოულოდნელად უკან გადაქანდა. ძლივს მოასწრეს ხელის შეშველება, რომ არ წაქცეულიყო, სავარძელში ჩასვეს და მიუხედავად იმისა, რომ მაშინვე აღმოუჩინეს დახმარება, მაინც დალია სული.

დაინახო ასე უშუალოდ ერთმანეთის გვერდით დაბადება და სიკვდილი, კუბო და აკვანი, წარმოიდგინო არა მარტო წარმოსახვის ძალით, არამედ თვალითაც განაზოგადო ეს საშინელი

წინააღმდეგობა, ძნელი ამოცანა აღმოჩნდა იქ თავშეყრილთათვის, მით უმეტეს, რომ ყველაფერი ასე მოულოდნელად მოხდა. მხოლოდ ოთილიე აკვირდებოდა საუკუნოდ მიძინებულს, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენოდა მოკრძალებული, ალერსიანი გამომეტყველება... ქალიშვილის სული ჩაკლეს, რაღა საჭირო იყო ამის შემდეგ მისი სხეულის არსებობა?

თუ დღის უსიხარულო ამბებს არაერთხელ მოუგვრია მისთვის ამგვარი ფიქრები ამაოებაზე, განშორებაზე, დაკარგვაზე, სამაგიეროდ, ღამეული ხილვები ნუგეშს ჰგვრიდნენ, არწმუნებდნენ იმაში, რომ მისი სატრფო ცოცხალია, რაც ამტკიცებდა და ახალისებდა მის სასიცოცხლო ძალას. როცა საღამომობით დასაძინებლად წვებოდა და ჯერ კიდევ ძილსა და ღვიძილს შორის ტკბილ გრძნობას ეძლეოდა, ეჩვენებოდა, თითქოს მის თვალწინ გადაშლილია უაღრესად ნათელი, მაგრამ ალერსიანი სხივებით განათებული სივრცე. ამ სივრცეში ცხადზე ცხადად ხედავდა ედუარდს, თანაც ისე ჩაცმულს კი არა, ჩვეულებრივ რომ იცვამდა, არამედ მეომრის ტანსაცმელში გამოწყობილს, ყოველთვის სხვანაირ, მაგრამ ბუნებრივ, ფანტასტიკურობას მოკლებულ პოზაში: ხან ფეხზე მდგომს, ხან მოსიარულეს, ხან წამოწოლილს და ხან ამხედრებულს. უმცირეს დეტალებამდე გამოკვეთილი ედუარდის სხეული მორჩილად მოძრაობდა მის წინ, ისე, რომ ამისთვის თითის განძრევა, მონდომება, წარმოსახვის უნარის დაძაბვა არ სჭირდებოდა. ხანდახან რაღაც გარემოცვაში ხედავდა, ის გარემოცვა უმეტეს შემთხვევაში მოძრაობდა, მაგრამ უფრო მუქი იყო, ვიდრე იმ ნათელი სივრცის ფონი. თუმცა ძლივს არჩევდა სილუეტებს, რომლებიც ხან ადამიანებად ეჩვენებოდა, ხან ცხენებად, ხან ხეებად და ხან მთებად. ჩვეულებრივ სწორედ ამგვარი ხილვების დროს ჩაეძინებოდა ხოლმე, და როცა მშვიდად გატარებული ღამის შემდეგ კვლავ იღვიძებდა, გახალისებული და ნუგეშცემული იყო, რადგან მტკიცედ სწამდა: ედუარდი ჯერ კიდევ ცოცხლობდა და იგი მასთან ჯერ კიდევ უმჭიდროესად იყო დაკავშირებული.

თავი მეცხრე

მოგვიანებით გაზაფხულდა, მაგრამ ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად და მხიარულად. ოთილიეს ბაღში დახვდა წინდახედულობისა და ზრუნვის ნაყოფი: ყველაფერი ლუოდა, მწვანით იმოსებოდა და დროულად ყვაოდა. ის, რაც წინასწარ იყო შემზადებული კეთილმოწყობილ სათბურებსა და კვლებში, მაშინვე შეეგება გვიან ამოქმედებულ ბუნებას და რაც ამიერიდან იყო გასაკეთებელი და მისახედი, უიმედო გარჯას კი არ ითხოვდა, როგორც აქამდე, არამედ მაშინვე ხალისი და სიამოვნება მოჰქონდა.

თუმცა იგი იძულებული იყო ენუგეშებინა მებაღე, რადგან ლუციანეს თავქარიანობის გამო ზოგიერთი ქოთანის ცარიელი აღმოჩნდა, ზოგან კი დაირღვა ვარჯების სიმეტრია. ოთილიე ამხნევებდა მებაღეს, ეუბნებოდა, ყველაფერი ეს მალე აღდგებაო, მაგრამ იგი მეტისმეტად ღრმად განიცდიდა ამ ამბავს, მეტისმეტად სათუთი იყო საკუთარი საქმის მიმართ, რომ ამგვარი ნუგეშით დაკმაყოფილებულიყო. რამდენადაც მებაღეს არა აქვს უფლება სხვა გატაცებებსა და მიდრეკილებებზე გადაიტანოს ყურადღება, ასევე დაუშვებელია დაირღვეს ის მშვიდი განვითარება, მცენარეს რომ სჭირდება ხანგრძლივი ან დროებითი განვითარებისთვის. მცენარე ჰგავს იმ ჯიუტ ადამიანს, რომლისგანაც შეიძლება ყველაფერი მიიღო, თუ იცი, როგორ მოექცე. მშვიდობიანი მზერა, თანამიმდევრული სიდიხჯე, წლის ყოველ დროს, ყოველ საათს იმის კეთება, რაც საჭიროა – ყოველივე ეს არავის მოეთხოვება მებაღეზე უფრო მეტად.

ეს თვისება ზომაზე მეტად ჰქონდა კეთილ კაცს და ამიტომ სიამოვნებდა ოთილიეს ასე ძლიერ მასთან ერთად მუშაობა. მაგრამ ამ ბოლო დროს მებაღე თავის ნიჭს ვეღარ იყენებდა ძველებური გულმოდგინებით. თუმცა თანაბარი ბრწყინვალეობით ართმევდა თავს ყველაფერს, იქნებოდა ეს მეხილეობა თუ მებოსტნეობა, ძველებური დეკორატიული ბაღის მოვლაც მშვენივრად იცოდა – ისე, როგორც ერთს ერთი საქმე უფრო გამოუდის, მეორეს – მეორე – თუმცა ორანჟერეის მოვლაში, ყვავილების ბოლქვების, მიხაკებისა და ფურისულების მოშენებაში შეეძლო თვით ბუნებას გასჯიბრებოდა: მისთვის ახალი დეკორატიული ხეები და მოდური ყვავილები რამდენადმე მაინც უცხო დარჩა და ბოტანიკის უსასრულო სფერო, რაც დრომ გააფართოვა და მოზუზუნე უცხოური სახელები, ერთგვარ შიშსაც კი ჰგვრიდა და აღიზიანებდა. იმ მცენარეთა გამოწერა, ბატონებმა რომ გასულ წელს დაიწყეს, მას ფულის უსარგებლო ხარჯვად და ფლანგვად მიაჩნდა, რადგან არაერთგზის უნახავს როგორ ხმებოდნენ ძვირფასი მცენარეები, ხოლო ვაჭარ მებაღეებს, რომლებიც მისი აზრით, კეთილსინდისიერად არ ემსახურებოდნენ მას, ვერაფრით ეგუებოდა.

ამიტომ მთელი რიგი ცდების შემდეგ მან შეადგინა გეგმა, რაშიც ოთილიე დიდად უწყობდა ხელს, რადგან სინამდვილეში ეს ედუარდის დაბრუნებასთან იყო დაკავშირებული. მისი აქ არყოფნა რომ

საზარელი იყო, სხვა შემთხვევებში იგრძნობოდა ყოველდღიურად.

რაც უფრო მეტ ფესვებს იდგამდნენ და მეტ ტოტებს იყრიდნენ მცენარეები, მით უფრო მეტად გრძნობდა ოთილიე, როგორაა მიჯაჭვული ამ მიდამოებზე. სწორედ ერთი წლის წინ მოევიდნა აქაურობას, როგორც უცხო, არაფრის მაქნისი არსება და რამდენი რამ შეიძინა მას შემდეგ! მაგრამ, სამწუხაროდ, იმ დროიდან მოყოლებული ბევრი რამ დაკარგა კიდევ! იგი არასოდეს ყოფილა ასეთი მდიდარი და ასეთი ღარიბი. სიმდიდრისა და სიღარიბის გრძნობა მყისიერად აირია ერთმანეთში, ისე მჭიდროდ გადაეხლართა, რომ ერთადერთ ხსნას იმაში ჰოულობდა, თანაგრძნობითა და გატაცებით ხან ერთს ჩაეჭიდებოდა, ხან მეორეს.

ადვილი წარმოსადგენია, რომ განსაკუთრებით ყოველივე იმას დაჰფოფინებდა, რაც ედუარდს უყვარდა. დიახ, რატომ არ უნდა ჰქონოდა იმის იმედი, რომ თვით ედუარდიც მალე დაბრუნდებოდა და იმ მზრუნველ დაუზარებლობას, რასაც იგი აქ არმყოფისადმი იჩენდა, აქ ჩამოსული მადლიერების გრძნობით შეამჩნევდა.

მაგრამ კიდევ მიეცა იმის საბაბი, რომ მისთვის სხვაგვარადაც გაეწია სამსახური. ბავშვზე ზრუნვა მან იტვირთა და მას შემდეგ, რაც გადაწყვიტეს ბავშვი არ გაეძიძავებინათ და რძითა და წყლით გამოეკვებათ, მისი უშუალო მომვლელი სწორედ ოთილიე გახდა. წლის ამ მშვენიერ დროს ყველაზე მეტად ბავშვს ჰაერი შეერგებოდა და ამიტომ ოთილიეს ყველაფერს ერჩია, ბავშვი თვითონ გაესეირნებინა, მძინარე ეტარებინა ყვავილებსა და აყვავებულ ხეებს შორის, რომლებიც მის ბავშვობას გულითადად შესცივინებდნენ, ნორჩ მცენარეებსა და ბუჩქებს შორის, რომელთაც თავიანთი სინორჩის წყალობით მასთან ერთად მოუწევდათ ტანის აყრა. საკმარისი იყო აქეთ-იქით მიეხედ-მოეხედა და ოთილიე მისდა უნებურად გაიფიქრებდა, რა ფუფუნებისა და სიმდიდრისთვისაა ეს ბავშვი დაბადებული! ირგვლივ ყველაფერი, რასაც კი თვალი სწვდებოდა, ოდესმე მისი საკუთრება გახდებოდა. დიდად სასურველი იქნებოდა ყოველივე ამასთან ერთად ბავშვი მამისა და დედის თვალწინ გაზრდილიყო და გაემართლებინა მათ შორის სასიხარულოდ განახლებული კავშირი.

ოთილიე ყოველივე ამას ისე ცხადად გრძნობდა, რომ მართლა ეგონა, ეს ისედაც მოხდაო და საკუთარი თავი სრულებით აღარ ახსოვდა. მოკრიალებული ცისა და კაშკაშა მზის სხივების ქვეშ მისთვის უეცრად ნათელი გახდა, რომ მისი სიყვარული სწორედ მაშინ იქნება სრულყოფილი, თუ არ იქნება ანგარებიანი. დიახ, ზოგჯერ ეგონა კიდევ, რომ ამგვარ სიმართლეს უკვე მიაღწია. ამით მას მხოლოდ თავისი მეგობრებისთვის სურდა სიკეთე. ეგონა შესწევდა იმის ძალა, რომ უარი ეთქვა მასზე, არასოდეს ენახა, ოღონდ სცოდნოდა, რომ ბედნიერია.

შემოდგომა რომ გაზაფხულივით მშვენიერი ყოფილიყო, ამისათვის წინასწარ იზრუნეს. ყველა ეგრეთ წოდებული ზაფხულის მცენარე, ყველაფერი, რაც შემოდგომაზე ყვავის და არ ეპუება სიცივეს და კაღნიერად იფურჩქნება, უხვად დარგეს და ყველა ჯიშის ასტრებს, მათ ირგვლივ რომ გადარგეს, დედამიწაზე მათთვის ვარსკვლავებიანი ცა უნდა შეექმნა.

ოთილიეს დღიურიდან

„აუცილებლად შეგვაქვს დღიურში კარგი აზრი, სადმე რომ ამოგვიკითხავს, ის უჩვეულო ამბავი, სადღაც რომ გაგვიგონია. მაგრამ ამავე დროს, თუ გავირჯებით და ჩვენი მეგობრების წერილებიდან ამოვიწერთ საინტერესო შენიშვნებს, ორიგინალურ მოსაზრებებს, სხვათა შორის ნათქვამ გონებამახვილო სიტყვებს, ბევრს მოვიგებთ. წერილებს იმიტომ ინახავენ, რომ აღარასოდეს აღარ წაიკითხონ. ბოლოს კი ხევენ იმ მიზნით, საიდუმლოება არ გამჟღავნდეს და ასე ქრება უკან დაუბრუნებლად ჩვენთვისაც და სხვისთვისაც სიცოხლის ყველაზე უშუალო სუნთქვა. მე გადავწყვიტე ეს ხარვეზი ამომეკსო.“

ასე მეორდება თავიდან კიდევ ერთხელ ყოველწლიური ზღაპარი. მადლობა ღმერთს, რომ ახლა ყველაზე საინტერესო თავს მივადექით. იები და შროშანები თითქოს ამ თავის წარწერები და ვინიეტებია. ჩვენ მუდამ სასიამოვნო შთაბეჭდილება გვექმნება, როცა სიცოცხლის გადაშლილ წიგნში მათ ისევე ვხვდებით.

ჩვენ ვლანძღავთ მათხოვრებს, განსაკუთრებით არასრულწლოვანებს, როცა ქუჩებში ყრიან და მოწყალეობას ითხოვენ. მაგრამ ნუთუ ვერ ვამჩნევთ, რომ ისინი მაშინვე ჰკიდებენ ხელს საქმეს, როგორც კი რაიმე გასაკეთებელს ნახავენ? გადაგვიშლის თუ არა ბუნება თავის კეთილისმყოფელ განძეულობას, მაშინვე იქ გაჩნდებიან ბავშვები და იწყებენ რაიმე საქმეს. აღარავინ მათხოვრობს, თითოეული თაიგულს გიწვდის. მან ის მაშინ შეკრა, სანამ შენ გეძინა, და მთხოვნელი ისევე სანდომიანად გიყურებს, როგორც მისი საჩუქარი. არავინ გამოიყურება საცოდავად, ვინც კი კი ოდნავ მაინც გრძნობს, რომ უფლება აქვს მოითხოვოს.

ნეტავ რატომაა ზოგიერთი წელი მოკლე, ზოგიერთი კი გრძელი, რატომ გეჩვენება სინამდვილეში

ასე მოკლე, მოგონებებში კი ასეთი გრძელი! გასული წლის მიმართ მე ასეთი გრძნობა მაქვს და არსად ვგრძნობ ამას ისე მძაფრად, როგორც ბაღში, სადაც წარმავალი და დღეგრძელი ერთმანეთშია გადახლართული. მიუხედავად ამისა, მაინც არაფერია ისე დღემოკლე, რომ არ ტოვებდეს კვალს და თავის მსგავსს.

ზოგჯერ ზამთარიც მოსწონთ. ჰგონიათ, რომ სივრცე გაფართოვდა, როცა ხეები ჩვენ წინ მოჩვენებებივით დგანან და გამჭვირვალე არიან. ისინი არარაინი არიან და არც არაფერს მალავენ ჩვენგან. მაგრამ როგორც კი კვირტებსა და ყვავილებს გამოიღებენ, მაშინვე გიპყრობს მოუთმენლობა, როდის შეიმოსება ყველაფერი ფოთლებით, როდის შეისხამს ლანდშაფტი ხორცს და ხე თავისი სახით წარმოგვიდგება.

ყველაფერი სრულყოფილი თავის სახეობაში თავის სახეობას უნდა გასცდეს, უნდა გახდეს რაღაც სხვა, შეუდარებელი. ზოგიერთი ბგერის მიხედვით ბუღბული ჯერ კიდევ ჩიტია, შემდეგ კი გასცდება თავის კლასს და სურს ყველა ფრთოსანს დაანახვოს, რას ნიშნავს ნამდვილი სიმღერა.

სიცოცხლე უსიყვარულოდ, სატრფოსგან მოშორებით, მხოლოდ უთავბოლო კომედიაა, ცუდი პიესაა გამოსაღები უჯრებით. გამოსწევ ერთ უჯრას, ისევ შესწევ და შემდეგისკენ იჩქარი. კარგი და მნიშვნელოვანი რამეც რომ შეგხვდეს, ყველაფერი უხეიროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყო და გინდა, რომ ყველაფერი დაამთავრო“.

თავი მეათე

რაც შეეხება შარლოტეს, იგი მხნედ და კარგად გრძნობს თავს. ახარებს ჯან-ღონით სავსე ბიჭუნა, რომლის გარეგნობა ბევრ რამეს ჰპირდება და ყოველთვის იტაცებს მის თვალსა და გულს. ქვეყანასთან მისი წყალობით ამყარებს ახალ კავშირს და თავის სამფლობელოში ძველებურად ეტანება საქმიანობას... საითაც კი გაიხედავს, ყველგან ამჩნევს, რომ გასულ წელს ბევრი გაუკეთებია და გაკეთებული სიხარულს ჰგვრის. უცნაური გრძნობით გამოცოცხლებული ოთილიესთან და ბავშვთან ერთად ადის ხავსის ქოხში და როცა ბავშვს ისე აწვენს პატარა მაგიდაზე, როგორც საკურთხეველზე და როცა ორ სკამს ცარიელს ხედავს, აგონდება წარსული და ესახება ახალი იმედი როგორც თავისთვის, ასევე ოთილიესთვის.

ქალიშვილები მორიდებით გააპარებენ ხოლმე თვალს ამა თუ იმ ჭაბუკისკენ და თავისთვის ვარაუდობენ, სასურველია იგი ქმრად თუ არა, მაგრამ ის, ვინც ქალიშვილის ან ნაშვილების ბედზე უნდა იზრუნოს, უფრო ფართო წრეს მოავლებს თვალს. ასე იყო იმ წუთს შარლოტეს საქმეც, როცა კაპიტნისა და ოთილიეს ერთმანეთთან დაკავშირება არ ეჩვენებოდა შეუძლებელ საქმედ, ამ ქოხში ხომ მსხდარან ერთმანეთის გვერდით. მას არც ის დარჩენია გაუგებარი, რომ კაპიტნის სარფიანი ქორწინების საქმე ჩაიშალა.

შარლოტე აღმართს მიჰყვებოდა, ოთილიე ბავშვივით მისდევდა უკან. შარლოტე სხვადასხვაგვარმა ფიქრებმა შეიპყრო. ხმელეთზეც ხომ შეიძლება დაიღუპოს გემი. ქებას იმსახურებს ის, რომ ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა, სწრაფად მოითქვა სული და ძალა მოიკრიბა. ცხოვრება ხომ მხოლოდ მოგებასა და წაგებაზეა გაანგარიშებული. ვინ არ ისახავს გეგმებს და მერე წყალში ეყრება, ხშირად ადგებიან ერთ რომელიმე გზას და მერე განზე უხვევენ! რა ხშირად ვამბობთ უარს დასახულ მიზანზე, რომ უფრო მაღალ მიზანს მივალწიოთ! მოგზაურს გზაში, მისდა სამწუხაროდ, ველოსიპედი უტყდება და ამ უსიამოვნო შემთხვევის გამო ვინმესთან ისეთ სასიხარულო ნაცნობობასა და ურთიერთობას დაამყარებს, მთელ მის ცხოვრებაზე რომ მოახდენს გავლენას. ბედი გვისრულებს სურვილებს, მაგრამ თავისებურად, რათა მოგვცეს რაღაც იმაზე მეტი, ჩვენ რომ გვსურს.

ამგვარი და ამის მსგავსი ფიქრებით გართულმა შარლოტემ მიაღწია მაღლობზე მდგარ ახალ შენობამდე, სადაც მისი ფიქრები სავსებით დადასტურდა, რადგან გარემო ბევრად უფრო მშვენიერი აღმოჩნდა, ვიდრე შეეძლო წარმოედგინა. იქაურობა გაწმინდეს ყოველგვარი ხელშემშლელი წვრილმანებისგან. ამიტომ ბუნებისა და დროის ნახელავი, ყველაფერი, რაც პეიზაჟს ამშვენებდა, წმინდა სახით წარმოჩნდა და თვალში საცემი იყო. სიმწვანით იმოსებოდნენ ის ნორჩი ნარგავები, რომელთაც ზოგიერთი ხარვეზის ამოვსება და გარემოს ცალკეული ნაწილის ერთმანეთთან სასიამოვნოდ დაკავშირება ევალებოდათ.

სახლი თითქმის ვარგოდა საცხოვრებლად. ხედი, განსაკუთრებით ზედა სართულის ოთახებიდან, არაჩვეულებრივად მრავალფეროვანი იყო, რაც უფრო მეტხანს ტკბებოდი მისი ცქერით, მით უფრო

მეტ რამეს აღმოაჩინდი. რას არ შემატებდა აქაურობას დღის სხვადასხვა დრო, მთვარე და მზე! აქ ყოფნა დიდად სასურველი იყო და შარლოტეში უმაღლესი გაიღვიძა შენების, შექმნის ჟინმა ახლა, როცა ყველა შავი სამუშაო მოთავებულ იყო. ახლა სჭირდებოდა მხოლოდ დურგალი, შპალერის გამკრავი და მღებავი, რომელიც ტრაფარეტითა და მოოქროებით იოლად გადის ფონს და სულ მოკლე ხანში შენობა მზად იქნებოდა. სარდაფი და სამზარეულო სწრაფად მოაწყვეს, რომ ყველაფერი, რაც სჭირდებოდათ, ხელთ ჰქონოდათ და ციხე-დარბაზიდან ასე შორს არ ეზიდათ. ქალები ბავშვიანად ზემოთ დასახლდნენ და აქედან, როგორც ახალი ცენტრიდან, თვალწინ გადაეშალათ რამდენიმე გასასეირნებელი გზა. აქ, ამ სიმაღლეზე ისინი ლაღი, სუფთა ჰაერით ტკბებოდნენ.

უსაყვარლესი გზა ოთილიესთვის, რომელიც ხან მარტო დაადგებოდა მას, ხანაც ბავშვიანად, ქვევით ჭადრებისკენ მიმავალი ბილიკი იყო. ასე მიაღწევდა იმ ადგილს, სადაც ერთ-ერთი იმ ნავთაგანი ება მოხერხებულად, რომლითაც ზოგჯერ ტბის მეორე ნაპირზე გადადიოდნენ. ხანდახან ოთილიეს სიამოვნებდა წყალზე გასეირნება, ოღონდ უბავშვოდ, რადგან შარლოტე ამის გამო წუხდა. ოთილიეს არც ერთი დღე არ გამოუტოვებია ისე, რომ ციხე-დარბაზის მეზღეს არ სწევოდა და მონაწილეობა არ მიეღო იმ ნერგებზე ზრუნვაში, რომლებიც იმჟამად ღია ცის ქვეშ ნებივრობდნენ.

წლის ამ მშვენიერ დროს შარლოტესთვის უაღრესად დროული აღმოჩნდა სტუმრობა ერთი ინგლისელისა, რომელსაც ედუარდი მოგზაურობის დროს გაეცნო, ედუარდი მას შემდეგაც რამდენჯერმე შეხვედროდა და ახლა ცნობისმოყვარეობით ატანილს მოესურვებინა ენახა პარკები, რომელთა შესახებაც ბევრი კარგი სმენოდა. ინგლისელმა შარლოტეს გრაფის სარეკომენდაციო წერილი ჩამოუტანა და ოთილიესთან, ხან მეზღებსა და მონადირეებთან ერთად მთელი მამული შემოიარა, ამ დროს ხშირად თანამგზავრი ახლდა თან, ზოგჯერ კი უმისოდაც დახეტილებდა, მისი შენიშვნები ცხადყოფდა, რომ ასეთი პარკების მოყვარული და მცოდნე იყო და უთუოდ მასაც ექნებოდა გაშენებული მსგავსი რამ. მიუხედავად ხანდაზმულობისა, იგი ხალისიანად მონაწილეობდა ყველაფერში, რასაც შეუძლია ცხოვრება გაალამაზოს და უფრო მნიშვნელოვანი გახადოს.

მის საზოგადოებაში ქალები მეტად ტკბებოდნენ იმით, რაც გარს ერტყათ. მისი ნაცადი თვალი ყოველივე ეფექტურს უაღრესად ცოცხლად აღიქვამდა და ყველაფერი, რაც აქ იყო შექმნილი, სტუმარს დიდად ახარებდა, რადგან მანამდე ამ მხარეს არ იცნობდა და უჭირდა იმის განსხვავება, რა იყო აქ კაცის ხელით გაკეთებული და რა ბუნების მიერ შექმნილი.

ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ მისი შენიშვნების წყალობით პარკი იზრდებოდა და მდიდრდებოდა. იგი იმთავითვე მიხვდა, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ახალი მცენარეების მოძალებას. არ გამორჩენია მხედველობიდან არც ერთი ადგილი, სადაც შეიძლებოდა რაიმე სილამაზე გამომზეურებულიყო ან რაიმე ახალი შემატებოდა ამ მხრივ პარკს. ერთხელ მიუთითა წყაროზე, რომელიც გასუფთავების შემდეგ მთელი ბუჩქნარის სამკაულად გადაიქცეოდა, მეორედ – გამოქვაბულზე, რომელიც გაწმენდისა და დაგვის შემდეგ შეიძლებოდა სანატრელ დასასვენებლად ადგილად გადაქცეულიყო, სადაც რამდენიმე ხის მოჭრა იკმარებდა იმისათვის, რომ ჩინებული, აყორილი კლდოვანი ქარაფები გამოჩენილიყო. იგი ბედნიერებას უქადდა მასპინძლებს, სთხოვდა არ ეჩქარათ, ზოგი რამის გაკეთება შემდეგისათვის გადაედოთ და მომავალი წლებისთვისაც მოეტოვებინათ შექმნისა და კეთილმოწყობის სიამოვნება.

სხვათა შორის, იგი თავს არავის აბეზრებდა, მას მხოლოდ მეგობრული საუბრებისა და სეირნობის დროს თუ ხედავდნენ, დღის უმეტეს დროს კი იმით იყო დაკავებული, რომ მოძრავი კამერა-ობსკურით იღებდა პარკის თვალწარმტაც ხედებს და შემდეგ ქალაქში გადახატავდა. ამგვარად, მოგზაურობის დროს თავისთვისაც და სხვებისთვისაც მდიდარ ნაყოფს იმკიდა. ამას იგი უკვე რამდენიმე წელიწადი მისდევდა ყველა რითიმე საყურადღებო მხარეში და ძალიან საინტერესო და სიამოვნების მომგვრელი კოლექცია შეაგროვა. იგი თან ატარებდა დიდ პორტფელს და ქალებს ართობდა ნაწილობრივ სურათების ჩვენებით, ნაწილობრივ კი ახსნა-განმარტებებით. მათ უხაროდათ, რომ ამ მარტობაში ასე უშფოთველად მოგზაურობდნენ და რა არ ნახა მათმა თვალებმა, სანაპიროები და ნავსადგურები, მთები, ზღვები და მდინარეები, ქალაქები, ციხე-დარბაზები და ზოგიერთი სხვა ადგილები, ისტორიაში თავისი სახელი რომ აქვს.

ქალთაგან თითოეულს თავისი ინტერესი ჰქონდა. შარლოტეს უფრო ზოგადი, სწორედ ის მოსწონდა, სადაც ისტორიულად რაიმე ღირსშესანიშნავი აღმოჩნდებოდა, ოთილიეს ყურადღებას კი უპირატესად ის ადგილები იქცევდა, რომელთა შესახებაც ედუარდი ბევრს ჰყვებოდა, სადაც ყოფნა სიამოვნებდა და სადაც ხშირად მიბრუნებულა, რადგან ყოველ ადამიანს შორს თუ ახლოს ეგულება ადგილი, რომელიც მისთვის განსაკუთრებით საყვარელი და მიმზიდველია ან ხასიათით, ან პირველი შთაბეჭდილების, ან გარემოებათა, ან ჩვევის გამო.

ამიტომ ოთილიემ ჰკითხა ლორდს, ყველაზე მეტად რომელი ადგილი მოეწონა, ასარჩევად რომ გქონდეთ საქმე, სად დაიდებდით ბინასო. ლორდს არ გასჭირვებია მიმზიდველად აღეწერა ესა თუ ის თვალწარმტაცი მხარე, თავისი განსაკუთრებული აქცენტის მქონე ფრანგულით ეამბნა, რა გადახდა იქ თავს და რატომ გახდა მისთვის საყვარელი და ძვირფასი.

ხოლო საწინააღმდეგო შეკითხვაზე, სადაა ახლა მისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი, ყველაზე მეტად სად ეხალისება დაბრუნება, მან ქალებს სრულიად მიუკიბ-მოუკიბავად, მაგრამ მოულოდნელად შემდეგი პასუხი გასცა: – მე უკვე შევეჩვიე, ყველგან შინაურულად ვიგრძნო თავი და არაფერი მიმაჩნია უფრო სარფიანად, ვიდრე ის, რომ ჩემთვის სხვებმა აშენონ, დარგონ, თავიანთ მეურნეობას გაუძღვნენ, საკუთარ მამულებში დაბრუნება აღარ მენატრება, ნაწილობრივ პოლიტიკური მიზეზების, ძირითადად კი ჩემი ვაჟის გამო, რომლისთვისაც, კაცმა რომ თქვას, ყველაფერი გავაკეთე, ვიშრომე, მოვაწყვე, იმედი მქონდა, რომ მამულებს მას დავუტოვებდი, მასთან ერთად დავტკბებოდი ყოველივე ამით, იგი კი ამას არაფრად აგდებს, ინდოეთში გაემგზავრა, მსგავსად ზოგისა, რომ ცხოვრება ან უფრო სასიამოვნოდ გაატაროს ანდა სრულიად გაკოტრდეს.

ცხადია, იმისათვის, რომ ცხოვრებისთვის მოვემზადოთ, მეტისმეტად დიდი ხარჯების გაღება გვიხდება. იმის მაგივრად, რომ თავიდანვე მცირედით დავკმაყოფილდეთ, ზომიერებას დავჯერდეთ, სულ უფრო მეტად ვიფუყებით და ამის გამო ყოველთვის უხერხულად ვგრძნობთ თავს. ვინ ტკბება ახლა ჩემი ნაშენებით, ჩემი პარკით, ჩემი ბალებით? პირადად მე არა, არც ჩემი ახლობლები, ტკბებიან უცხო სტუმრები, ცნობისმოყვარე, მოუსვენარი მოგზაურები.

– მაშინაც კი, როცა ხელგამართულნი ვართ, მხოლოდ სანახევროდ ვართ სახლში, განსაკუთრებით სოფელში, სადაც ზოგი რამ გვაკლია, რასაც ქალაქში შევეჩვიეთ – ხელთ არ გვაქვს ფრიად სანატრელი წიგნი, სწორედ იმის წამოღება დაგვაკვიწყდა, რაც ყველაზე მეტად გვჭირდება, ჩვენ ყოველთვის იმისათვის მოვეწყობით შინაურულად, რომ ავიყაროთ და თუ ამას არ ვაკეთებთ ჩვენი ნებითა და სურვილით, მაშინ გვაიძულებენ გარემოებანი, გატაცებანი, შემთხვევითობანი, აუცილებლობა და რაღა არა.

ლორდს წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ძალიან მოხვდათ გულში ქალებს მისი სიტყვები. დიახ, განა მართლა არ მოელის ამგვარი საფრთხე იმას, ვინც ზოგად მოსაზრებებს ისეთ საზოგადოებაშიც კი გამოთქვამს, ვისი მდგომარეობა მისთვის ჩვეულებრივ ცნობილია. შარლოტესთვის ასეთი შემთხვევითი დაგესვლა ახალი არ იყო იმათგანაც კი, ვინც მისდამი კეთილგონივრულად იყო განწყობილი და მისთვის სიკეთე სურდა. იგი უამისოდაც ფართოდ გახელილი თვალებით უყურებდა ქვეყანას და განსაკუთრებულ ტკივილს არ გრძნობდა იმის გამო, როცა ვინმე დაუფიქრებლად და გაუფრთხილებლად იძულებულს ხდიდა, ცხოვრების ესა თუ ის არასასიამოვნო მოვლენა დაენახა. სამაგიეროდ ოთილიეზე, რომელიც ნახევრად შეუგნებელი სინორჩის წყალობით მეტს გრძნობდა წინასწარ, ვიდრე ხედავდა, რომელსაც შეეძლო და მისთვის აუცილებელიც იყო, მზერა მოერიდებინა იმისათვის, რისი დანახვაც არ სურდა და არც უნდა დაენახა, ლორდის სიტყვებმა საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან თითქოს ვიღაცამ ძალით ჩამოჰგლიჯა თვალწარმტაცი რიდე და მას მოეჩვენა, რომ ყველაფერი, რაც აქამდე სახლ-კარის, ბარის, პარკისა და მთელი შემოგარენისთვის კეთდებოდა, ფუჭი და ამაო იყო, რადგან ის, ვისაც ყოველივე ეს ეკუთვნოდა, მსგავსად ინგლისელი სტუმრისა, ამით არ ტკბებოდა და უსაყვარლეს ადამიანთა მიერ განიდევნა სახეტილოდ და თანაც იმგვარად, რომ ყოველდღე დიდი ნიფათი ელოდა. ოთილიე მიჩვეული იყო მოსმენასა და დუმბილს, მაგრამ ამჯერად უაღრესად საჩოთირო მდგომარეობაში აღმოჩნდა, რასაც კი არ ამსუბუქებდა უცხო ადამიანის ლაპარაკი, არამედ უარეს დღეში აგდებდა, ლორდი კი განაგრძობდა მკაფიოდ, თავისებურად, მოფიქრებულად: – მე მგონია სწორ გზას სწორედ ახლა ვადგავარ, როცა ჩემი თავი მუდმივ მოგზაურად მიმაჩნია, იმ კაცად, რომელიც ბევრ რამეზე ამბობს უარს, რომ ბევრი სხვა რამით დატკბეს. მე შევეჩვიე ცვალებადობას, დიახ, მე ეს მოთხოვნილებად მექცა მსგავსად იმისა, ოპერაში რომ ახალ დეკორაციას ელიან, რადგან ბევრი დეკორაცია უნახავთ. რას უნდა მოველოდე ყველაზე საუკეთესო და ყველაზე ცუდ სასტუმროში, სულერთია, გამორჩეულად კარგი იქნება თუ ცუდი, მე ვიცი, ვერსად ვიპოვი იმას, რასაც შევეჩვიე და ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ერთ აზრამდე დადის, მთლიანად იყო დამოკიდებული აუცილებელ ჩვევაზე ან ნებისმიერ შემთხვევითობაზე, ყოველ შემთხვევაში ახლა არ მაღიზიანებს ის, რომ რაღაც თავის ადგილზე არ დადეს ან დაკარგეს, რომ საერთო ოთახით ვერ ვისარგებლებ, რადგან წესრიგშია მოსაყვანი, რომ ჩემი საყვარელი ფინჯანი გამიტეხეს და კარგა ხანს ვერაფერს ჩავატან გემოს სხვა ფინჯნიდან დალეულს. ყოველივე ამისგან დაზღვეული ვარ და როცა სახლში ნელ-ნელა ყელში ამომდის ყველაფერი, მაშინ ჩემი მსახურები დინჯად ალაგებენ ჩემს ბარგი-ბარხანას და ჩვენ გავდივართ ეზოდან და ქალაქიდან. როცა ზუსტად დავიანგარიშე, მთელ ამ უპირატესობასთან ერთად ისიც გაირკვა, რომ წლის ბოლოს იმაზე მეტი არა მაქვს დახარჯული, რაც შინ დამეხარჯებოდა.

როცა ამ სიტყვებს ისმენდა, ოთილიეს მხოლოდ ედუარდი ედგა თვალწინ, ხედავდა როგორ დაეხეტებოდა გაჭირვებული და დათრგუნვილი გაუკვალავ გზებზე, რამდენი საფრთხე და უბედურება ელის მინდორში დაგდებულს. ამდენი უკუღმართობისა და ხიფათის მომლოდინე მიეჩვია უსამშობლოდ და უმეგობროდ ცხოვრებას, ხელს იღებს ყველაფერზე, ოღონდ არაფერი დაკარგოს. საბედნიეროდ, საზოგადოება რამდენიმე ხნით დაიშალა. ოთილიეს მიეცა შესაძლებლობა განმარტოებულიყო და ტირილით ეჯერა გული. არც ერთ ტკივილს არ გაუწვალებია იგი ისე, როგორც გააწვალა იმ სიცხადემ, რომლის კიდევ უფრო გაცხადებისკენ ისწრაფვოდა, ჩვეულებრივ ასე ხდება ხოლმე, ჩვენ ვიწყებთ ჩვენი თავის წამებას, როგორც კი რაიმე გვაწამებს.

ედუარდის მდგომარეობა იმდენად სავალალო, იმდენად უბადრუკი ეჩვენებოდა, რომ გადაწყვიტა, რაღაც უნდა დასჯდომოდა, ყველაფერი ეღონა იმისთვის, ედუარდი შარლოტეს დაბრუნებოდა, ხოლო საკუთარი ტკივილი და სიყვარული სადღაც მყუდრო ადგილას გადაემალა და რაიმე საქმიანობით მიეყუჩებინა.

ლორდის თანამგზავრმა, შეგნებულმა, დინჯმა, ფრიად დაკვირვებულმა კაცმა, შეამჩნია ის შეცდომა, ლორდმა რომ დაუშვა საუბარში და მეგობარს მიუთითა მდგომარეობათა მსგავსებაზე. ლორდმა არ იცოდა, თუ რა მდგომარეობა იყო ედუარდის ოჯახში, მაგრამ მისმა თანამგზავრმა, რომელსაც მოგზაურობის დროს სხვა არაფერი აინტერესებდა, გარდა უცნაური ამბებისა, რომელთაც იწვევს ბუნებრივი და ხელოვნური ურთიერთობანი, კანონსა და თავნებობას, ჭკუასა და გონიერებას, ვნებასა და ცრურწმენას შორის კონფლიქტი. მან ადრევე, თვით ამ სახლში გაიგო, რა მოხდა და რა ხდებოდა ამჟამად.

ლორდს ამ ამბავმა გული ატკინა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია. თუ არ გინდა ზოგჯერ ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდე საზოგადოებაში, მუდამ უნდა დუმდე, რადგან არა მარტო საგულისხმო შენიშვნები, არამედ ყოველად ტრივიალური მსჯელობაც კი შეიძლება მტკივნეულად შეეხოს დამსწრეთა ინტერესებს.

– ამ შეცდომას ჩვენ ამ საღამოსვე გამოვასწორებთ, – უთხრა ლორდმა, – და ყოველგვარი ზოგადი საუბრისგან თავს შევიკავებთ, მოუყევით მასპინძლებს რაიმე იმ მრავალი სასიამოვნო და საყურადღებო ანეკდოტიდან, იმ ამბებიდან, ჩვენი მოგზაურობის დროს რომ გაამდიდრეთ თქვენი პორტფელი და მეხსიერება.

მიუხედავად საუკეთესო სურვილისა, სტუმრებმა ამჯერად ვერ შეძლეს მეგობრების უწყინარი საუბრით გამხიარულება, რადგან მას შემდეგ, რაც ლორდის თანამგზავრმა მასპინძლების ყურადღება გაამახვილა და უდიდესი თანაგრძნობა გამოიწვია უცნაური, ღირსშესანიშნავი, მხიარული, გულის ამაჩუყებელი, საშინელი ამბების მოყოლით, იფიქრა, თუმც უცნაური, მაგრამ უფრო სასიამოვნო ამბით დავამთავრებო და ვერ წარმოიდგენთ, როგორ ენათესავებოდა ის ამბავი მსმენელების ბედს.

მეზობლის უცნაური შვილები

(ნოველა) ორ წარჩინებულ მეზობელ ოჯახში შვილებს, ბიჭსა და გოგოს, რომელთაც ასაკი ხელს უწყობდა, რომ შემდგომში ცოლ-ქმარი გამხდარიყვნენ, ამ მომავლის იმედით ერთად ზრდიდნენ და მათ მშობლებს უკვე ახარებდა მომავალი მოყვრობა. მაგრამ ძალიან მალე მიხვდნენ, რომ მათი განზრახვა ჩაიფუშებოდა. ამ ორი შესანიშნავი ბუნების ბავშვში ერთმანეთისადმი უცნაურმა სიძულვილის გრძნობამ იჩინა თავი. იქნებ იმიტომ, რომ მეტისმეტად ჰგავდნენ ერთმანეთს. ორივე შთაგონებული, მტკიცე ნებისყოფისა იყო, არ გადათქვამდნენ, რასაც გადაწყვეტდნენ. თითოეული ცალ-ცალკე უყვარდათ თანატოლებს და პატივს სცემდნენ, მაგრამ როცა ერთად იყვნენ, მუდამ ეჯინებოდნენ ერთმანეთს, თითოეული მათგანი თავისთვის აშენებდა რაღაცას და მოწინააღმდეგის აშენებულს ანგრევდა. ისინი არასოდეს ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ერთი მიზნის მიღწევაში, მაგრამ მუდამ ერთი რაღაცისთვის იბრძოდნენ. ჩვეულებრივ უაღრესად ზნეკეთილნი და სანდომიანი ბავშვები იყვნენ, მაგრამ როცა ერთმანეთთან ურთიერთობას ეხებოდა საქმე, მოძულენი და გაბოროტებულნიც კი.

ეს უცნაური დამოკიდებულება ჯერ კიდევ მაშინ გამომჟღავნდა, ბავშვურ თამაშებს რომ თამაშობდნენ, მაგრამ რაც უფრო მეტი წელი გადიოდა, მით უფრო მძაფრდებოდა. მსგავსად იმ ბიჭებისა, ომობანას რომ თამაშობენ, ორ ბანაკად იყოფიან და ერთმანეთს ბრძოლას უმართავენ, ჯიუტი და გაბედული გოგონა ერთხელ ასე ჩაუდგა ერთ რაზმს სათავეში და მეორის წინააღმდეგ ისეთი ძალითა და გაცხარებით იბრძოდა, რომ მოწინააღმდეგეს სამარცხვინოდ დაამარცხებდა და გააქცევდა, მისი მოჭიშპე მამაცურად რომ არ დახვედროდა, ბოლოს და ბოლოს მოწინააღმდეგე გოგონა არ განეიარაღებინა და ტყვედ არ ჩაეგდო. მაგრამ დატყვევებულიც ისეთი ძალით იცავდა თავს, საკუთარი თვალებიც რომ შეენარჩუნებინა და არც გოგონასთვის მიეყენებინა ზიანი, ვაჟი იძულებული შეიქნა, კისრიდან აბრეშუმის ყელსახვევი მოეგლიჯა და გოგონასთვის ხელები

შეეკრა ზურგზე.

ეს მარცხი გოგონამ ვერაფრით აპატია ვაჟს, ის კი არა და ისეთ ფარულ ხერხებსა და ხრიკებს მიმართავდა იმიტომ, რომ ვაჟისთვის ზიანი მიეყენებინა, მშობლები, რომელთაც ამ უცნაურ გამმაგებას დიდი ხანია მიაქციეს ყურადღება, შეთანხმდნენ და გადაწყვიტეს ორი გადამტერებული არსების დაშორება და თავიანთ სანუკვარ იმედზე ხელის აღება.

ვაჟმა, რომელიც სხვა გარემოში აღმოჩნდა, მალე გამოიჩინა თავი და ყველაფერი შესანიშნავად შეითვისა, რასაც კი ასწავლიდნენ. მფარველებისა და საკუთარი მიდრეკილებების კარნახით სამხედრო კარიერა აირჩია. ყველგან, სადაც კი ყოფნა უნდებოდა, უყვარდათ და პატივს სცემდნენ. შესანიშნავი თვისებებით დაჯილდოებული თითქოს მარტო სხვების კეთილდღეობისთვის, სხვათა გასახარად მოქმედებდა და გულში, ისე რომ გაცნობიერებული არ ჰქონდა, ძალიან ბედნიერად რაცხდა თავს იმის გამო, რომ ჩამოაცილეს ერთადერთი მოქიშპე, ბუნებამ რომ მისთვის შექმნა.

გოგონაში კი პირიქით, გარდატეხა ერთბაშად მოხდა, ასაკმა, შესაფერისმა განათლებამ და უფრო მეტად ერთგვარმა შინაგანმა გრძნობამ გული ააყრევინა იმ უხემ თამაშზე, აქამდე რომ ბიჭების საზოგადოებაში ეტანებოდა. მაგრამ რაღაც მაინც აკლდა: მის ირგვლივ ისეთი არაფერი იყო, მისი სიძულვილი რომ გამოეწვია, ხოლო მისი სიყვარული ჯერჯერობით ვერავინ დაიმსახურა.

ერთმა ახალგაზრდა კაცმა, მის ყოფილ მოქიშპე მეზობელზე უფროსმა, დიდგვაროვანმა, შეძლებულმა, ფართო საზოგადოებაში ცნობილმა, რომელსაც ქალები ეტანებოდნენ, ქალიშვილისადმი დაუოკებელი ლტოლვა იგრძნო. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ მეგობარი, შეყვარებული, თაყვანისმცემელი თავს დასტრიალებდა. დიდად სიამოვნებდა ის ამბავი, რომ გამოარჩიეს მასზე უფროს, განათლებულ, უფრო პეწიან ქალიშვილებს შორის, რომელთაც მეტი პრეტენზიების უფლება ჰქონდათ. ვაჟის ყოველდღიურმა, მაგრამ არამომაბეზრებელმა ყურადღებამ, მისმა ერთგულმა თანადგომამ სხვადასხვა უსიამოვნო შემთხვევაში, იმან, რომ მან მშობლებს გაუმხილა, თქვენი ქალიშვილი ცოლად უნდა შევირთოო და დაიმედებული დინჯად ელოდა სასურველ დღეს, ქალიშვილი ვაჟის სასარგებლოდ განაწყობდა. ამას ხელი შეუწყო შეჩვევამ, მათი ურთიერთობის გარეგნულმა მხარემ, რაც საზოგადოებამ ცნო და აღიარა. მას ისე ხშირად უწოდებდნენ საცოლეს, რომ ბოლოს და ბოლოს თვითონვე ირწმუნა, ხოლო როცა ბეჭედი გაუცვალა იმას, ვინც უკვე დიდი ხანია ითვლებოდა მის საქმროდ, არც თვითონ ქალიშვილი და არც სხვა ვინმე არ ფიქრობდა, რომ მათ კიდევ ერთი გამოცდა ელოდათ.

დროის მშვიდი დინება დანიშვნასაც არ დაუჩქარებია. ორივე მხარემ მოვლენები თავის ნებაზე მიუშვა. უხაროდათ, რომ ერთად ცხოვრობდნენ და უნდოდათ წლის ამ მშვენიერი დროით სავსებით დამტკბარიყვნენ როგორც უფრო სერიოზული მომავალი ცხოვრების გაზაფხულით.

ამ ხნის განმავლობაში გადახვეწილმა ჭაბუკმა მშვენიერი განათლება მიიღო, თავის ცხოვრებისეული დანიშნულების შესაფერ საფეხურზე ავიდა და თავისიანების მოსახარებლად შვებულებით შინ ჩამოვიდა. სრულიად ბუნებრივად, მაგრამ მაინც უცნაურად კიდევ ერთხელ აღმოჩნდა თავისი ლამაზი მეზობლის პირისპირ. ბოლო დროს ქალიშვილი, როგორც საცოლე, მხოლოდ გულთბილი, ოჯახური გრძნობებით საზრდოობდა, ყველაფერთან შეხმატკბილებული იყო, რაც ირგვლივ ერტყა. მას ეგონა ბედნიერი ვარო და ერთი შეხედვით იყო კიდევ, მაგრამ ახლა, დიდი ხნის შემდეგ, კვლავ დაუპირისპირდა ვიღაც და ის ვიღაც სიძულვილს არ იწვევდა, ქალიშვილმა სიძულვილის უნარი დაკარგა. დიან, ბავშვური სიძულვილისა, რაც სინამდვილეში მხოლოდ მოწინააღმდეგის შინაგანი ღირსებების აღიარება იყო და ახლა ხალისიან გაცებაში, სიხარულის მომგვრელ თვალთვლებაში, გულწრფელ ცნობისმოყვარეობაში, ნახევრად ნება-სურვილით ნაკარნახევ, ნახევრად უნებურ დაახლოებაში გადაიზარდა და ეს ყველაფერი ორმხრივი იყო. ხანგრძლივმა დაშორებამ ხანგრძლივი საუბრის საბაბი მისცათ. ჭკუადამჯდარნი ახლა იმ ბავშვურ უგუნურებას ხუმრობით იგონებდნენ და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს უგუნური სიძულვილი მეგობრულ ყურადღებას უნდა გამოესწორებინა, თითქოს იმ იძულებით დაუფასებლობას ამიერიდან აშკარა დაფასება უნდა დაპირისპირებოდა.

რაც შეეხება ვაჟს, მას არ გადაუბიჯებია სასურველი გონივრული ზღვრისათვის. მდგომარეობა, ცხოვრების პირობები, მისწრაფებანი, პატივმოყვარეობა, ყოველივე ამაზე იმდენს ფიქრობდა, რომ მშვენიერი საცოლის კეთილგანწყობას მაღლიერების გრძნობით იღებდა, როგორც ყველაფერ დანარჩენის დანამატს, არ უკავშირებდა ამას საკუთარ თავს და არც შურდა საქმროსი, რომელთანაც სხვათა შორის საუკეთესო ურთიერთობა ჰქონდა.

ქალიშვილის სულში კი სულ სხვა ხდებოდა, თითქოს სიზმარში იყო და გამოელვინა. მისი პირველი ვნება სწორედ ყმაწვილი მეზობლის წინააღმდეგ ბრძოლა იყო და ეს მძაფრი ბრძოლა წინააღმდეგობის გაწევის ფორმით თანდაყოლილ სიყვარულში გამოიხატებოდა. და ახლა რომ ამ ამბავს იგონებდა, ეგონა ვაჟი მუდამ უყვარდა. იმის გახსენებაზე, რა გამატებით ებრძოდა

იარაღით ხელში, ელიმებოდა. იგი საკუთარ თავს არწმუნებდა, რომ უდიდესი ნეტარება დაეუფლა, როცა ვაჟმა განაიარაღა და ხელები შეუკრა. ის, რასაც მაშინ მისთვის ზიანი მიუყენებია და განურისხებია, ახლა უწყინარ საშუალებებად მიაჩნდა, რითაც მისი ყურადღების მიპყრობა სურდა. ქალიშვილი წყევლიდა მათი დაშორების დღეს, წყევლიდა თავის თავს იმის გამო, ძილმა რომ შეიპყრო, რის შედეგადაც მისი საქმრო ეგზომ არად მისაჩნევი პიროვნება გახდა. ქალიშვილი შეიცვალა, ორმაგად შეიცვალა, წინაც წავიდა და უკანაც დაიხია და ეს ისე გაიგეთ, როგორც გენებოთ.

ვინმეს რომ შესძლებოდა გარკვევა იმ გრძნობებში, რომელთაც მთელი თავისი არსებით მალავდა და ზიარებოდა მათ, ქალიშვილს არ გაკიცხავდა, რადგან მისი საქმრო მართლაც ვერ უძლებდა მის მეზობელთან შედარებას, როცა ისინი ერთმანეთის გვერდით იყვნენ. თუ ერთი ნაწილობრივ იმსახურებდა ნდობას, მეორე სრულ ნდობას იწვევდა, თუ ერთს სიამოვნებით მიიღებდი საზოგადოებაში, მეორეს თანამგზავრად ინატრებდი. საკმარისი იყო მოგსურვებოდა რაიმე სახიფათო საქმეში ერთობლივი მონაწილეობა, უჩვეულო განსაცდელი, პირველში ცოტათი მაინც დაეჭვდებოდი, მეორეს კი უყოყმანოდ მიენდობოდი. ქალებს აქვთ ამის ალღო, რომ ასეთ ვითარებაში გაერკვნენ და ამ ალღოს განსავითარებლად მიზეზსაც პოულობენ და შემთხვევასაც.

რაც უფრო მეტად საზრდოობდა ლამაზი საცოლის ამგვარი სრულიად იდეალური ფიქრებით, რაც უფრო ნაკლებად ეძლეოდა ვინმეს შემთხვევა, საქმროს სასარგებლოდ ეთქვა მისთვის რამე, გამოეთქვა აზრი, გარემოება და მოვალეობა რომ მოითხოვდა, რისკენაც თითქოს გადაჭრით მოუწოდებდა გარდაუვალი აუცილებლობა, მით უფრო მეტად უწყობდა ხელს თავისი კეთილი გულის ამ ცალმხრივ ვნებას. და რადგან მას ერთი მხრივ საზოგადოება, ოჯახი, საქმრო და საკუთარი თანხმობა უბოროტავდა ხელ-ფეხს, მეორე მხრივ პატივმოყვარე ჭაბუკი არ მალავდა თავის ფიქრებს, გეგმებს, ზრახვებს, მას კი ისე ეპყრობოდა, როგორც ერთგული, მაგრამ არცთუ ისე ნაზი ძმა და ერთხელ თავის მოახლოებულ გამგზავრებაზეც კი ჩამოუგდო სიტყვა, ყოველივე ამან კვლავ გააღვიძა მასში ის ბავშვური სული მთელი თავისი ვერაგობითა და გააფთრებით და ახლა ცხოვრების უფრო მაღალ საფეხურზე უკიდურესი აღშფოთებით ემზადებოდა უფრო გადამჭრელი და დამლუპველი ქმედებისთვის. მან გადაწყვიტა მომკვდარიყო, რომ ოდესღაც საძულველი ყმაწვილი, რომელიც ახლა გაგიჟებით უყვარდა, გულცივობისათვის დაესაჯა და რადგან არ შეეძლო დაუფლებოდა მას, სურდა საუკუნოდ დარჩენილიყო მის წარმოსახვაში, ყოფილიყო მისი სინანულის საგანი. სურდა, რომ გარდაცვალების შემდეგ მისი სახე თავიდან ვერ მოეცილებინა, ყოველთვის ესაყვედურა საკუთარი თავისთვის, რომ მისი ფიქრები ვერ ამოიკითხა, ვერ გაუგო, ვერ დააფასა.

ეს საშინელი სიშმაგე ყველგან თან სდევდა და მიუხედავად იმისა, რომ ყოველნაირად ნიღბავდა, ადამიანებს მის ახირებად ეჩვენებოდათ, რადგან არავინ იყო იმდენად ყურადღებიანი და ეჭვიანი, რომ მის შიგნით, ნამდვილ მიზეზს ჩასწვდომოდა.

ამასობაში მეგობრები, ნათესავები, ნაცნობები ტვინს იჭყლეტდნენ სხვადასხვა ზეიმის გამართვაში. იშვიათად თუ გაივლიდა დღე, რაღაც ახალი და მოულოდნელი არ მოეწყოთ. ძნელად მოინახებოდა ამ მხარეში ისეთი მშვენიერი ადგილი, რომელიც არ მოერთოთ მხიარული სტუმრების მისაღებად. გამგზავრების წინ ჩვენმა ჩამოსულმა ახალგაზრდამაც მოისურვა სხვებს არ ჩამორჩენოდა, ახლო ნათესავებთან ერთად ახალგაზრდა წყვილიც დაპატიჟა წყალზე გასასეირნებლად. ავიდნენ დიდ, ლამაზ, კარგად აღჭურვილ ხომალდზე, ერთ-ერთ იმგვარ იახტაზე, სადაც მოწყობილია პატარა დარბაზი და რამდენიმე ოთახი, რაც ხმელეთის კეთილმოწყობის წყალზე გადატანის ცდაა.

მუსიკა უკრავდა და ხომალდი დიდ მდინარეზე მიცურავდა, დღისით, როცა ჩამოცხა, საზოგადოებამ ზემო ოთახებში მოიყარა თავი, ახალგაზრდა მასპინძელი, რომელსაც უსაქმოდ ყოფნა არ შეეძლო, საჭეს მიუჯდა და შეენაცვლა მოხუც მესაჭეს, რომელსაც მის გვერდით ჩაეძინა. ახალგაზრდა კაცს სწორედ ახლა უნდა გამოეჩინა მთელი გულისყური და სიფხიზლე, რადგან ისეთ ადგილს უახლოვდებოდნენ, სადაც მდინარის კალაპოტს ორი კუნძული ავიწროებდა, მათი ნაპირები დაბალი, კენჭებით დაფარული იყო და ხან ერთი, ხან მეორე მხრიდან წყალში იჭრებოდნენ და კალაპოტს სახიფათოს ხდიდნენ. ჩვენი კეთილსინდისიერი და მზერაგამახვილებული მოხალისე მესაჭე კინალამ აპყვა ცდუნებას, მოხუცი გაეღვიძებინა, მაგრამ საკუთარ თავს ენდო და ვიწრო სრუტისკენ გაცურა. იმწამს გემბანზე მისი მშვენიერი მეტოქე გამოჩნდა, თავზე ყვავილების გვირგვინი ეხურა. ქალიშვილმა გვირგვინი მოიძრო და საჭესთან მჯდომ ჭაბუკს გადაუგდო.

– სახსოვრად მომიძღვნია! – მიაძახა ვაჟს.

– ხელს ნუ მიშლი! – გამოსძახა ვაჟმა და გვირგვინი დაიჭირა, – მთელი ჩემი გულისყური და ძალისხმევა სწორედ ახლა მჭირდება.

– ამიერიდან ხელს აღარასოდეს შეგიშლი, შენ მე ველარ მნახავ, – დაიძახა ქალიშვილმა, ხომალდის კიჩოსკენ გაეშურა და წყალში გადახტა, რამდენიმე ხმამ ერთად იყვირა: – გადაარჩინეთ, გადაარჩინეთ, დაიხრჩობა.

ვაჟი საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ხმაურმა მესაჭე გააღვიძა. მოხუცი საჭეს წაეპოტინა, ახალგაზრდა კაცმა მისი გადაცემა დააპირა, მაგრამ ის დრო არ იყო, მესაჭეობაში შენაცვლებოდნენ ერთმანეთს. გემი გაირიყა და სწორედ იმწამს, გაიძრო რა ზედა ტანსაცმელი, ვაჟი მდინარეში გადაეშვა და ცურვით დაედევნა მშვენიერ მოქიშპეს.

წყალი თავაზიანი სტიქია იმისთვის, ვინც მას იცნობს და იცის, როგორ მოექცეს. ვაჟი წყალს მიჰყვებოდა და მამაცურად უმკლავდებოდა მას. მალე დაეწია კიდეც მშვენიერ ქალიშვილს, რომელიც წყალს მიჰქონდა. დაეწია, ხელი სტაცა, მოახერხა მისი ცალ ხელში აყვანა და ტარება. ნაკადმა ისინი კიდეც უფრო ძლიერ გაიტაცა და მანამდე ატარა, სანამ პატარა კუნძულები შორს არ ჩამოიტოვეს, მდინარე ისევ არ გაფართოვდა და მდორედ არ დაიწყო დინება. ვაჟმა მხოლოდ ახლა სძლია თავს, მხოლოდ ახლა მოეგო გონს იმ პირველი თავზარდამცემი გასაჭირის შემდეგ, როცა დაუფიქრებლად, მხოლოდ მექანიკურად მოქმედებდა. თავი მალა ასწია, ირგვლივ მიმოიხედა და ცალი ხელით გაცურა იმ დაბალი, ბუჩქებით დაფარული ნაპირისკენ, რომელიც მსუბუქად და მოხერხებულად იჭრებოდა მდინარეში. იქ თავისი მშვენიერი ნადავლი მშრალზე გაიყვანა, მაგრამ ქალიშვილს სასიცოცხლო პირი აღარ უჩანდა. სასოწარკვეთილმა უეცრად ბილიკს მოჰკრა თვალი, რომელიც ბუჩქებს შორის მიიკლავებოდა. კვლავ აიყვანა ხელში ძვირფასი ტვირთი, მალე განმარტოებული ქოხი შენიშნა და იქამდე მიაღწია. ქოხში დახვდა კეთილი ადამიანები, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი. უბედურება, გაჭირვება სწრაფად გამოგანახვინებს სხვებთან საერთო ენას. რაც მცირე დაფიქრების შემდეგ მოითხოვა, ყველაფერი გაკეთდა. ააგიზგიზეს ცეცხლი, საწოლზე გაშალეს მატყლის საბნები, სახელდახელოდ მოზიდეს ქურქები, ტყავები, ყველაფერი, რაც კი მომარაგებული ჰქონდათ და გასათბობად ვარგოდა. ყველა სხვა მოსაზრებას ქალიშვილის გადარჩენის სურვილმა სძლია. არაფერი დაუკლიათ, რომ მშვენიერი, ნახევრად გაშეშებული შიშველი სხეულისთვის სიცოცხლე დაებრუნებინათ, და დაუბრუნეს კიდეც. ქალიშვილმა თვალეხი გაახილა, დაინახა მეგობარი, კისერზე ღვთიური მკლავები შემოაჭდო, ასე იყო დიდხანს გატრუნული, შემდეგ ცრემლი წასკდა, რამაც საბოლოოდ გამოამჯობინა.

– ნუთუ ახლა უნდა მიმატოვო, – წამოიძახა ქალიშვილმა, – როცა კვლავ გიპოვე?

– არა, არა, არასოდეს! – წამოიძახა ვაჟმაც და თვითონვე აღარ იცოდა, რას ამბობდა, რას აკეთებდა.

– ოღონდ თავს მოუარე, – განაგრძო მან, – გაუფრთხილდი შენს თავს, იფიქრე შენზეც და ჩემზეც.

ქალიშვილი თვითონაც დაფიქრდა და მხოლოდ ახლა შენიშნა, რა დღეშიც იყო. მას არ შეეძლო შერცხვენოდა თავისი შეყვარებულის, გადამრჩენელის, მაგრამ სიხარულით მოიშორა ვაჟი, რომ მასაც მიეხედა საკუთარი თავისთვის, თავიდან ფეხებამდე გალუპული იყო, წყალი წურწურით ჩამოსდიოდა.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა მოილაპარაკა და ქმარმა ვაჟს, ცოლმა კი მშვენიერ ასულს თავიანთი საქორწინო ტანსაცმელი შესთავაზეს. ყველაფერი იქვე ეკიდა და კმაროდა ერთი წყვილის თავიდან ფეხებამდე შესამოსად. მალე ორივე თავგადასავლის მაძიებელი არა მარტო ჩაცმულ-დახურული იყო, არამედ გამოკოჰწიავებულიც. ისინი უაღრესად მომხიბვლელნი ჩანდნენ, და როცა ტანისამოსის გამოცვლის შემდეგ კვლავ შეეგებნენ ერთმანეთს, დაუოკებელი ვნებით შეპყრობილებმა და მაინც გაღიმებულებმა იმის გამო, რომ საქორწილო ტანსაცმელი ეცვათ, ერთმანეთი გულში ჩაიკრეს. ახალგაზრდულმა ძლევამოსილებამ და სიყვარულისგან გამოწვეულმა აღტაცებამ ისინი რამდენიმე წუთში ძველებურად გააღონიერა, ახლა მხოლოდ მუსიკა აკლდათ, რომ ცეკვა დაეწყათ.

თვალის დახამხამებაში რომ წყალს ხმელეთი შეენაცვლოს, სიკვდილს სიცოცხლე, ოჯახურ გარემოს უდაბური ადგილი, სასოწარკვეთილებას ნეტარება, გულგრილობას სიყვარული და ვნება – გონება არ კმარა ამისთანა რამის გასაგებად, იგი ან დაირღვეოდა, ან აირეოდა. როცა ასეთი მოულოდნელი ამბების ატანაა საჭირო, მაშინ გულმა უნდა იმარჯვოს.

ერთი მეორით მთლიანად შეპყრობილებმა, მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ დაიწყეს ფიქრი იმაზე, თუ რა შეწუხებულნი იქნებიან მათი ახლობლები და თვითონვე შეწუხდნენ და შეშინდნენ, როცა დაფიქრდნენ, როგორ უნდა შეხვედროდნენ მათ.

– ხომ არ გავიქცეთ, ხომ არ დავიშალოთ? – ჰკითხა ვაჟმა.

– ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ, – უთხრა ქალიშვილმა და კისერზე ჩამოეკიდა.

გლები, რომელმაც გემის გარიყვის ამბავი მათგან გაიგო, ზედმეტი გამოკითხვის გარეშე გაეშურა

ნაპირისკენ. თავთხელიდან დიდი გაჭირვებით თავდახსნილი გემი მშვიდობიანად მოჰყვებოდა დინებას. მოცურავდნენ ალაღბედზე, იმის იმედით, იქნებ დაკარგულები ვიპოვოთო. ამიტომ, როცა გლენმა ძახილითა და ხელების ქნევით მგზავრთა ყურადღება მიიპყრო, იქ მიირბინა, სადაც მისადგომად უფრო ხელსაყრელი ადგილი იყო და განაგრძობდა ყვირილსა და ხელების ქნევას, გემი ნაპირისკენ შემობრუნდა. მაგრამ რა სანახაობა ელოდათ მათ, როცა ხმელეთზე ფეხი დადგეს. პირველად ნაპირს დანიშნულთა მშობლებმა მიაშურეს, შეყვარებულმა საქმრომ კინალამ გონება დაკარგა. როგორც კი გაიგონეს, რომ საყვარელი შვილები გადარჩნენ, ისინიც მაშინვე გამოვიდნენ ბუჩქებიდან საოცარ ტანსაცმელში გამოწყობილნი და სანამ ახლოს არ მივიდნენ, ქალ-ვაჟი ვერავინ იცნო.

– ამათ ვის ვხედავთ! – წამოიძახეს დედებმა.

– ამას რას ვხედავთ! – წამოიძახეს მამებმა.

გადარჩენილები მათ ფეხქვეშ ჩაუვარდნენ.

– ხედავთ თქვენს შვილებს, – წამოიძახეს მათ, – შეწყვილებულებს.

– გვაპატიეთ! – წამოიძახა ქალიშვილმა.

– დაგვლოცეთ! – წამოიძახა ვაჟმა.

– დაგვლოცეთ! – წამოიძახა ორივემ ერთად, რადგან გაოგნებული საზოგადოება დუმდა.

– დაგვლოცეთ! – გაისმა მათი ხმა მესამედ და განა შეეძლო კი ვინმეს უარი ეთქვა მათთვის.

თავი მეთერთმეტე

ლორდის თანამგზავრი შეყოვნდა, ან უფრო სწორად უკვე დამთავრებული ჰქონდა თხრობა, როცა შენიშნა, რომ შარლოტე უადრესად აღელვებული იყო. იგი წამოდგა კიდეც და უხმო ბოდიშის მოხდით დატოვა ოთახი: ეს ამბავი შარლოტესთვის ნაცნობი იყო, ამგვარი რამ მართლაც შეემთხვა კაპიტანს და მის მეზობელ ქალიშვილს. თუმცა მთლად ისე არ მომხდარა ყველაფერი, როგორც ინგლისელი მოჰყვა, მაგრამ ძირითად შტრიხებში არ დაუმახინჯებია, მხოლოდ ცალკეული ეპიზოდები განავითარა და შეალამაზა, როგორც ამგვარ ამბებს ემართება ხოლმე, როცა ისინი ბრბოს ჩაუვარდება პირში და ბოლოს გონებამახვილი, გემოვნებიანი მთხრობელის ფანტაზიაში გატარდება. საბოლოოდ ყველაფერი ისევე რჩება და არც რჩება ისე, როგორც იყო.

ორივე სტუმრის თხოვნით ოთილიე შარლოტეს გაჰყვა და მაშინ ლორდმა, ახლა უკვე თავის მხრივ შენიშნა, იქნებ ამჯერადაც დავუშვით შეცდომა და ამ ოჯახისთვის ცნობილი ამბავი ან მსგავსი რაღაც მოვყევითო.

– სიფრთხილე გვმართებს, – განაგრძო მან, – რომ კიდეც უარესი რამ არ ჩავიდინოთ. ეტყობა იმ სიკეთისა და სიამოვნებისთვის, რაც მათ მოგვანიჭეს, ქალებს ნაკლებ სიხარულს ვანიჭებთ. უნდა ვიპოვოთ საბაბი და მასპინძლებს ისე გამოვემშვიდობოთ, როგორ წესი და რიგია.

– უნდა ვაღიარო, – უპასუხა თანამგზავრმა, – რომ მე აქ ერთი გარემოება მაკავებს და სანამ იმაში არ გავერკვევი, არ გავიგებ, რა ხდება, მიჭირს ამ სახლის დატოვება. გუშინ, მილორდ, როცა პორტატიული კამერა-ობსკურათი პარკში მოვდიოდით, თქვენ ისე იყავით დაკავებული თვალწარმტაცი ადგილის შერჩევით, რომ ვერც კი შეამჩნიეთ, რა ხდებოდა თქვენ ირგვლივ. იმ ადგილამდე რომ მიგელწიათ ტბასთან, სადაც ნაკლები ხალხი ტრიალებს და საიდანაც თვალწარმტაცი ხედი იშლება, თქვენ მთავარი გზიდან გადაუხვიეთ. ჩვენ ნავში ჩავსხედით და ლამაზი ქალის სიმარჯვემ სიხარული მომანიჭა. მე იგი დავარწმუნე, რომ შვეიცარიის შემდეგ, სადაც მომხიბვლელი ქალიშვილები ასევე უსვამენ ნიჩბებს, უფრო სასიამოვნოდ არავის ვურწევინარ ტალღებზე, მაგრამ თავი ვერ შევიკავე და ვკითხე, შემოსასვლელი გზით წამოსვლაზე რატომ თქვით უარი-მეთქი. მის უარში მართლაც იგრძნობოდა ერთგვარი შიშნარევი უხერხულობა. „თუ არ დამცინებთ, – მიპასუხა მან ხალისიანად, – მოგახსენებთ, თუმცა ეს ამბავი ჩემთვისაც საიდუმლოებითაა მოცული. არ ყოფილა შემთხვევა, იმ შემოვლითი გზით მესარგებლა და უჩვეულო ძრწოლას არ ავეტანე, რასაც ჩვეულებრივ არსად განვიცდი, მით უმეტეს, რომ ამის შემდეგ მარცხენა მხარეს თავის ტკივილი მეწყება, რაც ჩვეულებრივ ზოგჯერ მაწუხებს ხოლმე“.

– ნაპირს მივადექით, ოთილიე თქვენ გელაპარაკებოდით, ამასობაში მე მივათვალე იერ-მოვათვალე იერე ის ადგილი, რომელიც შორიდან ცხადად დამანახვა. მაგრამ რაოდენ დიდი იყო ჩემი გაოცება, როცა იმ ადგილას, ქვანახშირის მეტისმეტად მკაფიო კვალი აღმოვაჩინე, რამაც დამარწმუნა იმაში, ცოტა ღრმად რომ გათხარონ მიწა, შეიძლება ქვანახშირის მდიდარი საბადო აღმოაჩინონ.

– მაპატიეთ, მილორდ: ვხედავ გელიმებათ და მშვენივრად ვიცი, როგორც ბრძენი კაცი და როგორც მეგობარი, ჩემს ყურადღებთანობასა და ისეთ რაღაცებზე, რაც სრულიად არ გწამთ, თვალს ხუჭავთ. მაგრამ მე აქაურობას მანამდე არ მივატოვებ, სანამ იმ მშვენიერ ქალიშვილს ქანქარის რხევის ცდას არ ჩავუტარებ.

არ ყოფილა შემთხვევა, როცა ამ საკითხზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, ლორდს არ გაემეორებინოს საწინააღმდეგო მოსაზრებანი, რასაც მისი თანამგზავრი თავმდაბლად და მოთმინებით ისმენდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც არ თმობდა თავის აზრს და განზრახვას. ისიც თავის მხრივ უმტკიცებდა, რომ თუ ამგვარი ცდა ყოველ ადამიანზე არ ჭრის, ამ საქმეს მაინც არ უნდა მოეშვა, პირიქით, უფრო სერიოზულად და საფუძვლიანად უნდა შეისწავლო, რადგან უთუოდ გამოამკარავდებოდა ესა თუ ის დამოკიდებულება და ნათესაობა არაორგანულ ნივთიერებათა ერთმანეთთან, მათი ორგანულ ნივთიერებებთან და ამ უკანასკნელთა დამოკიდებულება ერთმანეთთან, რაც ამჟამად ჩვენგან დაფარულია.

ლორდის თანამგზავრმა უკვე მოამზადა თავისი აპარატი, რომელიც ოქროს რგოლების, ალმადინისა და სხვა მინერალებისგან შედგებოდა. აპარატი მას პატარა, ლამაზი ყუთით ყველგან თან დაჰქონდა, ცდა რომ ჩაეტარებინა, ძაფზე ჩამოკიდებული ლითონის მსხვილი რგოლები ძირს დალაგებულ ლითონის რგოლებზე დაუშვა და თან თქვა: – მიყურეთ, მიყურეთ იმ ნიშნის მოგებით, მილორდ, სახეზე რომ გაწერიათ, ნიშნის მოგებით იმის გამო, რომ ჩემი წყალობით და ჩემი ნების მიხედვით არაფერი ამოძრავდა. მაგრამ ის, რასაც მე ვაკეთებ, მხოლოდ საბაბია. როცა ქალბატონები დაბრუნდებიან, ცნობისმოყვარეობა შეიპყრობთ, რა უცნაური რაღაცითა ვართ ჩვენ აქ დაკავებული.

ქალბატონები დაბრუნდნენ. შარლოტე მაშინვე მიხვდა, რა ხდებოდა აქ.

– ამგვარ ხელსაწყოებზე ბევრი რამ მსმენია, – თქვა მან, მაგრამ შედეგი არასოდეს მინახავს, და რადგან თქვენ ყველაფერი ლამაზად მოაწყვეთ, ნება მომეცით, იქნებ მეც გამომივიღეს რამე.

შარლოტემ ძაფს ხელი მოჰკიდა და რადგან საქმეს ხუმრობის გარეშე შეუდგა, ძაფი მაგრად ეჭირა, ყოველგვარი სულიერი მღელვარების გარეშე, მაგრამ ძაფი ოდნავაც კი არ შერხეულა. მას შემდეგ ოთილიეს რიგი დადგა. ქალიშვილს ქანქარა კიდევ უფრო მშვიდად, ბუნებრივად უფრო გაუცნობიერებლად ეჭირა ძირს დალაგებული ლითონების თავზე და იმწამსვე ქანქარა თითქოს ძლიერმა გრიგალმა წარიტაცა და დაიწყო ტრიალი ხან ერთ, ხან მეორე მხარეს, იმისდა მიხედვით, თუ როგორ ცვლიდნენ ძირს დალაგებულ ლითონებს. ქანქარამ ხან წრე შემოხაზა, ხან ელიფსი, ხანაც სწორხაზოვნად ქანაობდა აქეთ-იქით, რაც შეესაბამებოდა ლორდის თანამგზავრის მოლოდინს, მეტიც, ყოველგვარ მოლოდინსაც კი გადააჭარბა.

ამ ამბავმა თვით ლორდიც კი შეაცბუნა რამდენადმე, მაგრამ მისი თანამგზავრი იმდენად აღტაცებული და კმაყოფილი იყო, რომ ვერაფრით მოეშვა ცდას და წამდაუწუმ ითხოვდა გამეორებას, ცდის გამრავალფეროვნებას. ოთილიემ იმდენი ხათრიანობა გამოიჩინა, რომ არ გააწბილა, მაგრამ ბოლოს თავაზიანად სთხოვა, მომეშვით, რადგან ისევ თავის ტკივილი დამეწყო. გაოცებული და აღფრთოვანებული თანამგზავრი გულმოდგინედ არწმუნებდა, ამ ტკივილს მთლიანად მოგიხსნი, თუ ჩემი მკურნალობის მეთოდს მიენდობიო. ერთი წამით უხერხულობა ჩამოვარდა, მაგრამ შარლოტემ, რომელიც მაშინვე მიხვდა, რაზედაც იყო ლაპარაკი, უარი განაცხადა კეთილი განზრახვით შემოთავაზებულ წინადადებაზე, რადგან არაფრით არ სურდა თავის გარემოცვაში დაეშვა ისეთი რამ, რის მიმართაც დიდი ანტიპათიით იყო განწყობილი.

სტუმრები გაემგზავრნენ და მიუხედავად იმისა, რომ უცნაური შთაბეჭდილება მოახდინეს, მასპინძლებს მაინც არ დაუკარგავთ სურვილი, მომავალში კვლავ შეხვედროდნენ მათ სადმე. შარლოტემ ისარგებლა იმით, რომ მშვენიერი დღეები იდგა და პატივისცემის გადასახდელად მეზობლები მოინახულა, რასაც აქამდე ვერაფრით მოაბა თავი, რადგან ირგვლივ ყველანი, ზოგი გულწრფელი თანაგრძნობით, ზოგიც ჩვეულებას აყოლილნი, გულმოდგინეთ ზრუნავდნენ აქამდე მასზე. შინ ბავშვის დანახვა აცოცხლებდა და ის მართლაც ღირსი იყო ყოველგვარი სიყვარულისა და ზრუნვისა. მათთვის იგი იყო საოცარი ბავშვი, ვუნდერკინდიც კი, და დიდად ახარებდათ მისი გარეგნობა, სიმაღლე, აღნაგობა, ჯანმრთელობა, კიდევ უფრო დიდ განცვიფრებას იწვევდა მისი ორმაგი მსგავსება, რაც სულ უფრო მეტად ხდებოდა ცხადი: სახის ნაკვთებით და აღნაგობით ბავშვი სულ უფრო მეტად ემსგავსებოდა კაპიტანს, თვალები კი სულ უფრო ძნელი

განსასხვავებელი იყო ოთილიეს თვალებისგან.

ამ უცნაური ნათესაობის წყალობით და ალბათ კიდევ უფრო მეტად ქალების იმ შესანიშნავი გრძნობის კარნახით, თუნდაც სხვა ქალის მიერ ნაშობი საყვარელი ადამიანის შვილს ფაქიზი გრძნობით თავს რომ ევლებიან, ოთილიე ლამის მოზარდი არსების დედა გახდა, უფრო სწორად, მეორე დედა. როცა შარლოტე სადმე წავიდოდა, ოთილიე მარტო რჩებოდა ბავშვთან და გადიასთან. ნანიმ აგერ უკვე რამდენი ხანია ჯიუტად მიატოვა ოთილიე და თავის მშობლებთან დაბრუნდა, რადგან ეჭვიანობდა, თითქოს მისმა ქალბატონმა მთელი თავისი სიყვარული ბიჭზე გადაიტანა. ოთილიე კვლავაც ასეირნებდა ბავშვს სუფთა ჰაერზე და თანდათან სულ უფრო შორს და შორს მიდიოდა. თან დაჰქონდა რძით სავსე საწოვარა, რომ საჭიროების შემთხვევაში ბავშვისთვის საკვები მიეცა. იშვიათად ავიწყდებოდა წიგნის თან წაღებაც და როცა ხელში ატატებული ბავშვით დასეირნობდა და თან კითხულობდა, უაღრესად მომხიბლავ პენსეროზას ჰგავდა.

თავი მეთორმეტე

ლაშქრობის მთავარი მიზანი მიღწეული იყო და ორდენებით მკერდდამშვენებული ედუარდი პატივით დაითხოვეს ჯარიდან. მან მაშინვე მიაშურა პატარა მამულს, სადაც დახვდა ზუსტი ცნობები თავისიანების შესახებ, რომელთაც ყურადღებაგაფაციცებული მეთვალყურე მიუჩინა ისე, რომ მათ ეს არ შეუმჩნევიათ და არ იცოდნენ. წყნარი ადგილსამყოფელი ხალისიანად შეეგება, რადგან ამასობაში, თანახმად მისი განკარგულებისა, ზოგი რამ მოაწყვეს, გააუმჯობესეს, სრულყვეს. მართალია სკვერები და შემოგარენი სიგრძე-სიგანით ვერ დაიტრაბახებდნენ, მაგრამ ყველაფერი ისე იყო მოწყობილი, რომ თვალს ახარებდა.

ცხოვრების სწრაფ ტემპსა და გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმას მიჩვეულმა ედუარდმა ამჯერად მოინდომა განეხორციელებინა ის, რის მოსაფიქრებლადაც საკმაოდ დიდი დრო ჰქონდა. პირველ ყოვლისა, იხმო მაიორი. დიდი იყო ხელახლა შეხვედრით გამოწვეული სიხარული. ახალგაზრდობის დროინდელ მეგობრობას, როგორც სისხლით ნათესაობას, ის უპირატესობა აქვს, რომ მას ზიანს ვერ აყენებს შეცდომები და გაუგებრობანი, რა ხასიათისაც უნდა იყვნენ ისინი და ძველი ურთიერთობა რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ ძველ კალაპოტში დგება.

პირველი სიხარულის შემდეგ, ედუარდმა მეგობრის ამბავი იკითხა და გაიგო, რომ მას ბედმა ისე გაუღიმა, როგორც მის სურვილებს შეესაბამებოდა. ამის შემდეგ ედუარდმა ნახევრად ხუმრობით ჰკითხა, ხომ არ გააბი რაიმე მშვენიერი ურთიერთობაო. მეგობარმა ეს სრული სერიოზულობით უარყო.

– მე არ შემიძლია და არც მაქვს უფლება, ვითვალთმაქცო, – განაგრძო ედუარდმა, – ახლავე უნდა გაგანდო, რაც გულში მიდევს და რის გაკეთებასაც ვაპირებ. შენ იცი, როგორ მიყვარს ოთილიე და ალბათ იმასაც ხვდები, რომ ამ ლაშქრობაში სწორედ მის გამო ამოვყავი თავი. არ უარვყოფ, მენატრებოდა სიცოცხლე იქ დამესრულებინა, რადგან ოთილიეს გარეშე არაფრად მჭირდებოდა, მაგრამ ამავე დროს იმაშიც უნდა გამოგიტყდე, რომ სრულ სასოწარკვეთილებამდე ვერასოდეს მივდი. მის გვერდით ყოფნით გამოწვეული ბედნიერება იმდენად მშვენიერი, იმდენად სასურველი იყო, რომ ჩემთვის შეუძლებელი აღმოჩნდა მთლიანად ამელო მასზე ხელი. რაღაცნაირი მანუგეშებელი წინათგრძნობა, სიხარულის მომასწავებელი იმედი მიძლიერებდა იმის რწმენას, გიჟურ ოცნებას, რომ შეიძლება ოთილიე ჩემი გახდეს. ჭიქა, რომელზედაც გამოხატულია ჩვენი მონოგრამები, საძირკვლის ჩაყრისას ჰაერში აისროლეს და ისევ ჩემს ხელშია. „თუ ასეა და, თავად მე, – შევუძახე ჩემს თავს, როცა ამ მიყრუებულ ადგილას მეტისმეტად ბევრი დრო გავატარე ყოყმანში, – თუ ასეა, დაე თავად მე ვიყო ამ ჭიქის მაგივრად იმის ნიშანი, შესაძლებელია თუ არა ჩვენი კავშირი. წავალ და დავიწყებ სიკვდილის ძიებას, მაგრამ არა როგორც გადარეული, არამედ ისეთი კაცი, რომელსაც გადარჩენის, სიცოცხლის იმედი აქვს. ოთილიე კი უნდა იყოს ჯილდო, რომლისთვისაც ვიბრძოლებ. იგი უნდა იყოს ის, ვის ხელში ჩასაგდებად, ვის დასაპყრობადაც ვიბრძოლებ ყოველ საბრძოლო განლაგებაში, ყოველ სანგარში, ყოველ ალყაშემორტყმულ სიმაგრეში“.

მსურდა სასწაულები ჩამედინა, მაგრამ ამავე დროს იმის სურვილიც მამოძრავებდა, რომ ცუდი არაფერი შემთხვეოდა, ოთილიე კი არ დამეკარგა, არამედ მომეპოვებინა. აი, ასეთი გრძნობით ვხელმძღვანელობდი, ყოველი საფრთხის დროს ისინი მედგნენ მხარში, მაგრამ ახლა თავი იმ კაცად მიმაჩნია, ვინც თავის მიზანს მიაღწია, ყველა დაბრკოლება გადალახა და ვისაც აღარაფერი

ელობება გზაზე. ოთილიე ჩემია და ყველაფერს, რაც ჯერ კიდევ ამ განზრახვასა და მის განხორციელებას შორის დევს, ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

– შენ ხელის ერთი მოსმით სპობ ყველაფერს, რაც შეიძლებოდა დამეპირისპირებინა კიდევ შენთვის, მაგრამ მიუხედავად ამისა, ზოგი რამ მაინც უნდა გაგიმეორო. იმის გახსენება, თუ რად გიღირდა ცოლთან ურთიერთობა, პირადად შენთვის მომინდვია. მაგრამ შენ ვალი გაწევს მის წინაშეც და საკუთარი თავის წინაშეც და ამას თვალი უნდა გაუსწორო. საკმარისია გავიხსენო ის, რომ ვაჟი გყავთ, მაშინვე ვალდებულად ვთვლი თავს გითხრა, თქვენ ერთმანეთთან ხართ დაკავშირებულნი, ამ არსების გამო მოვალენი ხართ ერთად იცხოვროთ, რომ შეძლოთ იზრუნოთ მის აღზრდაზე, მის მომავალ კეთილდღეობაზე.

– ეს მხოლოდ მშობლებს ეჩვენებათ ასე, – უპასუხა ედუარდმა, – როცა საკუთარ თავს შთააგონებენ, რომ მათი არსებობა ბავშვებისთვის ეგზომ აუცილებელია. ყველაფერი ცოცხალი საკვებსაც შოულობს და თანადგომასაც, და თუ შვილს, რომელმაც მამა დაკარგა, არა აქვს ისეთი ხელსაყრელი პირობები და უპირატესობანი, როგორც მამის მფარველობით აღზრდილ ახალგაზრდას შეიძლებოდა ჰქონოდა, სწორედ ამის გამო რჩება იგი მოგებული – უფრო მალე მწიფდება საზოგადოებისთვის, რადგან დროზე ხვდება, რომ სხვებს უნდა შეეგუოს, ეს კი ადრე თუ გვიან ყველამ უნდა ვისწავლოთ. მაგრამ აქ ხომ ამაზე არ ვლაპარაკობთ. ჩვენ საკმაოდ მდიდრები ვართ იმისთვის, რომ რამდენიმე ბავშვი უზრუნველვყოთ, და მოვალენი არა ვართ ერთ ბავშვს დავაბერტყოთ თავს ამდენი სიმდიდრე, რადგან ეს არც ქველმოქმედება იქნება.

როცა მაიორმა სცადა რამდენიმე სიტყვით შეეხსენებინა მისთვის შარლოტეს ღირსებები, ედუარდის ამდენი ხნის ურთიერთობა მასთან, ედუარდმა მოუთმენლად გააწყვეტინა სიტყვა: – ჩვენ სულელურად მოვიქცით და მე ეს მშვენივრად მაქვს შეგნებული. როცა კაცი განსაზღვრულ ასაკს მიაღწევს და სურს ახალგაზრდობის დროინდელი ოცნებები და იმედები აისრულოს, ყოველთვის თავს იტყუებს, რადგან ყოველ ათწლეულში ადამიანს თავისი ბედნიერება, თავისი იმედები და განზრახვანი აქვს. ვაი მას, ვისაც გარემოება და სიგიჟმაჟე იძულებულს ხდის, დასწვდეს იმას, რაც წინ უდევს ან უკან დარჩა. ჩვენ სისულელე ჩავიდინეთ და ნუთუ მთელი სიცოცხლე ასე უნდა გაგრძელდეს? ნუთუ რომელიღაც მოსაზრებათა გამო უარი უნდა ვთქვათ იმაზე, რასაც ამჟამინდელი მოსაზრებანი არ გვიკრძალავენ? რამდენ რალცაზე იღებს ადამიანი ხელს – განზრახვაზე, საქციელზე და სწორედ ახლა არ უნდა მოხდეს ეს, როცა ლაპარაკია მთელზე და არა ცალკეულზე, ცხოვრების არა ამა თუ იმ პირობებზე, არამედ მთელ მის კომპლექსზე!“

მაიორი ვალში არ დარჩა, მანაც მარჯვედ და დამაჯერებლად დაუხატა ედუარდს, თუ რა მრავალნაირი ძაფი აკავშირებდა მეუღლესთან, ოჯახთან, საზოგადოებასთან, მამულებთან, მაგრამ ვერავითარი თანაგრძობა ვერ გამოიწვია ყოველივე ამის მიმართ ედუარდში.

– ყოველივე ამან, – უპასუხა ედუარდმა, – ჩემი სულის წინ ჩაიქროლა მაშინ, როცა გაცხარებულ ბრძოლაში ვიყავი, როცა მიწა უსასრულო გრუხუნისგან ზანზარებდა, როცა ირგვლივ ტყვიები წიოდნენ და ზუზუნებდნენ, მარჯვნივ და მარცხნივ ჩემი თანამოსანგრენი ეცემოდნენ, როცა ჩემს ცხენს ტყვია მოხვდა, მე კი ქუდი გამიხვრიტეს, ყველაფერი ეს თვალწინ მედგა, როცა კოცონთან ვიჯექი წყნარ ღამეში, ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცის თაღქვეშ. მაშინ ასე ესახებოდა ჩემს სულიერ მზერას მთელი ჩემი ურთიერთობანი – ფიქრებისა და გრძნობათა ფილტრში გავატარე ისინი, შევისისხლხორცე, მრავალჯერ შევეგუე ამას და ამჯერად უკვე სამუდამოდ.

როგორ შემიძლია დაგიმალო, რომ იმ წუთებში შენც ჩემთან იყავი, შენც ჩემს წრეს ეკუთვნოდი. განა ჩვენ დიდი ხანია არ ვართ ერთმანეთთან დაკავშირებული? თუ რაიმე ვალი დამრჩა შენი, ახლა მეძლევა შემთხვევა სარგებლით გადაგიხადო, ხოლო თუ ოდესმე შენ დაგედო ჩემი ვალი, ახლა გეძლევა შემთხვევა ანგარიში გამისწორო. ვიცი, შენ გიყვარს შარლოტე და იგი ამას იმსახურებს, ისიც ვიცი, არც იგია შენ მიმართ გულგრილი, ანდა როგორ არ უნდა დაენახა შენი ღირსებები! მიიღე შარლოტე ჩემი ხელიდან და მომიყვანე ოთილიე! და ჩვენ დედამიწაზე უბედნიერესი ადამიანები ვიქნებით.

– სწორედ იმიტომ, რომ ასეთი ძვირფასი ძღვენით მომქრთამო, – უპასუხა მაიორმა, – მეტი სიფრთხილე და სიმკაცრე მმართვეს. ნაცვლად იმისა, რომ ამ წინადადებას, რომელსაც გულში ვეთაყვანები, საქმე გაეადვილებინა, პირიქით, იგი მას ამძიმებს. ლაპარაკია არა მარტო შენზე, არამედ ჩემზეც, როგორც ბედზე, ასევე კარგ სახელზე, ორი კაცის ღირსებაზე, რომლებიც აქამდე არავის გაულანძღავს და საოცარი საქციელით, თუ მას სხვა რამეს არ ვუწოდებთ, მათ იმის საფრთხე ექმნებათ, საზოგადოების თვალში უაღრესად უცნაურნი გამოჩნდნენ.

– სწორედ იმიტომ, რომ არავის გავულანძღავართ, – უპასუხა ედუარდმა, – შეგვიძლია უფლება მივცეთ თავს, ერთხელ მაინც გაგვლანძღოს ვინმემ. ის, ვინც მთელი სიცოცხლე სანდო კაცი იყო, ასეთ საქციელსაც სანდოს ხდის, სხვები რომ ორაზროვნად მიიჩნევენ. რაც შეემეხება მე, ბოლო დროს საკუთარ თავს უამრავი განსაცდელი დავატებე, გავიარე გრძელი, ხიფათით სავსე გზა, რაც

გავაკეთე, გავაკეთე სხვებისთვის და ახლა უფლებამოსილად ვთვლი თავს, ჩემთვისაც გავაკეთო რამე. რაც შეგეხებათ შენ და შარლოტეს, დაე, ეს მომავალს მივანდოთ. მე კი ვერც შენ და ვერც ვერავინ ამალეხინებს ხელს ჩემს განზრახვაზე. თუ ხელს გამომიწვდიან, მე კვლავ ყველაფრისთვის მზადა ვარ, თუ საკუთარი თავის ამარა დამტოვებენ, ანდა წინააღმდეგობას გამიწევენ, მაშინ უკიდურესობამდე მივალ, რაც მოხდება, მოხდეს.

მაიორი თავის მოვალეობად მიიჩნევდა, იმდენ ხანს გაეწია ედუარდისთვის წინააღმდეგობა, რამდენსაც შეძლებდა და მეგობართან საუბარი მოხერხებულად შეატრიალა, თითქოს დაუთმო კიდეც, მხოლოდ იმაზე ლაპარაკობდა, რა საშუალებით და რა გზით შეიძლებოდა მოეგვარებინათ მოსალოდნელი გაყრისა და დაქორწინების საქმე. აქ თავი იჩინა ზოგმა ისეთმა ძნელმა და არასასიამოვნო ამბავმა, რომ ედუარდმა იგრძნო, როგორ მოეშხამა გუნება.

– კარგად ვხედავ, – წამოიძახა ედუარდმა ბოლოს, რომ ის, რაც გენატრება მარტო მტრებს კი არ უნდა წაართვა ბრძოლით, არამედ მეგობრებსაც. რაც მე მინდა, რაც ჩემთვის აუცილებელია, ხელს არაფრით ავიღებ და მე მას დავუფლები, თანაც მალე და გაბედულად. კარგად ვიცი, რომ მსგავსი ურთიერთობანი არც ქრება და არც მყარდება, თუ ზოგი რამ, რაც დგას, არ წაიქცა, თუ ზოგ რამეს, რასაც არ ეხალისება დათმობა, განზე არ გადგამ. ამ საქმეს ფიქრით არ ეშველება. გონებისთვის ყველა უფლება თანაბარია და აწონილი სასწორის ჯამზე ყოველთვის შეიძლება საპირისპირო წონის დადება. ამგვარად, გადაწყვიტე, ჩემო მეგობარო, გაინძერი ჩემთვისაც და შენთვისაც, გაარკვიე ვითარება, დაარღვიე, კვლავ დააკავშირე როგორც ჩემთვის, ასევე შენთვის. ნურავითარი სხვა მოსაზრებები ნუ დაგაბრკოლებს, ჩვენ უამისოდაც ავალაპარაკეთ უკვე ჩვენზე საზოგადოება, რომელიც კიდეც ერთხელ ალაპარაკდება ჩვენზე და შემდეგ დაივიწყებს როგორც ყველაფერ დანარჩენს, რაც ახალი აღარ არის, ჩვენც დაგვივიწყებს და მოგვანიჭებს თავისუფლებას ვიცხოვროთ ისე, როგორც შეგვიძლია, რის შემდეგაც მას ჩვენი დარდი აღარ ექნება.

მაიორს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და ბოლოს დათანხმდა. ედუარდისთვის ეს საქმე წინასწარ იყო გადაწყვეტილი და ახლა ვარაუდობდა, დეტალურად იხილავდა, როგორ უნდა მოწყობილიყო საქმე და მომავალზე მხიარულად, ხუმრობითაც კი ლაპარაკობდა. შემდეგ სერიოზულად და დაფიქრებით განაგრძო: – ჩვენ თუ იმის იმედს, იმის მოლოდინს მივენდობით, რომ ყველაფერი თავისით მოგვარდება, ვიხელმძღვანელებთ იმით, რომ შემთხვევა ხელს შეგვიწყობს, ეს იქნება დანაშაულის დარი თავის მოტყუება. ამ გზით ვერ ვინხნით თავს, ვერ მოვიპოვებთ სიმშვიდეს, ანდა როგორ შემიძლია ვინუგეშო თავი, როცა უდანაშაულოც კი ყველაფერში დამნაშავე ვარ! მე დავიჟინე და იძულებული გავხადე შარლოტე, ჩვენს ოჯახში მოგვეპატიჟებინე, ოთილიემაც მხოლოდ ამ ცვლილების შედეგად შემოდგა ჩვენს სახლში ფეხი. ჩვენ უკვე აღარ ვართ იმის გამგებელი, რაც ამ ამბავმა გამოიწვია, მაგრამ იმის გამგებლობა კი შეგვიძლია, რომ ყოველივე ეს უვნებელვყოთ, ვითარება ჩვენდა სასიკეთოდ წარვმართოთ. შეგიძლია თვალი აარიდო იმ მშვენიერ და სიხარულის მომგვრელ პერსპექტივებს, ჩვენთვის რომ დავსახე. შეგიძლია როგორც მე, ასევე ყველას მოგვთხოვოთ ყოველივე ამაზე ხელის აღება, რადგან შენ ეს იმდენად მიგაჩნია შესაძლებლად, რამდენადაც საერთოდ შესაძლებელია. მაგრამ განა ამის შემდეგაც, თუკი გადავწყვეტთ ძველ მდგომარეობას დავუბრუნდეთ, არ მოგვიწევს ავითანოთ უხამსობა, უსიამოვნება, თანაც ისე, რომ აქედან კარგი და სასიხარული არაფერი გამოვა? განა მოგანიჭებდა სიხარულს ბრწყინვალე მდგომარეობა, ახლა რომ გაქვს, თუ ხელს შეგიშლიდნენ იმაში, რომ მწვეოდი, ჩემთან ერთად გეცხოვრა? ამის შემდეგ კი, რაც მოხდა, ეს ხომ ყოველთვის საჩოთირო იქნება. შარლოტე და მე კი, მიუხედავად მთელი ჩვენი ქონებისა, მაინც სავალალო მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით. ხოლო თუ შენ შეგიძლია დაიჯერო, რომ წლები და მანძილი ამგვარ გრძნობებს აჩლუნგებენ, ასე ღრმად აღბეჭდილ სახის ნაკვთებს აქარწყლებენ, მაშინ ახლა ხომ სწორედ იმ წლებზეა ლაპარაკი, რომლებიც გინდა გაატარო არა ტკვილსა და რაღაცის მოკვლაში, არამედ სიხარულსა და სიამოვნებაში. ბოლოს კი მოგახსენებ ყველაზე საგულისხმო რამეს: ვთქვათ და ჩვენ გარეგანი მდგომარეობისა და შინაგანი თვისებების წყალობით ყველა შემთხვევაში შევძლებდით მოცდას, მაშინ რა ეშველება ოთილიეს, რომელიც იძულებული გახდება მიატოვოს ჩვენი სახლი და ჩვენს ზრუნვას მოკლებული ყბადაღებული, გულცივ საზოგადოებაში საწყალობლად მიიყუჟოს კუთხეში. დამისახელე ისეთი გარემო, სადაც ოთილიე უჩემოდ, უჩვენოდ ბედნიერად შეძლებს ცხოვრებას. ამ შემთხვევაში შენ უნდა მოიტანო ისეთი არგუმენტი, რომელიც უფრო ძლიერია, ვიდრე ყველა დანარჩენი, რასაც მე მართალია ვერ დავეთანხმები, ვერ დავემორჩილები, მაგრამ სიამოვნებით განვიხილავ და გავიაზრებ ხელახლა.

ეს ამოცანა ასე ადვილი გადასაწყვეტი არ იყო. ყოველ შემთხვევაში, მეგობარმა ვერავითარი დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ იპოვა და მას სხვა არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ კიდეც ერთხელ, უფრო დამაჯერებლად შთაეგონებინა ედუარდისთვის, თუ რა ანგარიშგასაწევი, რა დამაფიქრებელი და ზოგიერთი თვალსაზრისით რა სახიფათოა ყველაფერი, რასაც აპირებენ. ყოველ შემთხვევაში უადრესად სერიოზულად უნდა დაფიქრდნენ, როგორ მოაგვარონ ეს საქმე. ედუარდს მოეწონა ეს აზრი და დათანხმდა მხოლოდ ერთი პირობით, მეგობარი მანამდე არ

მიატოვებდა, სანამ ამ საქმეში ბოლომდე არ შეთანხმდებოდნენ და პირველი ნაბიჯები არ გადაიდგმებოდა.

თავი მეცამეტე

ერთმანეთისთვის სრულიად უცხო, გულგრილი ადამიანებიც კი, როცა ერთხანს ერთად ცხოვრობენ, ერთმანეთს გულს გადაუშლიან ხოლმე და მათ შორის ერთგვარი სიახლოვე მყარდება. მით უფრო ბუნებრივია, რომ მეგობრებს, რამდენადაც კვლავ ერთად ცხოვრობდნენ და ერთმანეთთან ყოველდღე და ყოველ წამს ჰქონდათ ურთიერთობა, ერთმანეთისგან დამალული არაფერი დარჩენიათ. ისინი მრავალჯერ იგონებდნენ ერთად გატარებულ დროს და მაიორმა არც ის დაუმალა, რომ შარლოტეს ედუარდისთვის ჰყავდა ოთილიე შერჩეული მაშინ, მოგზაურობიდან რომ დაბრუნდა და ვარაუდობდა, მშვენიერი გოგონა მოგვიანებით მისთვის მიეთხოვებინა. როცა ედუარდმა ეს გაიგონა, აღტაცებისგან გაოგნდა, თავშეუკავებლად ლაპარაკობდა შარლოტესა და მაიორის ერთმანეთისადმი სიმპათიაზე და რადგან ეს მას ხელს აძლევდა, ცოცხალი ფერებით ნატავდა მათ ურთიერთობას.

მაიორს არც ის შეეძლო მთლიანად უარეყო ეს და არც ის, რომ ეღიარებინა, მაგრამ ედუარდი სულ უფრო მეტად და მეტად რწმუნდებოდა ამაში. იგი ყველაფერზე ისე ფიქრობდა, როგორც არა შესაძლებელზე, არამედ უკვე მომხდარზე. ახლა საჭირო იყო ყველა მონაწილე დათანხმებოდა იმას, რაც მათ სურდათ. განქორწინებას, ცხადია, მოახერხებდნენ, ამას მალე დაქორწინებაც უნდა მოჰყოლოდა და ედუარდი ოთილიესთან ერთად სამოგზაუროდ წავიდოდა.

ალბათ არაფერია იმაზე მომხიბვლელი, ვიდრე ის, როცა შეყვარებულები, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი იმედოვნებენ, რომ ახალ, შეურყვანელ გარემოში ახალი, შეურყვანელი ურთიერთობით დატკბებიან და ამდენი შთაბეჭდილების ცვალებადობაში ხანგრძლივ კავშირს გამოცდიან და განამტკიცებენ. ამავე დროს მაიორს და შარლოტეს ეძლეოდათ უფლება, ყველაფერი, რაც მამულს, ქონებას და სხვა მიწიერ ქონებას ეხებოდა, იმგვარად მოეგვარებინათ და ისე კანონიერად და სამართლიანად გასძღოლოდნენ, რომ თითოეული მხარე დაკმაყოფილებულიყო. მაგრამ ყველაზე დიდ იმედს ედუარდი ამყარებდა, რომ რადგან ბავშვი დედასთან დარჩებოდა, ბიჭს მაიორი აღზრდიდა, თავისი შეხედულებების შესაბამისად უხელმძღვანელებდა და მის ნიჭსა და უნარს განავითარებდა. ტყუილად ხომ არ დაარქვეს მონათვლის დროს ორმაგი სახელი ოთო.

ყოველივე ეს ისე მომწიფდა ედუარდის გონებაში, რომ ერთ დღესაც ვეღარ გაძლებდა, მის განხორციელებას თუ არ შეუდგებოდა. მამულისკენ გზად მიმავლებმა პატარა ქალაქს მიაღწიეს, სადაც ედუარდს სახლი ჰქონდა, იქ სურდა გაჩერებულიყო და მაიორის დაბრუნებას დალოდებოდა. მაგრამ თავს ვერ სძლია, ცხენიდან სახლთან კი არ ჩამოხტა, არამედ მეგობარი ქალაქის ბოლომდე გააცილა. ცხენებზე ამხედრებულნი, მნიშვნელოვან საუბარში ჩაძირულნი, ერთად განაგრძობდნენ გზას.

უეცრად შორს, გორაკზე დაინახეს ახალი სახლი, რომლის წითელმა, ლაპლაპა აგურებმა პირველად იელვა მათ თვალწინ. ედუარდი დაუოკებელმა, მგზნებარე სიყვარულმა შეიპყრო: ყველაფერი ამ სადამოსვე უნდა მოგვარდეს. აგერ, ახლო მდებარე სოფელში დაიმალება. მაიორმა სასწრაფოდ უნდა გააცნოს შარლოტეს საქმის ვითარება, მისი სიფრთხილე მოულოდნელობით უნდა მოადუნოს და სხაპასხუპით წარმოთქმული წინადადებებით აიძულოს გულწრფელად გადაუშალოს გული, რადგან ედუარდი, რომელმაც თავისი სურვილები ცოლს მიაწერა, მართლა ფიქრობდა, რომ მეუღლის მგზნებარე სურვილებს ხელს უწყობდა და იმის იმედი ჰქონდა, რომ ძალიან მალე დაეთანხმებოდა, რადგან თვითონ სხვა არაფერზე იყო თანახმა.

გახარებული ედუარდი უკვე ხედავდა, რომ ყველაფერი კეთილად მთავრდებოდა და მაიორს დააბარა, ლოდინით სულს ნუ ამომხდის, თუ დღე იქნება, მისი თანხმობა ზარბაზნის რამდენიმე გასროლით მაცნობე, თუ ღამე, რამდენიმე მაშხალის გაშვებით.

მაიორმა ცხენი ციხე-დარბაზისკენ გააჭენა. შარლოტე იქ არ დახვდა, გაიგო, რომ ამჟამად ზევით, ახალ სახლში ცხოვრობდნენ, ახლა კი სტუმრადაა წასული და ალბათ ასე ჩქარა არ დაბრუნდება შინ. იგი დაბრუნდა სასტუმროში, სადაც ცხენი დატოვა.

ამასობაში ედუარდი, რომელიც დაუოკებელმა მოუთმენლობამ შეიპყრო, სამალავიდან გამოვიდა და დაადგა მივიწყებულ ბილიკს, მხოლოდ მონადირეებმა და მეთევზეებმა რომ იცოდნენ, შეიპარა პარკში და შეღამებისას ტბის მახლობლად ბუჩქნარში აღმოჩნდა, ასეთი სრულყოფილი და კრიალა

ტბის ზედაპირი პირველად ნახა.

ნაშუადღევს ოთილიე ტბის მახლობლად სეირნობდა. ბავშვი ატატებული მოჰყავდა და ჩვეულებისამებრ სიარულში კითხულობდა. ასე მიაღწია იმ მუხებს, ნავსაბმელებთან რომ იდგნენ. ბიჭს ჩასძინებოდა. ოთილიე ჩამოჯდა, ბიჭი გვერდით მიწაზე დააწვინა და კითხვა განაგრძო. ეს ერთ-ერთი იმ წიგნთაგანი იყო, ნაზ სულს რომ მიიზიდავს და აღარ მოეშვება. ოთილიეს გადაავიწყდა დრო და ჟამი და აღარ ფიქრობდა იმაზე, საკმაოდ გრძელი უკან გასასვლელი გზა რომ ჰქონდა ახალ სახლამდე. იჯდა წიგნში თავჩარგული, საკუთარ თავში მომწყვდეული და ისეთი მომნიბვლელი იყო, თითქოს ირგვლივ ხეები, ბუჩქები უნდა გაცოცხლებულიყვნენ. ჩამავალი მზის სხივების მოწითალო ზოლი ზურგიდან ხვდებოდა და ოქროსფრად უფერადებდა ლოყასა და მხარს.

პარკი ცარიელი და უკაცრიელი იყო და ედუარდი, რომელმაც შეძლო ასე შორს შემოჭრილიყო შეუმჩნევლად, კიდეც უფრო წინ მიიწევდა. უეცრად იმ ადგილას, სადაც მუხები იდგა, ბუჩქნარიდან გამოვიდა, დაინახა ოთილიე, ოთილიემ კი იგი. ედუარდი ოთილიესკენ გაიქცა და მის ფერხთით განერთხა. კარგა ხანს დუმდნენ, ორივე ცდილობდა თავს მორეოდა, შემდეგ ედუარდმა რამდენიმე სიტყვით აუხსნა, რატომ და როგორ მოხვდა აქ. მაიორი შარლოტესთან გავგზავნე, ჩვენი საერთო ბედ-იღბალი შეიძლება სწორედ ახლა წყდებაო. ედუარდი არასოდეს დაეჭვებულა ოთილიეს სიყვარულში, არც ოთილიე მისაში. ედუარდი თანხმობას სთხოვდა, ქალიშვილი ყოყმანობდა, ედუარდმა დააფიცა, მოინდომა თავისი ძველი უფლებების აღდგენა და ოთილიეს გულში ჩაკვრა, ოთილიემ ბავშვზე მიუთითა.

ედუარდმა ბავშვს დახედა და გაოცდა.

– ღმერთო ძლიერო! – წამოიძახა მან, – მე რომ იმის საბაბი მქონდეს, ეჭვი შევიტანო ჩემი ცოლისა და მეგობრის ერთგულებაში, ამ ბავშვის სახე საშინელი სამხილი იქნებოდა მათ წინააღმდეგ. განა ეს პირწავარდნილი მაიორი არ არის. ასეთი მსგავსება არასოდეს მინახავს.

– სრულიადაც არა! – უპასუხა ოთილიემ, – მთელი ქვეყანა ამბობს, რომ მე მგავს.

– ნუთუ ეს შესაძლებელია? – თქვა ედუარდმა და იმწამს ბავშვმა თვალები გაახილა, ორი დიდი, შავი, გამჭვალავი, ღრმა და სანდომიანი თვალი. ბიჭი უკვე ისე შეგნებულად უყურებდა სამყაროს, თითქოს იცნობდა ორივეს, მის წინ რომ იდგნენ. ედუარდი ბავშვის გვერდით დაემხო, შემდეგ კი ორჯერ ოთილიეს წინაშე მოიყარა მუხლი.

– დიახ, ეს შენ ხარ! – წამოიძახა მან, – ეს შენი თვალებია. აჰ, მაგრამ მე მხოლოდ შენს თვალებში ჩამახედე. მომეცი საშუალება საბურველი გადავაფარო იმ ავბედით საათს, ამ ქმნილებას რომ არსებობა მიაჩნჯა. რატომ უნდა შევაშინო შენი წმინდა სული იმ საშინელი აზრით, რომ გაუცხოებული ქალი და კაცი ერთმანეთს მკერდზე ეკვრიან და თავიანთი სურვილების მეოხებით კანონიერ კავშირს ბილწავენ! თუმცა არა, რადგან აქამდე მოვედით, რადგან ჩემი ურთიერთობა შარლოტესთან უნდა შეწყდეს, რადგან შენ ჩემი იქნები, რატომ არ უნდა ვთქვა ეს! რატომ არ უნდა წარმოვთქვა ულმობელი სიტყვები: ეს ბავშვი ჩაისახა ცოლ-ქმრის ორმხრივი ღალატის შედეგად! სწორედ ეს მაშორებს ჩემი მეუღლისგან და ჩემს მეუღლეს ჩემგან, ნაცვლად იმისა, რომ უფრო დავეკავშირებინეთ. დაე, ეს ბავშვი იყოს მოწმე ჩემს წინააღმდეგ, დაე ამ მშვენიერმა თვალებმა შენს თვალებს უთხრან, რომ სხვა ქალს ჩახუტებული შენ გეკუთვნოდი, დაე იგრძნო, კარგად იგრძნო, ოთილიე, რომ ის შეცდომა, ის ბოროტმოქმედება მხოლოდ შენს მკლავებში შემიძლია გამოვისყიდო!

– გაიგონე! – წამოიძახა ედუარდმა და ფეხზე წამოხტა, რადგან ეგონა, თითქოს მაიორის შეპირებული სროლის ხმა გაიგონა.

მაგრამ ეს იყო მონადირე, რომელმაც თოფი ახლომდებარე მთაზე გაისროლა. სროლას სროლა არ მოჰყოლია. ედუარდი მოუთმენლობამ შეიპყრო.

მხოლოდ ახლა შენიშნა ოთილიემ, რომ მზე მთებს მიღმა ჩასულიყო. მისმა ანარეკლმა მალლობზე მდგარი შენობის ფანჯრებზე უკანასკნელად გაიბრწყინა.

– მომშორდი, ედუარდ! – წამოიძახა ოთილიემ, – ჩვენ იმდენ ხანს არ ვიყავით ერთად, იმდენ ხანს ვითმენდით... დაფიქრდი, რამხელა ვალი გვაწევს ორივეს შარლოტეს წინაშე. მან უნდა გადაწყვიტოს ჩვენი ბედი და მოდი, ნუ დავასწრებთ. თუ იგი ამის ნებას მოგვცემს, მე შენი ვარ, თუ არა და მაშინ უარი უნდა გითხრა. დაბრუნდი სოფელში, სადაც მაიორს ეგულები. რამდენი რამ შეიძლება მოხდეს, რაც განმარტებას საჭიროებს. განა შეიძლება, ზარბაზნის უხეშმა გასროლამ გამცნოს მისი მოლაპარაკების შედეგი? იქნებ ამ წუთში სწორედ შენ გეძებს, მე ვიცი, რომ იგი შარლოტეს არ შეხვედრია. იქნებ მის შესაგებებლად წავიდა, რადგან იციან, სად არის წასული. რამდენი შემთხვევითობაა შესაძლებელი! შარლოტე ახლა უნდა დაბრუნდეს, იქ, ზევით მელის

ბავშვთან ერთად.

ოთილიე ჩქარა ლაპარაკობდა. მან ყველა შესაძლებლობა აწონ-დაწონა. იგი ბედნიერი იყო ედუარდის სიახლოვით, მაგრამ გრძნობდა, ახლა უნდა დაშორებოდა მას.

– გთხოვ, გაფიცებ, საყვარელო! – წამოიძახა ოთილიემ, – დაბრუნდი უკან, დაელოდე მაიორს.

– ვემორჩილები შენს ბრძანებას, – წამოიძახა ედუარდმა, რის შემდეგაც ჯერ ვნებიანი მზერით შეხედა ქალიშვილს, მერე კი ღონივრად მოიმწყვდია მკლავებში. ოთილიემაც მოხვია მკლავები და უნაზესად მიიკრა მკერდზე. იმედმა ცას მოწყვეტილი ვარსკვლავით გადაუქროლათ თავზე. მათ წარმოიდგინეს, დაიჯერეს, რომ ერთმანეთს ეკუთვნოდნენ. პირველად აკოცეს ერთმანეთს მაგრად, იძულებითა და ტკივილით დაშორდნენ.

მზე ჩავიდა, უკვე ჩამოხნულდა, გზიდან ნესტის სუნი მოდიოდა. ოთილიე დაბნეული და აღელვებული იდგა, გაღმა, მაღალზე მდგარი სახლისკენ იყურებოდა და ეგონა აივანზე შარლოტეს თეთრ კაბას ხედავდა. ტბის შემოსასვლელი გზა შორს იყო, იცოდა, რა მოუთმენლად ელოდა შარლოტე ბავშვს. გაღმა მხარეს, მის პირდაპირ ხედავდა ჭადრებს, მხოლოდ წყლის სივრცე აშორებდა იმ ბილიკს, მის პირდაპირ მაშინვე ზევით, შენობისკენ მიემართებოდა. ფიქრითა და თვალთ უკვე გაღმა იყო. ამ სწრაფვაში გაქრა ის ყოყმანი, ჩაჯდეს თუ არა ბავშვიანად ნავში. იგი ეშურება ნავისკენ, არ გრძნობს, რომ გულს ძლიერი ბაგაბუგი გააქვს, რომ ფეხები ეკეცება, რომ სადაცაა გონებას დაკარგავს.

ოთილიე ნავში ჩახტა, ხელი ნიჩაბს ჩაავლო და ბიძგით მოშორდა ნაპირს. ძალა მოიკრიბა და განმეორებით ჰკრა ნიჩაბი ნაპირს, ნავი ატორტმანდა და მცირე მანძილი გასცურა ტბაზე. მარცხენა მკლავზე ბავშვი ეწვინა, იმავე ხელში ეჭირა წიგნიც, მარჯვენა ნიჩბისთვის ჩაევლო, ამიტომ შეტორტმანდა და ნავში ჩავარდა. ნიჩაბი ხელიდან გაუვარდა ერთ მხარეს. როცა სცადა თავი შეეკავებინა, ბავშვი და წიგნი მეორე მხარეს წყალში გადაუვარდა. იგი ჩააფრინდა ბავშვის ტანსაცმელს, მაგრამ ისე უხერხულად ეგდო ნავში, ვერ წამოდგა. თავისუფალი მარჯვენა ხელი არ კმაროდა იმისათვის, რომ მოტრიალებულიყო, წამომართულიყო. ბოლოს როგორც იქნა, წამომართვა მოახერხა, ბავშვი წყლიდან ამოათრია, მაგრამ ბავშვს თვალები დახუჭული ჰქონდა, აღარ სუნთქავდა.

ოთილიე იმწამსვე სავსებით მოვიდა გონს, მაგრამ ამან კიდევ უფრო გააძლიერა მისი მწუხარება. ნავი თითქმის შუა ტბაში მიცურავდა, ნიჩაბი შორს ტივტივებდა, ნაპირზე ვერავის ხედავდა, თუმცა რომც დაენახა, ვინ რას უშველიდა. ყველასგან გარიყული მიცურავდა, ცბიერ, მიუდგომელ სტიქიას მინდობილი.

დახმარებას საკუთარ თავში ეძებდა. მას ხომ ხშირად მოუსმენია წყალში დამხრჩვალთა გადარჩენის ამბავი. ამის მომსწრე ჯერ კიდევ თავისი დაბადების დღის საღამო იყო. მან ტანსაცმელი გახადა ბავშვს და თავისი მუსლინის კაბით შეამშრალა, საკინძე ჩაიხსნა და პირველად აჩვენა მკერდი ღია ცას, პირველად მიიკრა ცოცხალი არსება სუფთა, შიშველ მკერდზე, აჰ! აღარაა ცოცხალი. უბედური არსების ცივმა ნაკვთებმა შიგ გულამდე გაუცივეს მკერდი, ცრემლი ღვარად ჩამოსდიოდა და გაშეშებულ სხეულს თითქოს სითბოსა და სიცოცხლეს მატებდა. ოთილიე არ ეშვებოდა ბავშვს, შალში ახვევდა, ხელებს უსვამდა, გულში იკრავდა, სულს უბერავდა, კოცნიდა, ცრემლებით ნამავდა და ფიქრობდა ამით შეეცვალა ის დამხმარე საშუალებები, ასე განმარტოებულს ხელთ რომ არ ჰქონდა.

მაგრამ ყველაფერი ამაო აღმოჩნდა. ბავშვი გაუნძრევლად იწვა მის მკლავებში, ნავიც გაუნძრევლად იყო გაჩერებული წყლის ზედაპირზე, მაგრამ მისი მშვენიერი სული არც აქ ტოვებს მას უმწეოდ. იგი მიმართავს ზეცას, მუხლმოყრილი ეშვება ნავის ფსკერზე და გაშეშებულ ბავშვს ორივე ხელით სწევს უმანკო მკერდს ზემოთ, იმ მკერდს ზემოთ, სითეთრითა და, სამწუხაროდ, სიცივითაც მარმარილოს რომ ჰგავდა. იგი ცრემლიანი თვალებით შესცქერის ზეცას და იქიდან ითხოვს დახმარებას, მისი ნაზი გული იმედოვნებს, იქიდან მიიღოს ის უსაზღვრო სიკეთე, ყველგან რომ აკლია.

ამაოდ არ მიუმართავს ვარსკვლავებისთვის, რომლებიც თითო-თითოდ ამობრწყინდნენ ამასობაში. დაუბერა მსუბუქმა ქარმა და გააცურა ნავი ჭადრებისკენ.

თავი მეოთხმეტე

ოთილიე ახალი სახლისკენ მიიჩქარის, იძახებს ქირურგს, აძლევს მას ბავშვს. კაცი, რომელიც ყველაფრისთვის მზადაა, ჩვილ გვამს ხან რას უკეთებს და ხან რას. ოთილიე ყველაფერში ენმარება. რაღაც მოაქვს, აწვდის, ფუსფუსებს, თუმცა ისე, თითქოს სხვა სამყაროში ბორიალებდეს, რადგან უდიდესი უბედურება, ისევე როგორც უდიდესი ბედნიერება, ყველაფერს უცვლის სახეს. მხოლოდ მას შემდეგ, როცა ყველა ცდის მიუხედავად ამ კეთილსინდისიერმა კაცმა თავი გაიქნია და ოთილიეს იმედით აღსავსე შეკითხვას ჯერ მდუმარე, შემდეგ კი ჩუმი არათი უპასუხა, ოთილიემ დატოვა შარლოტეს საწოლი ოთახი, სადაც ეს ყველაფერი ხდებოდა და შედგა თუ არა ფენი საერთო ოთახში, ტანტამდეც ვერ მოაღწია და ძალაგამოცლილი ხალიჩაზე დაემხო.

სწორედ ამ დროს გაიგონეს შარლოტეს ეტლის ხმა. ქირურგმა დაჟინებით სთხოვა იქ მყოფთ, ფენი არ მოეცვალათ ადგილიდან, რადგან თვითონ სურდა შარლოტეს შეჭვებებოდა და შეემზადებინა, მაგრამ ამ დროს შარლოტე უკვე შევიდა ოთახში, ოთილიე იატაკზე ეგდო, ხოლო ერთი მოახლე ყვირილითა და ტირილით გაიქცა მისკენ. ამ დროს ოთახში შემოდის ქირურგი და შარლოტე უეცრად ყველაფერს ხვდება. მაგრამ ყოველგვარ იმედს ერთბაშად როგორ დაკარგავდა! გამოცდილი, გამრჯე და ჭკვიანი კაცი მას მხოლოდ ერთ რამეს სთხოვს, არ შეხედოს ბავშვს. ქირურგი გაშორდა შარლოტეს იმისათვის, რომ მოეტყუებინა, რაღაცას ვცდილობო. შარლოტე დივანზე ჩამოჯდა, ოთილიე ისევ ეგდო იატაკზე, მაგრამ მშვენიერი თავი წამოუწიეს და მეგობრის მუხლებზე დაადებინეს. გულმოწყალე ექიმი აქეთ-იქით აწყდება, თითქოს ბავშვს დასტრიალებს თავს, სინამდვილეში კი ქალებზე ზრუნავს. ასე მოაღწია შუალაქში, ირგვლივ სამარისებური სიჩუმე ისადგურებს. შარლოტე უკვე აღარ უმაღავს საკუთარ თავს, რომ ბავშვი აღარასოდეს დაუბრუნდება სიცოცხლეს და მოითხოვს მის ნახვას. ბავშვი სუფთად გაახვიეს მატყლის თბილ თავშალში, ჩააწვინეს კალათაში და ტანტზე გვერდით დაუდეს. მხოლოდ პატარა სახე უჩანდა, იწვა მშვიდი და მშვენიერი.

ამ უბედურმა შემთხვევამ მთელი სოფელი ააწრიალა და ცნობამ მაშინვე მიაღწია სასტუმრომდე. მაიორი მისთვის ცნობილი გზებით ზევით ავიდა, სახლს შემოუარა, შემდეგ ერთი მსახური გააჩერა, რომელიც რაღაცის მოსატანად მირბოდა, დაწვრილებით გაიგო ყველაფერი და ქირურგი გარეთ გამოაძახებინა. იგი გამოვიდა, გაოცდა, როცა თავისი ძველი მფარველი დაინახა, აუწყა მას როგორი მდგომარეობა იყო სახლში და თავს იდო, შეემზადებინა შარლოტე მაიორთან შესახვედრად. ქირურგი დაბრუნდა სახლში, სათქმელს შორიდან მოუარა, ხან რას შეეხო და ხან რას, სანამ ბოლოს შარლოტეს მეგობარი არ წარმოუდგა თვალწინ, არ გაახსენდა მისი თანაგრძნობა, განწყობა, აზრები, სულიერი სიახლოვე, რაც შემდეგ რეალურ სიახლოვედ იქცა. საკმარისია, შარლოტემ გაიგო, რომ მეგობარი კართან დგას, ყველაფერი იცის და შემოსვლა სურს.

მაიორი სახლში შევიდა. შარლოტე მას მწუხარე ღიმილით მიესალმა. მაიორი მის წინ იდგა, შარლოტემ გვამს გადახადა. მწვანე აბრეშუმის საბანი და სანთლის მქრქალ შუქზე ფარული ძრწოლით შეპყრობილმა მაიორმა დაინახა თავისი გაქვავებული ორეული. შარლოტემ სკამზე მიუთითა და მთელი ღამე ისინი მდუმარედ ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ. ოთილიე ჯერ კიდევ იწვა შარლოტეს მუხლებზე მშვიდად, სათუთად სუნთქავდა და ვერ გაიგებდი, ეძინა თუ არა.

ინათა, სანთელი ჩაქრა, ორივე მეგობარი თითქოს მძიმე სიზმრიდან გამოერკვა. შარლოტემ მაიორს შეხედა და თქვა: – ამიხსენით, ჩემო მეგობარო, რა ძალამ მოგიყვანათ აქ, რომ მონაწილეობა მიიღოთ ამ მწუხარე სცენაში?

– აქ არ არის, – უპასუხა მაიორმა ისევე ჩუმად, როგორც შარლოტემ ჰკითხა, თითქოს ოთილიეს გაღვიძებისა ეშინოდა, – აქ არ არის იმის ადგილი და დრო, ჯობია თავი შევიკავოთ, შესავალი გავაკეთოთ და შემდეგ შევუდგეთ საქმეს. თქვენ ისეთ საშინელ დღეში დამხვდით, რომ თვით ის მნიშვნელოვანი რამეც კი, რის გამოც აქ მოვედი, მასთან შედარებით კარგავს თავის მნიშვნელობას.

ამის შემდეგ მაიორი ძალზე უბრალოდ და მშვიდად გამოუტყდა, თუ რა იყო მისი შუაგაცობის მიზეზი. იგი ედუარდმა გამოგზავნა, მაგრამ ამ საქმეში ჩარეული იყო მისი თავისუფალი ნებაც და მისი ინტერესებიც. ერთიცა და მეორეც მეტისმეტად ფაქიზად და გულწრფელად მოახსენა. შარლოტე მშვიდად უსმენდა და ეტყობოდა, რომ ეს არც უკვირდა და არც არასასურველ ამბად მიაჩნდა.

როცა მაიორმა თხრობა დაამთავრა, შარლოტემ ისე ჩუმად უპასუხა, რომ მაიორი იძულებული იყო სკამი მისკენ მიეჩოჩებინა.

– ამგვარ მდგომარეობაში, ახლა რომ ვარ, არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ მსგავს შემთხვევებში ყოველთვის ვეუბნებოდი ჩემს თავს: „რა იქნება ხვალ?“ მე მშვენივრად ვგრძნობ, რომ ჩემს ხელთ ახლა მრავალი ადამიანის ბედია და ჩემში ეჭვს არ იწვევს ის, რაც უნდა გავაკეთო, რასაც ახლავ

მოგახსენებთ. მე განქორწინებაზე თანახმა ვარ. ეს უფრო ადრეც უნდა გადამეწყვიტა. ჩემი ყოყმანით, ჩემი წინააღმდეგობით ბავშვი დავლუპე. არის ისეთი რამ, რასაც ბედი ჯიუტად ითხოვს, ტყუილად უღობავს მას გზას გონიერება, სათნოება, მოვალეობა და ყოველივე, რაც წმინდაა. უნდა აღსრულდეს ის, რაც მას სწორად მიაჩნია, ჩვენ კი არასწორად. ბოლოს, ყირაზე რომ დავდგეთ, სადღაც მაინც გვიყვლებს.

მაგრამ რას ვამბობ! ბედს სურს ჩემი ოცნება, ჩემი განზრახვა, რის წინააღმდეგაც დაუფიქრებლად ვილაშქრებდი, სწორ გზაზე დააყენოს. განა მე არ მიფიქრია აქამდე ოთილიესა და ედუარდზე, როგორც ყველაზე შესაფერის წყვილზე? განა არ ვცდილობდი ისინი ერთმანეთთან დამეახლოებინა? განა თქვენ, ჩემო მეგობარო, არ იყავით ამ გეგმის მოწმე. მერედა რატომ ვერ შევძელი მამაკაცის დაჟინება ნამდვილი სიყვარულისგან განმესხვავებინა? რატომ მივიღე მისი წინადადება, როცა შემეძლო დავრჩენილიყავი მის მეგობრად და იგი სხვა ქალთან ბედნიერი მენახა? აბა, დააკვირდით ამ უბედურს, აგერ ჩემს კალთაში რომ თვლემს! ვცახცახებ იმ წამის მოლოდინში, როდესაც ნახევრად მკვდარი ძილს თავს დააღწევს, გონს მოვა და გაიღვიძებს. როგორ უნდა იარსებოს, როგორ უნდა ინუგეშოს თავი, თუ არ ექნება იმის იმედი, რომ თავისი სიყვარულით დაუბრუნოს ედუარდს ის, რაც წაართვა, როგორც ყოველად საოცარი შემთხვევითობის იარაღმა? მას შეუძლია ედუარდს ყველაფერი დაუბრუნოს, რადგან გატაცებით, მგზნებარედ უყვარს იგი. თუ სიყვარულს შეუძლია ყველაფერი აიტანოს, მაშინ მას ისიც შეუძლია, რომ ყველაფრის სანაცვლო გახდეს. ჩემზე ფიქრი კი ამ წუთებში არ შეიძლება.

– გამეცალეთ შეუმჩნევლად, საყვარელო მაიორო, უთხარით ედუარდს, რომ განქორწინებაზე თანახმა ვარ, რომ მას, თქვენ და მითლერს განდობთ ამ საქმის მოგვარებას, რომ ჩემი მომავალი მდგომარეობა არ მაწუხებს და ყველა თვალსაზრისით შემეძლია გულდინჯად ვიყო. ყველა ქალაქს მოვაწერ ხელს, რომელსაც მომიტანენ, ოღონდ ნუ მოითხოვენ ჩემგან, რომ მეც ვიმოქმედო, რომ მეც დავფიქრდე, მეც ვიმსჯელო.

მაიორი ფეხზე წამოდგა. შარლოტემ ოთილიეს ზემოდან ხელი გაუწოდა. მაიორი ამ საყვარელ ხელს ტუჩებით დაეკონა.

– მე, მე რის იმედი შეიძლება ვიქონიო? – ამოილულულა მან.

– პასუხი ჩემზე იყო, – უპასუხა შარლოტემ, – ჩვენ არაფერი დაგვიშავებია, რომ უბედურები ვიყოთ, მაგრამ არც ის დაგვიმსახურებია, რომ ბედნიერები ვიყოთ ერთად.

მაიორი წავიდა, გულის სიღრმეში შარლოტე ეცოდებოდა, მაგრამ საბრალო მკვდარი ბავშვი ვერაფრით შეიბრალა. მათი ყოველმხრივი ბედნიერებისთვის ასეთი მსხვერპლი საჭიროდ მიაჩნდა. მან წარმოიდგინა ოთილიე საკუთარი შვილით ხელში, სრულფასოვანი სანაცვლო იმისა, რაც მან ედუარდს წაართვა. მან წარმოიდგინა საკუთარ მუხლებზე დასმული ვაჟიც, რომელსაც მეტი უფლება ექნება ზედგამოჭრილი მაიორი იყოს, ვიდრე გარდაცვლილს ჰქონდა.

ასეთი საამური იმედები და სურათები ესახებოდა სულში, როცა სასტუმროში მიბრუნებული გადააწყდა ედუარდს, რომელიც მთელი ღამე მაიორს უცდიდა, რადგან არავითარმა მაშხალებმა და არავითარმა ზარბაზნის გასროლის ხმამ არ აუწყა მოლაპარაკების ბედნიერად დამთავრება. მან უკვე იცოდა, უბედურება რომ მოხდა და, თუმცა არ უნდოდა ბოლომდე გამოტყდომოდა საკუთარ თავს, იმის მაგივრად, რომ შებრალებოდა საწყალი არსება, ამ შემთხვევას ისე უყურებდა, როგორც ბედის წყალობას, რომელმაც ერთბაშად მოსპო ბედნიერების მოპოვების ყველა დაბრკოლება. ამიტომ მაიორმა, რომელმაც გააგებინა მეუღლის გადაწყვეტილება, ძალიან ადვილად დაიყოლია, კვლავ დაბრუნებულიყო სოფელში, შემდეგ კი ქალაქში, სადაც უახლოეს მომავალზე იმსჯელებდნენ და თადარიგს დაიჭერდნენ.

მას შემდეგ, რაც მაიორმა დატოვა, შარლოტე მხოლოდ რამდენიმე წუთს იყო ფიქრებში ჩაფლული. ოთილიემ თავი ასწია და დიდრონი თვალებით მეგობარს მიაჩერდა. იგი ჯერ შარლოტეს მუხლებს მოსცილდა, შემდეგ იატაკიდან ადგა და შარლოტეს წინ გაჩერდა.

– ეს უკვე მეორედ! – ასე დაიწყო მშვენიერმა ქალიშვილმა შეუმუსვრელი, მომხიბვლელი სერიოზულობით, – მეორედ მემართება ერთი და იგივე. ოდესღაც მითხარით: ადამიანს ცხოვრებაში ხშირად ემართება ერთი და იგივე და ყოველთვის მნიშვნელოვან წუთებში. მე მიმაჩნია, რომ ეს შენიშვნა მართალია და იძულებული ვარ ერთ რამეში გამოგიტყდე: დედაჩემის სიკვდილიდან ცოტა ხნის შემდეგ სრულიად პატარამ დაბალი სკამი შენკენ მოვაჩოჩე. შენ ტახტზე იჯექი, როგორც ახლა ზიხარ. თავი შენს მუხლებზე მედო, არც მეძინა, არც მეღვიძა, ბურანში ვიყავი, მესმოდა ყველაფერი, რაც ჩემ ირგვლივ ხდებოდა, განსაკუთრებით ცხადად მთელი ლაპარაკი. და მაინც არ შემეძლო გავნძრეულიყავი, რამე მეთქვა, და რომც მნდომებოდა, ვერ მიგანიშნებდით, რომ შეგნება დახშული არა მაქვს. იმჯერად ერთ მეგობარ ქალს ჩემ შესახებ ელაპარაკებოდი, წუხდი ჩემ გამო, საბრალო ობოლი რომ დავრჩი ამ ქვეყანაზე. შენ აღწერე ჩემი

მდგომარეობა, თქვი, რომ სხვებზე ვიქნები დამოკიდებული და თუ განსაკუთრებულმა ბედნიერმა ვარსკვლავმა არ გამიღიმა, რა ცუდად შეიძლება წარიმართოს ჩემი საქმე. მე ყველაფერი გავიგე, თანაც ზუსტად, შეიძლება უფრო მტანჯველადაც გავიგე ის, რაც, ეტყობა, შენ ჩემთვის გსურდა, რასაც ჩემგან მოითხოვდი. მაშინდელი ჩემი შეზღუდული შეხედულებების შესაბამისად ყოველივე ამაზე მე ჩემეული კანონები შევიმუშავე. ამ კანონების მიხედვით დიდხანს ვცხოვრობდი, იმ დროს, როცა მე შენ გიყვარდი, ჩემთვის ზრუნავდი, როცა შენს სახლში შემეფარე და კარგა ხნის შემდეგაც, ისინი განსაზღვრავდნენ ჩემს საქმიანობასა და ქცევას.

მაგრამ მე ავცდი ჩემს გზას, დავარღვიე ჩემი კანონები, შეგრძებაც კი დავკარგე ამისა და ამ საშინელი შემთხვევის შემდეგ შენ მე ისევ მიხსნი ჩემს მდგომარეობას, რომელიც ბევრად უფრო სავალალოა, ვიდრე პირველი იყო.

შენს კალთაზე მისვენებულს, სანახევროდ გაქვავებულს, კვლავ ჩამესმის ყურში შენი ჩუმი ხმა. მესმის, რა დღეშიც ვარ, შემადრწუნა საკუთარმა თავმა, მაგრამ როგორც მაშინ, ამჯერადაც ნახევრად მკვდარმა ძილში ახალი გზა დავისახე.

ისევე როგორც მაშინ, მე ახლაც მივიღე გადაწყვეტილება და ეს შენ ახლაც უნდა იცოდე. მე არასოდეს ვიქნები ედუარდის. ღმერთმა საშინელი გზით ამიხილა თვალები იმაზე, თუ რა ბოროტებას ჩავდივარ. მე მინდა ეს გამოვისყიდო და ნურავინ იფიქრებს, ხელი ამადებინოს ჩემს განზრახვაზე! შენ შენი ღონისძიებანი ამის გათვალისწინებით წარმართე, საყვარელო და ძვირფასო. დაიბარე მაიორი, მოვიდეს, მისწერე, ნურაფერს იდარდებს. როგორ ვწუხნდი, რომ არ შემეძლო განძრევა, გაფაჩუნება, როცა ის წავიდა. მინდოდა წამოვმნტარიყავი, მეყვირა, არ გაუშვა ასეთი მკრეხელური იმედებით-მეთქი.

შარლოტე ხედავდა და გრძნობდა, რა დღეში იყო ოთილიე, მაგრამ იმის იმედი ჰქონდა, რომ დრო და შეგონება თავისას გაიტანდა და მაშინ ცოტათი შეძლებდა მის დაშოშმინებას. მაგრამ როდესაც სიტყვა ჩამოაგდო მომავალზე, მწუხარების განქარვებაზე, იმედზე, აღშფოთებულმა ოთილიემ წამოიძახა: – არა, არა, ნუ ცდილობთ დამიყოლიოთ, შემაცდინოთ. იმწამს, როგორც კი გავიგებ, რომ შენ გაყრაზე დათანხმდი, იმავე ტბაში გამოვისყიდი ჩემს შეცდომას, ჩემს დანაშაულს!

თავი მეთხუთმეტე

როცა ნათესავები, მეგობრები, ოჯახის წევრები ერთად ცხოვრობენ ბედნიერად და მშვიდობიანად, უფრო მეტს საუბრობენ იმაზე, რაც ხდება ან უნდა მოხდეს, ვიდრე ეს საჭირო და მოსაწონია, ისინი არაერთგზის ატყობინებენ ერთმანეთს თავიანთ განზრახვებს, წამოწყებებს, საქმიანობას, თუმცა ერთმანეთის რჩევას ყურად არ იღებენ, მაინც ცხოვრებაზე ბჭობენ, საგანგებო შემთხვევებში კი, სწორედ მაშინ, როცა ყველაზე მეტადაა საჭირო სხვისი დახმარება, თანადგომა, ადამიანები ცალ-ცალკე იკეტებიან თავიანთ ნაჭუჭში, თითოეული თავისებურად იქცევა, ცდილობს დამოუკიდებლად იმოქმედოს, თან ერთმანეთს უმაღლავენ, რა საშუალებებს მიმართავენ და მიღწეული მიზანი და საბოლოო შედეგი მხოლოდ დასასრულს ხდება ხელმისაწვდომი.

ამდენი საოცარი და უბედური ამბის შემდეგ ორივე მეგობარი დაწყნარდა, დასერიოზულდა და გულით, სათუთად ზრუნავდნენ ერთმანეთზე. შარლოტემ ბავშვი სრულიად შეუმჩნევლად გადაასვენებინა კაპელაში, იგი იქ ისე განისვენებდა, როგორც უკუღმართი ბედისწერის პირველი მსხვერპლი.

შარლოტემ, რამდენადაც კი შეეძლო, კვლავ იბრუნა პირი ცხოვრებისკენ, პირველ რიგში წინ დახვდა ოთილიე, რომელიც მის თანადგომას საჭიროებდა. იგი თავს დასტრიალებდა ოთილიეს, მაგრამ ისე, რომ ქალიშვილს არ შეემჩნია. შარლოტემ იცოდა, რა ძლიერ უყვარდა ციურ არსებას ედუარდი. მან თანდათან გამოიძია, როგორი სცენა უსწრებდა უბედურებას წინ და ნაწილობრივ ოთილიესგან, ნაწილობრივ კი მაიორის წერილებიდან ყველაფერი დაწვრილებით გაიგო.

ოთილიე თავის მხრივ ძლიერ უმსუბუქებდა შარლოტეს ყოველდღიურ ცხოვრებას. იყო გულდია, ლაპარაკობდა ხალისიანად, მაგრამ არასოდეს ლაპარაკობდა აწმყოსა ან უახლოეს წარსულზე. იგი მუდამ ყურადღებიანი იყო, დაკვირვებული, ბევრი იცოდა. ახლა ყველაფერმა ამან თავი იჩინა. იგი ართობდა, ყურადღებას უფანტავდა შარლოტეს, რომელიც ისევ ისე ელოლიავებოდა იმედს, მისთვის ძვირფასი წყვილი შეეუღლებინა.

მაგრამ ოთილიეს მდგომარეობა სულ სხვაგვარი იყო. მან მეგობარს გაანდო თავისი ცხოვრების

გზის საიდუმლო, იგი ხელს იღებდა უწინდელ შეზღუდულობაზე, იმაზე, რომ ყველას გული მოეგო. თავისი მონანიებით, თავისი გადაწყვეტილებით იგი დანაშაულის ტვირთისგანაც, მძიმე ხვედრისგანაც გათავისუფლებულად გრძნობდა თავს. მას უკვე აღარ სჭირდებოდა ძალა დაეტანებინა საკუთარი თავისთვის, გულის სიღრმეში მან ცხოვრებისგან განდგომის პირობით აპატია დანაშაული საკუთარ თავს და ეს პირობა მთელი მისი მომავლისთვის აუცილებელი იყო.

ასე გაიარა რამდენიმე ხანმა და შარლოტემ იგრძნო, რომ სახლი, პარკი, ტბები, მიჯარული კლდეები და შეჯგუფებული ხეები ძლიერ უმძაფრებდა ნაღველს ორივეს. მეტისმეტად აშკარა იყო, ადგილი უნდა გამოეცვალათ, მაგრამ ადვილი გადასაწყვეტი არ იყო, როგორ გაეკეთებინათ ეს.

დარჩენილიყო ორივე ქალი ერთად? ედუარდის უწინდელი სურვილი თითქოს ამას მოითხოვდა, მისი წერილები, მისი მუქარა ამას აუცილებელს ხდიდა, მაგრამ ისიც ხომ უნდა მიეღო მხედველობაში, რომ მიუხედავად მთელი მათი კეთილი სურვილების, გონიერების, მონდომებისა, ერთმანეთის გვერდით ისინი მაინც საჩოთირო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ლაპარაკის დროს ბევრ რამეს არიდებდნენ თავს. ზოგჯერ ის სიამოვნებდათ, რომ ნახევრად ხვდებოდნენ რაღაც-რაღაცებს, მაგრამ ხშირად რომელიმე გამონათქვამს თუ გონებით არა, გრძნობით მაინც ყალბად ხსნიდნენ. ეშინოდათ ერთმანეთისთვის ტკივილი არ მიეყენებინათ და პირველ რიგში სწორედ შიში იყო გულის დამკვიდრებელი და უკოდავდა კიდევ.

მაგრამ თუ ადგილსამყოფლის გამოცვლას მოინდომებდნენ და ამავე დროს რამდენიმე ხნით დაშორებას, კვლავ დგებოდა ძველი კითხვა: სად გაემგზავროს ოთილიე? წარჩინებული და მდიდარი ოჯახი კვლავ ეძებდა ქალიშვილისთვის გამართობ და მასავით ნიჭიერ ამხანაგს. უკანასკნელად აქ ყოფნის დროს და მას შემდეგ წერილებით ბარონესა შარლოტეს მოუწოდებდა, ოთილიე იმ ოჯახისთვის გაეგზავნა. შარლოტემ ახლახან კიდევ ერთხელ ჩამოაგდო ამაზე სიტყვა, მაგრამ ოთილიე კატეგორიულად ამბობდა უარს გამგზავრებულიყო იქ, სადაც იგივე დახვდებოდა, რასაც მაღალ საზოგადოებას უწოდებენ.

– გონებაშეზღუდული და ჯიუტი რომ არ მოგეჩვენოთ, საყვარელო დეიდა, – თქვა ოთილიემ, – მათქმევინეთ ის, რაზეც გაჩუმებას, რის დამალვასაც სხვა შემთხვევაში საჭიროდ მივიჩნევდი. დიდად უბედურად დამიანს, უდანაშაულოც რომ იყოს, მაინც საშინელი დაღი აზის. სადაც უნდა იყოს, ყოველ ადამიანში, ვინც მას ხედავს და ამჩნევს, ერთგვარ შეძრწუნებას იწვევს. ყველას უნდა დაინახოს მასში ის საშინელება, რომლის კვალიც ამჩნევია. ცნობისმოყვარეობას ყველა იჩენს და ამავე დროს შიში იპყრობს. ამდენად სახლი, ქალაქი, სადაც საზარელი საქმე მოხდა, საშიში რჩება თითოეულისთვის, ვინც იქ ფეხს შედგამს. იქ დღის სინათლეს კი არ არის ძლიერ ნათელი და თითქოს ვარსკვლავებიც კი კარგავენ თავიანთ ბრწყინვალეებას.

რამდენად ძნელი საპატიებელია ამგვარ უბედურთა მიმართ ადამიანების უტაქტობა, მათი სულელური ჩაცემა და უხერხული დიდსულოვნება. მაპატიეთ, ასე რომ ვლაპარაკობ, მაგრამ მე წარმოუდგენლად ვიტანჯებოდი იმ საბრალო გოგონასთან ერთად, ლუციანემ რომ მყუდრო ოთახიდან გამოიყვანა, თავაზიანად დასტრიალებდა თავს და საუკეთესო განზრახვა ჰქონდა, როცა უნდოდა, რომ მას ეცეკვა და ეთამაშა. როდესაც საწყალი ბავშვი კიდევ უფრო დაფრთხა, ბოლოს გაიქცა და გონება დაკარგა, მე კი ხელი შევაშველე, საზოგადოებას შეეშინდა, აღელდა და თითოეულს მხოლოდ მაშინ აღედრა ცნობისმოყვარეობა ამ ცოდვის შვილისადმი. მაშინ მე არ ვფიქრობდი, რომ მსგავსი ბედი მეწეოდა, მაგრამ ჩემი თანაგრძნობა, ასეთი ალალი და ცხოველმყოფელი, დღესაც ცოცხალია. ახლა შემეძლია ჩემი თანაგრძნობა ჩემსავე თავზე გადავიტანო და თავი დავიცვა, რომ არავის მივცე საბაბი იმგვარად მომექცნენ.

– კი მაგრამ, ჩემო საყვარელო გოგონა, – უთხრა შარლოტემ, – ადამიანების თვალს შენ ვერსად აარიდებ თავს. ჩვენ არ გვაქვს ისეთი მონასტრები, სადაც ჩვეულებრივ შეიძლებოდა ამგვარი გრძნობისთვის საყუდრის პოვნა.

– განდგომა საყუდარი როდია, ძვირფასო დეიდა, – განაგრძო ოთილიემ, – ყველაზე დიდად სანაქებო ის იქნება, საყუდარი იქ იპოვო, სადაც შეგვიძლია ქმედითნი ვიყოთ. ვერავითარი მონანიება, ვერავითარი ხელმოკლეობა ვერ დაგვიცავს იმ ხვედრისგან, რომელიც გვიწერია, კბილი რომ დაგვასო. ჩემთვის ის მაშინაა საძულველი, როცა საზოგადოების საჭვრეტად ვარ გამოფენილი და მაშინ მაშინებს. მაგრამ თუ დაინახავენ, რომ ხალისიანად ვმუშაობ, დაუღლელად ვასრულებ ჩემს მოვალეობას, მაშინ შემეძლება ყოველი ადამიანის მზერას გავუძლო, რადგან ღვთის თვალის შიში აღარ მექნება.

– მე ან ძლიერ ვცდები, – უთხრა შარლოტემ, – ან პანსიონში დასაბრუნებლად სწორედ ახლა მიგიწევს გული.

– დიახ, – უპასუხა ოთილიემ, – ამას არ უარვყოფ, მე ბედნიერად მიმაჩნია იმ ადამიანის ხვედრი

ჩვეულებრივი გზით აღზარდო სხვები, როცა შენ ყოვლად უცნაურად აღზარდეს. განა ისტორიიდან არ ვიცნობთ ისეთ ადამიანებს, რომელთაც დიდი ზნეობრივი თავზარი დაეცათ და უდაბნოს შეაფარეს თავი და იქ, როგორც იმედოვნებდნენ, არამც და არამც არ დარჩნენ დამალულნი და გაუჩინარებულნი? მათ ისევ უკან მოუხმო საზოგადოებამ იმისთვის, რომ გზას აცდენილები სწორ გზაზე დაეყენებინათ. ვის შეეძლო ამის გაკეთება იმათზე უკეთ, ვინც უკვე იცნობდა ცხოვრების მიკიბულ-მოკიბულ გზებს! ისინი მოწოდებულნი იყვნენ იმისთვის, რომ უბედურთ მხარში ამოსდგომოდნენ და ვის შეეძლო ამის გაკეთება უფრო სწრაფად, თუ არა იმათ, რომელთაც ცხოვრებისეული უბედურება თავს ველარ დაატყდებოდა.

– შენ უცნაურ ხვედრს ირჩევ, – უპასუხა შარლოტემ, – მე ხელს არ შეგიშლი, დაე მოხდეს ეს, მაგრამ როგორც ვიმედოვნებ, მხოლოდ მცირე ხნით.

– დიდი მადლობელი ვარ თქვენი, – უთხრა ოთილიემ, – ნებას რომ მრთავთ მოვიქცე ასე და გამოცდილება შევიძინო. საკუთარი თავისადმი ზედმეტ პირფერობაში თუ არ ჩამომართმევთ, ეტყობა, ბედი მიღიმის. მინდა გავიხსენო, რამდენი განსაცდელი მხვდა წილად იმ დაწესებულებაში, რამდენ გამოცდას გავუძელი და რა უმნიშვნელო, რა პატარა იყო ყოველივე ეს იმასთან შედარებით, რისი გადატანაც შემდეგ მომიხდა. სიხარულით მივადევნებ თვალს ნორჩი ახალგაზრდების დარცხვენილ სახეებს, ღიმილს მომგვრის მათი ბავშვური ტკივილები, ფრთხილად ჩაკვიდებ მათ ხელს და გამოვიყვან თავიანთ პატარა ცდომილებებიდან. ბედნიერება არ გამოდგება ბედნიერთა წინამძღვრად. ადამიანის მოთხოვნილებაა, რაც მეტს მიიღებს, მით უფრო მეტი მოსთხოვოს თავის თავსაც და სხვებსაც. მხოლოდ იმ უბედურმა, რომელიც სულს მოითქვამს, იცის, როგორ განავითაროს საკუთარ თავშიც და სხვებშიც ის გრძნობა, რომ შეიძლება ზომიერი სიკეთითაც დატკბე.

– ნება მომეცი შენს განზრახვას, – უთხრა მცირე დაფიქრების შემდეგ შარლოტემ, – კიდევ ერთი მოსაზრება დავუპირისპირო, რომელიც მე ყველაზე მნიშვნელოვანი მეჩვენება. ლაპარაკია არა შენზე, არამედ მესამეზე. შენთვის ცნობილია პანსიონის გამგის თანაშემწის, კეთილი, გონიერი, ღვთისმოსავი კაცის გრძნობები. იმ გზაზე, რომელიც შენ აირჩიე, ყოველდღიურად მისთვის სულ უფრო ძვირფასი და აუცილებელი გახდება. თუ მისი გრძნობების მიხედვით ვიმსჯელებთ, მას ახლაც უჭირს უშენოდ ცხოვრება, ამდენად მომავალში, როცა შეეჩვევა შენს თანადგომას, უშენოდ ველარ გაუძღვება საქმეს. შენ მას თავიდანვე ამოუდგები მხარში, შემდეგ კი მისთვის ეს დახმარება ტანჯვად გადაიქცევა.

– ბედი გულმოწყალედ არ მომექცა, – უთხრა ოთილიემ, – და ვისაც მე ვუყვარვარ, ამაზე უკეთესს ჩემგან არ უნდა მოელოდეს. ის მეგობარი იმდენად კეთილი და შეგნებულია, რომ იმედი მაქვს, ჩემდამი სუფთა ურთიერთდამოკიდებულება განუვითარდება. იგი ჩემში დაინახავს თავდადებულ პიროვნებას, რომელსაც მხოლოდ იმით შეუძლია ააცილოს საკუთარ თავს და სხვებს უბედურება, თუ თავს შესწირავს წმინდა საქმეს და დაგვიფარავს იმ საშიში და მტრული ძალებისგან, ირგვლივ რომ გვარტყია და ჩვენ ვერ ვხედავთ.

შარლოტემ გადაწყვიტა თავისთვის აეწონ-დაეწონა ყველაფერი, რაც ასე გულწრფელად უთხრა საყვარელმა ქალიშვილმა. მან შეუმჩნევლად ხან აქედან მოუარა, ხან იქიდან, იმის გაგება უნდოდა, შეიძლება თუ არა ოთილიეს ედუარდთან დაახლოებაო, მაგრამ ეტყობოდა, რომ ოთილიეს მისი გაკვრით ხსენება, მცირედი იმედი, ოდნავ ეჭვიც კი გულის სიღრმემდე აღელვებდა და ადრე იქნებოდა თუ გვიან, შარლოტე ამას გვერდს ვერ აუვლიდა, ამიტომ სრულიად ნათლად გამოთქვა თავისი აზრი.

– თუ შენი გადაწყვეტილება, – უთხრა შარლოტემ, – ედუარდზე უარი თქვა ასევე მტკიცე და ურყევია, მაშინ ერთი საფრთხეს – ხელახლა მასთან შეხვედრას. საყვარელ ადამიანს დაშორებული, ჩვენ მით უფრო უკეთ ვერევიტ ჩვენს თავს, რაც უფრო ძლიერია ჩვენი გრძნობა, რადგან სიყვარულის მთელ ძალას, გარეთ რომ იჭრებოდა, შიგნითვე ვაბრუნებთ. მაგრამ რა მალე, რა სწრაფად იფანტება ეს შეცდომა, როცა ის, ვისი მოსაკლისებაც გვეგონა შეგვეძლო, ერთბაშად კვლავ თვალწინ დაგვიდგება და უმისოდ ველარ ვძლებთ. ახლა მოიქეცი ისე, შენს მდგომარეობაში რომ ყველაზე შესაფერისად მიგაჩნია, გამოსცადე შენი თავი, უმჯობესი იქნება შეცვალო შენი ახლანდელი გადაწყვეტილება, ოღონდ ძალდაუტანებლად, შენივე გულის კარნახით. ნუ მისცემ უფლებას ნურც შემთხვევას, ნურც მოულოდნელობას, რომ უწინდელ მდგომარეობაში აღმოჩნდე. აი, მაშინ კი დაისადგურებს შენს სულში განხეთქილება, რაც აუტანელია. როგორც გითხარი, სანამ ამ ნაბიჯს გადადგამ, სანამ მე დამშორდები და ახალ ცხოვრებას დაიწყებ, რომელიც ვინ იცის, როგორ გზებზე გაგიყვანს, დაფიქრდი კიდევ ერთხელ იმაზე, შეგიძლია თუ არა სამუდამოდ თქვა უარი ედუარდზე. მაგრამ თუ ამას გადაწყვეტ, მაშინ პირობა უნდა მომცე, რომ შენ მას არ აჰყვები, არ დაელაპარაკები, რომ მოგაკითხოს და დაიჟინოს კიდევ.

ოთილიე წამითაც არ დაფიქრებულა, შარლოტეს სიტყვა მისცა, რაც მანამდე უკვე მისცა თავის

თავს.

მაგრამ შარლოტეს ჯერ კიდევ უმღვრევდა სულს ედუარდის მუქარა, რომ მხოლოდ იმდენ ხანს იტყვის ოთილიეზე უარს, სანამ შარლოტეს არ დაშორდება. მართალია, მას შემდეგ მდგომარეობა ისე შეიცვალა, იმდენი რამ მოხდა, რომ მაშინ ერთი წამის ზეგავლენით დაცდენილი სიტყვა, მომდევნო მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლებოდა ფასდაკარგულად ჩაეთვალიათ. მაგრამ გუნებაში არც კი გაუვლია, რამე გაებედა ან მოემოქმედა ისეთი, რაც ედუარდისთვის შეურაცხმყოფელი იქნებოდა და ამიტომ მითლერს დაავალეს გამოერკვია, როგორ გუნებაზე იყო ედუარდი.

ბავშვის სიკვდილის შემდეგ მითლერი ხშირად აკითხავდა შარლოტეს, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წამით. ამ უბედურმა შემთხვევამ, რაც ცოლ-ქმრის ხელახლა შეერთებას ფრიად საეჭვოს ხდიდა, ძლიერ იმოქმედა მითლერზე. მაგრამ რაკი თავისი ხასიათის წყალობით მაინც იმედიანად იყო და ცდილობდა საქმე მოეგვარებინა, გულში ოთილიეს გადაწყვეტილებას მიესალმებოდა. მას სწამდა, რომ დრო დამაშოშმინებელი, მკურნალია, კვლავ ჰქონდა იმედი ცოლ-ქმრის დაახლოებისა, ხოლო მათ ჭიდილს უყურებდა როგორც ცოლქმრული სიყვარულისა და ერთგულების გამოცდას.

შარლოტემ თავიდანვე წერილობით აუწყა მაიორს ის, რაც პირველ დღეს განაცხადა ოთილიემ და დაბეჯითებით სთხოვა, დახმარებოდა ედუარდს იმაში, რომ ახალი ნაბიჯები არ გადაედგა, მოქცეულიყო მშვიდად, დალოდებოდა იმ დროს, აღსდგებოდა თუ არა მშვენიერი ქალიშვილის შინაგანი წონასწორობა. მოგვიანებით მან სხვა ახალი ამბებიც და განზრახვანიც აცნობა, აცნობა, რაც საჭიროდ მიიჩნია და აი, მითლერს მართლაც მძიმე ამოცანა დაეკისრა, შეემზადებინა ედუარდი იმისათვის, რომ მდგომარეობა შეეცვალა. მაგრამ მითლერმა, იცოდა რა კარგად, რომ უფრო ადვილად ვეგუებით მომხდარ ცვილებებს, ვიდრე მოსახდენს, დაარწმუნა შარლოტე, რომ ყველაფერს ოთილიეს პირდაპირ პანსიონში გაგზავნა აჯობებდა.

ამიტომ მითლერის წასვლისთანავე მგზავრობის თადარიგს შეუდგნენ. ოთილიე ბარგს ალაგებდა, მაგრამ შარლოტემ მშვენივრად დაინახა, რომ არც ლამაზი პატარა სკივრი და არც სხვა არაფერი ამოუღია იქიდან. უფროსი მეგობარი ქალი დუმდა და მდუმარე ქალიშვილს აცალა ისე მოქცეულიყო, როგორც სურდა. მოახლოვდა გამგზავრების დღეც. შარლოტეს ეტლს ოთილიე პირველ დღეს უნდა ჩაეყვანა ნაცნობ ღამის გასათევში, მეორე დღეს კი პანსიონში მიეყვანა. ნანი თან უნდა გაჰყოლოდა და მის მოახლედ დარჩენილიყო. მგზნებარე გოგონა ბავშვის სიკვდილის შემდეგ მაშინვე დაბრუნდა ოთილიესთან და კვლავ მთელი თავისი არსებით, მთელი სულითა და გულით მიეტმასნა, ენად გაიკრიფა, ართობდა საყვარელ ქალბატონს, თითქოს სურდა, რაც აქამდე დააკლო, ერთბაშად აენაზღაურებინა და თავს გადაგებოდა. მან სრულიად დაკარგა თავი ბედნიერებისგან იმის გამო, რომ ოთილიეს უნდა გაჰყოლოდა და ახალ მხარეებს ნახავდა, რადგან არასდროს გასცილებია იმ ადგილს, სადაც დაიბადა. იგი მაშინვე გავარდა სოფელში, თავის მშობლებთან და ნათესავებთან, რომ მათთვის თავისი ბედნიერება ეუწყებინა და გამომშვიდობებოდა. საუბედუროდ, გზად წითელათი დაავადებულთა ოჯახში შეირბინა და მაშინვე გადაედო. მგზავრობის გადადება არ უნდოდათ, ოთილიემ თავად დაიყინა ეს: გზა, რომლითაც მიემგზავრებოდნენ, ოთილიეს უკვე გავლილი ჰქონდა, იცნობდა იმ სასტუმროების პატრონებს, ვისთანაც უნდა გაჩერებულიყვნენ, თანაც ციხე-დარბაზის მეეტლეს მიჰყავდა და საშიში არაფერი იყო.

შარლოტეს წინააღმდეგობა არ გაუწევია, ფიქრებით იგიც უკვე გზაში იყო და აქედან მიიჩქაროდა, მხოლოდ უნდოდა ის ოთახები, სადაც ოთილიე ცხოვრობდა, კვლავ ედუარდისთვის მოეწყოს სწორედ ისე, როგორც კაპიტნის ჩამოსვლამდე იყო. ძველი ბედნიერების აღდგენის იმედი მუდამ ღვივის ხოლმე ადამიანში, შარლოტეს უფლება ჰქონდა კიდევ ერთხელ ეგრძნო ეს და გარემოებაც აქეთკენ უბიძგებდა.

თავი მეთექვსმეტე

როცა მითლერი ედუარდთან მივიდა მოსალაპარაკებლად, იგი მარტო დახვდა, თავი მარჯვენა ხელზე დაედო, მეორე ხელით მაგიდას დაყრდნობოდა და ეტყობოდა, რომ ძლიერ იტანჯებოდა.

– ისევ გაწუხებს თავის ტკივილი? – ჰკითხა მითლერმა.

– კი, ისევ მაწუხებს, – უპასუხა ედუარდმა – მაგრამ მაინც არ ვუჩივი, რადგან ოთილიეს მაგონებს.

იქნებ ახლა ისიც იტანჯება, თავი მარცხენა მკლავზე აქვს დაყრდნობილი და, ცხადია, ჩემზე მეტად იტანჯება. რატომ არ უნდა ავიტანო ეს ტკივილი მასავით? ტკივილები ჩამთვის მარგებელია, მე ვიტყვოდი, სასურველიც, რადგან გონების თვალთ ვხედავ მის ჭირთათმენას და მასთან ერთად მის ყველა კეთილშობილ თვისებას.

მითლერი, რომელიც დარწმუნდა, რომ მისი მეგობარი მთლიანად შეურიგდა ბედს, მაშინვე შეუდგა საქმის მოგვარებას, მთელი ის ამბავი თანამიმდევრულად მოუყვა, როგორ დაებადათ ეს აზრი ქალებს, როგორ მომწიფდა თანდათან მათი განზრახვა. ედუარდს საწინააღმდეგო არაფერი უთქვამს. იმ რამდენიმე სიტყვიდან, რაც თქვა, ის აზრი გამომდინარეობდა, რომ ყველაფერს ქალებს ანდობდა. ეტყობა, ახლანდელმა თავის ტკივილმა ყველაფრის მიმართ გულგრილი გახადა.

მაგრამ როგორც კი მარტო დარჩა, მაშინვე ფეხზე წამოდგა და ოთახში დაიწყო სიარული. თავის ტკივილს აღარ გრძნობდა, ფიქრით სულ სხვაგან იყო, შეყვარებულის წარმოსახვა ჯერ კიდევ მაშინ ამუშავდა ძალუმად, როცა მითლერი ამბავს უყვებოდა. იგი ოთილიეს ხედავდა მარტოს ან თითქმის მარტოს კარგად ნაცნობ გზაზე, იმ სასტუმროში, სადაც უცხოვრია, რომლის ოთახებში ხშირად შესულა. იგი ფიქრობდა, ვარაუდობდა ან უფრო სწორად, არც ფიქრობდა და არც ვარაუდობდა. მას მხოლოდ ენატრებოდა, სურდა, უნდოდა ენახა, დალაპარაკებოდა ოთილიეს. მაგრამ რისთვის, რატომ, რა უნდა მოჰყოლოდა ყოველივე ამას? ამაზე არ ფიქრობდა. იგი საკუთარ თავს კი არ ეწინააღმდეგებოდა, მისთვის ეს აუცილებელი იყო.

ედუარდმა თავისი განზრახვა კამერდინერს გაანდო და მანაც მაშინვე გაიგო, რომელ დღესა და რომელ საათზე მიემგზავრებოდა ოთილიე. დადგა ის დილა. ედუარდს არ დაუყოვნებია, თანმხლები გარეშე გასწია იქით, სადაც ოთილიეს ღამე უნდა გაეთია. ოღონდ მეტიმეტად ადრე მოუხდა ჩასვლა. სასტუმროს პატრონის ცოლი, რომელიც გააოცა მისმა დანახვამ, სიხარულით შეეგება, იგი ედუარდს უმადლოდა დიდ ოჯახურ ბედნიერებას. ედუარდმა მის ვაჟს, რომელმაც ბრძოლაში სიმამაცე გამოიჩინა, საპატიო ნიშანი მიაღებინა იმით, რომ მისი გმირობა, რისი მოწმეც მარტო თვითონ იყო, სხვებისთვისაც ცნობილი გახადა, საგულდაგულოდ მოახსენა სარდლებსაც და ზოგიერთი არაკეთილმოსურნე ადამიანის წინააღმდეგობასაც სძლია. ქალმა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, რით ეცა პატივი. მან შეძლებისდაგვარად მიაღაგ-მოაღაგა დამლაგებლის ოთახი, რომელიც იმავე დროს საგარდერობოც იყო და საკუჭნაოც, მაგრამ ედუარდმა უთხრა, რომ ჩამოვა ერთი ქალი, რომელიც ამ ოთახს დაიკავებს, მე კი სახელდახელოდ მომიწყვე პატარა ოთახი დერეფნის ბოლოში. ქალს საქმე საიდუმლოებით მოცული მოეჩვენა და სიამოვნებდა, რომ თავისი მწყალობლისთვის, მისი შვილისთვის ამდენი დაინტერესება და მონდომება რომ გამოიჩინა, რაიმე მოსაწონი გაეკეთებინა, ედუარდმა კი რა განცდებში გაატარა დრო საღამომდე? ათვალთვლებდა იმ ოთახის კუთხე-კუნჭულებს, სადაც ოთილიე უნდა ენახა. მთელი თავისი უჩვეულო შინაურულობით ოთახი მას ზეციურ სავანედ მოეჩვენა, რაზე არ ფიქრობდა: მოულოდნელად უნდა შეხვედროდა ოთილიეს თუ შეემზადებინა ამისთვის, ბოლოს ამ უკანასკნელმა აზრმა გადაწონა. ედუარდი დაჯდა და წერა დაიწყო. აი, ის წერილი, ოთილიეს რომ უნდა მიეღო: ედუარდი – ოთილიეს

„სანამ ამ წერილს წაიკითხავ, ჩემო უსაყვარლესო, მე შენს მახლობლად ვიქნები. არ შეგეშინდეს და არ შეძრწუნდე, ანდა ჩემი რატომ უნდა გეშინოდეს, შენთან არ შემოვიჭრები, იმაზე ადრე ვერ მნახავ, ვიდრე ამის ნებას არ დამრთავ.“

მაგრამ მანამდე ჩაუფიქრდი შენსა და ჩემს მდგომარეობას. რა დიდად მადლობელი ვარ შენი, რომ ჯერ გადამწყვეტი ნაბიჯი არ გადაგიდგამს, ეს ნაბიჯი საკმაოდ მნიშვნელოვანია! ნუ გადადგამ მას! აჰ, ამ ერთგვარ გზის გასაყარზე, კიდევ ერთხელ დაფიქრდი: შეგიძლია ჩემი იყო? გინდა, რომ ჩემი იყო? ო, ჩვენთვის, ყველასთვის ეს დიდი სიკეთე იქნებოდა, ჩემთვის კი უზომოდ დიდი.

დამრთე იმის ნება, რომ კვალად გნახო და გნახო სიხარულით. დამრთე ნება, რომ ეს მშვენიერი შეკითხვა სიტყვიერად დაგისვა და მასზე შენმა მშვენიერმა მე-მ გასცეს პასუხი. ჩამეკარი მკერდში, ოთილიე, აჰ, სადაც ზოგჯერ მოგისვენია და სადაც მუდამ შენი ადგილია!“

სანამ წერდა, ისეთმა გრძნობამ შეიპყრო, თითქოს მისი სანატრელი არსება უახლოვდებოდა, ახლავე აჰ გაჩნდებოდა, ამ კარში შემოვიდოდა, ამ წერილს წაიკითხავდა, მართლა აღმოჩნდებოდა მის წინ ის, ვისი გამოცხადებაც ასე ხშირად უნატრია, ისევ ისეთი იქნება, როგორიც იყო? ხომ არ შეიცვალა მისი გარეგნობა, მისი გრძნობები? კალამი ჯერ კიდევ ხელში ეჭირა, უნდოდა დაეწერა ის, რასაც ფიქრობდა, მაგრამ ამ დროს ეზოში ეტლი შემოგრიალდა და გაკვრით მიაწერა: „გავიგონე, რომ მოხვედი, გეთხოვები ერთი წამით!“

მან წერილი დაკეცა და წააწერა, დალუქვის დრო აღარ იყო. ამის შემდეგ შევარდა პატარა ოთახში, საიდანაც კარი დერეფანში გადიოდა და უეცრად გაახსენდა, რომ ბეჭდიანი საათი მაგიდაზე დარჩა. ოთილიეს იგი თავიდანვე არ უნდა დაენახა, ამიტომ უკანვე შევარდა ოთახში და საათი მშვიდობიანად გამოიტანა. წინკარიდან უკვე ისმოდა დიასახლისის ხმა, რომელიც ოთახისკენ

წამოვიდა, რომ სტუმრები დაებინავებინა. ედუარდმა მიაშურა თავის ოთახს, მაგრამ კარი დაკეტილი დახვდა. წელან ფაციფუცში გასაღები დაუვარდა და ახლა კარს უკან ეგდო. საკეტი ჩაკეტილი იყო და იგი მონუსხულივით იდგა. შემდეგ მაგრად მიაწვა კარს, მაგრამ კარი არ დაემორჩილა. ო, როგორ ნატრობდა ლანდივით შემძვრალიყო ღრიჭოში! მაგრამ ამაოდ. სახე კარის ამყოლში ჩამალა. ოთილიე შემოვიდა, დიასახლისმა ედუარდს თვალი მოჰკრა და გავიდა. არაფრით არ შეიძლებოდა, ოთილიეს რომ იგი ვერ დაენახა. ედუარდი მისკენ შეტრიალდა და შეყვარებულები ასე ყოვლად უცნაურად იდგნენ კიდეც ერთხანს ერთმანეთის პირისპირ. ოთილიემ შეხედა მშვიდად, სერიოზულად, ისე რომ არც წინ გადაუდგამს ნაბიჯი და არც უკან დაუხევია, მაგრამ როცა ედუარდი დაიძრა ადგილიდან, რომ მას მიახლოებოდა, ოთილიემ უკან, მაგიდისკენ დაიხია რამდენიმე ნაბიჯით და ამის შემდეგ მანაც დაიხია უკან.

– ოთილიე, – წამოიძახა ედუარდმა, – დამარღვევინე ეს საშინელი დუმილი! ნუთუ ჩვენ, ერთმანეთის პირისპირ რომ ვდგავართ, ლანდები ვართ? მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მომისმინე! მე აქ ახლა შემთხვევით დაგხვდი. შენ გვერდით დევს წერილი, რომელსაც უნდა შეემზადებინე. წაიკითხე, გთხოვ წაიკითხო და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტე, რაც ძალგის.

ოთილიემ წერილს დახედა. მცირე ხნის დაფიქრების შემდეგ ხელში აიღო, გახსნა და წაიკითხა. სანამ კითხულობდა, სახე არ შესტოკებია, შემდეგ წყნარად განზე გადადო, ხელები მაღლა ასწია, გულებით ერთმანეთს მიატყუპა, მკერდთან მიიტანა, ოდნავ წინ დაიხარა და დაჟინებით მთხოვნელს ისეთი თვალებით შეხედა, რომ ედუარდი იძულებული გახდა ყველაფერზე ხელი აეღო, რასაც ითხოვდა და ნატრობდა. ამ მოძრაობამ ედუარდს გული დაუფლითა. მან ვერ აიტანა ოთილიეს მზერა, მისი პოზა. სრული შთაბეჭდილება იქმნებოდა, კიდეც რომ დაეჟინებინა, ქალიშვილს მუხლები მოეკვეთებოდა. სასოწარკვეთილი ედუარდი ოთახიდან გავიდა და დიასახლისი მარტო დარჩენილ ოთილიესთან გამოგზავნა.

ედუარდი აქეთ-იქით დადიოდა წინკარში. დაღამდა, ოთახში კვლავ სიჩუმემ დაისადგურა. ბოლოს გამოვიდა დიასახლისი და გასაღებს მისწვდა. კეთილი ქალი აღელვებული იყო, არ იცოდა, რა ექნა. ბოლოს გასაღები გაუწოდა, მაგრამ ედუარდმა არ გამოართვა. ქალმა ანთებული სანთელი დატოვა და იქაურობას გაეცალა.

უდიდესი მწუხარებით შეპყრობილი ედუარდი ოთილიეს კარის ზღურბლზე დაემხო და ცრემლებით დანამა. იშვიათად გაუტარებიათ ასე სავალალოდ შეყვარებულებს ოდესმე ამგვარ სიანხლოვეში ღამე.

გათენდა, მეეტლემ ეტლი მოიყვანა, დიასახლისმა კარი გააღო და ოთახში შევიდა, ოთილიეს ჩაცმულს ჩასძინებოდა, დიასახლისი უკან გამობრუნდა და ედუარდს თანაგრძნობის ღიმილით მოუხმო. ორივენი მძინარის წინ გაჩერდნენ, მაგრამ ედუარდისთვის ეს სანახაობაც აუტანელი იყო. დიასახლისმა ვერ გაბედა ჩაძინებული ქალიშვილის გაღვიძება და მის პირდაპირ ჩამოჯდა. ბოლოს ოთილიემ ლამაზი თვალები გაახილა და ფეხზე წამოდგა. საუზმეზე უარი თქვა და ამ დროს ედუარდი მივიდა მასთან, დაჟინებით სთხოვა, ერთი სიტყვა მაინც მითხარი, შენი ნება მამცნეო და ფიცი დადო, რომ ყველაფერში დაემორჩილებოდა. მაგრამ ქალიშვილი დუმდა. სიყვარულით გულაძგერებულმა ედუარდმა კიდეც ერთხელ ჰკითხა დაჟინებით, გსურს თუ არა, რომ მე მეკუთვნიოდეო? თვალებდახრილი ქალიშვილი ნაზად და საყვარლად ამოძრავებდა თავს უარის ნიშნად. ედუარდმა ჰკითხა, პანსიონისკენ თუ მიგიწევს გულიო? ქალმა გულგრილად უარყო ეს. მაგრამ როცა ჰკითხა, ნებას თუ მაძლევ ისევ შარლოტესთან დაგაბრუნოო, დასტურის ნიშნად ქალიშვილმა მშვიდად დახარა თავი. ედუარდი მიაშურებს ფანჯარას, რომ მეეტლეს უბრძანოს, რაც სურს, მაგრამ ამ დროს ოთილიე ელვასავით გამოვარდება მის ზურგს უკან ოთახიდან, კიბეს ჩაირბენს და ეტლში ჩაჯდება. მეეტლე ისევ ციხე-დარბაზისკენ მიმავალ გზას დაადგება, ედუარდი ოდნავ მოშორებით ცხენით გაჰყვება უკან.

თავი მეჩვიდმეტე

ძლიერ გავიდა შარლოტე, როცა ციხე-დარბაზის ეზოში ეტლით შემოსული ოთილიე და ცხენზე ამხედრებული ედუარდი დაინახა. შარლოტემ კარის ზღურბლს მიაშურა. ოთილიე ეტლიდან გადმოვიდა და ედუარდთან ერთად მიუახლოვდა მას. შემდეგ ძლიერ და მგზნებარედ დასწვდა ცოლ-ქმრის ხელებს, ერთმანეთთან შეაერთა და თავისი ოთახისკენ გაიქცა. ედუარდი შარლოტეს კისერზე მოეხვია და ცრემლები ღვარად წამოუვიდა. მას არაფრის ახსნა არ შეუძლია, მხოლოდ

სთხოვს, მას მოთმინებით მოეპყრას, ხოლო ოთილიეს მხარში ამოუდგეს, მიეხმაროს. შარლოტემ ოთილიეს ოთახს მიაშურა და როცა შევიდა, შეძრწუნდა. ოთახი მთლად დაეცალათ, მხოლოდ ცარიელი კედლები იყო დარჩენილი. ოთახი ფართო და უსიამო მოეჩვენა. ყველაფერი გაეტანათ, მხოლოდ პატარა სკივრი დაეტოვებინათ შუა ოთახში, ვერ მოესაზრებინათ, სად დაედგათ. ოთილიე იატაკზე იწვა, თავი და მკლავები სკივრზე ჩამოედო. შარლოტე თავს დასტრიალებდა, ეკითხებოდა რა მოხდაო, მაგრამ ვერავითარი პასუხი ვერ მიიღო.

შარლოტემ თავისი მოახლე, რომელმაც გამაგრლებელი სასმელები მოიტანა, ოთილიესთან დატოვა და ედუარდთან გაიქცა. ქმარი დარბაზში დახვდა, მანაც ვერაფერი გააგებინა. ედუარდი ცოლის წინ განერთხა და ხელები ცრემლებით დაუნამა, შემდეგ თავის ოთახში გაიქცა და როცა შარლოტეს უნდოდა უკან დასდევებოდა, შემოეყარა კამერდინერი და აცნობა ყველაფერი, რაც კი იცოდა. შარლოტემ დანარჩენი თვითონ გაიაზრა და მაშინვე შეუდგა იმის მოგვარებას, რაც იმწამს აუცილებელი იყო. ოთილიეს ოთახი ისევ მოაწყვეს უსწრაფესად. ედუარდს კი თავისი ოთახები უკანასკნელ ქალღამდე ისე დახვდა, როგორც დატოვა.

ამ სამმა თითქოს კვლავ იპოვა ერთმანეთი, მაგრამ ოთილიე დუმდა, ედუარდს კი არაფერი შეეძლო იმის გარდა, რომ ცოლს სთხოვდა, მოთმინება გამოიჩინეო, რადგან ეტყობა თვით მას მოთმინების ძაფი გაუწყდა. შარლოტემ შიკრიკები გაუგზავნა მითლერსა და მაიორს. პირველი ვერ ნახეს, მეორე კი ჩამოვიდა. ედუარდმა გული მეგობარს გადაუშალა, მას გამოუტყდა ყოველ უმცირეს წვრილმანში და ასე გაიგო შარლოტემ, რა როგორ მოხდა, რამ შეცვალა მდგომარეობა ასე უცნაურად, რამ აუმღვრიათ გუნება.

შარლოტე ქმარს უდიდესი სიყვარულით ელაპარაკებოდა, სხვა თხოვნა არა მაქვს, მხოლოდ ამჟამად ოთილიეს გულს ნუ უწყალებო. ედუარდი გრძნობდა მეუღლის ღირსებებს, სიყვარულს, გონიერებას, მაგრამ სიყვარულმა მთლიანად შეიპყრო. შარლოტე იმედს უღვივებდა, განქორწინებაზე თანხმობას აცხადებდა. ედუარდს არ სჯეროდა, იგი იმდენად იყო ავად, მონაცვლეობით იმედთთან ერთად რწმენაც ეკარგებოდა. აცივდებოდა შარლოტეს, მაიორს ხელს შეპირდით. იგი ერთგვარმა გიჟურმა აღტკინებამ შეიპყრო. მის დასაშოშმინებლად, მის გასამხნეებლად შარლოტე ყველაფერს აკეთებდა, რასაც მისგან ედუარდი მოითხოვდა. იგი მაიორს ხელს იმ შემთხვევაში ჰპირდებოდა, თუ ოთილიე ედუარდთან დაკავშირებას მოინდომებდა, ოღონდ განსაზღვრული პირობით, ჯერ ორივე მამაკაცი სამოგზაუროდ წავიდოდა. მაიორს თავის კარ-მიდამოსთან დაკავშირებით საზღვარგარეთ საქმე ჰქონდა, ედუარდი დაჰპირდა, რომ დაემგზავრებოდა, რადგან ახლა რაღაც მაინც კეთდებოდა.

ამასობაში ყველამ შეამჩნია, რომ ოთილიე არც საჭმელს აკარებდა პირს და არც სასმელს, თანაც ჯიუტად დუმდა. ცდილობენ დაარწმუნონ, მაგრამ იგი ფრთხილად და თავს ანებებენ. მეტწილად ყველას გვახასიათებს სისუსტე – არ გვინდა ვინმე მისდა სასიკეთოდაც რომ ვაწვალოთ! შარლოტემ ყველა საშუალება აწონ-დაწონა და აზრად მოუვიდა, პანსიონიდან მოეწვია გამგის თანაშემწე, რომელსაც ოთილიეზე დიდი გავლენა ჰქონდა. როცა თანაშემწემ გაიგო, რომ ოთილიე პანსიონში აღარ ჩავა, მას თავაზიანი წერილი მოსწერა, მაგრამ პასუხი არ მიუღია.

ოთილიესთვის რომ ეს განზრახვა მოულოდნელი არ ყოფილიყო, ამაზე მისი თანდასწრებით ლაპარაკობდნენ. ეტყობა, ოთილიე მათ არ ეთანხმებოდა. ბოლოს მასში გადაწყვეტილება მომწიფდა. ოთილიე გაეშურა თავისი ოთახისკენ და სანამ მოსაღამოვდებოდა, ერთად თავმოყრილთ შემდეგი წერილი გაუგზავნა: ოთილიე მეგობრებს

„ჩემო საყვარელნო, რა საჭიროა გარკვევით გითხრათ ის, რაც ისედაც თავისთავად გასაგებია? მე ავცდი ჩემს გზას და აღარ მინდა ამ გზაზე დაბრუნება. ჩემდამი მტრულად განწყობილი დემონი, რომელიც მომერია, მაინც შემიქმნის გარეგან დაბრკოლებებს, თუნდაც საკუთარ თავთან კვლავ გამოვინახო საერთო ენა.

წმინდა იყო ჩემი განზრახვა უარი მეთქვა ედუარდზე, ჩამოვშორებოდი და ვიმედოვნებდი, რომ აღარ შევხვდებოდი. ყველაფერი კი სხვაგვარად მოხდა. საკუთარი ნების წინააღმდეგ იგი თვითონ აღმოჩნდა ჩემ წინ. ჩემი პირობა, რომ მასთან საუბარს არ გავაბამდი, იქნებ მეტისმეტად პირდაპირ გავიგე და ავხსენი. იმწამს გრძნობისა და სინდისის კარნახით, ვლუმდი, ხმას არ ვცემდი მეგობარს, ახლა კი აღარაფერი მაქვს სათქმელი. მკაცრი მონაზვნური ფიცი, შეიძლება იმისათვის, ვინც ამას შეგნებულად სჩადის, მძიმე და შემაშფოთებელია, მაგრამ შემთხვევით, გრძნობის ზეგავლენით, მე ის ჩემს თავს მივეცი. ნება მომეცით, არ დავარღვიო ფიცი, სანამ გული მიბრძანებს, ნუ მოუხმობთ ნურავითარ შუამავალ პირებს! ნუ მაცვივდებით, რომ ვილაპარაკო, იმაზე მეტი ვჭამო და ვსვა, რაც ჩემთვის აუცილებელია. დამეხმარეთ შეწყნარებითა და მოთმინებით, რომ დროს გავუძლო. მე ახალგაზრდა ვარ, ახალგაზრდა კი მოულოდნელად ისევ მოეგება გონს. ამიტანეთ თქვენს სიახლოვეს, გამახარეთ თქვენი სიყვარულით, დამმოძღვრეთ თქვენი საუბრებით! მაგრამ ჩემი სული მე მანდეთ“.

მიუხედავად დიდი ხნის სამზადისისა, მამაკაცებმა გამგზავრება მაინც ვერ მოახერხეს, მაიორს რომ საზღვარგარეთ საქმე ჰქონდა, გადაიდო. ედუარდს მეტი არაფერი უნდოდა! და, აი, ოთილიეს წერილით აღელვებულმა, ამ წერილის ნუგეშით აღვსილმა, იმედის მომცემი სიტყვებით გამხნეებულმა, გადაწყვიტა მოთმინება გამოეჩინა და დალოდებოდა. ამიტომ ერთბაშად განაცხადა, არსად არ მივემგზავრებიო.

– რა სისულელეა! – წამოიძახა მან, – ყველაზე საჭირო, ყველაზე აუცილებელი განზრახ, სულსწრაფად უკუაგდო, უკუაგდო ის, რის შენარჩუნებაც ჯერ კიდევ შეიძლება, თუმცა დაკარგვა ემუქრებოდა! და მერე რისთვის? მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანს ჰგონია თითქოს თავისუფლად შეუძლია ისურვოს, აირჩიოს. ასეთი სულელური ქედმაღლობით შეპყრობილი რამდენიმე საათით, ზოგჯერ რამდენიმე დღითაც კი უფრო ადრე დავშორებივარ მეგობრებს. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დამოკიდებული არ ვყოფილიყავი უკანასკნელ, გარდაუვალ ვადაზე, მაგრამ ამჯერად მინდა დავრჩე. რატომ უნდა მოგშორდეთ. განა ოთილიე უკვე მოშორებით არ არის ჩვენგან? აზრადაც არ მომდის ხელი მოვკიდო და მკერდზე მივიკრა. ამის გაფიქრებაც კი მიჭირს, მზარავს. იგი ჩემგან განზე კი არ გადგა, ჩემზე ამაღლდა.

ამგვარად ედუარდი დარჩა, ასე სურდა მას, სხვაგვარად არ შეეძლო. მაგრამ მისთვის იმ სიამოვნებასაც ვერაფერი შეეძრებოდა, როცა ოთილიეს გვერდით იყო. ოთილიესაც იგივე გრძნობა ეუფლებოდა, არ შეეძლო არიდებოდა ამ სანეტარო აუცილებლობას. მათ ახლაც უბიძგებდა რაღაც აუწერელი, მაგიური მიზიდულობის ძალა ერთმანეთისკენ. ისინი ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ, მაგრამ მაშინაც კი, როცა ერთმანეთზე უშუალოდ არ ფიქრობდნენ, სხვა საქმით იყვნენ დაკავებულნი ან საზოგადოება სხვადასხვა მხარეს ექაჩებოდა, მაინც უახლოვდებოდნენ ერთმანეთს. თუ ერთ დარბაზში იმყოფებოდნენ, დიდი დრო არ გაივლიდა და ისევ ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდებოდნენ. მხოლოდ უკიდურეს სიახლოვეს შეეძლო მათი დამშვიდება და მათთვის ასეთი სიახლოვე სრულიად საკმარისი იყო. არ საჭიროებდნენ არავითარ მზერას, არავითარ სიტყვას, არავითარ ჟესტს, არავითარ შეხებას, მხოლოდ აბსოლუტური ერთად ყოფნა კმაროდა. მაშინ ისინი ორნი კი არა, ერთი ადამიანი იყვნენ, გაუცნობიერებელი სრულყოფილი ნეტარებით შეპყრობილნი, კმაყოფილნი საკუთარი თავითა და მთელი სამყაროთი. ამ ორთაგან ერთი სახლის ერთ ბოლოში რომ შეეჩერებინათ, მეორე ნელ-ნელა, უნებურად მიიწევდა მისკენ. ცხოვრება მათთვის გამოცანა იყო, რის ახსნასაც მხოლოდ ერთად ყოფნის დროს პოულობდნენ.

ოთილიე მხიარული და სრულიად დამშვიდებული ჩანდა, ასე რომ, შეიძლებოდა მისი დარდი აღარ ჰქონოდათ. იგი იშვიათად ტოვებდა საზოგადოებას. მხოლოდ იმას მიაღწია, რომ ახლა მარტო ჭამდა და ნანის მეტი არავინ ემსახურებოდა.

ის, რაც ჩვეულებრივ ყოველ ადამიანს შეემთხვევა ხოლმე, უფრო ხშირად მეორდება, ვიდრე ფიქრობენ, რადგან ამას მისი ბუნება წინასწარ განსაზღვრავს. ხასიათი, ინდივიდუალობა, მიდრეკილება, მიმართულება, ადგილი, გარემო და ჩვეულებები ერთად ქმნიან მთლიანობას. ყოველივე ამაში ადამიანი ისე დაცურავს, როგორც სტიქიაში ან ატმოსფეროში, სადაც თავს მოხერხებულად და მყუდროდ გრძნობს. და ამგვარად, მრავალი წლის შემდეგ ვხვდებით ადამიანებს, რომლებზედაც ჩვენდა გასაოცრად, იმდენს ჩივიან, შეიცვალნენო, მაგრამ სინამდვილეში არ შეცვლილან და ეს მიუხედავად უამრავი გარეგანი და შინაგანი ზეგავლენისა.

ჩვენი მეგობრების ყოველდღიურ ცხოვრებაში თითქმის ძველი გზით მიმდინარეობდა ყველაფერი. ოთილიე კვლავ დუმდა და თავისი ბუნებიდან გამომდინარე ყველას პატივისცემით ექცეოდა ყოველთვის. თითოეული თავისებურად იქცეოდა უწინდებურად. ამგვარად შინაურთა წრე მოჩვენებითად უწინდებური ცხოვრებით ცხოვრობდა და თვითცდუნება, თითქოს ყველაფერი ძველებურად დარჩა, საპატიებელი იყო.

შემოდგომის დღეები, სიგრძით რომ გაზაფხულის დღეების ტოლია, საზოგადოებას იძულებულს ხდიდა დაბრუნებულიყვნენ შინ იმავე საათებში, როგორც გაზაფხულზე ბრუნდებოდნენ. ხილი და ყვავილები, წლის ამ დროს რომ ამშვენებს, მას შემდეგ რომ გავიდა, დავიწყებას მიეცა, რადგან ახლა ის ყვავილები ყვაოდნენ, რომელთა მსგავსი იმ პირველ დღეებში დარგეს, დამწიფდა ხილი იმ ხეებზე, მაშინ რომ ყვაოდნენ.

მაიორი მხოლოდ დროდადრო თუ წავიდოდა სადმე. მითლერმაც მოუხშირა სტუმრობას. საზოგადოება თითქმის ყოველ საღამოს იკრიბებოდა. ედუარდი ჩვეულებრივ კითხულობდა, კითხულობდა უფრო ცოცხლად, მეტი გრძნობით, თუ გნებავთ უფრო ხალისიანადაც, ვიდრე ოდესმე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს თავისი სიხალისით, თავისი გრძნობის ძალით სურდა გახევებული ოთილიე გამოეცოცხლებინა, მისი დუმილისთვის ბოლო მოეღო. უწინდებურად ისე ჯდებოდა, რომ ქალიშვილს მის წიგნში ჩახედვა შესძლებოდა და მოუსვენრობა იპყრობდა, იბნეოდა, თუ ოთილიე წიგნში არ იყურებოდა, თუ არ იყო დარწმუნებული, რომ იგი მის სიტყვებს თვალს აყოლებს.

შუალედური დროის ყველა უსიხარულო და უსიამო გრძნობა გაქარწყლდა. არავის სწყინდა მეორისგან რამე. ყოველგვარი სიმწარე აღმოიფხვრა. მაიორი ვიოლინოთი უწევდა აკომპანემენტს შარლოტეს პიანინოზე დაკვრას. ოთილიე უწინდებული შეხმატკბილებით აყოლებდა სიმებიანი ინსტრუმენტის ხმას ედუარდის ფლეიტას. ასე უახლოვდებოდნენ ედუარდის დაბადების დღეს, რის გადახდაც ერთი წლის წინ ვერ მოასწრეს. ამჯერად ეს დღე წყნარად, გულითადად უნდა აღენიშნათ ყოველგვარი ზეიმის გარეშე. ასე შეთანხმდნენ ნაწილობრივ უხმოდ, ნაწილობრივ სიტყვიერად. მაგრამ რაც უფრო ახლოვდებოდა ეს დღე, მით უფრო მძაფრდებოდა ოთილიეს არსებაში საზეიმო განწყობა, რასაც აქამდე უფრო გრძნობდნენ, ვიდრე ამჩნევდნენ. იგი თითქოს ხშირად აკვირდებოდა ბაღში ყვავილებს, მებაღეს ანიშნა ზაფხულის ყველა მცენარეს გაფრთხილებოდა, განსაკუთრებით ჩერდებოდა იმ ასტრებთან, წელს რომ უთვალავი რაოდენობით ყვაოდნენ.

თავი მეთვრამეტე

ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც მეგობრები შეუმჩნეველი ყურადღებით აკვირდებოდნენ, ის იყო, რომ ოთილიემ პირველად ამოალაგა პატარა სკივრი, იმდენი რაღაც აირჩია და გამოჭრა, რამდენიც საკმარისი იქნებოდა ერთხელ, მაგრამ სრული მორთვისთვის. როცა ნანის დახმარებით კვლავ შეეცადა მორჩენილი ნაჭრები უკან ჩაელაგებინა, ამის გაკეთება გაუჭირდა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ნაწილი უკვე ამოალაგა, ოთახი მაინც გატენილი იყო. ახალგაზრდა, ხარბი მოახლე ყოველივე ამის ცქერით ვერ ძღებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა დაინახა, რომ ტანსაცმლის არც ერთი წვრილმანი არ დაევიწყებინათ – ფეხსაცმელები, მაღალყელიანი ჩექმები, წვივსაკრავები, ხელთათმანები და რაღა არა. ნანიმ სთხოვა ოთილიეს, ამ ნივთებიდან რამე მაჩუქეო. ოთილიემ უარი უთხრა, მაგრამ მაშინვე გამოსწია კომოდის უჯრა და უთხრა, აირჩიე, რაც გინდაო. მოახლე სწრაფად და უხეშად დაეძგერა ყველაფერს და მოპოვებული ნადავლით მაშინვე გავარდა ოთახიდან, რომ სახლის დანარჩენ ბინადართათვის ემცნო თავისი ბედნიერება და ეჩვენებინა რა ერგო წილად.

ბოლოს ოთილიემ შეძლო ყველაფრის გულდაგულ ჩალაგება, შემდეგ გააღო საიდუმლო სამალავი, სკივრის სახურავში რომ იყო მოწყობილი. აქ ჰქონდა დამალული ედუარდის პატარა ბარათები და წერილები, ადრინდელი სეირნობის დროიდან გამოყოლილი გამხმარი ყვავილები, შეყვარებულის კულუღი და სხვა რაღაცები. ყოველივე ამას კიდევ ერთი რამ დაამატა – მამის პორტრეტი, შემდეგ სამალავი ჩაკეტა, პაწაწინა გასაღები ოქროს ძეწკვზე ჩამოაცვა და მკერდზე ჩამოიკიდა.

ამასობაში მეგობრებს გულში რაღაც იმედის მაგვარი ჩაესახათ. შარლოტე დარწმუნებული იყო, რომ ოთილიე ედუარდის დაბადების დღეს კვლავ დაიწყებდა ლაპარაკს, რადგან მთელი ამ ხნის განმავლობაში თავისთვის რაღაცას საქმიანობდა, სახეზე ერთგვარი მხიარული თვითკმაყოფილების ღიმილიც კი დასთამაშებდა, ასეა ხოლმე, როცა შეყვარებულს რაღაც სასიამოვნოსა და გასახარელს უმაღლავ. არავინ იცოდა, რომ ოთილიე საათობით საშინელ სისუსტეს გრძნობდა, რასაც ძლიერი სულის წყალობით მანამდე უმკლავდებოდა, სანამ საზოგადოებაში გამოჩნდებოდა.

ამ ხანებში მითლერი უფრო ხშირად მოდიოდა და უფრო დიდხანს რჩებოდა მათთან, ვიდრე ჩვეულებრივ. ჯიუტმა კაცმა ძალიან კარგად იცოდა, რომ არსებობს ისეთი მომენტი, როცა შეიძლება რკინა გამოჭედო. ოთილიეს დუმილს, როგორც მის უარს, თავის სასარგებლოდ ხსნიდა. აქამდე ცოლ-ქმრის გასაყრელად ერთი ნაბიჯი არ გადადგმულა. იგი იმედოვნებდა, რომ კეთილი ქალიშვილი თავის ბედს რაიმე სხვა ხელსაყრელი გზით წარმართავდა. მითლერი ისმენდა სხვათა აზრებს, რაღაცას თმობდა, რაღაცას მიანიშნებდა და თავისებურად საკმაოდ ჭკვიანურად იქცეოდა.

ოღონდ ყოველთვის, როცა საბაბი მიეცემოდა გამოეთქვა თავისი მოსაზრებები იმ საკითხებზე, რომელთაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, აიწყვეტდა ხოლმე. მითლერი დიდხანს ცხოვრობდა თავისი შინაგანი ცხოვრებით და როცა სხვებთან იყო, ჩვეულებრივ რაღაცას აკეთებდა მათთვის. მაგრამ როცა მეგობართა წრეში ლაპარაკობდა, ამის მომსწრენი კი ხშირად ვყოფილვართ, გაუთვალისწინებლად მიაჭენებდა, ადამიანს მოსპობდა და მოარჩენდა კიდევ, სარგებლობასაც მოუტანდა და ვნებასაც, იმის მიხედვით, საქმეს როგორ აეწყობოდა.

ედუარდის დაბადების დღის წინა საღამოს შარლოტე და მაიორი ერთად ისხდნენ და ელოდნენ ედუარდს, რომელიც ცხენით სადღაც გაემგზავრა. მითლერი ოთახში ბოლთას სცემდა. ოთილიე თავის ოთახში იყო, სახვალთ ტანსაცმელი გაეშალა და რაღაცას ანიშნებდა მოახლე გოგოს,

რომელსაც მისი მშვენივრად ესმოდა და უსიტყვო განკარგულებებს მარჯვედ ასრულებდა.

მითლერი სწორედ ერთ-ერთ თავის საყვარელ თემას შეეხო. იგი ხალისიანად ამტკიცებდა, რომ ბავშვების აღზრდისა და ხალხის მართვისთვის არაფერია ისეთი მოუქნელი და ბარბაროსული, როგორც ის კანონები და განკარგულებანი, რაღაცას რომ კრძალავს.

ადამიანი ბუნებით მოქმედია, – ამბობდა იგი, – და თუ იცი, როგორ უბრძანო, მაშინვე აგყვება და შეასრულებს კიდევ ყველაფერს. მე კი მირჩევნია შეცდომები და ნაკლი იმდენ ხანს ვითმინო, სანამ არ მივუთითებ მის საწინააღმდეგო სიქველზე, ვიდრე მოვსპო შეცდომა და მის ნაცვლად კარგი ვერაფერი დავამკვიდრო. თუკი ხელი მიუწვდება, ადამიანი დიდი სიამოვნებით აკეთებს კარგს, მიზანდასახულს. იგი ამას იმიტომ აკეთებს, რომ რაღაც გააკეთოს და ამაზე უფრო დიდხანს არ ფიქრობს, ვიდრე სულელურ ოინებზე, მოცალეობისა და მოწყენილობისგან რომ სჩადის.

დიდი უკმაყოფილება მიჰყრობს, როცა ვისმენ, როგორ ამეორებინებენ მეცადინეობის დროს ბავშვებს ათ მცნებას. მეოთხეს რა უშავს, საკმაოდ კეთილგონივრულია: „პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა“. თუ ბავშვები ამ მცნებას კარგად ჩაიბეჭდავენ თავში, მაშინ შეუძლიათ მთელი დღე ივარჯიშონ მის გამოყენებაში. მაგრამ, ავიღოთ მეხუთე, რა უნდა თქვა მასზე? „არა კაც კლა“. თითქოს რომელიმე ადამიანს სურვილი ჰქონდეს სხვისი მოკვლისა! ვიღაცა გძულს, გული მოგდის, დაუფიქრებლად იქცევი და ამისა და ზოგი სხვა რამის მიზეზით შეიძლება მოხდეს, რომ ზოგჯერ ვიღაცამ ვიღაც მოკლას. მაგრამ განა ბარბაროსული მცნება არ არის ბავშვებს მკვლელობა და მოკვლა აუკრძალო? რომ ეწეროს: „იზრუნე სხვის სიცოცხლეზე, აღმოფხარი ყველაფერი, რამაც შეიძლება ავნოს, გადაარჩინე საკუთარი საფრთხის ფასად, იცოდე თუ მას ავნებ, ავნებ საკუთარ თავსაც“, – მაშინ ეს ის მცნებები იქნებოდა, განათლებულ, გონიერ ხალხში რომ არის გავრცელებული და კატეხიზმოს[9] სწავლების დროს მხოლოდ ყურით მოთრეული კითხვით რომ მოიხსენიებენ: „რა არის ეს?“

ახლა მეექვსე ცნებას არ იკითხავთ, იგი სრულიად საზარელია! როგორ? ცნობისმოყვარე ბავშვების წინათგრძნობა გავაღიზიანოთ სახიფათო საიდუმლოებაზე ლაპარაკით, მათი წარმოსახვის ძალა გავამახვილოთ საოცარ სურათებსა და წარმოდგენებზე, რომლებიც იქით ექაჩებიან ძალით, რასაც გვინდა ავარიდოთ. გაცილებით უკეთესი იქნებოდა, მსგავსი ამბებისთვის საიდუმლო სასამართლომ თვითნებურად დასაჯოს ვინმე, ვიდრე ასეთი რამ ეკლესიისა და მრევლის წინაშე ილაქლაქონ.

ამ დროს ოთახში შემოვიდა ოთილიე.

„არა იმრუშო“, – განაგრძო მითლერმა, – რა უხეშობა და უხამსობაა! განა სულ სხვანაირად არ იძღვრებდა, რომ ეწეროს: „შენ მოწონების გრძნობა უნდა გქონდეს ცოლქმრული კავშირისადმი. უნდა გიხაროდეს, თუ სადმე ერთმანეთის მოყვარულ ცოლ-ქმარს ნახავ და ისე უნდა გაიზიარო მათი ბედნიერება, როგორც გიხარია მზიანი დღის გათენება. თუ მათ ურთიერთობაში რაღაც აიმღვრევა, უნდა ეცადო, რომ კვლავ დაიწმინდოს, უნდა დაამშვიდო, დაამოშმინო ისინი, ცხადად აგრძნობინო მათ, რომ მათთვის ორმხრივ სასარგებლო და სანიმუშო ის არის, უანგაროდ შეუწყონ ხელი სხვების კეთილდღეობას, აგრძნობინონ მათ, რა ბედნიერებაა ყოველი და განსაკუთრებით ის მოვალეობა, კაცსა და ქალს რომ განუყოფლად აკავშირებს“.

შარლოტე თითქოს ნაკვერჩხლებზე იჯდა და ის გარემოება უფრო ჰგვრიდა შიშს, რომ დარწმუნებული იყო, მითლერმა არ იცოდა, რას და სად ამბობდა და სანამ მოახერხებდა მისთვის სიტყვა შეეწყვეტინებინა, დაინახა როგორ გავიდა გარეთ ოთილიე, რომელსაც სახე შეეცვალა.

– იმედია, მერვე მცნებას აღარ მოგვახვევთ თავს, – უთხრა შარლოტემ მითლერს ნაძალადევი ღიმილით.

– სხვას არც ერთს, – უპასუხა მითლერმა, – თუ ვუშველი იმას, რომელსაც დანარჩენები ეყრდნობიან.

ამ დროს საზარელი ყვირილით შემოვარდა ნანი და წამოიძახა: – იგი კვდება, ჩემი ქალბატონი კვდება! ჩქარა წამოდიოთ! ჩქარა!

როცა ოთილიე ბარბაცით დაბრუნდა თავის ოთახში სახვალის ტანსაცმელი მთლიანად გაშლილი იყო რამდენიმე სკამზე, მოახლე გოგო აქეთ-იქით დარბოდა და ყველაფერს აღტაცებით ათვალისებდა, ბოლოს კი სიხარულით წამოიძახა: – შეხედეთ, საყვარელო ფროილაინ, ეს ხომ საქორწინო სამოსელია და სწორედ რომ თქვენი საკადრისი.

როგორც კი ოთილიემ ეს სიტყვები გაიგონა, მაშინვე ტახტზე დაეშვა. ნანი ხედავდა, როგორ ფითრდებოდა, როგორ შეშდებოდა მისი ქალბატონი და მაშინვე შარლოტესთან გაიქცა. შევიდნენ ოთახში. ოჯახის მეგობარი ექიმი ოთილიესკენ გაეშურა, მას მოეჩვენა, რომ ოთილიეს სისუსტე

მოეძალა. მოატანინა მომლონიერებელი ბულიონი. ოთილიემ ზიზღით თქვა უარი მის შეხვერეპაზე, ლამის კრუნჩხვები დაეწყო, როცა ფინჯანი პირთან მიუტანეს. ამან ექიმი იძულებული გახდა მკაცრად ეკითხა, რა მიირთვაო დღეს ოთილიემ? მოახლე გოგოს ენა დაება, მხოლოდ შეკითხვას იმეორებდა და ბოლოს გამოტყდა, ოთილიეს არაფერი უჭამიაო.

ექიმს ნანი უფრო შეშინებული მოეჩვენა, ვიდრე უნდა ყოფილიყო. მან იგი მეორე ოთახში გაათრია, შარლოტეც მათ გაჰყვა. მოახლე გოგო მუხლებზე დაეცა და გამოტყდა, ოთილიე უკვე დიდი ხანია თითქმის არაფერს აკარებს პირსო. ოთილიეს დაჟინებული მოთხოვნით მის მაგივრად თვითონ შეექცეოდა მის საჭმელს, ამას მალავდა, რადგან ეშინოდა ქალბატონის მუდარისა და მუქარისა და იმის გამოც, დასძინა გულუბრყვილოდ, რომ ყველაფერი ძალიან გემრიელი იყო.

ოთახში შევიდნენ მაიორი და მითლერი. შარლოტე ექიმთან ერთად ავადმყოფს დაფუსფუსებდა თავს. გაფითრებული ციური არსება დივნის კუთხეში იჯდა და ეტყობა სრულ გონზე იყო. სთხოვეს წამოწექიო, ამაზე ცივი უარი განაცხადა, მაგრამ ხელით ანიშნა, პატარა სკივრი მომიტანეთო. ოთილიემ ფეხები სკივრზე შეაწყო და ნახევრად მწოლიარე მოხერხებულად მოკალათდა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს გამოთხოვება სურდა. ირგვლივ მდგომნი სახეზე ამჩნევდნენ ყველასადმი უფაქიზეს ერთგულებას, სიყვარულს, მადლიერებას, პატიებას ითხოვდა და უგულითადესად უსურვებდა ყველას კარგად ყოფნას. როგორც კი ცხენიდან ჩამომხტარმა ედუარდმა გაიგო, რაც მოხდა, მაშინვე ოთახში შევარდა, ოთილიეს წინ მუხლებზე დაემხო, ხელებში სწვდა და უხმო ცრემლებით განბანა. დიდხანს იყო ასე დამხობილი, ბოლოს წამოიძახა: – ნუთუ ვერასოდეს გავიგონებ შენს ხმას? ნუთუ ცხოვრებას არ დაუბრუნდები, ერთი სიტყვა რომ მაინც მაღირსო. კარგი, კარგი! მეც წამოგყვები იქ, იქ სხვა ენაზე ვილაპარაკებო.

ოთილიემ მაგრად მოუჭირა ხელზე ხელი, შეხედა სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე თვალებით, შემდეგ ღრმად ამოისუნთქა და ტუჩების მუნჯი, ზეციური მოძრაობის შემდეგ, დაძაბულმა მომნიბვლელად და ნაზად წამოიძახა: – დამპირდი, რომ იცოცხლებ! – მაშინვე დივანზე დაემხო.

– გპირდები! – შესძახა ედუარდმა, მაგრამ ოთილიემ მისი ძახილი თან გაიყოლა. იგი უკვე მკვდარი იყო.

ტირილში გატარებული ღამის შემდეგ საყვარელი ნეშთის დაკრძალვა შარლოტეს დააწვა მხრებზე. მაიორი და მითლერი ყველაფერში ეხმარებოდნენ. ედუარდი სავალალო მდგომარეობაში იყო, როგორც კი სასოწარკვეთილებას მცირე ხნით დააღწევდა თავს, ერთსა და იმავეს იმეორებდა: ოთილიე ციხე-დარბაზიდან არ გაიტანოთ, უპატრონეთ, მოუარეთ, ისე მოეპყარით, როგორც ცოცხალს, რადგან მკვდარი არ არის, არ შეიძლება მკვდარი იყოსო. ედუარდს სურვილი შეუსრულეს, ყოველ შემთხვევაში იმისგან მაინც შეიკავეს თავი, რაც მან აუკრძალა. ედუარდს ოთილიეს ნახვა არ მოუთხოვია.

მეგობრები სხვა შიშმა შეიპყრო, სხვა საზრუნავი გაუჩნდათ. ნანი, რომელიც ექიმმა მაგრად გალანძღა და მუქარით აიძულა გამომტყდარიყო, შემდეგ კი საყვედურებით აავსო, სადღაც გაქრა. ხანგრძლივი ძებნის შემდეგ ისევ იპოვეს, მაგრამ ეტყობა სრულ ჭკუაზე არ იყო. ამიტომ მშობლებმა წაიყვანეს სახლში. როცა საუკეთესო მოპყრობამაც არ იმოქმედა, ჩაკეტეს, რადგან კვლავ გაქცევით იმუქრებოდა.

თანდათან მოახერხეს და ედუარდი გამოიყვანეს იმ უძლიერესი სასოწარკვეთილებიდან, სიგიჟეს რომ უახლოვდებოდა, მაგრამ მხოლოდ მისდა საუბედუროდ, რადგან ახლა იგი დარწმუნდა, ნათლად დაინახა, რომ ბედნიერება სამუდამოდ დაკარგა. გაუბედეს და უთხრეს, რომ მას შემდეგაც, რაც ოთილიეს კაპელაში დამარხავენ, ისევ ისე ცოცხალთა შორის დარჩება და სასიამოვნო სიმყუდროვე არ მოაკლდება. ბოლოს მან მათ ამის ნება დართო, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ მის ცხედარს აკლდამაში ღია კუბოთი შეიტანდნენ, მინის სახურავს დაახურავდნენ და მარად უქრობ კანდელს დაუნთებდნენ. ბოლოს იგი ამ აზრს შეურიგდა და მათ ყველაფერში დაემორჩილა. მშვენიერი სხეული შემოსეს იმ სამოსლით, თვითონ რომ მოიმზადა, თავზე ასტრის ყვავილებისგან დაწნული გვირგვინი დაახურეს, ასტრები სევდიანი ვარსკვლავებით იდუმალნი იყვნენ. კუბოს, ეკლესიისა და კაპელის მოსართავად ყველა ბაღს მორთულობა შემოაძარცვეს, თითქოს ზამთარს უკვე აღმოეფხვრა ყოველგვარი სინარული კვლებიდან. ოთილიე ციხე-დარბაზიდან დილაადრიან გაიტანეს ღია კუბოთი და ამომავალმა მზემ კიდევ ერთხელ შეუფაკლა ზეციური სახე. გამცილებლები კუბოს ამწევთა ირგვლივ შეჯგუფდნენ, არავის უნდოდა წინ გაესწრო სხვებისთვის, არც ის უნდოდა ვინმეს, რომ სხვებს ჩამორჩენოდა, ყველას სურდა, ახლოს ყოფილიყო ცხედართან, კიდევ ერთხელ დამტკბარიყო მისი აქ ყოფნით. არავინ ყოფილა გულგრილად განწყობილი, არც ბიჭები, არც მამაკაცები და არც ქალები. ყველაზე უნუგეშონი კი ქალიშვილები იყვნენ და ყველაზე უშუალოდ განიცდიდნენ ოთილიეს დაკარგვას.

არ ჩანდა მხოლოდ ნანი. იგი დააკავეს, ან უფრო სწორად დაუმალეს დამარხვის დღე და საათი. მას მშობლების სახლში დარაჯობდნენ პატარა ოთახში, რომელიც ბაღის მხარეს გადიოდა. მაგრამ

როცა ზარების რეკვა გაიგონა, მაშინვე მიხვდა, რაც ხდებოდა და რადგან ქალს, რომელიც დარაჯობდა, პროცესიის ნახვის ცნობისმოყვარეობამ სძლია, გოგო მარტო დატოვა. ნანი ფანჯრიდან დერეფანში გადაძვრა და, რადგან ყველა კარი დაკეტილი დახვდა, სხვენზე ავიდა. ის იყო პროცესია ნელა მიჰყვებოდა სოფლის სუფთა, ფოთლებით მოფენილ გზას, რომ ზევიდან ნანიმ ცხადად დაინახა თავისი ქალბატონი, იგი უფრო გამოკვეთილი, უფრო სრულყოფილი, უფრო მშვენიერი იყო, ვიდრე ეგონათ იმათ, ვინც პროცესიას მიჰყვებოდა. ციური არსება თითქოს ღრუბლებს ან ტალღებს მიჰქონდათ, თითქოს მოახლეს ხელი დაუქნია და ნანი ბარბაცით და ტორტმანით გადაეშვა ძირს.

საზარელმა ყვირილმა ბრბო აქეთ-იქით მიმოფანტა. შეიქნა ისეთი ჩოჩქოლი და აურზაური, რომ კუბოს ამწევნი იძულებულნი გახდნენ კუბო მიწაზე დაედგათ. გოგო მიცვალებულთან ახლოს იწვა. ეტყობა მთელი სხეული დაღეწილი ჰქონდა. ხელში აიყვანეს და შემთხვევით თუ ბედის საგანგებო კარნახით მიცვალებულს მიუწვინეს გვერდით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ძალ-ღონის უკანასკნელი მოკრეფით მასაც სურდა საყვარელ ქალბატონს მისწვდომოდა. მაგრამ როგორც კი მისი აცანცანებული ხელები, მისი უღონო თითები შეეხნენ ოთილიეს სამოსს და გულზე დაკრეფილ ხელებს, გოგო მაშინვე წამოხტა, ხელები და თვალები ჯერ ზეცისკენ აღაპყრო, შემდეგ კუბოსთან მუხლებზე დაემხო და აღფრთოვანებული სასოებით მიაშტერდა თავის ქალბატონს.

ბოლოს აგზნებული წამოხტა და უზომოდ განარებულმა წამოიძახა: – დიახ, მან მაპატია! რაც ვერც ერთმა ადამიანმა ვერ მაპატია, რაც მე თვითონ ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის, მე ღმერთმა მაპატია მისი მზერით, მისი გამომეტყველებით, მისი პირით. ახლა იგი ჩუმად და წყნარად წევს, მაგრამ თქვენ დაინახეთ, როგორ წამოიმართა და წინ გამოწვდილი ხელებით დამლოცა, რა გულლიად შემომხედა! თქვენ ყველამ გაიგონეთ, თქვენ ხართ იმის მოწმენი, რომ მითხრა: „გეპატია!“ ახლა მე აღარ ვარ თქვენ შორის მკვლეელი, მან მაპატია, ღმერთმა მაპატია და ველარავინ ველარაფერს დამწამებს.

ბრბო გოგოს ირგვლივ შეჯგუფდა, ყველანი გაოცებულნი იყვნენ, ყურს უგდებდნენ, აქეთ-იქით იყურებოდნენ და არვინ იცოდა, რა უნდა მოემოქმედა.

– წაიღეთ განსასვენებლში, – თქვა გოგომ, – მან თავისი გააკეთა, იტანჯა და ჩვენ შორის ცხოვრება აღარ შეუძლია.

კუბო კვლავ წაიღეს. ნანი წინ მიჰყვებოდა და ასე მიაღწიეს ეკლესიასა და კაპელას. კაპელაში დადგეს ოთილიეს კუბო, თავთან დაუდგეს ბავშვის კუბო, ფეხებთან რკინის ყუთში მაგრად ჩაკეტილი პატარა სკივრი. გამონახეს ისეთი ქალიც, ვისაც უნდა ედარაჯა მიცვალებულისთვის, მინის სახურავქვეშ ყოვლად საყვარლად რომ იწვა. მაგრამ ნანიმ არ ისურვა ეს მოვალეობა მისთვის წაერთმიათ. მას სურდა, სხვების დახმარების გარეშე მოთმინებით დალოდებოდა პირველი ლამპრის დანთებას. იგი ამას ისეთი გააფთრებით და ისე ჯიუტად მოითხოვდა, რომ დაუთმეს, უნდოდათ აერიდებინათ უფრო დიდ სულიერ უბედურებას, რისიც ეშინოდათ.

მაგრამ ნანი დიდხანს არ დარჩენილა მარტო, რადგან ჩამოწვა თუ არა ღამე, როცა ლამპრის მოციმციმე შუქმა, იქაურობის სრულმა ბატონ-პატრონმა, უფრო ნათელი სხივები მოჰფინა კაპელას, გაიღო კარი და არქიტექტორი შევიდა იმ კაპელაში, რომლის კედლები სასოებით იყო მოხატული და სინათლის რბილ ციაგში ისე დაძველებული და იღუმალებით მოსილი წარმოუდგა თვალწინ, როგორც ეს კედლები ვერასოდეს წარმოედგინა.

ნანი კუბოს გვერდით იჯდა. მან მაშინვე იცნო არქიტექტორი, მაგრამ მდუმარედ მიუთითა ფერმკრთალ ქალბატონზე. არქიტექტორი, ჯან-ღონით სავსე, მომხიბვლელი ახალგაზრდა კაცი კუბოს მეორე მხარეს დადგა და გულჩათხრობილი, განხევებული, ჩაფიქრებული დაბლა დაშვებული მკლავებით და თანაგრძნობის ნიშნად ერთმანეთზე გადაჭდობილი ხელებით თავჩაქინდრული მიცვალებულს მიაჩერდა.

ერთხელ იგი უკვე იდგა ასე ბელიზარის წინ. უნებურად ახლაც იგივე პოზა მიიღო და ეს ამჯერადაც ბუნებრივი იყო! აქაც რაღაც ფასდაუდებლად ღირსეული დაეშვა მიწაზე მისი სიმაღლიდან. თუ მაშინ გმირის სახით გამოიტირეს სიმამაცე, ჭკუა, სიძლიერე, ხელისუფლება და სიმდიდრე, თუ მაშინ ყველაფერი ეს არათუ დაუფასებელი დარჩა, არამედ უარყოფილი, აუნაზღაურებელი, თუ ერისათვის, მთავრისათვის გადამწყვეტ მომენტში აუცილებელი თვისებები დაფასებული კი არა, პირიქით უარყოფილი, გადარეცხილი იყო, სამაგიეროდ, ახლა ბუნების გულგრილობით განადგურებულიყო სხვა პატარა სათნოებანი, რაც ბუნებამ ამ ცოტა ხნის წინათ თვითონვე გამოიხმო თავისი მრავლისმომცველი სიღრმეებიდან: მშვენიერი, იშვიათი სიყვარულის ღირსი სათნოებანი, რომელთა მშვიდობიანი ზეგავლენა გაჭირვებულ სამყაროს ყოველთვის ნეტარებით ავსებს, ხოლო მათი დაკარგვა სევდიანი გლოვით.

ჭაბუკი დუმდა, დუმდა გოგოც, მაგრამ როცა გოგომ დაინახა, რომ ვაჟს ცრემლი ღვარად სდიოდა და თითქოს მთლიანად იძირებოდა მწუხარებაში, გოგო მას გამოელაპარაკა და იმდენი სიმართლე და ძალა, იმდენი კეთილმოსურნეობა და დამაჯრებელობა იგრძნობოდა მის სიტყვებში, რომ მისი მჭევრმეტყველებით გაცეხულმა თავის შეკავებაც კი შეძლო და თავისი მშვენიერი მეგობარი, ოთილიე უფრო ცოცხალი და მოქმედი წარმოუდგა თვალწინ, ოღონდ სხვა, უფრო მაღალ სფეროში. ვაჟს ცრემლი შეაშრა, ტკივილი გაუნელდა, მუხლმოყრილი გამოეთხოვა ოთილიეს, ნანის გულითადად ჩამოართვა ხელი და ისე გამოიშინა იქაურობას, რომ მას შემდეგ აღარავის უნახავს.

ქირურგი მთელი ღამე დარჩა ეკლესიაში ისე, რომ გოგომ ეს არ იცოდა, ხოლო როცა დილით მოინახულა, ნანი მხიარული და დამშვიდებული დახვდა. იგი მოელოდა, რომ გოგო სრულიად აფორიაქებული იქნებოდა, ილაპარაკებდა ღამით ოთილიესთან საუბარზე და სხვა ამგვარ რამეებზე, მაგრამ გოგო ბუნებრივად მშვიდი და სრულ ჭკუაზე იყო. მას ზუსტად ახსოვდა წარსული და მის ლაპარაკში არაფერი სცილდებოდა ნამდვილისა და ჭეშმარიტის ფარგლებს, გარდა დაკრძალვის დროს მომხდარი ამბისა და გახარებული ხშირად იმეორებდა: თუ როგორ წამოიძარტა ოთილიე, დალოცა, აპატიო და ამით სამუდამოდ დაამშვიდა.

ოთილიეს ისევ ისე მშვენიერი, უფრო ძილის, ვიდრე სიკვდილის მსგავსი სილამაზე მრავალ ადამიანს იზიდავდა. მეზობლებსა და ახლომახლო მდებარე სოფლების მკვიდრთ კვლავ და კვლავ სურდათ ენახათ იგი და თითოეულს ეხალისებოდა მოესმინა ნანის პირით დაუჯერებელი ამბავი. ზოგს იმისათვის, რომ ამის შესახებ ელაქლაქა, უმეტესობა იმიტომ, რომ ამ ამბავში ეჭვი შეეტანა და ძალიან ცოტას იმის გამო, რომ რწმენით გამსჭვალულიყო.

ყოველი მოთხოვნილება, რომლის ნამდვილ დაკმაყოფილებას ვერ ვახერხებთ, იძულებულს გხდის ირწმუნო. მთელი საზოგადოების თვალში სხეულდალეწილი ნანი ალალმართალ სხეულთან შეხების წყალობით კვლავ განიკურნა: რატომ არ უნდა ხვდომოდით აქ სხვებსაც წილად მსგავსი ბედნიერება? მოყვარულ დედებს პირველად მალულად მოჰყავდათ კაპელაში თავიანთი შვილები, რომელთაც რაღაც სენი სჭირდათ და სჯეროდათ, რომ ბავშვი უეცრად გამომჯობინდებოდა. ნდობა იზრდებოდა და ბოლოს აღარ დარჩა მოხუცი და საპყარი, არ ეძებნა აქ ნეტარება და შვება. ხალხი მოზღვავდა და ამიტომ იძულებული გახდნენ კაპელა დაეკეტათ, ასევე ეკლესიაც, თუ იქ ღვთისმსახურება არ მიმდინარეობდა.

ედუარდი ვერ ბედავდა მიცვალებული მოენახულებინა. ცხოვრობდა უღიმღამოდ, ცრემლი აღარ ჰქონდა, ტკივილის შეგრძნების უნარი დაკარგა. დღითი დღე სულ უფრო ნაკლებად მონაწილეობდა საუბარში, ნაკლებად ეტანებოდა საჭმელ-სასმელს. ერთგვარ სიამოვნებას იმ ჭიქის გამოცლა ანიჭებდა, მართლაც რომ ვერავითარი ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი ვერ აღმოჩნდა მისთვის. იგი კვლავ სიამოვნებით ათვალთვლებდა ერთმანეთში გადაწულ მონოგრამებს და მის სერიოზულ-მხიარულ მზერაში შეინიშნებოდა, თითქოს კიდევ აქვს იმის იმედი, რომ იგი და ოთილიე შეერთდებიან. მაგრამ მსგავსად იმისა, რომ ბედნიერებს თითქოს ყოველი გარემოება ხელს უწყობს და თითქოს ყოველი შემთხვევითობა აღამაღლებს, ასევე უმცირეს ამბებსაც შეუძლიათ ხალხისათ გაერთიანდნენ უბედური ადამიანის დასამცირებლად და გასანადგურებლად. ერთ დღეს, როცა ედუარდმა საყვარელი ჭიქა პირთან მიიტანა, შეძრწუნებულმა ისევ მოიშორა: ჭიქა იგივე იყო და არც იყო იგივე. აკლდა პატარა ნიშანი. იხმო კამერდინერი და იგი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ მონოგრამიანი ჭიქა ამ ცოტა ხნის წინათ გატყდა და ედუარდს იგი ჭაბუკობის დროინდელი ჭიქით შეუცვალეს. ედუარდს გაწყრომის თავიც კი აღარ ჰქონდა. მისი ბედი ცხოვრებამ გადაწყვიტა, ამიტომ როგორ შეიძლება ააღელვოს ამგვარმა შეცვლამ? მიუხედავად ამისა, მაინც საშინლად დაუმძიმდა გული. იმ დღიდან სასმლის გემო ეზიზღებოდა, საჭმელსაც და საუბარსაც თითქოს განგებ არიდებდა თავს.

მაგრამ დროდადრო მოუსვენრობა იპყრობდა, კვლავ ითხოვდა საჭმელ-სასმელს, კვლავ იწყებდა ლაპარაკს.

– აჰ! – უთხრა ერთხელ მაიორს, რომელიც თითქმის არ შორდებოდა გვერდიდან, – რა უბედური ვარ, რომ მთელი ჩემი მეცადინეობა მხოლოდ მიბაძვა და ამაო გარჯაა! რაც მისთვის ნეტარება იყო, ჩემთვის წამებაა და მიუხედავად ამისა, იმ ნეტარების გამო იძულებული ვარ ტანჯვა ვიტვირთო. მე უნდა მივსდიო მას, ამ გზით უნდა მივსდიო: მაგრამ ჩემი ბუნება მაკავებს და ჩემი პირობა. საშინელი ამოცანაა მიჰბაძო იმას, რისი მიბაძვაც შეუძლებელია. მე კარგად ვგრძნობ, ჩემო ძვირფასო, რომ ყველაფრისთვის გენიოსობაა საჭირო, წამებისთვისაც კი.

საჭიროა კი გავიხსენოთ ის, ამ უიმედო მდგომარეობის დროს რა დღეში იყვნენ ერთხანს მისი ცოლი, მეგობრები, ექიმი, რამდენს ზრუნავდნენ მასზე. ბოლოს ედუარდი მკვდარი იპოვეს. ეს სავალალო ამბავი პირველად მითლერმა აღმოაჩინა. მან დაუძახა ექიმს და მისთვის ჩვეული თავშეკავებით გულდაგულ დააკვირდა, თუ რა ვითარებაში დახვდა გარდაცვლილი. მოვარდა

შარლოტე, მან თვითმკვლელობაზე აიღო ეჭვი, თავის თავს და სხვებს მიუტევებელ გაუფრთხილებლობაში ადანაშაულებდა. მაგრამ ექიმმა ბუნებრივი და მითლერმა ზნეობრივი მიზეზებით მალე მოახერხეს საწინააღმდეგო აზრი შთაეგონებინათ მისთვის: სიკვდილი ედუარდს მოულოდნელად ეწვია. ერთხელ, როცა ირგვლივ სიჩუმე გამეფებულიყო, ედუარდმა პატარა ყუთიდან და საფულიდან ამოიღო და წინ დაიწყო ის, რასაც აქამდე გულდაგულ მალავდა. ეს იყო ყველაფერი, რაც მას ოთილიესგან დარჩა: კულული, ყვავილები, ბედნიერების ჟამს რომ დაკრიფეს, ყველა ბარათი, მისთვის რომ მიუწერია, იმ პირველიდან მოყოლებული, მეუღლემ რომ ასე შემთხვევით და საბედისწეროდ გადასცა. ყოველივე ამას იგი საკუთარი ნებით ხომ ვერ დატოვებდა, რომ ვინმეს შემთხვევით აღმოეჩინა. ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინ მისი უსასრულოდ მშფოთვარე გული ახლა დამშვიდებულიყო. და რადგან მან წმინდანზე ფიქრში მიიძინა, ამიტომ შეიძლებოდა ამქვეყნიდან წასვლისთვის ნეტარი გეწოდებინა. შარლოტემ მას ადგილი ოთილიეს გვერდით მიუჩინა და განკარგულება გასცა, მათ აკლდამაში სხვა არავინ დაემარხათ. ამ პირობით დიდძალი შეწირულობანი გაიღო ეკლესიისა და სკოლისთვის, მღვდლისა და მასწავლებლებისთვის.

ასე განისვენებენ შეყვარებულები ერთმანეთის გვერდით. მშვიდობა სუფევს მათ განსასვენებელში, მაღალი თალიდან ანგელოზები დაჰყურებენ და რა სასიხარულო იქნება ის წამი, როცა ოდესმე კვლავ გაიღვიძებენ ერთად.

[1] ჯუფთი (სპარს.) – აქ: წყვილი, ტოლი.

[2] აქ იძულებული ვართ, არ ვახსენოთ ამ წიგნების სათაურები, რომ არ შეურაცხვეთ ავტორთა თავმოყვარეობა. თუმცა რა ბედენაა ახალგაზრდა ქალწულის აზრი ამა თუ იმ ავტორზე (მწერლის შენიშვნა).

[3] წიგნის სათაურია. ავტორს განგებ არ ამხელს ამ წიგნის დამწერი.

[4] ლიფლიფა (ძვ.) – იგივეა, რაც ფარანი.

[5] Mittler (გერმ.) – შუამავალი.

[6] ბრაკტეატები (ლათ.) – შუა საუკუნეების ცალმხრივ ნაჭედი მონეტები.

[7] ტაკელაჟი (ჰოლანდ.) – გემის ხელსაწყოების (გემსართავების, ტროსების) ერთობლიობა.

[8] გადააბრუნეთ, თუ შეიძლება (ფრანგ.).

[9] კატეხიზმო (ბერძნ.) – ქრისტიანული ღვთისმეტყველების მოკლე გადმოცემა კითხვა-პასუხის სახით.